ყველაფერი რაც შენშია

(ავტორი მარიამ კილასონია)

‘’Once upon a time, life and death fall in love with each other…”

ნიკა

დღესაც დამათენდა. ბოლო ღერ სიგარეტს მოვუკიდე და აივანზე გავედი. ერთ პოზაში ჯდომისგან წელი გამშეშებოდა, თუმცა სულერთი იყო, მაინც ვეღარაფერს ვგრძნობდი. ვერც იმ დილის სუსხს, რომელიც ჩემს ფილტვებში თავიდან შეუმჩნევლად იპარებოდა, მერე კი ერთიანად ასკდებოდა დამჭვალულ კედლებს და იქაურობის ამოსუფთავებას ლამობდა. ამდენხნიანი ჩაკეტილობიდან როგორც იქნა გამოღწეულს, სუფთა ჰაერის ჩემში შემოშვება გამიჭირდა და ძლივს ამოვისუნთქე. ჰაერში გაზაფხულის სურნელი ტრიალებდა. ო, როგორ საშინლად მაღიზიანებდა ის სიცოცხლის აურა, რომელიც ჩემს გარდა ყველასა და ყველაფერს ედებოდა... უეცრად მომეჩვენა რომ პირველად ვხვდებოდი გაზაფხულის დადგომას. ახლაღა მივხვდი რომ ძალიან, ძალიან დიდი ხანი იყო გასული მას მერე, რაც ამ წყეული ოთახიდან გამოვედი. საქმე იმაშია, რომ სანამ სასმელი და მოსაწევი მაქვს, მაშინ ყველაფერი ზედმეტად ადვილია. მაგრამ, როდესაც ავდარის ღრუბლებივით ისინიც შეუმჩნევლად იფანტებიან და მერე სულაც ქრებიან, ისევ ახლიდან მიწევს ჩემი კომფორტის ზონის გარღვევა და არენაზე გამოსვლა. ეს პროცესი ჭირივით მეზიზღება. პროცესი, სადაც ისევ თავის მოჩვენება მიწევს რომ თითქოსდა მეც ამ საზოგადოების ნაწილი ვარ, როცა ეს ასე არ არის. რომ ვითომდა მეც ერთი ჩვეულებრივი ბიჭი ვარ, რომლის ერთადერთი სადარდებელი ის არის რომ შეყვარებულმა ღალატზე გამოიჭირა, ანდაც ექსტერნები გამოჰყვა და ახლა მამა კვირა დღეს გამართულ თინეიჯერების არალეგალურ ფართიზე აღარ გაუშვებს. ხანდახან (უფროსწორად, ძალიან ბევრჯერ) მიოცნებია კიდეც რომ ეს მართლაც ასე ყოფილიყო... თუმცა, ჩემს ცხოვრებაში, თუ კი ერქვა განა ამას ცხოვრება, ყველაფერი ასე იოლად როდი ხდებოდა. მე არ ვიყავი მამიკოს ბიჭი, არც ექსტერნები მადარდებდა და არც არავინ მიკრძალავდა ასეთ წვეულებებზე სიარულს. მაგრამ ბოლო დროს ესეც აღარ მინდოდა. ან, აღარც შემეძლო. არც ძილი შემეძლო... და საერთოდ, არც არსებობა! დღესაც კი მხოლოდ მისაწევის გამო მივდიოდი სკოლაში. სინამდვილეში ეს საქმე ძალიან რთულიც

არაა. მთავარია სანაცნობო წრეში კარგი სახელი გქონდეს. მე კი ნამდვილად ვატარებდი ამ სახელს. თხოვნა არც მჭირდებოდა, ჩემი ბიჭები ეგრევე ჩემთან მორბოდნენ, როგორც კი რამეს იშოვიდნენ ხოლმე. ამას სხვანაირად ქურდულ სამყაროს ეძახით, ხო? თუ "გზასაცდენილ ცხოვრებას?" ანდაც, რა მნიშვნელობა აქვს, მე ხომ ამის ნაწილიც აღარ ვიყავი უკვე...

ოთახში შემობრუნებულს სარკიდან ნამდვილი ნარკომანის თვალები მიმზერდნენ. ჩემს ქვესკნელივით შავ, წყლიან თვალებში მუქი წითელი ზოლები ერთმანეთში გველებივით გადაკლაკნილიყვნენ. ტუჩები მთლიანად გამომშრალი და გამოფიტული მქონდა. სახეზე ფერი აღარ მედო. თითქოს მოსიარულე მიცვალებული ვიყავი, ცოცხალი მკვდარი! ფსიქოპათივით გამეცინა. თუმცა კი, არ ვიცი რა მაცინებდა. ნუთუ ჩემი უბედური არსებობა იმდენად ტრაგიკომედია იყი, რომ ამაზე თავადვე მეცინებოდა?

როცა ძლივს მოვწყდი ჩემს შეშლილ ანარეკლს, სწრაფადვე გადავიცვი ჩემი შავი მაისური და დაბლა ჩავედი. ყველაფერს შმორის სუნი ასდიოდა. ვერ ვიტანდი პირველ სართულზე ჩასვლებს, სადაც სადღაც დედაჩემი უნდა დამხვედროდა. არა, საერთოდ ოთახიდან გამოსვლებს ვერ ვიტანდი და ვერც დილებს. და რა თქმა უნდა, ეს დილაც ჩვეულებრივად ნაგავი იყო. საუზმეზე ლალიმ კვერცხი, ყველი და რძე დამახვედრა. პირი არ დავაკარე, არც კი დავყნოსე. აბა, მაგისი ბინძური ფულით ნაშოვნი საჭმელი რა ჩემ ფეხებად მინდოდა? მოკლედ, როგორც უკვე მიხვდით, ლალი დედაჩემია. ექვსი წლის წინ დაქვრივდა და ახლა თავს მეძავობით ირჩენს. ხანდახან მეჩვენება რომ ამ ქალზე საერთოდ არაფერი ვიცი, მან კი - ჩემზე. უმეტეს წილად სახლში არც არის. ჩვენ თითქმის არ ვლაპარაკობთ და ეს ყოველთვის ასე იყო. მამაჩემი არც მახსოვს. სინამდვილეში კაცი რომელიც ექვსი წლის წინ გულის შეტევით გარდაიცვალა, მამაჩემი კი არა, ლალის მესამე ქმარი და ამავდროულად მაგარი ლაჩარი კაცი იყო. მახსოვს ყოველ ღამე თავისნაირ თაღლით არარაობებს არარაობებს როგორ ამოყრიდა ხოლმე სახლში და ლალის მომსახურებას ავალდებულებდა. დედაჩემს ისე ექცეოდა, თითქოს მისი ცოლი კი არა, ერთი ქუჩიდან ამოთრეული კახპა ყოფილიყო, რომელთანაც ერთი ღამე ერთობი, დილით კი მისი სახელიც არ გახსოვს და მერე ისევ ქუჩაში აგდებ. ერთადერთი მიზეზი, თუ რატომაც ითმენდა ლალი ამ ყველაფერს, ეს დამპალი სახლი იყო სადაც ახლა ვცხოვრობთ.

ჭამეო, - მითხრა.

ცოდვის სუნი ასდის, - მეთქი და კარი მოვიჯახუნე.

სინამდვილე ისაა, რომ მძულს ეგ ქალი. მაგისი ყველაფერი მძულს... თვითონ ეგ სახლიც, ეგ საუზმეც და... და ჩემი თავიც!

არენაზე გამობრწყინებულმა სერგის დავუწყე ძებნა, მაგრამ ვერსად მივაგენი. არადა დღეს მოსვლას დამპირდა.

-მარი, სერგი არ გინახავს?

-შენც დილამშვიდობისა, 'ბეიბ'!

მარი? მარი ჩემი ყოფილია, რომელთანაც უნდა დაიწყო ურთიერთობა, რომ მიხვდე რამდენად სისულელეა ეს ყველაფერი. ვაღიარებ, ძალიან სექსუალურია, მაგრამ ხანდახან გულისამრევიც კი. აბა ვის რაში ადარდებს შენი გამარჯობა ასეთ დროს?

-მარი, პიკზე ვარ! ახლავე თუ არ მივიღე... რამე მაინც! შეიძლება უკვე ყეფა დავიწყო, გაიგე? შენი ბიძაშვილია თუ ვინცაა, სად არის? მომწერა რო მოვალო. აუ, კიდე თუ გადამაგდო, რას ვუზამ მაგას არ იცის.

-დეიდაშვილია, მაგარო! შენ რაღა იყო, რათ გინდა სერგი, არ გინდა მე გაგიჩითო უცებ?

-რა?

-ჩვენ რო ვიცით.
-ეს ნახე რა, მეღადავები?
-ნწ.
-აუ, მიდი რა...
-და სად შევხვდეთ?
-ბიჭების ტუალეტში გაწყობს? რამდენ ხანში მომიტან?
-ჰმმ... მოიცა დავფიქრდე. გააჩნია სანაცვლოდ რას მივიღებ.
-შე პატარა ბოზო!
-აბა, მოსულა?
-მოსულა.

***

პირველი გაკვეთილი გავაცდინე. მეორეც. მესამეზე რომ შევედი უკვე მაგარ კაიფში ვიყავი. ბიოლოგია იყო. მარიც იქვე იჯდა, ჩემგან სულ რაღაც სამი მერხის მოშორებით, ხშირ-ხშირად მზერას ჩემსკენ აპარებდა და პატარა ძუკნას ღიმილით მიღიმოდა. საპასუხოდ მეც ვუღიმოდი. მაგ გოგოს არადა არ ვბეზრდებოდი. ჩვენს სასტავშიც ჩემს გამო შემოაღწია და პატარ-პატარა შეკვრებსაც ახალი ამბებივით ჩემს გამო დაარბენინებდა სკოლის ჩანთით. ფაქტობრივად, საკუთარი თავით ვაჭრობდა. სხვა სახელს მის ამ საქციელს უბრალოდ ვერ ვუძებნიდი. ნეტავ ამას მხოლოდ ჩემთან აკეთებდა? ალბათ მასე იყო, თორემ სხვაგვარად სერგისაც არ სთხოვდა რომ შერიგებაზე დამლაპარაკებოდა, უკვე ალბათ მეათასედ. მერე მე და სერგი ამაზე მაგრად ვღადაობდით ხოლმე. მიდი და გქონდეს მერე ასეთი დეიდაშვილის იმედი... ისე, სიმართლე რომ ვთქვა, არც მახსოვს მარის რის გამო დავშორდი. ან საერთოდ, ამას თუ დაშორება ჰქვია. მაინც სულ მაგასთან მიწევდა მისვლა. თან ალბათ მეც მისწორდებოდა ეს პონტი და მაგიტომაც არ ვაჯანჯლებდი, მაგრამ როგორც კი შერიგებაზე იწყებდა საუბარს, სულ სადღაც გავრბოდი, ან თემა გადამქონდა. ისედაც ხომ არ ვლაპარაკობდი ბევრს. ლაპარაკი არასოდეს მყვარებია. უბრალოდ ვერ ვხედავდი ამის საჭიროებას.

თავი მერხზე დავდე და თვალები მაგრად დავხუჭე. დილანდელი ჩემი სარკის ანარეკლი და წეღანდელი საპირფარეშოს კადრები ერთმანეთში ინაცვლებდნენ მორიგეობით. მაგრამ მალე სუყველაფერი მიწყდა. გამიკვირდა კიდეც, ასე ყველა ერთიანად სად გაქრა. ის ხმებიც, რომლებიც თავს უარესად მატკიებდნენ, წამით ბურუსში ჩაიკარგა და მეც თითქოს ნელ-ნელა მათ გავყევი. ასე, გეგონება მეც ბურუსში ჩავიკარგე. ისეთი შეგრძნება დამეუფლა რომ ერთ კილოგრამსაც აღარ ვიწონიდი. მთელი ჩემი არსებით ვგრძნობდი სიმსუბუქეს. მესიამოვნა. ისიც მესიამოვნა რომ ახლა აღარც თავი მტკიოდა, აღარც სუნთქვა მიჭირდა და აღარც ჩემში არსებულ ზიზღს ვგრძნობდი თავიდან ფეხებამდე. ახლა გარშემო სიმშვიდე, ნათელი ცისარტყელის ფერები და მოლივლივე ღრუბლები იყვნენ მხოლოდ. მეც ჩემს წინ უეცრად გამოჩენილ მოხტუნავე სინათლის მკრთალ სხივებს ღიღინ-ღიღინით ავუწყე ფეხი და ცოტახანში...

-მეგრელიშვილო, დაფასთან!

ხმამ, რომელიც თან შორიდან და თან ახლოდან ჩამესმა, ისევ რეალურ სამყაროში, ბიოლოგიის გაკვეთილზე დამაბრუნა.

-ჰა? - მერხიდან ძლივს ამოვწიე ახლა უკვე დამძიმებული თავი და გაოგნებული სახე შემაწუხებლად შევშმუშნე. თვალებიდან ძლივს ვიხედებოდი. მარიმ ბოროტულად ჩაიხითხითა.

-გელოდები, დაფასთან! - განმეორდა ხმა. ახლაღა მივხვდი რაც ხდებოდა. არანაირი ნათელი ფერები, ღრუბლები და სიმშვიდე არ იყო ჩემს გარშემო და ყველაფერი რასაც მე ვხედავდი, უბრალოდ ჩემი წარმოსახვის ნაყოფი იყო. ილუზია, რომელიც ამ ბინძური რეალობიდან თავის ცოტა ხნით მაინც დაღწევაში მეხმარებოდა. ყოველთვის მეხმარებოდა, როგორც არ უნდა მძიმე გადასატანი ყოფილიყო რეალობა და ეს იყო ის ერთადერთი მიზეზი, თუ რატოც შევჯექი მათზე, რატომ ვებღაუჭებოდი ასე ძალიან. მივიღებდი მათ, მერე კი უცებ, ჰოპ! და… ჩემი ყველა პრობლემა სადღაც ჯანდაბაში მიემგზავრებოდნენ უმისამართოდ. მეც აღარ ვდარდობდი იმაზე, რომ მამაჩემის სახელიც კი არ ვიცოდი, აღარ მქონდა ის სირცხვილის შეგრძნება, რასაც დედაჩემის საქციელები მგვრიდა და რომელიც სხეულზე მქონდა შემოწებებული სამუდამოდ... აღარ განვიცდიდი, თუ რაოდენ მძულდა ჩემი თავი, ჩემი სიცოცხლე, რაოდენ მძულდა ის წყეული სახლი, სადაც თითოეული კუთხე რაღაც საშინელ ისტორიას მახსენებდა ჩემი ბავშვობიდან. აღარ მადარდებდა ის ცოდვის სუნი, რომელიც ჩემს საუზმეებს ასდიოდა ყოველ დილა და რომელსაც პირს არასოდეს ვაკარებდი, ლალი კი კვლავ ერთიდაიგივეს მიმეორებდა -ჭამე!- აღარ მადარდებდა, რომ ვერასოდეს მექნებოდა ის, რაც სხვა ბავშვებს! ოჯახი, სითბო, სიყვარული, მზრუნველობა... ამ დანაკარგს და სიცარიელეს რაც მივსებდა ჩემი საუკეთესო მეგობრები, - სასმელი და მოსაწევი იყვნენ მხოლოდ. რეალურად მოსაწევზე ფული არასოდეს მეხარჯებოდა. არადა ბევრჯერ გვიქურდია კიდეც ამის გამო, მაგრამ ეგ დაახლოებით ორი წლის წინ იყო. მერე მე მაგ წრესაც გამოვეყავი და ცალკეული ადგილი დავიმკვიდრე. თუმცა, როგორც უკვე ვთქვი, პატივს დღემდე მომაგებდნენ (რაც საერთოდ არ მეამაყებოდა), ამიტომაც ყოველთვის ერთი თხოვნა მჭირდებოდა ხოლმე, ან კიდევ ზოგ მომენტებში ეგეც არ იყო საჭირო, ისე როგორც ამ დილით. ასე, ერთი გასროლით ორი კურდღელი დავიჭირე. ახლა კიდევ... ჯანდაბა, ამ ჩასვრილ კაცს საერთოდ ვერ ვიტანდი. სიცოცხლე გამიმწარა. კაიფსაც რომ არ დაგაცდიან... არა, მაინცდამაინც ახლა, ასეთ მდგომარეობაში მოუნდა ჩემი გამოძახება, როცა არც კი მახსოვს ბოლოს დაფასთან როდის ვიდექი? რაღა თქმა უნდა მიჩალიჩებდა. ხოდა მე შენ გაჩვენებ! რა მექნა, ბარბაცით და ღრეჭვით გავწიე დაფისკენ. მიმავალმა გზად მარის მხრიდან ხელის მტევნის მიმართულებით თითი ნაზად გავასრიალე. მომწონდა მის ნერვებზე თამაში. მერე კი ჯიბეებში ხელებჩაწყობილი წამოვიჭიმე დაფასთან და უდარდელად დავიწყე აქეთ-იქით ყურება. ახლა უკვე ხელახლა ვიგრძენი თავის ტკივილი. თავბრუ საშინლად მესხმოდა. ის ნათელი სხივები, რომლებიც სულ რაღაც წუთების წინ თავისკენ მიხმობდნენ, ახლა პატარ-პატარა რგოლებად გადაქცეულიყვნენ, რომლებიც ჩემს თვალებთან დაკიაფობდნენ, მაგრამ როგორც კი მათ ფაქტზე გამოჭერას შევეცდებოდი, ადგილიდან ეგრევე ხტუნვა-ხტუნვით ინაცვლებდნენ და ასე დაუსრულებლად.

-აბა? - ხელი ხელს შემოჰკრა მასწავლებელმა.

-აბა? - გამოვაჯავრე ზუსტად იგივენაირად. კლასმა გადაიხარხარა.

-კარგი, ასეც ვიცოდი. მაშინ გაგიმეორებ. ნება იბოძე და კითხვას ამჯერად მაინც მოუსმინე.

-გისმენ-თ!

-ჰმ, შეგიძლია მონელება დაგვიხასიათო? ჯერ ის მითხარი, რა ემართება საკვებს მანამ, სანამ მონელებამდე მიაღწევს და მერე დანარჩენი ფაზები ჩამოთვალე ერთმანეთის მიყოლებით და თუ შეიძლება არაფერი გამოგრჩეს. ეს საკითხები საკონტროლოშიც იქნება, ამიტომ ყურადღებით მოვუსმინოთ!

-რა თქმა უნდა, - დავიწყე მე, - რა თქმა უნდა, მაგაზე ადვილი რა არის? მოკლედ, ვაღებთ კარებს, შევდივართ საპირფარეშოში, ვიხსნით შარვალს, ვიწევთ...

-ეს რა გაუგონარი სითავხედეა, ახალგაზრდავ! - მიყვირის მასწავლებელი, მე კიდევ მაგარი გასწორებულში ვარ რომ სამაგიეროს ვუხდი ჩემი მონატრებული კაიფის ჩაშხამებისთვის და ლაყბობას ვაგრძელებ:

-მერე მაგას ვაყოლებთ საცვალს, ეს ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტორია... ხოდა, ვჯდებით უნიტაზზე და...

მთელმა კლასმა სიცილი მორთო. ბატონი ჩასვრილი მასწავლებელი ღრიალზე გადავიდა:

-სასწრაფოდ დატოვე კლასი!

-რა მოხდა? მოსაწმენდად ქაღალდის მოტანა დაგჭირდა? საჭირო არაა ჯიგარო, აგერ კი უნდა მქონდეს ფურცლის ნაგლეჯი...

-შე ნარკომანო ნაბიჭვარო, მოწყდი აქედან!

კლასიდან კინწისკვრით გამომიპინტრიშა. მის დასანახად გიჟივით დავიწყე სიცილი, მაგრამ როგორც კი კარს მიღმა მარტო აღმოვჩნდი, ჩემი სახიდან ღიმილის ნაკვალევიც კი მთლიანად აორთქლდა და ჩემი გონება წუთების წინ გაგონილმა სიტყვებმა მოიცვა, რომელზეც თავს ვაჩვენებდი რომ ჩემთვის არაფერს ნიშნავდა და შეშლილივით სიცილს განვაგრძობდი, მაშინ როცა მკლავში ჩაჭიდებული უხეში ხელი გასასვლელისაკენ მიმათრევდა, მე კი წინააღმდეგობას ვერ ვუწევდი, ან რათ მინდოდა...

"შე ნარკომანო ნაბიჭვარო, მოწყდი აქედან!"

კარებშივე ჩავიკეცე. "ნარკომანო ნაბიჭვარო!" ეს სიტყვები... ისინი ზუსტად შეეფერებოდნენ სინამდვილეს. ამ შემთხვევამ ძველი დრო გამახსენა. თითქოს ისევ ჩამესმა ცოცხლად ჩემი მამინაცვალის სიტყვები, რომლებიც გაუთავებლად ჩამძახოდა:

"შე პატარა ნაბიჭვარო, მომწყდი აქედან!"

ყურებზე ხელი მაგრად მივიჭირე, ისე თითქოს მინდოდა ეს სიტყვები აღარ გამეგონა, მაგრამ აბა მოგონებებსა და იმ შინაგან ხმას რას მოვუხერხებდი? თავი მუხლებში ჩავრგე. იმ მომენტში კიდევ ერთხელ ვიგრძენი ის ნაცნობი სირცხვილის წურბელა როგორ მაცოცდებოდა სხეულზე და შიგნიდან თუ გარედან როგორ მიჭამდა ყველაფერს. მეც ეგრევე სინანული მომასკდა. სინანული იმ დანაშაულისა, რომელიც მე არ ჩამიდენია, მაგრამ რომლის საფასურსაც სწორედ მე ვიხდიდი და რომელიც ცრემლებად გადმომედინა ჩემს გაფითრებულ, გაყინულ სახეს და მისმა სიმლაშემ მალევე დანამა ჩემი გამოფიტული ტუჩები, რომელიც შიშის მეტს არაფერს მიქადდა. შიშის ცხოვრებისა, თუ არსებობისა. შიშის, რომელიც წარსულის აჩრდილებიდან რეალობაში გადმოსახლებულიყვნენ და დღემდე მიმწარებდნენ ცხოვრებას. ის არ მომკვდარა! არ მომკვდარა... ის დღემდე აგრძელებდა ჩემს დამონებას, წამებას და თავის ჭკვაზე ტარებას... ის! ის... და საერთოდ, ეს ყველაფერი რაც ხდებოდა ერთი დიდი სპექტაკლი იყო და მეტი არაფერი. ადამიანები კი ჩემს გარშემო და ჩემი ჩათვლით - უბრალოდ მსახიობები, რომლებიც თავისი ტკივილების, შიშებისა თუ სხვადასხვა ცუდი ემოციების შესანიღბად ნაირფერ ნიღბებს ატარებდნენ. ზოგჯერ შავი იყო ეს ნიღაბი, ზოგჯერ თეთრი. თუმცა ეს მაინც არ ცვლიდა რეალობას. ოდნავადაც არ ცვლიდა...

როგორც იქნა დავაპირე იქაურობას გავცლოდი, ჩემსკენ ერთი ღიპიანი, უნიფორმაში ჩაკვეხებული ტიპი რომ წამოვიდა. და მეც მაშინვე ვიცანი ჩემი სკოლის მანდატური. სანამ ჩემამდე მოჩოჩდებოდა, ცრემლები სასწრაფოდ მოვიწმინდე, ფეხზე მყარად წამოვდექი და უდარდელად ავუარე გვერდი. კიბეებს რომ ჩავუყევი, გავიგონე როგორ შემაჩერა.

-მოიცა!

ყურადღება არ მივაქციე და ჩემი გზა განვაგრძე.

-მოიცა მეთქი დაყრუვდი?

-'მოიცა' რა მიმართვაა?

-აქ მოდი, მალე! - ვაუ, ესღა მეკლდა სრული ბედნიერებისათვის! არ მესმოდა ყველა მე რატომ გადამეკიდა. თვალები გადავატრიალე, უკან ზლაზნვით მივბრუნდი და წხვირწინ დავუდექი.

-აჰა, მოვედი, მერე? - თვალებში საეჭვოდ ჩამხედა. კბილები ძალით დავაკრიჭე.

-რა მიიღე? - მკითხა და ცხვირ აბზუებულმა ზიზღით მიყნოსა. მე კიდევ ვაგრძელებდი ღრეჭვას, რომელიც მის ისედაც ბეწვის ხიდზე შემოკიდულ ნერვებზე საშინლად მოქმედებდა.

-რომ გეკითხები პასუხი გამეცი, ბავშვო! თუ დაგავიწყდა, შეგახსენებ რომ ეს სასწავლო დაწესებულებაა, ნარკოლოგიური კი არა. აშკარად მისამართი შეგეშალა. დროზე ამოღერღე, რა მიიღე?

მივხვდი რომ ასე იოლად ვეღარ გამოვძვრებოდი და გადავწყვიტე იგივე ხერხისთვის მიმემართა, რაც ბიოლოგიის მასწავლებელთან ჩავიდინე. და საერთოდ ეს ხერხი ყოველთვის, ყველგან და ყველასთან ჭრიდა ხოლმე. ეს იყო ამჩემფეხება, ამაზრზენი, იდიოტი ნარკომანის როლის თამაში. ხანდახან ვგრძნობდი რომ ეს ნიღაბი ყველაზე კარგად მერგებოდა და ერგებოდა ჩემს 'მეს'. და იქნებ სწორედ ეს იყო ჩემი საკუთარი ნიღაბი? იქნებ სწორედ ეს ვიყავი მე? იქნებ მართლაც იმისთვის მოვევლინე ამ ქვეყანას, რომ ყველა სულიერს შევზიზღებოდი?

-მოიცა დავფიქრდე, - ამოვხეთქე ამპარტავნად და მხრები შევათამაშე, - უი ჰო, გამახსენდა... ის რაც შენ წინაზე. რა იყო? დატოვება გინდოდა?

ერთი გემრიელი მუშტი მითავაზა. ასეც ვიცოდი! ვიცოდი რომ კვლავაც შევძლებდი ადამიანის წყობილებიდან გამოყვანას. ეს ხომ ის ერთადერთი რამ იყო, რაც ასე კარგად გამომდიოდა. ისევ ფსიქოპათივით სიცილი ავტეხე. სხვანაირად უბრალოდ ვერ გამოვხატავდი იმ ტკივილის სიამოვნებას, რასაც მაგ მომენტში განვიცდიდი. ეს კი უარესად აღიზიანებდა მას. უნიფორმა გასიებულ ღიპზე ვერ ეტეოდა. თავზე არც ერთი ღერი თმა არ ჰქონდა შემორჩენილი. კბილები მოწევისაგან ისე საზიზღრად ჩაყვითლებოდა... მერე ამას ჩემი უკვირდა? მაგისი ცოლი რომ ვყოფილიყავი, დაუყოვნებლივ თავს მოვიკლავდი...

დაახლოებით ნახევარ საათში, როცა ზარის ხმაც გაისმა, დირექტორის კაბინეტში ამოვყავი თავი. საერთოდაც მაგ ოთახში გავიზარდეთ მე და სერგი, ხოდა ახლაც არაფერი მიკვირდა და არც მადარდებდა. მეტი-მეტი, ტუალეტები მახეხინონ, სხვა რა? ვფიქრობდი ჩემთვის და ერთი სული მქონდა სახლში დაბრუნებული დღეს "ჩემი წვალებით" ნაშოვნით გამოვძეკილიყავი. მერე კი ალბათ ისევ თავისით გათენდებოდა. ასე უბრალოდ, უმნიშვნელოდ, არაფრის მთქმელად და არაფრის მომასწავებლად, რომ მერე ისევ ახლიდან ამოეწოვათ ჩემი ისედაც აღარ დარჩენილი ნებისყოფა ნაგვის ბუნკერში ამოვლებულ დილებს. ეს რუტინა არასოდეს დამთავრდებოდა. ეს ვიცოდი.

მანდატური და დამრიგებელი საყვედურებს ჯერ-ჯერით გამოთქვამდნენ და კინაღამ ერთმანეთს თავპირი დაულეწეს, არა ახლა ჩემი ჯერია, არა ჩემიო. დირექტორიც ვითომდა

ყურადღებითა და დაკვირვებით უსმენდა მათ. წამდაუწუმ თავისი ბოლო მოდელის ტელეფონზე შემოსულ 'ნოთიფიქეიშენს' ამოწმებდა და მომეჩვენა კიდეც რომ მარიაჟობდა. კი, აბა რა, ახლა ამას ზუსტად ჩემი უწესო საქციელები და სკოლის დარღვეული კოდექსი ადარდებდა. წარბსაც არ ვხრიდი ისე ველოდი ჩემს სასჯელს ჩვეულებრივად "ლუზერის" აბრა-ამოკრული, რომ ეგრევე დავმტყდარიყავი იქიდან და ეს დღე აღარასოდეს გამეხსენებინა, რადგან მაინც სხვა დანარჩენების მსგავსი იყო და ვიმედოვნებდი მალე გაქრებოდა ჩემი მახსოვრობის არედან. და დადგა განაჩენის გამოტანის დროც. დირექტორმა ტელეფონი ფრთხილად დაასვენა სამუშაო მაგიდაზე. მერე ახლად მირთმეული ცხელი ლატე მოსვა, რომელზეც გული ისე საშინლად მიმივიდა, კინაღამ ჭიქაში არ ჩავუძვერი. და როცა როგორც იქნა თავისი საბოლოო სიტყვის სათქმელად მოემზადა, ყველა იმ კაბინეტში ჩემს გარდა საგრძნობლად დაიძაბა და მიინაბა. მოსამართლე ალაპარაკდა:

-გარიცხული ხარ!

ეს ორი სიტყვა სიცილად არ მეყო და დიდხანს ვიცინე კიდეც, მაგრამ ბოლოს ხუმრობის რომ არავის არაფერი შეეტყო, მეც დავსერიოზულდი.

-როგორ თუ გარიცხული ვარ? თქვენ ამის უფლება არ გაქვთ! - მოვედავე დირექტორს.

-მომისმინე ბიჭი, იცი მაინც ვის ელაპარაკები?

-კი მაგრამ, წესიერად ჩივილი არც კი მოგისმენიათ! თერთმეტი წელია ამ სკოლაში ვსწავლობ, ახლა ვერ გამაგდებთ, ეს აბსურდია!

თავის გამართლება იქამდე ვცადე, სანამ თავადვე არ მივხვდი რომ ყველა ჩემი მოყვანილი არგუმენტი არასაკმარისი და სიმართლეს მოკლებული იყო, ასე რომ საბოლოოდ გადავწყვიტე ესეც დამეკიდა, რადგან აზრი არ ჰქონდა. თუმცა ერთი რამ უკვე დაზუსტებით ვიცოდი, ეს დღე ამ ნაწილით სამუდამოდ დარჩებოდა ჩემს მეხსიერებაში და კიდევ ერთ ნომინაციად ჩაიწერებოდა ჩემი სასირცხვილო საქციელების სიაში.

***

სადღაც ჯურღმულში გამოვფხიზლდი. მძაფრად ვგრძნობდი როგორ მიფეთქავდა თითოეული ნერვი ერთიანად. ჩემი მუცელი ხრამში გადაჩეხის პირას მყოფივით მექაჩებოდა შიგნიდან, ისე თითქოს ოქროს ხავსი ვყოფილიყავი. ამ დროს ოქრო კი არა, თვითონ ხავსიც აღარ ვიყავი. ერთი უბრალო, საზიზღარი ჭაობის ხავსი... ნეტავ რა დახმარებას ითხოვდა ჩემგან? ჩემი მაჯის საათს დავხედე. უძველესი დროიდან მოყოლებული ეს ვერცხლის საათი ჩემს მარცხენა მაჯაზე ცხოვრობდა, თუმცა წარმოდგენა არ მქონდა საიდან ან როგორ და გაგება არც მსურდა. აბა მაინც რა მნიშვნელობა ჰქონდა წარსულში ქექვას, როცა მომავალი არც არსებობდა? საათი საღამოს ექვსს აჩვენებდა. უკვე სახლში უნდა დავბრუნებულიყავი როგორღაც. სანამ გამახსენდებოდა საერთოდ სად ვიმყოფებოდი, ან მაქამდე როგორ მივაღწიე და ან საერთოდ მანამდე რა მოხდა, დიდი დრო გავიდა. მერე კი როგორც იქნა დავუდექი ჩემი ცოდვების ბუნაგამდე მისასვლელ ბილიკის გზას. ძალიან, ძალიან მინდოდა ლალი შინ არ დამხვედროდა. თუმცა, მაინც რატომ? სხვა ჩემხელა გათამამებული ბიჭებივით რისი უნდა შემშინებოდა და კანკალი დამეწყო? რომ ამ კვირაში მშობლები სახარჯო ფულს აღარ დამირიცხავდნენ კარტაზე? რომ ინტერნეტთან ერთი თვით, ანდაც

უფრო მეტი დროით დამაშორებდნენ, რადგან სკოლიდან გამრიცხეს? სიმწრის სიცილით გამეცინა. ვინ იცის ლალის სულ ფეხებზე ეკიდა ჩემი განათლების ამბავი. სადაც ისიც კი არ იცოდა რომ სკოლას ამდენი ხანი ვაცდენდი და ჩემს ოთახში გამოუსვლელად ვიჯექი, სადაც არცერთ მშობელთა კრებასა თუ საბჭოს არ ესწრებოდა, არც ახალი ნიუსით უნდა დაინტერესებულიყო. არა, ამაზე ფიქრიც კი სისულელე იყო, არა თუ ნერვიულობა.

სახლამდე რომ მივაღწიე უკვე კარგად შებინდებულიყო. კარი ოდნავ შეხსნილი დამხვდა. გამიკვირდა, რადგან ამ დროს ლალი როგორც წესი სახლში არ იყო ხოლმე. უნდა დამეკიდა წესით. ხო, ისიც უნდა დამეკიდა რომ დედაჩემი ქუჩის ქალი იყო, მე კი ამის გამო ისიც მძულდა, ჩემი თავიც და საერთოდ ყველაფერიც, მაგრამ ვაი, რომ არ მეკიდა, ანდაც ვერ მეკიდა. არადა, მართლა შემეშინდა კარი ღია რომ დავინახე. ფრთხილად შევედი და რაღაცა საშინელი სანახაობისათვის მოვემზადე. გული ძალიან ცუდს მიგრძნობდა. ნელა გავუყევი შესასვლელ ვიწრო ჰოლს და ჩემი მოლოდინები ამჯერადაც გამართლდა! სანამ სკოლის ჩანთას მხრებიდან მოვიხსნიდი, მანამ დავინახე ვიღაც ჯმუხი, მელოტი ტიპი ჩემს მისაღებ ოთახში ქამარს როგორ იკრავდა. ნანახის გადასახარშად ეს აშკარად არადამაკმაყოფილებელი ფაქტი აღმოჩნდა, რადგან ჩემს გულს იმის დაჯერება არ სურდა რაც ტვინმა გაიაზრა. მერე იქვე იატაკზე ადიელა-შემოხვეულ ლალის მოვკარი თვალი. ჩემს დანახვაზე ისტერიულად მორთო ტირილი და მოთქმა. თავზარი დამეცა! ეს იყო ყველაზე სამარცხვინო, საშინელი და თავზარდამცემი წუთები ჩემს ცხოვრებაში! წამიერად ვიგრძენი როგორ გაიღვიძა ჩემში არსებულმა მიმალულმა მონსტრმა, რომელიც ამდენი ხნის განმავლობაში ასე ოსტატურად მემალებოდა და მხოლოდ დრო და დრო და ეგეც ცოტახნით იჩენდა ხოლმე თავს. სანამ ლალი წიოკს განაგრძობდა და მიხვდებოდა რომ რამე უნდა ჩაეცვა, ის ჯმუხი ტიპი იდგა და არაფერს აკეთებდა. უბრალოდ იდგა და შემომცქეროდა. არ ვიცი ეგ რა იყო, მაგრამ მაგ მომენტში ყველაფერთან ერთად უცებ ძალიან შემეშინდა. ასე, ჯერ შიში ვიგრძენი, რადგან თავისი მზერით გეგონება რაღაც ამოუცნობს მალავდა, გულმოდგინებით მაკვირდებოდა. მერე შევნიშნე მრგვალ და უცნაური მოყვანილობის სახეზე მკრთალმა, უემოციო ღიმილმა როგორ გადაურბინა და როგორ გამოანათეს ამ ღიმილიდან ოქროს კბილებმა. სანამ ბოლომდე შესწავლასა და მისი თითოეული სხეულის ინჩის დამახსოვრებას მოვასწრებდი, მანამდე გადაერთო ყურადღება ჩემი მხედველობიდან ჩემს სმენაზე და გავიგონე დედაჩემის მუდარა, რომელიც პატიებას მთხოვდა. თავზე კონტროლი დავკარგე და ღრიალი მოვრთე. არ ვიცოდი რას ვაკეთებდი, არ მესმოდა რას ვამბობდი, საერთოდ იმასაც ვერ ვხვდებოდი რა მემართებოდა. ლალი ფეხებში ჩამივარდა. მის მაგივრად მე მრცხვენოდა. მთელი ჩემი სხეულით ვგრძნობდი მოწოლილ ზიზღს, რომელიც ასე ძალიან ლამობდა საბოლოოდ ამოხეთქვას. ამის მერე უკვე აღარ ვიცოდი როგორ შევძლებდით ერთ ჭერ ქვეშ ცხოვრებას... უბრალოდ რანაირად შევძლებდით ყოველივე ამას? ამდენი წლის განმავლობაში უსიტყვოდ ვპატიობდი რომ თავისი ცოდვების ხარჯზე მზრდიდა. ის კი, ასე უნამუსოდ, ურცხვად აგრძელებდა ყველანაირი ახსნა-განმარტებების გარეშე ამ ყველაფერს. იცოდა რომ მშვენივრად ვხვდებოდი რატომ ქრებოდა ყოველ ღამე სახლიდან. იცოდა რომ ვხვდებოდი, რადგან პატარა აღარ ვიყავი. მე ვიზრდებოდი, მე ვხედავდი და მე მძულდა... დღეს კი... ეს ყოველივე ყველანაირ დაწესებულ საზღვრებს გადასცდა, ყველანაირი ფარგლები გაარღვია და საბოლოოდ დამაკარგვინა ჩემს თავზე კონტროლი! საბოლოოდ დამარწმუნა იმაში, რომ არასოდეს აღარ უნდა მქონოდა ამ ცხოვრებისგან რაიმე კარგის იმედი, რადგან ჩემს გარშემო სიტყვა კარგის ნასახიც კი არ იყო...

-ნიკა, გთხოვ მაპატიე დე, გეხვეწები, - შემომეხვია მუხლებზე ლალი. რა ნამუსით მთხოვდა პატიებას?

-გაპატიო? რა გაპატიო? ის რომ ბოზი ხარ, თუ ის რომ საერთოდ გამაჩინე? ორი კაპიკით მეტი რომ დაგეხარჯა აბების საყიდლად, ან კიდევ ექიმთან წასათრევად, კიდევ ერთ ცოდვას არ დაიდებდი და ამ უბედურ ცხოვრებას არ მაჩუქებდი. და შენ?

კიდევ ერთხელ გავბედე და გადავხედე იმ არაკაცს და რაღაც უცნაურმა ემოციებმა დამიწყეს სულის გაღრღნა.

-მოდი, მოდი გამისწორდი თუ კაცი ხარ! ჩემს სახლში ეს როგორ გაბედეთ?

თავს ვეღარაფრით ვზომავდი და რაღაც არაამქვეყნიური ხმები მხდებოდა. იმ ცირკისგან გათანგულს, უეცრად მომეჩვენა რომ ზუსტად ჩემს ზურგს უკან ერთი ძალიან დიდი, თეთრი ფუმფულა საწოლი იდგა და თუ მასში გადავეშვებოდი, ყველაფერი დამთავრდებოდა. უბრალოდ გაქრებოდა დღევანდელი ბიოლოგიის გაკვეთილზე არსებული ნათელი სხივების მსგავსად და მეც შვებისგან ამოვისუნთქებდი. ამ სურვილმა ისე შემიპყრო რომ ინსტიქტურად დავიწყე უკან-უკან ბარბაცით სვლა და ცოტაც... ძალიან ცოტაც და გონს მართლა დავკარგავდი, მაგრამ ეს არ დავუშვი და თავი შევიმაგრე. თუმცა, როდესაც ნორმალურად ისევ გავახილე თვალები, ოთახში მხოლოდ ერთი სილუეტიღა დავინახე. დედაჩემი. ჩემს უკან კი მეზობლების ღრიანცელი გავიგონე. რა თქმა უნდა, არც ერთმა მათგანმა მოისურვა ამ ყველაფერში ჩარევა და საკუთარი თავის დაზიანება ან საფრთხეში ჩაგდება. ამას ისევ ერჩივნათ ყველაფერი აეკრიფათ და მერე ცხოვრების ბოლომდე ამაზე ეჭორავათ უსინდისოდ.

-რას უცდით, რას ჩამოყუდებულხართ? აქ მე კინოთეატრი მაქვს? - უყვირა ლალიმ, მერე ფეხზე წამოდგა და კარები ცხვირწინ მიუჯახუნა, მაგრამ ჩოჩქოლის ხმები მაინც აღწევდნენ ჩვენამდე. მიუხედავად იმისა რომ თავს ძლივს ვიმაგრებდი, მაინც მზად ვიყავი ჩემივე ხელით გავსწორებოდი და ადგილზევე მიმეხრჩო ის ადამიანი. იმ მომართულ ზიზღის გრძნობას, რაც მის მიმართ განვიცადე, აქამდე არც ერთ სულიერზე უმოქმედია. თუმცა ის მანამ გაიქცა, სანამ მე მოვიდოდი გონს. ჩემი თავი ისე დავკარგე, ვერც შევამჩნიე ის არაკაცი როდის გაიპარა. ჩემი შეეშინდა იმ ლაჩარს. როგორ, არარაობის შეეშინდა?

-სად არის? სად წავიდა? უნდა მოვკლა! - ნამდვილი ცხოველივით აქეთ-იქით ვეხეთქებოდი კედლებს, სანამ ჩემი გაკრული ხელი თაროზე საუკუნის წინანდელ თავისთვის შემომსგარ მოზრდო ვაზას არ მოხვდა, რომელშიც ჩამომჭკნარი ლავანდები ეწყო, ძირს არ დაენარცხა და შუაზე არ გასკდა. ვიგრძენი უღონობა როგორ შემომაწვა და ხელახლა როგორ დამებუნდა თვალები. ახლა უკვე ჩუმად, წყნარად, წყნარად ტირილ-მოწოლილი ხმით აღმომხდა და ხმის ამოღებისთანავე წამომცვივდა ცრემლები:

-ასეთი უმნიშვნელო ვარ შენთვის? იქნებ საერთოდ გავმქრალიყავი შენი ცხოვრებიდან? ჰა, დ-ე-დ-ა? მრცხვენია შენნაირი დედა რომ მყავს, მრცხვენია! ისე მრცხვენია რომ, ამ სირცხვილის მთელი ცხოვრება ტვირთად ტარებას სიკვდილი მირჩევნია, ასეთ სიცოცხლეს სიკვდილი მირჩევნია, გაიგე?

ლალი ხმამაღლა ტიროდა და თავში ხელს იტაცებდა. მე კიდევ, იმდენად მომინდა უკვე ამ გაუთავებელი ტანჯვისთვის წერტილის დასმა, რომ ვერაფერი რომ ვეღარ მოვიფიქრე, ბოლოს ძირს მიმოფანტულ ვაზის მოზრდილ ნატეხს ხელი დავავლე და ვენებზე გადავიტარე. დაუფიქრებლად გადავისერე. ყოველ შემთხვევაში, ვეცადე მაინც. ლალიმ შეჰკივლა და მომვარდა. ისედაც ხელებ აკანკალებული უმალ შევხტი და ნატეხი ხელიდან გამივარდა. ნატეხის პირი არ აღმოჩნდა საკმარისად ბასრი, იმისათვის რომ კანი მთლიანად გაეკვეთა და მასში შეეღწია, მიუხედავად იმისა რომ მთელი ძალით ვუჭერდი. ანდაც საკმარისი გამბედაობა არ გამაჩნდა. ეს მაინც არ აღმოჩნდა საკმარისი. ის შინაგანი ტკივილი, რომელსაც ვგრძნობდი, ფიზიკურზე მძაფრი გამოდგა! და რა გამოვიდა, რომ სიკვდილიც კი

არ შემეძლო? მე სიკვდილიც კი არ შემეძლო, არც იმ არაკაცთან გამკლავება, საერთოდ არაფერი, არაფერი... თავად არსებობაც კი!

მაშინ საერთოდ რიღასთვის ვცოცხლობ? ჩემი არსებობა საბრალოა! მე არავინ ვარ! ერთი ნარკომანი ნაბიჭვარი, რომელსაც არავინ ჰყავს. რატომ მეცოცხლა? რისთვის მეცოცხლა? მე აუცილებლად უნდა მოვმკვდარიყავი და მოვკვდებოდი კიდეც, თანაც ძალიან მალე...

მტირალი ლალი იქვე დავტოვე და მისი მუდარისდა მიუხედავად კიბეები ავირბინე. ოთახში ჩაკეტილი იქვე კარებში მივჯექი და ფიქრი დავიწყე:

დოზას ხომ არ გადავაცილო? მერე რა? საბრალო სიცოცხლე საბრალო სიკვდილით უნდა დამთავრდეს, ანდაც საერთოდ არ დაიწყოს. რამის დაწყებას საერთოდ აზრი აქვს, თუ მაინც უნდა დასრულდეს? ამ წყეულ სამყაროში, თუ კი ყველა მხრიდან გაგდებენ, თუ კი შენი ადგილი არსადაა, მაშინ რატომღა მოდიხარ? საერთოდ რატომ ცოცხლობ თუ მაინც უნდა მოკვდე? რატომ? რატომ? მაინც ხომ არავინ იდარდებს ჩემი სიკვდილის გამო, არა? არც არაფერი შეიცვლება, არაფერს არაფერი მოაკლდება, არც შეემატება. მხოლოდ, ერთით ნაკლები უბედური ივლის ამ დედამიწაზე. მე ჩემი თავი არ მენანება. რაც გასაკეთებელია უნდა გაკეთდეს! მაგრამ როგორ? რანაირად? რა ვქნა...

ზედმეტად ბევრი ფიქრისგან რეალობა და ღამის ლანდები ერთმანეთში ამრეოდნენ. ვგრძნობდი ჩემი ჩაშავებული, დამძიმებული ქუთუთოები ერთმანეთზე შესაწებებლად როგორ ილტვოდნენ, მაგრამ მათ ამის უფლებას არაფრით ვაძლევდი. როგორღაც დღევანდელ მომხდარზე აღარ უნდა მეფიქრა, მაგრამ ეს შეუძლებელი იყო. განუწყვეტლივ მახსენდებოდა ის უემოციო ღიმილი იმ არარაობის სახეზე და ოქროს კბილები, რომლებიც ავისმომასწავებლად ელავდნენ ამ ღიმილის მიღმა. მთელი ქვეყნის დასაცინი გავხდი. მაგრამ, მაინც არაფრით მესმოდა ჩემი ეს ქედმაღლობა და ამპარტავნობა საიდან მოდიოდა. შესაძლებელია რომ რაღაც თავისთავად, სრულიად არაფრისგან გაჩნდეს? კვამლიც კი ჩამქრალი ცეცხლიდან ამოდის. არც ერთი ლეგენდა არ შექმნილა დასაბამის გარეშე. ჩემი ეს თვისება კი, რომ ყოველთვის მაღლა უნდა ამეწია თავი, და დამემალა ჩემი ტკივილი და განცდები, უბრალოდ არ მესმოდა საიდან მოდიოდა. მერჩივნა რომ ბოლო დონის იდიოტი ვყოფილიყავი (და ვიყავი კიდეც), ვიდრე ვინმეს ჩემი ტკივილის წაკითხვა შეძლებოდა. მთელი ჩემი ბაშვობა ვიტანდი დამცირებასა და ტანჯვას. ბევრჯელ პურის ფულიც კი არ მქონია. უამრავჯერ გავუგდივარ წვიმაში თუ ქარში მამინაცვალს ქუჩაში რომ როგორღაც სახლში ორი კაპიკი შემომეტანა. მთელი ჩემი ბავშვობა ერთი დიდი წამება იყო... და მერე? მერე, უბრალოდ გავიზარდე და უფრო ნათლად დავიწყე ამ წეული სამყაროს შეცნობა. რაც უფრო ფართოდ ვახელდი თვალებს, მით უფრო მეტად მსურდა დამეხუჭა ისინი. აი მაშინ კი, როდესაც დადგა დღე და როგორც იქნა გავაცნობიერე რა ნაგავშიც ვცხოვრობდი, არ ვიცი... შეიძლება მომბეზრდა კიდეც! უაზრობა იყო ეს ყველაფერი! უაზრობა იყო თავის იმად მოჩვენება, რაც არ ვიყავი სინამდვილეში და პირდაპირი მნიშვნელობით ჩემი ცხოვრებიდან წამოვედი. აი ასე, ავდექი და წამოვედი. სწორედ მაგ დღეს გადავწყვიტე ყველაფერი მიმეტოვებინა. მიმეტოვებინა ჩემი სანაცნობო წრე და სერგი. კარგად მახსოვს ის დღე. მთელი თავისი განცდებითა და შეგრძნებებით მძაფრად მახსოვს. მარიც ხომ მაგ დღეს მივატოვე, მაგრამ მაშინ პატარები ვიყავით, ერთი სულელი ბავშვები. ის ურთიერთობა რაც დღეს გვაქვს, მაშინ ვერც გვექნებოდა. ალბათ ამიტომ არც გამჭირვებია მე და აი მასზე რა მოგახსენოთ. მოკლედ, მე მივატოვე ყველაფერი სკოლის გარდა და ეს დღევანდელ დღემდე ასე იყო. ახლა უკვე სკოლაც წარსულს ჩაბარდა! ამ ცხოვრებაში აღარავინ და აღარაფერი მაკავებდა. მხოლოდ გამბედაობაღა რჩებოდა და თუ ის მეყოფოდა, მალე მე თავად საკუთარ

სიცოცხლესაც მივატოვებდი. და ეს ყველაზე სწორი გადაწყვეტილება იქნებოდა, იმ გადაწყვეტილებათა შორის, რაც აქამდე მიმიღია! ყოველ შემთხვევაში, ვიმედოვნებდი.

ბოლოს, გაუაზრებლად გადმოვქექე ძველი თაროები, იმ მიზნით რომ რამე ნიშანს მივაგნებდი. ან იქნებ ჩემს ვერცხლის ორნამენტებიან დანას ვეძებდი, ან კიდევ მეგონა რომ რაღაც მაინც დამხვდებოდა სპეციალურად ასეთი დღეებისთვის გადამალული, მაგრამ ამის მაგივრად ჩემს დაძველებულ ლეპტოპს წავაწყდი, რომლის არსებობაც კი აღარ მახსოვდა. მოულოდნელად ერთმა მშვენიერმა იდეამ გამიელვა თავში და სასწრაფოდ შევაერთე კაბელზე, მერე კი ჩართვის ღილაკს დავაჭირე და დაველოდე. თითქმის გადასერილი მაჯიდან ჯერ ისევ მოწვეთავდნენ წითელი ცრემლები. ვცდილობდი ამისთვის ყურადღება არ მიმექცია და ლოდინს განვაგრძობდი, ასე უშედეგოდ. ეშმაკმა იცის ეგ კომპიუტერი როდინდელი იყო და ასე გაფაციცებით რას ველოდი არ ვიცი. თანაც ისე, თითქოს მთელი ჩემი სიცოცხლე ამაზე ყოფილიყო დამოკიდებული... თუმცა, ერთი წუთით! რა ირონიაა, ეს ხომ მართლაც ასე იყო!

უცებ კარებზე კაკუნის ხმა გაისმა. თავიდან შევხტი, მერე ისევ ყველაფერი გამახსენდა და გავისუსე.

-ნიკა...

გასაგებად დაიჩურჩულა ლალიმ კარს მიღმა. სუნთქვა შევიკავე. მინდოდა ეფიქრა რომ სახლიდან წავედი, ანდაც არ ვიცი, ნებისმიერი რამ. ყველაფერს გავაკეთებდი რომ მასთან საუბარი თავიდან ამერიდებინა, მაგრამ ზუსტად მაგ დროს ლეპტოპი ჩაირთო და რაღაც საშინელი გვრემის ხმა აღმოხდა. ჯანდაბა!

-ნიკა, ვიცი რომ მანდ ხარ, გამიღე კარი გთხოვ...

-შენი დანახვა არ მინდა! - მივახალე და "GOOGLE"-ში სწრაფად ავკრიფე:

"როგორ მოვიკლათ თავი?"

-ხელში სახვევები მიჭირავს, - განაგრძობდა ლალი, - გთხოვ, შემომიშვი და გადაგიხვევ. თან დღეს არაფერი გიჭამია, არ გინდა შენი საყვარელი ქათმის წვნიანი მოგიმზადო?

ლალი აშკარად დამცინოდა. მე ვდუმდი. რეზულტატიც დუმდა.

რა ხდება?

ინტერნეტი კომპიუტერში ხელახლა დავაკავშირე და ძიების რესტარტს დავაკლიკე.

-შენ თავს გეფიცები ყველაფერს გავაკეთებ, ოღონდ მითხარი რა გინდა...

შემომევედრა. ყველაზე მეტად ის მაღიზიანებდა, რომ მის ხმაში ოდნავი სინანულის შეგრძნებაც არ იყო გამორეული. მერე უნებურად გამახსენდა როგორ იერიშზე გადავიდა მეზობლებთან და როგორ მოუჯახუნა კარი ცხვირწინ მათ. კი მაგრამ, ასეთ დროს მათზე ფიქრობდა? და ჩემზე კვლავ არა? ჩემზე კვლავ არა...

მალე რეზულტატში რამდენიმე შედეგი ამოვარდა, თუმცა ნახევარზე მეტი საიტი რაღაც წარმოუდგენელ სისულელეებს წერდა. ლალი კი არაფრით ჩერდებოდა.

-მართლა ყველაფერს გააკეთებ რასაც გთხოვ? - გავძახე ჩახლეჩილი ხმით.

-კი, - მიპასუხა ეგრევე.

-სუყველაფერს?

-ხო, სუყველაფერს!

-კარგია, მაშინ მოშორდი ჩემს კარებს, თუ შეიძლება, - და მომეცი მშვიდად სიკვდილის უფლება. დავაბოლოვე ჩემთვის გაუგებრად. სიტყვა აღარ უთქვამს. რას იზამდა... რა უნდა ექნა... ჯერ ვიგრძენი როგორ მოცილდა კარებს, ცოტახანში კი გასასვლელი კარის მოჯახუნების ხმა გავიგონე. წამოვდექი და ფანჯრიდან გადავიხედე. ის მიდიოდა. რა თქმა უნდა! მას ხომ მხოლოდ წასვლა შეეძლო...

ლეპტოპთან დაბრუნებულმა, გულმოდგინედ ჩამოვუყევი საიტებს. ერთმა, ბოლოდან მეორემ ძალიან მიიპყრო ჩემი ყურადღება . ეს იყო:

WWW.KILLTHEHEAD9.COM

საიტი ზედმეტად რეალურად გამოიყურებოდა. ხელის კანკალით მივიტანე კურსორი, დავაჭირე და დაველოდე. ინტერნეტი ჯოჯოხეთურად ნელი იყო. სხეულში შიშის ჭექაქუხილი მივლიდა. მერე ნელ-ნელა გამოჩნდა კიდეც წითელი გრაფები და ბოლოს პატარა ფანჯარა გაიხსნა, რომელზეც ეწერა:

JOIN US

(if you join now, you can never go back to the real life again)*

ეს რას ნიშნავს?

ნებისმიერ წამს შეგიძლია უკან დაიხიო, - ვიმეორებდი უაზროდ, რადგან ეს რაღაც აშკარად არ ჰგავდა რომელიმე საშიშ ხუმრობას.

რა სისულელეა? რა ვერასდროს დავბრუნდები, ამათ ხომ არ ახველებთ... აი, ახლავე შემიძლია დავაკლიკო "join" - ს და მერე ისე მშვენივრად დავბრუნდებ...

"როგორც ჩანს უკან არ იხევ"

საზარელმა ხრიალა ხმამ გაწყვიტა ჩემი ფიქრები. ეს ხმა საიტიდან გაისმა, როგორც კი თანხმობა განვაცხადე.

"სიკვდილი გინდა? მაშინ შემოგვიერთდი"

ეს რაღაა?

უცებ ვერ მივხვდი საერთოდ რა უნდა გამეკეთებინა, ანდაც როგორ მეპასუხა ამ ავტომოპასუხზე, სანამ აქვე პატარა მიკროფონი არ გამოჩნდა თავისით. ინტერესმა მძლია. ნეტავ რა იყო ეს ყველაფერი? პაწია მიკროფონს დავაკლიკე და ვიკითხე:

-რა უნდა გავაკეთო?

-მარტივია, წესებს უნდა მიჰყვე.

-და რომელ წესებს?

-აქ ცხრა ეტაპია. ცხრავეs გავლის შემდგომ, შენ უკვე მზად იქნები სიკვდილისთვის. გინდა ჩვენი სექტის წევრი გახდე?

-მინდა...

ვთქვი ისე, რომ აზრზე ვერ მოვედი რა ხდებოდა. ანკეტის შევსება რომ დავიწყე, მაშინღა გავიაზრე რაც ჩავიდინე. მაინც რაში სჭირდებოდათ ჩემი პირადი ინფორმაცია ასე დაწვრილებით? რა სიდებილეა...

მისამართისა და პირადი ნომრის გრაფას გადავახტი და შესვლის ღილაკს დავაჭირე, მაგრამ გრაფები გაწითლდა და უკან დამაბრუნა. სერიოზულად? კარგი, რაც არის არის... რა უნდა იყოს, კივილის ნიღაბ ამოფარებული ნაჯახიანი კაცები ხომ არ მომაკითხავენ? სწრაფადვე შევავსე ყველა ველი და მალე აღმოვჩნდი საიტზე. რაღაც სრულიად განსხვავებულ სამყაროს ჰგავდა იქაურობა. თურმე საშიში არაფერი ყოფილა. ეს იყო თამაში, სადაც ორი მოწინააღმდეგე იარაღით ებრძოდა ერთმანეთს, მას შემდეგ რაც საკუთარ "სკინს" აირჩევდა. დანარჩენ მოთამაშეებს კი სურვილისამებრ შეეძლოთ დასწრებოდნენ თამაშს მაყურებლის ამპლუაში. აღვრთოვანებული დავრჩი ისე მომეწონა. მაგრამ მთავარი რაღაც ვერ გავიგე. ეს ხომ ჩვეულებრივი ონლაინ თამაში იყო, სადაც სნაიპერებით ომობდნენ, როგორც "Fortnite", ანდაც "PUBG". ეს ყველაფერი რა შუაშია სუიციდთან? ან კიდევ, აბა სად არის ის ცხრა ეტაპი, რომელზეც დასაწყისში საუბრობდა ვიღაც? ან საერთოდ რა საჭიროა ეს ეტაპები? ვერაფერი გავიგე, ერთიანად დავიბენი. თითქოს რეალური სამყარო მთლად გადამავიწყდა. მალე "ჩათის" ფანჯარაც გაიხსნა, სადაც მოთამაშეები ერთმანეთს სწერდნენ. თურმე ესეც შესაძლებელია... სწრაფადვე შევამოწმე წევრების რაოდენობა. სულ ჩემი ჩათვლით ცამეტნი ვყოფილვართ. როგორც ერთ-ერთი მოთამაშე წერდა:

"ჩვენ ახალი ‘ტავარი’ ვართო"

გამოდიოდა რომ ასეთი კიდევ უამრავი იყო...

"რა საჭიროა ეს ეტაპები, უბრალოდ ვენებს ვერ გადაიჭრით და ისე ვერ დაასრულებთ?"

ავკრიფე ჩათში და უნებურად გამახსენდა ჩემი საცოდავი მცდელობა სულ რაღაც ორი საათის წინ.

"რას ამბობ? მთელი სიამოვმება ხომ ამ წესებშია ????"

მიპასუხა ვიღაცამ.

"კი მაგრამ, რისი სიამოვნება?"

ვერ მივხვდი...

"სიკვდილის!"

რას ამბობს? სიკვდილის სიამოვნება? მე ვიცი სიამოვნება ჭამის, ძილის, სექსის... მაგრამ სიკვდილის? რა სიამოვნება უნდა იყოს სიკვდილში? თუმცა რატომ არა? მე ვცხოვრობ სამყაროში, სადაც არ არსებობს არაფერი კარგი. ყველა ის ემოცია, რომელიც უნდა გაბედნიერებდეს, უკუპროპორციულადაა მომართული ჩემსკენ. მე არ უნდა ვცოცხლობდე, ჩემი ადგილი აქ ნამდვილად არაა…

***

კიდევ ერთი ღერი ჩავაქრე და აბაზანაში შევედი. "YouTube"-ში ჩემი საყვარელი სიმღერა - "Nothing to lose" ჩავრთე და იქვე კუთხეში მოვიკუნტე. გარეთ წვიმდა. ახლა უკვე ვიცოდი რომ არა მხოლოდ თითქოს და პირველად, არამედ ნამდვილად ბოლოჯერ ვხვდებოდი გაზაფხულის დადგომას. ვეცადე გონება მთლიანად ამომერეცხა. თუმცა მე მეშინოდა. ამას

კი საერთოდ ვერაფერს ვუხერხებდი. მეშინოდა გათენების. ეგ კი არა, სიცოცხლისაც მეშინოდა... ვერც იმ ღამეს დავიძინე. ვიფიტებოდი. კუჭი მიხმებოდა. ჩანთაში ქექვა დავიწყე. ბოლოს ერთ გამხმარ ფუნთუშას მივაგენი. ეგრევე ყბაში გავიგდე და ხმამაღლა სიცილი ავტეხე. მე რომ მართლა სიკვდილი მინდოდეს, ჭამას დავიწყებდი - მეთქი? თუმცა, უკვე ისე მქონდა ეს სურვილი გამჯდარი სულში რომ უკან დახევას აზრი არ ჰქონდა. ჯანდაბა, არც მინდოდა უკან დახევა. ამ სამყაროში მე არაფერი მესაქმებოდა!

მეორე დღეს ოთახიდან კვლავ არ გავსულვარ. მთელი დღე ვთამაშობდი საიტზე. სხვა არაფერი ხდებოდა. ექვსი ხელი მოვიგე კიდეც. ერთი სული მქონდა ცხრავე ეტაპი რაც შეიძლებოდა მალე გასულიყო. საერთოდ რა მნიშვნელობა ჰქონდა ამ ყველაფერს? ჯერ ვერაფერს ვხვდებოდი. ჭაობში ვიხრჩობოდი, ისე რომ იქიდან ამოსვლა არც მსურდა. პირიქით, თითქოს უფრო მეტად მსურდა ჩავფალიყავი. უარესი მინდოდა ჩემს თავს მომხდარიყო. ბედნიერებისა და სიცოცხლის ღირსი არ ვიყავი. მე, ისევე როგორც იმ საუზმეს, ცოდვის სუნი ამდიოდა!

საღამოს მარიმ დამირეკა და შეხვედრა მთხოვა. სხვა საქმე მაინც არაფერი მქონდა, ამიტომ სადღაც რვა საათისკენ ჩვენს ადგილას მივედი. ჩემდა გასაოცრად მთელი კლასი იქ დამხვდა. მემგონი ასე ძალიან ცხოვრებაში პირველად გაუხარდათ ჩემი დანახვა და მეგონა რომ ჩემი სკოლიდან გაძევების ამბავი გაიგეს, მაგრამ არც ერთ სიტყვა რომ არ დასცდათ ამის შესახებ, დავვეჭვდი. მარიმ ამოსუნთქვაც არ მაცადა, ეგრევე კოცნა დამიწყო. არ გავაჩერე.

-ჰეეე, ძმაო, აქვე ნინის ფართი აქვს. მამამ მიატოვა, დედა იტალიაში გაემგზავრა და ზეიმობს. უნდა მარტოობით დატკბეს. მოკლედ ხომ ხვდები...

მხარზე ხელი გამკრა სერგიმ. აი თურმე რა ხდებოდა. ჩემი გარიცხვის ამბავი არც არაფერ შუაში იყო. მეც აღარ მინდოდა ჩამეშხამებინა მათთვის განწყობა და არაფერი ვთქვი, ისედაც დიდად არ მეხალისებოდა ამის გამოცხადება.

-ვინ ნინის? - ვკითხე სერგის.

-ჩემ ნინის შე ჩემა. მაგარი იქნება, თან არავინ გამოგვყრის. წამო რა...

-აუ, სერგი მაგრად მეძინება.

ვიცრუე.

-ეე, კაი რა, წამო გავერთობით.

-და თუ გართობა არ მინდა?

-მაშინ წამოდი და მოიწყინე!

-არ მომეშვები ხო?

-შენი აზრით?

-კაი, კაი ხო, მაინც არაფერი დამაკლდება. აბა, წავედით!

ყიჟინა დასცხეს. რა სჭირდათ მაგ ღამეს? ძალიან, ძალიან დიდი ხანი იყო გასული მას შემდეგ რაც ასე შევიკრიბეთ, მაგრამ თითქმის არაფერი შეცვლილა. უბრალოდ ჩვენ გავიზარდეთ ცოტათი...

მარი ისევ კუდში ამეკიდა. მემგონი უკვე დრო იყო ამ არაფრისმომცემი (რაღაც გაგებით) ურთიერთობისთვისაც საბოლოოდ დამესვა წერტილი. თორემ მე რომ ეს არ მექნა, მარი სულ არ იზამდა.

-მარი, იცი რა?

-რა იყო 'ბეიბ'?

-რა და არანაირი 'ბეიბ'!

-აბა რა გირჩევნია, პატარავ?

-სულელო, ეგ ხო ერთიდა იგივეა...

-ვიცი...

-მოკლედ, მინდა შეგახსენო რომ მე და შენ ძალიან დიდი ხნის წინ დავშორდით. იმდენად დიდი ხნის წინ, რომ აღარც კი მახსოვს, შენს მერე კი ათი შენნაირი მყავდა. ამით შენი გულის ტკენა კი არა, იმის თქმა მინდა რომ ეს ურთიერთობები... როგორ გითხრა, არაა საჩემო და საერთოდ არაფერია საჩემო ამიტომ... ჩემგან თავი შორს დაიჭირე, რაც შეიძლება შორს!

-შე გამოთაყვანებულო, დილით ეგრე არ ჭიკჭიკებდი ბიჭების ტუალეტში?

-მარიამ, მაშინ დაბოლილი ვიყავი.

-მაგრამ...

-არანაირი მაგრამ, მარი!

-როცა გჭირდები მაშინ კარგი ვარ ხო?

-ოდესმე შენთვის რამე დამიძალებია?

-იცი რა? შენი დედაც!

ჩამეცინა. რა ირონიაა, მეთქი გავიფიქრე და სერგის დავუძახე. ისედაც ხომ არ ვაპირებდი იმ საგიჟეთში დიდხანს გაჩერებას. სასმელი, გოგოები, მოსაწევი... მოსაწევი, გოგოები, სასმელი... მერე?! კარგით რა! უაზრობაა, არაფერს აქვს აზრი. არც იმ გამხმარი ქადის ჭამას და საერთოდ არც სუნთქვას… არაფერს!

მეგი

პირსახოცი შემოვიკარი და დღევანდელი დღისთვის ტანსაცმლის არჩევა დავიწყე. რამე დიდებული და თან უბრალო უნდა მომექქა ჩემს აჭრელებულ გარდერობში. რამე მბზინავი და თან სადა. რამე სერიოზული და თან არც ჩემს ასაკს გადაცილებული. დღეს შეუდარებელი უნდა ვყოფილიყავი, რადგან ეს დღე სხვებს არ ჰგავდა, დღეს დიდი დღე იყო! ამას მთელი სამი კვირა ველოდი. მას შემდეგ რაც გავიგე რომ ჩემს სკოლაში თხუთმეტიდან თვრამეტ წლამდე ასაკის ბავშვებისთვის შესარჩევი ტური იმართებოდა პირველ არხზე წამყვანი თინეიჯერების გადაცემისთვის, მას მერე ნორმალურად აღარც მეძინა, რადგან ეკრანებზე გამოჩენა ბავშვობიდან მოყოლებული ჩემი ოცნება იყო. სტუდია, კამერები, ის გადაღების წინა ფუსფუსი, ქაღალდებისა თუ ფუნჯების ჰაერში ფრიალი… ეს ნამდვილად ჩემი სამყაროა! ლადომაც ზუსტად იცის რომ ჟურნალისტობა საჩემო სფეროა. მე ხომ ბავშვობიდან შემეძლო დილიდან საღამომდე გაუთავებლად საუბარი მრავალ სისულეებზე, ისე რომ ოდნავადაც არ მეგრძნო დაღლა. თუმცა, ლადოს თქმით ჩემი ეს სისულელეები (როგორც ამას თავად ვუწოდებ), სხვა ბევრის "სიბრძნეებს" სჯობია, მაგრამ მე ამის რა თქმა უნდა არ მჯერა. ხანდახან იმასაც ვფიქრობ რომ ლადო ჩემზე ზედმეტად დიდ იმედებს ამყარებს... მაგრამ ამ არარეალური სურვილისდა მიუხედავად, რამდენად გასაკვირიც არ უნდა იყოს მე სხვა ჩემხელა გოგოებივით სოციალურ ქსელებს დიდად ვერ ვემეგობრები. არა, რა თქმა უნდა მეც მაქვს "Instagram", "Twitter" და "Tumblr", არც მთლად მასეთი

ჩამორჩენილი ვარ, თუმცა კონტენტის არჩევა მიჭირს. მგონია რომ ისევ საკუთარი თავის ძიებაში ვარ. მგონია რომ რაღაც საკმარისი არ ვარ, არაფრისთვის და არავისთვის, მაგრამ ეს ალბათ ჩვიდმეტი წლის გოგოსთვის სრულებით ჩვეულებრივი ამბავია.

მეც მაგარი ვარ რა, წინა დღეს უნდა ამერჩია ტანსაცმელი! არადა როგორც წესი ასეთი დაუდევრობა არასოდეს მჩვევია. აკი უკვე ვთქვი, ეს დღე სხვებს არ ჰგავდა მეთქი. ბოლოს ძლივს შევარჩიე კლასიკური, ღია ცისფერი შარვალი და იგივე ფერის პიჯაკი. შიგნიდან თეთრი უბრალო მოკლე მაისური ჩავიცვი, თმები გავიშრე, როგორც ყოველთვის კუდათ შევიკარი და სასაუზმოდ კიბეები ჩავირბინე.

-დილამშვიდობისა, მა.

მივესალმე მამას და სამზარეულოში უგემრიელესი სურნელი შევიყნოსე. მამაჩემი შეფ-მზარეულია, ხოდა შესაბამისად მთელი სამზარეულოს საქმეებიც მის კისერზეა. შეუდარებლად ამზადებს ნაირ-ნაირ ქართულ თუ უცხოურ კერძებს და მისი რესტორანი "პურ-მარილის მამული" საქართველოში ძალზედ განთქმულია. ახლა აპირებს თავისი სახელი საქართველოს ფარგლებს გარეთ გაიტანოს, მე კი მისი მთავარი გულშემატკივარი ვარ. მამაჩემით ძალიან ვვამაყობ. მე დედისერთა ვარ. უფროსწორად, მამის უფრო. მხოლოდ მე და მამა, მამა და მე! მეტი არავინ. ეს ყოველთვის ასე იყო და ასე იქნება. დედამიწა მხოლოდ ჩვენ ორისთვის ტრიალებდა და კვლავაც იტრიალებს… ის ხშირად მიმეორებს რომ დედას გაჭრილი ვაშლივით ვგავარ, მასზე ბევრს მიყვება. სამყაროში ერთი მეგი წამართვა, თუმცა მეორე მომივლინაო. არაფერს არ ვნანობ და ამ ქვეყნად უბედნიერესი კაცი ვარო. ასევე დღემდე ბევრს მიყვება მათ სასაცილო ისტორიებზე და ამით არ იღლება. ზოგჯერ ერთად ბევრს ვიცინით, მაგრამ ისეთი დღეებიც არსებობს ჩვენს სამყაროში, ჩვენი მუდამ განათებული სიკეთით დანამული ფანჯრები ცის ნიაღვარით რომ იფარება და მერე იქიდან მწარე ცრემლებად ჩამოედინება. მოგონებები ყოველთვის ასეთი სასიამოვნო შეგრძნებების მომგვრელი როდია… მათი ქორწილის დღეს, დედას დაბადების დღეზე და ასევე გარდაცვალების დღეს, მამა უჩვეულოდ ჩუმია და უსიცოცხლო. მის სიყვარულით ანთებულ თვალებში ყოველთვის სიცივე და გლოვა ისადგურებს ხოლმე. მე ვფიქრობ რომ გლოვა კარგია. კარგია როდესაც ადამიანი რომელიც გარდაიცვალა, დღემდე შენს მწარე მონატრებით აძგერებულ გულში ცხოვრობს და რაც არ უნდა მოხდეს და რამდენი დროც არ უნდა გავიდეს, იქიდან არ გაქრება.

-ვაა, მეგის გაუმარჯოს, აბა ერთი შემოგხედო, დღეს რა ლამაზი ხარ? უნდა ვიეჭვიანო?

ლადომ შეფის ქუდი თავიდან ჩამოიხსნა და მოჭუტული თვალებით სასაცილოდ გადმომხედა. ლოყები ამდენი გაზქურასთან ტრიალისგან საყვარლად ასწითლებოდა. თითქოს ახლაღა შევამჩნიე როგორი ლამაზია მამაჩემი. უცნაურად ლამაზი… ჩემი აზრით ასეთი სილამაზე არ უნდა დაიკარგოს. თუ კი მართლაც გავხდებოდი ჟურნალისტი ერთ დღეს, ამ ლამაზ მწვანე თვალებს, ხშირ შავ თმებსა და სწორ უზადო მკაცრ ნაკვთებს (რომლებიც მხოლოდ ჩემთვის ლბებოდნენ და თბებოდნენ ხოლმე) აუცილებლად გავაშუქებდი. მოვყვებოდი რომ ლადო მამის ეტალონია, რომ შესანიშნავად ამზადებს პიცას, ცეზარს, აჭარულ ხაჭაპურს, ხინკალს, ლაზანიას, ბლინებსა და სხვა გემრიელობებს… და აუცილებლად ვიტყოდი რომ საშინელი გულმავიწყი ვინმეა, საშინელი!

-დღეს ხო სამშაბათია მა!

ვერ დავიჯერე რომ ლადოს ეს დღე მხედველობიდან გამორჩა. დღე რომელზეც სამი ღამე ზედიზედ ვუყვებოდი. დღე რომლის გამოც ნორმალურად ძილიც აღარ შემეძლო.

-მერე?

-მამაააა...

ისე შევუბღვირე რომ უნებურად პატარა ბავშვივით გადმობურცა ტუჩები და ისე დაიჭყანა, თითქოს სადაც იყო ცრემლები წამოსკდებოდა. მინდოდა თუ არა ეს, მაინც ყურებამდე გამეკრიჭა. მერე უცებ თავში ხელი წამოირტყა და ისე შეჰყვირა, შევხტი და ლამის სკამიდან პირდაპირ თავით გადმოვეშვი.

-ვაიმე, ეს როგორ დამავიწყდა… მეგი, მალე ისაუზმე, მალე… დღეს შენი დღეა!

-ჩემი დღე როდის არ არის რო... აბა რა გვაქვს ამ დილას? - ვკითხე, ვეცადე ჩემი გულუბრყვილო წყენა დამემალა და მოუთმენლად დაველოდე მორთმეულ საუზმეს, რომელიც გამოსეირნებულ თითოეულ მოლეკულაში სასიამოვნო სურნელის ნაკვალევს ტოვებდა. ახლა ჩემი იმ ჰაერსაც კი შურდა, რომელსაც ვსუნთქავდი.

-რა გვაქვს და შენი საყვარელი ფრანგული ტოსტი! და რა თქმა უნდა ბოსტნეულის სალათა. მეც არ ვთქვი დღეს რისთვის ვამზადებ თქო… არადა თითქოს მახსოვდა, რომ რაღაცა გამორჩეული დღე იყო...

-თითქოს?

-კარგი რა მეგ, ნუ მებუსხები...

-ისეთი სუნები დამიტრიალე, როგორ უნდა გაგებუსხო?

-ხოდა ჭამე, ტვინი გაგეხსნება და არც დასმულ შეკითხვებზე დაიბნევი, აჰა...

-ოჰოო, რა მაგრად გამოიყურება… მარა შეკითხვებს და დაბნევას რაც შეეხება, მემგონი თავიდანვე არ უნდა ჩავწერილიყავი, ისიც კი არ ვიცი საერთოდ რას მკითხავენ, ან რაზე გამესაუბრებიან. თანაც, მე ვინ ვარ სადაც… სხვა სკოლებიდანაც კი...

-აბა ახლა ჩუ პატარა ქალბატონო! არ გაბედო და დღეს მაინც აღარ გაასწორო შენი თავი მიწასთან. მე მჯერა შენი! რა იყო? ასწიე ეგ ლამაზი ნიკაპი, აი ეგრე… რაც არ უნდა მოხდეს თავი მყარად გეჭიროს. შენ ლადო და მეგი ქათამაძეების შვილი ხარ! მარცხს არ შეუშინდე და არაფერმა დაგაფრთხოს. რაც არ უნდა მოხდეს უკან არ დაიხიო, გესმის? უკვე დროა შენი თავის ფასი ისწავლო. გასაგებია? კარგია... ახლა მიდი აბა ჰე, შეუბერე სანამ ცხელია, თორე რომ გაცივდება გინდა ეგ გიჭამია და გინდა ცარიელი ჩალა გამოგივლია პირში.

მამას სიტყვებმა უზარმაზარი სტიმული მომცა, ისევ… ამ დღემდე მას ჩემი ყოველთვის სჯეროდა. ეჭვიც არ მეპარებოდა რომ ამის შემდეგაც და საერთოდ ყოველთვის ასე იქნებოდა. საუზმის შემდეგ მამამ სკოლამდე თავისი მანქანით მიმაცილა, გადასვლისას სახარჯო ფული მომცა და შუბლზე მაკოცა. ეს იყო ყოველი დილის ცერემონია, რომელიც უკვე გაზეპირებული მქონდა, მაგრამ ის მაინც ყოველთვის მიმეორებდა, თან ისეთი გულმოდგინებით, თითქოს ცხოვრებაში პირველად წარმოთქვამდა ამ სიტყვებს. მაოცებდა ის ფაქტი თუ როგორ ან რატომ არ იღლებოდა ამით.

-მეგ, სკოლიდან პირდაპირ სახლში მოდიხარ, უცხოებს არ ელაპარაკები… ხო, ვიტამინს დროულად იღებ...

-კაი, - ხმადაბლა ვუპასუხე და თავი ჩავქინდრე.

-რა გჭირს, ხომ კარგად ხარ?

-მამაა...

-კარგი ხო, გაკვეთილებზე არ იგვიანებ, ხილს აუცილებლად...

-ხილს აუცილებლად ვჭამ, რომელიც ჩემს ჩანთაშია, - ჩანთიდან კონტეინერი ამოვიღე და დავანახე, - ხელების დაბანა არ მავიწყდება. ვიცი, ვიცი მამა და მეც მიყვარხარ.

ვუთხარი და პასუხის გაცემა აღარ დავაცადე, მანქანიდან გადმოვხტი, რადგან ჩემი ტელეფონი უკვე გაწკეპილ ამოტრიალებულ ექვსიანს აჩვენებდა. მეგონა გული საგულედან ამომივარდებოდა. კინწისკვრით გავვარდი სკოლისკენ. ისე მაინც არ ვიცი როგორ ახერხებს და ასეთი საუკეთესო ადამიანი და მამა როგორაა ერთდროულად ლადო. რაც არ უნდა

მოხდეს, ის მაინც პოზიტიურ აზრზე რჩება, რა ცუდადაც არ უნდა წავიდეს საქმე, მას მაინც სულ აქვს იმედები. არასდროს მაჩვენებს როცა მოწყენილია. ყოველთვის მისრულებს ყველა თხოვნას. თავისუფლად შემიძლია მივანიჭო მას მთელ მსოფლიოში საუკეთესო მამის პირველი ადგილი და ამ ფაქტის გამო მე ერთ-ერთი ყველაზე იღბლიანი ბავშვი ვარ მთელს პლამეტაზე.

ფეხების კანკალით ავუყევი სართულის კიბეებს, თან ჩემს თავს ვუმეორებდი; მეგი შენ ეს შეგიძლია, შენ ეს შეგიძლია… ბავშვობიდან ამაზე ოცნებობდი, ეს შენი შანსია, რომელიც ღმერთმა ოქროს ლანგრით მოგართვა. უბრალოდ ისღა დაგრჩენია გაატოკო ხელი და დაეუფლო მას!

ჩემი უთავბოლო ნერვიულობის გამო, დავაგვიანე და მე ვიცოდი რომ ასე იქნებოდა. მესამე სართული ისეთი გადაჭედილი დამხვდა, როგორც არასდროს. მართალია სამშაბათი იყო, მაგრამ ამ ფაქტის გამო იმ დღეს სადილაო სწავლა გააუქმეს და შუადღის ცვლაში გადაიტანეს. ჩემი სახელი დამსწრეს შევახსენე და კარებთან რიგი დავიკავე. სანამ ჩემი რიგი მოვიდა, იქამდე ბევრი ატირებული სახე დავინახე და მეც ჩემი სადარდებელი სულ გადამავიწყდა. ძალიან მინდოდა ამ ბავშვებს დავხმარებოდი, მაგრამ ისინი მტრებად უფრო აღმიქვამდნენ, ვიდრე მოყვარედ. რაღაცნაირად ეს მართლაც ასე იყო, მაგრამ არა ჩემთვის. მე არასდროს ვისურვებდი ვინმეს მეტოქეობას თუ მეცოდინებოდა რომ ამ ბრძოლაში ის დაიტანჯებოდა. სხვის ტანჯვას ვერ ვიტანდი. ეს დამწუხრებული სახეები კი სწორედ ტანჯვისგან იწურებოდნენ. თურმე რამდენი ჩემნაირი ყოფილა, რამდენ ჩემნაირს სურდა დაეპყრო ტელევიზია, მაგრამ ამ ცხოვრებაში ხომ არაფერი არაა ადვილი. თავისთავად არაფერი არ მოდის. თუ რამე მართლა გულით გინდა, ნება უნდა იბოძო და იბრძოლო ამისათვის, რამდენჯერაც დაეცემი იმდენჯერვე შენით უნდა წამოდგე და გზა გააგრძელო, თორემ თუ უმოქმედოდ იჯექი და შენს ბედს ელოდე, ის თავისით არ მოვა, არც კოშკის ძირიდან ამოგძახებს თმები ჩამომიყარე, შენს სანახავად უნდა ამოვცოცდეო და არც საშხაპეზე მოგიკაკუნებს, ახლა თუ დაიძინებ სიზმარად მოვალ და მთელს შენს ცხოვრებას შევცვლიო!

-მეგი ქათამაძე!

გავიგონე ოთახიდან უცებ და მეც ეგრევე ამიკანკალდა მუხლები და პირი გამეფიტა. ნელი ნაბიჯებით გავემართე შესარჩევი ოთახისკენ და დავინახე რომ ოთხი წყვილი თვალი ერთნაირად მომშტერებოდა. მოგვიანებით როგორც გამეცვნენ - ერთი პროდიუსერი, - ბატონი ზურაბ ბოლქვაძე, გადაცემის ავტორი ქალბატონი ნინა ლუარსაბიშვილი, ტანსაცმლის დიზაინერი "მაჩო", როგორც თავად უწოდებდა თავს. საყვარელი ტრანსი იყო… დაბოლოს, ფსიქოლოგი, - ლევან ჭუმბურია, რომელიც სავარაუდოდ ჩამჭრელ კითხვებს დასვამდა. ალბათ ვისიც უნდა შემშინებოდა ის იყო ზუსტად. ერთი მოზრდილი ნერწყვი გადავყლაპე და შევეცადე აკანკალებული მუხლები როგორღაც შემეკავებინა. მეც ხომ უნდა წარმედგინა ჩემი თავი.

-გამარჯობათ, მე მეგი ქათამაძე ვარ, ჩვიდმეტი წლის, ამ სკოლის მოსწავლე. ვცხოვრობ მამასთან ერთად, ხო კიდევ მეთერთმეტე კლასში ვარ და სიმღერების მოსმენა და კითხვა მიყვარს, - ხმა მუხლებზე მეტად მიკანკალებდა თურმე. უცებ ადგილზე მივიყინე მეც და ისინიც. სიტყვა გამიწყდა, აღარ ვიცოდი რა მეთქვა. საშინლად დავიძაბე. ჰაერიც კი დაიძაბა, სანამ ოთხივე ასე მომშტერებოდნენ. თავი უხერხულად ვიგრძენი. ისეთი სახეები ჰქონდათ, თითქოს რაღაც საშინელ საოცრებას უმზერდნენ და უსმენდნენ. დიდხანს ასე ვეღარ გავძლებდი. უკვე დავაპირე იქიდან მეც სხვა დანარჩენებივით ატირებული

გამოვვარდნილიყავი და კარისკენ ნაბიჯი გადავდგი კიდეც, მაგრამ უეცრად ბატონმა ლევანმა დამიძახა.

-მეგი ხო?

-დიახ, - ამოვიკნავლე. ვაიმე!

-მომიახლოვდი, - მთხოვა ისე რომ მკაცრი გამომეტყველება ოდნავადაც არ შეუცვლია, ისევე როგორც დანარჩენებს. ძლივს გავბედე ნაბიჯის გადადგმა. ასეც ვიცოდი! ხომ ვთქვი რომ სწორედ ეგ ფსიქოლოგი გამითხრიდა სამარეს! ასე ძალიან არასოდეს შემშინებია. ბატონი ლევანი წყლის ბოთლს გადასწვდა, გახსნა და ჭიქაში სწრაფად ჩამოასხა.

-იმედია არ აპირებთ რომ გადამასხათ, - წამომცდა უცებ და ზუსტად წამ ნახევარში, რაც ჩემი ნათქვამის რეალობა გავითავისე ადგილზე გავიწურე და რამე უფრო საშინელს დაველოდე, ვიდრე თავზე ცივი წყლის გადასხმაა. მერჩივნა მიწა გამსკდომოდა იმ მომენტში. ეს რაში გავყავი თავი, რა მინდოდა? მოულოდნელად ოთხივე მათგანს ხმამაღლა სიცილი აუტყდათ. მე კიდევ ისევ ისე შევხტი როგორც ამ დილით ლადოს წამოძახილზე. თურმე სიცილიც შესძლებიათ. მე კიდევ მეგონა ნამდვილი რობოტები იყვნენ. როდესაც ძლივს სული მოითქვეს ლევანმა ჭიქა წყალი გამომიწოდა:

-ამდენი ნერვიულობა ცუდია, წყალი დალიე და ერთ რამეზე კონცენტრირდი. იპოვე შენში ის, რასაც ჩაეჭიდები და ყველაფერი კარგად იქნება.

გავვოცდი.

-ისე, საინტერესო ვინმე კი ჩანს, - გამოთქვა აზრი ზურაბმაც. მე ჭიქა ხელის კანკალით ჯერ ისევ აღტაცებულმა გამოვართვი და ერთი დიდი ყლუპი მოვსვი.

-კი გეთანხმები, საკმაოდ დახვეწილია, - დაამატა მაჩომ, დიდი ლეოპარდის ქურქი მოესხა. ჩემზე გრძელ ქერა წამწამებს აფახუნებდა და საინტერესოდ მაკვირდებოდა, - ეგ პიჯაკი შენ შეარჩიე? აბა ერთი დატრიალდი?

-მე… დიახ, სპეციალურად დღევანდელი დღისთვის... - სანამ ერთი ბრუნი გავაკეთე, კიდევ ერთი ყლუპი ცივი წყალი მოვსვი, - მაგრამ, ძალიან ბევრიც არ მიფიქრია.

-უბრალო და თან ბრალიანი, არა?

და კიდევ ერთხელ გავვოგნდი.

-როგორ? როგორ მიხვდით?

-მარტივია ძვირფასო, ფაქტია რომ ჩვენზე შთაბეჭდილების მოხდენა გინდოდა.

-და გამოუვიდა კიდეც, - გამიღიმა ქალბატონმა ნინამ.

-კი, უნებლიედ გამოუვიდა, - თქვა ზურაბმა.

-უბრალოდ ცოტა თვითშეფასება გაქვს ასამაღლებელი, - მომიბრუნდა ფსიქოლოგი.

-კარგით, მოდი დავიწყოთ გასაუბრება, - წარმოთქვა ნინამ და მოკლედ შეჭრილი წითლად შეღებილი თმა ყურებზე გადაიწია. მომეწონა ნინა. თვითონაც არ იქნებოდა ჩემზე ძალიან დიდი. თანაც სხვაგვარად რატომ შექმნიდა თინეიჯერების გადაცემას?

ჭიქა თავის ადგილას დავაბრუნე და მოკრძალებულად გავიღიმე. მერე თავადაც დავბრუნდი ჩემს ადგილას. უცნაური იყო, მუხლები აღარ მიკანკალებდა. ვერც კი მივხვდი, როდის ან როგორ გამაშინაურეს ასე.

პირველი შეკითხვა ქალბატონი ნინასი აღმოჩნდა. გამიხარდა.

-აბა მეგი, პირველ რიგში, რატომ გინდა ამ კონკურსში გამარჯვება? რა მონაცემები გაქვს გადაცემის მართვის? მოგეხსენება რომ ეს ადვილი საქმე არაა, ზოგჯერ შეიძლება ღამეები მოგიწიოს სტუდიაში ყოფნა, მზად უნდა იყო იმისთვისაც, რომ ქუჩაში შეუმჩნევლად ვეღარასოდეს გაივლი.

-ხო, პურის საყიდლადაც ველარ ჩახვალ სახლის ჩუსტებით თმა გაჩეჩილი, კიდევ შენზე დიზაინერები იზრუნებენ, კონკრეტულად მე, - თითქოს თავი შეიქო მაჩომ, მე კი გულიანად გამეცინა. როცა ერთიანად გაისუსნენ და ჩემს პასუხს დაელოდნენ მივხვდი რომ ჩემი რიგი იყო. თვალები დავხუჭე. გამახსენდა წეღანდელი ლევანის სიტყვები: "ერთ რამეზე კონცენტრირდი. იპოვე შენში ის, რასაც ჩაეჭიდები და ყველაფერი კარგად იქნება". გონებაში დედას მოვუხმე. წარმოვიდგინე რომ ისიც იქ იყო, ჟიურის შორის ანდაც იმ კარს მიღმა, რა მნიშვნელობა აქვს. მთავარია ჩემთან იყო, ჩემს გვერდით. თვალები რომ გავახილე გავიღიმე და საუბარი დავიწყე:

-მიზეზი რატმაც ჟურნალისტობა მსურს? მარტივია, ლაპარაკი მიყვარს, ძალიან ბევრი ლაპარაკი. შემიძლია რომ ჩავირთო და მერე გაფუჭებული რადიოსავით აღარ გამოვირთო.

-და ძირითადად რაზე საუბრობ ხოლმე?

-არ ვიცი… როგორც წესი ეს ჩამონათვალი არასდროს სრულდება. მაგალითად მე შემიძლია მსოფლიოს ამბებზე, პოლიტიკაზე, დიზაინზე, ხელოვნებაზე, რენესანსზე, ეკოლოგიაზე, არჩევნებზე, გლობალურ დათბობაზე ვისაუბრო… ხო, ასევე კლიმატის ცვლილებაზე და შესაბამისად გრეტა ტუმბერგზე, საოცრად მისაბაძ თინეიჯერზე, ასევე ისტორიაზე, ჰუმანიზმის დამკვიდრებაზე, გიორგი მეხუთე ბრწყინვალეზე ანდაც თამარ მეფეზე... სხვადასხვა კულტურაზე და რელიგიაზე, მაგალითად პროტესტანტიზმზე და მის ჩამოყალიბებაზე, მარტინ ლუთერზე... ანდაც ყველაზე მარტივი, ფსიქოლოგიაზე მოვყვე გაუჩერებლად, ისე რომ არ დავიღალო და პირიქით, ამისგან სიამოვნებაც კი მივიღო.

-ერთი წუთით, შენ თქვი რომ ამათგან რაც ჩამოთვალე ფსიქოლოგია ყველაზე მარტივია? - გამაწყვეტინა ბატონმა ფსიქლოგმა. მომეჩვენა რომ ცოტათი გავანაწყენე.

-არა, რა თქმა უნდა არა, - გამოვასწორე უცებ, - რეალურად ადამიანის ფსიქოლოგია ყველაზე სათუთი რამაა და ამავდროულად ყველაზე ძნელი ამოსაცნობიც ამქვეყნად. მე უბრალოდ ვიგულისხმე რომ ძალიან მომწონს როცა ვინმეს ვეხმარები და მის ფსიქოლოგიაში ვაბიჯებ. ამაზე ინტერნეტში ბევრს ვკითხულობ. ამიტომაც ვთქვი რომ ჩემთვის ყველაზე ადვილია.

-გასაგებია, განაგრძე თუ შეიძლება.

-მამა ყოველთვის მეუბნება რომ ჩემი სისულელეები ბევრის სიბრძნეებს სჯობია, მაგრამ ის ხომ მამაა, რა თქმა უნდა ყველა ვარიანტში ასე იტყვის. სინამდვილეში ამ კონკურსში გამარჯვებაც მის გამო მინდა. მამაჩემის გამო. მინდა გული გავუხარო, რადგან მას სურს ჩემი თავის ფასი ვისწავლო. ამ დილასაც იმას ვეუბნებოდი რომ ამდენ კონკურენტში მე შანსიც არ მქონდა და წეღან ამ დებულების სიმართლე კინაღამ დავამტკიცე კიდეც. საქმე ის არის რომ ძალიან უტაქტო ვარ. ერთადერთი ვისაც ჩემი მართლა სჯერა მამაჩემია. ის შეფ მზარეულია. რესტორანი "პურ-მარილის მამული" ალბათ გეცოდინებათ, მისია.

-რა თქმა უნდა, გამიგია. ძალიან აქებენ, ერთხელ არ დაგვპატიჟებ? - კიდევ ერთხელ გამიღიმა ნინამ ისე მოხდენილად რომ უმალ ძალიან მომინდა მისთვის მიმებაძა.

-რა თქმა უნდა, ნებისმიერ დროს...

-უტაქტო კი არა, მაგარი ხარ! - მომაძახა მაჩომ. როცა მე ამირჩევდნენ, აუცილებლად დავმეგობრდებოდით. და გარემოები ისე უსწრაფესად შეიცვალა, რომ უკვე "თუ"-ს მაგივრად "როცა"-ს ვამბობდი. ეს რამხელა ამბიციებია?

-და დედაზე რას გვეტყვი, ისიც მამასავით გიჭერს მხარს? - ჩამეკითხა ზურაბი. ამ კითხვას არ ველოდი. გაუაზრებლად დავხარე თავი და პიჯაკის ბოლოს მოუსვენრად წვალება დავუწყე.

-ხომ კარგად ხარ?

-მე… - აწყლიანებული თვალებით რომ ავიხედე, მემგონი ეს უკვე ყველაფერს ხსნიდა, - ბუნებრივია, სადაც მამაზე მოვყევი ამდენი, იქ დედაზეც დაგაინტერესათ...რა თქმა უნდა მასაც ძალიან უნდა რომ გავიმარჯვო. თანაც ახლა აქ არის.

-მართლა? სად? გარეთ გელოდება? დაუძახე გაგვაცანი, - ტაში შემოჰკრა მაჩომ.

-არ ვიცი... - ჩავილაპარაკე ისე რომ მეც ძლივს გავიგონე ჩემი ნათქვამი.

-უკაცრავად?

-მე ვთქვი არ ვიცი… არ ვიცი სად, მაგრამ ვიცი რომ სადღაც აქ არის, ჩემს გვერდით. უბრალოდ პრობლემა ისაა რომ, ვერ ვხედავ. დედაჩემი არასოდეს მინახავს რეალურ ცხოვრებაში, რადგან ჩემზე მშობიარობას გადაჰყვა, - გაუგონარი სიწყნარე ჩამოვარდა. მე ძალა მოვიკრიბე და საუბარი განვაგრძე, - თურმე ექიმებს ჩემი მშობლებისთვის უთქვამთ რომ ჩვენი, ორივეს გადარჩენა შეუძლებელი იყო და მათ ან მე უნდა ავერჩიე, ან დედაჩემი. წარმოიდგინეთ ეს ამბავი როგორი საშინელი გადასატანი იქნებოდა ორივესთვის... დედამ რა თქმა უნდა ჩემს გამო გასწირა თავი. მისი საბოლოო გადაწყვეტილება ლადომ ვერ უგულებელყო. მისი თქმით ის ყოველთვის ძალიან დიდი პატივისცემით ეპყრობოდა დედას თითოეულ გადაწტვეტილებას, იმისდა მიუხედავად, ემხრობოდა მათ, თუ არა. მან იცოდა რომ, დედას სურვილის საწინააღმდეგოდ მაინც თავისი ცხოვრების სიყვარული რომ აერჩია და გადაერჩინა, ის ხმას აღარასდროს გასცემდა და შეიძლება შესძულებოდა კიდეც სამუდამოდ. ხოდა ასეთი დიდი დანაკარგით მოვევლინე მე ამ ქვეყანაზე. ისე ურცხვად მოვევლინე, თითქოს დედაჩემის სიკვდილი ჩემი ბრალი არ ყოფილიყო. თითქოს არც უნდა მეცოცხლა, თითქოს ამისი უფლება არც მქონდა, მაგრამ ალბათ ჩემი დაბადება რაიმე მიზეზის გამო მოხდა. აუცილებლად ასე იქნებოდა, სხვა გვარად უბრალოდ არ შეიძლება. მე ამის მჯერა და ბედნიერი ვარ რომ პირადი მფარველი ანგელოზი მყავს დედაჩემის სახით. მის სიახლოვეს ყოველთვის ვგრძნობ, ახლაც კი...

მაჩოს ღიმილი სახეზე მიეყინა. დანარჩენებმაც მოიწყინეს უეცრად და მომეჩვენა რომ ეს დუმილი საკმაოდ დიდხანს გაგრძელდა. მგონი ამდენი არ უნდა მელაპარაკა... მოუთმენლად ველოდებოდი შემდეგ შეკითხვას, თუმცა ისინი ხმას აღარ იღებდნენ. არადა არ იღებდნენ... უცებ მაჩომ ხმამაღლა მოთქმა და ცრემლებად დაღვრა დაიწყო. ეს რა საშინელება ჩავიდინე. სანამ მას ზურაბი დაამშვიდებდა და რამდენიმე შეკვრა ხელსახოცებით მოამარაგებდა, ბატონი ლევანი კვლავ ჩემზე გადმოერთო.

-კარგი მეგი, მე უკვე მკაფიოდ დავინახე ამ ყველაფერზე შენი დამოკიდებულება და მომეჩვენა რომ საკმარისად სევდიანი არ ყოფილხარ, ხოდა მეც დამაინტერესა. აშკარად საინტერესო ხედვები გაქვს ამ ყველაფერთან დაკავშირებით. ხოდა მოდი იცი რა მითხარი? მაინც რას ნიშნავს შენთვის სიკვდილი?

ზედმეტად მეუცნაურა და თემას აცდენილი მეჩვენა ეს შეკითხვა, თუმცა ამან არ დამაბნია.

-მე ვფიქრობ რომ სიკვდილი არ არსებობს, ბატონო.

-ეს უკვე ხსნის შენს დამოკიდებულებას. განავრცე დებულება, თუ შეიძლება.

-რა თქმა უნდა… როდესაც დღესასწაულებზე ჩემი ორივე ბებია-ბაბუა და რამოდენიმე ნათესავი ჩვენთან სახლში მოდიან ხოლმე, ასეთი დღეების მთავარი გმირი კი რაღათქმაუნდა მე ვარ. ესმა ბებია ამბობს რომ შვილის არყოფნას მე ვუვსებ და რომ მე უდიდესი საჩუქარი ვარ მათთვის, ყველასთვის. ჩვენს სუფრებზე, როდესაც ათასგვარ სასაცილო თავგადასავლების მოყოლას იწყებენ ხოლმე დედაზე და მერე ამაზე ძალიან ბევრს იცინიან, მაგ დროს ისეთი განცდა მეუფლება რომ სიკვდილი არ არსებობს. რაღაც დოზით ეს მართლაც ასეა. ჩემს წარმოსახვით სამყაროში დედა მართლაც განაგრძობს არსებობას და მამას თქმით ყოველ ღამე როცა ჩამეძინება ჩემს სასთუმალთან იპარება და მლოცავს, - უცებ

ჩემი აბდაუბდა საუბარი მაჩოს თითქოსდა განგმირვის პირას მყოფმა გვრემისებურმა კვნესამ ჩაახშო. ისე ოხრავდა თითქოს კორეულ დრამას უსმენდა. აშკარად სუსტი გული ჰქონდა მაჩოს და ჩემსავით გულჩვილი იყო. ალბათ ეს ბუნებრივი რეაქციაც კი იყო. ამოსაოხრებლად რამოდენიმე წამი ვუბოძე მას, შემდეგ კი გავაგრძელე ჩემი საოცარი დაბადების ისტორიის მოყოლა, - ხოდა, იქნებ მართალიცაა, ვინ იცის. მეც ყოველ დილა, როცა ვიღვიძებ ჩუმად ვესალმები. მჯერა რომ ესმის ჩემი, ეს ზუსტად ვიცი. ხანდახან წარმოვიდგენ კიდეც, როგორ ეცინება ჩემს სისულელეებზე, როცა სკოლიდან დაბრუნებული განვლილ დღეზე ვუყვები და გაუჩერებლად ვტლიკინებ. სასაცილო ისაა რომ ზოგჯერ ვერც ვიაზრებ რას ვამბობ, უბრალოდ ვლაპარაკობ და ვლაპარაკობ… ღმერთო, ახლაც ხომ ამას ვაკეთებ...

-შენ აკეთებ იმას, რასაც ნამდვილი ჟურნალისტი უნდა აკეთებდეს, შენ შეუდარებელი ხარ მეგი, - მომიგო ნინამ. გულში სითბო ჩამეღვარა და თვალებზე ცრემლები მომადგა.

-კარგით, უკვე ვუთხრათ პასუხი არა?

-მოიცა ზურაბ, სად გვეჩქარება? მეგი, თუ კი სიკვდილი არ არსებობს, მაშინ ცხოვრებას როგორღა შევიცნობთ? როგორღა დავაფასებთ მას? აი მაგალითად თინეიჯერების სუიციდი აიღე, როგორ პანტაპუნტით იხოცებიან… შენ თუ იზამდი ასეთ რამეს, ან თუ გიფიქრია ოდესმე? შენი აზრით მადლობლები უნდა ვიყოთ სიცოცხლისათვის? და თუ ასეა, ჩვენს რომელ საქციელბში უნდა გამოვხატოთ ეს?

-ბატონო, სუიციდზე არასოდეს მიფიქრია და რაც არ უნდა მოხდეს არც ვიფიქრებ, რადგან ჩემი აზრით ასეთი ხალხი ბუნებით ყველაზე სუსტები და მშიშრები არიან. ხოლო იმაზე, თუ როგორ ვიყოთ სიცოცხლის ერთგულნი, მე ვფიქრობ რომ სიცოცხლე უდიდესი საჩუქარია, რომელიც უფალმა გვიბოძა. ჩვენ უბრალოდ ეს უნდა დავაფასოთ, დავინახოთ, შევიგრძნოთ და ყოველ დილა ღმერთს მადლობა გადავუხადოთ, რომ მზე ჩვენთვის კიდევ ერთხელ ამოვიდა. ხალხი რომელსაც ამ ყველაფერს სიკვდილი ურჩევია, უბრალოდ ფიქრობს რომ ეს პლანეტა მისთვის არაა განკუთვნილი. ზოგიც უბრალოდ იხდის თავის მოვალეობას და მერე ისე ქრება, თითქოს არც არასდროს უარსებია. ზოგს საერთოდ არ გააჩნია მოვალეობა და სწორედ ამიტომ ფიქრობს, რომ აქ ამ სამყაროში მისი ადგილი არაა. ზოგიც მისი არსებობის აზრს გვიან ხვდება, ძალიან გვიან… სიმართლე ისაა, რომ უაზრო არაფერი არსებობს, ყველაფერს აქვს თავისი დანიშნულება, აკი უკვე ვთქვი, რომ უმიზეზოდ არც მე მოვევლინებოდი ამ ქვეყანას! ყველაფერში დევს აზრი და თუნდაც მცირედი. უმიზეზოდ ხომ ფოთოლიც კი არ ვარდება ხიდან… ეს უბრალოდ ასეა აწყობილი საათივით და იმის მტკიცება რომ ტყუილად ვცხოვრობთ და აქ არაფერი გვესაქმება, უბრალოდ დროის ფუჭი კარგვაა. ყველაფერი კარგი სიცოცხლეშია და ერთადერთი რითიც მადლობის გადახდა შეგვიძლია ამ საჩუქრისთვის უფლისთვის, ეს მხოლოდ და მხოლოდ სწორად ცხოვრება და ამ შანსის გამოყენებაა. არა კაც კვლით, არა მრუშობით, არა ძალადობითა თუ ტყუილით, არა სიბოროტით, არამედ სიყვარულით, სიკეთითა და სითბოთი… რადგან, სადაც სიყვარულია, იქ აუცილებლადლ ღმერთიცაა, ხოდა ჩვენთან არს ღმერთი!

სანამ სული მოვითქვი, ოთხივე ჟიურის წევრი ფეხზე წამომდგარიყო. ვერც გავიაზრე რა ხდებოდა, სანამ როგორც იქნა არ მიწყნარდა აპლოდისმენტები. ვერ ავღწერ სიხარულს რაც იმ მომენტში ვიგრძენი, ეს მართლაც ყველანაირ შეგრძნებას სჯობდა. რაღაც დადებითი ემოციით დავიმუხტე, რამაც მთელი ჩემი სხეული ერთიანად შეავსო და ნერვიულობაც წამში სადღაც გაქრა. გადაცემის წამყვან ჟურნალისტად მე ამირჩიეს. ამდენ კონკურენტში ამ კონკურსის გამარჯვებული მე გავხდი! და მე ვგრძნობდი ჩემსკენ პირდაპირ მომართულ სიამაყის შეგრძნებას, მე ჩემი თავით ვვამაყობდი და ვიცოდი რომ მამაც აუცილებლად იამაყებდა…

***

-მეგ, სკოლის მერე რას შვრები?
მკითხა დასვენებაზე ლიზამ. ლიზა ჩემი საუკეთესო მეგობარია.
-რავი, სახლში მივდივარ.
ვუპასუხე, ფიზიკის წიგნი გადავშალე და ხილის კონტეინერს გახსნა დავუწყე.
-ეეე, კარგი რააა, ჩემთვის დრო არასოდეს არა გაქვს...
-ხოდა, ჩემთან წამოდი, ხვალ რუსულში შემაჯამებელი გვაქვს და ერთად მოვემზადებით.
-რა თქმა უნდა, სხვას რას ველოდი? ისევ მეცადინეობა გაგიდის გოგო? პირველი არხის მთავარ წამყვანად დაგწიშნეს! მეღადავები?
-ხოდა წამოდი და თან ვიზეიმებთ.
-რავი, ხო კაი, ვკითხავ აბა დეიდაჩემს.
-ოკეი.
-ისე მეგ, გახსოვს ჩემი მზის სათვალე რო მოგეწონა ერთხელ? აი ის დაბადებისდღეზე რომ მაჩუქეს. მგონი ვანიჩკამ აღარ მახსოვს.
-კი, მერე?
-გადავწყვიტე რომ მაგას გაჩუქებ.
-ვააა, რამაგარია, ეს ჩემი ჯილდოა?
-რავი, თან ვიფიქრე ჩემი მეგი ცნობილი რო გახდება მაგ სათვალეს გაიკეთებს და ტელევიზორში თავის საუკეთესო მეგობარსაც გამოაჩენს მეთქი...
ეშმაკურად ჩაიხითხითა ლიზამ და ჩანთაში რაღაცას დაუწყო ქექვა, ვითომც აქ არაფერიო.
-ვაი, შე ქრთამისტო არსებავ! მეც არ ვთქვი რა მოელანდა მეთქი, - გამეცინა.
-ხომ გამომაჩენ?
-შენ და ლადო ზუსტად ერთნაირები ხართ რაა...
ეს ამბავი წამის მეათასედში გავრცელდა მთელს კლასში და დასვენებაზე ყველანი მე მომვარდნენ. ზოგი თავის წილ ლანჩს მთავაზობდა, ზოგი წინასწარ გამზადებულ ხვალინდელი შემაჯამებელის საკითხებს, გეგონება მჭირდებოდა ან ერთი და ან მეორე. ზოგი უბრალოდ განზე გამდგარიყო და შურიანი თვალებით საცოდავად შემომცქეროდა, თუმცა არც ჩემს "ფანებზე" ვფიქრობდი ბევრს, და შესაბამისად არც "ჰეითერებზე".
სკოლის მერე მე და ლიზა ჩემთან წავედით. კარებში შესულებს ლადო ნაირნაირი ნამცხვრებით ხელში შემოგვეგება.
-ეე, საიდან გაიგე? - ჩავეკითხე და ფეხსაცმელების გახდა დავიწყე.
-ჩიტმა ამბავი მომიტანა.
-აეხლა მაგ ჩიტს დავწვდები და თმებით ვითრევ, - წავკბინე ლიზას, - ისედაც მორწყა უკვე მთელი სკოლა!
-ჩემგან რა გინდა გოგო?
-შენ ეტყოდი ხო ვიცი, პირში არ გიჩერდება ეგ გრძელი ენა. აი, რანაირად მოასწარი მთელი სკოლის ფეხზე დაყენება ერთ გაკვეთილში?
-რა გინდა ვა, მერიკოს გარდა არავისთვის მითქვამს.

-აა, ესეიგი ლადოს და მთელ კლასს დაესიზმრათ, თან ისე რომ არც დაუძინიათ, ხო?
-მერიკოს ტელეფონზე რო ვუთხარი ეგრე გაიგო მთელმა კლასმა და ლადო ძიამ არ ვიცი.
-აბა? - დავვეჭვდი.
-ოო, მეგ, როგორ იცი ხოლმე, - ჩაგვერთო ლადო სანამ ერთმანეთს დავჭამდით, - ხო იცი რომ დილიდანვე ვიცოდი, არ გეუბნებოდი შენ ყველაფერი გამოგივა მეთქი? გითხარი მეტი თვითშეფასება!
-ლევანიც ეგრე ამბობს...
-ლევანი ვინღაა? - ერთდროულად მკითხეს ლადომ და ლიზამ.
-მერე მოგიყვებით… ვაიმეეეეე, წამყვანი ჟურნალისტი ვარ? იცით რომ ახლა პირადი დიზაინერი მეყოება? ისეთი საყვარელიაააა...
წამოვიყვირე და ლადოს ნამცხვარს ხელი დავავლე. ყოველ ჯერზე შეიძლება გაოცებდეს ის ადამიანი, რომელსაც საკუთარ თავზე კარგად იცნობ?
ცოტახანში ლიზამაც დაიტაცა ტკბილეულობა და მამას მადლობა გადაუხადა. იმ საღამოს გულიანად ჩავუსხედით სამეცადინოს, ბოლოს კი ლიზა სახლამდე მივაცილეთ. სახლში ძალიან დაღლილი დავბრუნდი, ჯერ კიდევ ვერ ვიჯერებდი მომხდარს. გვიან ღამით ‘ალექსა’ ჩავრთე, სიმღერებს ბოლომდე ავუწიე და ცხელი აბაზანის ქაფში მოვკალათდი.

***

ძალიან ადრე გამეღვიძა. სუფთა ჰაერზე გასვლა გადავწყვიტე. ჩვენი სახლი ავლაბარში, რაზიკაშვილის ქუჩაზე დგას. სახლი პატარაა, თუმცა უზარმაზარი ეზო აქვს თავისივე აუზით, რომელსაც ბევრნაირი მცენარე არტყავს გარს. მე ძალიან მიყვარს ყვავილები, ისინი დედამიწის მახარობლები არიან. მათ რომ ვუყურებ, სულში სიმშვიდე ისადგურებს, სურნელს რომ შევიგრძნობ კარგ ხასიათზე ვდგები, ამის გამო მე და ლადომ გადავწვიტეთ ეზოს უფრო დიდი ადგილი დაეკავებინა, თორემ აბა დიდი სახლი რათ გვინდოდა. ჩვენ ორნი ერთად იდეალურად ვცხოვრობდით, არ ვიყავით ერთმანეთისთვის შემაწუხებლები, ალბათ საუკეთესო მამა-შვილიც კი ვიყავით, რადგან უთანხმოება არასდროს მოგვსვლია.
შემცივდა, სამზარეულოში შევბრუნდი და მაცივარში ქექვა დავიწყე. ანანასის წვენს ჭიქაში რომ ვასხამდი, უნებლიედ ისევ ბატონი ლევანი და ჩემი შეშინებული, დამფრთხვალი ხმა გამახსენდა და გამეცინა. ამ დროს ლადოს ნაფეხურების ხმა გაისმა, რომელსაც ყოველთვის ყველგან ვიცნობდი.
-რა ადრე ამდგარხარ...
შემოვიდა ბარბაცით და ერთი გემრიელად დაამთქნარა.
-რავი გამეღვიძა.
მხრები ავიჩეჩე.
-ხო კარგად ხარ? აბა შემომხედე.
-გადასარევად.
-მეგი.
-გისმენ.
-მემგონი მეტი აღარ უნდა გადავდო.
-რა? - გამეცინა და წვენი მოვსვი.

-დიდი ხანია შენთან რაღაც მნიშვნელოვანზე მსურს საუბარი.
დავიძაბე, თუმცა არ შევიმჩნიე. წვენი კინაღამ გადამცდა.
-გისმენ.
ნეტავ დაბნეულობა თუ შემატყო...
-მოდი დავსხდეთ.
-რა ხდება?
-ნუ ჩქარობ, მოდი.
-აბა?
-მოკლედ, შვილო… ეს თემა მე და შენ არასდროს განგვიხილავს, მაგრამ უკვე დიდი გოგო ხარ. ვიცოდი რომ ეს დღეც დადგებოდა ოდესმე. შენ ხომ მიცნობ არა? კარგად იცი, ჩვიდმეტი წელია მარტოობას ვუმკლავდები. ჩვიდმეტი წელია დედაშენის ნაირი ქალი მეორე არ შემხვედრია...ეს...
ქალი? აი თურმე რა ხდებოდა... თავიდან აზრზე ვერ მოვედი საუბარი საითკენ მიჰყავდა, მაგრამ როგორც კი ბოლო წინადადება ძლივს მითხრა, ყველაფერს მივხვდი. მაინც როგორი სულელი ვარ, ამას ჩემით როგორ ვერ მივხვდი? საბრალო მამა, როგორ შემეცოდა...
-მეგ, მინდა გითხრა, რომ ამჟამად ჩემს ცხოვრებაში არსებობს ერთი ქალბატონი, მაგრამ არ ვიცი, შენ… ეს ყველაფერი როგორ უნდა აგიხსნა, ხომ ხვდები… ჩვენს სამყაროში ყოველთვის მხოლოდ ჩვენ ვიყავით. გამოგიტყდები, მე ძალიან მეშინოდა ამ დღის, მე...
-ღმერთო, მამიკო დიდი ბოდიში, მაპატიე გთხოვ.
გადავეხვიე. ლადო წამით ისე დაიბნა, მთლად გაშეშდა. მერე კი თავადაც მომხვია მისი ძლიერი მკავები. ტირილი მომინდა.
-მეგ, პატიებას რისთვის მთხოვ?
-იმისთვის რომ ეს აქამდე უნდა შემემჩნია.
-ანუ არ მიბრაზდები?
გაოცებულმა შემომხედა.
-გიბრაზდები? რას ამბობ? შენ ხომ მარტოხელა კაცი ხარ, თანაც ახალგაზრდა, ასეთი სიმპათიური...
ჩაეღიმა, თუმცა ისე ღელავდა, როგორც მე შესარჩევ ტურზე. სიტყვებს ერთმანეთში ურევდა და ადგილს ვერ პოულობდა.
-მამა, შენ ყველაზე მაგარი ადამიანი ხარ ამ პლანეტაზე და ნამდვილად იმსახურებ ბედნიერებას, - დავუმატე ჩემს სიტყვებს, რადგან მივხვდი რომ არ იყვნენ სამკარისი.
-ხო, მაგრამ...
-რაღა მაგრამ?
მე ხომ არც ერთი წამით მიუარია, ან ცუდი რეაქცია მქონია. ვიცოდი რომ ეს მისთვის ძალზე ძნელი სიტუაცია იყო, მაგრამ პრობლემას ვეღარ ვხედავდი მას შემდეგ რაც როგორც იქნა გაბედა და გამომიტყდა. პირიქით ისიც კი მესიამოვნა რომ თავის მესაიდუმლედ ჩამთვალა. არ მესმოდა რატომ ართულებდა ამ ამბავს ასე ძალიან.
-ეგ ქალი, არც კი ვიცი როგორ უნდა გითხრა...
-ყველაფერი რიგზეა, შეგიძლია მითხრა.
-ქალი რომელსაც ვხვდები მერიკოა.
-რაა?
-მერიკო ანუ...
-ლიზას დეიდა.

არ ვიცი რა მომივიდა. გავისუსე. უნდა გამხარებოდა თუ უნდა მწყენოდა ვერ ვიგებდი. ისეთი ეგოისტი ვერ ვიქნებოდი რომ მწყენოდა, თუმცა სიხარულზე მეტად გულში მაინც წყენას ვგრძნობდი და ეს ფაქტი მაღიზიანებდა. მე და ლიზა დაბადებიდან ერთად ვიყავით. სამი წლის იყი მშობლები ავტო-კატასტროფაში რომ დაკარგა. მას მერე ზრდის მერი დეიდა და ვინ იცის რამდენ ხანს გრძელდებოდა ეს ყველაფერი… მე ხომ მამას არაფერს ვუმალავდი, მან კი დამიმალა. ასე თქვა დიდი ხანია მინდოდა ამ თემაზე საუბარიო. თანაც, ახლა ლიზასთვის თვალებში როგორღა ჩამეხედა? იქნებ არაფრის აზრზე არ იყო? გამოვიდოდა რომ ან ეს საიდუმლო მე უნდა გამემხილა და ან საუკეთესო მეგობარი მომეტყურბინა, მე კიდევ არც ერთი მსურდა. მაგრამ მეორეს მხრივ, ლიზა ხომ ისედაც ჩემი და იყო და რა მაგარი იქნებოდა თუ მართლა დავნათესავდებოდით და უფრო მაგარი თუ ერთად ვიცხოვრებდით. ვაიმე, სულ ავირიე...რა უნდა მეთქვა?
-მამა, არ ვიცი, მე...სიმართლე რომ გითხრა ავირიე, თან ძალიან. მაინც რამდენი...რამდენი ხანია?
-ერთ წელზე ცოტა მეტი.
-კი მაგრამ, როდის აპირებდი თქმას?
-მეშინოდა რომ ცუდი რეაქცია გექნებოდა, მეგი.
-კარგი და იმან იცის?
-ლიზიმ?
თავი დავუქნიე.
-მე და მერიკომ მოვილაპარაკეთ რომ ერთროულად გაიგებდით. სავარაუდოდ, მანაც ახლა შეიტყო. უნდა გიხაროდეს, შვილო.
-არ ვიცი, დრო მჭირდება...
ჩუმად ვუპასუხე და ოთახში ავედი. სანამ გონზე მოვედი რვა საათი გახდა და მეც შევუდექი გამზადებას. ასე უბრალოდ ხომ ვერ გავაცდენდი სკოლას? თანაც ჯერ-ჯეროზით მხოლოდ ზარს ველოდი ტელევიზიიდან. მაჩო დამპირდა მერე მეთვითონ დაგირეკავ და სტუდიამდე კაფეში გავიაროთო. იმაზე უფრო ვდარდობდი მე რომ სკოლა გამეცდინა, რას იტყოდა ლიზა… ყველაფერი დავივიწყე და მის გამო წავედი ის კი იმ დღეს საერთოდ არ მოსულა, მისი ლანდიც კიარ დამინახავს და არც ჩემი ათას ერთი გამოტოვებული ზარისთვის უპასუხია. ძალიან ვნერვიულობდი ამ ამბავზე. სახლში ადგილს ვერ ვპოულობდი. გუშინდელი სიხარულიც სულ გადამავიწყდა და ის ფაქტიც რომ სულ მალე ცნობილი გავხდებოდი. ეს დიდად ისედაც ხომ არ მადარდებდა...
იმ საღამოს ნინიმ დამირეკა. ნინი ჩემს მეზობლად ცხოვრობს. ერთი სკოლელები არ ვართ, მაგრამ აქვე ახლოს ერთად დავდივართ მათემატიკაზე. კარგი გოგოა, თუმცა აშკარად განვსხვავდებით რაღაც საკითხებში. მთელი გზა მათემატიკამდე მხოკოდ ‘ინსტაგრამის’ სთორიებზე და თავის "ქრაშზე" მელაპარაკება. უბრალოდ არ მესმის… აი ახლაც იმიტომ მირეკავდა, რომ თავისთან დავეპატიჟე წვეულებაზე. არ მიყვარს ასეთი რაღაცეები, ამიტომაც დავაპირე უარი მეთქვა და ვუთხარი კიდეც, მაგრამ მერე გამახსენდა რომ ლიზა ნინის ნათესავია. ვიფიქრე იქ შევძლებდი მის ნახვას და დალაპარაკებას, ამიტომ დავთანხმდი და ლადოსთან ნებართვის ასაღებად წავედი. ვიცოდი უარს არ მეტყოდა...

ნიკა

ამის დედაც! აქ რა ჯანდაბამ მომიყვანა? გავტრიალებულიყავი რა სახლში. ამდენი გონნაკლული უსიფათო სიფათების ყურებას, ისევ ჩემს აბაზანაში მარტო ჯდომა და საშინელებებზე ფიქრი მერჩივნა. იმ საშინელებებზე რომლებიც უკვე ზედმეტად ჩვეულებრივად მეჩვენებოდნენ ჩემთვის. იმაზე მეტად ჩვეულებრივად, ვიდრე ეს უნიათო ‘ფართი’ იყო. ნეტავ მცოდნოდა რა უხაროდათ ამ გამოლენჩებულ იდიოტებს ასე ძალიან. ან რა აცინებდათ, ან რა ამხიარულებდათ. ისინი ხომ უბრალოდ როლებს თამაშობდნენ, სხვადასხვა უადამიანო, უყველაფრო, არაფრისმაქნის როლებს. მე ვუყურებდი მარის და ვხედავდი როგორ ირგებდა თავის ქერქს, როგორ "ერთობოდა", ჭიქას ჭიქაზე ცლიდა, დაქალებთან ერთად ცეკვავდა, მხიარულობდა და სელფებს იღებდა. ერთი ჩვეულებრივი შეუიარაღებელი შეხედვით ის ბედნიერი იყო. სინამდვილეში ბედნიერება, ეს მხოლოდ ილუზიაა. ილუზია, რომელსაც ერთი ფარფატა, თითქმის გამჭირვალე ფარდა მართავს და რომელსაც მთელი ჩვენი ძალისხმევით ვამაგრებთ, რომ სულ არ გაირღვეს და კრიტიკის მოყვარულ მშიერი მგლების თვალწინ გემრიელად არ გაგვაშიშვლოს. წარმოიდგინეთ, რა მოხდებოდა ამ ფარდის ჩამოფარების შემდეგ? რა მოხდებოდა როდესაც მაყურებელი საბოლოოდ დაიშლებოდა და სახლებში წავიდოდა? მაშინ მარი ალბათ ჩუმად შველას ითხოვდა, აუცილებლად ითხოვდა, თუმცა მის გვერდით აღარავინ აღმოჩნდებოდა. არცერთი სულიერი. აღარც ისინი, ვისთანაც ახლა ასეთი დიდი გულმოსულობით ერთობოდა და იცინოდა. მხოლოდ ის, მისი საბრალო ეგო და ღამის აჩრდილები დარჩებოდნენ. მოგონებები კი… ეხ მოგონებები! ისინი სულს შეუჭამდნენ, გულს დაუბრაწავდნენ, ტვინში შეუძვრებოდნენ და იქ დამდგარ აპოკალიფსს გმირულად შეეწირებოდნენ. მაშინ მარი აუცილებლად დაემხობოდა ცივ იატაკზე და სულმოუთქმელად ატირდებოდა. მე ეს ვიცოდი. და განა თავად არ იცოდა? მშვენივრადაც იცოდა, მაგრამ მანამდე მაინც ყველას ანახებდა რომ ამქვეყნად "უბედნიერესი" გოგო იყო. აი რა არ მესმოდა მე. აი რას ვერ ვხსნიდი ვერაფრით... ჩემს გარშემო იმდენი ყალბი ადამიანი იყო, რომ უკვე თავადაც აღარ მესმოდა ჩემი სიმართლის. ან საერთოდ ვის რაში სჭირდება შენი სიმართლე? დღეს ხომ ისიც აღარ ფასობს, სხვა დანარჩენ გაუფასურებული ფასეულობების ჩათვლით..

ეს ყველაფერი დიდხანს ვეღარ ავიტანე. უცნაური იყო თუ რაც მემართებოდა ამ ბოლო დროს. ადრე ასეთ წვეულებებზე ხშირად დავდიოდი რომ რეალობას გავქცეოდი, ახლა კი თითქოს გასაქცევი აღარსად იყო. რა უნდა მექნა, ყველასგან გამოყოფილმა ბოთლ ლუდს ხელი დავავლე და ცალკე სავარძელში მოვკალათდი. მოვკალათდი? ახლახანს მგონი რაღაც დადებითი პირველად ვთქვი. ბოლოს ასე როდის ვისიამოვნე? ბოლოს რამე ჩემი თავისთვის როდის გავაკეთე? ვფიქრობდი; ნეტავ საერთოდ სხვისთვის ვკვდები, თუ ჩემთვის? ნეტავ ეგოისტი ვარ თუ მაზოხისტი? ნეტავ სწორად ვიქცევი თუ შეცდომას ვუშვებ? და იქნებ

სამყარო კი არა, თვითონ მე ვარ გამოუსადეგარი დამპალი? იქნებ ჩემს ბილწ არსებობას სხვებს ვაბრალი, რომ ამაში ვპოვო შვება და ყველა ასე ძალიან იმიტომ მძულს, რომ საბოლოო ჯამში ვხვდები, რომ ეს მაგათი ბრალი სულაც არ არის? იქნებ ამ სამყაროში მხოლოდ ჩემი ადგილი არაა? ეს 'ნეტავ' და 'იქნებ' აღარაფრით მთავრდებოდნენ... ჩემს შიგნით დაგროვილი ემოციები ვულკანივით მიდუღდნენ. თითქოს ლუდის ბოთლიც კი ხელში მადნებოდა უკვე. ასე მეგონა ცოტაც და გარშემო სუყველაფერს გადავბუგავდი. ჩამშრალებული ყელის გასასველებლად ლუდს თავსახური წავაცალე და რამდენიმე ყლუპი მოვსვი, მაგრამ ამასაც ადუღებული ლითონის გემო ჰქონდა უკვე. ამ ქვეყნიურ სიამოვნებებს ჩემამდე მოსაღწევი ყველა კარი ცხრაკლიტულით ჩაერაზათ. ალბათ ამ ყოველივეს ვიმსახურებდი კიდეც. ბოთლი მთელი ინერციით ვისროლე იატაკზე. ლუდს ლუდის გემო რატომ აღარ აქვს?

ძალიან მინდოდა ბოლო ხმაზე მეღრიალა, თუმცა ჩემი იქ ყოფნა ისედაც არ ადარდებდა არავის. სერგის გავხედე. თავის ნინისთან ერთად სალსას მაგვარ სასაცილო მოძრაობებს აკეთებდა. ძალიან ლაღი და ბედნიერი ჩანდა მაგ წუთებში. უნებურად მის გამო გაღიმება მომინდა, მაგრამ ჩემი სახის კუნთებმაც კი ჩემს წინააღმდეგ ამხედრება გადაწყვიტეს. უკვე საბოლოოდ დავიჯერე რომ ყველაზე საშინელი ადამიანი ვიყავი და ერთი უბრალო გაღიმების უფლებაც არ მქონდა. ახალ ბოთლ ლუდს გადავწვდი და ისევ ჩემს ნიაღვარივით მომსკდარ უსასრულო "ნეტავ და იქნებ" -ში გადავეშვი. რამდენიც არ უნდა მეფიქრა დაუსრულებლად, დასკვნა მაინც არ იცვლებოდა და ამ ორი სიტყვით სრულდებოდა; ყველაფერი ამაოა! ღმერთის და ასეთი რამეების რომ მჯეროდეს, ვიფიქრებდი რომ ჩემნაირი სატანა აუცილებლად ჯოჯოხეთში მოხვდებოდა. მაგრამ, ვინაიდან და რადგანაც ეს ზეციური სამყაროები სულელი ადამიანების გამოგონილია... ეს თუ მართლაც ასეა, მაშინ მე სადღა ჯანდაბაში წავიდოდი როცა მოვკვდებოდი? ნეტავ იქ მოსაწევი თუ ექნებოდათ? ანდაც იქნებ ბევრ რამეს ვტოვებდი? ოხ, ახლა სანამ ის საზიზღარი ცხრა ეტაპი არ გავიდოდა ამგვარ იდიოტობებზე უნდა მეფიქრა? ან საერთოდ, ვის რა ჩემ ფეხებად უნდოდა ეგ ეტაპები? როგორი უაზრო და ალოგიკურია მიჰყვე ვიღაც დაუნის შეთითხნულ წესებს, რომლებიც წაქცევამდე გადამთვრალმა გამოიგონა და დაემორჩილო მათ, ასე სრულიად არაფრის გამო... ეს რა ავადმყოფობაა, გეგონება სიკვდიკზე ადვილი სხვა რამე არსებობდეს საერთოდ! მე თუ მომინდება ხომ აქვე და ახლავე ავიღებ ნებისმიერ დანას და...

-უკაცრავად, ლიზა ხომ არ გინახავთ?

ეს რაღა იყო. ვიღაც გვიანი კარავაჯოს პერიოდიდან გადმოსრილილი გოგო არც მეტი არც ნაკლები ზუსტად ჩემი სავარძლის წინ იდგა და საბრალო, ფართოდ გახელილი თვალებით შემომყურებდა. საერთოდ რატომ მოვიდა ჩემთან? მშვენივრად ვაწყობდი სიკვდილის გეგმებს. ბოლოს ასეთი ზრდილობიანი გოგო ვნახე... არა, არ მახსენდება, არასდროს მინახავს. ერთი საწყალი ვინმე იყო, გამეცინა. მართლა გულიანად გამეცინა.

-ლიზა, მარი, ანი… მე რა ვიცი, ხუთასნი არიან! - მივუგე ხარხარით.

-ბატონო? - რა უაზრო და დებილი ვინმე იყო. და რათქმაუნდა არაფრით გამორჩეული.

-არ ვიცი ლიზა ვინ არის მეთქი, - ნაძალადევად ვუპასუხე იმ იმედით რომ თავს გამანებებდა და გამეცლებოდა, მე კი ჩემს სამსჯავროს დავუბრუნდებოდი, ანდაც შეუმჩნევლად ავვორთქლდებოდი იმ მასხარების ზეიმიდან.

-ლიზა ჩემი...

-აუ ჩემი, გკითხე ვინაა თქო? რაში მაინტერესებს, წადი რა, გაიარე... გიჟი ხარ?

ლუდი მოვსვი. მე მეგონა, ბოთლს რომ ჩამოვწევდი ვეღარავის დავინახავდი მაგრამ, მწარედ შევცდი.

-ვინ გაწყენინა ასე ძალიან?

გოგონა არსაიდან ჩემს პირდაპირ კვლავ მანეკენივით გაშეშებულიყო და ისე ელოდა ჩემს პასუხს, თითქოს ამაზე მსოფლიოს ბედი ყოფილიყო დამოკიდებული. უცებ მართლა ძალიან მივამგვანე თოჯინას, რომელსაც მხოლიდ თავისი გრძელი წითური წამწამების ფახუნი შეეძლო. ახლა ამან თავის ვიწრო ბატის ჭკვაში მომხიბლა? სახე მივატრიალე, აღარ მინდოდა საერთოდ შემეხედა მისთვის და ამ სულელური დიალოგის გაგრძელებაზე ხომ ზედმეტი იყო საუბარი.

-შემიძლია დაგეხმარო, მე მეგი ვარ.

დალახვროს ეშმაკმა, რას გადამეკიდა? მარი იყო და ძლივს მოვიშორე, ახლა კიდევ ეს სულელი. აშკარად მარიზე უარესი ჩანდა… ოხ ეს გოგოები... თუ იმას ვერ იღებენ რაც უნდათ, ყველაზე აუტანელი არსებები ხდებიან ამ ქვეყნად.

ლუდის მეორე, უკვე შედარებით გამთბარი და სანახევროდ დაცლილი შუშის ბოთლი ჩემს გვერდით მდგარ პატარა მაგიდაზე გადავდე, მეთვითონაც წამოვდექი და ნელა მივუახლოვდი მას, მერე კი მის ტუჩებს. რომლებიც მეხვეწებოდნენ მაკოცეო. ასე რომ არ ყოფილიყო წურბელასავით არ შემიჩნდებოდა. ცოტაც და მის ბაგეზე, როგორც პატარა ლამაზ ტბაზე ხის ფერადი ნავივით გავცურავდი, მაგრამ გოგონა ელვის სისწრაფით გადახტა უკან, მთელი ძალით მომიქნია ხელი და პირდაპირ სახეში გამარტყა. გავშტერდი, ვერაფრით ვიჯერებდი მომხდარს. სანამ გონზე მოსვლას მოვასწრებდი ის ისევე მოულოდნელად გამქრალიყო თვალთახედვის არეალიდან, როგორ უეცრადაც გამოჩნდა. მემგონი ასეთი გაკვირვებული მაშინაც არ ვყოფილვარ დედაჩემს რომ ვიღაც არაკაცთან შევუსწარი. სახტად დავრჩი. ასეთი რამ ჩემს ცხოვრებაში პირველად მოხდა. გოგომ უარი პირველად მითხრა და თანაც როგორ მწარედ... მაგ ძუკნამ ეგ როგორ გამიბედა? და თუ მე არ ვუნდოდი აბა რა ჯანდაბა უნდოდა, ცინგლიანი ბავშვივით რას ჩამომიდგა? ფიქრებსაც მომწყვიტა და... სულ ამრია, ეს რა იყო? ჩვეულებრივ ასეთ საღამოებზე, მხოლოდ იმიტომ მიდიან ბიჭთან და ელაპარაკებიან მას სხვადასხვა მიზეზით, როცა მასთან დაწოლა უნდათ, მან კი... მაგ ქაჯმა სილა გამაწნა, როცა მთელი სკოლის გოგონები ოცნებობენ ჩემს კოცნაზე? რა ხდება?

-ძმაო, მოწევ?

მკითხა სერგიმ. ვერც კი შევამჩნიე როდის გამოითო მუსიკა.

-ხო.

-რა გჭირს?

-წეღან აქ რო გოგო იყო ვინ არის?

-ნიკა, აბა მიმოიხედე აქ რამდენი გოგოა...

-ცოტა ქაჯია და წითური. აი შაბათის ალქაჯი ხო გაგიგია?

-ძმაო, რამდენი დალიე?

-კაი ხო, დაიკიდე…

***

მთელი ეგ ღამე სილა გაწნულის სტატუსით ვმოძრაობდი და თან მეგონა ეს ჩემს გარშემო ყველამ იცოდა. მინდოდა ის ჟღალთმიანი ალქაჯი მეპოვნა, მაგრამ გოგოების ამბავი რომ ვიცი ამას დიდ მნიშვნელობას მიანიჭებდა და მეც ვიჯექი მიწებებულივით იმ სავარძელში ჩემთვის და იმ იმედით რომ ლუდის გემოს როგორც იქნა შევიგრძნობდი და ჩემი სახიდანაც ის კიდევ ერთი ლაჩრული საქციელისაგან დატოვილი ვარდისფერი ლაქა საბოლოოდ გაქრებოდა, უამრავი ბოთლი გამოვცალე. მერე ნინიმ და სერგიმ ფოტოს გადაღება მთხოვეს და იქიდან ადგომა მომიწია. რა მეთქვა, ახლავე - მეთქი და ჯიბეში ხელი ჩავიყავი, მაგრამ ჩემი ტელეფონი იქ აღარ დამხვდა. ეგღა მეკლდა. ძებნა დავუწყე. ნეტავ სადმე ამომვარდა? ვერაფრით მივაგენი. ბოლოს, ერთი მაგისიც - მეთქი, რად მინდოდა საერთოდ ტელეფონი? დავიკიდე და გამოვტრიალდი. კარისკენ ბარბაცით რომ დავიწყე სიარული, ნინიმ გამაჩერა საპირფარეშოში არ გინახავს, იქნებ სადმე ამოგივარდაო. მართალია, სრულიად შესაძლებელი იყი. ჩემი რაღა მიდიოდა, მოვბრუნდი და შევეცადე გონებაში იქამდე მისასვლელი გზა აღმედგინა. არადა ახლა ერთადერთი რაც მსურდა ძილი იყო. ამდენი ხნის შემდეგ ასე ძალიან პირველად მომინდა ძილი. არადა მიყვარს როცა მძინავს, რადგან მაგ დროს ყველაფერი მავიწყდება. მაგრამ ბოლო დროს რაც 'ბიოზე' გადავედი ძილი გამირთულდა. ალბათ ჩემმა ორგანიზმმა ცვლილებები ადვილად ვერ აიტანა. კიდევ გულის რევები დამჩემდა. ხოდა კარგად აღარც მახსოვს, საპირფარეშომდე ძლივს მიღწეულმა მგონი ვარწყიე და მერე უნიტაზზე დამეძინა, თუ პირიქით. არ ვიცი რამდენი ხანი გავიდა. რომ გამოვფხიზლდი პირი დავიბანე და სახელურს ხელს ვკიდებდი გამოსასვლელად რომ ისევ იგივე ხმა გავიგონე.

-ლიზა, ვიცი რომ მანდ ხარ გამოდი, გთხოვ, უნდა ვილაპარაკოთ!

მეღადავებით? ის თხაჯანა იყო. ხო, უეჭველად ის იყო! და რა გამოვიდა, რომ ეგ მეგი იმ ლიზას ეძებდა, მე კიდე ტელეფონს რომელიც საერთოდ არაფერში მჭირდებოდა და მისი არსებობა აღარც მახსოვდა. ამის გამო კი ახლა კარზე კაკუნი არ წყდებოდა. ვინ იყო ეს გოგო? ჩემგან რა ჩემი ფეხები უნდოდა?

მაგარია, იქნებ შემომვარდნოდი კიდეც? - გავიფიქრე. მდიდარ გათამამებულ მამიკოს პრინცესას მაგონებდა. ალბათ, ბიჭებს ყოველ დღე სცემს. ახტაჯანა!

დავაპირე კარის გაღება და პასუხის მოთხოვა, თუმცა გადავიფიქრე და უბრალოდ ჩავახველე.

-დაო, მეც ახლა გავიგე, დამიჯერე. ხომ იცი მამა კარგი კაცია.

რას ბოდავს?

ამ დროს კარს მიღმა ესემესის ზარის ხმა გაისმა. ანუ ჩემნაირი არაამქვეყნიური და ტრენდს ჰაერში აცდენილი ზარი მეორეც არსებობდა? რა უცნაურია... დაველოდე როდის მიხვდებოდა ის დებილი რომ მე არ ვიყავი ეგ ლიზა, არა!!! გავინაბე. ხმები მიმწყდარიყო, ალბათ ყველა დაიშალა. ნეტავ მაინც რამდენხანს მეძინა უნიტაზზე? მშვენიერია, როგორც იქნა კარს მოცილდა, ახლა შემიძლია გავ... .

-მოგესალმებით KILLTHEHEAD9-ში, ეს პირველი ეტაპია. მზად ხართ დავალებისთვის? - უმალ გავიგონე ავტომოპასუხის ხმა. იგივე ხმა იყო, რომელიც საიტზე წესებს მიხსნიდა, ბოხი, საშიში. ტანში დამცრა.

აი თურმე სად ყოფილა ჩემი ტელეფონი... ეგ თავქარიანი ქურდბაცაცა! სახელური ჩამოვწიე, მაგრამ არ გაიღო.

რა ხდება?

კარებზე მუშტების რტყმა დავიწყე.

-მეგი, მეგი...

ჯანდაბა!
-თანახმა ვარ.
უპასუხა ავტომოპასუხს. რას აკეთებდა ეგ გოგო?
-მეგი არა, გამორთე ტელეფონი!
ვღრიალებდი ბოლო ხმაზე.
-ბრწყინვალეა! პირველი ეტაპი ადვილია. თქვენ უნდა შეიცნოთ სიკვდილის სიამოვნება. ამისათვის უნდა დაიტანჯოთ და ეს ტანჯვა არ უნდა ჰგავდეს უბრალოდ ტკივილს!
-მეგი, გათიშე ეგ დედააფეთქებული ტელეფონი!
კარს კიდევ ერთხელ მივარტყი ძლიერად მუშტი. როგორც იქნა გაიღო. მეგის ტელეფონი ხელიდან გაუვარდა, მთლიანად კანკალებდა. არ ვიცი იმ წყეულ ტუალეტში რამდენი ხანი გავატარე, თუმცა როგორც ვივარაუდე, ყველა წასულიყო. მხოლოდ ნინის და სერგის ეძინათ ერთად გათიშულებს დივანზე.
-მეგი... - შევძახე გამწარებულმა, სასწრაფოდ ხელი დავავლე ჩემს ფეხებთან მისვენებულ დაშლილ ტელეფონს და ჯიბეში გავიქანე.
-რა? ეს რაღაა? - ძალააღმომხდარივით წამოიკნავლა გოგომ, მე კი არ ვიცოდი რა მეთქვა ან როგორ მომეცილებინა თავიდან. თავი საშინლად მომაბეზრა თავისი დამფრთხალი მოულოდნელობებით. უკვე მეორედ გაჩნდა მოულოდნელად ჩემს მახლობლად. რატომ მომეჩვენა რომ არანაირი ლიზა არ არსებობდა და ეს მხოლოდ მისი მიზეზი იყო? მოკლედ, როგორც არ უნდა ყოფილიყო, ეს მე არ მაინტერესებდა. არანაირად!
-წადი! - მივახალე და მუშტები მთელი ძალით შევკარი.
-რა?
-ვერ გაიგონე? წადი მეთქი!
-მაგრამ მე... მე წავიკითხე... ეს... ეს შენი ტეფონი იყო? ეგ შეტყობინება შენთვის იყო?
-შენი საქმე არაა მეგი, წადი!
-როგორ...
-სანამ თავაზიანად გთხოვ მომშორდი ან საერთოდ, ვერ ხედავ რომ უკვე ყველა წავიდა?
არა, არა ამ საბრალოს ჩემს ტრაგედიაში ვერ ჩავრევდი, დაიღუპებოდა. უცნაურია, ნუთუ საერთოდ გამაჩნდა გრძნობები? რატომ მადარდებდა როგორ იგრძნობდა თავს ვიღაც უხეირო ცოტახნის წინ გაცნობილი გოგო ჩემს გამო? ან რა იპოვა ჩემში ასეთი საინტერესო... ან თუ რამე იპოვა, მაშინ რაღა იყო ის გაწნული სილა... ვერაფერი გავიგე!
პირდაპირ თვალებში შემომყურებდა და ჩემგან პასუხებს ელოდა. ახლაღა დავაკვირდი რომ ძალიან ლამაზი თვალები ჰქონდა. არც მისი მთელი ძალით გარტყმული ხელი არ მტკენია ისე, როგორც ამ თვალების ყურება. ყელში რაღაც გამეჩხირა.
-არ წავალ! - ჯიუტად იმეორებდა ერთიდა იმავეს, მე კი უკვე მოთმინების ფიალა მევსებოდა და ხოტახანში ჩემს თავზე პასუხს აღარ ვაგებდი. ისედაც გაუგონრად მისკდებოდა თავი. ისე როგორც ჯერ არასდროს. ერთი სული მქონდა სახლში მისული ასპირინში ჩავმხრჩვალიყავი. ისე ნეტა რა ეწერა იმ შეტყობინებაში? და ეს ნიშნავდა რომ თამაში დაიწყო? სასწრაფოდ უნდა გამეგო რა ხდებოდა უჩემოდ იქ. შევეცადე იმ გოგოსგან თავი შორს დამეჭირა, უთქმელად გავიარე, ჯიბიდან ტელეფონი ამოვიღე და აწყობა დავიწყე.
-საით? - გააფთრებული მომვარდა და ტელეფონი ახლიდან გამაგდებინა. ეს უკვე მეტისმეტი იყო.
-შენ ცუდად ხომ არ ხარ? არც შენით მიდიხარ და არც წასვლის უფლებას მაძლევ? შენი კოცნა ვცადე და კინაღამ თავყბა გამიერთიანე, ბოლო-ბოლო რა გინდა, თავს აღარ დამანებებ? - მემგონი ზედმეტად ხმამაღლა მომივიდა. ხმაურზე ნინის კინაღამ გაეღვიძა.

უხერხულად შეიშმუშნა და ძილში რაღაც ჩაილაპარაკა. მერე სერგის შემოეხვია და გემრიელად მოკალათდა. უნებურად გამომიჩნდა კბილები და ფხუკუნი წამსკდა. ამჯერად მეგიმ მომაწოდა ტელეფონი და დაიჩურჩულა:
-სანამ არ მეტყვი რა ხდება, აქედან ფეხს არ მოვიცვლი.
თითქოს ჩემი სუსტი მომენტი დაიჭირა გასაშინაურებლად, გეგონება ამას უცდიდა კიდეც. ამ ფაქტმა მისმა სიჯიუტესთან ერთად უარესად გამაცოფა. მომინდა მეგინებინა და იქიდან მაგ თავისი ჟღალი თმების თრევით გამეპინტრიშებინა, მაგრამ ნინი და სერგი შემეცოდა. თან სიგიჟემდე გამიკვირდა ასე ძალიან რატომ დავაინტერესე. გამიკვირდა მისი ხმის ტონი, მისი დაჟინებული მზერა, მისი აკანკალებული ხელები... გამიკვირდა რომ ახლა ჩემს წინ იდგა და პასუხებს ისე მთხოვდა, თითქოს ამაზე მთელი მისი ყიფნა-არყოფნის საქმე ყოფილიყო დამოკიდებული. გამიკვირდა, რომ ჩემი ტკივილიანი არსებობა ამ კუთხით პირველად შენიშნეს, თუმცა ეს არ მომწონდა. არ მომწონდა, რადგან მე სულ მალე ისედაც აღარ ვიარსებებდი. მთავარი ეს იყო, დანარჩენს კი საერთოდ არ ჰქონდა აზრი…

მეგი

არ იყო საჩემო ასეთი საღამოები. ასე გვიან მამას სახლიდან გაშვება პირველად ვთხოვე და ჩემდა გასაკვირად გაუხარდა კიდეც. მისი აზრით კომუნიკაციის დამყარებას ადამიანებში ვერასოდეს შევძლებ და დღევანდელ თინეიჯერებს საერთოდ არ ვგავარ. შესაძლოა ასეც არის. მე ხომ ყველაფერს ჩემებურად, სულ სხვა თვალით ვუყურებ… ყოველ შემთხვევაში მე ასე მგონია. ჩემი ლიზა თვლის რომ ერთი დიდი ვარდისფერი სათვალე მიკეთია, ამის გამო კი ყველაფერი მიმარტივდება. არა, ეს ასე არ მუშაობს. სინამდვილეში, ჩემი პატარა საიდუმლო იმაში მდგომარეობს რომ მე ვცდილობ ყველაფერში კარგი მხარე დავინახო და ეს ყველას შეუძლია, ნებისმიერ ადამიანს. არ განსაჯო სხვა, რატომ? მაინც და მაინც რატომ უყურებ ადამიანში მის ცუდ თვისებებს და ითვლი მათ, როდესაც ამდენი კარგი არსებობს? იდეალური ხომ არავინაა, არც შენ... და რაც შეეხება ვარდისფერ სათვალეს, მე ვისწავლე პრობლემებთან გამკლავება მარტომ და ეს ძალიან მაგარია. ძალიან მაგარია, როცა ერთ დილას იღვიძებ და ხვდები რომ შენ ეს შეგიძლია, ამის გადალახვა შეგიძლია და რომ ვერ

გაგტეხეს, ვერ დაგამარცხეს და შენ ყველაფრისდამიუხედავად მაინც ფეხზე დგახარ... არაფერია გადაულახავი! ღმერთი ისეთ განსაცდელს არ მოგვივლენს, რომლის გადატანის ძალაც არ შეგვწევს. რაც უფრო დიდია განსაცდელი, ნელ-ნელა აღმოვაჩენთ რომ მით უფრო ძლიერები ვართ ჩვენ. განა ასე არ არის? ბევრს ჰგონია რომ თავს ვიკატუნებ, ზოგიც უგრძნობს და უემოციოს მეძახის, სინამდვილეში უბრალოდ არავინ მიცნობს. მათ არ ესმით, მათ არ იციან. არც ეს მადარდებს. ამაშიც იქნება რაიმე კარგი, თან აუცილებლად. შეიძლება არ ვიცი რა, მაგრამ გავიგო მალე, აბა ვინ იცის...

მაინც არ ვიყავი დარწმუნებული ჩემს საქციელში და სახლიდან გასვლისას კიდევ ერთხელ გადავურეკე ლიზას, ვიფიქრე რომ მიპასუხოს წასვლა აღარ დამჭირდება მეთქი. მაგრამ არ მიპასუხა, რა თქმა უნდა... ჩვეულებრივ ასეთ საღამოებზე რას იცვამენ? თუ ჩემი ჩაცმულობა სხვისთვის სულერთია? სარკეში ჩავიხედე, სქელი ლურჯი ჯემპრი და ჯინსის შარვალი მეცვა. გაბურძგნულ წითელ ბუდეზე მწვანე კოპლებიანი ბენდენა მქონდა გადაჭერილი. გამეცინა. მეგი წვეულებაზე წასვლას ასე აპირებ? - ვკითხე ჩემს თავს. ჰო, აბა რა, მე და წვეულებები... თანაც რაის წვეულება?! ვინ იცის ნინის უხაროდა მარტო დარჩენა და ამას აღნიშნავდა თუ უბედურების ზარ-ზეიმი ჰქონდა...

ლადოს ჩვენს სახლში ერთი ოთახი გამოეყო, სადაც დედას ნივთებს ინახავდა. ჩემს კარადაში შესაფერისი რომ ვერაფერი ვიპოვნე, იმ ოთახისკენ გავწიე მაგრამ დაკეტილი დამხვდა. ამიტომ მამას გასაღები ვთხოვე. ალბათ სულ სადღაც მესამედ შევდიოდი აქ რაც ამ სახლში გადმოვედით. საშინლად დავიძაბე. ზღურბლზე გადაბიჯება გამიჭირდა კიდეც. მაგრამ შიშებმა და კომპლექსებმა არ უნდა გმართონ, აქეთ უნდა მართო ისინი. განსაკუთრებულს არაფერს ვაკეთებდი. ეს უბრალო ოთახი იყო, რომელშიც უბრალო კარადაში მყოფი უბრალო კაბა უნდა ამერჩია, რომ უბრალო საღამოს წვეულებაზე წავსულიყავი. ეს ხომ ჩვეულებრივი ამბავია (ყოველ შემთხვევაში უნდა ყოფილიყო) ჩემხელა გოგონასთვის. და მე ეს გავაკეთე! კარის ზღურბლს როგორც იქნა საკმაოდ თამამად და უშიშრად გადავაბიჯე, მაგრამ მოხდა ის რამაც ჩემი თავდაჯერებულობა შეარყია. ოთახში შესულს უცნაური შეგრძნება დამეუფლა. უცნაური და უცხო... დედა! მე თითქოს მისი აურა ვიგრძენი. თითქოს მისი თმის სურნელიც კი შევისუნთქე... მაგრამ, არა ეს მართლა მისი სურნელი იყო, რაღაც განსაკუთრებული, რაღაც ახლებური, რაღაც სასიამოვნო, რაღაც დედობრივი. გამოხსნილ გარდერობს ძალიან დიდხანს შევყურებდი. ჩემს თვალწინ ულამაზესი სანახაობა გადაიშალა. იქიდან პირდაპირ ერთმანეთზე დახვეწილი ფერად-ფერადი მოდის ქმნილების ეტალონები მიმზერდნენ და მემუდარებოდნენ ჩამიცვიო. რომელი ამერჩია? არჩევანი იმდენად ფართო იყო, რომ ამ ყველაფერს რომ შევყოლოდი, თავზე ისე თამამად დამათენდებოდა, ვერც გავიგებდი. ბოლოს როგორც იქნა ოთხი კაბა გადმოვარჩიე. ერთი ზედმეტად გრძელი იყო ჩემთვის, ერთი - საზაფხულო, რომელიც ყველაზე მეტად მომეწონა და გული დამწყდა რომ ჯერ ამ კაბის ჩაცმის დრო არ იყო. ზედმეტად სადა, თითქოს ზუსტად საჩემო იყო. წარმოვიდგინე დედა ამ კაბაში… დასანანი იყო რომ მხოლოდ წარმოდგენა შემეძლო და მეტი არაფერი. ვინ იცის იქნებ სადმე ამ ნივთებში ალბომიც კი მეპოვნა სხვა დროს. ახლა კი როგორღაც რამე უნდა ამომერჩია და წვეულებაზე გავქცეულიყავი, სანამ ეტლი გოგრად არ გადაიქცეოდა. ისე, ნეტავ ლადოს კომენდანტის საათი სადამდე იყო, ღამის ათამდე? თორმეტამდე? არ ვიცოდი... არ ვიცოდი, რადგან არასოდეს დამჭირვებია და არც ამ დროს გავსულვარ მარტო სახლიდან. მემგონი ჩემს ცხოვრებაში უკვე რაღაცეების პირველად გაკეთების დრო დგებოდა. მე პატარა აღარ ვიყავი. ახლა როცა საბოლოოდ ახდა ჩემი ბავშვობის ოცნება, ეს ფაქტი იმაზე მიმანიშნებდა რომ ბავშვი აღარ ვიყავი, შესაბამისად როგორმე უნდა გამოვთხოვოდი პეპლებიან,

ცისარტყელებიან და მარტორქებიან სამყაროს და ასე პირდაპირ, გმირულად უნდა შევფეთებულიყავი ცოცხალ და თავგადასვლებით აღსავსე რეალობას. რისკზე წასვლაც მიწევდა, მაგრამ მიღირდა კიდეც. მიღირდა, რადგან ყოველთვის უთვალავი ამბიციებით ვიყავი სავსე. რაღაც გასაოცარს, არადამაჯერებელს, სასწაულმოქმედს ველოდი ამ ცხოვრებისგან... აი სადღაც ასე ჟღერდა ჩემთვის ღამე წვეულებაზე წასვლა მოკლე წითელი კაბითა და მაღალ ქუსლიანი ფეხსაცმლით. ამ კაბამ ერთი შეხედვით ისე მომწუსხა და დამატყვევა, სასწრაფოდ გასინჯვა მომინდა. როგორც კი ჩავიცვი, ისე მომიხდა რომ გასახდელად დამენანა და ზედ შემოვიტოვე. ფეხსაცმლის მორგების შემდეგ თმები კოსად სწრაფადვე ავიკეცე, ლოყებზე ცოტაოდენი 'ჰაილაითერი' და პუდრი გადავისვი და მკრთალი მაკიაჟის გაკეთების შემდეგ, ჩემს ოთახში მყარად ერთ ზოლზე გავლა ვცადე. ჩემდა გასაკვირად, დიდად არც გამჭირვებია და მეც აღარ დავაყოვნე, კარისკენ გავემართე. მეტი გლამურულობა, ნაკლები ნერვიულობა! თანაც მე იქ გასართობად კი არა, საქმეზე მივდივარ… - ჩავძახოდი ჩემს თავს. უკვე გასასვლელში მდგარმა ლადოს ხმა გავიგონე. ო, არა! ოღონდ ეს არა!

-მეგ...

კარებთან გავჩერდი, მივბრუნდი და ზუსტად ჩემს ზურგს უკან მდგარი დავინახე. სიბნელეში მისი სახე ვერ გავარჩიე, მაგრამ მესმოდა თუ როგორ ხმამაღლა სუნთქავდა.

-ისე აპირებდი გაპარვას, რომ არ მენახებოდი?

შემომჩივლა ხმაჩახლეჩილმა. სანამ ჩემზე ბოლომდე განაწყენებას მოასწრებდა, შუქი აანთო და მყისიერად გაშეშდა ადგილზე. ერთხანს მდუმარედ მიცქირა, მერე დავინახე სახე მთლად როგორ წაეშალა. აი, ზუსტად ეს არ მინდოდა, ზუსტად ამისი მეშინოდა და მაგიტომ მივიპარებოდი ასე. მე ხომ ვიცოდი...

-მამა...

-მეგი, შენ...

-ვიცი.

-თუ მოგწონს, შეგიძლია მისი სხვა ტანსაცმელიც ჩაიცვა, ეგენი ხო ისედაც შენებია.

ვხედავდი როგორ გმირულად იკავებდა მოწოლილ ცრემლებს და გარეთ გამოღწევის უფლებას არაფრით აძლევდა მათ. უნდოდა ეთქვა თუ როგორ საოცრად ვგავდი დედას. მე ხომ ეს ისედაც, მის უთქმელადაც ვიცოდი. არ მინდოდა ზედმეტი სიტყვებით გული უარესად დამძიმებოდა. ბევრჯელ მიკითხავს ჩემი თავისთვის საერთოდ როგორ შეეძლო ჩემთვის თვალებში ისე ეყურა რომ ჩემში ის არ დაენახა... ეს ალბათ შეუძლებელი იყო.

ზედმეტი გაურკვეველი მიმართულების სიტყვებისაგან დავინდე და მივუახლოვდი.

-ხანდახან ტირილი კარგია, მამა.

ვუთხარი და ჩავეხუტე. და მან ისევ შეიგრძნო ნაცნობი საყვარელი სურნელი, რომელიც ახლა უკვე ჩემს წითელ, ცოტა მოძველებულ, თუმცა კვლავაც მოდურ, სადა კაბას დასთამაშებდა. ლადო ალბათ ამისათვის ახლა გულში მადლობას მიხდიდა. ეს ყველაფერი კი არ იყო ადვილი, საერთოდ არ იყო... იმ მომენტში ცხოვრებაში პირველად ვიგრძენი რაღაცნაირი სიცარიელე ჩემს გარშემო. მიუხედავად მამას არსებობისა, მე ეს მაინც მძაფრად შევიგრძენი და ამან დამამძიმა თითქოს. ეს შეგრძნება საერთოდ არ მომეწონა და მომინდა მთელი ღამე ასე ჩახუტებულები ვმდგარიყავით მე და მამა, მაგრამ მერე მოვალეობებმა შემახსენეს თავი და როგორც იქნა დავეღწიე მას.

-არ ინერვიულო მა, მალე დავბრუნდები.

-განა როგორ შეიძლება კაცმა შენნაირ წყნარ არსებაზე ინერვიულოს?

***

ნინის სახლი ჩემი ქუჩის თავში იდგა, ამიტომ მანქანა არც დამჭირვებია. ყინავდა. დაახლოებით ღამის ცხრა იქნებოდა ნინის ზარი რომ მივეცი. კარი რომ გამიღო უკვე კარგად იყო გალეშილი, კარში იკეცებოდა და თავიდან ბოლომდე ნარწყევის სუნი ასდიოდა. უხერხულად შევიშმუშნე და თავი გვერძე ვითომდა შეუმჩნევლად მივატრიალე. ნინი ხმამაღლა აყვირდა.

-მეგიიიიი!

ისე შემომეგება თითქოს განუყრელი დაქალები ვყოფილიყავით. სახლიდან საშინელი ხმაური გამოდიოდა. კაბის ბოლოს მორცხვად დავუწყე წვალება. ნეტავ სწორად მოვიქეცი აქ რომ მოვედი? და მერე დაახლოებით იგივე დამემართა რაც დედას ოთახში შესვლისას, მაგრამ უკან დახევის დრო აშკარად აღარ იყო. ლიზას ხათრით...

-ნინ, დიდი ხნით არ მოვსულვარ სიმართლე რომ გითხრა, მე უბრალოდ მაინტერესებდა... ლიზა აქაა?

-ჰმმმ… ლიზა, კიი, მოდი. შემოდი მეთქი, რაღას უყურებ?

გამიხარდა. სახლში შევედი. იმდენად ჩახუთულობა იყო რომ გაყინულს ეგრევე ჩამომცხა. მართლაც ძალიან ბევრნი იყვნენ, მე კი თითქმის არავის ვიცნობდი. რამდენიმე ნაბიჯის ამაყად გადადგმის შემდეგ, ჩემი შარმი თავზე ჩამომექცა, ჩემდა უნებურად გადამიბრუნდა ფეხი და შემთხვევით ვიღაც უცნობ ბიჭს შევეჯახე. სიკვდილამდე ვინანე ამ ფეხსაცმლის ჩაცმა.

-ვიცეკვოთ? - ჩამეკითხა ავარიის მსხვერპლი. არადა მშვენივრად გავიგონე რაც მკითხა, მაგრამ ჩემს თავზე ისეთი დაბალი წარმოდგენის უნარი მქონდა, თანაც ახლა უკვე საბოლოოდ ეგო-შერყეულს რომ, სანამ ვუპასუხებდი მანამ ჩემს უკან გავიხედე დასარწმუნებლად, თუმცა იქ არავინ იმყოფებოდა, გარდა ზურგით მდგარი გოგონებისა, რომლებიც ჭიქებს ივსებდნენ და პარალელურად ვიწრო კაბისგან უარესად ძალით შევიწროვებულ თეძოებს აქეთ-იქით აქნევდნენ და ვითომდა მუსიკას აყოლებდნენ, რომელიც ძალიან ხმამაღლა ჩაერთოთ და ეს ფაქტი არცერთ იქ მყოფთაგანს არ აწუხებდა აშკარად.

-რა მითხარი? ვერ გავიგონე, - მივუგე რაც შემეძლო ხმამაღლა უცნობს და შევეცადე თავი შემემაგრებინა, ისევ რომ არ დამცდენოდა ფეხი. სულ მალე ჩემზე მაჩო თავისი მთელი პროფესიონალურობითა და გლამულურობით იზრუნებდა, მე კი მაღალ ქუსლებზე ნორმალურად დგომაც არ შემეძლო. მემგონი არჩევანი ნაადრევად გააკეთეს...

-ვიცეკვოთ მეთქი... - ერთიანად ყველა კბილი გამოაჩინა ბიჭმა და ჭიქა გამომიწოდა. კი, ახლა საბოლოოდ დავრწმუნდი რომ ნამდვილად მე მესაუბრებოდა. მოწოლილი

უხერხულობისაგან აღარ ვიცოდი სად ჩავმძვრალიყავი. როგორ უნდა მომეშორებინა თავიდან? მაინც რა უნდა მეთქვა?

-ბოდიში მაგრამ, არ ვცეკვავ.

-კარგი რა, მხოლოდ ერთი ცეკვა.

-არ ვცეკვავ, მეთქი, გამატარე!

-ჩშშშ! მშვიდად, სად გეჩქარება? პირობას გაძლევ მოგეწონება...

-მომეწონება? რა უნდა მომეწონოს?

-დამთანხმდი და გაიგებ, პატარავ.

-უკაცრავად? არ ვიცი რაზე საუბრობ, სინამდვილეში მე... ვიღაცას ვეძებ. ის... აქვე უნდა იყოს წესით. ლიზას არ იცნობ? ხომ არ გინახავს?

-რა?

-ვერ გაიგონე? ლიზა მეთქი...

-მეღადავები?

-ლიზა ხომ არ გინახავს მეთქი, ჩემი პარტნიორია, აქაც მის გამო მოვედი.

-აუ, გამიტყდა.

-ბატონო?

-ერთი შეხედვით არაფერი გეტყობოდა და მე რა ვიცოდი...

-კარგი, აშკარად ვერაფერი გავიგე, ახლა უნდა წავიდე და ლიზა მოვძებნო.

-კაიი, კარგად გაერთეთ...

მომაძახა და სანამ მე გავეცლებოდი, თვითონვე აორთქლდა. კი მაგრამ, ეს რა იყო? ასეთი რა ვუთხარი? მაინც როგორი უცნაურები არიან ეს გარესამყაროელები. უცნაურები და ცოტათი შიზოფრენიკებიც. ეს ტიპი ლიზას სახელის გაგონებისთანავე შემეშვა. მეც რაღას ჩამოვუდექი, ეს რომ მცოდნოდა ხომ აქამდე ვუხსენებდი მის სახელს... არ ვიცოდი საზოგადოებაში ასეთი გავლენა თუ ჰქონდა ჩემს ერთადერთ დაქალს. სამომავლოდ ეს ფაქტი აშკარად წამადგებოდა.

ვერაფრით ვისვენებდი. ჯერ ისევ გაშტერებულმა კიდევ ერთხელ დავხედე ტელეფონს. არც ერთი ზარი ან შემოსული შეტყობინება? ეს ლიზას საერთოდ არ ჰგავდა, საერთოდ! ნეტავ რა ხდებოდა? მივიყუჟე იმის მოლოდინში რომ მალე ის ლუდის ჭიქით ხელში ცეკვა-ცეკვით რომელიღაცა ბნელი კუთხიდან გამობანცალდებოდა და ჩემს დანახვაზე შეძახილებს და ხმამაღალ სიცილს მორთავდა, რომ ყურადღების ეპიცენტრში მოქცეულიყო როგორც სჩვეოდა. ასეთი საღამოებიც ხომ მისი სუსტი წერტილი იყო, ჩემგან განსხვავებით. ხშირად მეჩვენებოდა რომ მე და ლიზა რადიკალურად განვსხვავდებოდით ერთმანეთისგან, მაგრამ მაინც ვერ ვძლებდით უერთმანეთოდ, თითქოს ვავსებდით ერთმანეთს. ერთადერთი რაშიც ვგავდით გაუჩერებლად ლაპარაკი იყი და ახლა წარმოიდგინეთ მე და ის ერთად... პირდაპირ კოშმარი იყო! თვალების აქეთ-იქით ცეცებაში იქვე მეორე კუთხეში სავარძელში მჯდომ ერთ ახალგაზრდას გავუსწორე მზერა. ხოდა მეც არ ვიცი რა მიზნით, მაგრამ გადავწყვიტე მასთან მივსულიყავი. ალბათ უფრო იმიტომ რომ ისიც ჩემსავით მარტო და ეული იყო. თითქოს აქ ყოფნა საერთოდ არ სურდა, ჩემსავით. ჩაფიქრებული იჯდა, არც კი შემოუხედავს ჩემთვის და არც იმ ბიჭივით მოუბეზრებია თავი. რაღაცნაირად იქ მყოფთაგან ყველასგან განსხვავებული და გარიყული მეჩვენა... ნეტავ რაზე ფიქრობდა? ისეთ შთაბეჭდილებას მიტოვებდა რომ მხოლოდ აქ კი არა საერთოდ არსად სურდა ყოფნა. არ ვიცოდი რა მეთქვა. დავფიქრდი და მერე ისევ ლიზა მოვიმიზეზე. თან ვიფიქრე იქნებ მან იცოდეს სად არის მეთქი. ეს ხომ სრულიად შესაძლებელი იყო, არა? მაგრამ, შენც არ მომიკვდე... სუფთა ანგელოზის სახიანი ეშაკი აღმოჩნდა. როცა პირველად ამოიღო ხმა მაგ

წუთიდანვე მომინდა სილის გაწნა მისთვის და მოგვიანებით ეს გავაკეთე კიდეც. ახლა რომ ვიხსენებ ვერაფრით ვიჯერებ. ჯერ არავის აღუძრავს ჩემში ასეთი სიბრაზე და ამავდროულად ასეთი ინტერესი. როცა როგორც იქნა ვინმე უცხოსთან კომუნიკაცია ვცადე, როცა როგორც იქნა ჩემს კომპლექსებსა და შიშებს ასე მკაფიოდ ცხოვრებაში პირველად გადავაბიჯე, საპასუხოდ რა მივიღე? მან რა გააკეთა? ჩემი კოცნა სცადა? სრულიად ჩვეულებრივად, ვითომც აქ არაფერიო. თითქოს მისთვის ამგვარი გაუგონარი საქციელი ყოველ დილა ფინჯანი ყავის მირთმევის მაგვარი ყოფილიყო. ისე ახლოს იყო… ისე ახლოს... თუმცა რა იყო ეს? ნუთუ ასეთი იყო დღევანდელი რეალობა? ასეთი უბრალო და უყველაფრო, ასეთი ბინძური და დამთრგუნველი? ყველა ბიჭი მისნაირი დეგენერატი და უნამუსო იყო? საერთოდ ყველა? და მხოლოდ ამას უნდა დავჯერებოდი ამ ცხოვრებისგან და მეტი არაფერი არ უნდა მომეთხოვა? ნუთუ მართლა არ არსებობდა არანაირი თვალების კონტაქტი, შეხების ენა, გონების კავშირი, ანდაც მიზიდულობის ძალა? ნუთუ არ არსებობდა არანაირი ორ სხეულა შორის დამაკავშირებელი უხილავი და თან ხილული ძაფები? არ არსებობდა ისეთი ემოციები, განცდები და შეგრძნებები, რომლებიც მხოლოდ ძველ, ინგლისურ რომანებში ამომეკითხა? არა, ამას ვერ დავიჯერებდი. ვერც დავიჯერებდი და ვერც შევეგუებოდი. ჩემს იმედებსა და მოლოდინებს, ვიღაც იდიოტის გამო ვერ დავანგრევდი და ვერ გავუშვებდი იმ ხელს, რომლითაც მთელი ძალით ვებღაუჭებოდი. მე ხომ უბრალოდ კითხვა დავუსვი? მე ხომ უბრალოდ ვკითხე რა სჭირდა? ღმერთო, მე ხომ მისი დახმარება მსურდა და მეტი არაფერი. მისთვის ეს ამდენად არარეალურად ჟღერდა? ასეთი დაუჯერებელი იყო რომ ვინმეს მისი დახმარება სურდა? აი მერე ლადო მკითხავს რატომ ვერავისთან ვამყარებ კონტაქტს... აჰა შენი კონტაქტი! (ხელით სახეზე მაგრად მიმყარებული ოღონდ). ისე კი მაინც რაოდენ ცნაურია რომ ადამიანების ფსიქოლოგია ზედმეტად მიზიდავს, თვითონ ადამიანების კი რა მოგახსენოთ... ცოტა მეშინია კიდეც მათი და იმ საღამოს შემდეგ განსაკუთრებით...

სანამ ჩემი სილის გაწვნით გამოწვეული სიწითლე გადაუვლიდა, მანამდე გავერიდე სასწრაფოდ, ხალხს შევერიე და მოშორებით მაგიდასთან დავდექი მარტო, მაგრამ დროგამოშვებით მაინც ვაპარებდი ხოლმე თვალს მისკენ. ის კი... მას ერთხელაც აღარ შემოუხედავს. ზუსტად ვიცი, იცოდა რომ ვუყურებდი, თუმცა თავი არ შეუწუხებია, არც ერთხელ... ეს როგორი თავის დაფასებაა? თავი ვინ ჰგონია, დანიის პრინცი? არა ისე კი, გავს რაღაცით... შენ რაღამ აგაცანცარა გოგო? თუ ასე ძალიან არ მოგეწონა, მაშინ რაღატო მიაშტერდი საერთოდ?

სურვილს ვერაფრით ვძლიე. ისევ გავხედე. იჯდა თავისთვის და წრუპავდა იმ ლუდს. ის იყო ჩუმი, წყნარი. მისი სიჩუმე ყველაზე მეტად ხმაურობდა. ეგ კი არა, ოთახში არსებულ მუსიკების ხმასაც კი მთლიანად ფარავდა. სული ეწვოდა, იგუდებოდა. მე ამას ვგრძნობდი. არა, ახლა უკვე ნამდვილად შემებრალა. ნეტავ რა სჭირდა საიმისო ასეთი გარეგნული სილამაზის პატრონი, ასეთ ამპარტავან მონსტრად რომ გადაქცეულიყო? არადა, თითქოს იყო რაღაც მასში, მაგრამ არ ვიცი რა... იდუმალი იყო. იმ სამეფო სკივრივით იდუმალი, რომელიც რაღაც უდიდეს საიდუმლოს ინახავს, რომელსაც კაცობრიობის გადარჩენა შეუძლია, მე კი ამ საიდუმლოს ამოხსნა იმ წამიდანვე მომინდა, როდესაც იმ უხეში ბიჭის თვალები ჩემსას შეხვდა პირველად, ასე უმოწყალოდ, სევდიანად. რატომ მომეჩვენა რომ ამ ერთი შეხედვით უბრალო, უარაფრო გამოხედვაში დახმარების თხოვნის კვალი იგრძნობოდა? რატომ მომეჩვენა რომ უჩუმრად, სხვა დანარჩენებისგან შეუმჩნევლად მართლაც მთხოვა დახმარება? რატომ ვიფიქრე რომ ხელს მიწვდიდა, მე კი უარვყავი იგი? ღმერთო, რაებს ვამბობდი, ეს რა სულელური აზრები მიტრიალებდა თავში? რა

მემართებოდა საერთოდ? ისევ მივხედე და უმალ დავინახე სახე ჩემსკენ როგორ მოატრიალა და მეც დამფრთხალი ჩიტივით ეგრევე მოვწყდი იქაურობას. ფეხსაცმელები ხელში დავიჭირე და გავიქეცი. არ ვიცოდი სად, მაგრამ სადმე უნდა გავქცეულიყავი თორემ კიდევ ერთ მუდარით აღსავსე მწველ მზერას ჩემი გული ვეღარ გაუძლებდა. ბოლოს ერთ პატარა ბნელ ოთახში აღმოვჩნდი. გულმა აღარ იცოდა რომელ კედელს შესკდომოდა უკვე. რას ვაკეთებდი? რა მჭირდა? საერთოდ რატომ გამოვიქეცი? ეგღა მაკლია ვიღაც სულელი ბიჭის გამო საიდანღაც გამოვიქცე. მყარად უნდა ვმდგარიყავი, თავის კონტროლი უნდა შემძლებოდა, ნამდვილი ქალივით უნდა მოვქცეულიყავი და არა მშიშარა ბავშვივით. ფეხსაცმელები ისევ ჩავიცვი და ახლა შედარებით, მაგრამ მოჩვენებით მშვიდად, ჩემს ადგილას დავბრუნდი. მინდოდა თუ არა ეს, ისევ გამექცნენ თვალები ოთახის კუთხისკენ, მაგრამ ის სავარძელი, რომელშიც წუთების წინ ის უცნაური, უზრდელი ბიჭი იჯდა, რომელმაც ჩემი ყურადღება ასე ძალიან მიიქცია, იქიდან აორთქლებულიყო. რა მოხდა? რა გამომეპარა? ასე უეცრად სად გაქრა? ნუთუ წავიდა? არა, ვერ წავიდოდა... თუმცა მე რა მედარდებოდა? გული რატომ მწყდებოდა ასე ძალიან? სადაც იყო გავგიჟდებოდი. უჰაერობამ შემიპყრო. ორ ჭიქა კონიაკს ხელი დავავლე და ეზოსკენ გავემართე. დაწყნარება მჭირდებოდა. სინამდვილეში კი იმ იმედით რომ მას ისევ ვნახავდი. არ ვიცი ასე ძალიან რატომ ჩავიციკლე. თავს იმითღა ვიმართლებდი რომ თავის საზიზღარ საქციელზე პასუხს აუცილებლად მოვთხოვდი. მაგრამ მე ხომ ეს უკვე გავაკეთე, არა? აბა მისგან რაღა მინდოდა? ვიღაც უცნობ, თავხედ ბიჭთან მე რა მესაქმებოდა? კიბეებზე ჩამოვჯექი და ფიქრი დავიწყე. ვცდილობდი ის უცნობი თავიდან სრულიად ამომეგდო. წამით დამაინტერესა, ნეტავ ახლა როგორ წარიმართებოდა ჩემი ცხოვრება. ნეტავ ლიზას რას ვეტყოდი პირველად... მისი დაკარგვის ხომ ასე მეშინოდა. ორივე ჭიქა სწრაფადვე გამოვცალე, არადა ასეთ დროს ალკოჰოლი მაინც და მაინც ვერ იყო კარგი იდეა, თანაც დიდად არც ვგიჟდებოდი მასზე. უბრალოდ გიჟივით აკვიატებული მქონდა ის აზრი რომ უკვე დრო იყო რაღაცეები მეც გამომეცადა. რაღაცეები რასაც ადრე არასდროს ჩავიდენდი. ალბათ ესეც ერთ-ერთი მათგანი იყო.

მოკლედ ყველაფერი ასე აეწყო; ლიზა გაქრა, მე კი ამის გამო დედაჩემის კაბით ღამის წვეულებაზე წავედი, უცნობ ბიჭს სახეში ვთხლიშე და მერე ალკოჰოლი დავლიე? ეს რეები ჩავიდინე?

ისე პანიკებსა და ემოციებს თუ არ ავყვებოდი და ლოგიკურად თუ ვიმსჯელებდი, მივხვდებოდი რომ ლიზას ეს გაქრობის ამბავი მხოლოდ იმას მეუბნებოდა რომ მამას და მერიკოს ფარული ტრფობის ამბავი მაინც და მაინც კარგად ვერ მიიღო. და თუ მართლაც ასე იყო, მაშინ რა მოხდებოდა მათი ქორწილის შემდეგ? ლადო მერიკოზე ხომ სერიოზულად ფიქრობდა. აქამდე მე უბრალოდ მამასთან ერთად წყნარად ვცხოვრობდი და არაფერი გასაოცარი არ ხდებოდა ჩემს ცხოვრებაში. ერთი ჩვეულებრივი გოგოს ცხოვრებით ვცხოვრობდი, რომლის ერთადერთი სასიხარულო ამბავი დღიუში ჩაწერილი კიდევ ერთი ხელმოწერილი ათიანი იყო. ახლა კი, ზუსტად ერთ დღეში იმდენი კარგი და იმდენი ცუდი რაღაც მომაწყდა რომ ემოციები ერთმანეთში ამრეოდა და უკვე აღარც კი ვიცოდი რა უნდა მეგრძნო. პირველად დამტოვა მარტო ამდენი ხნით საუკეთესო მეგობარმა. ნეტავ რამე ცუდი ხომ არ მოხდა? ან თუ აქ, წვეულებაზე იყო მე რატომ ვერ ვიპოვე? ვეცადე ნეგატიურზე არ მეფიქრა, მაგრამ არ გამომდიოდა.

ზუსტად არ ვიცი რამდენი ხანი გავიდა. უკვე გამოცლილი ჭიქებით ხელში სახლში რომ შემოვბრუნდი, ბავშვები სახლებში მიდიოდნენ. კარგი იყო, რადგან ეს ხალხმრავლობა არ მსიამოვნებდა.

-მეგიიიი, მოდი ვიცეკვოთ.
მომვარდა ნინი. არ მესმის ამდენი ხნის მერე ფეხზე რანაირად იდგა. მუსიკას აუწია და ელვის სისწრაფით ჩამაფრინდა. უცებ საშინელი თავბრუს ხვევა ვიგრძენი.
-ნინი, არა, მადლობა მაგრამ არ ვცეკვავ.
-რანაირი ხარ აუ, მოდი რა...
-ნინ, მემგონი აჯობებს უკვე მეც წავიდე და შენც გამოიძინო, თანაც ლიზა აქ არ არის, რატომ მომატყუე?
ზუსტად მაგ დროს ნინი ჩემკენ მთელი ძალით გადმოიხარა და ჭიქები ხელიდან გამაგდებინა. ერთ წამს მეგონა გონი დაკარგა და ძალიან შემეშინდა, მაგრამ მერე გიჟივით გადაიხარხარა და ეცადა წელში გასწორებულიყო. მე კი ბოდიშების მოხდით დავიხარე ძირს ნამსხვრევების ასაკრეფად, რომ სავარძლის ქვეშ იატაკზე დაგდებული ძველი ტელეფონი შევამჩნიე. დამაინტერესა ნეტავ ვისია მეთქი და ხელი დავავლე. ნინი სიცილს განაგრძნობდა.
-გოგო შენ რა ღადაობ თუ დებილი ხარ? სერგია აქ და რა დამაძინებს?
-აბა მე რავიცი. რომელ სერგიზე ამბობ?
-შენ საერთოდ არ მისმენ ხოლმე მათემატიკის გზაზე, არა? ეგრეც ვიცოდი...
-ეს ტელეფონი ხომ არ იცი ვისია? და ლიზა? აუ შენთან ლაპარაკს აზრი არ აქვს... მადლობა რომ დამპატიჟე მე წავალ.
-არა, არა და არა! არავითარ შემთხვევაში არ უნდა წახვიდე!
-მართლა? და ვითომ რატომ?
-ლიზას ხო ეძებ, არა? ხოდა აქ არის, აი, ახლახანს შევიდა ტუალეტში. ჩემი თვალით დავინახე.
-იცოდე ისევ თუ მატყუებ...
-რატომ უნდა მოგატყუო გოგო? ტელეფონს ეძებდა და მერე ტუალეტში შევიდა, გული ერეოდა თუ რაღაც.
-მოიცა, რას ნიშნავს ტელეფონს ეძებდა? - გულზე მომეშვა. აი თურმე რატომ არ მპასუხობდა ზარებზე. მაგრამ...
-აბა ეს ვიღასია?
-ლიზასი მეთქი.
-არა ეს ლიზას ტელეფონი არ არის ნინი.
-როგორ თუ არა, რო გეუბნები, ეგ ტელეფონი ლიზასია!
-შენ მასწავლი? არ არი მეთქი.
-აააა, უი გამახსენდა, ვიცი... ვიცი ვისიც არის, ტუალეტშია მიდი.
-ვინ?
-ლიზააა!
ვითომ? დავვეჭვდი კიდეც უკვე, თავიდანაც ასე იძახდა, საერთოდ იცოდა ვისზე ვეკითხებოდი? ისეთი გალეშილი იყო ნათესავის კიარა თავისი სახელიც აღარ ახსოვდა მგონი, იმ სერგის გარდა. გამახსენდა ვინც იყო ეგ სერგი. გრძელი თმები ჰქონდა. მე შორიდან ვიცნობდი. ერთი-ორჯელ ნინის მათემატიკაზე მოაკითხა და მეც თავაზიანად მომესალმა. ერთი შეხედვით სასიამოვნო ტიპი ჩანდა, მაგრამ ზედმეტად არასდროს გამოვლაპარაკებივარ. თავი იმით დამამახსოვრა რომ, ყოველ ჯერზე როდესაც დავინახე მისი ფერად ნახატებიანი პერანგი საოცრად მომეწონა. კარგი სტილი ჰქონდა. საქართველოში რომ ყველა ვერ გაიგებს ისეთი, მაგრამ ჩემთვის მისაღები.

ნამსხვრევები ნაგავში ჩავყარე და საპირფარეშოსკენ წავედი. რაც არი არი, აქაც შევამოწმებ და მერე უკვე ნამდვილად წავალ-მეთქი. კარზე მივუკაკუნე და დავუძახე. იქ ვიღაც მართლაც იყო. ანუ ნინი ამჯერად მაინც არ მატყუებდა. საპასუხოდ მხოლოდ ჩაახველა. ძალიან ავღელდი. ზუსტად ახლა უნდა დამდგარიყო ის გადამწყვეტი დიალოგი, რომელიც მთელი იმ დღის განმავლობაში წარმომედგინა. ჩემს ერთადერთ მეგობარსაც რომ ზურგი შეექცია ჩემთვის, მაშინ რაღა აზრი ექნებოდა სამყაროს ნათელ ფერებს და ლამაზ შეგრძნებებს, თუ ამის დანახვა და განცდა მარტოს მომიწევდა?

მარტოობა! ეს ხომ ადამიანის ყველაზე საზიზღარი შიშია. მარტოობის შიშს შეუძლია ისე დაგასუსტოს და მოგსპოს, რომ გონზე ვერც მოასწრო მოსვლა. თუმცა რეალურად, ადამიანები მარტო მოვდივართ ამ ქვეყანაზე და იმ ქვეყნადაც მარტო მივდივართ. არსებობს რაღაც გარკვეული ეტაპები შენს ცხოვრებაში, რაც აუცილებლად მარტომ უნდა გაიარო, უნდა შეხვდე ამ მოვალეობას, რომელსაც ვერსად გაიქცევი, რადგან რეალურად გასაქცევი არც არსადაა.

არ ვნებდებოდი არაფრით, ეს ჩემს ბუნებას სრულიად ეწინააღმდეგებოდა. განვაგრძობდი ლიზასთან საუბრის მცდელობებს რომ უცებ ხელში ტელეფონის ვიბრაცია ვიგრძენი. თავიდან მეგონა მამა მირეკავდა. ტელეფონს რომ დავხედე გამახსენდა რომ ცოტა ხნის წინ ვიღაც უცნობის ტელეფონს წავაწყდი და შემთხვევით თან წამოვიღე. თანაც მემგონი ასეთი სასაცილო ზარი პირველად მესმოდა. გაუაზრებლად წავიკითხე უცნობ ტელეფონზე შემოსული შეტყობინება და თვალებს არ დავუჯერე, თავზარი დამეცა. მეგონა რაღაც არასწორად დავინახე და ეს კონიაკსაც კი დავაბრალე. ახლიდან გადავიკითხე შეტრობინება. არ შევმცდარვარ.ის იყო გამოგზავნილი საიტიდან:

http://www.killthehead9.com/

ეს რა უბედურებაა?
უეცრად შევხტი და ვერც მოვასწარი რამის გააზრება, რადგან საპირფარეშოდან ღრიალი გავიგონე. ეს იმ იდუმალი თავხედი ბიჭის ხმა იყო, რომლის სახელიც კიარ ვიცოდი და რომელმაც ცოტა ხნის წინ ჩემი კოცნა სცადა. მე კიდევ მეგონა რომ უკვე წავიდა...
-მეგი, გათიშე ტელეფონი!
მიყვირა მან. ჩემი სახელი დაუმახსოვრებია... გონზე ვერაფრით ვერ მოვდიოდი. რა ხდებოდა? რას ნიშნავდა K I L L T H E H E A D? ეს ხომ... ეს... ნუთუ მან გადაწყვიტა... გაფიქრებაზეც გამაჟრიალა. არა, სისულელე იყო მაგაზე ფიქრიც კი. სიცოცხლე ხომ ასეთი საამურია? მაგრამ...

კარებზე ბრახუნი დაიწყო. ეს რომ ერთი უბრალო ონლაინ თამაში ყოფილიყო ასე ძალიან რატომ გაგიჟდებოდა? შეტყობინება გავხსენი. თითქოს რაღაც ინსტიქტები მამოძრავებდა, თითქოს იმას რასაც ახლა ვაკეთებდი, აუცილებლად უნდა მექნა. ავტომოპასუხი ჩაირთო. დაუფიქრებლად ვუპასუხე. რობოტივით ვმოძრაობდი. ანუ ეს ასე მუშაობს? ამიტომ იხოცებიან ახალგაზრდები?მაგრამ ეს ხომ... ეს ხომ სისულელეა? აბსურდი და მეტი არაფერი!

უეცრად კიდევ გავიგონე ერთი ბრახუნის ხმა და ბიჭი გარეთ გამოვარდა. კარები პირდაპირ თავში მომხვდა. ტკივილისაგან წაბარბაცებულს ტელეფონი ხელიდან გამივარდა. არა, ეს ყოვლად დაუშებელია! - გონებაში მაინც ვეწინააღმდეგებოდი, იმას რაც წამების წინ

თვალებმა დაინახა, გონება კი მაინც ვერაფრით აღიქვამდა. ხშირად ვთვლიდი რომ ისიც ჩემსავით ჯიუტი იყო.

-მეგი.

რა მეგი, რა მეგი?

-რა? ეს რაღაა?

უბრალოდ არ ვიცოდი სხვა რა მეთქვა.

-წადი!

ასეთი უგულო როგორაა?

-რა?

-ვერ გაიგონე? წადი მეთქი!

-მაგრამ მე... მე წავიკითხე... ეს... ეს შენი ტეფონია? ეგ შეტყობინება შენთვის იყო? -შენი საქმე არაა მეგი, წადი!

ერთი წამით დავფიქრდი და ის მართალს ამბობდა, ეს მართლაც არ იყო ჩემი საქმე, მაგრამ რატომღაც დავიჟინე რომ ყველაფერი უნდა გამეგო. ვინ იცის, იქნებ ეს მართლაც უბრალოდ ერთი ონლაინ თამაში იყო და ყველაფერი მე გავაბუქე?! ასეთ შემთხვევაში სახლში მშვიდად დავბრუნდებოდი და ამაღამაც მშვიდად დამეძინებოდა.

-როგორ...

-სანამ თავაზიანად გთხოვ მომშორდი. ან საერთოდ, ვერ ხედავ რომ უკვე ყველა წავიდა?

კიდევ ერთხელ და ძალზე ახლოდან ჩავხედე თვალებში. არა მე ნამდვილად არ მეჩვენებოდა, ის მართლაც მთხოვდა დახმარებას. ჩემს ამ უზომო ინტერესს, ცოტახნის წინანდელი სიბრაზე ჩემში მთლიანად გადაეფარა. როგორ მთხოვდა ასეთ დროს წასვლას? რანაირად სურდა გამცლოდა მას მერე რაც მე თითქმის ამოვხსენი მისი ის საიდუმლო, რომლის ამოხსნაც მისი დანახვის პირველივე წამიდან მომინდა? რანაირად მტოვებდა მას შემდეგ როცა ჩვენმა თვალებმა ერთმანეთი იპოვა?

-არ წავალ! - გავჯიუტდი ბავშვივით და მის რეაქციას თამამი გოგოს ნიღაბ-ამოფარებულმა დაველოდე. სინამდვილეში ჩემი სითამამიდან ნასახიც კი აღარ დამრჩენოდა. ცოტაც და გონს მთლიანად დავკარგავდი, მაგრამ მაინც არ დავუშვებდი ყველაფრის უბრალოდ შუა გზაზე გაწყვეტას. რაც არ უნდა ჩემი საქმე არ ყოფილიყო, როგორც არ უნდა სულელი, აბეზარი გოგო ვგონებოდი, მაინც გავიგებდი რა ხდებოდა სინამდვილეში. მერჩევნა შევძულებოდი და ეცოცხლა, ვიდრე შევყვარებოდი და მომკვდარიყო.

სიმწრისგან სუნთქვა გახშირებოდა და მხრები მთლიანად უთრთოდა. პირი ოდნავ რაღაცის სათქმელად შეაღო კიდეც მაგრამ მერე გადაიფიქრა და უბრალოდ გამეცალა. იფიქრა ამას შევარჩენდი? შევარჩენდი რომ ჩემი კოცნა დებილივით სცადა, იმის და მიუხედავად მინდოდა მე ეს თუ არა, საშინლად მეუხეშა და შეურაცჰყოფა მომაყენა, მერე კარი თავში მომარტყა და ბოლო ხმაზე მიღრიალა, დაბოლოს გადაწყვიტა ასეთ დროს უკვე მთლიანად დაცლილ სახლში მარტო დავეტოვებინე? არ მესმოდა ამდენი ცუდის შემდეგ რატომ ჩავაცივდი მას ასე ძალიან, მაგრამ ამაზე უფრო მეტად თვითონ მისი არ მესმოდა. არ მესმოდა მისი ცინიკური საქციელების, მისი უზარმაზარი ტრაგედიის რომელსაც მხრებით ატარებდა და რომელიც აშკარა იყო და რაც ყველაზე მთავარია, მე არ მესმოდა და ვერ ვიგებდი იმ შეტყობინების არსს. თუ გინდათ ზედმეტ ცნობისმოყვარეობას მიაწერეთ, თუ გინდათ ჩემს სიჯიუტეს, მაგრამ ახლა ის ასე უბრალოდ რომ გამეშვა, მერე ამას მთელი ცხოვრება ვინანებდი. ეს ზუსტად ვიცოდი. ვინანებდი რომ არ ვკითხე, ვინანებდი რომ არ შევაჩერე. და მეც გავეკიდე და ხელი მკლავზე ჩავჭიდე. მთლიანად ხურდა და ამავდროულად თრთოდა. გამაჟრიალა.

-საით? - ველარ ვცნობდი ჩემს ხმას. ამან საბოლოოდ გამოიყვანა წყობილებიდან ბიჭი და თავისდა უნებურად მაღალ ხმაზე შემეპასუხა.

-შენ ცუდად ხომ არ ხარ? არც შენით მიდიხარ და არც წასვლის უფლებას მაძლევ? შენი კოცნა ვცადე და კინაღამ თავყბა გამიერთიანე, ბოლო-ბოლო რა გინდა, თავს აღარ დამანებებ?

ხმაურზე იქვე დივანზე სერგისთან ერთად მძინარე ნინი, რომელიც ახლაღა შევნიშნე, კინაღამ გამოფხიზლდა მერე ერთი ამოიკვნესა და ძილში ლაპარაკი დაიწყო. სიცილი ძლივს შევიკავე და ისევ ბიჭს ავხედე, მაგრამ ჩემდა გასაოცრად ისეთი რამ დავინახე რამაც სწორად მეტყველებისა და საღად აზროვნების უნარი მთლად დამიქვეითა. ბიჭი იღიმოდა და ეს იყო წრფელი ღიმილი, არა თუ ცინიკური, დამცინავი თუ ეგოისტური, არამედ ნამდვილი. ამ ღიმილმა თითქოს მისი მოღუშული სახე ერთიანად გაანათა. მის ლამაზ ნაკვთებს ღიმილი დაუნდობლად მოუხდა. ღმერთო, ძალიან გთხოვ არ იყოს ცუდი ბიჭი რა, არ იყოს ცუდი... არ იყოს და მე იმასაც ვაპატიებ რომ ჩემი კოცნა სცადა. არ იყოს და დავიჯერებ რომ ამ სამყაროში კარგი ადამიანებიც არსებობენ...

-სანამ არ მეტყვი რა ხდება, აქედან ფეხს არ მოვიცვლი!

ის შემთხვევითი, უდროო და უტაქტო მაგრამ უზადოდ მშვენიერი ღიმილი სახიდან გაუქრა და მის თვალებში ისევ ამოუცნობმა ტკივილნარევმა გრძნობამ დაისადგურა. ერთხანს თვალებში დამონებულივით მიცქირა და მე ვიგრძენი რომ ის მიხვდა ველარაფერს გააწყობდა. და დავინახე სახე კვლავაც როგორ მოულბა. ასე ის იმაზე ბევრად უკეთესი ხდებოდა, ვიდრე რეალურად იყო.

-თუ გინდა სახლამდე მიგაცილებ.

მომიგო მშვიდად.

-მინდა, - მეც მშვიდადვე მივუგე, მაგრამ მისმა ამ ხასიათის უეცარმა ცვლილებამ ცოტა არ იყოს შემაშინა. ისედაც სიგიჟემდე დამფრთხალი, თავს ძლივს ვიკავებდი ემოციები რომ არ გამომეჩინა, ასე სუყველაფერს გავაფუჭებდი და ამდენ შრომას წყალში ჩავყრიდი.

-და მერე ხომ მეტყვი რა ხდება? - არ მოვეშვი.

-გეტყვი, - თავი არადამაჯერებლურად დააქნია.

-მპირდები?

-მეგი გეტყვი, მეთქი, - გაიღიმა. ისევ. მისი ეს სახე მეც ამერეკლა და ვიგრძენი როგორ დამეჭიმა სახის კუნთები. თითქოს მასზე გაბრაზება სადღაც უკვალოდ ისე გაქრა, როგორც გამოჩნდა... ასე წამიერად. ეს ღიმილი მატყვევებდა და რაღაც უცნობ ემოციებს მჩუქნიდა.

გარეთ უსიტყვოდ, ფეხაკრეფით გავემართეთ. ვინ იცის რომელი საათი იყო, მე კი ამ დროს ბიჭთან ერთად პირველად ვიყავი. ბიჭთან, რომლის სახელიც კი არ ვიცოდი. ღმერთო, ეს რა ხდებოდა ჩემს თავს. ჩემმა სიჯიუტემ ეს სადამდე მომიყვანა.

-მე ხომ შენი სახელიც კი არ ვიცი.

მივუგე კანკალით.

-გცივა?

-არა.

-მეგი კანკალებ, - გაიცინა - მოგახურებ.

მის პიჯაკს უცნაური სუნი ასდიოდა. თითქმის თამბაქოსი, აი ისეთი როგორიც მამას პიჯაკებს, თუმცა თან თითქოს რაღაც სხვა... ამას კიდევ საზამთროს მკაფიო და ოდეკოლონის სურნელი ერია. ეს ნაზავი ფილტვებში ხარბად შევუშვი და სასიამოვნოდ გამაჟრიალა.

-და სახელი?

ჩავაცივდი.
-როგორი უცნაური ხარ?
-შეიძლება...
-და თამამიც.
-შეიძლება.
-და კიდევ სულელი...
-შენ სახელს აღარ მეტყვი?
-მე? მე არავინ ვარ მეგი, მე არარაობა ვარ!
ისე მშვიდად წარმოთქვამდა ამ სიტყვებს, შევშფოთდი.
-როგორ თუ არავინ? სახელი ჩემს კუსაც კი ქვია!
-სად ცხოვრობ?
-აქვე, ძალიან ახლოს, მაგრამ თემა გადაგაქვს…
-რომ გთხოვო, აღარ დაინტერესდები ხო?
-შენ როგორ გგონია?
-და ძალიან რომ გთხოვო?
-ღმერთო ჩემო, ამოღერღე ბოლო-ბოლო, გპირდები რომ არ დაგცინებ!
-და რაზე უნდა დამცინო?
-მე რა ვიცი, აბა რატო არ მეუბნები შენ სახელს? ესეიგი რამე მოძველებული გქვია, მაგალითად შალიკო ან ნუგზარი, ან კიდე...
-მართლა რა სულელი ხარ...
-უსახელო მაინც არ ვარ!
-ო, მეგი... მოკლრდ, ქალმა, რომელმაც გამაჩინა ნიკა დამარქვა, - რას ნიშნავს ქალმა, რომელმაც გამაჩინა? - მე კი ჩემს თავს არარაობას ვუწოდებ, რადგან მე არ უნდა ვვარსებობდე. როგორ აგიხსნა... ჩემი არსებობა საბრალოა. ეს ერთი დიდი შეცდომაა, გესმის? არა, მაინც ვერ ვხვდები რას შეცვლის ეს ინფორმაცია შენთვის. თანაც, შენ რას გაიგებ? გიყურებ და მამიკოს მილიონებს ვხედავ, ალბათ ყველაფერი გაქვს რასაც ინატრებ. ერთი გათამამებული ჯიუტი გოგო ხარ, რომელსაც ჰგონია დედამიწა თავის გარშემო ბრუნავს! ჰე, გოგონი მიმოიხედე, გარშემო არაფერია რაც გაგაბედნიერებს, ის ჰაერიც კი რომელსაც სუნთქავ მომაკვდინებელია... არ მესმის საერთოდ რას ელი ამ ცხოვრებისგან!
რა სჭირდა ამ ბიჭს? ძალიან იმოქმედა ჩემზე მისმა სიტყვებმა. ალბათ იმიტომაც რომ ის თავის დედას უბრალოდ ქალს უწოდებდა, რომელმაც გააჩინა და მეუბნებოდა რომ მე ყველაფერი მაქვს. სინამდვილეში რა იცოდა, რაც ყველაზე მთავარია ის არ მაბადია... დედის სითბო მაკლია... ის კი ისე აუგად იხსენიებდა დედამისს... როგორღაც თავისი სიტყვების სიცრუეში უნდა დამერწმუნებინა.
-მაღლა აიხედე, ვარსკვლავებს ხედავ?
ვკითხე.
-ვხედავ.
-აი მე მაგ ვარსკვლავების არსებობაც კი მაბედნიერებს!
მივუგე და ჯერ ზეცას ავხედე, მერე კი თვალებში ჩავხედე. ორივემ ჯერ შევანელეთ, მერე კი მთლად შევწყვიტეთ სვლა. დუმილი ჩამოვარდა. კვლავაც ძალზედ ახლოს აღმოჩნდა ჩემთან. ახლა უკვე აღარ ვეწინააღმდეგებოდი, მინდოდა შემომჩვეოდა, მინდოდა მომნდობოდა და თავისი სადარდებელი გაეზიარებინა ჩემთვის. ზოგჯერ ადამიანი ხომ უცხოს უფრო თამამად ესაუბრები შენს პრობლემებზე, ვიდრე ადამიანს ყოველდღიური

რეალობიდან, რომელიც ისედაც ხედავს ამ ყველაფერს და რომლისთვისაც უკვე სულ ერთია. მაგრამ ამჯერად თვითონ დაიხია უკან, ისე თითქოს ახლაღა გამოფხიზლდაო.

-რა სისულელეა...

აღმოხდა და ფსიქოფათივით გაიცინა. შემეშინდა.

-სისულელე არ არსებობს იცი? შენით თუ არ გაიფერადე ცხოვრება, სხვა შენს მაგივრად ამას სულ არ იზამს.

-და თუ არ მინდა გაფერადება?

-ახლა ორივემ ვიცით რომ ტყუილს ამბობ. თვალებმა ჩაგიშვა ნიკა, შენი თვალები სხვა რამეს ამბობენ. შენს თვალებში მე შიშს ვხედავ. შიშს სიკვდილის, შიშს სიცოცხლისაც და შიშს მარტოობისაც. სინამდვილეში ხომ შენც კარგად იცი ეს! შენ გეშინია...

ხელზე ფრთხილად შევეხე. გაყინული ჰქონდა. ეგრევე გამომტაცა.

-ვერაფერსაც ვერ ხედავ! ერთი მატყუარა, ამპარტავანი, უაზრო ვინმე ხარ. საერთოდაც, თუ ვერ ხედავ ახლა ბნელა და რაც შემეხება მე არაფრისაც არ მეშინია!

-შენს თვალებში ამის ამოსაკითხად სიბნელე ვერ შემიშლის ხელს ნიკა... შენ არ გინდა ის, რასაც აპირებ. შენ სიცოცხლე გინდა, უბრალოდ გეშინია! აღიარე...

-არა, შენ არ იცი მე რა მინდა, შენ საერთოდ არაფერი იცი ამ ქვეყანაზე და ვერც ვერასდროს მიხვდები!

-ხოდა მაშინ მითხარი… მიმახვედრე მაშინ!

-არ შემიძლია.

-რატომ?

-უბრალოდ არ შემიძლია.

-შეგიძლია!

-არა, არ შემიძლია!

-არა, უბრალოდ არ გინდა... თუ მოინდომებ შეგეძლება. სცადე, შემოუშვი ტკივილი. ეგ მხოლოდ თავიდან გაგიჭირდება, აი მერე კი შენ თავად ნახავ რამხელა შვებას იგრძნობ. გესმის? ხვდები რას გეუბნები? ნება მომეცი... ნება მომეცი შეგეხო, - ხელზე ნაზად შევეხე. ეს შეხება და მისით გამოწვეული შეგრძნებები რომლებიც სხეულში ელექტროველივით მივლიდა, თითქოს ყველანაირ ადრენალინის შეგრძნებას სჯობნიდა, - ახლა შეეცადე ღრმად ისუნთქო. გინდა სადმე ჩამოვსხდეთ?

-მეგი ძალიან ახლოს ხარ, გთხოვ, - ჩამჩურჩულა ყურში და ჩემგან ისევ თავის დაღწევა სცადა, მაგრამ ისევ არ დავაცადე.

-უბრალოდ შეეცადე. ცუდი ფიქრები განდევნე და ღრმად ისუნთქე, - შუა გზაზე გაშეშდა. პარალელურად მეც გავჩერდი და ხელი მის მკერდზე გადავანაცვლე. მისი გულის გაგიჟებულ ფეთქვას ვგრძნობდი. ეს ხომ სიცოცხლის ხმები იყო! ისიც თუ მიხვდებოდა ამას, ეგ აზრი საერთოდ ამოუვარდებოდა თავიდან. აზრი რომ სიკვდილს იმსახურებდა. რაღაც საშინელ დარდს იტევდა ამ გიჟივით აძგერებულ გულში. ამაში ორი აზრი აღარ იდო. მე მზად ვიყავი მას დავხმარებოდი, დაგან გასაქრობად და დასასამარებლად უბრალოდ მენანებოდა.

-ისუნთქე... - ვუთხარი და ლოყა ლოყაზე მივაბჯინე. მინდოდა მასაც ისევე ეგრძნო ჩემი გულის ცემა, როგორც მე ვგრძნობდი მისას.

-მაწამებ... - აღმოხდა სასოწარკვეთილი ხმით.

-შენ უბრალოდ შემოშვების გეშინია. დანებდი ნიკა, შემომიშვი შენს გონებაში, წამაკითხე შენი აზრები... მე აქ ვარ, ახლა შენთან ვარ, ასე ახლოს ვარ და შენ არაფერი არ გაკავებს. მე შენი დახმარება შემიძლია, შენ თუ მოინდომებ.

-გამიშვი, უნდა წავიდე.
-არა, ვერ წახვალ! უნდა მითხრა, გესმის? ასეთი რა გჭირს?
-ვერ გეტყვი! შემეშვი, რა, უნდა წავიდე...
-არა!
-ეს დედა ატირებული თავს დამანებებ ბოლო-ბოლო? ვინ ხარ, რას გადამეკიდე? არ მჭირდები და შეიგნე უკვე! არც ეგ შენი უნიათო ლექციები მჭირდება! წადი რა, დედაშენს უკითხე! იქნებ იმას მაინც გამოადგე რამეში, თუმცა არ მგონია, ისიც შენნაირი იქნება. ხო, ერთნაირები იქნებით, შვილი ხომ დედის სარკეა! თუ როგორ ამბობენ? ან კიდევ მკიდია რა, მომეცი ჩემი პიჯაკი მივდივარ. და ჰო, დაივიწყე რომ შენი კოცნა ვცადე, საერთოდ ამოიგდე ეგ ფაქტი გონებიდან, რადგან გიყურებ და ახლაღა ვხედავ რომ ნამდვილად არ ხარ ამ პლანეტიდან!

გული მთლიანად ჩამწყდა. საერთოდ ხმის ამოღება აღარ მინდოდა. ერთადერთი ახლა რაც მსურდა, ჩემს ოთახში ჩაკეტვა და დილამდე ტირილი იყო. მაგრამ, არ შემეძლო დედაჩემის შეურაცხყოფა მეპატიებინა. სხვა ყველაფრის პატიებას შევძლებდი, თუმცა ამისას ვერა. პიჯაკი გავიხადე და ზედ მთელი ძალით მივაგდე.

-იცი რას გეტყვი, ნიკა ხარ თუ ვინ უბედურებაც ხარ, შენ ნამდვილი ლაჩარი ხარ! მაშინ როდესაც ყველა კუთხე-კუნჭულში სიცოცხლე ლამაზად გალობს, შენ უმადური დგახარ და კვდები. საკუთარ ცოცხალ და სხვის გარდაცვლილ დედას აუგად იხსენიებ და ეგ ამაყი ბიჭის საქციელი გგონია! მართალი იყავი თურმე, შენ მართლაც არარაობა ხარ, ერთი ბრმა და დაუნახავი ვინმე! დანახვა უნდა მაგ შენს ბედნიერებას დანახვა, თორემ შეიძლება ყველაფერში იყოს იგი... აი ამ ვარსკვლავებით მოჭედილ ზეცაში, ამ გრილ ნიავში, ყველაფერში… ხოდა, შენ კიდე დგახარ და თვალებს შენივე შიშველი ხელებით ითხრი რომ ბედნიერება ვერ დაინახო. აი რა არის ნამდვილი საცოდაობა! მებრალები! დედის სულს გეფიცები მებრალები და მეტი არაფერი! და მაინც როგორი სულელურია, დაინახო ამ სიბრალულში რაიმე მეტი... ნეტავ მეორე მხარესაც გამერტყა შენთვის!

თითქოს ტრანსში ვიყავი. ვერც კი შევნიშნე რომ ზუსტად ჩემი სახლის წინ ვიდექით უკვე. ცოტაც და ავტირდებოდი, ამიტომ მთელი სისწრაფით გავიქეცი. არ მინდოდა ჩემი ცრემლების მომსწრე გამხდარიყო. ჩემს ცხოვრებაში ყველაზე უცნაური, ემოციური და საშინელი ღამე იყო.

-არც ეხლაა გვიანი... მეგი...

მომაძახა უკნიდან. მის ხმაში იმდენი სინანული და ნაღველი იგრძნობოდა... თუმცა აღარ მადარდებდა. აბა მე ვინ მკითხავდა? რა მინდოდა, საერთოდ რას გადავეკიდე იმ მანიაკს? სიკვდილი უნდა? მაშინ მოკვდეს... ვერც ხვდება უკვე როგორ იღუპავს თავს. მე ხომ არავის მხსნელად არ მოვევლინე ამ სამყაროს, რატომ დავიჩემე რომ სწორედ მე ვიყავი მისი გადამრჩემელი? სულ ცოტა ხანში თავისით მიხვდება რომ რაც აუჩემებია უბრალო სულელური და საბრალო ახირებებია და მეტი არაფერი. აი მაშინ კი მართლაც შერცხვება თავისი თავის, თავისი სიტყვებისა და უაზრო, უბედური საქციელების და შესაძლოა ჩემიც... და თუ ოდესმე კვლავ შევხვდებით ქუჩაში ერთმანეთს, ის ამ სირცხვილით თვალებსაც ვეღარ გამისწორებს და სწორედ ეგ იქნება მაგისი სასჯელი!

სახლში შევვარდი და კარებშივე ჩავიკეცე. ცრემლები წამომცვივდა. ვერ ვხვდებოდი რა მომდიოდა. არა, მე არ დაველოდებოდი ჩვენს მეორედ შეხვედრას და არც მასზე აღარ ვიფიქრებდი აღარასდროს. ეგ ლაჩარი ჩემი ოდნავი ყურადღების ღირსიც არ იყო და არც მის უაზრო, უშინაარსო სიტყვებს არ უნდა შესძლებოდათ ჩემი ატირება. და თუ მართლაც ასე ვთვლიდი, მაშინ რატომ მიფორიაქებდა გული ასე ძალიან? ისე თითქოს მალე რაღაც

საშინელება უნდა დატრიალებულიყო ჩვენი, ყველას თავს. არა, არა აუცილებლად ყველაფერი უნდა გამეგო. რა დროს მოთქმა და ტირილი იყო! უნდა გამერკვია, იყო ეს ჩემი საქმე თუ არა. სიმართლე მაინც უნდა გამეგო და ვსო... ოთახში ფეხის კანკალით ავედი, ქუსლიანები სასწრაფოდ გავიძრე, მერე კომპიუტერი ჩავრთე და ავკრიფე:

http://www.killthehead9.com/

ღმერთო...ის თავს იკლავს, ნამდვილად სიკვდილი უნდა… ის თავს იკლავს…

ნიკა

იმ ‘რენდომ’ წვეულებაზე, ‘რენდომ’ გაცნობილმა გოგომ თავი არაფრით დამანება.

მომეჩვენა კიდეც რომ ჩემს მოთმინებას ცდიდა. იდგა და ლექციებს მიკითხავდა. თავისი ვიწრო ჭკვით თუ მომიახლოვდებოდა გადამარჩენდა. მემგონი საკუთარი თავის განდიდების მანია სჭირდა... ან კიდევ, მაინც რა ბედნიერებას უნდა ვხედავდე ვარსკვლავებში? რა სისულელეა…

ლეპტოპი ჩავრთე და საიტზე შეტყობინების გასახსნელად შევედი. ესემესების გრაფაში ეწერა:

"I ეტაპი - გადაიღე ვიდეო, სადაც ხელებს მთლიანად ისერავ და ატვირთე ვებ-გვერძე. წესები მარტივია. ძიების რეზულტატში საიტის სახელწოდების აკრეფვის შემდგომ, თქვენ

მოხვდებით ჩვენს ვებ-საიტზე. თუ რეგისტრაცია უკვე გავლილი გაქვთ, ავტომატურად აღმოჩნდებით ჩვენს გვერძე, სადაც სიახლის დამატების რგოლში დაპოსტავთ თქვენს შესრულებულ დავალებას. დრო 24 საათი.

ყურადღება ---> თუ თქვენ ჯერ კიდევ არ გაგივლიათ რეგისტრაცია, საშუალება გეძლევათ ამის გარეშეც იხილოთ პირველი ეტაპი და მისი წესები. დეტალური ინფორმაციისათვის, შემოუერთდით თამაშს. არჩევანი თავისუფალია, დრო კი... დრო იწურება.

დავალების არ შესრულების შემთხვევაში, თქვენ ავტომატურად ირიცხებით სექტიდან.

P. S ჩვენი სექტა დემონს ემორჩილება. დემონი თუ გაბრაზდა, კარგი არაფერი მოხდება თქვენს თავს. ის იმაზე უარესს დაგმართებს, ვიდრე ახლა ასე ძალიან გწყურია. ის სიკვდილზე უარესს დაგმართებს!"

მეღადავებიან ესენი???

ოცი საათი დამრჩა…

მეგი

I ეტაპი...

ეს რა უღმერთობაა...

გაწევრიანება _ რა თქმა უნდა არ მინდა.

ამჟამინდელი სექტის წევრები _ ლევანი, სანდრო, ნიკა...
როგორც ჩამონათვალმა მიჩვენა, ჩემდა საბედნიეროდ და ამავდროულად საუბედუროდ, სექტაში მართლაც იყო ვინმე ნიკა მეგრელიშვილი და მხოლოდ ერთი. თვრამეტი წლის? ნამდვილად ის უნდა ყოფილიყო... კი მაგრამ ამ ინფორმაციას რატომ ასაჯაროვებდნენ? თუმცა, ზედმეტად აღარც მიფიქრია, უბრალოდ ჩავთვალე რომ სასწაულებრივად

გამიმართლა და უფალს მადლობა შევწირე. ეს აუცილებლად იმას ნიშნავდა რომ სწორად ვიქცეოდი. საიტის დახმარებით ნიკას მისამართის პოვნა არ გამჭირვებია. სომხეთის ქუჩა ჩემგან ძალიან ახლოს იყო. რა თქმა უნდა ვითავისებდი რა სიგიჟესაც ჩავდიოდი, მაგრამ რაღაც განსხვავებული ჩემს ცხოვრებაში პირველად ხდებოდა. არა, ეს იმიტომ კი არ გადავწყვიტე რომ სიახლეების ძიებაში ვიყავი... უბრალოდ დავიჟინე რომ ამ ამბავში მე დიდი როლი უნდა მეთამაშა. ნიკას სიბნელეში ნათელი შტრიხები სწორედ მე უნდა შემეტანა. ეს ყველაფერი უბრალო დამთხვევა ვერ იქნებოდა. ინტერესი მკლავდა, მაინც რა იყო მიზეზი იმისა რომ ასეთი სერიოზული გადაწყვეტილება მიეღო. ეს ხომ... ეს ხომ დიდი უგუნურება იყო მხოლოდ და მეტი არაფერი?! ვიცი, ვიცი რომ თითქმის არც ვიცნობდი მას. თითქმის კი არა საერთოდ არ ვიცნობდი, მაგრამ მისი მუდარით სავსე, სევდა-შემოფეთებული, წყლიანი თვალები, რომლებიც ასეთი სიფრთხილით მიმზერდნენ, გონებიდან არაფრით ამომდიოდა. როგორც არ უნდა მეცადა ამ თვალებს ვეღარ დავივიწყებდი. ვერც მის გააფთრებულ გულის ცემას და რაღაც უცნაურ, მაგრამ სასიამოვნო სურნელს. ვერც იმ სიბრალულის გრძნობას, რომელიც მასთან პირველად გამოლაპარაკების შემდეგ გამიჩნდა. და ის გამოწვეული სიბრაზე როდესაც არც კი დაფიქრებულა უცხო გოგოს კოცნა ისე ურცხვად და ამპარტავნულად სცადა, კიდევ დიდი ხანი აღარ გაქრებოდა. მაგრამ ის ერთადერთი რასაც ამ სიბრაზეზე მეტად ვგრძნობდი ჩემში ეს მისი დახმარების სურვილი იყო. რაც უფრო მეტად მიშორებდა თავიდან, მით უფრო მეტად მსურდა მივვახლოვებოდი. ეს რაღაც პარადოქსივით იყო და არადა არ სრულდებოდა...

ბოლოს როცა ის საშინელებები მითხრა, მაგ სიტყვების გარდა უცებ ვეღარაფერზე ვიფიქრე, როგორც მჩვეოდა გავცხარდი და მეც სისულელეებით გამოვუჭედე ტვინი. სახლში საშინლად გაბრუებული შემოვვარდი მაგრამ არ ვიცი ზუსტად რისგან უფრო... რამოდენიმე ჭიქა ალკოჰოლის მიღებისდა მიუხედავად, ყველაფერი მაინც ზუსტად, დეტალურად მახსოვდა, თუმცა დაჯერება მიჭირდა. და რა გამოდიოდა, რომ ახლა ნიკა სახლში წავიდოდა და ხელებს ბოლომდე დაისერავდა? თანაც ამ ყველაფერს გადაიღებდა კიდეც? ადამიანები ასეთ რამეებს რატომ უნდა სჩადიოდნენ? ავადმყოფია განა? იმას დიდი ფიქრი აღარ უნდოდა რომ მოქმედებაზე უნდა გადავსულიყავი. პირველ სართულზე ისევ ჩავიპარე. სახლში ჩამიჩუმი არ ისმოდა. სიბნელეში კასპერივით დავბრწოდი. საშინლად გრუხუნებდა. მეგონა სადაც იყო გული გამისკდებოდა. მიდი რა, უნდა შევძლო, არც ისეთი ძნელი არ უნდა იყოს... ნეტავ სად ინახავს ხოლმე ლადო მანქანის გასაღებს? ყველა შესაძლო მცდელობის მერე იმედი საბოლოოდ გადავიწურე და ისიც ვიფიქრე ფეხით ხომ არ წავიდე მეთქი. კარი ხმაურით გამოვაღე და როგორც კი გარეთ გავედი წვიმამ დაუშვა. რა? კი მაგრამ, მე ჩემი ნიშანი ხომ უკვე მივიღე?

სახლში ჩემი ყვითელი საწვიმარის ასაღებად შემოვბრუნდი. მისაღებში კედელზე დაკიდული პატარა თეთრი კარადა გამოვხსენი და... პირველი რაც თვალებში შემომეფეთა ეს მანქანის გასაღები იყო. ვფიცავარ, ჩემი გულის აძგერების ხმა გავიგონე. ახლა უკვე მესმოდა ეს გაწვიმების ამბავიც. კიდევ ერთი ცოცხალი მაგალითი იმისა რომ უმიზეზოდ არაფერი არ ხდება. ხოდა არც ჩემი და ნიკას შეხვედრა იქნებოდა შემთხვევითი და უმიზნო.

იმ ლადოს მანქანის გაკვეთილებს, რომლებიც დღემდე ჭირივით მეზიზღებოდა, ახლა მადლობას ვწირავდი. მას სურდა რაც შეიძლებოდა მალე ჩამებარებინა და ამეღო მართვის მოწმობა. მპირდებოდა რომ ამის შემდეგ აუცილებლად მიყიდიდა პატარა საყვარელ წითელ "ნისანს" და მეც მხოლოდ ამის გამო ვთანხმდებოდი ხოლმე გაკვეთილებზე. არ ვიცი რატომ, მაგრამ ბავშვობიდან ამქსოფობია* მჭირდა. თვითონ მანქანებისაც უზომოდ მეშინოდა, ყოველთვის ფეხით სიარულს ვამჯობინებდი. თუმცა, ახლა ზედმეტი ფიქრის, განაზვებისა

და ფობიების დრო საერთოდ არ იყო. ჩემი შიშები უნდა დამეძლია როგორმე. სულ ვუმეორებდი ჩემს თავს რომ მე მათზე ძლიერი უნდა ვყოფილიყავი. ამ აზრით გაზავებული მანქანაში სწრაფად მოვკალათდი და ჩაბნელებულ ქუჩებს საგრძნობლად ნელა გავუყევი. დაძაბულობისგან ჯერ მხრები ამტკივდა, მერე ხელები ბოლოს კი მთელი სხეული. ჩემი მუცლის კუნთებიც უცაბედად მომსკდარი ადრენალინისაგან უფრო და უფრო შიგნით მიიწევდნენ, თუმცა გზა ცარიელი იყო. საბოლოოდ მივხვდი, რომ იმ ღამეს ბედი აშკარად მწყალობდა. სანამ შვებისგან ამოვისუნთქებდი და გამარჯვებულის შემახილებს მოვრთავდი, მანამდე დავინახე ჩემსკენ უსწრაფესად მომართული უზარმაზარი სატვირთო. წამის მეათასედში ჩაანაცვლა სიხარული შიშმა და ვიგრძენი რომ საჭეს ველარ ვიმორჩილებდი. ძალიან, ძალიან ცოტა მანძილიღა რჩებოდა, მე კი ველარ ვხვდებოდი რა უნდა გამეკეთებინა. დავიბენი. ამ დროს ჩემდაუნებურად თვალწინ ნიკას ტკივილნარევი თვალები და ლამაზი სახე ნათლად დამიდგა, რომელიც სიმწრისგან იკრუნჩხებოდა. არ ქონდა აზრი თვალებს დავხუჭავდი თუ არა, ეს სცენა ჩემს გონებას არაფრით ტოვებდა და ხილვა იმდენად რეალური იყო, ისიც კი მეგონა რომ ახლა, ამ წამს ხდებოდა. ხმამაღლა ვიკივლე და სიჩქარეს მოვუმატე. სატვირთოს რაღაც მილიმეტრებში ავცდი. უღონობამ მთელ სხეულში რაკეტასავით წამომიფრინა და მანქანა სადღაც მივარდნილ ადგილას გავაჩერე. თავიდან ბოლომდე ვკანკალებდი, სულს ძლივს ვითქვამდი და თან ვლოცულობდი. ღმერთო, ნეტავ დროზე მიმესწრო…

***

ერთი შეხედვით საკმაოდ ძველ, პატარა ორ სართულიან სახლთან აღმოვჩნდი, რომელსაც თავზე სამკუთხედის ფორმის სხვენი ედგა. ნეტავ ეს არის? ტელეფონზე კიდევ ერთხელ დავიხედე. მისამართი აშკარად არ შემშლია. მე ეს შევძელი! გამბედაობის მოკრებვისა და ჩემს ჭკვაში აზრების ჩამოყალიბების შემდეგ, ტელეფონი იქვე მივაგდე და ეგრევე გადავედი მანქანიდან. წვიმას როგორღაც გადაეღო, თუმცა ნიადაგი ისე ღრმად დაენამა, რომ კინაღამ ჩემი საბრალო ქუსლების იქვე ჩატოვება არ მომიხდა. დიდ რკინის კარებს მივუახლოვდი და იმდენი ვაბრახუნე, შემეშინდა კიდეც სულ არ ჩამომეღო. ნეტავ ვინმე თუ ჰყავს? - ვფიქრობდი, - და თუ ასეა რას იტყვიან? ხომ შეიძლება ქურდი ვეგონო და პოლიციაში დარეკონ? აი მაშინ კი მე და ჩემი არარსებული მართვის მოწმობა დიდ შარში გავეხვევით... რა სისულელეა, განა არსებობს ქურდი რომელიც კარებზე აკაკუნებს? ეს რა აგენტობანას თამაში მომინდა ამ შუა ღამეს? არა, ფაქტია რომ არავინ ჰყავს. ვინმე რომ ჰყავდეს ამ გადაწყვეტილებას მიიღებდა ეგ უბედური? მაგრამ მოიცა... მან ხომ დედა ახსენა, არა? უფრო სწორად, ქალი რომელმაც... იქნებ სწორედ მის გამო? კი, აშკარად ყველაზე მართებულია ეს ლოგიკა! თუმცა რა მნიშვნელობა აქვს, ამით ხომ შედეგები არ იცვლება...

-ნიკა… ნიკა!

ვყვიროდი კარებში მდგარი, სიცივისგან გათანგული და ამდენი ნერვიულობისგან ნორმალურად ხმაც კი არ ამომდიოდა. კარს არავინ მიღებდა. ნუთუ შევცდი? სიცივისგან და

შიშისგან ერთდროულად ვთრთოდი. გულზე ხელი დავიკრიფე და უაზროდ მისი ძველი სახლის კარის წინ გათენებამდე დგომა გადავწყვიტე. კი მაგრამ, ნუთუ სხვა გზა არ უნდა არსებობდეს? სახლს ხელახლა ავხედე და ამ ჯერად, უფრო მეტი სიფრთხილითა და გულმოდგინებით შევათვალიერე. ხელჩასაჭიდს და იმედის მომცემს რომ ვერაფერს მივაგენი, გარშემო შემოვუარე და მეორე სართულზე არსებულ ერთადერთ ფანჯარას მოვკარი თვალი. თუმცა იქიდან შუქი არ აღწევდა. დავფიქრდი. უცებ იქ აძრომის შესაძლებლობა გონებაში გადავხარშე. დაახლოებით ხუთ წამში უკვე ფეხსაცმელების გახდა დავიწყე და ამის შემდგომ უკვე მთლიანად დავარწმუნე ჩემი თავი იმაში რომ სუპერგმირი ვიყავი. ქალი-კატა, რომელიც მაღალი ქუსლებითაც კი ისე ოსტატურად დაცოცავს კედლებზე, როგორც თევზი დაცურავს წყალში. უბრალოდ ასეთ ფეხსაცმელებს ასეთი საქმისთვის ხომ არ გავაფუჭებდი, არა? ღმერთო ამგვარი შეურაცხადობა ოდესმე ჩამიდენია? წამით გამეცინა კიდეც ჩემს თავზე, როდესაც გარშემო მიმოვიხედე და რეალობა გავითავისე. ახლა რომ ეს ყველაფერი ერთი დიდი საშინელი ხუმრობა ყოფილიყო, მე იდიოტის როლში აღმოვჩნდებოდი, თანაც გასამართლებელი საბუთიც კი არ მექნებოდა. გამებედა? თუ დავფიქრდებოდი მართლაც შეშლილივით ვიქცეოდი, ამიტომ ცოტა ხნით ჩემს შინაგან ხმას გაჩუმება ვუბრძანე და პირველ სართულზე მდგარი პატარა აივნის გამოყენებით რომელმაც აშკარად გადამარჩინა (ისევ), ფეხსაცმელებით ხელში მაღლა აძრომა ვცადე. ამას თუ ვიზამდი, შევძლებდი მოაჯირზე ხელები მიმეწვდინა. როცა აივანზე დავდექი, მეგონა გული გამიჩერდებოდა. ჩემდა საბედნიეროდ სიმაღლის შიში არასოდეს მქონია. არა, გული იმიტომ კი არ მიცემდა ასე ძალიან, რომ სიმაღლეზე ვიდექი, არამედ იმიტომ რომ ახლა ნამდვილად ვიქცეოდი ქურდივით. აი, ზუსტად ისე, როგორც მძაფრ-სიუჟეტიან, მაღალ რეიტინგიან ფილმებშია. ბოლოს როცა საბოლოოდ გავიმყარე თავი, იქიდან ფანჯარაში პირველად ჩემი ფეხსაცმელები შევყარე. იმხელა ბრაგვანი მოადინა რომ ადგილზე ქანდაკებასავით მივიყინე და იქამდე ვიდექი ასე გაუნძრევლად, სანამ საცალფეხო მოაჯირზე მდგარმა წონასწორობა მთლად არ დავკარგე, კინაღამ თავით ბუჩქებში არ გადავეშვი და ყველაფერი არ ჩავაფლავე. სხეულში სირცხვილის მწარე ბასრი ელვა გაუჩერებლად მივლიდა.

-ისევ ეს სულელი კატები!

გავიგონე უცებ. ვაიმე! ეს ხომ მისი ხმა იყო? არის, არის! არა, მეგი მოიცა, ჯერ გადახტი და ჰოპლა მერე დიძახე! ერთი მცდარი ნაბიჯი და შეიძლება ძირს გათხლეშილი ფენოვანის ცომივით (აი ისეთი ფენოვანის, როგორსაც ლადო ამზადებს ხოლმე) მოვზვავდე და მერე სიცოცხლის ბოლომდე ამ სირცხვილის ტარება მომიწიოს! ისე, ჩემი პირველი გადაცემისთვის სიუჟეტი ცუდი არ არის; ღამით გოგონა, რომელიც ცოტახნის წინ შემთხვევით გაცნობილი ბიჭის ოთახში აივნის გამოყენებით ქურდივით აპარვას ცდილობდა, ფეხის დასხლტომის შემდგომ ცემენტზე თავით დაენარცხა. ახლა უამრავი დაბეჟილობითა და მოტეხილი ნეკნებით სავადმყოფოში წევს და თავბედს იწყევლის!

წარმოდგენაზეც კი გამაჟრიალა. მაგრამ ახლა უკვე როცა ჩემი ორივე ხელით ამ საფრთხობელა ფანჯრის რაფაზე საცოდავად ვეკიდე, უკან დახევის დრო ნამდვილად აღარ იყო. არც დრო იყო და არც ამის შესაძლებლობა. აბა რა ჩემი ბრალი იყო? მეც სხვა გზა აღარ დარჩენილმა, ტანი მთელი ძალით ზემოთ ავზიდე და მეთვითონაც ვერ მივხვდი თავპირის ლეწვით პირდაპირ ნიკას ოთახში როგორ მოვზავდი. ჯერ მისი შემზარავი ყვირილი გავიგონე, ისეთი რომ ძალაუნებურად მეც შევკივლე. ამ კივილზე ნიკამ კიდევ ერთხელ, ამ ჯერად უფრო ხმამაღლა შეჰყვირა. ჩემმა ფაქიზმა გულმა ამდენს ვეღარ გაუძლო და ისევ წამოვიკივლე. თითქოს ხმამაღლა ყვირილშიც კი ერთმანეთს ვეჯიბრებოდით. მერე

სწრაფადვე გავიგონე ჩამრთველის ხმაც და როგორც იქნა ყველაფერი ერთიანად განათდა. მე კი მართლა ფენოვანივით გაშოტილი ვიდე იატაკზე და სუნთქვის განაწილებას უშედეგოდ ვცდილობდი, მაინც არ გამომდიოდა. ვიღას ახსოვდა შენი ნიკა იმ მომენტში...

-რა ჯანდაბაა? ამის დედაც! შენ? ისევ შენ? აქ რა ჩემი ფეხები გინდა, სულ გამოშტერდი?

მიყვირა წყობილებიდან გამოსულმა. ჩემი სუნთქვა კალაპოტს არაფრის დიდებით არ უბრუნდებოდა. ხელით ვანიშნე ერთი წამით როგორღაც დამელოდე და მერე განაგრძე ჩხუბი მეთქი, მაგრამ ჩემი თხოვნა არ გაუთვალისწინებია.

-ან კიდევ საერთოდ... რა უბედურებაა, რანაირად მომაგენი? შენი არ მესმის! შენ... რა ადამიანი ხარ?!

-არ შეგიძლია ორი წამით ამომასუნთქო?

-რაო? გოგო რაებს ბოდიალობ? ჯერ იყო და სილა გამაწანი, მერე ტელეფონი მომპარე და ტუალეტში მივარდებოდი! ეს ყველაფერი რომ არ გეყო, ჩემი შეტყობინება დაუკითხავად გახსენი! მე ხომ ამაზეც არაფერი ვთქვი. მერე სახლამდე გაცილებაზე დამთანხმდი, მაგრამ ბოლოს მაინც შუა გზაზე ყვირილ-წივილით მიმატოვე! ესეც დავიკიდე, მაგრამ დილის სამ საათზე ჩემს სახლში ქურდივით რომ იპარები, აი ამას უკვე ვეღარ მოვითმენ! ვინ ხარ? საერთოდ რა ჯანდაბა გინდა?

-წყალი, წყალი მინდა… წყალი არა გაქვს?

-დამცინი ხო? აშკარად მეკაიფები. ფარული კამერა ხომ არ არის?

რაო? ყველანაირ თეორიას ველოდი, მფრინავ ელასტიკებსაც კი, ოღონდ ამას ნამდვილად არა. ხმამაღლა სიცილი ამიტყდა. აბა რა, აი ხომ უკვე გავხდი ცნობილი ჟურნალისტი და ახლა ფარული კამერაც მიმყავს თურმე.

-ეგაა, აქამდე როგორ ვერ მივხვდი ჩემი... ახლა ბედავს და იცინის კიდეც. კამერა სად არის? სერიოზულად, სადაა... არა, ამოსატანი თუ დაგრჩა პრობლემა არ არის, აგერ მაქვს.

ბოლომდე ვერც მოვტვინე რას ამბობდა. გონზე ჯერ ისევ არ ვიყავი მოსული.

-აუ, წყალი დამალევინე რა ძმურად, ადამიანი არა ხარ?

უცებ ისევ მომაშტერდა. ვხედავდი ტუჩის ორივე კუთხე როგორ უთრთოდა. სიცილს მთელი თავისი არსებით იკავებდა. მე კიდევ ასე გაბედულად, გაუჩერებლად შემეძლო სიცილი, მაგრამ შეკუმშულმა გულმა ამისი საშუალება აღარ მომცა. მერე ნიკამ ხელი ხელს შემოჰკრა და ბოთლი წყლის ასაღებად ოთახის კუთხეში მდგარი ყუთისკენ გაემართა. თვალი გავაყოლე და უნებურად მზერა ყუთზე არსებულ საგნებზე გადამიხტა. ეს რაღა იყო? თუ თვალი არ მატყუებდა იქ არც თუ ისე პატარა გაშლილი, ვერცხლისფერი დანა და მოძველებული კამერა უნდა ყოფილიყო. ხოო, მან მითხრა კამერა აქვე მაქვსო. ღმერთო, ახლაღა გამახსენდა აქ რასაც ვაკეთებდი. ოღონდ ის არ ყოფილიყო რაც მე მეგონა... ოღონდ ის არ ყოფილიყო... მაგრამ, ყველაფერი მხოლოდ ერთ რამეზე მიანიშნებდა. პირმოკუმულმა უხმოდ გამომიწოდა ბოთლი. მეც უთქმელად გამოვართვი და მოვიყუდე. გამწარებულმა მთელი ბოთლი ჩამოვცალე და რომ ჩამოვწიე ჩემდაუნებურად ისევ წამომეკივლა. ზუსტად ჩემს ცხვირ წინ დავინახე ნიკას სახე. ისიც ჩემსავით იატაკზე მოკალათებულიყო. მისი ეს საქციელი მეუხერხულა რაღაც. ცარიელი ბოთლი გავუწოდე. დახედა და გაეცინა. ხელები რომ გადაეჭრა სიცილს ვერ შეძლებდა, ხო? არ ვიცი. შავი უბრალო ჰუდი ეცვა და ვერაფერს ვხედავდი.

-კარგად ხარ? - ძალიან ხმადაბლა გამოსცრა და ბოთლი გამომართვა. ვერ გავიგე მისი ის დაუცხრომელი სიბრაზე, რომლითაც საშინლად მაშინებდა, ასე უეცრად სად გაქრა. მემგონი ნიკას დეიმონივით*2 "Angry issues" სჭირდა. მყვირალა ურჩხულიდან პატარა კნუტად გადაქცეულიყო.

-მგონი... - ვუპასუხე და ხელებზე დავხედე. არადა ისინი ძალით დასერილის კვალობაზე ზედმეტად მთელად მომეჩვენა. იქნებ არც აპირებდა ამის გაკეთებას? რა თქმა უნდა არ აპირებდა, ის ასეთი სულელი ვერ იქნებოდა... არ მინდოდა რომ ყოფილიყო.

-კარგია.

-ხო, ალბათ.

-ახლა მეტყვი ჩემს სახლში ქურდივით რატომ ამოეფოფხე?

-მე... - რა უნდა მეთქვა? გამემხილა სიმართლე? - მე...

-მშვენიერია! მეგი, როგორი დამაკმაყოფილებელი პასუხია.

მომწონდა თუ როგორც გამოთქვამდა ჩემს სახელს. რაღაცნაირი სიცივით... სიცივით? ცივი...

-მე წყალი მინდოდა, ცივი წყალი ხო...

-და ახლა შენ გინდა დავიჯერო რო სხვის სახლში ღამის სამ საათზე წყლის დასალევად შეიპარე?

-ნიკა...

-რა ნიკა? წყობილებიდან ნუ გამოგყავარ და მიპასუხე რომ გეკითხები!

რამის დამალვას აზრი არ ჰქონდა. ადრე თუ გვიან მაინც მიხვდებოდა ჩემს მოტივებს. ცივილიზებული ადამიანივით პირდაპირ უნდა მეკითხა ყველაფერი. მაგრამ ეგრე თუ იყო, ცივილიზებული ადამიანივით სახლში შესასვლელად კარი რატომ არ გამოვიყენე?

-უკვე შეასრულე?

ვკითხე როგორც იქნა და ოთახში ჩემს ფეხსაცმელებს დავუწყე თვალიერება.

-რა?

გაკვირვებული სახე მიიღო. ფეხზე წამოდგა, თავზე ორივე ხელი მოიკიდა და აქეთ-იქით დაიწყო სვლა.

-იმედია რაც მე მგონია მაგაზე არ მეკითხები... არა პროსტა, შანსი არ არი!

-არი! არი და ზუსტად მაგაზე გეკითხები! დიახ, საიტზე შევედი და ყველაფერი ვნახე. აბა შენ რა გეგონა?

უეცრად ნიკას სახე საშინლად გაუმკაცრდა და ისევ ისეთი აუტანელი და ამაზრზენი გახდა, როგორც ჩვენი შეხვედრის პირველ წუთებში. ნეტავ სულ რამდენ ნიღაბს ატარებდა?

-აი თურმე რა... შენ... აი საცოდაობა! ეს დედა აფეთქებული, რატო აიჩემე რომ გადამაფიქრებინებ, შენი თავი მესია გგონია? შეხედე, ხედავ ამ დანას? აი, კამერაც...

ტანში დამცრა. ფეხსაცმელები ვიღას ახსოვდა... ეს რა შარში გავყავი თავი?! ის ნამდვილი ავადმყოფი იყო, ამას წყალი არ გაუვიდოდა. თითქოს რაღაც ავსული მართავდაო. საშინელი ზიზღნარევი იმედგაცრუება დამეუფლა. ნუთუ ჩემი ეს ყოველივე მცდელობა ამაო გამოდგა? შევყურებდი და არ ვიცოდი, უბრალოდ არ ვიცოდი რა მეთქვა ან რა მომემოქმედა. მერე თავისი ჰუდი გაიძრო და იქვე საწოლზე მიაგდო. რას აკეთებდა? ნუთუ... არა! რა სისულელეა? შეშინებული სასწრაფოდ ფეხზე წამოვვარდი. ახლა უკვე მის წინ მდგომი ერთი ამათვალიერ-ჩამათვალიერა, მომიახლოვდა და სარკასტული ტონით მომიგო:

-თუ თავიდანვე რამე გინდოდა ჩემგან, უნდა გეთხოვა პატარავ და არა გაგერტყა და მერე ათასი სულელური მიზეზით ამკიდებოდი! ან ეს ტუალეტში შემოვარდნა ახალი დაკერვის ხერხია და მე არ ვიცი? ახლა ყურები კარგად დაცქვიტე და ერთი რჩევა დაიმახსოვრე ჩემგან. ასე ბიჭებს კი ვერ მოიზიდავ, პირიქით დააფრთხობ და ვერც მაგარი გოგო გამოჩნდები! თანაც... გიყურებ და...

ადგილზე გულგახეთქილი საწყლად მოვიბუზე და თვალები დავხუჭე. კიდევ ერთი ფრთხილი ნაბიჯი გადმოდგა ჩემსკენ.

-ნაჰ, არაა, არც შენ ხარ ლამაზი ყვავილი და არც ჩვენ, ბიჭები ვართ ფუტკრები, ასე რომ...

როგორღაც ისევ მოახერხა ჩემი საშინლად გაბრაზება. ვერაფრით ვხვდებოდი, საერთოდ რატომ დამაინტერესა იმ ადამიანმა, რომელიც რეალურად გულს მირევდა და მაღიზიანებდა. აბა მის ლამაზ სხეულს და სასიამოვნო გარეგნობას რა აზრი ჰქონდა ნამდვილი თუ ეშმაკი იქნებოდა ანგელოზის სახით? ეს ყველაფერი საერთოდაც იმის ბრალი იყო, რომ ზედმეტად კეთილი ვიყავი და სიკვდილისთვის, ცუდად ყოფნობისთვის ან სულიერი თუ ფიზიკური ტკივილისთვის საერთოდ არავინ მემეტებოდა! ნიკას ადგილზე ნებისმიერი რომ ყოფილიყო, მაინც იგივეს ვიზამდი. აი ასე! (თავს ვიმშვიდებდი) მე მას არ მივცემდი იმის უფლებას, რომ ისე ეფიქრა, ვითომც და სხვა გოგონებივით მეც მოხიბლული ვიყავი ან კიდევ მისგან რამე მსურდა. აი მაშინ როდესაც ჩემი კოცნა სცადა, იმ კონკრეტული მომენტიდანვე უნდა მივმხვდარიყავი რომ ამ არამზადა იდიოტთან მეგის არაფერი ესაქმებოდა! მეგის საერთოდ ბიჭთან არ ესაქმებოდა არაფერი და მითუმეტეს ამ დროს! ვინ იყო ის, რატომ აღმოჩნდა გამონაკლისი? მაგრამ მაინც, მხოლოდ ამ ფაქტის გამო ნიკას უფლება არ ჰქონდა რომ ამ ყველაფრისთვის სახელი დაერქმია, ანდაც სხვებივით აცანცარებული, მეტიჩარა თინეიჯერი ვგონებოდი...

-რა იყო, რანაირად მიყურებ? ისევ ფანჯრის გამოყენება თუ არ გინდა, პრობლემა არაა, კარები ჩემს უკან არის.

მითხრა, კამერა ჩართო და დანას ხელი დაავლო. აი თურმე ზედა რატომ გაუხდია.

-როგორ ბედავ და ასე როგორ მელაპარაკები, ვინ გგონია შენი თავი?

ვუყვირე და გააფთრებული ძუ ვეფხვივით ხელებში ვწვდი დანის გამოსაგლეჯად. ახლა თითქოს მთელი ის მისდამი მიმართული აგრესიის შეგრძნება ძალაზე გადამქონდა და რაც შემეძლო ვუჭერდი ჯერ მაჯებზე, შემდეგ მკლავებზე, ბოლოს კი მხრებზე. უცებ ნიკამ წარმოუდგენელი სისწრაფით ხელები თავზე ისე გადამატარა, რომ დანა ხელიდან არ გაუგდია და მეც აღმოვჩნდი მის მკლავებში უსუსურად შებოჭილი. ჩემი გახშირებული, ცხელი სუნთქვა შიშველ მკერდზე ტყვიასავით ასკდებოდა და მეც ისევ ვიგრძენი მისი გულის ფეთქვა. ნიკამ თავი ნელა ჩამოსწია დაბლა და მეც წამიერად მოვლბი და მოვდუნდი. მის ხელებში არსებული დანა სულ გადამავიწყდა. უკვე მერამდენედ მოიწევდა ჩემსკენ ასე ახლოს, უკვე მერამდენედ მაკარგინებდა გონს მისი უცნაური, გამომწვევი ქცევებით... მეც მისი სურნელით გაბრუებული ასე განაბული ვიდექი და ვუცდიდი მას, სანამ ლოყიდან თავისი ცხვირი ჩემს ყურამდე არ გაასრიალა. ვიგრძენი როგორ დამაყარა მთელ სხეულზე ეკალმა და ჩუმი ხვნეშა აღმომხდა. ნიკამ ჩემი ყურის ძირში ამოისუნთქა და მერე ნაზად დაიჩურჩულა:

-ყურადღება ძალიან სწრაფად გეფანტება მეგ, სხვა დროს უფრო დაკვირვებული იყავი...

თითქოს მძინარეს გაყინული წყალი გადამასხეს. და მეც ეგრევე გამოვიღვიძე სიზმრების ბურუსიდან. რა დამემართა? ჩემი თავი რატომ დავკარგე... ვაიმე! ნიკა, თამაში, პირველი ეტაპი, კამერა... დანა! ეგრევე მივტრიალდი უკან მთელი სისწრაფით. ისე რომ ჯერ კიდევ არ მოეშორებინა ჩემთვის მკლავები და საშინელება დავინახე! მისი მაჯებიდან სისხლი ჩანჩქერივით მოჩქეფდა. შევხტი და გაუაზრებლად მთელი ინერციით ისე ვკარი ხელი, რომ დანა ძირს დაუვარდა.

-უბედური ხარ...

ვიღრიალე და ძირს დავარდნილ დანას ხელი დავავლე. ოთახის კუთხიდან კამერის პაწია წერტილი მწვანედ დაგვციმციმებდა. ნიკას აჩქარებულმა ხმამაღალმა ქოშინმა სმენა გამირღვია და ზუსტად ის სახე დავინახე რაც ცოტა ხნის წინ ჩემს მანქანაში. თითქსდა წინასწარმეტყველური ხილვა მქონდაო. ეს რაღაც არარეალურად ჟღერდა, მაგრამ ნიკას

ტკივილისაგან შეკრული წარბები და ლამაზი სახე, ზუსტად ისე იკრუნჩხებოდნენ, როგორც ჩემს ხილვაში. სასწრაფოდ მოვარდა დანის პირს და მეორე მხრიდან ხელი დაუფიქრებლად ჩაავლო.

-და ერთადერთი რასაც შენს მიმართ ვგრძნობ ეს სიბრალულია!

ვაგრძელებდი. ტონს არ ვაგდებდი, ის კი უფრო და უფრო უჭერდა დანის პირს და იატაკიც ნელ-ნელა იღებებოდა წითლად. რა ჯიუტიც მე ვიყავი, სწორედ ისეთივე აღმოჩნდა ისიც. ასე ძალიან, ძალიან დიდხანს გაგრძელდა. დანას აქეთ-იქიდან ვექაჩებოდით ორივე, მაგრამ შემდეგ მან ჩემი გაოცება ისევ შეძლო და ისევ ხელახლა მომცა საშუალება რამე მომემოქმედა და დასკვნებიც უკვე სხვაგვარად გამომეტანა, როდესაც უეცრად თითქოს გატყდა, დანებდა და დანის პირს ხელი საბოლოოდ გაუშვა. თურმე ისეთი ძალით ექაჩებოდა რომ, მინდოდა თუ არა, უკან-უკან წავვარდი, დანა ხელიდან გამივარდა და პირდაპირ იქვე ჩემს შემოგდებულ ფეხსაცმელებში ჩავვარდი. მან კი დიდხანს უყურა დავარდნილ დანას. გულში ვთხოვდი რომ აღარ აეღო, მაგრამ თითქოს ამ სურვილმა მაინც სძლიაო და ხელახლა დაავლო ხელი. ბოლოს და ბოლოს ვეღარ გავიგე ამ ბიჭის მიმართ რა უნდა მეგრძნო. უნდა მეჩხუბა მისთვის, უნდა დავხმარებოდი, უნდა გამელანძღა თუ საერთოდ თავი მიმენებებინა, ფეხებზე დამეკიდა და სასწრაფოდ გავცლოდი იქაურობას. ამის მაგივრად, შევეცადე წამოვმდგარიყავი და უკვე მუდარაზე გადავედი. მაოცებდა ის ფაქტი თუ როგორ იცვლებოდა ჩვენი დიალოგები წამის მეათასედებში.

-ნიკა, თუ ღმერთი გწამს, ხელი გაუშვი მაგ დანას, გთხოვ...

-ღმერთი? ჰაჰ, რომელი ღმერთი?

ისევ მივვარდი, არაფრით ვნებდებოდი. ის კი ნელა მოიხარა მუხლებში და მეც თან გამიყოლა. სისხლიან იატაკზე, როგორც ტბაში, რომელზეც ჩამავალი მზის წითელი სხივები ცეცხლოვან ტანგოს ცეკვავენ, ორივენი ერთად ჩავესვენეთ მკვდარი გედებივით.

-ჩემი თუ არა, დედაშენის ხათრით მაინც, გთხოვ...

ამ სიტყვებზე ნიკა ხმამაღლა ატირდა. სუსტ წერტილს შევეხე? მაინც ვაგრძელებდი:

-ნუთუ არავინ? საერთოდ არავინ გიყვარს?

-სიყვარული?

აღმოხდა გაწამებულსა და გათანგულს და მხარზე თავი ჩამომადო. ვგრძნობდი როგორ წვეთავდნენ ჩემს მოშიშვლებულ ზურგზე მისი უმანკო, ბროლის ცრემლები. ცრემლები რომლებიც დედამიწიდან მთვარემდე ტკივილს იტევდნენ როგორღაც.

-სიყვარული რა არის მეგი?

ყელში უზარმაზარი სიბრალულის ბურთი უსაშველოდ გამეჩხირა.

-სიყვარული ღმერთია ნიკა! სიყვარული ჰაერია... მას სიტყვებით ვერ გადმოსცემ, გესმის?

ვიგრძენი რომ ჩაევლო საშიშროებას და ახლა უკვე ხელები მის თავზე გადავანაცვლე. თმებზე ნელა შევეხე. თითქოს მეშინოდა, ვერ ვბედავდი. ის კი არ წყნარდებოდა, ჩემი მხრიდან თავს არაფრით იღებდა და ხმამაღლა ტირილს განაგრძობდა. ორივე ხელი მშვიდად შემოვხვიე.

-მისი ახსნა არ შეგიძლია... მას შეიგრძნობ მხოლოდ! იმისათვის რომ ის შენში შემოუშვა კი უნდა გრძნობდე. არა ბოროტებას, სიმწარესა თუ ტკივილს, არამედ სიკეთეს, სიმშვიდეს უნდა გრძნობდე... უნდა დამშვიდდე. აი ასე, მომეცი ეგ დანა, კარგი ბიჭი ხარ!

ძალაგამოცლილს ფრთხილად გამოვართვი დანა, დავკეცე და ლოგინის ქვეშ დავმალე. მისი ხმამაღალი ტირილი სულ ოდნავ მიწყდა და მიყუჩდა.

-იცი? შენ სინამდვილეში ძალიან კარგი ხარ. სხვაგვარად სახლამდე არ გამაცილებდი, არც შენს პიჯაკს მომახურებდი. ასე მხოლოდ ჩემს წაკითხულ წიგნებში არსებული საკმაოდ

კეთილი და თავაზიანი ჯენტლმენები იქცევიან. მართლა... შენ არარაობა არ ხარ ნიკა, შენ კარგი ბიჭი ხარ...

ჭრილობიდან სისხლი გაუჩერებლად მოუჩქეფდა. მართლა არ ვიცი ჩემში მაინც რომელი არსებული ძალით შევძელი ამდენის გადატანა. ნელა ავაყენე და ლოგინზე დავსვი. მთლიანად კანკალებდა. ვკითხე პირველადი დახმარების ყუთი სად ჰქონდა. თან ვფიქრობდი ეგ სიტყვები უბრალოდ სიტუაციამ მათქმევინა, თუ გულისიღრმეში მართლა მასე ვფიქრობდი მასზე, თუმცა ამ კითხვაზე პასუხი არ გამაჩნდა. სანამ ჭრილობებს ვუმუშავებდი, მთელი ის დრო უცნაურად შემომყურებდა. ვღელავდი, რადგან ამასაც პირველად ვაკეთებდი. ორ წუთში ერთხელ ვეკითხებოდი რამეს ხომ არ ვტკენდი, თუმცა მას ხომ ეგ საერთოდ არ ანაღვლებდა. მერე კამერა გათიშა, სანამ მე იატაკი მოვასუფთავე. ის იჯდა. უბრალოდ იჯდა და ხმას არ იღებდა.

ნელ-ნელა მზეც იღვიძებდა. გარიჟრაჟისა და გაზაფხულის მომასწავებელი ხმები ფანჯრის რაფასთან ლამაზად გალობდნენ. ჩვენ კი ვისხედით უხმოდ, უთქმელად. ცოტა ხანში ერთხელ ჩვენი თვალები ერთმანეთს ეჯახებოდნენ, მერე კი მოწოლილი სირცხვილის გამო, ისევ შორდებოდნენ ერთმანეთს.

ეს რა ჩაიდინა? ვფიქრობდი და მიზეზი არ მესმოდა. უბრალოდ ვერ ვხვდებოდი. ეს რა ღამე იყო...

-რატომ? - ჩემმა ჩურჩულმა უხერხული სიჩუმე გაარღვია.

-რა რატომ? - მიპასუხა დაბნეულმა და სინდისმოწოლილი თვალები შემომაფეთა. თურმე ხმამაღლა მითქვამს…

-რატომ ჩაიდინე ეს? რატომ მიაყენე შენს თავს ზიანი? მაინც რატომ გინდა სიკვდილი ასე ძალიან?

-რადგან შენ მითხარი რომ ბედნიერი ვყოფილიყავი! - მის ამ პასუხზე საშინლად დავიბენი... გული დამიმძიმდა.

-ბედნიერებას სიკვდილში ვერ იპოვი ნიკა...

-მაგრამ, ფაქტია რომ ვერც სიცოცხლეში ვპოულობ...

გავისუსე. ცოტახანს მანაც არ იცოდა რა ეთქვა.

-გასვრილი ხარ...

ბოლოს ესღა მოიფიქრა. მეც ახლაღა დავიხედე ჩემს ისედაც წითელ კაბაზე და გული გამისკდა. სახეზე ხელები ავიფარე.

-ვაიმე, დედაჩემის კაბა! მე... შეიძლე-შეიძლება რომ შხაპი მივიღო?

ვკითხე ხმაში შემოპარული მორიდებით და წამოვდექი. კაბას ფერთხვა ისე დავუწყე, თითქოს და ის მოცხებული ლაქები სისხლის წვეთები კი არა, მტვრის პატარა ნაწილაკები ყოფილიყვნენ.

-კი, შეიძლება.

მომიგო გაკადნიერებულმა. მისმა საეჭვოდ მომლბალმა ტონმა დამაფიქრა. თუმცა ისიც ხომ ადამიანია არა? ასეთი რამის შემდეგ თავის ირონიულობას და ცინიკოსობას ცოტახნით მაინც თუ სადღაც დაკარგავდა, გასაკვირი არც იქნებოდა. სხვა თუ არაფერი სირცხვილს და ნამუსს უნდა შეეწუხებინა, სულ ცოტათი მაინც. ხოდა მეც ვიფიქრე რომ ზედმეტად ყველაფერზე ვიციკლებოდი უკვე, ტვინი აღარ გადავიჭედე და ვკითხე სად იყო აბაზანა, თუმცა ოთახიდან გასული მალევე შემოვბრუნდი უკან.

-მოიცა...

-ახლა რაღა იყო?

-შენ რას გააკეთებ?

-რა უნდა გავაკეთო მეგი, დავიძინებ.
-კარგი.
და ამის მერე რა მოხდებოდა ნეტავ? ამაზე რატომ ვერ ვიფიქრე? ახლა ვიბანავებდი და მერე სახლში წავიდოდი? ასე უბრალოდ? და რომ წავსულიყავი რას იზამდა?
-შეიძლება შენი ტელეფონით ვისარგებლო? - ვკითხე.
-სახლის ტელეფონით კი, ჩემი დამჯდარია, - მიპასუხა.
-სად არის?
-აბაზანისკენ რომ წახვალ დაინახავ.
-ნამდვილად დაიძინებ?
-ხო.
ოთახიდან ისევ გავედი ფეხშიშველი და სახლის ტელეფონით ლადოს დავურეკე. მძინარე ხმით მიპასუხა შეშინებულმა, მაგრამ მალევე დავამშვიდე. ვუთხარი რომ იმ დღეს ნინისთან გავატარებდი. მოვიმიზეზე რომ ნინის სახლში მარტო დარჩენა უჭირდა. ცხოვრებაში პირველად ვატყუებდი ლადოს, მაგრამ სხვა რა უნდა მექნა? დილის ექვსი საათი ხდებოდა, როგორც ჩანს ჯერ ლოგინიდან ამდგარიც არ იყო, არა თუ ეზოში გასული. ნეტავ მერე რაღას მოვიგონებდი? თუმცა მერეზე მერე უნდა მეფიქრა. ახლა სასწრაფოდ უნდა ჩამომერეცხა ეს საშინელება. ისევ ვერ ვხვდებოდი ნორმალურად, თუ რა ხდებოდა, რეალობის აღქმის შესაძლებლობა თითქოს საერთოდ გამქრალიყო. ფრთხილად გავიხადე დედაჩემის წითელი კაბა და ნიჟარაში წყალს შევუშვირე. საპონმა ლაქები მთლად ვერ ამოიყვანა, მაგრამ ამდენი დრო არ მქონდა. სწრაფადვე გავაშრე თმის საშრობით და ნესტიანი იქვე სკამზე გადავკიდე. ნეტავ სულ არ ჩამეცვა და ამ საშინელი დღისთვის არ გამეფუჭებინა...
მერე მეთვითონაც სწრაფადვე მოვიცილე ჭუჭყი. ისეთი შეგრძნება მქონდა თითქოს შიგნიდანაც ჩამოსარეცხი მქონდა რაღაც. ისტერიულად ვისხამდი წყალს ყველგან და ვფიქრობდი რა მექნა როდესაც საბოლოოდ მოვრჩებოდი ამას. რა თქმა უნდა, არ დავუშვებდი რომ ის ვიდეო, სადაც მეც ვჩანდი, გამოექვეყნებინა. ეს რომ ლადოს გაეგო, ალბათ მომკლავდა... დავფიქრდი იმის გასახსენებლად თუ სად გადაინახა კამერა გათიშვის შემდეგ. იქნებ როცა ჩაეძინებოდა წამერთვა და ვიდეო ჩუმად წამეშალა? ალბათ ამის მერე სულ შემიზიღებდა... თუმცა მერე რა? მას ხომ ისედაც ვეზიზღებოდი. და ჩემი დამოკიდებულებაც მის მიმართ მაგაზე ნაკლები არ იყო, ხოდა რაღა მაკავებდა? ერთდროულად შურსაც ვიძიებდი და ჭკვასაც ვასწავლიდი! მაგრამ... იქნებ უკვე გვიანი იყო? ამაზე როგორ ვერ ვიფიქრე? ვაიმე... ჩქარა გამოვრთე წყალი და მალევე გავიმშრალე. სხვა გზა არ მქონდა, ისევ ჩემი ჯერ ისევ სველი კაბა ჩავიცვი და აბაზანის ჩუსტებით ოთახში გავვარდი თუმცა... ოთახი ცარიელი დამხვდა! როგორც ვიფიქრე, აღარც ნიკა იყო და აღარც კამერა! უჯრები გადმოვატრიალე, კინაღამ ყველაფერი ერთმანეთზე დავამხე, მაგრამ უშედეგოდ. აი თურმე რატომ იყო საგრძნობლად მშვიდი... მაინც როგორ ვერ მივხვდი ამას?! ამდენი რამის მერე მაინც დავუშვი რომ მასში რაიმე ადამიანური ემოცია ცხოვრობდა? ისევ მოახერხა ჩემი შოკში ჩაგდება და ამავდროულად გაცხარებაც. და თუ არ შევეშვებოდი ამას ყოველთვის მოახერხებდა, ერთმანეთზე დიდ უბედურებებს დამმართებდა, ნუთუ ამდენს ვერ ვხვდებოდი? მთელს სახლში გიჟივით წინ და უკან დავრბოდი, თავბედს ვიწყევლიდი და მის სახელს გაუჩერებლად ვყვიროდი, თუმცა რაღა თქმა უნდა ამაოდ. ყველა ჩემი საცოდავი მცდელობა ამაო იყო. მერე მის ძებნაში როგორც იქნა ჩემს ფეხსაცმელებს მივაგენი ისევ და ეგრევე ჩავიცვი. ნეტა სად წავიდა ან როდემდე გაიქცეოდა? მონსტრი! ნამდვილი მონსტრი! ეს როგორ გამიბედა? არ შევარჩენდი ამ ყველაფერს, მაინც არ ვაპატიებდი ჩემს გაცურებას, ყველაფერს ვიზამდი და იმ ვიდეოს მაინც წავაშლევინებდი.

თუ საჭირო გახდებოდა აქ კიდევ მოვიდოდი და ისევ ამოვძვრებოდი ფანჯრიდან, ისევ და ისევ... მაინც რას იზამდა? მიჩივლებდა? არაა, ამას ვერ გაბედავდა ეგ ლაჩარი. იცოდა რომ ამას თუ იზამდა, მაშინ მე წარბშეუხრელად დავაბეზღებდი და მის " DEADLY" თამაშზე ყველაფერს სიტყვა-სიტყვით განვაცხადებდი. აქამდე ყველა ეს სისულელე უბრალოდ მითი მეგონა. მაინც, როგორ შეიძლება თამაშმა მოგკლას? ანდაც, რას მიქვია თავს იკლავს? მე მაგას ვაჩვენებ სიკვდილს!

ყველა გზა მოჭრილმა სახლში დაბრუნება გადავწყვიტე. მაგრამ ეს ხელის ჩაქნევას არ ნიშნავდა. უბრალოდ სანამ ლადო მანქანის გაქრობას შეამჩნევდა, იქამდე უნდა მივსულიყავი და მერე მიმეხედა დანარჩენისთვის. ახლა უკვე ვეღარაფერი შემაჩერებდა. ჩემი ვიდეო ინტერნეტ სივრცეში მართლაც რომ მოხვედრილიყო, ჯერ არ შემდგარი სიმწრით ნაშენები კარიერა თავზე ჩამომენგრეოდა და ამას ჩემს წინდაუხედავ საქციელს ვერ ვაპატიებდი. აუცილებლად უნდა მომეფიქრებინა რამე, რომ თან იმ ტირანისთვისაც მესწავლებინა ჭკვა. ბოდიში უნდა მოეხადა ჩემთვის! და მომიხდიდა კიდეც! ამას აუცილებლად გააკეთებდა!

კიბეებს ფრთხილად ჩავუყევი და გარეთ გასასვლელ კარებს ძებნა დავუწყე. როგორც იქნა რომ მივაგენი, ეგრევე გამოვაღე, გარეთ გავედი და...

ღმერთო... ოღონდაც ეს არა!

*ამქსოფობია - ავტომანქანების მართვის შიში
*2დეიმონი - ერთ-ერთი მთავარი გმირი სერიალი “ვამპირის დღიურებიდან”

ნიკა

ბევრი არაფერი მახსოვს გარდა იმისა რომ რომ ის სათნოებაზე მოღაღადე მის პოპინსი* წინა ღამით ჩემს საძინებელში გაჩნდა. არა, უფრო სწორი იქნება თუ ვიტყვი, რომ კი არ გაჩნდა, არამედ ფანჯრიდან ჩამოვარდა და გეფიცებით არანაირი მთელი რიგი ჰიპერბოლებითა და ირიბი მნიშვნელობებით. თუმცა აშკარად ვერ აღიარებდა იმ ფაქტს, რომ არც თავად იყო მერი და არც ჩემი ოთახი ყოფილა ალუბლების ქუჩის 17 ნომერი. ამის მერე მეტი აბსოლიტურად არაფერი მახსოვს, გარდა უსაშველო ბინდ-შემოკრული ტკივილისა. აი ისეთის... თუმცა, რც კი ვიცი რას შევადარო. თითქოს ტკივილის საოცრად მლაშე ზღვაში მთელ სხეულზე წყლულებ გაჩენილი ვიძირებოდი და ეს მარილი ჩემს ჭრილობებს იმაზე მეტად მტკივნეულს ხდიდა, ვიდრე სინამდვილეში იყვნენ ისინი. და გეგონება ჩემი თავის წამება არ მყოფნიდაო, ჩემთან ერთად ამ ზღვაში მეგისაც თან ვიყოლებდი. ვიყოლებდი ნელ-ნელა, მხოლოდ იმ განსხვავებით რომ მე იქიდან ამოყვინთვა საერთოდ არ მსურდა, მას კი სურდა. მას ჩემი გადარჩენა სურდა... ეს სამი თითქოს და უბრალო სიტყვა კი ყველაფერს სიკვდილამდე ართულებდა! ტკივილი, რომელსაც მე განვიცდიდი არ იყო ხელების დასერვით გამოწვეული. ეს იყო ყველაზე დიდი საშინელება რაც კი ოდესმე განმეცადა - წყვდიადი. თითქოს ეშმაკი მმართავდა. სული მეწვოდა, სული. ამას მეგის გადახვეული ჭრილობებიც ვერაფერს უშველიდა. როგორც არ უნდა ეცადა, ჩემს ცოდვებით დამძიმებულ და გაბერილ, ფსკერზე ჩაძირულ, დამახინჯებულ სხეულს თავისი სულიანად, იქიდან ვეღარასდროს ამოათრევდა. საშველი უბრალოდ აღარ არსებობდა და სხვა დანარჩენი მხოლოდ და მხოლოდ დროის ფუჭი ფლანგვა იყო, ჩვეულებრივი ფლანგვა და მეტი არაფერი.

არ ვიცი რომელი საათი იქნებოდა დილის, მთელი ღამის უძილოები ვიყავით. მეგის ჩემთან შემოათენდა. ვერ ვხვდებოდი ეს გოგო ამხელა რისკზე რატომ ან რანაირად მიდიოდა, მე ხომ მისთვის არავინ ვიყავი, თანაც გაცნობის წუთიდანვე გამოვავლინე ჩემი საშინელი პიროვნება, ის კი ამან თითქოს პირიქით უფრო მოხიბლაო. არ მსურდა ამაზე ბევრი ფიქრი, არანაირად არ მსურდა, თუმცა რამდენიც არ უნდა მეფიქრა, ბოლოს მაინც იმ დასკვნამდე მივდიოდი რომ ის მეტისმეტად კეთილი იყო და მეტი არაფერი. მის სიკეთეს კი ჩემს სიბოროტეში არაფერი ესაქმებოდა, ამიტომ როგორღაც ჩემს მიმართ ინტერესი უნდა დაეკარგა. არ ვიცოდი როგორ, მაგრამ რაღაც სასწრაფოდ უნდა მომეფიქრებინა. რაღაც საშინელი და რაღაც ნამდვილად უპატიებელი, რაც ჩემზე შთაბეჭდილებას მთლიანად წააშლევინებდა და საბოლოოდ დაარწმუნებდა იმაშიც, რომ რეალურად მე სულაც არ ვიყავი ის მისი გამოგონილი პერსონაჟი, რომელიც ამ ცხოვრებისგან სიცოცხლისა და ბედნიერების შანსს იმსახურებდა.

როგორც კი სააბაზანოდან წყლის ჩართვის ხმა გავიგონე, მაშინვე გადმოვქექე ჩემი კამერა უჯრიდან და მეორე სართულზე ფეხაკრეფით ჩავიპარე. ერთ ჩემს დაუფიქრებელ ნაბიჯს ყველაფრის გაფუჭება შეეძლო. რომ ვთქვი ნაბიჯს მეთქი, პირდაპირი მნიშვნელობით ნაბიჯი ვიგულისხმე, თორემ მეგის რომ ჩემთვის წაესწრო თუ როგორ ვიპარებოდი სახლიდან კამერით ხელში, ნამდვილად ცუდი დღე დამადგებოდა და ამაში უკვე ასი პროცენტით ვიყავი დარწმუნებული. მოკვდებოდა და ვიდეოს მაინც წამაშლევინებდა. არა, არა სანამ შხაპის მიღებას მორჩებოდა, მანამდე უნდა გავმშპარიყავი იქიდან. ამ სიჩქარეში კინაღამ მობილური დამავიწყდა. ჯანდაბა! უკან მეორეზე აბრუნება მომიწია. იმ დამპალი იატაკის ფიცრები ისე ყურისწამღებად ჭრაჭუნებდნენ, მეშინოდა სხვა თუ არაფერს, ამ ხმაურს არ გავეყიდე. ეს რა დღე დამიდგა, ვიღაცა შეშლილი ალქაჯის გამო, საკუთარი სახლიდან ვიპარებოდი. ნამდვილად გამეცინებოდა სატირალი რომ არ ყოფილიყო. ბოლოს როცა როგორც იქნა გავაღწიე გარეთ და შვებით ამოვისუნთქე, ახლაღა მოვკარი თვალი

ზუსტად ჩემი სახლის წინ გაჩერებულ მთლად ახალ შავ BMW-ს, რომელსაც ფიქრებში ჩაფლულმა კამერით ხელში კინაღამ გვერდი შეუმჩნევლად ავუარე.

ეე, ნეტა ვისია... თუ ლალიმ ახალი მდიდარი მამიკო დაითრია? - გავიფიქრე და მანქანას მივუახლოვდი. რა უცნაურია, გასაღები ზედ რატომ უკეთია? თუ რათქმაუნდა... ოჰ, ამას ეგრევე როგორ ვერ მივხვდი? ეგ სულელი ახტაჯანა, როგორც უკვე ავღნიშნე მდიდარი გათამამებული მამიკოს პრინცესა და აჰა დამადასტურებელი საბუთიც. ხედავ შენ?! ერთი რაღაც მაინც ჰქონია კარგი...

ახლა უკვე ზუსტად ვიცოდი რაც უნდა მომემოქმედა. გულისიღრმეში კი ვიმედოვნებდი, რომ ეს საქციელი მეგის ისე დაამწუხრებდა, ან კიდევ გააღიზიანებდა, რომ საბოლოოდ შემეშვებოდა მეც და ჩემი გადარჩენის უაზრო მცდელობებსაც, მაგრამ როგორც კი კარის გამოღება დავაპირე, მაშინვე იჩინეს თავი უსიამოვნო შეგრძნებებმა. ალბათ ეს ბუნებრივიც იყო. მანქანის გატაცება ხომ მაღაზიიდან კევის მოპარვას არ ჰგავს, რაც ალბათ ბავშვობაში ყველას ჩაგვიდენია. ქურდობა - ეს ძალიან მძიმე დანაშაულია, დანაშაულის შეგრძნობა კი ერთ-ერთი ყველაზე საზიზღარი გრძნობა რომელიც საერთოდ არსებობს. მე სწორედ ამას განვიცდიდი. ვგრძნობდი ეს დანაშაულის გრძნობა ყელში როგორ მაწვებოდა და შეუმჩნევლად როგორ მგუდავდა, მაგრამ ჩემს თავს ვარწმუნებდი, რომ ასე იყო საჭირო, რომ სწორად ვიქცეოდი და რომ სხვა გამოსავალი არ მქონდა. საბოლოოდ გაბედვისა და BMW m5-ში მოკალათების შემდეგ სასწრაფოდ გადავიტანე ჩვენი წინა ღამის მძაფრსიუჟეტიანი ვიდეო ტელეფონში და არც ვუყურე საიტზე ისე ავტვირთე. მერე ძრავა ჩავრთე და ტელეფონი საბედნიეროდ იქვე არსებულ კაბელს მივუერთე ბატარიიის ელემენტის შესავსებად.

ესეც ასე, Mission 1 completed!

ნეტა ამის მერე რა სისაძაგლესღა მოიფიქრებდნენ? სიახლის დამატებას საკმაოდ დიდიხანი ველოდე. შიშის ოფლი მასხამდა, მეგონა ნებისმიერ წამს გამოვარდებოდა მეგი გარეთ და კონცერტებს გამიმართავდა. ჯოჯოხეთურად გაწელილი ექვსი წუთის შემდეგ, ვიდეო როგორც იქნა აიტვირთა. საქარე მინას ოდნავ დავუწიე და ახლაღა მივხვდი რომ წარმოდგენა არ მქონდა სად ჯანდაბაში ვაპირებდი წასვლას. დიდხანს ასე გაჩერებისაც შემეშინდა და მეც სულ პირდაპირ დავიწყე სიარული. მხოლოდ ერთი მხრივ ვიყავი მშვიდად, მეგიმ ხომ ჩემი ტელეფონის ნომერი არ იცოდა... როგორც კი ეს გავიფიქრე ჩემი ტელეფონის სულელური ზარის ხმა გავიგონე. გაუაზრებლად შევხტი. ან იმედია არ იცოდა, სადაც სახლის მისამართი გაიგო ეს გაუჭირდებოდა? ნეტავ მეგი რეკავდა? თუ უკვე შეატყობინა პოლიციას? განყოფილებიდან მირეკავდნენ? მაგრამ… აჰ! ეგ დებილი ახტაჯანა, ტელეფონიც კი მანქანაში დარჩენია. ამოვისუნთქე. არა, რა ძალა ედგა, არაფრის გამო რას გაიუბედურა თავი? აი ესეც მაგისი გაუგონარი სიჯიუტის ბრალი იყო რაც ახლა ხდებოდა და არა ჩემი. რას ვიზამთ, სწორედაც რომ ასე ხდება, როდესაც სხვის საქმეში ერევი. გეგონება ვინმე თხოვდა ამას. თავის გამოდება უნდოდა რა, ეგ იყო და ეგ. აი მე მაგარი გოგო ვარ და თუ მოვინდომებ ყველაფერი შემიძლიაო! ხოდა ახლა გაიგებს რა შეუძლია და რა არა. ისეთ სიმწარეს იგემებს, რომ ჩემი სახელის წარმოთქმაც აღარ მოუნდება აღარასდროს!

ტელეფონზე დავიხედე. დიდი შრიფტით დაეწერა: ცოდვის მამა.
თურმე სერგი მირეკავდა. ეს ჩემისა ილეგარულ შემთხვევებს ყნოსვითაც კი პოულობს, აი რატომ შევარქვი ეს 'ნიკნეიმი'. ვუპასუხე და გზა განვაგრძე.

-ძმაო სად ხარ? - არც დამაცადა, ტყვიასავით მომახალა.

-რაიყო შე ჩემა, რა გაყვირებს, გამისკდა გული!
-ოო, გული არა ტრაკი კიდე, სად ხარ?!
-ჯანდაბაში ვარ, წამოხვალ?
-სერიოზულად, ეე რა იყო.
-სერიოზულად ვამბობ, მაგარ შარში ვარ.
-მერე რა? არ გაგიგონია, ძმა ძმისთვისაო, შავი დღისთვისაო?
-ნეტა არ ატრაკებდე.
-რა იყო? ხო იცი, მოუშორებელი შარი არ არსებობს!
-ხო, შენ ეტყობა იმ ახტაჯანას არ შეხვედრირხარ.
-ეგ ვიღაა?
-ჩემი ღამის კოშმარი!
-კაი ვერაფერი ვერ გავიგე, მითხარი სად ხარ და მოგაკითხავ, ოღონდ ჯერ ის მითხარი ეხა რაღა ხდება. ვაიმე, ისევ აბაშიძეებმა ხო არ გცემეს?
-შენ რას მომაკითხავ ბიჭო, აქეთ არ გამოგიარო ...
-აუ ეე, იკაცე ეხლა თუ რა ქენი შენ?
-ვიკაცე კი არა, რა აბაშიძეები აგიტყდა, მწყევლი? ჯერ ეგენი ძლივს მოვიშორე და მერე მარი კიდე... ეგე დადგეს და შეურიგდეს ეხა მაგ თავის წვინტლიან აბაშიძეს! რაც მაგათ დღეები გამომატარეს, ღირდა ამად?
-მარიმ ემზარის და მაგის მოღრეცილ ცხვირს მეტი-მეტი შეაფურთხოს, ხო იცი არა?
-აუ რავი, სიმართლე გითხრა მაგარი მკიდია რა, რადროს ემზარა და მაგისი ცხვირია, იცი ვაფშე ეხლა სად ვზივარ?
-ეეე, შე სი*ო, ეგ კაზინო მე მიგასწავლე, უჩემოდ რატო შეა*ვი? და
რა იყო უკვე გამოგწოვეს? აჰაჰაჰ, ღირსი ხარ!
-მოიცა, მოიცა აეე, გაჩე რა, თუ ძმა ხარ კაზინო არა ემზარა კიდე…
-ვახ, აბა სად ჩემსაში ზიხარ, ტო...
-სად და ძაან საკაიფო მანქანა დავითრიე, თვალებს არ დაუჯერებ!
-ვა, რას მეუბნები, საიდან...
-წუხელ რო ერთი ნაშა ამეკიდა ხო იცი? ა, თუმცა შენ მაგ დროს ნინის დივანზე ხვრინავდი, რა გადარდებდა. მოკლედ იმას ავწკაპნე რა...
-შენ რა მაგარი ხარ! მიდი, მიდი ხო, შენ მასე გააგრძელე და მალე იქნებ კრიმინალიც გახდე! ისე კაია ხო იცი, მერე მე ვიმღერებ ხოლმე "mama i'm in love with a criminal..."
-რა მაგარი დაფრთხვენილი გაქ შენ...
-ეხლა გაიგე?
-კაი კაი, მორჩი მაიმუნობას, რისთვის დამირეკე... ან ვაბშე სად ხარ?!
-სად ვიქნები ძმა, საინგილოზე ვარ, ჩვენ სასაფლაოზე.
-ასე ადრე? რა გინდა?
-რავი, მარტო ვეწევი, თან ერთი სიმღერა მაქვს დასამთავრებელი, მოხვალ? ერთი მანახე, აბა რა გაბლატავებს მასე.
-მოვალ, მოვალ და დაინახავ.
-კაი გელოდები.
-მიდი, ვთიშავ.
-ისე ნიკა...
-ჰააა?! სულ რატო მაჩერებ ხოლმე, გეგონება სადმე მიუგნებელ ადგილას ვაპირებდე გადახვეწას.

არადა ზუსტადაც რომ მაგას ვაპირებ.
-მართლა ვხვრინავდი ნინისთან წუხელ?
-ფუ, რა იდიოტი ხარ... ბოლომდე არ მოწიო იცოდე, დამიტოვე მეც.
გამეცინა. რა ჯანდაბა უნდა მარტო სასაფლაოზე - მეთქი, ვფიქრობდი რომ ისევ აინთო ტელეფონი. დალახვროს ეშმაკმა, ახლა ამის დრო იყო? სვლა შევანელე, მერე გავჩერდი.

ესემესი მოსული იყო killthehead9-დან.

"გილოცავთ ნიკა, თქვენ წარმატებით გაართვით თავი პირველ ეტაპს! ეს ყველაზე მაგარი ვიდეო იყო, მთელი ამ საიტის ისტორიის განმავლობაში. ნამდვილად დაიმსახურეთ მეორე ეტაპი. მისი გადალახვის შემთხვევაში თქვენ ჩვენი სექტის საპატიო წევრი გახდებით და უფლება მოგეცემათ დანარჩენი ეტაპები თავად დაადგინოთ. მეორე ეტაპისთვის თქვენ უნდა რაიმე მძიმე სახის დანაშაული ჩაიდინოთ, როგორიც არის მაგალითად; ნარკოტიკების გასაღება, სხვის სახლში შეპარვა და გაქურდვა ან ადამიანის მკვლელობა. იმისათვის რომ სიკვდილში უფრო ღრმად შეძლოდ შესვლა, სინდისის ქენჯნა უნდა გაწუხებდეთ. ჩვენ ვემსახურებით დემონს. დემონი თუ გაბრაზდა, კარგი არაფერი მოხდება ჩვენს თავს. მოკლედ, ხომ იცით... დრო 12 საათი. წარმატებები. სიყვარულით - მთლიანი სექტის შემადგენლობა."

ბიჭო, რამ გაადებილათ ეს ბავშვები? ტვინის მაგივრად კენჭები უყრიათ? ან ვინ ჯანდაბა იყო ეგ 'დემონი' სულ პირზე რო ეკერათ? ანუ თავის ჭკვაში რა ქნეს, დამაშინეს ახლა? გამეცინა, თან ხმამაღლა და ჩათში დარეკვის ღილაკს დავაჭირე. ერთის გარდა საერთოდ არავინ ჩაერთო, თუმცა სიბნელეში ვერ გავარჩიე ის ერთი გოგო იყო თუ ბიჭი. ცოტახანში ეკრანს რომ მოუახლოდა, უკვე შევძელი გამერჩია ჯერ მკრთალი ხაზები, ბოლოს კი მთლიანად სახე და უკვე ნათლად დავინახე რომ ეს ხაზები ამ სახეზე დამჩნეული იარები იყო. ამ ერთი შეხედვით საშიშ გოგოს მარცხენა წარბთან ეშმაკის ნიშნის გამომსახველი პატარა ვარსკვლავი დაეხატა. შავი თმა მთლიანად მხრებს უკან გადაეყარა. ცრემლებით სავსე უცხო მოყვანილობის შავი თვალები პირდაპირ ჩემთვის მოეშტერებინა. უცებ მისი უცნაურობით, საშიში აურითა და უცხოური სილამაზით დატყვევებულს ენა ჩამვარდა და სულ დამავიწყდა რისთვის გადავწყვიტე დარეკვა.
-გამარჯობა ნიკა, - მომესალმა გოგო და უშიშრად გამიღიმა, თუმცა ამის გამო დაჭიმული სახის კუნთებიდან სისხლი დაუნდობლად წამოსკდა. როგორც ჩანს ის ჭრილობები სულ მთლად ახლები იყო. იცოდა რაც მოჰყვებოდა მის ღიმილს, მაგრამ მე მაინც გამიღიმა…
-გამარჯობა… - ვუპასუხე ძალიან ჩუმად და მისი სახელს ძებნა დავუწყე, - გამარჯობა Dead girl from the hell?
-აჰაჰ, კატო, კატო მქვია.
-უბრალოდ კატო?
-უბრალოდ კატო.
-სალამი კატო.
-სალამი ნიკა, ესემესი წაიკითხე?
-კი, - ვუპასუხე ნაძალადევად და უსიამოვნოდ დავიჭყანე.
-მოგეწონა?

-რას ქვია მომეწონა?

-ჩემი გამოგზავნილია, სულელო.

აი ახლა კი ნამდვილად ვეღარ დავმალე აღვრთოვანება. აღტაცებული სახით შევყურებდი ტელეფონის ეკრანს, სანამ კატოს ხმამაღლა კისკისი წასკდა.

-აუუუ, მაგრად იღადავე, ხოო? ვიციიი, მეც...

-სერიოზულად? ამდენ გიჟებში ძლივს ჩემნაირს მივაგენი. ხოო, სიცილად არ მეყო...

-ხო, მეც მიხარია შენი გაცნობა.

უცებ სიჩუმე ჩამოვარდა.

-იტირე? - ვკითხე.

-რატომ რეკავ? - კითხვაზე კითხვით მალევე მიპასუხა, რაც იმას ნიშნავდა რომ აშკარად არ სურდა პასუხის გაცემა.

-უი, კინაღამ დამავიწყდა, თორმეტი საათი საერთოდ არ მჭირდება!

-რა?

-შეხედე, ხედავ?

ტელეფონი მივატრიალე და მანქანის სალონი დავათვალიერებინე.

-ღადაობ? - ისევ აკისკისდა, - რანაირად? იმედია შენი არ არი და არ მაბოლებ.

-რა ჩემი გოგო, წუხელ ერთ სულელთან მეძინა, დილით პირველს გამეღვიძა და ეგრე რა... - ჩემ და უნებურად ვიცრუე. თითქოს ჩემი საქციელით თავს ვაწონებდი. სინამდვილეში რეალურ მიზეზს არ ვაღიარებდი. ჩემს თავთანაც კი არ ვაღიარებდი, თუმცა მე ეს არ მამართლებდა. მაშინ ალბათ ვერც ვხვდებოდი...

-მოპარე? ანუ მოპარე...

-თან ისეთი დებილია, გასაღებიც მანქანაზე დაუტოვებია!

-რას ამბობ! აუ რა გასულელდნენ ეს გოგოები...

-კი, ეგრეა.

-და ვინ არის, ხვდები? რამეს წარმოადგენს შენთვის?

-მეკაიფები? ახლახანს მოგიყევი მანქანა როგორ მოვპარე. რას უნდა წარმოადგენდეს, ერთი ღამის სიზმარია და მეტი არაფერი.

-სიზმარი, თუ კოშმარი?

-ბიჭო ხოო, აი ზუსტად ეგრე ავუღწერე ჩემ ძმაკაცსაც.

-იცი რა? მომწონხარ, მართლა!

-ხოო, ეგრე ბევრს მოვწონვარ მე.

-კაი ერთი...

-აბა, ახლა ვიმსახურებ ლიდერობას?

-რა თქმა უნდა, ოღონდ ჯერ დემონს უნდა ვკითხოთ.

ისე სერიოზულობით მომიგო, რომ კინაღამ გული დამწყდა იმედების გაცრუებისთვის, მაგრამ მერე ისევ თავისი კისკისი ატეხა, რომელიც უკვე ცოტა არიყოს მაშინებდა კიდეც.

-მეც მომწონხარ, თან ძალიან.

ვუპასუხე და ჩავფიქრდი. ნეტავ ვინმე დემონი მართლა თუ არსებობდა?

-გინდა შეყვარებულები ვიყოთ?

ო, არა! ასე სწრაფად? ასე უბრალოდ? ან საერთოდ ამას რა აზრი ექნება?

-კატო იცი? მე... - დავაპირე მეთქვა იგივე, რაც მარის ვუთხარი ცოტა ხნის წინ მაგრამ მერე გადავიფიქრე. ეს გოგო უარის სათქმელად ზედმეტად მაგარი მეჩვენა, - ხო, მინდა... რატომაც არა?

-მაგარია...

-ხო, მაგარია! აბა?
-რა აბა?
-არც ახლა ეტყვი შენს შეყვარებულს რატომ იტირე?
წამით დაიბნა. ამ შეკითხვას არ ელოდა.
-მე... რა ვიცი აბა... ადამიანები ხომ ტირიან ხოლმე ზოგჯერ, არა?
-კი, ადამიანები ტირიან, მაგრამ უმიზეზოდ არა...
-ხო კარგი, საქმე იმაშია რომ ორი თვის წინ საუკეთესო მეგობარმა თავი მოიკლა.
ამას ნამდვილად არ ველოდი.
-ამის დედაც, მეც ხომ იგივეს ვაპირებ, არა?
-ხო, ისიც ლიდერი იყო, შენსავით...
-სერიოზულად? მერე? შენ... რა, რაღატო?
-ხო, მეც სწორედ მაგიტომ!
-მოიცა ორი წუთი, ცოტა ნელა თორე სულ დავიბენი...
-აუ დაიკიდე რა, ერთად მოვკვდებით და ეგ არის.
-ასე მარტივად?
-კი, ასე მარტივად!
-და არ შეიძლება მესამე ეტაპი იყოს სიკვდილი?
-ვისურვებდი, მაგრამ არა... ჩვენ კი ვღადაობთ, მაგრამ ვინმე დემონი მართლა არსებობს. ეშმაკი ან რაიმე პარანორმალური ვინმე კიარაა, უბრალოდ ამ სექტის დამაარსებელია, ზუსტად ჯერ მეც არ ვიცი ალბათ საიტისაც. ხო... ეგრე იქნება. ჩვენგან არცერთი არ ვიცნობთ მას. ხომ იცი მთავარი მაფიოზი ასპარეზზე არ ჩანს, ბოლო რიგიდან უზის კინოს. თან...
-რა თან?
-თან ჯერ მეც ახალი ვარ. აი დააკვირდი, ‘ killthehead9’ - ც ხ რ ა, გაიგე? ჩვენ ვერაფერს შევცვლით, ასეა დაწესებული!

-კაი რა კატიუშ, ტელეფონი ვის რად უნდა საერთოდ, მე ხომ ახლავე შემიძლია ფანჯრიდან ვისროლო და რამეს სპეციალურად შევასკდე. რა, რაიყო, შენ გგონია გამიჭირდება?
-არა ნიკა, ვიცი რომ არ გაგიჭირდება, მაგრამ ეგრე არ არის. გარკვეული წესები არსებობს, შეიგნე! დემონი შტერი კი არ არის. აბა დაფიქრდი ცოტა? ადამიანი ამხელა რისკზე რომ მიდის, ანუ სულელი არ არის. მასე ხო აქ დარეგისტრირებას აზრი არ ექნებოდა? აი, ‘’ლურჯი ვეშაპი’’ მაინც არ გაგიგონია? რაღაც მაგისი მსგავსია ესეც და უარესიც კი. იმასაც ამბობენ რომ სიტყვა ფსიქოლოგია მაგის გამოგონილია.
-ვისი?
-ე ბიჭო, დემონის! - მემგონი უკვე კატო ზედმეტად იყო შეჭრილი როლებში, - ის ტვინში გიძვრება და იქ უკვე თვითონ იცის...
-კი, შენს ტვინში აშკარად შემნოუღწევია!
-ნუ ღადაობ!
-კაი, კაი კატო, წავედი უნდა ჩავბარდე.
-რაო?
-კაი ხო, ძმაკაცს უნდა გავუარო სასაფლაოზე, რა იყო.
-რა რა იყო, გული გამისკდა... კაი, მესამეზე შეგხვდები ნიკა.
-მართლა მე ვაწესებ?
-არა სულელო.
-კაი, კარგად.

-კარგად.

ტელეფონის გათიშვის შემდეგ გეზი სასაფლაოსკენ ავიღე. ჯერ კიდევ ვერ ვიაზრებდი კატოს სიტყვებს. ცოდო იყო ეგ გოგო. ალბათ ჩემსავით. გზაში გრძნობამ, რომელიც ყველა სასუნთქ მილს ერთიანად მიკეტავდა ისევ იჩინა თავი და ჩემდა უნებურად ისევ მეგიზე დავიწყე ფიქრი. სააბაზანოდან უკვე გამოვიდოდა თუ დიდხანს ნებივრობა არ უყვარს. ნეტავ რა რეაქცია ჰქონდა თუ უკვე გამოვიდა და ოთახში არ დავხვდი? ალბათ მთელს სახლს ყირაზე დააყენებდა. ნეტავ ახლა რას აკეთებს? ვინ იცის ვინ არის და რას წარმოადგენს, საერთოდ იქნებ გავლენიანი ნათესავები ჰყავს? რომ მომაგნოს? მაგრამ ახლა მე ეს უფრო მანაღვლებს, თუ თავად ის თავქარიანი გოგო და მისი რეაქცია? ან ვის ადარდებს, საერთოდ, ვერ ვხვდები რატომ ვფიქრობ მასზე, ეს რა ჯანდაბა და თავის ტკივილია? (გეგონება მეკლდა)

--

თითქოს ჩემს ტვინში ავტომოპასუხი გააქტიურდა, რომელიც მეგის სახელს დამარცვლით და შეუჩერებლად ჩამძახის... მგონია რომ ვგიჟდები. ეს რაღაც ჯოჯოხეთს ჰგავს დედამიწაზე. ან იქნებ თავად დედამიწაა ჯოჯოხეთი! ჯოჯოხეთი, რომლისგანაც წესით სიამოვნებას უნდა ვიღებდე, მაგრამ რატომღაც ასე სულაც არ ხდება. თუმცა, ყველა ეს შეგრძნება ისედაც ძალიან მალე გაქრება ჩემიდან, რადგანაც მე თავადაც გავქრები და ამ ყველაფერზე უაზროდ ფიქრს არანაირი მნიშვნელობა აქვს. ამ ბნელ გვირაბს რაც შეიძლება მალე გავირბენ, ისე რომ არც დავფიქრდები, არც ვინანებ. და აბა საერთოდ რაღაა სანანებელი? კიდევ ერთ ჩემთვის გათენებულ დღეს, თითო ჩემი ცუდი საქციელი და თითო დანაშაული მოჰყვება, ასე რომ რაც მალე მით უკეთესი! თანაც იქნებ, ყველაფერი რაც ახლა ხდება ნიშანია... იქნებ ასეც უნდა ხდებოდეს! იქნებ მეგი, რომელსაც ასე სურს ჩემი გადარჩენა, პირიქით როგორღაც ჩემს მიზანთან მაახლოვებს... იქნებ…

*მის პოპინსი - ნაგულისხმებია “მერი პოპინსი” - რვა წიგნისგან შემდგარი საბავშვო წიგნების სერია, დაწერილი პამელა ტრევერსის მიერ, 1934—1988 წლებში

მეგი

მეგი

გარეთ გავედი და...

რა მინდოდა? რა მინდოდა? რა მინდოდა?
სხვის პირადულში მე რა მესაქმებოდა? ყველაფერი ჩემი სისულელით დამემართა, ყველაფერი... იმ არამზადამ მამაჩემის მანქანა გაიტაცა და თავისი კამერით სადღაც გაქრა. ღმერთო... ტელეფონიც ხომ მანქანაში მქონდა არა? რა უნდა გამეკეთებინა? რა მექნა? სასწრაფოდ სახლის ტელეფონზე ლადოს ნომერი ავკრიფე ისევ. ზარი რომ გადიოდა მთელი სხეული თითქოს გამიქვავდა და ერთ ადგილს მივეტკეპნე, მოძრაობა უბრალოდ არ შემეძლო პარალიზებული ვიყავი. თავიდან ვერ მივხვდი ეს რა უცნაურობა მჭირდა. ამ დროს ორი წუთი ორ საუკუნედ გაგრძელდა და მეც გავიაზრე რომ ეს იყო შიში. ყველა ნეგატიური გრძნობა თითქოს შიგნიდან გჭამს - არა? როდესაც შიშს განიცდი, შენ უბრალოდ გინდა რომ გაქრე და ყველაფერს აზრი ეკარგება. მნიშვნელობა აღარ აქვს შენ რა ჩაიდინე, რადგან მას უკვე ვეღარ გამოასწორებ. რაც დაგრჩა კი მხოლოდ მომავალია. მომავალი რომელიც საშინლად გაშინებს, რადგან არ იცი რას გიქადის ის, არ იცი რა მოჰყვება შენს ჩადენილ საქციელებს, თუმცა ამას ვერაფერს შველი, უძლური ხარ. შენ არ შეგიძლია რამე მოიმოქმედო, უბრალოდ უნდა მოიცადო...
ნეტავ რისთვის უნდა მომეცადა?
-მეგი! - მამაჩემის გაბრაზებულმა, შეშინებულმა და "ასეთი რამ როგორ ჩაიდინე" - ხმამ მიპასუხა. მეგონა გული გამიჩერდა.
-მამა... - ავკანკალდი და მშობლიური ხმის გაგონებისას ტუჩები ინსტიქტურად გადმოვბურცე გარეთ. მხოლოდ ეს ხმა მახსენებდა, თუ როგორ დაუდევრად მოვიქეცი. ცხოვრებაში პირველად ვეცადე მოვქცეულიყავი უბრალო ჩემხელა გოგოსავით და აჰა შედეგიც.
-ო, მეგ... კინაღამ მოვკვდი ნერვიულობით, ტელეფონი სად გაქ, საიდან მირეკავ?
-მაპატიე გთხოვ...
-შვილო სად ხარ? რა ჩაიდინე? ხომ კარგად ხარ?
-ხომ მაპატიებ?
-რა მოხდა მეთქი მითხარი უკვე, გული გინდა გამიხეთქო? - ცხოვრებაში პირველად ვისმენდი ლადოს ყვირილს და გული მეწურებოდა.
-მამა გპირდები ყველაფერს აგიხსნი, ოღონდ მანამდე ის უნდა ვიპოვო...
-ვინ ის? რაში გაყავი თავი? შენ გამო ნინის დილის ექვს საათზე დავადექი სახლში. როგორც კი გამითიშე, მივხვდი რომ რაღაც რიგზე ვერ იყო. არც იქ არ იყავი და არც მანქანა დამხვდა. მეგონა რაიმე საშინელება შეგემთხვა, კინაღამ ჭკუიდან შევიშალე, გთხოვ მითხარი რომ კარგად ხარ...
-მამა მე... მგონი პოლიციას უნდა დაურეკო!

წავიჩურჩულე და ცრემლები აღმომხდა. ლადოს მისამართი ვუთხარი და ვეცადე დავწყნარებულიყავი, მაგრამ არაფერი გამოდიოდა. ოთახში ისტერიულად დავიწყე სვლა, მერე დაბლა ჩავედი და გარეთ ორ წუთში ერთხელ იმ იმედით ვიხედებოდი, რომ მეგონა ნიკა გამოჩნდებოდა და ყველაფერი უცებ თავისით მოგვარდებოდა. მაგრამ არ გამოჩნდა. ეგ კი არა, ვინ იცის ამჯერად რა სისულელის ჩასადენად წავიდა. ნეტავ ვიდეო უკვე აეტვირთა? ნეტა მამა მანქანის დაკარგვის გამო მომკლავდა, ვიდეოს გამო, თუ იმის გამო რომ ღამე უცხო ბიჭის სახლში გავატარე? ვაიმე ამ ყველაფერს ერთად ლადო როგოე მაპატიებდა? მაგრამ რა დროს მანქანა და ვიდეო იყო, მთავარი ხომ ადამიანის სიცოცხლე იყო. არ მადარდებდა ჩემი სასჯელი, მთავარია ის გარადჩენილიყო.

უკვე ვხვდებოდი რომ გრძნობები ისევ ერთმანეთში მერეოდა. შიში ისე მეფობდა ჩემში, რომ სხვა დანარჩენი გრძნობა გადაეფარა, თუმცა ვერც იმას ვადგენდი საბოლოოდ ნიკაზე გაბრაზებული უფრო ვიყავი და მძულდა იგი, თუ მეცოდებოდა და მისი გადარჩენა მსურდა. ან კიდევ ვინ იცის აქამდე, ჩემამდე კიდევ რამდენი სისულელე აქვს ჩადენილი, ანდაც ჩაიდენს... ამის გაფიქრებაზე გამაჟრიალა და ძალაუნებურად წარმოვიდგინე ოთახის შუაგულში ჩამოკიდებული, ან სააბაზანოში სისხლში ამოსვრილი. გაფიქრებაც კი საშინელება იყო, წინანდელ ღამეზე უფრო საშინელება. ძალ-ღონის მოკრებვაც აღარ შემეძლო უკვე, ვეღარც ჩემს გონებას ვაკონტროლებდი. ყველა ვარიანტში წასული იყო ჩემი საქმე. აბა რა მეგონა გამთენიისას მამაჩემის მანქანით სახლიდან რომ გავრბოდი? ბოლოს ვეღარაფერი რომ ვეღარ გავაწყე, იქვე ოთახის კუთხეში ჩამჯდარი უაზროდ მივშტერებოდი კედელს, რაციის ხმა რომ მომესმა. მარიონეტივით ვმოძრაობდი, მაგრამ კარებამდე მიღწევა საშინლად მსურდა. ძალღონე მოვიკრიბე, წამოვდექი და როგორღაც მივუახლოვდი კარს, გამოვაღე და პირდაპირ ლადოს შევეჩეხე. არ ვიცოდი რა უნდა მეთქვა, ახლა მისი ჩახუტების მეტი არაფერი მსურდა. ვეხუტებოდი და მოვთქვამდი. ასეთი შეშინებული არასდროს მინახავს. და მაინც, როგორი მკვლელი გრძნობაა შიში და რას აღარ მიაქარინებს ადამიანს. ნიკას იმის გამო რომ ცხოვრების ეშინოდა სიკვდილი გადააწყვეტინა, მე კი ყველაფრის უნარი წამართვა ერთდროულად. აბა ვინ იფიქრებდა, რომ მეგის ლაპარაკი დაავიწყდებოდა ოდესმე? ისეთი შეგრძნება მქონდა, თითქოს სიზმარში ვიყავი. ბუნდოვნად მახსოვს უცხო პირების სახე, რომლებიც ყველაფრის მოყოლას მთხოვდნენ. "მეგი სად არის მანქანა?" და კითხვა, რომელიც ყველაზე ხშირად მეორდებოდა, მე ხმას ვერ ვიღებდი, ვერ ვიღებდი, ვერ ვხვდებოდი საიდან უნდა დამეწყო, ან კიდევ საერთოდ რა უნდა მეთქვა? პოლიციის ოფიცერო და მამა, იცით, სახლიდან იმისთვის გავიქეცი რომ ვიღაც ბიჭს თავი არ მოეკლა, რომელიც თინეიჯერების არალეგარულ ფართიზე შემთხვევით გავიცანი და რომელმაც ჩემი კოცნა სცადა მეთქი? ასე ხომ ყველაფერს უარესად ავრევდი და მეც და ნიკაც სერიოზულ შარში გავეხვეოდით? არ მესმის ისევ მაგ იდიოტის გადარჩენაზე რატომ ვფიქრობდი... ჩემს თავზე მეტად ამ უკანასკნელ სიტუაციაშიც კი უფრო ის რატომ მანაღველბდა? ყელამდე ტალახში ვიყავი, ღმერთო ჩემო! უბრალოდ საშველი არ ჩანდა...

-მეგი, ხმა ამოიღე რა მოხდა, აქ რა გინდა ან სად არის ჩემი მანქანა?

ლადო ყვირილზე გადავიდა. ახლა უკვე ვხედავდი კიდეც თუ როგორ მიყურებდა. თვალებში ჩავხედე და თითქოს საკუთარი მამა მეუცხოვა.

-წუხელ ჩემს მეგობარს დახმარება დასჭირდა, ხოდა...

-მოიცა, რომელ მეგობარს?

-ნიკას...

-გვარი? - მკითხა ოფიცერმა და ხელში შავი კალამი შეათამაშა.

-მე… არ მახსოვს, - გატანჯულს და უზომოდ შეშინებულს ნიკას გვარი, რომელიც მხოლოდ ერთხელ და ეგეც საიტიდან ამომეკითხა, საერთოდ არ მახსოვდა. იდეალურია! ჯერ ტყუილის თქმაც არ დამიწყია რომ უკვე ჩავფლავდი.

-ერთი წუთით ოფიცერო, აქ რაღაც გაუგებრობაა, მას საერთოდ ბიჭი მეგობარი არ ჰყავს! - უთხრა ლადომ ოფიცერს და ანთებული თვალებით ისევ მე გადმომხედა.

-მაგრამ, ფაქტები სხვა რამეს ამბობს, - მიუგო ოფიცერმა და მე დავინახე რომ მამამ სირცხვილისაგან თავი დაბლა დახარა. მე ხომ მხოლოდ ის მსურდა, რომ მას ჩემით ეამაყა...

-მეგი შენთვის ცუდი მამა ვარ? - უკვე დამშვიდებულმა მომიგო სინანულით. ვერ დავიჯერე რომ ეს აზრად გაივლო.

-მა, რას ამბობ?

-გეკითხები და მიპასუხე, შენთვის საკმარისი არ ვარ? ცუდი ვარ?

-არა, რას ამბობ, მე...

-აქამდე რამე დამიშლია შენთვის? მითხარი ამ დღემდე რა გეკლდა, რა მთხოვე და რა ვერ მიიღე?

-მამა...

-მითხარი რით დავიმსახურე ასე რომ მომექეცი?

-მე უბრალოდ დახმარება მინდოდა, გეფიცებით მხოლოდ დახმარებას ვცდილობდი. მას მე სასწრაფოდ ვჭირდებოდი, ხოდა აღარ გაგაღვიძე, ნინისგან მოვედი, მანქანა წავიყვანე და წამოვედი. ნიკამ მთხოვა მანქანა მეთხოვებინა. ასეც მოვიქეცი. მითხრა ერთ საათში მოვალო და საჭიროდ არ ჩავთვალე შენი გაფრთხილება, მაპატიე მამა... ის აღარ დაბრუნებულა, გთხოვთ იპოვნეთ, იქნებ რაიმე შეემთხვა?

ალბათ პირველად ნათქვამი ტყუილის კვალობაზე არაუშავდა. ნეტავ მართლა ადამიანურად ეთხოვა ჩემთვის მანქანა და კიდევ ერთხელ ლაჩარივით არ მოქცეულიყო... ნეტავ ჩემი იმედები გამართლებულიყო და ნიკა არც ისეთი ცუდი ყოფილიყო... ყოველშემთხვევაში სასიკვდილოდ განწირული მაინც არა... ის ცუდი კი არა, ცოდო იყო და ამას ყველა ნორმალურად მოაზროვნე შეამჩნევდა.

რაზმი მალევე დაიშალა, ფუსფუსი და ხმაური ატყდა. ლადოსთან მარტო დავრჩი. მისი ის გაუცხოვებული ჩემსკენ მომართული მზერა გულს მიკლავდა. დალაპარაკება ვცადე.

-სახლში რომ დავბრუნდებით პილმენებს ხომ გამიკეთებ?

უცებ ლადომ ზურგი მაქცია, უხმოდ გამეცალა და ფანჯარასთან ისე დადგა რომ მის სახეს საერთოდ ვერ ვხედავდი. ნუთუ ჩემი დანახვაც აღარ უნდოდა? მთელი არსებით ვეცადე ტირილი არ დამეწყო, ოღონდ ახლა არ დამეწყო და ზუსტად ვიცოდი, სახლში მისული ჩემს აბაზანას ცრემლებით გავავსებდი და მერე შიგ ჩავიხრჩობოდი. ოღონდ ახლა მის თვალწინ და ასეთ მდგომარეობაში არ უნდა მეტირა.

-პირობას ვდებ მეც მოგეხმარები, - ვაგრძელებდი უაზროდ ლაპარაკს, - ისე არ გინდა მერიკო და ლიზაც დავპატიჟოთ? ლიზაც ჩემსავით გიჟდება პილმენებზე. არ გინდა?

საპასუხოდ კვლავ სიჩუმე გაისმა. რა თქმა უნდა ეს ფაქტი გაჩუმებას ვერ მიბრძანებდა. ლადო ჩემზე სამუდამოდ გაბრაზებული უბრალოდ ვერ იქნებოდა, ეს მას არ შეეძლო.

-აჰ, იცი რა გამახსენდა? - ვუთხარი და მივუახლოვდი, - გახსოვს ბავშვობაში პილმენებს დინოებს რომ ვეძახდი? რაც მითხარი რომ დედასაც უყვარდა, მეც ეგრევე შევიყვარე... - მხარზე ხელი დავადე, - გახსოვს თქვენი პირველი პაემანი? - ლადო ჩემსკენ შემოვატრიალე და დავინახე მთელი სახე დარდისაგან როგორ დაჭმუხვნოდა, ღვიარება ცრემლები მოსდიოდა და შეკრულ მუშტს პირზე იფარებდა. ჩემი ძალით აწეული ტუჩის კუთხეები ელვის სისწრაფით დაეშვნენ სადღაც ქვესკნელისაკენ და მოჩვენებითი ღიმილიც მალე

ამიორთქლდა სახიდან. ასეთი იყო ჩემი მამა. ყოველთვის მალავდა ჩემგან თავის დარდებს და ტკივილებს. არასოდეს მაჩვენებდა მის ცრემლებს. პირიქით, ყოველთვის იმაში მარწმუნებდა რომ გადაულახავი არაფერია, რომ მთავარია შენი თავის რწმენა გქონდეს და თუ შენს გარშემო ყველაფერი ცუდადაა, შენ მაინც მხოლოდ იმ ერთს უნდა მოეჭიდო, რაც გაბედნიერებს და შეეცადო რომ გადალახო ის, რაც შენს საბოლოო სიმშვიდეს წინ უდგას. ძალიან ბევრი მოვალეობები გვეკისრება ჩვენ, ადამიანებს. ზოგჯერ ეს მოვალეობები შესასრულებლად ძნელია და უამრავ კომპრომისს მოითხოვს, მაგრამ თუ გვინდა რომ უფრო მეტი გავცეთ, მაშინ უფრო მეტი უნდა ვიშრომოთ ამისათვის. თუ გვინდა რომ ჩვენს გარშემო ყველა ბედნიერი იყოს, პირველ რიგში ჩვენ უნდა შევქმნათ ის ბედნიერება, რასაც ხელიდან ხელში გადავცემთ ჩვენთვის ძვირფას ადამიანებს. თუ გვინდა რომ მოვლენილი ავდარი დარით ჩავანაცვლოთ, მაშინ უნდა მოვითმინოთ, არ დავნებდეთ და მაშინაც კი როცა ყველაფერი ცუდადაა, კვლავაც გავიღიმოთ. ხანდახან თვითონ ღიმილსაც შეუძლია მოგიტანოს ბედნიერება, ვიდრე პირიქით. ახლა კი შუა ოთახში ვიდექით და ორივე ვტიროდით ჩვენ. ვტიროდით სინანულის ცრემლებით და ეს ცრემლები გვახრჩობდა.

-მამა, ბოდიში... მე... ძალიან მიყვარხარ, გთხოვ გამიღიმე რა...

მთელი ძალით შევეკიდე მის მკერდს, თავი მივაბჯინე და გაშეშებული დავდექი. უცებ კარის გაღების ხმა გავიგონე და შევხტი. ვიღაც დაბალი, მოკლე წითელთმიანი ქალი სახლში შემოვიდა. ახლაღა მივხვდი, რომ ჯერ ისევ ნიკას სახლში ვიყავით. ან ასეთ დროს აბა სად უნდა წავსულიყავით? ქალი ჩვენს დანახვაზე წამიერად დაიბნა, ვინ ხართო გვკითხა და მეც უცებ გამახსენდა ნიკას სიტყვები "ქალი რომელმაც გამაჩინა, ნიკა დამარქვა". რა თქმა უნდა! აღარ დავაყოვნე სანამ რამე გაუგებრობას ექნებოდა ადგილი, სახე დავიყენე და კიდევ ერთხელ შევძელი გაღიმება, თუმცა ლადომ დამასწრო და მას თავაზიანად ჰკითხა.

-გამარჯობათ, თქვენ... ვინ ბრძანდებით?

-თქვენ გიჟები ხომ არა ხართ? ჩემს სახლში ვიღაც ორი უცხო ტიპი მხვდება, რომლებსაც ჩემი ვინაობა აინტერესებთ?

-ქალბატონო, ჩვენ...

-სახლში როგორ შემოხვედით, ვინ ხართ?

-თქვენ ნიკას დედა ბრძანდებით?

ვკითხე მე. უცებ მის სახეზე გაოცება შუშმა ჩაანაცვლა, წამით გაშეშდა, მერე საბრალო თვალებით შემომხედა და წაიჩურჩულა.

-ჩემი შვილი კარგად არის?

გავჩუმდით. მეც და მამაც გავისუსეთ. რა გვეთქვა? ამ დუმილზე, ქალმა ჩვენსკენ იერიშით გამოიწია. ღმერთმა იცის რა აზრები უტრიალებდა თავში. მამა ძლივს აკავებდა. შევეცადე სიმშვიდე შემენარჩუნებინა.

-ქალბატონო, მე ნიკას მეგობარი ვარ, მეგი, - მივუგე თბილად და ხელი გავუწიდე, მაგრამ მან მზერა ამარიდა და ცხვირი აიბზუა. არაუშავს, როგორღაც ამასაც გადავიტანდი. ხელი ჩამოვწიე და საუბარი განვაგრძე. რამენაირად ყველაფერი ძალიან წყნარად, ადამიანურად უნდა ამეხსნა, - ისე მოხდა რომ ნიკას ბრალად მამაჩემის მანქანის გატაცება ედება, მაგრამ მოიცათ, მე ვიცი რომ ნიკა ცუდი ბიჭი არ არის... მართლა. ღმერთის ნებით მალე იპოვნიან და ყველაფერი კარგად იქნება, ოღონდ დაწყნარდით...

ამ დროს მამას დაურეკეს და შეატყობინეს რომ საინგილოს უბნის გზაზე ავარია იყო და რომ მანქანისა და იმ ძღოლის მონაცემები, რომლებიც შეძლებისდაგვარად მე ავუღწერე მათ, ზუსტად ემთხვეოდა. ერთიანად კანკალმა ამიტანა.

-კარგად არის? - ვკითხე ლადოა, თუმცა პასუხის მოსმენა საერთოდ არ მსურდა ისეთი სახე ჰქონდა, - როგორ არის, ხომ კარგად არის? - ვიყვირე უცებ. ქალი კი ისევ დაიბნა, ერთხანს ჩანთაში ქექვა დაიწყო და მერე დავინახე უეცრად მამას იარაღი როგორ დაუმიზნა. დავიკივლე. კიდევ უფრო მეტად შემეშინდა. კიდევ უფრო მეტად ავკანკალდი. ამ დღეს დასასრული არ უჩანდა, ყველაფერი უფრო და უფრო უარესდებოდა. ჩემს ცნობიერებაში სულ ერთი პატარა წამით მამას სიკვდილის აზრი გაიჭრა. ამან ნაწილებად დამშალა. ქალი გიჟივით ყვიროდა:

-მატყუებთ, ქურდები ხართ, ნიკა მოკალით და ჩემი მოკვლაც გადაგიწყვეტიათ!
ისეთი პირი უჩანდა რომ იარაღის ხმარება გადასარევად იცოდა. ახლა მივხვდი და გავიაზრე ნიკას ის სიტყვები "ქალი რომელმაც გამაჩინა..." აი თურმე რაში იყო საქმე, აი თურმე რა ხდებოდა...

-ჩვენ ქურდებისა რა გვიგავს ქალო? თქვენ რა ავაზაკები ყოფილხართ, რა ხალხი ხართ? შენმა ბიჭმა მანქანა მომტაცა და შენ საერთოდ მკლავ? - აყვირდა ლადო - უნდა წავიდეთ და შენც უნდა დაწყნარდე, შემთხვევის ადგილას ვართ მისასვლელები რომ გვამი ამოიცნოთ.

-რა? რა გვამი?

-არა, ეს ვერ იქნება სიმართლე! ნიკა ვერ მოკვდებოდა… ეს არ არის სიმართლე! არ შეიძლება რომ ეს სიმართლე იყოს, - გიჟივით ჩავიხვიე. ქალმა იარაღი ჯერ ნელა, ხელის კანკალით დაუშვა, ამის შემდეგ კი წამებში ჩაიკეცა და ძირს უსულოდ დაესვენა. ლადოს ვერ გაეგო ქალისთვის მიეხედა თუ ჩემი ისტერიკები ჩაეცხრო როგორმე. თითქოს ტრანსში ვიყავი. თითქოს ბნელ ოთახში ვიმყოფებოდი, რომელიც ნელ-ნელა უფრო და უფრო პატარავდებოდა და რომელსაც იქიდან დასაღწევი კარი არ გააჩნდა. მეც უნდა ვმჯდარიყავი ამ ბნელ ოთახში და ერთადერთი რაც უნდა მეკეთებინა, დასასრულისთვის უნდა მეცადა, მაგრამ რატომღაც ის იგვიანებდა. ეს ლოდინი კი ვგრძნობდი როგორ მსპობდა შეუმჩნევლად. მთელი გზა ღმერთს ვევედრებოდი რომ მამას მანქანაში ნაპოვნი გვამი ნიკასი არ აღმოჩენილიყო, თუმცა ყველა სამხილი ამაზე მიანიშნებდა. მთელი გზა კადრები წინა ღამიდან განუწყვეტლივ ცოცხლდებოდნენ ჩემს გონებაში და მეც ვეღარ ვხედავდი რეალურ საგნებს. მე ვხედავდი, თუ როგორ დაემხო ნიკა იატაკზე და როგორ აღმოხდა ტირილი ჩემს მხარზე. როგორ დანებდა, როგორ მოლბა და დანა მომცა. როგორ ჰქონდა აკვიატებული რომ ის არარაობა იყო და მას არ უნდა ეცოცხლა... ღმერთო არა, არა გთხოვ. ყველა ის სიბრაზე, მისი არაადეკვატური საქციელებით გამოწვეული ჩემიდან უკვე სამუდამოდ გადასახლებულიყო. ახლა რაც დამრჩენოდა საშინელი მოლოდინი იყო მხოლოდ. ტაქსის მძღოლს ვეხვეწებოდი რომ უფრო სწრაფად ევლო. მთელი გზა ქალი ხმას არ იღებდა. ჩემს შიგნით დაგროვილ შიშს, რომელიც თითო მილის გავლისას, ათასი ფუტით იზრდებოდა, ვერაფერს ვუხერხებდი. მე მეშინოდა რომ ბიჭი რომელიც წინა ღამით ასე უცნაურად გავიცანი და რომელშიც მართლა იყო დარჩენილი სინათლის სხივი და თუნდაც ძალიან მკრთალი... აღარ იყო. ისეთი შეგრძნება დამეუფლა რომ მას მთელი ცხოვრება ვიცნობდი და მე მეშინოდა რომ ის თუ მოკვდებოდა ჩემს სიცოცხლესაც დაეკარგებოდა აზრი. არ ვიცი ეგოისტი ვხდებოდი, თუ სხვისი ცხოვრების გადარჩენა მართლა ასე ძალიან მსურდა, მაგრამ იმ მომენტში ამას არანაირი მნიშვნელობა არ ჰქონდა…

***

იმედს ვიტოვებდი. სულ მცირე იმედს მაინც ვიტოვებდი და ფიქრებშიც კი არ ვუშვებდი ნიკას სიკვდილს. იცი, ნიჭია, როდესაც ყველანაირი სიტუაციიდან ხედავ გამოსავალს, ყველაფერში კარგს და ყველაფერში იმედს ეძებ, იმედს გადარჩენისას და გწამს რომ ეს ასე იქნება. ბოლო იმ წუთამდე მწამდა ჩემი გამოგონილი სიმართლის, სანამ არ გავიგეთ რომ გარდაცვლილი თვრამეტი წლის იყო, ავარიის ობიექტს კი მამას მანქანის სერია ჰქონდა. და მერე ნიკა ჩემს ქვეცნობიერშიც მოკვდა... ის მოკვდა. მე ვერ დავეხმარე, ვერ გადავარჩინე. ბოროტებამ გაიმარჯვა, ნებით თუ უნებლიედ. სინათლეს სიბნელემ ძლია. ყველაფერმა აზრი დაკარგა. რეალობის აღქმა არ მსურდა. მინდოდა დამეძინა და აღარასდროს, აღარასდროს გამეღვიძა. ჯერ ლადოს საშინელების მომასწავებელი სახე ბუნდობნად დავინახე, მერე კი სიბნელეში ჩავიკარგე...

***

ისევ არ ვიყავი თითქოს გონზე. ერთადერთი რაც დამამახსოვრდა ის იყო, რომ იმ ქალს ლალი ერქვა. მას უთხრეს რომ მორგში შესულიყო და გვამი ამოეცნო. მე მაგის უფლება არ მომცეს, მაგრამ ალბათ ვერც გადავიტანდი. ან არ ვიცი რას ველოდებოდი განა? საშინელ ამბავს? ყველაფერი ხომ ისედაც ნათელი იყო? ერთი დღის გაცნობილმა ბიჭმა ჯერ პოლიციაში ამომაყოფინა თავი და მერე მორგში. იქვე კუთხეში სკამზე ჩამოვჯექი და შევეცადე რამე კარგზე მეფიქრა, მაგრამ ეგ როგორ მექნა? ისევ გასული ღამე გამახსენდა. როგორ მივაბიჯებდით ჩვენ ორნი ვარსკვლავებით მოჭედილი ცის ქვეშ, როგორ შეიგრძნობდნენ ჩენი ახლოს მყოფი სხეულები სიცივეში ერთმანეთის სიმხურვალეს... გამახსენდა ის უცნაური სურნელი, რომელიც მის პიჯაკს ასდიოდა... თითქოს რომელ კუთხეშიც არ უნდა გამეხედა, ყველგან მის მუდარით სავსე, აწყლიანებულ, საბრალო შავ თვალებს ვხედავდი. ისევ ტირილი დავიწყე. ლადო ჩემთან მოვიდა და ჩემი ტელეფონი გამომიწოდა. მთლიანად დალეწილი იყო, მაგრამ ვიმედოვნებდი რომ მაინც ამუშავდებოდა. როგორც ჩანს მანქანაში იპოვეს. ჯერ გამიკვირდა მისი ისევ დანახვა, მერე კი იმედი ჩამესახა. მართალია სულ მცირედი, თუმცა მაინც. იქნებ რამე დამიტოვა? მახსოვს ტელეფონი როგორ დავტოვე მანქანის წინა სავარძელზე. ის მას აუცილებლად ნახავდა. რაიმეს მაინც დამიტოვებდა. ბოდიშს, ან რამეს. იქნებ კიდევ ერთხელ შემეძლო მისი დანახვა. იქნებ კიდევ ერთხელ გამეგონა მისი ხმა... ტელეფონზე კოდს არასდროს ვაყენებდი. არც ნიკას ეყენა იმ ღამეს. იმ წყეულ ღამეს. სხვა სახელი უბრალოდ არ არსებობს. მამას ტელეფონი გამოვართვი და ჩავრთე. ზუსტად 1%ს აჩვენებდა, თუმცა მოსული შეტყობინებების წაკითხვა მაინც მოვასწარი:

"მეგიიიი, იცი მაინც როგორ ვნერვიულობ შენზე? ბოდიში რა ასე რომ გავქრი. გთხოვ დამირეკე ამ მესიჯს როგორც კი წაიკითხავ. ხომ კარგად ხარ? მამაშენი დღეს გიჟს გავდა, მერი დეიდა ძლივს აწყნარებდა..." (ლიზა)

"ხოოო მართლააა, მერი დეიდა და ლადო ძია შეყვარებულები ყოფილან :)))"

ზუსტად მაგ დროს მისგან კიდევ ერთი შეტყობინება მოვიდა:

"იცოდი?"

და მერე კიდევ ერთი:
"ხვალ რომელზე გამოგიარო ლამაზო? <3 " (მაჩმაჩო)

და კიდევ ერთი:
"მეგიიი, კარგად ხარ? მომწერე... გელოდები იცოდე!" (ლიზა)

ხელების კანკალით დავიწყე ტექსტის დაწერა, რა თქმა უნდა ჯერ ლიზასთვის. მხოლოდ ორი სიტყვის გაგზავნა მოვასწარი -კარგად ვარ - და ტელეფონი გაითიშა. მამას ვთხოვე დამტენი ეშოვნა. ცოტა ხანში ტელეფონი შეაერთა და ორი აბი დამამშვიდებელი მომაწოდა ჭიქა წყალთან ერთად.
-ეს რა არის? - ძლივს მოვახერხე ხმის ამოღება.
-დალიე, დაგეხმარება.
-ლალი გამოვიდა?
აბები გადავყლაპე და კარებს მივაშტერდი.
-ჯერ არა, - მიპასუხა მამამ და გვერდით მომიჯდა. ხელზე ხელი მომკიდა და მითხრა:
-მეგი, ხომ იცი რომ შენ ჩემი სამყარო ხარ?
-მამა, ამდენი ხანი შიგნით რას აკეთებს?
-დამშვიდდი გთხოვ...
ახლა ლადოს თვალებში ძველებური სითბო ჩამდგარიყო. მე ისევ ტირილი ამივარდა.
-ამდენად ბევრს ნიშნავს შენთვის ის ბიჭი?
-არა, ყველაფერი ისე არ არის როგორც შენ გგონია, მე უბრალოდ... გეფიცები მე მართლა დახმარებას ვცდილობდი, ის მას ძალიან სჭირდებოდა.
-ასეთი რა ხდებოდა?
-მე... ეს სხვისი საიდუმლოა, როგორ გაგიმხილო? გამიგე გთხოვ...
-კარგი მეგ, მოდი ჩემთან.
-მამა ნიკა არ უნდა მოკვდეს გესმის? ნიკა არ უნდა მოკვდეს! - ისე ვიმეორებდი შეშლილივით, თითქოს ახლაღა შეიძლებოდა რამის გამოსწორება ან კიდევ მორგიდან ადამიანი გაცოცხლდებოდა. ლადოს დავეხსენი და მოულოდნელად იმ ცივ კარში შევარდნა დავაპირე, საიდანაც მდუმარება ყველაზე საზარლად ხმაურობდა და სიკვდილის სიცივე

აღწევდა რომ ლალის შემაძრწუნებელი კივილის ხმა გავიგონე, რომლებიც კედლებსაც კი აზანზარებდა და სანამ გავიაზრებდი რა ხდებოდა, ისევ ყველაფერი დაბნელდა...

ნიკა მოკვდა.

სერგი

საიდანღაც გამიგონია მუსიკა მიცვალებულსაც აცოცხლებსო! უსულო საგნებსაც კი სულს ბერავს, სულიერ ჭრილობებსაც კურნავს და დაუჯერებელსაც გაჯერებსო! ხოდა მართალი უთქვამთ. რამდენიც ჩემს ფრანგულ გიტარას (რომელიც ჩემთან ერთად გაიზარდა), ხელში ავიღებ, იმდენი ეს სამყარო ჩემი მგონია და ამ ბოლო დროს ისე დავხარბდი, რომ მთლიანი სამყაროც აღარ მყოფნის და ჩემი სურვილები იქაც ვეღარ ეტევა. რაღაც უფრო მეტი მინდა აშკარად! მინდა სცენაზე ავიდე მილიონი მაყურებლის წინაშე, მინდა ავფრინდე ისე რომ ღრუბლებსაც კი მივწვდე, მინდა დედამიწის გულის ფეთქვა ვნახო, მინდა ის თითოეული სიგიჟე ჩავიდინო, რომელიც არსებობს და ისე რომ ამაზე პასუხიც კი არ ვაგო! მინდა ხმა ყველას მივაწვდინო ჩემი ამბოხის ყიჟინისა და სამართლიანიბის შეგრძნების... ჰეჰ, ხანდახან მეც ლაით იაგამივით* დავიჩემებ ხოლმე "I am a god of the new world" - მეთქი, ხოდა ამ სახელწოდებით სიმღერაც კი დავწერე ცოტა ხნის წინ ჩემი სინჯებისთვის, რომელიც სხვათაშორის უკვე სამ დღეშია. არ ვნერვიულობ, რადგან ჩემს ამბიციებს ჩემთვის ზურგი არასოდეს შეუქცევიათ. იღბალი რატომღაც ყოველთვის ჩემს მხარეს არის და ამ ფაქტს უკვე ისე შევეჩვიე, რომ ვიცი დილაობით მზეც ჩემს გამო ამოდის. აი დაახლოებით ამგვარ შეგრძნებებს განვიცდი, რამდენიც სიმღერას ვიწყებ. ჩემი

შესრულება ხომ ყველას უყვარს და სულ მთხოვენ უფრო მეტი და მეტი შევქმნა, რომ მათაც უფრო მეტი და მეტი სიამოვნება განიცადონ. მგონი ეს ყურადღების სულ ეპიცენტრში ყოფნა თავშიც კი ამივარდა და ხანდახან ღამ-ღამობით, როცა თავს ბალიშზე ვდებ უცნაური ფიქრები მსტუმრობენ ხოლმე. მაგალითად, რა მოხდება ერთხელაც ჩემი გიტარით ხელში ყვავის ჩხავილის ხმა რომ ჩავრთო და პირი ავაყოლო, მაშინაც ასე გაგიჟდებიან? თუმცა როგორ არა, ზუსტად ვიცი მაინც დაეცემიან, რადგან მე ყველაზე მაგარი ვარ და ყველაზე საკაიფო ხმა და სტილიც მაქვს. ბოლო-ბოლო მე ხომ ახალი სამყაროს ღმერთი ვარ!

და აი ზუსტად ამხელა თავდაჯერებულობით ავიღე იქვე ჩემი ოთახის კუთხეში მედიდურად მიყუდებული გიტარა ხელში და სიმებს ღიღინით ჩამოვუარე.

"Hey, don't you dare do the think of us!
Stop wondering how does it feel like,
when I touch your neck, that heating plots
and you sound like: OH MY FU*KING GOSH!"

-მოიცა, მოიცა, მოიცა! - მიყვირის პირდაღებული მარი. მე ვხარხარებ და მთელი გულით ვაგრძელებ სიმღერას:

"Hey don't you dare even get the thought,
that I'm in love with your shiity boobs...
Don't create the word of the nothingness,
cause, I do really want something else!"

-შენ სულ გაგიჟდი ხო? - როგორც კი ბოლო აკორდს ამაყად ჩამოვკარი და სახეზე სიამოვმების და სიამაყის ღიმილმა გადამკრა, ჩემი დეიდაშვილი ეგრევე შეტევაზე გადმოვიდა. ცოტათი მეწყინა კიდეც.

-ეეე, სად არის ჩემი დამსახურებული ტაში და წამოძახილები? - მერე საწოლის ქვეშ შევიხედე, - აქ ხომ არ იმალება?

-რა ტაში და წამოძახილები ოღონდაც, გოგოს სიყვარული ამ ტექსტით გინდა აუხსნა? - უცებ მომვარდა, გიტარა ხელიდან გამომგლიჯა და თავის ადგილს ისე დაუბრუნდა.

-ხო; რა იყო? - შევიცხადე მე და მხრები ავიჩეჩე, - თუ მე ვუყვარვარ, მაშინ ჩემი სიმღერაც შეუყვარდება.

-არა, შენ თუ უყვარხარ და ეგეც 'თუ', ამ სიმღერის მოსმენის შემდეგ, საერთოდ გადაუყვარდები!

-და ვითომ რას უწუნებ, ერთი?

-ხუმრობ ხო? ნიკას ჩემთვის ეგეთი სიტყვები რომ ეთქვა, მაგარს დავადებდი!

-აუჰ, გამოიდო ამანაც თავი, გეგონება უარესებს არ გეუბნება...

საშინლად გაავებულმა ჩემსკენ მომართული ჩემივე საყვარელი სპანჯბობიანი ბალიში თავში გამომიქანა და მერე გულხელი ისე უსუსურად და გულუბრყვილოდ დაიკრიფა, რომ სიცილი ამიტყდა. როგორ მიყვარდა ასე ნერვებს რომ ვუშლიდი.

-იდიოტო, - მომახალა მერე , - გინდა ნიკას და ვისაც გინდა, ზოგადად ვთქვი. გოგო ვარ და დამიჯერე ეგ არ უმღერო. რამე საყვარლობა დაუწერე, რამე, აი, დაახლოებით ამ სტილში...

მარიმ თვალები დახუჭა და ხელის ნაზი მოძრაობით გიტარის სიმებზე ფერიასავით გაისრიალა. მისმა ნოტებმა ისე სენტიმენტალურად გაიჟღერეს, ძალაუნებურად ფხუკუნი წამსკდა.

-მეკაიფები ხო? რა იყო გასვენებაში ხარ? მაგ მელოდიაზე მეტი-მეტი დაეძინოს. სულ სხვანაირი გოგოა გეუბნები, დღევანდელ ნაზმაზელა, ძალით მეტიჩრებს კი არ გავს, რა.

-ახლა შენი ჭკვით მე წამკბინე?

-ჰმ, თუ გინდა რო გოგოსთან შევრცხვე? მიჩალიჩებ ხო?

-სერგიიი, რას გიჩალიჩებ, ამ ერთხელ დამიჯერე, რა... რა იყო, მოკვდები? რაც არ უნდა შავი ქამრის მფლობელი იყოს და არა ლურჯი პეპლების მეძებარი, მაინც გოგოა, აი ჩვენ კიდე რეალურად გულს ტკბილი სიტყვები გვიხარებს და არა რაღაც 'your shit boobs' და ეგეთები. უბრალოდ არ ვაღიარებთ ამას, რო მერე ბიჭებთან მაგრები გამოვჩნდეთ და ვყვებით ესეთ დიალოგებში, თორე სინამდვილეში ეგრე არ არის. დამიჯერე, თუ გინდა რომ ამდენი წლის შემდეგ როგორც იქნა გამოუტყდე, მაშინ რამე ნაზი უნდა შექმნა, აი, რამე ჰარმონიული... ცოტა თამამი ან უხერხულიც შეიძლება, მაგრამ მთლიანად სიყვარულით სავსე... ხვდები?

-ეეე, დეიდაშვილო, ასეთი რომანტიკოსიც არ მეგონე.

სანამ რომანტიკოსი მარიამის იდეის სერიოზულობაზე დავფიქრდებოდი და საბოლოოდ გამოვიტანდი დასკვნას, ჩემი ტელეფონი მანამდე აბზუვლდა. ეკრანს როგორც კი დავხედე, მაშინვე ვიგრძენი როგორ ჩამოიშალა ყველა ძვალი ჩემს შიგნით ერთმანეთის მიყოლებით. ეკრანს წითელი გულების ფონზე დაეწერა - "HER"

ხმამაღლა ყვირილი მოვრთე და პანიკებში ჩავვარდი.

-ვაიმე, მირეკავს, ნახე მირეკავს! ვუპასუხო? რა ვქნა, რა ვუთხრა? ახლავე ხომ არ ვუმღერო, გიტარა მომე, მალე...

-შენ ცუდად ხომ არ ხარ, დაიოკე თავი და წყნარად უპასუხე. აი, ვაფშე იცი როგორი ხმით? ვითომ არც იცოდი ვინ რეკავდა, საერთოდ ვითომ გეძინა, ან რაღაც ეგეთი.

-ხო, არა?

-ბიჭო მალე, დაკიდა ყურმილი გოგომ.

-კარგი კარგი, გაჩუმდი, ვიღებ.

-სპიკერზე ჩართე, მიდი.

ხელის ცახცახით ვუპასუხე შემოსულ ზარს და ხმოვანის ღილაკს დავაჭირე. ხოო, აი ასე ხდება ხოლმე, მთელი ჩემი ის თავდაჯერებულობა, რომლითაც დასაწყისშივე თავი შეგაყვარეთ, წამში თავზე მენგრევა, როცა საქმე ამ გოგოს ეხება. ასეა, სისუსტე აქილევსსაც კი ჰქონდა... სიმდვილეში, რამდენად გიჟურადაც არ უნდა ჟღერდეს შვიდი წლიდან შეშლილივით ვარ შეყვარებული მის ფოსოებიან ღიმილზე და წითელ, ღაჟღაჟა, პუტკუნა ლოყებზე. როცა თავისი ლილაქვისფერი ბრჭყვიალა თვალები ჩემსკენ არის მომართული, ვფიცავარ მაგ მომენტში არც მაგარი ბიჭივარ საკაიფო ხმითა და სტილით და აბა რომელ სამყაროს მბრძანებლობაზეა საუბარი... მაგ დროს ვისზეც სიტყვა მბრძანებელი მახსენდება ის არის, HER წითელი საყვარელი გულების ფონზე. ჩემი მთლიანი გულისა და გონების ბატონ-პატრონი, სასწაულად გადარეული, და საოცრად საყვარელი... ნინი!

-ალო, სერგი...

ღმერთო ჩემო, როგორ მომნატრებია ეს ტკბილი ხმა.

-გისმენთ...

-მე ვარ, ნინი.

-ვააა. ნინი შენ ხარ? გაუმარჯოს, რავახარ?

დავინახე მარიმ თავში როგორ წამოირტყა ხელი. დავიბენი, მიკროფონი გამოვრთე და შევუბღვურე:

-რა? ახლა რაღა იყო!

-ნიკა არ არი ეგ, ნინია ნინი! ძმაკაცივით კი ნუ ესაუბრები... რა გაუმარჯოს და რავახარ, შენ ხო არ დაგიცურდა?

-აუ ჩემი, ამას ხო სუ თავისი ნიკა აკერია... ნეტა შენ რა გესმის ურთიერთობების საერთოდ? ის დორბლიანი ემზარი და მაგისი ძმა არ იყვნენ შენი დებილი თავის გამო სამჯერ ტყუილად რო იცემნენ? და შენ რა ქენი, იმ უბედურს ესემესები გაუბაზრე? აი საღოლ!

-ნუ ხო კაი, ეგ შეიძლება მართლა ვქენი, მარა შენზე მეტი მაინც მესმის!

-მართლა? ეგრე რო იყოს ყოველ კვირა სახლში აბღავლებული არ მომივარდებოდი, თუ ძმა ხარ ნიკას დაელაპარაკეო. რა იყო, უკვე გამოგელია ბოლო შეკვრები?

უფს... მგონი ზედმეტი მომივიდა. მარიმ ხმა ვეღარ ამოიღო, ჩემი საწოლიდან ადგა და უჩუმრად გაშპა ოთახიდან. ვითარებიდან ნინის ხმამ ახლაღა გამომარკვია.

-არ გესმის ჩემი? - მიმეორებდა გაუთავებლად.

აუ, ყველაფერი ავურიე...

-ა, ჰო... ბოდიში რა ნინ, ჩემს ოთახში ტელეფონს კარგი მიღება არ აქვს და... რას ამბობდი?

-ხო, მე... რავი, მარტო ვარ და...

-მოიცა, რას ქვია მარტო ხარ? ხომ არ გეშინია? მოვიდე?

-არა, არა! უფროსწორად, ხვალიდან ვიქნები და სულ ჩემთან ხომ ვერ ირბენ...

-რავი, რატო არა?

-ოო, მათქმევინე, აზრებს ნუ მიფანტავ!

-აზრებს გიფანტავ? ვინ მე?

-ოოო, სერგი!

მიყვარდა თუ როგორ იძახდა ჩემს სახელს. მთელ სხეულში სასიამოვნო ტალღამ დამიარა და ძალაუნებურად გამეღიმა.

-ხოდა, ხვალ ფართის აწევა მინდა და პირველი შენ დაგირეკე რა...

-რატომ?

-რა რატომ, პირველს რატომ დაგირეკე, თუ მარტო რატომ ვიქნები?

-ორივენიცა!

-ჩემები ხო გაცილდნენ... - ამოიოხრა და გაჩუმდა. ღიმილი სახიდან გამიქრა.

-მერე?

საპასუხოდ მხოლოდ დუმილი გაისმა. დავიძაბე. სპიქერი გავთიშე, ტელეფონი ყურთან მივიტანე და აივანზე გავედი.

-ტირი? - ვკითხე ცოტა ხნის მერე, ისევ არაფერი რომ არ მითხრა.

-არა, პირიქით... მიხარია! - ძლივს წამოიკნავლა საწყალი ხმით. გულში ბასრმა ისარმა წამკრა პირი და შიგნიდან მწარე ჭინჭარმა დამსუსხა.

-ხომ იცი რომ შეგიძლია გული გადამიშალო. ყოველთვის შეგიძლია...

-სერგი დედა ამაღამ იტალიაში მიფრინავს...

-Holly crap! აუ ბოდიში, მაგას ნაღდად არ ველოდი.

-დაიკიდე რა, მოკლედ ვინც გინდა ისინი შეკრიბე, პრობლემა არაა და ხვალე შვიდის მერე ამოდით რა. შენი ძვირფასი კოლექციიდან რამეებსაც თუ წამოაცუხცუხებ გამიხარდება. ფეხების გაფშეკვამდე უნდა დავლიო, თორე ჩემი ამბავი რომ ვიცი, რაღაცას მივქარავ! თან...

ისევ გაჩუმდა.

-რა თან?
-არაფერი, ხვალ გეტყვი.
-კარგი და ის მეორე რაღა იყო?
-რა მეორე?
-აი ის... ოო, არ გახსოვს?
-თქვიიი!
-ბიჭო, აი რატომაც მე დამირეკე პირველს რა...
-ხოდა ხვალ გეტყვი მეთქი, მაგაზე გითხარი.
-აუ ამოღერღე გოგო, რას დამტანჯე...
-რა გჭირს, ხვალ ამ დრომდე ვეღარ მოგიცდია?
ნუ, პრინციპში, სადაც თერთმეტი წელი მოვიცადე? მემგონი ამად ღირდა.
-ხო რავი, რატო არა.
-ხოდა მაშინ ხვალამდე.
-მოიცა... ნინი!
-რა?
-მე...
-რა შენ?
-ამმ, უბრალოდ მინდოდა მეთქვა, რომ თუ რამე დაგჭირდა არ მოგერიდოს რა, კარგი? ხომ იცი დედაჩემიც დიდი სიყვარულით მიგიღებს და ერთხელ შენც თუ გვესტუმრები კარგი იქნება.
დედაც? ც? აუ მემგონი ყველაფერს ხვდება...
-აჰ, მადლობა სერგი.
-ტკბილი ძილი, ნინი - მივუგე და ყურმილი გავთიშე.
Yes daddy! ხოდა ეგრე ბიჭო, ეგრე!
ტელეფონი საწოლზე მივაგდე. სიხარულისგან აღარ ვიცოდი რა სისულელე მექნა. ბოლოს ჩემი სტიჩებიანი*2 პერანგი გავიძრე, ეგეც სადღაც რომელიმე ჩემი ოთახის ვერასოდეს მიუგნებელ ბნელ კუნჭულში ვისროლე და სარკის წინ მდგარმა კუნთები დავჭიმე, თმა უკან გადავიწიე, წარბები ზემოთ ავზიდე, მერე ქვედა ტუჩზე ნელა ვიკბინე და მოჭუტული თვალებიდან დავუწყე ჩემს სილუეტს თვალიერება, იქამდე სანამ ჩემს თავს არ ვკითხავდი - რას სისულელეს ვაკეთებ? და გულიანად სიცილს არ მოვრთავდი. ამის შემდეგ თავი ძლივს დავისერიოზულე და სარკის წინ ხმამაღლა ლაპარაკი დავიწყე:
-მოკლედ ნინი, უძალიანესად დიდი ხანია შენთან რაღაცის თქმა მსურს, უფრო სწორად რაც გაგიცანი, აი იმ დღიდან... გახსოვს, ჩვენი კლასების გასაყარზე რომ შევეჯახეთ ერთმანეთს? შენ ხელში რვეულები გეჭირა, მე კიდევ ჩემს გახსნილ ჩანთას ხელით მოვათრევდი, ეს ჩვევა ხომ ბავშვობიდან მაქვს. ხოდა ყველაფერი ძირს რომ მოზვავდა, აი ზუსტად ისე როგორც ფილმებშია და თან თურმე ერთნაირი რვეულები გვქონია. ვინ იფიქრებდა... მერე ეს რვეულები ხო აგვერია და გადასაცვლელად შენი ნახვა ხელმეორედ მომიწია. შენ მაშინ ძალიან შეგრცხვა და ლოყებ უარესად წამოწიებულმა, თავდახრილმა გამომიწოდე ის სპაიდერმენის ყდიანი რვეული. ისე, სულ მაინტერესებდა ექვსი წლის ვარდისფერ ბაფთიან საყვარელ გოგოს სპაიდერმენის რვეული რათ უნდოდა? ეს კითხვა თერთმეტი წელია ისე მაწუხებს, როგორც კაცობრიობას აწუხებს იმის არ ცოდნა თუ რა ხდება ბერმუნდის სამკუთხედში ან კიდევ უარესი, მაინც სად ჯანდაბაში იმალება ოლივერ კრომველის თავის ქალა!*3 არადა მახსოვს სამი საათი როგორ ვიცინოდი, როცა სახლში დაბრუნებულმა მათემატიკის დავალების შესრულება განვიზრახე და სანაცვლოდ შენი

ბატისფეხური ნაწერი შემრჩა ხელში. ალბათ რვეულის ყდაზე შენი პაწია თითებით ის "მიმი ქავთარაძე 6 შლის" საყვარლად რომ არ მიგეწერა, ვერც გიპოვინდი. ვაიმე დედა, რაებს ვბოდავ? აუ არა, რა, რეპეტიციაზეც რომ ასე ვნერვიულობ, იქ რაღა დამემართება მის თვალწინ? ისევ თემას რომ ავცდე, შეიძლება გაუაზრებლად ვაწყენინო კიდეც, მას კი ახლა უჩემოდაც გატეხილი აქვს გული და არ მინდა...

და იქნებ მარი მართალი იყო? რაიმე ახალი დავწერო ვითომ? მაგრამ ერთ ღამეში რანაირად?

კიბეებზე ელვის სისწრაფით ჩავფრინდი და სამზარეულოში შევვარდი.

-დეეე, დედააა.... დეეეეე!

-რა გაყვირებს, ბიჭო ამ შუა ღამეს, - დამტუქსა დედამ.

-აუ დეე, მარი სად არი?

-ეჰეე შვილო, სად დაფრინავ. წავიდა მარი რახანია და რაღაცა მაგისი სახე არ მომეწონა. ისევ აწყენინე ხო?

-არა... უფროსწორად, რაღაც მაგ სტილში.

-ვაი, იცოდე ხვალვე ბოდიშს მოუხდი, რა გამიწამე ეგ გოგო რა, რა გჭირს ბოლო-ბოლო! შენს დაუცხრომლობას ხომ აღარ აქვს საზღვარი უკვე...

-დედა, ჩემგან რა გინდა, ყველაფერი თავისი სიშტერით ემართება მაგას... აუ, მამაც არაა ხო?

-რა დროს მამაა, ერთ კვირაში ჩამოვა. შენ ხო არ ცხოვრობ ამ სახლში, არა!

-ისე, ყურში საცობები გაიკეთე ამაღამ გირჩევ.

-მიდი ღამეც არ მომასვენო კიდე!

-დე, აი ხო იცი რო მაგრად მიყვარხარ?

-მეც მიყვარხარ დედას ერთადერთო, დედას საამაყო ბიჭო! დედას გადარეული ხარ შენ.

-ხოო და ჩემი შვილებიც ხომ გეყვარება, არაა?

-არ გადამრიო ახლა, ცოლი მოგყავს და მაპარებ, თუ რა ხდება?

-ჰაჰ, რაღაც მაგ სტილში...

მაგიდაზე ვაზით შემომდგარ წითელი ვაშლებიდან ერთ ყველაზე მოზრდოს ხელი დავავლე, ჩემს ტკბილ დედიკოს ფუმფულა ყელში ვაკოცე და ისევ ოთახში ავქანდი. მარის ჯერ "მესენჯერზე" მივწერე, შემდეგ კი ნომერზე, მაგრამ ორივეგან დამსინა და მეც გადავწყვიტე რომ ხვალ გამევლო და ნინისთან ეგ და ნიკა ერთად წამეთრია. ეგრე ჩემზე წყენა სულ გადაუვლიდა, თან იქნებ დაელაგებინათ კიდეც ურთიერთობა. მაგრამ რა ჩემი საქმე კიდე ეგ იყო, ისედაც გაჭირვებული ვიყავი. მთელი ის ღამე არ გამიჩუმებია გიტარა. კინაღამ თითები გადავიტყავე. ცხოვრებაში პირველად თავში სიმღერის ტექსტის იდეა არაფრით მომდიოდა. მე მეგონა გავგიჟდებოდი. რაღაც გულიდან უნდა ამომდიოდეს არა? როგორ თქვა მარიმ? რაღაც ნაზი, მაგრამ შეიძლება თამამიცო... მაგრამ, ჩემი გულიდან მხოლოდ და მხოლოდ გამძვინრებული ცეცხლის გიზგიზის ხმა მესმოდა და არა ჩიტების ტკბილი ჭიკჭიკი, ვაიმე რა კარგია გაზაფხული, გინდა თუ არა, შეიყვარეთ ერთმანეთიო. მაინც რა უნდა დამეწერა?

დიდხნიანი წვალების შემდეგ, ბოლოს როგორც იქნა მარიამის მელოდიის მსგავსი რაღაც წყნარი აკორდიდან დაწყებული, მშვიდი მუსიკა შევქმენი, რომელიც ძალიან მალე აშკარად გახდებოდა 2022-ის ჰიტი თუ დასრულებას შევძლებდი. ან კიდე, ვითომ რატომ არ უნდა შემეძლო, თუ რა თქმა უნდა ტიტანების წვიმა*4, ზომბი აპოკალიფსი, ან რაღაც ეგეთი ფენტეზის სახეობის ეპოქა არ დადგებოდა. და მეც უკვე წარმოვიდგინე "YouTube"-ზე როგორ ავტვირთავდი წაწერით - "Nini's Song". ამ წარმოდგენებმა ძალიან გამიტაცეს. თვალები

დავხუჭე და გულში გადანახულ თერთმეტი წლის მოგონებებს თვალიერება დავუწყე და რატომღაც ისევ ჩვენს მეორე შეხვედრაზე გავჩერდი. ისევე როგორც წეღან ტელეფონით საუბრისას, მაშინაც გავაჩერე ის, როცა წასვლა დააპირა, თუმცა ჩემსკენ შემობრუნებულს, როცა თვალი თვალში გამიყარა, ველარაფრის თქმა ველარ გავუბედე, გარდა მადლობისა. სინამდვილეში ალბათ, წასვლებს ვერ ვიტანდი. ხო, მე დამშვიდობების ფობია მჭირდა. ეს სიმართლეა, მე არასდროს ვამბობ "ნახვამდის", რადგან მაშინვე ცუდი ემოციებით ვიმუხტები. და იქნებ... რა იქნება ნინისაც რომ იგივე სჭირდეს? ღმერთო, ის კი... ის ახლა სულ მარტოა... სულ მარტო!

დაღლილი თითები კიდევ ერთხელ ჩამოვკარი სიმებს და ძალზედ ჩუმი სიტყვებით ჯერ ისევ თვალებ დახუჭულმა წავიმღერე:

"Just promise baby, that you
won't fight if I say goodbye...
And just don't cry if I go to die... "

ეგ არის! ეგ არის!

ჩემს დღიურს და იქვე ძირს მიგდებულ დედას ნაჩუქარ კალამს ხელი დავავლე და სასწრაფოდ ნინიზე უარესი chicken scratch handwriting*5 ჩავიწერე, სანამ გონებიდან სულ არ ამომიფრინდებოდა, რადგან ერთხელ მოსული სიმღერის ტექსტის სიტყვები ხელმეორედ აღარასდროს მომდის. მერე კალამი ჩემს ტუჩებს მივაბჯინე. მეცნიერების მტკიცებით ეს მოქმედება ტვინს უფრო სწორად მუშაობაში ეხმარება. ისევ სარკეში ჩავიხედე, ისევ სასაცილოდ ვითომ და სექსუალურად მოვჭუტე თვალები და ფიქრი გავაგრძელე...

"Don't speak when I'm on your lips,
No
you have to try,
you have to tryyyy
you have to tryyy,
your hard... to kiss!

...

Just promise baby, that you will
Keep it all your feels
And don't break these with your shit
And, I swear I'll tell the truth..."

ტექსტი მართლაც და ავტორივით საოცრება გამოვიდა, მაგრამ რატომღაც ბოლო აბზაცის დასასრულზე გავიჭედე. აზრზე არ ვიყავი სიტყვა რატომ მიწყდებოდა შუაში, თითქოს მეტის გაგრძელება უბრალოდ აღარ შემეძლო და არც ის ვიცოდი ასე დაუსრულებლად ნინისთვის როგორ მემღერა, მაგრამ სანამ ამაზე ნერვიულობის დაწყებას მოვასწრებდი, მაქამდე ძალზედ შეუმჩნევლად იმარჯვა ჩემზე ძილბურანმა და მზის ამოსვლისას იქვე

იატაკზე მარის გამოქანებულ სპანჯბობის ბალიშთან და ჩემს ფრანგულ გიტარასთან ერთად ტკბილად ჩამეძინა.

***

იქნებ ნინის გრძელთმიანი ბიჭები არ მოსწონს? რა სისულელეა! მაშინ ჰარი სტაილზის*6 ფოტოს ინსტაგრამის სთორიზე რატომ დადებდა. და იქნებ ეგ ნამიოკი იყო? ხო ან კიდევ უკვე პარანოიკი ვხდები.

-რატომ არ გინდა რომ მითხრა? - ნინის სახლის უკანა ეზო მისი საყვარელი ნაწილია და განსაკუთრებით ღამით, როცა შეგიძლია აივნის კიბეებზე ჩამოჯდე და განთიადს უცქირო. წვეულებიდან შეუმჩნევლად ვიყავით გამოპარულები მხოლოდ ჩვენ ორნი. მემგონი ესეც რაღაცას უნდა ნიშნავდეს. რამოდენიმე ხელი 'ჩაკიდულის' შემდეგ უკვე ნამდვილად აღარ ვგავდით საღად მოაზროვნე პიროვნებებს და მეც ისევ უცნაური ფიქრებით მეჭედებოდა ტვინი, იმისგან განსხვავებით რომ ახლა თავი ბალიშზე კი არა ნინის თბილ კალთაზე მედო. ის კი ჩემს თმაში თითებს მცხუნვარედ ასრიალებდა. მის თითოეულ შეხებაზე ნეტარების ცხელი სხივი მთელ სხეულში მივლიდა და ასე დაუსრულებლად, რადგან მას აშკარად მოსწონდა ჩემი გრძელი თმები და შესაძლოა მისი 'სთორიებიც' ნამდვილად ნამიოკები ყოფილიყვნენ. შესაძლოა ნინის მართლა მოვწონდი.

-რადგან, მირჩევნია გიმღერო, - ვუპასუხე ამღვრეული ხმით და ავხედე. მერე ნელა შევეხე მის ლოყას და იქიდან თითი ყელამდე უჩუმრად ჩამოვაცურე. ნინი ღიმილით შეიშმუშნა.

-მიმღერო? - შეიცხადა და ხელი ჩემი დალალებიდან ჩემს ნიკაპზე გადმოანაცვლა, იქიდან კი თითი ნაზად ტუჩებზე შემეხო, - მიმღერო ახლა და ასეთ პოზაში?

-როგორი სულელი ხარ, - გამეცინა, - ეს გიტარა შენთვის მოვიტანე.

ნინიმ ახლაღა გადახედა პირველ საფეხურზე ლამაზად მწოლიარე გიტარას.

-მართლა?

-შეგიძლია მომაწოდო?

-ახლავე.

უცებ ჩაირბინა კიბეები და ინსტრუმენტი ფრთხილად ამომიტანა.

-ნელა, თორე გადაგაყოლებ იცოდე, - გავეხუმრე და გამოვართვი. როგორც კი მოვიმარჯვე და შევეცადე ჩემი გულის გაგიჟებული ფეთქვა როგორმე გადამენაწილებინა და ღრმად ჩავისუნთქე, ნინიმ წამოიყვირა.

-მოიცა, არ დაიწყო, არ დაიწყო...

-რატომ?

-შეიძლება გადაგიღო?

დაძაბულობა მხრებიდან წამებში ჩამომეხსნა და მკაფიოდ გამეღიმა.

-კი, შეიძლება.

ნინიმ სწრაფადვე ჩართო ტელეფონი და როგორც კი კამერის ჩართვის ხმა გავიგონე სიმებს ხელი მოვუმარჯვე. ჩემი გული არაფრით წყნარდებოდა და მეგონა მელოდიაზე ხმამაღლაც კი ისმოდა.

-სიმღერას რა ქვია? - მკითხა ნინიმ, გაიცინა და წაბარბაცდა. ხელი მივაშველე. მერე კიბეები ჩაირბინა და იქიდან გააგრძელა გადაღება რომ მარცხი არ მომხდარიყო.

-Nini's song ! - მივაძახე გაბედულად.

ნინიმ კამერა თავისკენ შეაბრუნა.

-guys, გაიგონეთ? ეს სიმღერა ჩემია, მარტო ჩემი.

-მხოლოდ შენთვის და მხოლოდ შენ... მეტი არავინ!

ნინი გაისუსა. მელოდია ჰაერში მოხდენილად გაიჭრა. ეს შესრულება მართლაც იყო გულწრფელი, პირდაპირ გულიდან ამოსული და ცოცხალი. რაღაც ჩვენებური... თამამი და სიყვარულით სავსე... ალალი და მოლოდინს გადაჭარბებული. მაგრამ აი მივედი იმ ბოლო აკორდამდე, რომლის დასასრულიც ჯერ არ მქონდა მოფიქრებული. იქნებ უბრალოდ ამისათვის არ ვიყავი მზად? ან იქნებ... იქნებ... ეს სულაც არ უნდა ყოფილიყო დასასრული?

"Just promise baby, that you will
Keep it all your feels
and don't break these with your shit...
And, I swear I'll tell the truth,
But yet,
I have to lie,
I have to liee,
I have to lieeee...
For you to still..."

ვერ შევძელი! ისევ ვერ შევძელი! ისევ ჩავფლავდი. ეს რა გაგრძელება იყო? საიდან მოვათრიე ეს სიტყვები? მთელი სახე ამიწითლდა. ჩემი ხელები გაიყინა. ამ მომენტს ასე არ ველოდი. ასე არ ველოდი, ასე არ წარმოვიდგენდი... მე ისევ ვერ შევძელი მისთვის სიმართლის თქმა!

ნინიმ დიდხანს გაოცებულმა მიყურა. მისი იმედგაცრუება მის სახეხე ცხადად აბობოქრდა. ტელეფონი გათიშა და ჯიბეში შეინახა და ერთხანს ასე უხმოდ გაშეშებულმა მიცქირა კიბის ბოლოდან.

მორჩა, ჩემი საქმე წასულია...

ვფიქრობდი და საშინლად მრცხვენოდა. ველოდი მის რეაქციას მაგრამ ის უთქმელად, უმოძრაოდ უბრალოდ ქანდაკებასავით იდგა. სახეზე ხელები ავიფარე, მაგრამ ბოლო წამს საოცრება მოხდა. ნინიმ ტაში შემოჰკრა და ჩემთან ხალისით ამოვარდა. რა ხდება? გამოდის რომ არ წყენია?

-შენი ხმა უბრალოდ... საოცრებაა, მადლობა!

მომიგო და უსწრაფესად მაკოცა ლოყაზე. უეცრად ჰაერი საგრძნობლად დაიძაბა. ნინი მიხვდა რომ გაუაზრებლად მოიქცა ასე და უკან დაიხია, მაგრამ ცალი ხელი ზურგზე შემოვჭიდე და წასვლის უფლება არ მივეცი, არც ამჯერად მივეცი. ჩვენი გახშირებული სუნთქვა ერთმანეთს ჰაერში შეასკდა. ასე ახლოდან, ასე პერსონალურად პირველად

ვხედავდი მის ლამაზ თვალებს და გრძელ წამწამებს. ვხედავდი სხვანაირად, ვხედავდი მხოლოდ ჩემთვის. მისი ბაგეები ტკბილი ენერგიის სიგნალებს გამოსცემდნენ მე კი ახლა ყველაზე მეტად რაც მჭირდა ამ ენერგიით შევსება იყო.

-ჩემი სიმღერა დაუსრულებელია, - დაიჩურჩულა თითქმისდა ჩემს ბაგეზე. ვფიცავარ ვიგრძენი მისი აღშფოთებული სუნთქვა სახეზე როგორ შემომეფეთა და მომელამუნა.

-გინდა რომ დავასრულოთ? - ვუპასუხე და ტუჩის ცალი კუთხე ზემოთ ავზიდე.

-არა, მინდა რომ დავიწყოთ...

-ნინი, მე...

-ჩშშშ!

-ნიკა! - გავიგონეთ უცებ ეზოში გამოსული მარიამის ძახილი. ოხ დეიდაშვილო, ეს რა მომენტი გამიფუჭე! სულ ნიკა, ნიკა, ნიკა... კი მაგრამ, ასე როგორ შეიძლება? საკუთარი ცხოვრება აღარ აქვს უკვე! მომავალი აღარ აქვს...

-მარი? - წამოიძახა ნინიმ და მარისთან მიირბინა.

-აუ, ცუდ დროს მოვედი?

-კი! - შევუბღვირე და ვანიშნე გაქრი აქედან მეთქი.

-აა-არაა, რას ამბობ, მოდი... - დაპატიჟა ნინიმ.

-არა, არა მე, ნიკას ვეძებდი, ხომ არ იცით სად არის? რაღაც უნდა ვუთხრა...

-რა ხდება? - აღარ შეეშვა ნინი. აუ იპოვეს ამათაც ერთმანეთი!

-გოგო დღეს აესე ჩვეულებრივად მომიშორა თავიდან, წარმოგიდგენია? ხოდა პასუხი უნდა მოვთხოვო, უნდა ამიხსნას ყველაფერი!

-დარწმუნებული ხარ რომ ასეთ მდგომარეობაში ეგ კარგი იდეაა?

-კიიი, გთხოვ რა თუ იცით მითხარით...

-ნიკა რახანია სახლში წავიდა მარი, - ვუთხარი.

-რაა? ასე მალე?

-ხოო, ასე მალე. წამოდი წაგიყვან შენც, გოგო რა არი, ხო ხედავ ფეხზე ველარ დგახარ, -წამოვდექი.

-მიდიხარ? - ხელი მკლავზე ჩამჭიდა ნინიმ. გამეღიმა.

-ისევ მოვალ...

-არაა, საჭირო არაა, რეზო პაპას დავურეკავ და გამომივლის. აბა მაგრად ბავშვებო. ნინ, ერთი ჩემ მაგივრად წამოარტყი მაგ ბედოვლათს მაგას, - წამკბინა მარიმ და ბარბაცით გაგვეცალა.

ავწითლდი.

-რატომ მოატყუე? - დაიწუწუნა ნინიმ.

-რაზე ამბობ?

-იქნება და რა სერიოზული საქმე ქონდა გოგოს! სანამ გამოვედით დავინახე მამაჩემის სავარძელში ნიკა როგორ იჯდა. ის აქ არის.

-ძაან მშვენივრად ვიცი სადაც არის, წეღან მეც ვნახე ვიღაც გოგოზე მკითხა კიდეც, - ვუპასუხე და ისევ ჩემს ადგილას ჩამოვჯექი.

-აბა რატო მოატყუე? საბრალო მარი...

-გოგო რაღა საბრალო, უკვე ზედმეტები მოსდის მაგასაც, აი ერთხელაც გაუჩხრიკავენ მაგ სკოლის ჩანთას და რო დაერხევა ისევ ჩემთან უნდა მოვიდეს ატირებული, მე კიდე კაცი არ ვიყო თუ კიდე დავეხმარო. ასჯერ გავაფრთხილე და მაინც, აზრი არ აქ...

-რაზე ამბობ? - მომიახლოვდა და გვერდით მომიჯდა.

-შენ რა არ იცი? - გულწრფელად გავიკვირვე. როგორც მახსოვდა მარი და ნინი მეგობრობდნენ.

-რაა?

-აუ ნინი, ეგენი ათა პაპის დროს დაშორდნენ.

-რაა?

-ნიკაც თავიდანვე ძაან მეგობრულად უყურებდა, აი ჩემი დეიდაშვილის პონტში რა, ის ჩემისა ეკიდებოდა სუ. ერთი პერიოდი ჩვენ სამნი მართლა კარგად ვიყავით და მიყვარს ეგ დრო მარა...

-მეღადავები? არ უთქვამს ჩემთვის რო დაშორდნენ.

-კაი, მასეთ საკითხზე რატო უნდა გეღადავო?

-მარიამს უყურე რაა...

-ხო, მეც მწარედ შევცდი რო წამოვათრიე დღეს.

-კაი არაუშავს, აღარ ინერვიულო... და აბა ვინ გოგოზე მკითხაო ნიკამ? - მომიგო და მხარზე თავი ჩამომადო. შევეცადე ხმამაღლა არ მეყვირა, თუ სინამდვილეში როგორ მსიამოვნებდა ეს სიტუაცია და ყურადღება ჩვენს წამყვან საკითხზე გავამახვილე.

-აუ მე რა ვიცი, მაგან სუ გაუბერა. ვაფშე აღარ მომწონს ამ ბოლო დროს, ძაან ჩაიკეტა. რაღაცა წითელი თმებიო და შაბათის ალქაჯიო, მე რა ვიცი. ვინ იცის ახლა რაღა მიიღო.

-არ არსებობს! არ არსებობს! არ არსებობს! - ხტუნაობა დაიწყო ნინიმ და სახეზე ხელები აიფარა. კინაღამ შემეშინდა.

-რა იყო?

-ნიკა მეგის ეძებდა?

-ვინ მეგი? აა, ვიცი არ მითხრა... გოგონა მათემატიკიდან, ხო?

-ხოო ეეგ, ნიკასნაირ იდიოტს მეგისნაირ სუფთა გოგოსთან რა ესაქმება? შანსი არაა, მეგი ზედაც არ შეხედავს.

-ვაა, აბა ვინმე სხვა წითურიც გყავს სახლში?

-არა.

-ეე, ნეტა რა ხდება... ისე მე მომწონს ეგ მეგი. რაღაცნაირად სიკეთეს ასხივებსო თითქოს.

-ხო, ეგ და მამამისი ორივენი ღვთის მოშიშები არიან, აი რო იტყვიან ზედმეტად მორწმუნეები.

-არ გინდა გავუჩალუჩოთ მაგ ორს რამე?

-ნიკა მეგისთვის ძაან უღმერთოა.

-ვიცი და ზუსტად მაგიტო ვთქვი!

-აუ ნაღდად ვერ ვწვავ რას გულისხმობ, ჯერ ისევ თავბრუ მესხმის, მარა დალევა კიდე მინდა.

-ხომ არ გცივა? - ყურადღება გამეფანტა უცებ, წელში გავსწორდი და შევხედე. უნებურად მზერა მის შიშველ მხრებზე გამექცა.

-არა, - მიპასუხა და მეც ეგრევე ჩამოვუშვი ცხვირი. მაგრამ თუ ჩასახუტებლად ეძებ მიზეზს, მაშინ ვიყინები. - გადავიხარხარე. წამში გამომიკეთდა გუნება. მისკენ მივიჩოჩე და ჩემს მკლავებში მოვიქციე. მიყვარდა ის ლავანდის სურნელი, რომელიც პირველი კლასიდან მის თმებს ასდიოდა, და რომელსაც კილომეტრების სიშორიდანაც კი ვცნობდი ხოლმე. ორივენი გავჩუმდით.

-იცი რა ვიფიქრე? - წამოვიწყე ისევ მე, - რა მოხდრბა ნიკა და მეგი ერთმანეთს რომ შეხვდნენ?

-რა მოხდება? - მიპასუხა და სახე სახეზე მიმაბჯინა.

-გული მიგრძნობს ჩემი ძმის თავს რაღაც უბედურება ხდება და არც უნდა რომ მითხრას. ვერ ატყობ? მეც ჩამომიცილა და მარიც. მემგონი ვინმე ახალი სჭირდება, ვინმე ვინც დააფიქრებს, პასუხისმგებლობას დაუბრუნებს... ვინმე კეთილი, ლამაზი, ღვთისნიერი გოგო... თან აშკარად დააინტერესა, თორე არც მკითხავდა. მე ველარ ვეხმარები, იმიტორო უარს ამბობს და იქნებ ის დაეხმაროს, იქნებ მას ველარ უთხრას უარი... რას იტყვი?

-სერგი, მეგი მართლა არაამქვეყნიურია და რავი, მე პირადად მეეჭვება რომ ნიკას საერთოდ მიესალმოს. მარა კაი, ჩვენი რაღა მიდის, რადგან ასე ამბობ, მაშინ ვცადოთ... წამო, შევიდეთ, - აშკარად არ მიტეხავდა, ყველა თხოვნას მისრულებდა. კიდევ ერთი ნიშანი იმისა, რომ ჩემი გრძნობები ორივე მხრიდან მოდიოდა და მთლად არაფრისგანაც არ გაჩენილა.

-მოიცა, ჯერ დაწყებული დავამთავროთ, - დავედევნე კიბეებზე და გავაჩერე.

-რა? - გაიკვირვა და შუბლიდან ჩოლკა მოხდენილად გადაიწია.

-ჩვენი სიმღერა, - ვუპასუხე და მივუახლოვდი. და ზუსტად იმ დროს, როცა მხოლოდ მილიმეტრები გვაშორებდა და ჩემი სურვილი უკვე პიკს აღწევდა, ნაზად ჩამომიშორა, ჩემი კისრიდან ხელები ჩამოიღო, ნელა მომცილდა და კარისკენ გაიქცა.

-მაგიჟებ! - აღმომხდა გონ დაკარგულს, - ახლა სულ ასე იზამ? ეს რა უსამართლობაა... არ გეცოდები?

-ნწ, ჯერ ნამდვილი სიმღერა დაამთავრე და მერე შეგიბრალებ - მომაძახა, გადაიხარხარა და ბავშვების ჟრიამულს და გართობას შეუმჩნევლად შეუერთდა.

***

ყველა რომ დაიშალა, ნინიმ არ გამიშვა. მითხრა რომ ეშინოდა და მეც დავრჩი. კი, ნებას გრთავთ, შეგიძლიათ დამცინოთ, მაგრამ ეს იმ ფაქტს ვერ შეცვლის რომ დივანზე მიგვეძინა. აი ასე, უბრალოდ ერთმანეთზე მიყოლებით გავითიშეთ, ყოველგვარი ჩემი სახელის მრავალჯერადი წარმოთქმის ვარიაციებისა და მსგავსი რიტუალების ჩატარების გარეშე და ეს კურიოზი აშკარად მთელი ცხოვრება გვემახსოვრება. ამ დილას კი როცა თვალები გავახილე, ჯერ ისევ გარიჟრაში იყო. უცებ აზრზე ვერ მოვედი ჩემს თავს რა ხდებოდა, სანამ ნინის მშვიდი, უსაფრთხო ქშინვის ხმა არ მომესმა ჩემი მკერდიდან. ერთხანს თმაზე ჩუმად ვეფერე. ვცდილობდი მისი სურნელი გონებაში სამუდამოდ ჩამებეჭდა და არ ვიცოდი ჩემში მოზღვავებული მთელი რიგი აღვრთოვანება და ემოციის ნაკადი სად უნდა გადამემალა, როცა ის გაიღვიძებდა. ვერაფრით ვიჯერებდი თუ რაოდენ საოცარი იყო წუხანდელი ღამე. ცოტა ხანში ფრთხილად წამოვიწიე, ისე რომ უჩემობა ვერ ეგრძნო, მაგრამ რაღაცამ ადგილზე შემაკავა და დავინახე ცალი ხელი ძილში როგორ მაგრად ჩაეჭიდა ჩემი პერანგის საყელოზე და პირველი რაც გავიფიქრე იყო: "ნინის ვუყვარვარ, მასაც ვუყვარვარ!" მერე ჩემსკენ გადმობჯინებული ფეხი ბალიშით შევუცვალე, ადიელა მივაფარე და სამზარეულოს ძებნა დავიწყე. მას შემდეგ რაც ავოკადოს ტოსტი, ჩემებური ინგრედიენტებით მოვუმზადე,

რომელიც ჩემი საყვარელი იყო და ვიმედოვნებდი რომ მასაც მოეწონებოდა როცა გაიღვიძებდა, მაცივრიდან ლიმონი გადმოვქექე და თბილ წყალში ჩავუწურე. საუზმე აბ ასპირინთან ერთად თავთან დავუდგი, მერე ჩემი უბის წიგნაკიდან რომელსაც სულ თან, ჩემი შარვლის ჯიბით დავატარებ, (გეგონება მეც მართლა ლაითი ვიყო და ნინი მისა)ფურცელი ამოვხიე და იქვე მიგნებული კალმით წავაწერე: "სიმღერას დავასრულებ, გპირდები შეგიყვარდება :)" და ფეხაკრეფით და ბედნიერი ღიმილით გავეცალე იქაურობას.

ნინის სიმღერა რაც შეიძლება სწრაფად უნდა დავასრულო, ხოდა აი მეც მოვედი აქ, ჩემი და ნიკას ადგილას. სად? საინგილოს სასაფლაოზე. არ ვიცი როგორ დავწერ სასაფლაოზე სასიყვარულო სიმღერის დასასრულს, მაგრამ რატომღაც როცა სახლში შხაპის მისაღებად დავბრუნდი გულმა მთელი ძალით აქეთკენ გამომქაჩა. ადგილას, სადაც ყველა კუთხე-კუნჭული ჩემი და ნიკას ბავშვობის მოგონებებს ინახავს. პირველად აქ გავსინჯეთ მოსაწევი და აქვე დავდეთ სისხლით ფიცი რომ მუდამ ძმები ვიქნებოდით. მე მიყვარს ჩემი ძმა... ის უდრეკია და უშიშარი, ჩემგან განსხვავებით და როგორც არ უნდა იტანჯებოდეს, ურჩევნია მოკვდეს ვიდრე ეს ტანჯვა გაგიზიაროს. კეთილი გული აქვს ჩემს ძმას. ვერ იტანს, როცა მის გარშემო მყოფები ზიანდებიან. მათ მთელ ტვირთს კისერზე აიკიდებს, ოღონდ მათ ტირილს არ შეესწროს. ყველაფერს გულში ჩაიკეტავს და გაგეცლება, რომ მყუდროება არ დაგირღვიოს. და განა იმიტომ რომ არ უყვარხარ, არამედ იმიტომ რომ უყვარხარ და შენზე ზრუნავს და უნდა ბედნიერი იყო. ასეთია ჩემი ძმა...

შეუძლებელია აქ მის გარეშე ყოფნა შევძლო. ხოდა მეც გადავურეკე და დამპირდა რომ მოვა. მითხრა რომ იქურდა, მაგრამ არ დავუჯერე. ვნახოთ, სანამ არ მოვა ვერც გავიგებ, თუმცა ახლა როცა საათს დავყურებ, ვიაზრებ რომ უკვე ძალიან დიდი ხანი გავიდა მას მერე, რაც ყურმილი დავუკიდე. მე რა თქმა უნდა კვლავაც დაველოდები, მაგრამ წარმოდგენა არა მაქვს ასე სიკვდილამდე რატომ დაიგვიანა…

*ლაით იაგამი - ანიმედან - “სიკვდილის დღიური - Death Note”
*2 სტიჩი - მულტფილმიდან - “ლილო და სტიჩი”
*3 ოლივერ კრომველი - (Engl. Oliver Cromwell; დ. 25 აპრილი, 1599 — გ. 3 სექტემბერი, 1658) — ინგლისელი სამხედრო და პოლიტიკური ლიდერი. მოგვიანებით იყო ინგლისის, შოტლანდიისა და ირლანდიის ლორდ-პროტექტორი. ასევე იყო პირველი ადამიანი, რომელმაც ქვეყანაში მონარქიის დამარცხება მოახერხა და ინგლისი რესპუბლიკად გამოაცხადა. კრომველის გარდაცვალების შემდეგ ინგლისში კვლავ მონარქიული წყობა დამყარდა. მეფე კარლ II-მ მისი საფლავი გაათხრევინა და გარდაცვლილი ხელმეორედ მოაკვლევინა. მას თავი მოკვეთეს. მას შემდეგ ხან მუზეუმში ინახებოდა, ხან კოლექციონერები ინახავდნენ. საბოლოოდ კი 1957 წელს ერთ-ერთ ინგლისურ ოჯახში საიდუმლოდ იქნა გადანახული. დღეს ოლივერ კრომველის თავის ქალის ადგილმდებარეობა არავინ არ იცის მთელს მსოფლიოში.
*4 ტიტანების წვიმა - ნაგულისხმებია ანიმე “ტიტანების შემოტევა - AOT”
*5 chicken scratch handwriting - (Engl. ქათმის ნაკაწრის ხელწერა) -ს უწოდებენ არეულ, გაუგებარ, გაკრულ ხელწერას.
*6 ჰარი ედვარდ სტაილზი - ინგლისელი მომღერალი, სიმღერების ავტორი და მსახიობი.

ნიკა

არა! რაღაც რიგზე ვერ არის. რაღაც მაკავებს, ხელს მიწვდის, თავისკენ მექაჩება. თუმცა რატომღაც არ ვიცი რა... ვერ ვხვდები ვინ... მიზეზს ველარ ვხედავ, მაგრამ ერთადერთი რაც ვიცი არის, ახლა არა, აქ არა და ასე არა.

ასე რომ შეჯახებას თავს ვარიდებ და გზას უკვე შესამჩნევი სიმშვიდით ვაგრძელებ…

***

სერგისთან რომ მივედი, თვალებს არ უჯერებდა. მკითხა ვის ეკუთვნოდა ასეთი ძვირფასი მანქანა, მე კი ვუპასუხე, "რა მნიშვნელობა აქვს!" რაღაც მკარნახობდა რომ თუ მის სახელს ვახსენებდი... თუ ენა მეგის სახელის სათქმელად მომიბრუნდებოდა, მაშინ თითოეული ის დანაშაულის შეგრძნებით აღჭურვილი წამი, რომელსაც ამხელა ძალისხმევის ფასად ვქაჩავდი უკან, ერთი ამოსუნთქვით წამომეწეოდა და ცოცხლად შემჭამდა. მე ადამიანს ზიანი მივაყენე. ჩემს ცხოვრებაში პირველად ჩავიდინე ამხელა დანაშაული. მხოლოდ ახლა ვიაზრებდი, რომ ის ვითომდა სულელური შეტყობინება, სინამდვილეში სიმართლის ნასახს აშკარად შეიცავდა.

"...იმისათვის რომ სიკვდილში უფრო ღრმად შეძლოდ შესვლა, სინდისის ქენჯნა უნდა გაწუხებდეთ."

თითქოს თამაში ზუსტად ჩემს რეალობას აღწერდა. დღევანდელ რეალობას და ეს აშკარად საკმაოდ საზარელ გაგრძელებას ნიშნავდა. და სინდისის ქენჯნა? ოჰ, სინდისის ქენჯნა...

წყეულიმც იყოს! წარმოდგენა მაინც თუ გაქვთ, რაოდენ რთულია ტიროდე ხმის გარეშე? აი მიახლოებით ამის ტოლფასი იყო იმ საზიზღარი ემოციების გვერდის შეუმჩნევლად ავლა და ღიმილი ასეთ რთულ დროს. დიახ, მე მართლაც ვუღიმოდი ჩემს მეგობარს, რომელიც ისეთი აღტაცებით მიყვებოდა გასული ღამიდან მომხდარ ამბებს, რომ უბრალოდ შეუძლებელი იყო მისი ემოციები არ გადმომდებოდა და მისი აღტაცება და სიხარული არ გამეზიარებინა. ვისურვებდი მეც შემძლებოდა მისთვის ჩემს თავს ბოლო სამი დღის გადამხდარი ამბების მოყოლა და სპეციალურად გასული ღამის, თუმცა არ შემეძლო. რატომ? არ ვიცი. ალბათ მეტისმეტად მხდალი ვიყავი ყოველივე ამისათვის, ან ეს გადაეული ბიჭი ჩემს ცხოვრებაში რაღაცას აშკარად წარმოადგენდა. ან იქნებ ორივეც! სერგი ნამდვილად ძალიან ბევრს ნიშნავდა ჩემთვის. მას მხოლოდ დადებითი ემოციები მოჰქონდა ჩემთან. მისი სახის დანახვისთანავე მივლიდა ნოსტალგია ძვლებში და იქაურობას მიწიოკებდა. ჩვენ ძალზედ დიდ ხნიანი მეგობრობა გვაკავშირებდა. კარგად მახსოვს როგორ გავიცანით მე და მან ერთმანეთი. შეუძლებელი იყო ეგ დღე დამევიწყნოდა...

მეხუთე კლასის დასაწყისი იყო. ალბათ ოქტომბერი. ხო, რადგან ჩემი დაბადებისდღე ახლოვდებოდა. იმ დღეს ჩვენს სკოლაში მამების შეჯიბრი ტარდებოდა. კლასიდან ყველა ჩვენგანს უნდა მოგვეყვანა მამა და ქიმიაში ცდები ჩაგვეტარებინა. პარალელურად, რომელი მამაც სკოლის შენობას არ ააფეთქებდა, ამ კონკურსის გამარჯვებული გახდებოდა და მას და მის შვილს გადაეცემოდათ ვერცხლის ნომერ პირველი ნორჩი ქიმიკოსის მედალი და სპეციალურად დამზადებული ბროლის პატარა კოლბა. მართალია უბრალოდ კონკურსი იყო და მეტი არაფერი, მაგრამ ჩემთვის ძალიან, ძალიან ბევრს ნიშნავდა, რადგან ლალი დამპირდა რომ მაგ დღეს სკოლაში მამასთან ერთად მოვიდოდა. მახსოვს მთელი ის დილა როგორი გამორჩეული სიფრრხილით ვიყენებდი თმას სარკის წინ. ის დღე ჩემი საყვარელი იქნებიდა, რადგან ვიცოდი რომ საბოლოოდ ახდებოდა ჩემი ნანატრი ოცნება და მათაც აღარ მოუწევდათ ჩემი დაცინვა, აბუჩად აგდება და "ქუჩის ძაღლის", ან სხვა მსგავსი სიბინძურის დაძახება. იმგვარი სიბინძურის, რომელშიც მიილია ჩემი ბავშვობა...

მთელი კონკურსის განმავლობაში არ დამიკარგავს იმედი და ყოველ ჩემს წინ გამოღებულ კარს ანერვიულებული ვაშტერდებოდი. მესმოდა ჩემი პატარა გულის ძგერის ხმა, შევყუდებდი უკვე შუადღისკენ გადაწვერილ ისრებს კედლის საათზე და ვეცნობოდი იმ გრძნობას, რომელსაც იმედგაცრუებას ეძახიან და რომელიც მამას მაგივრად მესტუმრა. თუმცა არა! აზრის შეცვლა და გადაფიქრება? ჩემს მიღებულ გადაწყვეტილებაზე უარის თქმა? ეს ჩემი სტილი არ არის და არც მაშინ ყოფილა. მე მაინც ვაგრძელებდი ლოდინს. ვფიქრობდი, "ნეტავ როგორ უნდა ვიცნო, ან სახეზე თუ ვგავარ? იქნებ რაიმე დაბადებიდან გამოყოლილი ერთნაირი ნიშანი გვაქვს ან ხალი ერთიდაიგივე ადგილას? ან იქნებ უკვე აქაც კია, ამ ოთახში და არ იცის რომელი ვარ? მანაც ხომ ისევე არ იცის როგორ გამოვიყურები მე, როგორც მე - ის? როგორი უცნაურია... როგორი ამაღელვებელია..." გაფაციცებით ვაფეთებდი დაღლილ თვალებს აქეთ-იქით და ვიზეპირებდი თითოეულ კუთხე-კუნჭულს, ვსწავლობდი იქ მყოფთა უცნობ სახეებს ერთმანეთის მიყოლებით იმ იმედით რომ საიდანღაც უცნობი კაცი თბილი ღიმილით ხელს დამიქნევდა და დამიძახებდა, მე ვიცოდი რომ ასე მოხდებოდა და მე დაველოდე მას... დაველოდე, თუმცა ის არ გამოჩნდა...

და როდესაც ბოლო აპლოდისმენტებიც როგორც იქნა მიწყდა, კოლბაში მოთავსებული ჟოლოსფერი ხსნარი სწრაფადვე გადაიქცა ნაცრისფერ სითხედ და ხმაურით ამოხეთქა გარეთ. ეს ნიშნავდა იმას, რომ უკვე მესამე გუნდი გამოეთიშა თამაშს. პატარა ემზომ ცხვირი ჩამოუშვა. იქაურობის მშვიდად მოწესრიგების შემდეგ, მასწავლებელმა შემდეგი მამა-შვილის ხსნარებთან გამოსაძახებლად ჟურნალიდან ჩემი გვარი ამოიკითხა და მე

დავრჩი ოთახის შუა გულში მარტოდმარტო, შეძრწუნებული. ვგრძნობდი როგორ მაშიშვლებდა ოთახში მყოფთა ჩემსკენ მომართული, მოშტერებული მზერა და იმ მომენტში სხვა არაფრის გაკეთება შემეძლო, გარდა უბრალოდ დგომისა.

-ნიკოლოზ, სად არის მამაშენი? - მომესმა მასწავლებლის შერბილებული ხმა, - როგორც მახსოვს მითხარი რომ მოვიდოდა.

-საიდან უნდა იცოდეს სად არი მასწ, - რიგრიგობით აყვნენ ერთმანეთს ბუნდოვანი წამოძახილები და დამცინავი ფრაზები, - ისიც კი არ იცის მამამისს რა ქვია და აბა ეგ საიდან ეცოდინება... აქამდე არ იცოდით რომ დედამისის გვარზე იყო?

ყურებზე ხელი ავიფარე და თვალები დავხუჭე, რომ იმ ყველაფერს ჩემამდე არ მოეაღწია, თუმცა ამაოდ. ყოველმა მათმა წარმოთქმულმა სიტყვამ ჩემს ბავშვურ სუფთა გულში სამუდამოდ დაიმკვირდა ადგილი. მეტის ატანა აღარ შემეძლო. როგორც იქნა, გამბედაობა მოვიკრიბე და მაშინვე გასასვლელისკენ გავიქეცი, სასწრაფოდ გამოვქაჩე მთელი ძალით ჩემსკენ მძიმე მინის კარები და მოულოდნელად ჩემს წინ აღმართულ მაღალ, ძლიერ ფიგურას შევეჩეხე მთელი ინერციით. მაღლა ძალიან ნელა, შეძრწუნებულმა ავიხედე. უცნობი, სასიამოვნო გარეგნობის მამაკაცი მოხდენილი წვერითა და თბილი ღიმილით შემომეგება. ჩამხედა ჩემს აწყლიანებულ, შეშინებულ თვალებში და მზრუნველი ხმით მკითხა: -საით, ბიჭუნავ?

იმედის ხელახლა გაჩენილმა პაწაწინა ნაპერწკალმა ჩემს გულში თითქმის მთლიანად ჩამქრალი ცეცხლი ხელახლა ააგიზგიზა და ისეთი ძალზედ დასამახსოვრებელი და სანდომიანი, საამური შეგრძნებები მაჩუქა, იქამდე მსგავსი რომ არც განმეცადა. მეც ეგრევე მოვიწმინდე ფრთხილად მომსკდარი ცრემლები ჩემი სახიდან და გულში გავივლე: "მამა!" კაცს ფართოდ გავუღიმე. "ეს შენ ხარ?"

-ჩემი ბიჭის ნაირი ქოჩორი გქონია! - გაიცინა მან.

"ნამდვილად შენ ხარ!"

-თქვენ... თქვენ მამაჩემი ხართ?

უეცრად კაცს ღიმილი სიბრალულით აღსავსე და გაკვირვებულ მზერაში გადაეზარდა და სანამ პასუხს მოუთმენლად ველოდებოდი, მაქამდე დავინახე პატარა, ფერად ტანსაცმლიანმა სასაცილო შავგვრემანმა ბიჭუნამ მის ზურგს უკან თავი როგორ გამოყო და ხელი ისე ჩაჰკიდა მას, თითქოს შეეშინდა მისი კუთვნილი მე არ წამეღო და ხმადაბლა მომიგო:

-ბოდიში, მაგრამ ეს მამაჩემია! კი მაგრამ, შენ საკუთარ მამას არ იცნობ? და გამოდის რომ ყველას მამა შენი გგონია? რა ცუდია...

-სერგი რას ამბობ, ასე როგორ შეიძლება? ბიჭს უხერხული კითხვებით ნუ კი შეავიწროვებ, - უსაყვედურა ბიჭუნას კაცმა, შიგნით მყოფებს, რომლებიც ჩოჩქოლსა და მითქმა-მოთქმას არაფრით წყვეტდნენ თავი თავაზიანად დაუკრა და ორივენი გაგვიყვანა კაბინეტიდან.

-რა გქვია? - მკითხა კაცმა.

-ნიკა, - ვუპასუხე და ძალიან შევეცადე კაცურად დავმდგარიყავი და არ მეტირა, - და ძალიან გთხოვთ ნიკოლოზი არ დამიძახოთ.

-ჰაჰ, კარგი ნიკა. მაშ, მე... არ ვარ მამაშენი, მაგრამ გული არ დაიწყვიტო. აი გაიცანი სერგი, დღეიდან შენი ახალი კლასელია, შეგიძლიათ იმეგობროთ. აბა, ჩამოართვით ხელი!

-ნუ იდარდებ ნიკა, - მომიახლოვდა პატარა სერგი და ხელი მომკიდა, - ჩვენ ერთად გავალთ ამ კონკურსზე!

მერე კი ჩემი პატარა სირცხვილისაგან მთელი ძალით შეკრული მუშტი მამამისის ხელთან მიიტანა და ნება მისცა ერთი ხელი მისთვის, მეორე კი ჩემთვის ჩაეკიდა. მე დამამახსოვრდა ის დაუვიწყარი სითბო, რაც ამ კეთილი წვერიანი კაცის ხელის შეხებისთანავე ვიგრძენი და

მათ შემყურეს ხმამაღლა ტირილი ამივარდა. არადა როგორ ვეცადე ეს არ მომხდარიყო, მაგრამ მაინც მოხდა. როგორც კი დაწყნარების საშუალება მომეცა, ჩვენ სამივენი ერთად დავბრუნდით კაბინეტში და რაოდენ არარეალურადაც არ უნდა ჟღერდეს, ის ბროლის კოლბა ახლა სადღაც ჩემს ძველ, მივიწყებულ ნივთებში განისვენებს, ვერცხლის მედალს კი, რომელიც აშკარად სერგის უფრო ეკუთვნოდა ვიდრე მე, მისი მოდური ოთახის ერთ-ერთ კუთხეში, სხვა მის მიღწევებთან ერთად უკავია თავისი ადგილი. ჩვენ ეს საგნები ჩვენი განუყრელი მეგობრობის საფუძვლიანი დასაწყისის სიმბოლოებად შემოგვრჩა.

ამ დღის შემდეგ მე და სერგი ყოველთვის ერთად ვიყავით. მის სახელს ჩემს გარეშე არავინ ახსენებდა და პირიქით. ის სკოლა ჩვენი და ჩვენი ოინების გარეშე ნამდვილად ვერავის წარმოედგინა სრულყოფილად და ჩვენი ყოველი ჩხუბიც, სადაც ის და მე ერთ მხარეს ვიბრძოდით, ისტორიას სამუდამოდ შემორჩა. სირცხვილის დაფაზე ზუსტად რვაჯერ აღმოვჩნდით პირველ და მეორე ადგილას. ერთმანეთს პირველობაში ვეჯიბრებოდით კიდეც, სანამ რომელიღაცა ჭკვიანმა არ მოიფიქრა და დაფაზე დანით არ ამოკაწრა;

"1. სერგი და ნიკა"

ეს დაფა დღემდე სკოლის ჰოლში კიდია. ქიმიის უკვე მოძველებულ კაბინეტში კი ჩვენი, როგორც კონკურსის გამარჯვებულის სურათები კიდევაც ინარჩუნებს თავის ხიბლს. ასე იყო, ჩვენ ლეგენდები ვიყავით. ერთად ავუწყეთ ფეხი ამ ცხოვრებას. ჩვენ ერთად დავკაცდით და ერთდროულად დაგვიბოხდა ხმა. ჩვენ ერთად მოვწიეთ პირველად და ერთ დღეს წავედით ჩვენს პირველ პაემანზე...

ჩემი მამინაცვალის გარდაცვალების შემდეგ, სახლში ხშირად მიწევდა მარტო დარჩენა, მე კი სიბნელისა და ჭექა-ქუხილის ძალიან მეშინოდა. მაშინ არც მარტოობა მიყვარდა. ასეთ დღეებში ყოველთვის საპატიო წევრი ვიყავი სერგის ოჯახში. ახლაც პირზე მადგას ნათია დეიდას მარილიანი კარამელის ბლინების გემო. ყოველ შაბათს ბიძია იაკობი გვასეირნებდა, ბამბის ნაყინებს გვყიდულობდა, დიდ ბორბლიანი ველოსიპედის ტარებას გვასწავლიდა და გვარიგებდა ხოლმე. მიყვარდნენ ისინი. მათთან თავს ისე ვგრძნობდი, როგორც შინ, სადაც შენი საკუთარი ადგილი გაქვს დამკვიდრებული, სადაც იცი რომ ყოველთვის გაუხარდებათ შენი დანახვა და შენთან საუბარი, სადაც ყველა წერტილში სიხარული და ბედნიერი აურა იგრძნობა, რაზეც იგივეს აშკარად ვერ ვიტყოდი ჩემი სახლის ყოველთვის ცარიელ, ჩაობებულ, უსიცოცხლო კედლებზე და დამჭკნარ, გაქრობის პირას მყოფ ფანჯრის რაფაზე ჩამოკიდებულ კაქტუსებზე, რომლებიც მუდამ ჭირივით მეზიზღებოდა.

მერვე კლასის მეორე ნახევარში, მარის ოჯახს თბილისში გადმოსვლა მოუწიათ ბაბუამისის დაწინაურების გამო. ის ქალაქის მერის მთავარ ბუღალტრად დანიშნეს და მარისაც ხშირად უწევდა ხოლმე დეიდამისის სახლში სტუმრობა. ასე გავიცანი ის. ჩვენ სამნი ვიქენდებზე ყოველთვის კარგად ვერთობოდით ხოლმე. ნათია დეიდა თავისი განთქმული კარტოფილის ფუმფულა ღვეზელებითა და ნაირფერი ბლინებით გვამარაგებდა. მთელ ღამეს სერგის ძველი ჯეოსტიკების წამებაში ვათევდით ხოლმე და დაუღალავად ვხუმრობდით სუყველაფერზე. ეს დიდი ხნის მანძილზე გაგრძელდა და ასე გადაიქცა ჩვენი ლეგენდარული სკოლის წინააღმდეგ ამხედრებული ნინძების დუო, ტრიოთ, რომელსაც საპატიო წევრი შემოემატა. და აი სწორედ ასე ხდება... რაღაცეები შეუმჩნევლად იწყება შენს ცხოვრებაში, თუმცა შესამჩნევლად მთავრდება. ხანდახან ვერც აცნობიერებ თუ როდის გაიზარდე ამხელა და ვერც იმას ხვდები, როგორ სწრაფად იცვლება შენს ცხოვრებაში მცირედი დეტალები. ეს მცირედი დეტალები გცვლის შენც, რაღაცეების სულ სხვა მხრიდან, სულ სხვა თვალით დანახვას გაიძულებს, გახვედრებს რომ ყველაფერს აქვს მეორე მხარე. თუმცა, შენ იქამდე ვერ ამჩნევ ყოველივე ამას, სანამ სრულიად შემთხვევით სარკეში შენს

გაუცხოვებულ ანარეკლს არ მოკრავ თვალს. ხოლო მაშინ გეგონება რომ აქამდე ბინდ-ბუნდში ცხოვრობდი თითქოს, საქანელაზე იჯექი რომელსაც ნიავი არწევდა და არაფერი არ გადარდებდა... მაგრამ უცებ შენ იაზრებ, რომ რეალურად ეს საქანელა უკვე დიდი ხანია ჩამოხსნეს, შენ კი აქამდე არც გსურდა ამისი დანახვა. და როგორც კი დაინახავ, გეფიცები შენ აუცილებლად ჰკითხავ შენს თავს: "ვინ ვარ მე? რა ვარ? ნეტავ აქამდე სწორად ვიცხოვრე? ან რაში მდგომარეობს სწორად ცხოვრება? ან საერთოდ თუ ღირდა ნეტავ ჩემი არსებობა? კი მაგრამ ამის შემდეგ რა მოხდება?.." თუმცა გულახდილად, შენ ძალიან ბევრ კითხვაზე პასუხი არ გექნება და ეს საბოლოოდ გადაგიყვანს ჭკუიდან. ახლა, ამდენი ხნის შემდეგ რომ ვიხსენებ, ვხვდები რომ ალბათ მე არ ვგრძნობდი ყველაზე საშინელ ტკივილს და ალბათ არც ის სიხარული იყო ყველაზე საუკეთესო, მაგრამ მაშინ ეს ნიშნავდა, ეს ღირდა... რაც იყო ეს იყო, რადგან სწორედ ამ პატარ-პატარა დეტალებმა მოგვიყვანეს ამ დღემდე. მართალია ჩემს შეცვლას ბევრი გარემოების შეცვლაც მოჰყვა, თუმცა ჩვენ ამისდა მიუხედავად, მაინც გაგვაჩნდა საერთო წარსული, რომელსაც ასე უბრალოდ ვერ ამოვშლიდით, თანაც ჩვენ ხომ არც გვსურდა ამოშლა... სერგი მაინც დღემდე ჩემთან იყო როცა მიჭირდა. როდესაც მჭირდებოდა, თუმცა კვლავ არ ვეძახდი, ის მაინც იხედებოდა ჩემსკენ და მპასუხობდა; "დამიძახე?" როცა გავრბოდი მისგან, ის არ მავიწროვებდა, რადგან ყველაზე კარგად მიცნობდა. სერგიმ არ დამტოვა მე. ეს მეთვითონ მივატოვე ის, ეს მეთვითონ გავიქეცი... სერგი ჩემზე უკეთესი კაცი იყო...

-ძმაო, ამ უბედურს რა უთხარი ამისთანა, - რეალობაში დამაბრუნა სერგის ფხუკუნმა.

-ვის რა ვუთხარი... - დავიბენი.

-ვისა და ჩვენ ვარდისფერ კუ-ნინძას, - გაეცინა და თავის წიგნაკში რაღაც მიჯღაბნა.

-აა, ოჰ! ისეთი მართლა არაფერი, რაც აქამდე არ მითქვამს. რა, რო? - ჩავეკითხე და დღიურში ჩავიჭყიტე, მაგრამ ვერაფრის წაკითხვა ვერ მოვაწარი, ცხვირწინ დამიხურა.

-ამ წუთას მომწერა. - აღმოხდა და კიდევ ერთხელ გადაავლო თვალი ახლად შემოსულ ესემესს.

-რა მინდაო? მანახე ძმურად...

შევევედრე. ტელეფონი ჩემს სახეს გაუსწორა, და ამავდროულად ხმამაღლა დამარცვლით გადამითარგმნა: -რაო და ჩემთან ამოდი და სამი ყუთი შოკოლადის ნაყინი ამომიტანე და გეფიცები იმ AOT -ის მაისურს გაჩუქრბ, ამდენი ხანი რომ მეხვეწებოდი, ახლა გავიღვიძე და დეპრესიაში ვიხრჩობიო.

-დეპრესიაში თუ პახმელიაში თქო, - გავიცინე, მაგრამ ნაძალადევად. სერგი რომ არ ამყვა, დავამატე:

-ხოდა ბატონო, ნუ დალევდა მაგდენს! მე ჩემი თავი მეზარება და მაგას სადამდეღა ვდიო...

-აუ რა ვქნა, მეც ბევრჯერ გავაფრთხილე მარა აი, - ვიღაც საწყალი კაცის საფლავის ქვას მიუკაკუნა, - არ ესმის და...

მერე ხელი ჩაიქნია.

-ხოდა რო წაიმტვრევს ერთხელაც მაგ თავის წაგრძელებულ კისერს, მერე ისწავლის ჭკვას, - გავაგრძელე ბრაზმორეული ხმით, - აი იცი რა ვერ შეიგნო? რო სანამ ერთად ვიქნებოდით, მაქამდე ვმეგობრობდით ჩვენ. ხო შეიძლება რო რაღაც მეგობრულად ვურჩიო და ყველაფერი თავის ენაზე არ გადათარგმნოს, არა? რადგან დავშორდი ესეიგი აღარ ვზრუნავ მაგაზე? დაშორება წარსულის გაქრობას არ ნიშნავს. თან ძაან კარგად იცი რო ეს სიყვარულები და რაღაცეები საჩემო არაა.

-და რაო, წუხელ რაღა უნდოდა? - მკითხა, ერთხანს ჩამოვარდნილი პაუზის შემდეგ და თავისი წიგნაკი ისევ გადაშალა.

-შე ჩემა, მე ვუნდოდი, მე!

-ბიჭოო, ეგ შეკვრები აღარ გაუთავდა? მოვკლავ მაგას, მივიდე... არადა მართლა ზუსტად სამი თვეა იმ მაისურზე ვკერავ. ნაგლმა ჩემ დაბადებისდღეზე თავისთვის გამოიწერა. არა რა, ეგ მაინც არ შეიცვლება. აუ, ისე შენ რო ვინმეს მოუნდები...

სიცილი წასკდა.

-აი მანდ დაგვერხა, არა? - ავყევი მეც.

-აი მანდ დაგვერხა ძმა...

ხელი ჩავურტყით. უცებ დასერიოზულდა.

-ისე, გახსოვს ჩვენი გაცნობა? - მკითხა.

-მაგას რა დამავიწყებს... რატომ მეკითხები?

-იცი რატომ ვწერ სიმღერებს?

ეს ორი კითხვა ერთმანეთთან ვერაფრის დიდებით დავაკავშირე.

-რადგან თავი ჯორჯ ჰარისონი* გგონია? - გავეხუმრე.

-ჰაჰ, ხო ეგეც, - ჩაეცინა, - სიმღერებს იმიტომ ვწერ, რადგან არ მინდა ჩემი მოგონებები ოდესმე გაქრეს...

ჩავფიქრდი. დიდი ხანია დასამახსოვრებელი მოგონება არ შემიქმნია. მე პირიქით მათ დავიწყებას ვცდილობდი, სერგი კი დამახსოვრებას... მეუცნაურა.

-როგორი უცნაური ხარ.

-აი მაგალითად, - ისე გააგრძელა თითქოს ჩემი ნასროლი "კომპლიმენტი" არც გაუგონია, - ახლა უკვე ნინის სიმღერაც წუხანდელი ღამის მოგონებად დარჩება.

-და ანუ რა გინდა მითხრა... რომ ჩვენი გაცნობის სიმღერაც არსებობს?

-ეჭვი გეპარება?

-მეკაიფები? - მართლა არ დამეჯერა რასაც ამბობდა.

-ხომ იცი რომ ძაან მაგრად მიყვარხარ, არა?

ვერ გავიგე რა ჭირდა იმ დღეს. ჯერ თავისი ყველაზე პირადული და ბავშვური საიდუმლო გამიმხილა, მერე მოულოდნელად ისევ გადახტა თემიდან თემაზე და სიყვარულის ბუშტი გაუსკდა.

-ე ბიჭო, - წამოვიძახე და წამოვხტი, - რას მეუბნები, აქედან არ გამაქციო, - ვეცადე ამ უცნაური დაძაბულობის გასაფანტად ვითომდა ძველებურად ჩვენი ხუმრობით მეხუმრა, მაგრამ არ გამომივიდა. და უფრო მეტად მეუცნაურა ის რომ იმ მომენტში, ჩემი ჩავარდნილი ხუმრობისას მართლა ვინატრე მარიც ჩვენთან ერთად ყოფილიყო, ისე როგორც ადრე და ეს რაღაც უხერხული სიცარიელე, იქნებ მერე მაინც ამოვსებულიყო. ან, იქნებ ჩვენი ტრიო გულწრფელად მენატრებოდა ყოველგვარი "უკვე გავიზარდე" - ს გარეშე.

-არა, არა! ჩემი ძმა ხარ! - მხარზე ჩამავლო უცებ და ადგილზე დამაბრუნა. ვერ გავიგე ესეც სერიოზულად რატომ მიიღო, მაგრამ აღარაფერი შევიმჩნიე, - მართლა მაგრად მევასები!

-მეც მევასები! - ვუპასუხე ბოლოს და ვეცადე თემა ჩამომეგდო, - და ბოლოს რა მოხდა წუხელ?

-არაფერიც არ მოხდა! - მიპასუხა სწრაფად და სახეზე ეშმაკურმა ღიმილმა გადაურბინა. კიდევ კარგი, ამჯერად მაინც წარმატებული აღმოჩნდა ჩემი მცდელობა.

-ხომ არ შემარცხვინე, ჰა? - ჩავეკითხე მეც ეშმაკურად და მხარზე ხელი დავკარი.

-რავი, დაგვეძინა. მართლა არაფერი არ მოხდა... ნუ, თითქმის არაფერი.

-ანუ გამოუტყდი?

უცებ გაჩუმდა.

-ჯერ ვერა, - ძლივს ამოღერღა.

-ეეე, რაღას ელოდები? ვერ ხედავთ, რო დაბერდით უკვე? მოიცა...
-რა იყო?
-მოიცა, არ გაინძრე... - გავუმეორე "შეშინებულმა" და ორი თითი თმაზე მივუახლოვე.
-აააა! - უცებ შეხტა და წამოიყვირა, - კალია მაზის ხო? ისევ კალია გამებლანდა?
სიცილი ძლივს შევიკავე. სულელი.
-ეს რა, ჭაღარაა?
-რააააა? სად? არ არსებობს! მანახე... - უფრო ხმამაღლა წამოიყვირა გულ-გახეთქილმა და ხელზე მომვარდა, - მანახე აბა...
ხელი ხელს შემოვკარი და ხმამაღლა სიცილი ავტეხე. უცებ სულ გადამავიწყდა ჩემი ცოტახნის წინანდელი ქურდობა და საერთოდ დანარჩენი ყველაფერი. პირველად დიდი ხნის შემდეგ გულწრფელად გავერთე მეგობართან.
-გამასულელე ხო? ვერ გიტან! - დაიჩივლა და პატარა ბავშვივით დამეჯღანა.
-კაი ხო, გაგეხუმრე რა იყო... მართლა რას ელოდები უკვე?
-რას და - გადაშლილი დღიური გამომიწოდა. გამოვართვი, - აი ამის დასრულებას.
მთელ ფურცელზე გაშხლართულ ინგლისურ ტექსტს გადავავლე თვალი.
-რავი, რაღაც დაუსრულებელს არ გავს და...
შევიცხადე.
-დებილო, იმიტო რო დასრულებულია. ზუსტად მაგიტომ მოვედი აქ ასე დილა ადრიან. ისე შენ არ გეშინია?
-რისი, კალიების?
-სუ გამოშტერდი, ხო. აი ეხა, ძაღლობა რო დაგადგეს, სად ტრაკში მიდიხარ?
-აა მაგაზე ამბობ?
-ხოო, მაგაზე ვამბობ, - გამომაჯავრა და ისევ დაიჯღანა.
-ზუსტად მანდ მივდივარ, წამოხვალ?
-არა მადლობა, ნინისთან წასვლა და ერთხელ და სამუდამოდ გამოტყდომა მირჩევნია!
-კაი, ოღონდ იცოდე ვაფშე ყველაფერი უთხარი, განაზვები კი აღარ დაიწყო ქალიშვილივით.
-გინდა ახლავე წავიდე?
-ხო რავი, რატო არა?
-მაშინ მანქანა მათხოვე.
-რა მანქანა?
-რა მანქანა და აი ეს... ისედაც ხო გკიდია! აუ, მიდი რა თუ ძმა ხარ....
-შენ თავი რამეს ხომ არ მიარტყი? - გავუბრაზდი. გავიგე რომ უპასუხისმგებლოდ მოვიქეცი, მაგრამ მე ჩემი კონკრეტული მიზეზები გამაჩნდა და პასუხსაც მე ვაგებდი ამის გამო. რაც მთავარია მეგი ზედაც აღარ შემომხედავდა. სხვა მიზანი მე არც მამოძრავებდა. ამაში სერგის ვერ გავრევდი. ისედაც ზედმეტობებს ქონდა ადგილი ჩემს სიბნეში უკვე, - რამე რომ დამართო?
-ოო, კაი რა, - აი ახლა დაიწყო და აღარც გაჩერდებოდა. რა უნდა მექნა? - კაი რა, ნიკა, რა უნდა დავმართო... მიდი რა, მიდიი!
-წამო ბიჭო და მე წაგიყვან, რა ატყდი პატარა ბავშვივით?!
-ეე, ეგრე არ გამოვა. თან ცოტას წავიბლატავებ, რა იყო, უჟმურო!
-იაკობს ამაზე უკეთესი მანქანა თუ არ ყავდეს თავი დამაჭერი! თან განა ერთი? ორი...
-იაკობი ოპელით ქალაქგარეთ არი და ერთი კვირა მაგისი ჭაჭანება აქეთ არ იქნება.
-რა უნდა?

-რავი ეგ და ზაზა ატყდნენ კახეთში ბოსტნეულის სათბური გავხსნათო და მაგ საქმეებზე არიან რა...
-და ლექსუსი?
-ეგ გაყიდა შე ჩემა.
-როდის?
-არ გითხარი?
-არა, რატო გაყიდა?
-ამ სათბურის გამო, ორივემ ჩადეს წილი ზაზამ ორი მოპედი და ახალი საბურავები შეწირა. კაცი ტიროდა შენ თავს გეფიცები.
-რა ესათბურებათ...
-აუ, მერავი მკიდია რა, რა იყო რაღაც გთხოვე და შენ მასე ამტკიცებ შენს ძმობას? - გაახსენდა ისევ.
-კარგი, - დავეთანხმე ყელში რო ამომივიდა მაგისი წუწუნი, მაგრამ იმდენად შეიჭრა როლებში, რომ ვერც გაიგონა:
-ხო არასდროს არაფერს არ გთხოვ... არც იმას გინდა თუ არა მარის შეურიგდი მეთქი! ეგ კი არა, ბოლოს რა გთხოვე ისიც არ მახსოვს.
-ე ბიჭო, კარგი მეთქი.
-რა?
-კარგი მეთქი, შეგიძლია წაიყვანო.
ეგრევე მომვარდა და მთელი ძალით გადამეხვია. მე sugar daddy-ვით დავუწყე დარიგება:
-ნელა ატარე და ნინი მომიკითხე. რამე არ დამართო, თორე მაგ შენი სათბურის ფულით ახალს გაყიდინებ!
-მანქანას თუ ნინის?
-ორივეს!
-ძმა ხარ რა...
მითხრა და გაიქცა.
-მოიცა ეე, საით? - გავაჩერე.
-მანქანასთან, - მომხედა და მხრები აიჩეჩა.
-მერე რა გგონია სულის შებერვით დაიქოქება? ან ამ გიტარას მე მიტოვებ?
-უი, უცებ ძაან ავღელდი.
გასაღები გადავუგდე. ჰაერში დაიჭირა.
-აღარ იჭრი მაგ შენ თებს? - ვკითხე როგორც კი გიტარის ასაღებად დაიხარა და ახლაღა შევამჩნიე სიგრძეში როგორ გაზრდია. ცოტაც და მხრებამდე მოწვდებოდა.
-ხო სინჯებისთვის უნდა დავიმოკლო.
-ვა, როდის გაქ?
-ხვალ, სამზე.
-კაი მიდი და აწკაპნე ის მაიკა მარის იცოდე, მაინც არ არი ღირსი.
-ისე კაი გამახსენე, ხვალ მაგას ჩავიცვამ, - მიპასუხა და უჩვეულოდ, თითქოს ყველაზე თბილი ღიმილით გამიღიმა. თვალებში ჩავხედე ისე რომ მაგ წამის დამახსოვრება კარგად შემძლებოდა. მის სიტყვებზე დავფიქრდი და იქნებ მეც მეცადა რამე კარგი მოგონების შექმნა. თუ დავუკვირდებოდი ეს შუადღე არც ისეთი ცუდი იყო...
მერე სერგი გამეცალა, მანქანაში ჩაჯდა და იქიდან გარკვევით, თითქმის დამარცვლით სახიდან ჯერ ისევ არ გამქრალი ღიმილითა და უზომო სიზარულით გადმომძახა, - ნახვამდის ნიკა!

*ჯორჯ ჰარისონი - (25 თებერვალი, 1943 — გ, 29 ნოემბერი, 2001) — ინგლისელი მუსიკოსი, მულტი ინსტრუმენტალისტი, მომღერალი და სიმღერების ავტორი, აგრეთვე მუსიკალური და კინო პროდიუსერი, რომელმაც საერთაშორისო წარმატება მოიპოვა, როგორც ჯგუფ THE BEATLES-ის წამყვანმა გიტარისტმა.

მეგი

...ლალის შემაძრწუნებელი კივილის ხმა გავიგონე, რომელიც კედლებსაც კი აზანზარებდა და სანამ გავიაზრებდი რა ხდებოდა, ისევ ყველაფერი დაბნელდა...

—

მგრძნობელობა სიბნელეში დამიბრუნდა და პირველი რაც ვიგრძენი იყო სიცივე.
"სად ვარ?" გავიფიქრე "ნუთუ მძინავს?"
ვეცადე ფეხზე წამოვმდგარიყავი, მაგრამ სისუსტემ ამისი გასაქანი არ მომცა.
"რომელ განზომილებაში ვარ? რა დღეა? ღამეა?.."

-მამა? - წამოვიკნავლე და ხელების აქეთ-იქით ცეცება დავიწყე ჩემს გარშემო.
-მკვლელი ვარ... - მოულოდნელად გავიგონე ჩუმი სიტყვები ჩემგან ძალიან ახლოს.
-რა ხდება? - ვიკითხე და შევეცადე ამ თითქოსდა ნაცნობ ხმას გავყოლოდი, რომელიც კვლავ განმეორდა.
-მკვლელი ვარ... მე ჩემი ძმა მოვკალი! მკვლელი ვარ...
ღმერთო ჩემო, ეს ხმა...
-შენ, - დავიჩურჩულე, - სად ვართ?
-მკვლელი ვარ...

მუხლებით ნესტიან იატაკზე დავემხე და გავჩოჩდი, იქამდე სანამ გაწვდილი ხელები გისოსებზე არ შემრჩა. უეცრად თეთრმა შუქმა ოთხკუთხედ ოთახში ციმციმი დაიწყო, თუმცა საკმარისი აღმოჩნდა იმისათვის რომ ნათლად გამერჩია იზოლატორი, ჩემს წინ აღმართული რკინის შავი გისოსები და მეორე საკანში გამოკეტილი ნიკა, რომელიც ყოველ ათ წამში ერთხელ მუშტს გადაცრეცილ ძველ კედელზე მთელი ძალით ახეთქებდა და შეშლილივით იმეორებდა :

-მკვლელი ვარ... მე ჩემი ძმა მოვკალი...

მხოლოდ ახლაღა გამიელვეს თავში წინანდელი დღის კადრებმა. გატაცებული მანქანა, ავარია, მორგი... გამახსენდა ის წამი, როდესაც მეგონა რომ... მეგონა რომ... ღმერთო... ახლა უკვე ზუსტად ვიცოდი რომ ის და მე იზოლატორში მთელი ღამით გამომწყვდეულები ვიყავით. ნიკა შოკში იყო. ჩემი ტელეფონი რეკვას არ წყვეტდა. ეკრანზე დავიხედე. ოცდაორი გამოტოვებული ზარი ნინისგან? ჩათი გავხსენი.

"რაც გავიგე სიმართლეა? მითხარი რომ ლიზა მატყუებს..." (ნინი)

"არა, ეს ვერ იქნება სიმართლე, თქვენ ორივე მატყუებთ... ორივენი მატყუარები ხართ!"

"რატომ არ მწერ /// ახლა სერგისთან ხარ ხო?"

"მეგი..."

"გთხოვ ტელეფონი მიაწოდე, სალაპარაკო მაქვს... მე... ბოდიში უნდა მოვუხადო, წუხელ..."

"წუხელ ჩემთან უნდოდა, მე კიდევ გავექეცი..."

"მეგი იცოდე ბოლოჯერ გაფრთხილებ, დამალაპარაკე სერგი ან გადაეცი რომ დამირეკოს ვიცი რომ მანდ ხარ..."

"თქვენ ყველანი გაგიჟდით! უთხარი ლიზას რომ ყალბი ინფორმაცია გადასცეს... სერგი ვერ მოკვდებოდა... დამალაპარაკე გთხოვ...მჭირდება რომ მისი ხმა გავიგონო"

"მეგი..."

"არა, ჩემთან მოდი გთხოვ, უთხარი რო თავი დამანებონ. არ მინდა... არ მინდა..."

"მეგ.სჰსჯსეედბ"

ეს რაღაა?

უცებ ამ ყველაფერს კიდევ ერთი, უკვე გამართული შეტყობინება შეემატა.

"მეგ, ლიზა ვარ. ნინის დამამშვიდებელი გავუკეთეთ, არ ინერვიულო კარგად იქნება. მე და მერი ამაღამ აქ ვრჩებით. შენ როგორ ხარ?"
ეგრევე გავხსენი keyboard-ი და შეტყობინების წერა დავიწყე.

"მამა სად არის?"

ამჟამად სხვა მართლა არაფერი მაინტერესებდა. ის მე აქ ვერ მიმატოვებდა. სანამ გაგზავნის ღილაკს დავაჭერდი, ისევ გავიგონე ნიკას ხმა.

-მე მკვლელი ვარ...
-ნიკა! - რაც შემეძლო ხმამაღლა დავუძახე და ადგომა დავაპირე, მაგრამ ჩემი ტელეფონი ისევ აინთო, ოთახი კი კვლავ დაბნელდა.

"საჩივრებს ხელს როგორც კი მოაწერს მაქედან წამოგიყვანს..."

რა? რა საჩივრებს? რას ნიშნავს წამომიყვანს... მხოლოდ მე წამომიყვანს?

პასუხი აღარ დავუბრუნე.

არა, ლადო ამას არ იზამს. ზუსტად ვიცი.

საათს დავხედე. 03:47 AM - ს აჩვენებდა. ნეტავ რამდენი ხანი ვიყავი უგონოდ? მკვდარი ფირები ჩემს გონებაში ერთმანეთის მონაცვლეობით ცოცხლდებოდნენ. უკვე ისიც ნათლად მახსოვდა თუ როგორ მსვამდნენ პოლიციის მანქანაში, მე კი თითქოს ვერც ვაანალიზებდი რა ხდებოდა. რაღაც პერიოდები ჩემი გონებიდან საერთოდ ქრებოდა. არ მახსოვს მერე რა მოხდა. მხოლოდ ის წუთი ჩამებეჭდა გარკვევით, თუ რაღაც დროის შემდეგ როგორ შემოაგდეს ნიკა ჩემს მოპირდაპირე პატარა საკანში.
-მკვლელი ვარ... - იმეორებდა ის. მაშინაც და ახლაც. წარმოვიდგინე მერამდენედ ამბობდა უკვე ამას, თუმცა ის ტრანში იყო, ამ ყველაფერს ვერაფრით ერეოდა. ბუნებრივია რომ საკუთარ თავს ადანაშაულებდა. ბუნებრივია რომ თავს დამნაშავედ სცნობდა, რადგან მას უზარმაზარი წვლილი მიუძღვოდა ამ უბედურ შემთხვევაში, მაგრამ... მაგრამ მეც ხომ აქ ვიყავი, მასთან ერთად! ამ ყველაფერში ერთად გავერიეთ. მხოლოდ ის არ ყოფილა დამნაშავე... მეც ვიყავი. ჩვენ ორივენი დამნაშავეები ვიყავით! დანაშაულის აღიარება ადვილი არაა. აღიარების უნარი ყველა ადამიანს არ შესწევს. და არც უცოდველი არსებობს ვინმე ამ ქვეყნად. სწორედ ამიტომ დაწესდა აღსარება, იგივე სულის განსაწმენდელი. ცოდვის მონანიება შენს ადამიანურ სიძლიერესა და სიმტკიცეს უსვამს ხაზს. დანაშაულის აღიარება საკუთარი თავის მსხვერპლშეწირვას მოითხოვს. ერთია, როდესაც საკუთარს აღიარებ, მაგრამ წარმოიდგინეთ რამდენად რთული უნდა იყოს როცა ორი ადამიანის შეცდომას საკუთარ თავზე იღებ. ნიკა დამნაშავედ მხოლოდ საკუთარ თავს სცნობდა. ვუყურებდი მას, ვუსმენდი მის სიტყვებს, ვაკვირდებოდი და ვსწავლობდი მის თითოეულ მოძრაობას და მთელ სხეულში მწარე ეკალი მაყრიდა. თითქოს საკუთარი ტელეპათიური ჯოჯოხეთი შეექმნა და ამ ჯოჯოხეთში შიგნიდან იწვოდა, არ იმჩნევდა, არც ტკივილისგან

იკრუნჩხებოდა და არც ყვიროდა, მხოლოდ ერთიდაიგივე სიტყვებს ჩუმად იმეორებდა. ისედაც ძველი კედელი მთლიანად გაიბზარა. სისხლის ლაქები ნანგრევის მტვერში აიზილა და წვეთები იატაკზე ჩამოედინა. სინათლე ბჟუტავდა. საშინელ ხმებს გამოსცემდა ჩვენს თავს ზემოთ. კედლები უფრო და უფრო ცივდებოდნენ. ვიყინებოდი, ვკანკალებდი, მეშინოდა.

-ნიკა! - ისევ ვცადე მისთვის დამეძახა, თუმცა არა თუ თავს მაჩვენებდა, არამედ ჩემი მართლა არ ესმოდა, ნამდვილად არ ესმოდა, - ნიკა შემომხედე, მოიხედე! აქ ვარ, აი... ნიკა! მომხედე...

ცალი ხელი გისოსებში შევაწვდინე და როგორც შემეძლო წინ გავწიე იმ იმედით, რომ ჩემი ხელი მას მოხვდებოდა და როგორღაც გამოარკვევდა. გისოსები ვიწრო იყო და რკინის. ცივი იყო და მაგარი. ვგრძნობდი ნელ ნელა იდაყვთან, შემდეგ კი მხრის მიმართულებით გარშემო როგორ მეჭირებოდა და სისხლის მიმოქცევას მინელებდა. ვგრძნობდი როგორ დამეძაბა თითოეული ნერვი და როგორ შემიპყრო ნიკას შეხების სურვილმა.

-მკვლელი ვარ...

-აქეთ მოიხედე, მოიხედე...

-მე ჩემი ძმა მოვკალი! - ჩემი ვედრება უსასრულო აღმოჩნდა. მხოლოდ სასწაულის იმედიღა მქონდა, მაინც არ ვნებდებოდი. მოულოდნელად მისი ჰაერში მოქნეული ხელი, ჩემს გათანგულ, დაღლილ ხელს შეეჯახა სიბნელეში. მე გამიხარდა.

-ნიკა მე ვარ, მეგი ვარ... აქ ვარ! შენს გვერდით ვარ... აი შემეხე, მგრძნობ? ნამდვილი ვარ და შენს გვერდით ვარ. ჩვენ ახლა ვართ და აქ ვართ... დანარჩენი ყველაფერი უმნიშვნელოა! გონს მოდი გთხოვ, დამელაპარაკე...

-მეგი? - ამდენი ხნის შემდეგ პირველად წარმოთქვასხვა სიტყვა და ეს სიტყვა ჩემი სახელი იყო? ჩემი სახელი რომელმაც მისი შიშისგან გამომშრალი ბაგეები დატოვა, - აქ... აქ რა გინდა?

თითქოს ისიც ჩემსავით ახლაღა ბრუნდებოდა რეალობაში. საბოლოოდ საღი აზრი ძლივს დაუბრუნდა და ერთხნიანი დაბნეულობის შემდეგ გისოსების ძირში ჩემთან ძალიან ახლოს ჩამოჯდა. მისმა ამ ქმედებამ ძალაუნებურად ის ღამე გამახსენა… ჩვენი ღამე. მეც უკვე გავინთავისუფლე დალურჯებული ხელი და მის პირდაპირ დავჯექი. შუქი ხელახლა აინთო და მეც უკვე შემეძლო მისთვის პირდაპირ თვალებში ჩამეხედა. უჩვეულოდ გამუქებულნი მეჩვენნენ ისინი. საფლავივით ბნელი, მორგივით ცივი და საკანივით ნესტიანი, სველი. მის ფერწახდენილ ლოყებზე ცრემლები აბრწყინდნენ.

-ნიკა, - დავიჩურჩულე და მივაშტერდი. სუნთქვა გამიჩერდა თითქოს.

-შენ აქ არ უნდა იყო... -მომიგო წყნარად და თვალები ძირს დახარა, - ყველაფერი ჩემი ბრალია.

-ყველაფერი შენი ბრალი არ არის! - ვუპასუხე სწრაფადვე, მერე კი კაბის ბოლოზე ნერვულად თამაში დავიწყე, - მე რომ იმ ღამეს... მე რომ მამაჩემის მანქანით თავზე არ დაგდგომოდი...

-გაჩუმდი, გთხოვ, -შემომევედრა ხმაჩახლეჩილმა, - მეტის ატანა არ შემიძლია... ის... ის სიკვდილისთვის არ იყო განწირული! გესმის? მის მაგივრად მე უნდა მოვმკვდარიყავი! მას უნდა ეცოცხლა, უნდა ემღერა, უნდა ებედნიერა... იცი რამდენი ოცნება ჰქონდა? იცი სად მიდიოდა? იცი დღეს მის ცხოვრებაში რა დღე იყო? ის მე მოვკალი... მე მკვლელი ვარ! მე ჩემი ძმა მოვკალი... და საერთოდ შენ... არ მესმის შენ... - უცებ გაჩუმდა და ვფიცავარ იმ მომენტში გავიგონე კიდეც როგორ აუთრთოლდა ერთიანად სხეულის თითოეული მილიმეტრი, - როგორ არ გეზიზღები?

სიჩუმე ჩამოწვა და ჩვენს შორის არსებულ უკუნეთ სიბნელეს შეერია. მან კი ვერ გაიაზრა რომ მის ამ ერთ უბრალო კითხვაში ყველა ის პასუხი ერია, რაც მე მაინტერესებდა და რისი მოსმენაც მე მსურდა. მან თავისი ზედმეტად მოწოლილი გულუბრყვილობით, რომელიც მეტ წილად უბედურების ჟამს მოდის და რომელიც გვასუსტებს, თავი გაყიდა. "როგორ არ გეზიზღები?" - ეს კითხვა ჩემს ტვინში გაიჭედა. ახლა უკვე ვიცოდი. ახლა უკვე მესმოდა. ახლა უკვე ვგრძნობდი. მას არანაირი პირადული მოტივები არ გააჩნდა. მას არც ჩემს სიმდიდრეზე ეჭირა თვალი და საერთოდ არც ამქვეყნიური მატერუალური ღირებულებები აინტერესებდა. მას ეს სამყაროება არ იზიდავდა. ის იმდენად თავისებური იყო, რომ ყველა გრძნობას განსხვავებულად გამოხატავდა. მას არ უნდოდა ჩემთვის ზიანი მოეყენებინა, ისევე როგორც სხვა დანარჩენებისათვის და ყველას ამიტომ ერიდებოდა. ამიტომ ირიყავდა თავს. მას სურდა რომ შემზიზღებოდა და მისთვის თავი დამენებებინა, ეს აშკარა იყო. და იმიტომ რომ არ მოვწონდი? არა, ეს იმიტომ რომ მისთვის მძიმე იყო მისი დარდების სხვისთვის და მითუმეტეს უცხოსთვის გაზიარება. მას არ უნდოდა მისი აზრები წამეკითხა, თუმცა ვერც მიხვდა ამისი რამხელა შესაძლებლობა მომცა, როდესაც უბრალოდ შეკითხვა დამისვა "როგორ არ გეზიზღები?" მე საბოლოოდ შევავსე მისი კროსვორდი ყველაზე ბოლო და ყველაზე რთულად გამოსაცნობი სიტყვით. მე საბოლოოდ შევძელი მისი წაკითხვა და გაშიფვრა და უბრალოდ შეუძლებელი იყო ის შემზიზღებოდა. მე ხომ არავინ მეზიზღებოდა... ახლა მას ისე სტკიოდა როგორც არასდროს. ახლა მას დახმარება სჭირდებოდა. განა რისთვის მოვევლინეთ ადამიანები ამ ქვეყნად თუ არა იმისათვის რომ ერთმანეთს გასაჭირში დავეხმაროთ?

-ნიკა... - გავარღვიე სიჩუმე, როცა ყველაფერი თავის ადგილას გადავაწყე და გადავახარისხე ჩემს თავში. მე დავინახე როგორ მოუთმენლად ელოდა ჩემს პასუხს, მე დავინახე ინტერესი, რომელიც ჩემს მიმართ პირველად გამოიჩინა, - შენ იცი რა ხდის ადამიანს სანდოს?

გამკაცრებული სახე უცებ მოულბა და მოუმჩვილდა.

-რა ხდის? - მკითხა თითქმის ჩურჩულით. ვერაფერს მიმხვდარიყო.

-აღიარება! ჩადენილი დანაშაულის სიმძიმის შეგრძნება. სინდისის ქენჯნა და სინანული, რომელიც მისთვის იმდენად პირადული, პრიორიტეტული და შემლახველია რომ ამაზე ხმამაღლა საუბარი უჭირს და უმეტეს წილად არც ლაპარაკობს. შენ კი შენი დანაშაული გულწრფელად აღიარე, რამაც შენდამი დიდი ნდობა გამიჩინა. ეს ნამდვილად სწორი საქციელი იყო შენი მხრიდან.

-რა სისულელეს მეუბნები მეგი? მე ადამიანი მოვკალი, ადამიანი! როგორ შეგიძლია მკვლელს ენდო? როგორ შეგიძლია რამეში ჩემნაირი ნაძირალას იმედი გქონდეს...

-შენ არავინ მოგიკლავს, - შევეწინააღმდეგე.

-მოვკალი...

-შენ არავინ მოგიკლავს მეთქი!

- მაშინ ვინ მოკლა სერგი, - იყვირა უცებ, - ვინ მოკლა? ვინ მოკლა ჩემი მეგობარი!

-ბედისწერამ! - ვუყვირე მეც.

-აი მასე შენი თავი დაიმშვიდე, მე შემეშვი. საერთოდ აქ რატომ ხარ არ ვიცი... - გაცხარდა და სადაც იყო ისევ თავის ნაჭუჭებში გამოიკეტებოდა. რამე უნდა მეღონა.

-სერგის უყვარდი... - მივუგე. სხვა ვეღარაფერი მოვიფიქრე უცებ.

-შენ არაფერი არ იცი! - მიღრიალა - შენ... წარმოდგენა არა გაქვს... შენ...

-მეგი, - უეცრად გავიგონე მამაჩემის აღშფოთებული ჩვენსკენ მომართული ხმა და სასწრაფოდ წამოვდექი ფეხზე. ნიკა გაჩუმდა. ლადოს მივუახლოვდი და დავინახე რომ მას

თან ერთი კაცი ახლდა გასაღებით ხელში, რომელმაც მალევე გამოაღო ჩემი საკანის კარი და მეც ეგრევე მამასთან ჩასახუტებლად გავიქეცი.

-მეგ, - გადამეხვია ის, - კარგად ხარ? ბოდიში რომ შენი აქ დატოვება მომიწია, უბრალოდ სხვა გამოსავალი არ მქონდა, - მომიბოდიშა ნერვულად და შუბლზე მაკოცა.

-არაუშავს მამა, კარგად ვარ.

-წამოდი, ახლავე სახლში წაგიყვან, ცოდო ხარ ამდენი სტრესის მერე დასვენება გჭირდება.

-კარგი, - დავეთანხმე და უცნობ კაცს გადავხედე გასაღებით ხელში, რომელმაც ზურგი შეგვაქცია და წავიდა.

-რას აკეთებთ, სად მიდიხართ? - დავუმახე უცნობს, - ნიკას რატომ არ უშვებთ?

-მეგი რას ამბობ, გაჩერდი სირცხვილია, - ჩუმად მომიგო მამამ.

-რა? რა არის სირცხვილი? - წამოვიძახე და ისევ კაცს მივუბრუნდი, - მეორე საკანის გაღება დაგავიწყდათ...

ნიკა უხმოდ იჯდა ისევ გისოსების ძირში. თავი ჩაექინდრა. მან ზუსტად იცოდა რაც ხდებოდა. იცოდა და მათ წინააღმდეგობას არ უწევდა.

-მაპატიეთ ქალბატონო, - მიპასუხა გასაღებიანმა პოლიციელმა როგორც იქნა, - მაგრამ, ნიკა მეგრელიშვილი 177მუხლის დ) პუნქტის თანახმად ეჭვმიტანილია ბატონი ლადო ქათამაძის საკუთრებაში მყოფ სატრანსპორტო საშუალების ფარულად მისაკუთრებისა და მისი ბოროტად გამოყენებისათვის.

-რა? არა ეს რაღაც გაუგებრობაა... მამა! უთხარი რამე! უთხარი რომ ასე არ არის...

-მეგი წყნარად, ახლა შოკში ხარ და არ იცი რას ლაპარაკობ, წამოდი წავიდეთ.

-არსად არ წამოვალ! - დავიყვირე და უცნობ კაცს მივვარდი.

-მისი აქედან გამოყვანის გზა არ არსებობს? ასე ვერ დატოვებთ... რამე უნდა არსებობდეს!

-მეგი დაუჯერე მამაშენს და წადი აქედან! - გავიგონე ნიკას ხმაც. ყველანი გაგიჟდნენ?

პოლიციელმა დიდხანს წარბშეკრულმა მიცქირა, ბოლოს რომ მიხვდა ვერაფერს გააწყობდა, ამოიოხრა და მომიგო.

-რა თქმა უნდა... სასამართლომდე თუ გირაოს გადაუხდიან, მაშინ შეუძლია გათავისუფლებულ იქნას, რადგან პირველი გაფრთხილებაა.

-თუ ვერა?

კაცი გაჩუმდა.

-დანაშაული მძიმეა ქალბატონო.

-მე ეგ არ მიკითხავს! გირაოს არ გადახდის შემთხვევაში რა ხდება?

-სიმართლე გითხრათ, არ ვიცი, სასამართლო პროცესამდე ამის დაზუსტებით თქმა შეუძლებელია, მაგრამ სავარაუდოდ...

-სავარაუდოდ რა?

-მაშინ ალბათ ოთხიდან შვიდ წლამდე თავისუფლების აღკვეთა ემუქრება! - მიპასუხა, ზურგი შემაქცია და გრძელ, ნაცრისფერ ჰოლში გაუჩინარდა.

-არა, ეს ვერ იქნება სიმართლე... მამა, შენ ამას არ იზამდი! ეს ვერ იქნება სიმართლე! მითხარი რომ საჩივრის წერილისთვის ხელი არ მოგიწერია! - შევეცადე სიმშვიდე შემენარჩუნებინა. იმედი მქონდა რომ ეს გაუგებრობა იყო, მამაჩემი კეთილი კაცია. ის ასე ვერ მოიქცეოდა. ის ამას არ იზამდა.

-სამწუხაროდ ვერ გეტყვი, - მომიგო ჩუმად, - რადგან მოვაწერე, - და ჩემს რეაქციას დაელოდა. ვერაფრით ვიჯერებდი იმას, რაც ხდებოდა. მოულოდნელად კივილი და მკერდზე მუშტების რტყმა დავუწყე ლადოს. ჩემს თავს ვეღარ ვცნობდი და ვეღარც ვაკონტროლებდი. მე ვსაყვედურობდი მას და ვუბრაზდებოდი, ვეუბნებოდი რომ საშინლად

მოიქცა. ვეუბნებოდი რომ მისგან ამას არ მოველოდი. ის ცდილობდა ჩემს დამშვიდებას, თუმცა ამის მაგივრად უფრო ხმამაღლა ვყვიროდი. ლადოს მკლავებზე ხელები ჩავჭიდე. ბოლოს სხეულში უღონობა რომ შემომეპარა, ვგრძნობდი მთელი სხეულით როგორ მიჭერდა მამაჩემი.

-ხვდები მაინც რას მეუბნები? მეგი, იცი გუშინ რა მოხდა? შენხელა ბავშვი გარდაიცვალა! და იცი ვის გამო? აი ამისი! - ხელი ნიკასკენ გაიშვირა. ლადო მთლიანად ნაპერწკლებს ყრიდა. ნიკა იზოლატორიდან შეშფოთებული გვადევნებდა თვალყურს, - წამოდი, ახლავე გამოადგი ფეხი, - დააპირა ჩემთვის მკლავში ხელი ჩაევლო, მაგრამ დავასწარი, მთელი სისწრაფით დავსხლტი ნიკას საკნის გისოსებთან და ორივე ხელით მაგრად ჩავებღაუჭე:

-თუ ნიკას აქ დატოვებ, მაშინ ჩემი დატოვებაც მოგიწევს!

გავჯიუტდი მე. მთელი ძალით ვუჭერდი მუშტებს, ისე რომ ფრჩხილებმა ლურჯი ლაქები დამიტოვეს ხელის გულებზე. დახსნას მაინც არ ვაპირებდი, სანამ უცებ დარტყმის ხმა არ გაისმა, რომელიც პირდაპირ ჩემი სახის მიმართულებით გაიჭრა. ტკივილმა გონზე მომაყვანა. ტკივილმა გამომაფხიზლა. ლადომ მე დამარტყა. მამაჩემმა ცხოვრებაში პირველად ასწია ჩემზე ხელი. წყენამ მთელ სხეულში დამიარა და ეს წყენა იმაზე ძლიერი აღმოჩნდა, ვიდრე ნიკაზე ნერვიულობა, შფოთვა და მისი აქედან გამოყვანის სურვილი. სამწუხაროდ, მაგრამ ასე აღმოჩნდა. ლადომ დამარტყა! ძალაუნებურად გავუშვი გისოსებს ხელი და გაოცებული თვალებით ავხედე ლადოს, რომელიც არანაკლებ გაოცებული და დამწუხრებული ჩანდა.

-მეგი ბოდიში, არ მინდოდა, - მომიგო და ჩემთან მოახლოვება სცადა, მაგრამ არ მოვუშვი.

-მეგი...

ლადომ დამარტყა?!

დავაპირე იქაურობას უთქმელად გავცლოდი და ლადოსთვის სახეში კიდევ ძალიან დიდხანს აღარ შემეხედა, მაგრამ უცებ დავინახე ის კაცი როგორ მოვიდა ჩვენთან ხელახლა, ამჯერად ნიკას საკანს მიუახლოვდა, გააღო და უთხრა:

-თავისუფალი ხართ!

-ეს როგორ? - იკითხა აღშფოთებულმა ლადომ. ნიკა ფეხზე წამოდგა. მე გამეღიმა.

-დამნაშავემ დანაშაული აღიარა! - უპასუხა კაცმა.

-მაგრამ, - შეიცხადა ნიკამ, - მე ჯერ არავის დავუკითხივარ...

-სამაგიეროდ მე დამკითხეს, - სიბნელიდან გამოიჭრა ნიკას დედა და საკანში ნელი ნაბიჯებით შეაბიჯა. ნიკას პირდაპირ დადგა, სახეზე ხელები მოჰხვია და მშვიდად მიუგო:

-შენ არ იცი... რომ შენს დანაშაულს ძალიან, ძალიან მალე გამოასწორებ... მაგრამ სამაგიეროდ შენ იცი რომ ჩემი დანაშაული გამოუსწორებელია! შენი ადგილი აქ არ არის ნიკა. ის ყველაფერი რაც შენს თავს მოხდა მხოლოდ და მხოლოდ ჩემი ბრალია...

***

სახლში გამთენიისას დავბრუნდით. მთელი გზა არც ერთს ხმა არ ამოგვიღია. როგორც კი მივედით ეგრევე კიბეებისკენ გავწიე. რაც შეიძლება სწრაფად უნდა მიმეღო შხაპი. მერე ალბათ მთელი სამი დღე მეძინებოდა. გაბრუებული ავუყევი კიბის საფეხურებს. ლადომ დამიძახა.

-მეგ, პილმენები?

-ასეთ დროს ჭამას როგორ მთხოვ? - გადმოვძახე ისტერიულად და მივხედე მაგრამ როგორც კი დავინახე როგორ იდგა სამზარეულოს ზღურბლზე თავისი თეთრი ქუდით ხელში, მასზე გაბრაზება ვეღარ შევძელი. ჩვენ ხომ არასდროს გვიჩხუბია...

-შხაპს მივიღებ და ჩამოვალ, - მივუგე რაც შემეძლო მორბილებული ხმით და ჩემი ოთახისაკენ გავემართე.

ჩემს თავთან მარტო დარჩენისთანავე დავიწყე ფიქრი იმ ყველაფერზე. ვერ ვიჯერებდი რომ სერგი აღარ იყო და რომ ამ ამბავში ჩემი ხელიც ერია. სწრაფადვე გავიხადე ჩემი წითელი კაბა და იქვე საწერი მაგიდის გვერდით მდგარ ნაგვის ყუთში გადავუშვი რომ ეს საშინელი დღეები ჩემთვის აღარ გაეხსენებინა, მაგრამ აბა ეს რას უშველიდა... ერთდროულად ბევრ რამეზე ვფიქრობდი. ძალიან მეცოდებოდა ნინი და ლალიც, რომელიც ახლა იმ ცივ, ბნელ კედლედლებში მარტოდ მარტო იყო გამოკეტილი. და ნიკა, რომელიც ახლა სავარაუდოდ სერგის სახლში იყო, ან ღმერთმა იცის ამჯერად რა სისულელესღა სჩადიოდა. ნეტა ამ საშინელების შემდეგ მაინც თუ ისწავლიდა ჭკვას? იქნებ ეს მისთვის გაკვეთილი ყოფილიყო... მაინტერესებდა როგორი შეხვედრა მექნებოდა მეორე დღეს ლიზასთან და ნინისთან ან საერთოდ რას ვეტყოდი მათ, როცა მთხოვდნენ რომ ყველაფერი მომეყოლა, ან როგორ გავიმართლებდი თავს. რა მოხდებოდა ჩემს ერთადერთ მეგობარს რომ შევძულებოდი? რა მოხდებოდა სერგის სიკვდილში ნინის რომ დავედანაშაულებინე? მაინც როგორ შეიძლება ერთ შენს უბრალო ქმედებას ამდენი შედეგები მოჰყვებოდეს... მაინც როგორაა შესაძლებელი შიში რომელიც განთიადს მოსდევს უგულებელყო... მხოლოდ ის მამაგრებდა რომ ვიცოდი იქ სადღაც სამზარეულოში ლადო ჩემთვის ფუსფუსებდა და რომ მიუხედავად ყველაფრისა, მე მარტო არ ვიყავი. მაგრამ ნიკა? რა მოხდებოდა როდესაც მის ახლა უკვე მუდამ დაცარიელებულ სახლში დაბრუნდებოდა? ახლა სამუდამოდ შეიძულებდა თავს სერგისა და დედამისის გამო? თუ დედამისის ბოლოს წარმოთქმულ სიტყვებზე დაფიქრდებოდა და ამაში რაიმე ხელჩასაჭიდს დაინახავდა? ლალი ხომ მართალი იყო, ნიკამ მართლაც არ იცოდა თუ რაოდენ შესაძლებელი იყო მისი უკვე ჩადენილი დანაშაულების გამოსწორება. ნიკამ არ იცოდა რომ ჯერ კიდევ გააჩნდა შანსი, ჯერ კიდევ ებადა დრო...

უცნაურია, მაინც რატომ იმკვიდრებს ადამიანი ჩვენს გულში ამხელა ადგილს, მხოლოდ მას შემდეგ რაც ვიცით რომ მას ვეღარასოდეს ვნახავთ? რატომ გვახსენდება გამუდმებით მისი სახე, რატომ ჩაგვესმის მისი ხმა და სიცილი ყურებში და რატომ ვცდილობთ ყველა ჩვენი შეხვედრისა თუ დიალოგის გახსენებას? ვერ გამიგია სიცოცხლეშივე რატომ არ ვაფასებთ მათ? რატომ ვტკენთ გულს მაშინ, როცა ისინი ჯერ კიდევ ჩვენს გვერდით არიან? რატომ ვიშორებთ თავიდან მათ ღიმილსა და გამოწვდილ დახმარების ხელს, სიერთგულესა თუ ანგარებას... რომ ბოლოს ჩვენი თავები ასე ძალიან დავტანჯოთ? რომ ბოლოს ვინანოთ და ამ სინანულმა ჩვენი ცხოვრების ბოლომდე დაგვიმძიმოს სული? მაინც რა ხიბლი უნდა იმალებოდეს ამ ყველაფერში? საკუთარი თავის ტანჯვა? ეს ხომ გამოსავალი არ არის... დანაშაულის შენს თავზე აღება და ბოდიშების მოხდა? თითქოს რამეს შეცვლიდეს... ჩვენ

ადამიანებმა ვიცით რომ ამ სამყაროში ყველაფერი დროებითია, თუმცა მაინც ვაგრძელებთ ყოველივე ამას. ერთმანეთის გულის ტკენას, დაცინვას, მიტოვებას, ღალატსა და ტყუილს! რისთვის? რომ ბოლოს ჩვენს თავს სასჯელი მივუზღათ? რომ ჩვენც ისევე დავიტაჯოთ, როგორც სხვა დავტანჯეთ ოდესღაც? მე უბრალოდ არ მესმის ეს ყველაფერი. მაინც რა განსაკუთრებულს ხედავს ადამიანი სიკვდილში და როგორ მიისწრაფვის მისკენ, როცა იცის რომ მთელი ცხოვრება წინ აქვს და მაინც როგორ სწყურია სიცოცხლე მომაკვდავ ადამიანს... მერე ამბობენ ცხოვრება უსამართლოაო... არა ბატონო, ეს ჩვენ, ადამიანები ვართ უსამართლონი! ვერ ვაფასებთ, ვუფრთხილდებით და შევიგრძნობთ რამეს, სანამ მართლა გვაქვს და ვინმეს სანამ მართლა გვყავს. მათი დაკარგვის შემდეგ კი... ეჰ, მათი დაკარგვის შემდეგ... აბა რა აზრი აქვს სერგისთვის ვინ მივა მის დაკრძალვაზე ან რა ფერის თაიგულს მიუტანს? ვინაიდან და რადგანაც, ცოცხლებმა იციან რომ მოკვდებიან, მკვდრებმა კი არაფერი იციან! ვერაფერს შეიგრძნობენ და მათთვის უკვე ყველაფერი სულერთია! იმ ყვავილის ფერიც, ის აღიარებაც და ცრემლებიც, რომელსაც მისთვის დაღვრიან...

შხაპის მიღებისა და თავის მოწესრიგების შემდეგ, გავეხვიე ჩემს ხაკისფერ ფუმფულა ხალათში და კიბეებს ჩავუყევი. თავბრუ საშინლად მესხმოდა. მუცელი მტკიოდა. სამზარეულოში შევჩოჩდი და მე და ლადომ უთქმელად და ყველაზე უსიცივლოდ ვივახშმეთ ვიდრე ოდესმე. იმ დილას ჩემს საყვარელ საუზმეს მართლაც ჩალის გემო ჰქონდა. ლუკმა ყელში მეჩხირებოდა. მამამ ალუბლის ჩაის ფერი ჩემს მწვანე ფინჯანში მოათავსა და ორი ნატეხი შაქარიც თან მიაყოლა. ცხელი ჩაი ძალიან მესიამოვნა და ოდნავ მომიხსნა დაძაბულობა. თუმცა მაინც საშინლად მეშინოდა დღევანდელი დღის. მოვალეობებს ხომ ვერ გავექცეოდი, ამდენი ადამიანისთვის მქონდა ბოდიში მოსახდელი. ჯერ ნინისთან უნდა მივსულიყავი და მიმესამძიმრებინა, მერე როგორც იქნა ჩემი და ლიზას გაცოდვილებული საუბარი უნდა შემდგარიყო, ბოლოს კი სერგის დედა უნდა მენახულებინა, სადაც ალბათ ნიკასაც ვნახავდი. ეს ყველაფერი იმაზე რთული იქნებოდა, ვიდრე გასული ორი დღე, თუმცა სხვა გზა ნამდვილად არ მქონდა.

-კიდევ დალევ? - მკითხა ლადომ, როცა ფინჯანი სიამოვნებით გამოვცალე და შეშუპებული თვალები ერთმანეთს შევაწებე.

-არა, მადლობა, წავალ დავიძინებ, - დავიჩურჩულე და ხმამაღლა დავამთქნარე.

-მეგ, ცოტახანს დარჩი, სალაპარაკო მაქვს, - გამაჩერა მან. ამ ბოლო დროს მემგონი ზედმეტად დაგვიგროვდა ეს სალაპარაკოები. ნეტავ ამჯერად რაღა ხდებოდა. ან იქნებ უბრალოდ ბოდიშის მოხდა სურდა ჩემთვის, იმისათვის რომ საკანში დამარტყა, თუმცა ამის ღირსი ნამდვილად ვიყავი. მეც ნიკასავით შოკში ვიყავი და უბრალოდ არ მესმოდა რას ჩავდიოდი. თანაც ის ხომ მამაჩემია, ბრალს ვერ დავდებდი და ტყუილად ვერ მოვედავებოდი. მისმა სანაქებო მეგიმ თავზე ამზელა ამბები დაატეხა და ალბათ მის ადგილას მეც იგივე რეაქცია მექნებოდა, ან უარესი. ალბათ უნდა გამკვირვებოდა კიდეც, თუ რატომ იყო მაინც ასეთი ლმობიერი ჩემდამი, ვიდრე ბოდიშს დავლოდებოდი.

-რო გავიღვიძებ მერე არ შეიძლება? ახლა გონზე არ ვარ,- ვუთხარი და პასუხს დაველოდე.

-მერე შეიძლება აქ აღარ ვიყო.

-რა? - ნახევრად დახუჭული თვალები დავჭყიტე და სკამიდან წამოვვარდი, - აბა სად იქნები?

-მისმინე და პანიკები აღარ ატეხო, - მითხრა მშვიდად და ისევ სკამზე დამსვა.

-რამე ცუდია?

-არაფერი ცუდი არ არის, ნუ კი დაშინდი უკვე. პირიქით კარგი ამბავია, მაგრამ არ ვიცი როგორ გითხრა. შენი დატოვება ასეთ დროს...

-მამა სად მიდიხარ?

-გახსოვს ჩემი იტალიის რესტორნის საქმე?

-განაცხადი ერთად გადავგზავნეთ, - შევახსენე.

-ხოდა საკმაოდ ხელგაშლილი მეწილე გამომიჩნდა და ჩემთან სურს პირადად გასაუბრება შემდეგი ათი დღის განმავლობაში. ასე მითხრა მერე მსოფლიო ტურნეში ვებმები სექტემბრამდეო, რაღაც ვეგეტარიანულ ფესტივალს ატარებენ სინგაპურში, დუბაიში და დელიზე მგონი, ხო...

-ვა! - აღმომხდა.

-მეგი ეს საქმე რომ გამოვიდეს წარმოგიდგენია რა მოხდება? ჩემს კერძებს იტალიაში გასინჯავენ! მაგრამ, რავიცი... ვუთხარი დავფიქრდები მეთქი.

-რას ქვია დაფიქრდები?

-აბა ასეთ სერიოზულ გადაწყვეტილებას უშენოდ ხომ ვერ მივიღებდი. ჯერ კიდევ სამი დღისწინ ვაპირებდი თქმას არადა. ერთი კვირა დამრჩა მეგი, არ ვიცი რა გავაკეთო, ძალიან მანერვიულებ.

-მამა, არაფერი არ მომივა, ნუ ღელავ. აუცილებლად უნდა წახვიდე, ვინ იცის ეს შანსი როდისღა მოგეცემა და... მართლა ბოდიში, ძალიან ვწუხვარ შენი მანქანის გამო და შენი განაწყენების გამოც.

ამოვიოხრე.

-შენც უნდა მაპატიო რომ...

-არაა საჭირო გთხოვ. მე მართლა ზედმეტი მომივიდა და შენ ამის სრული უფლება გქონდა.

-გპირდები რომ რაც მოხდა აღარასოდეს განმეორდება.

-მეც გპირდები მამა.

მართალია უკვე შევრიგდით, მაგრამ ჩვენს შორის მაინც იგრძნობოდა ჩამოწოლილი უხერხულობა, რაც საშინლად მაღიზიანებდა.

-ანუ დღესვე მიფრინავ? - ვკითხე და უცებ გამახსენდა, - მოიცა, ნინის დედაც ხომ იტალიაშია?

-ნინის დედამ შეიტყო ყველაფერი და პირველივე რეისს ელოდება დასაბრუნებლად.

-კარგია, თორე საწყალი ნინი...

-ხოდა იცი რა ვიფიქრე? შენც მიდი მერიკო და ლიზასთან და ნინისთან იყავი სანამ ჩამოვალ.

-დღეს ისედაც ვაპირებდი წასვლას. კარგი, დავრჩები რამდენიმე დღით, მანამდე სერგისთან უნდა წავიდე... უფროსწორად მის მშობლებთან.

-გოგოები მიდიან?

-არ ვიცი, არა მგონი.

-მაშინ შენც არ წახვიდე!

-მაგრამ მამა...

-მეგი გთხოვ, ხომ დამპირდი არა? იქაურობა შენთვის ძალიან მძიმეა, ვერ გაუძლებ შენ მაგას.

-კარგი.

***

ზუსტად ათი საათი მეძინა. როცა გავიღვიძე ლადო უკვე წასული დამხვდა. ჩემი ძველი შავი სპორტულები ჩავიცვი და ნინის სახლისკენ გავემართე. გზად ხარბად შევისუნთქავდი გაზაფხულის გრილი სიოს სუსხს და ვცდილობდი დავმშვიდებულიყავი და იმ ღამეზე არ მეფიქრა, მაგრამ ამ გზაზე, სადაც მე ნიკას ვარსკვლავებს ვუთვლიდი... აი ზუსტად ამ ადგილას, სადაც თავისი პიჯაკი გაიხადა და მომახურა... პიჯაკი რომელსაც გაცრეცილი ტყავის, საზამთროს ოდეკოლონისა და თამბაქოს სურნელი ასდიოდა. ნინის სახლის ეზოს დანახვაზე, სადაც მარტო ვიჯექი, კონიაკს ვსვამდი და ლიზაზე ვფიქრობდი და მისაღებში მდგარ ლამაზი დივანზე რომელზეც ნინის და სერგის ერთად ეძინათ, შეუძლებელი იყო ის წვეულება არ გამხსენებოდა. ჩემი და ლიზას შეხვედრამ ყოველგვარი ამბების გარეშე ჩაიარა, რადგან ჩვენი ურთიერთობის გარჩევის დრო ნამდვილად არ იყო. ახლა ყველანაირად ვცდილობდით დავხმარებოდით ნინის, რომელიც თითქმის არ ლაპარაკობდა. ვერც მასთან დალაპარაკება შევძელი და საერთოდ იმ დღის ყველა გეგმა ჩამეშალა. ვახშამს პირი არ დავაკარე. ნინის ისევ დამამშვიდებელი გაუკეთეს და გაითიშა. დაბინდებისას მე, მერიკო და ლიზა სახლის უკანა ეზოში კიბის მოპირდაპირე მხარეს მდგარ პატარა პუფებში ვისხედით და თითქმის არც ვლაპარაკობდით. მერი მამას წასვლის გამო უგუნოდ იყო, თუმცა ძალიან ცდილობდა არ შეემჩნია და ყველანაირად ჩვენსკენ გადმორთულიყო.

-ნინის დედა ხვალ მოფრინავს, - გვითხრა და გადმომხედა. ლამაზი ქალია მერიკო. უცნაური, ჩაკეტილი. თითქოს მკაცრიც მაგრამ თითქოს ლმობიერიც...

-ხო, მამასგან გავიგე უკვე, - მივუგე ჩუმად და მზერა ავარიდე. მასთან მამაზე საუბარი ჯერ ისევ მეუხერხულებოდა და ამ განცდას ვერაფრით ვიშორებდი. უცებ ჩემი ტელეფონი სპორტულის უკანა ჯიბეში ახმაურდა.

"გოგონი, რატომ არ მიპასუხე?" (მაჩმაჩო)

ახლაღა გამახსენდა რომ მაჩოს გუშინ ჩემთან უნდა გამოევლო.

-ვაიმე! - აღმომხდა ხმამაღლა.
-რა ხდება? - მკითხეს ლიზამ და მერიკომ ერთდროულად.
-გუშინ ჩემს დიზაინერთან შეხვედრა მქონდა და დამავიწყდა.
ავუხსენი და საპასუხო ესემესის წერა დავიწყე:

"მაპატიე, დაკავებული ვიყავი. ხვალინდელ დღეზე რას იტყვი? :)"

-ხო, გეგონება რო გაგხსენებოდა სუ სირბილით წახვიდოდი...
მომახალა ლიზამ.
-ლიზი რა სიტყვებია?
უსაყვედურა მერიკომ.
ლიზა ასეთი იყო, ყოველთვის პირდაპირი. რასაც ფიქრობდა იმას ლაპარაკობდა და ამის გამო ბევრი ვერ იტანდა, მაგრამ ჩემი აზრით მას ის გააჩნდა რაც დღეს ყველას არ აბადია, - გულწრფელობა! ძალიან ხშირად არაადეკვატური და უტაქტოც ხდებოდა და მართალია მშვენივრად ვიცნობდი მის ამ თვისებას, თუმცა მის სიტყვებზე გული მაინც დამიმძიმდა. მაგრამ ახლა ვისაც რა უნდა ეთქვათ ჩემთვის, ისინი მართლები იყვნენ, მე ვტყუოდი.

"კაი, გამოგივლი და გავაჭრათ მაღაზიებში. დაგირეკეს უკვე?" (მაჩმაჩო)

რა მეშოპინგებოდა? მაგრამ სხვა გზა მქონდა?

"ჯერ არ დაურეკავთ. თორმეტისთვის დაგელოდები, მისამართს მოგწერ <3"

ავკრიფე უცებ.

"სკოლაში არ იქნები?"

"ხვალ შაბათია"

***

იმ ღამეს ვერაფრით დავიძინე. გადავხედე ნინის, რომელსაც ჩემს გვერდით მშვიდად ეძინა. საწყალი ნინი. მეორე გვერძე გადავბრუნდი. ლიზას ჩემთვის ზურგი შეექცია.
-ლიზ, გღვიძავს?
პასუხი არ გაისმა.
-ვიცი რომ გღვიძავს! შენი სუნთქვა მესმის, ძილში ეგრე არ სუნთქავ.
ლიზა ნელა წამოიწია საწოლიდან და მოკეცილი ფეხები ერთმანეთზე გადააჯვარედინა. მეც მას მივბაძე და ცოტახნის მერე დავიწუწუნე.
-ვერც მე ვიძინებ.

ძალიან მეშინოდა რომ ლიზას ჩემთან მეგობრობა აღარ მოუნდებოდა. ერთხანს გაჩუმდა, არ მიპასუხა, თვალები ამარიდა და თავი მიატრიალა. ვხედავდი როგორ უჭირდა რამის თქმა. ვხედავდი როგორ ებრძოდა თავის თავს.

-გინდა ამ ყველაფერზე დამელაპარაკო? - მომიგო ბოლოს და გამიღიმა. შევეცადე მეც გამეღიმა, მაგრამ ვიგრძენი ამის მაგივრად როგორ დამემანჭა სახის ნაკვთები და ერთბაშად ამომსკდა ტირილი. თითქოს და ამისათვის მის თანხმობას ველოდებოდი. ლიზა გადამეხვია და მეც შვებით ამოვისუნთქე. ახლა უკვე ვიცოდი რომ ტყუილად მეშინოდა, ის მე არ მიმატოვებდა რაც არ უნდა მომხდარიყო. ლიზა კარგი მეგობარი იყო.

-შეეცადე დამშვიდდე, ალბათ ასე იყო საჭირო... გინდა ცხელი რამე დავლიოთ? მოდი წამოდექი. ადიელას მოიხურებ? ხომ არ გცივა...

მსიამოვნებდა მისი მზრუნველი ხმის ტონი და მისი იშვიათი სიმშვიდე. მისი შემხედვარე მეც მთელი გულით შევეცადე დავმშვიდებულიყავი, ცრემლები მოვიწმინდე და ვუპასუხე:

-ყავას დავლევდი...

-კაი, წამო რძიანს გავაკეთებ, დავლიოთ და თან იქნებ მომიყვე, თუ შენ გინდა. მეგი მარტო იმ შემთხვევაში, თუ ასე თავს უკეთ იგრძნობ. არაფერს გავალდებულებ. და ბოდიში დღევანდელი უხეშობისთვის მე უბრალოდ, დაძაბული ვარ...

-ყველანი დაძაბულები ვართ ლიზ, არაუშავს ნუ ღელავ. მე მართლა ბედნიერი ვარ რომ მყავხარ.

ადიელა მოფარებულები გავიპარეთ სამზარეულოში. მეც შეძლებისდაგვარად ყველაფერი მოუყევი, თუმცა ყველაზე მნიშვნელოვანი გამოვტოვე. არ ვიცი რატომ, მაგრამ ჩემი თავი იქამდე ვერ გავათამამე რომ სხვისი საიდუმლო გამეთქვა და თამაშის გარდა თითქმის ყველაფერი ვახსენე. ლიზა ყურადღებით მისმენდა, უამრავ კითხვას მაყრიდა და მაინც ვერ იგებდა რატომ დავვინტერესდი ასე უეცრად ნიკათი, როცა საერთოდ არავინ მიტაცებდა აქამდე. მაგრამ მერჩივნა არაფერი არ სცოდნოდა. რაც უფრო მეტს ეცოდინებოდა ეს საიდუმლო, მით უფრო მეტი დაშავდებოდა. რა დააშავა სერგიმ? თანაც ვინ იცის ნიკას ისევ როდისღა შევხვდებოდი. ან კიდევ ვინ იცის ახლა რა დღეში იყო, როგორ უჭირდა. ნიკა უბედური იყო, მე ის მებრალებოდა და ეს სიბრალული არ მივლიდა, თავს ყოველ საათში ერთხელ მახსენებდა და სულს მიხუთავდა. ისევ მე უნდა მექნა რამე, თორემ ეს ყველაფერი თავისით ვერ გამოსწორდებოდა. ნიკას ვინმე სჭირდებოდა ვინც შეაგნებინებდა რომ ის მეორე შანსს აუცილებლად იმსახურებდა. ვერ დავუშვებდი კიდევ ერთ მომხდარ საშინელებას. არა, ამისათვის მზად არ ვიყავი. დრო ხომ მქონდა არა? ხოდა, რატომაც არა? პირდაპირ ნიკას სახლში თუ მივიდოდი, ასე არც ლადოს დაპირებას გავტეხდი. ახლა როგორღაც ლიზა უნდა დამეთანხმებინა. ის თუ არა, აბა სხვა ვინ დამეხმარებოდა.

-ლიზ, მერიკოს სძინავს? - ვკითხე, ყავის ფინჯანი გამოვცალე და გეგმების დასახვა დავიწყე. პირველ რიგში არანაირი მანქანები! საათს შევხედე. ახლა ღამის ორი საათი იყო. ფეხით რომ წავსულიყავი, თორმეტამდე უკან დაბრუნებას მოვასწრებდი ხო? კი, უთუოდ მოვასწრებდი. მხოლოდ ერთი დაბრკოლებაღა მრჩებოდა. მერიკო!

-დეიდა წავიდა რამდენი ხანია, ხვალ დილით სამსახურშია გამოძახებული.

მომიგო უდარდელად და მაცივარში საჭმელს დაუწყო ქექვა.

ეს უკვე კარგია... მერიკო სახლში არ არის.

-ხვალ ხო შაბათია!

-მე რას მეუბნები, მაგის უფროსს უთხარი.

ლიზამ მაცივრიდან პიცა გამოაძვრინა და ღუმელში მოათავსა.

-ლიზ... ახლა რომ წავიდე, მერიკოს და მამას ამის შესახებ ხომ არ ეტყვი?

-ხომ არ გაგიჟდი? ასეთ დროს? მარტო? სად მიდიხარ, მითხარი და სანამ ნინი გაიღვიძებს მეც წამოგყვები, მაინც არ მეძინება. ოღონდ ჯერ ვჭამოთ რა, ვკვდები...

-ჰმ, არა ლიზ მე... ნიკასთან უნდა წავიდე, ახლა მას ჩემი დახმარება ყველაზე მეტად სჭირდება. გთხოვ არ გამიბრაზდე. ვიცი რომ საშინლად ვიქცევი, მაგრამ ასეთ დროს მარტო ვერ დავტოვებ, მეცოდება...

-ეგ შენი სიბრალულის უნარი ერთ დღესაც ყველას დაგვაქცევს იცოდე!

-ლიზი გთხოვ...

-კარგი, მაგრამ იცოდე დილით სახლში აუცილებლად დაბრუნდი, გაიგე? კიდევ ერთ უბედურებაში არ გაეხვიო!

-გპირდები რომ მე არ გავეხვევი... თუ რა თქმა უნდა ის არ გაეხვა ჩემში!

ნიკა

ელეგიის ფურცლებზე გადმოვსახლდი. მკვდართა და ცოცხალთა სამყაროში გავიჭედე. ჩემში იმდენი ტკივილია მოქუჩებული რომ უკვე ცრემლებადაც ვეღარ გადმოედინება და პირს იბრუნვის სადღაც შიგნით, სადაც მოგონებები დანაწევრებული კასეტებივით იფანტებიან. სადაც ერთი და იგივე კადრები დაუსრულებლად მეორდებიან და სადაც...

-მესამე ეტაპი უკვე გაიარე?

და სადაც წითური შაბათის ალქაჯები ნებართვის გარეშე დაეხეტებიან.

-ხო.

-ხო? და რა იყო, თოკზე ჩამოეკიდე სანამ ვეღარ ისუნთქებო? ავადმყოფი იდიოტები. ვის ტენი მილიონებს შენი სიცოცხლის სანაცვლოდ ნიკა? ის ხომ უფალმა გიბოძა...

ოხ მეგი მეგი! სერგის სიკვდილიდან უკვე ორი კვირა გავიდა. ამ ორი კვირის მანძილზე მეგის თავისი ქადაგებები არ შეუწყვეტავს. ხან რა მიზეზით ჩნდებოდა ჩემს სახლში და ხან რა... ხან ისევ ფანჯრიდან ვარდებოდა და ხან ძილში მოჩვენებასავით დამადგებოდა და მაღვიძებდა. ამას უკვე იმდენად შევეჩვიე, რეაქციაც აღარ მქონდა ხოლმე. გუშინ პაწია ქოთნით ხელში დამადგა თავზე. ამჯერად კარი ჩემი ნებით გავუღე. ვკითხე რა გიჭირავს მეთქი, მიპასუხა, - კლეოპატრაო! მცენარეს შევხედე, კვირტები ჯერ არც ამოეყარა, ამ სულელმა კი უკვე სახელი დაარქვა. რა ირონიული იყო. მე ვუთხარი, - ეგ რო აყვავდება მე აქ აღარ ვიქნები და საინტერესოა ჩემს საფლავზე დასარგავად ხომ არ მოიტანე მეთქი. მეგიმ საპასუხოდ ყვავილი (არა უფრო "მოყვავილო") ნაზად დაასვენა ძირს და სახეში მთხლიშა.

მადლობა მოიხადოს, რომ ამის უფლებას მხოლოდ მას ვაძლევ. და მიუხედავად იმისა რომ მე ყველაფერი ვცადე, აი ამ სახლის კედლებია მოწმე მე ყველაფერი ვცადე, მაინც არ გამოვიდა, მაინც ვერ მოვიცილე. სინამდვილე კი ისაა, რომ როდესაც ნაწილებად ხარ დაშლილი და გგონია ეს დასასრულია, იმ მომენტში ვინც გაფიქრებინებს რომ ეს ასე არაა, თუნდაც სრულიად უცხო იყოს შენთვის, როგორღაც ახლობელი ხდება, როგორღაც შენს გულში იწყებს შემოღწევას და როგორღაც შენც მასზე ხდები მიჯაჭვული სამარადისოდ. ეს ცვლილებები კი საერთოდ არ მომწონდა. მართალია მას ჩემი არ ეშინოდა, მაგრამ სამაგიეროდ მე მეშინოდა მასთან ახლოს მყოფი ჩემი თავის. რა მოხდება მეგისაც რომ სერგივით დავმართო? - ვფიქრობდი, - არ მესმის, რატომ არ უნდა რომ გამიშვას? ამის წყეული დედაც! მე უნდა მოვკვდე, თორემ უკვე ამ ყველაფრის ატანა აღარ შემიძლია. სერგის ხმა ახლაც ყურში ჩამესმის. ჩემი ძმა... ისე წავიდა, თავის ბავშვობის სიყვარულს ვერ გამოუტყდა, სინჯებზე ვერ გავიდა, ვერ იმოგზაურა, ვერ იმღერა, ვერ იბედნიერა, ვერ იცხოვრა! და ეს ყველაფერი მხოლოდ და მხოლოდ ჩემს გამო. უკვე ჩემი თავი მძულდა(უარესად), მეოთხე ეტაპზე ვიყავი. გამოფიტული, უგრძნობი ნაგავი გავხდი(უარესად). რა ვუქნა ამ გოგოს რით მოვიშორო? ადამიანი თავისი სიცოცხლის ბოლო წამს ხვდება რომ მოკვდა. მეგისაც მაინცდამაინც სერგისავით ამის გააზრება უნდა მოუწიოს ჩემს გამო? მე საშინელ სევდას ვგრძნობდი. ამაზე მეტად დადარდიანებული არასდროს ვყოფილვარ. აქამდე გულის გატეხვა უბრალოდ მითი მეგონა, მაგრამ აღმოჩნდა რომ გულები მართლა ტყდებიან, შუაზე იბზარებიან და ზოგჯერ ნაწილებადაც იმსხვრევიან. ჩვენ კი ადამიანები ჩვენი უბედური ცხოვრების გზაზე ვდგავართ და ამ დამსხვრეული ნაწილების პოვნას, მერე კი შეერთებას ვლამობთ. რათ გინდა? რომც შეაერთო ხომ ისეთი ვეღარასდროს იქნება, როგორიც თავდაპირველად იყო? არაფერს აქვს აზრი, საერთოდ არაფერს...

რა მჭირდა? ჩემს თავს ვეღარ ვცნობდი, ასეთი სენტიმენტალური და მგრძნობიარე არასოდეს ვყოფილვარ. ყოველ შემთხვევაში სხვის დასანახად არა. და საერთოდაც, სანამ სიკვდილს ვეზიარებოდი, ნელ-ნელა ვხვდებიდი რომ საფეხურებად ვეცნობოდი ყველა იმ გრძნობასა თუ ემოციას, რომელიც ადამიანშია. ყველაფერი რაც მეგიშია, არ ვიცი, ეს იმდენად ღვთაებრივია, რომ არ მსურს მას რაიმე ვავნო და ახლა განსაკუთრებით სერგის მერე. სერგი ხომ ჩემი ძმა იყო, მაგრამ მეგი... მეგი ჩემი არავინ არ არის, მე კი მისი - არავინ. ის ნათელია, მე ვარ ბნელი. ჩვენ ორნი სრულიად განსხვავებულ სამყაროში ვცხოვრობთ!

-წადი ნაკურთხი წყალი გამოივლე მაგ შენს დაყრუებულ ყურებში, იქნებ რამე გეშველოს!

გამომარკვია ფიქრებიდან მეგის გაბრაზებულმა ხმამ. ნამდვილად იყო რაღაც მაგ გოგოში, რაღაც სხვანაირი რასაც სხვა გოგოებში აქამდე ვერ ვხედავდი. თითქოს ანათებდა. მის თვალებში ვარსკვლავები ცეკვავდნენ. მეგი ანგელოზი იყო. ანგელოზი რომელსაც ჩემს ჯოჯოხეთში არაფერი ესაქმებოდა... ახლაღა გავიაზრე, რომ ჩუმად ძალიან დიდხანს ვიყავი. ის კი ჩემს ძველ სავარძელში მოკალათებულიყო და თავის ჟღალ ნაწნავებს იშლიდა, დიდ თაფლისფერ თვალებს გამეტებით აცეცებდა ჩემი საშინლად დაგვიანებული პასუხების მოლოდინში. პატარა ფერიას მოგაგონებდათ, ჯიუტ ფერიას. არ ვიცოდი რა მეთქვა. ვერ ვხვდებოდი მასთან ყოფნისას რა მემართებოდა. თითქოს სრულიად სხვა ადამიანი ვხდებოდი, მიუხედავად იმისა რომ ამას მთელი არსებით ვეწინააღმდეგებოდი. თითქოს მას ჯადოსნური ჯოხი ჰქონდა, რომლითაც ჩემზე ექსპერიმენტებს ატარებდა. თითქოს ჩემი სუსტი წერტილი ეპოვნა, რომელსაც ასე გულმიდგინედ იყენებდა. არაფრით ნებდებოდა, რისკავდა, ხედავდა რომ გზაზე, რომელსაც ჩვენ ერთად გავდიოდით ადამიანები იხოცებოდნენ, მას კი ესეც არ ადარდებდა. თითქოს რაღაცით ვგავდით კიდეც... ორივენი ფერები ვიყავით, მაგრამ ის იყო თეთი, მე - შავი...

-უკვე გვიანია მეგიიი, განდევნის რიტუალიც ვეღარაფერს მიშველის. სულ რომ მაგ შენს ნაკურთხ წყალში მაყურყუმელავო, აზრს მაინც ვერ შემაცვლევინებ. რომ იცოდე დროს ტყუილად ფლანგავ. ხო, შენს ძვირფას დროს. ახლა უკვე ცნობილი ჟურნალისტი გახდი არა? და მამაშენს გადაეცი თუ უნდა წავიდეს და მიჩივლოს.

-საერთოდაც ჩემო ძვირფასო, შენ ვერ მიმითითებ მე რა გავაკეთო, -მშენიერია, ახლა ჩემო ძვირფასოც გავხდი, - და თუ მეხსიერება ასე ძლიერ გღალატობს, მაშინ ნებას დავრთავ ჩემს თავს და შეგახსენებ, რომ მამაჩემმა უკვე გიჩივლა, მერე ეს დანაშაული დედაშენმა თავის თავზე აიღო და...

-აუცილებელია ამაზე საუბარი? ყველაფერი კარგად მახსოვს. ან საერთოდაც, არ მოგბეზრდა ყოველ დღე ამ აქოთებულ სახლში სიარული?

-ზუსტადაც რომ, - წამოენთო უცებ. კარგია, ალბათ იმის თქმა უნდა რომ ხვალიდან აქ აღარ ივლის. რით დავიმსახურე ამხელა სიხარული?

-სწორედ ამის გამო, ხვალ სადღაც მივდივართ! - მომაძახა თვითკმაყოფილმა და მხრები შეათამაშა.

არ არსებობს! არ არსებობს! არ არსებობს!

-იოცნებე! - თითქმის დამარცვლით ჩავახარე.

-თუ არ გინდა რომ ნაკურთხ წყალში გაბანავო!

-არა, გამკეთებელი ხარ, კი ვიცი. ჯანდაბას შენი თავი, სად გინდა წასვლა?

-ნაყინის საჭმელად.

ეს გოგო მთლად გადასულა ჭკვიდან. გიჟივით გამეცინა.

-შენ რა პაემანზე მპატიჟებ?

-სულაც არა, - დაიბნა უცებ, - შენ და მე პაემანზე? ეგ არასდროს მოხდება! ისეთ ბიჭს როგორიც შენ ხარ პაემანზე არასდროს გავყვები. რა თქმა უნდა, თუ არ გამოსწორდები.

მეკაიფებოდა ხო? რა მნიშნელობა ქონდა მე ვთხოვდი თუ ის, შედეგები იცვლებოდა? შესაკრებთა გადანაცვლებით ჯამი იცვლება? არ ვიცი, მაგრამ მის სამყაროში აშკარად მასეა. ახტაჯანა!

-აი, მეკიდე გევედრებოდი, - მივუგე ცინიზმით.

-გინდა დავნაძლევდეთ?

-არ მიყვარს სანაძლეოები.

-როგორ არა გიყვარს, თუ არ გინდა რომ...

-კარგი, ხო, კარგი. რაზე დავნაძლევდეთ?

-მოკლედ, - დაიწყო საქმიანად, ახლა უკვე ბოლომდე გაშლილი დალალები ზურგზე გადაიგდო და მწველი მზერა შემომაფეთა, - ახლა კარგად მისმინე, ასეთი რამ მოვიფიქრე: თუ მე სამ კვირაში მაგ შენს გადაწყვეტილებას გადაგაფიქრებინებ, მაშინ შეგეძლება პაემანზე დამპატიჟო. და თუ... არა, მეორე ვარიანტი არ განიხილება.

-როგორ არა, მეორე ვარიანტი უფრო განიხილება, ვიდრე ეგ სულელური ილუზია. იცი რა? თანახმა ვარ, სამი კვირა! - ავდექი, მივუახლოვდი და ხელი გავუწოდე, - და თუ ვერ გადამაფიქრებინებ, რაც აუცილებლად მოხდება, მაშინ ყველა თავის გზაზე წავა, მოვილაპარაკეთ?

-მოვილაპარაკეთ, - ხელი გამომიწოდა და თავაზიანად ჩამომართვა, - მაგრამ ხვალ მაინც გამომყვები.

-უკაცრავად? ეს პირობებში შედიოდა? მაინც რას აკეთებ, ვეღარ გავიგე.

-რას და სიამოვნებაზე გპატიჟებ, იდიოტო! აქ მვეყნიურ სიამოვნებაზე! იმ სიამოვნებაზე რომელიც აღარც გახსოვს ალბათ და ახლა აირჩიე ან გამომყვები, ან ციხეში მიბრძანდები. ეგეც კარგად გახსოვდეს, რომ ნებისმიერ წამს შემიძლია მივირბინო პოლიციაში და სიმართლე განვაცხადო. ასე დეიდა ლალიც თავისუფალი იქნება, სამართალიც აღსრულდება და შენც დაისვენებ და მეც!

-არაა, ოდნავ მაინც თუ გიცნობ, მაგას არ იზამ!

-მართლა? ვითომ რატომ არ ვიზამ? იქ ალბათ ყველაფერი ექნებათ რაც ეტაპების გავლაში დაგჭირდება, არა? რამდენი ეტაპი დაგრჩა? ხუთი? ოთხი? ოთხ კედელში გამოკეტილს იცი რა დაგემართება?

-არაფერიც არ დამემართება! - თავი უშიშრად დავიჭირე, მაგრამ სახეს მისკენ არ ვატრიალებდი. მეშინოდა თვალებში თუ ჩავხედავდი თავს ვეღარ შევიკავებდი. მისი თანდასწრებით ჩემი ტირილი კი ყოველთვის სავალალოდ მთავრდებოდა. რას მიშვრებოდა ეს გოგო?

-მოკვდები! - მომახალა. ყვირილზე გადასულიყო.

არადა, რაიმე გასაოცარ, დამაჯერებელ არგუმენტს ველოდი. ხმამაღლა გამეცინა.

-და მეც ხომ ეგ მინდა?

-არა ნიკა, აშკარად ვერ გამიგე. შენ მოკვდები უიმედობისაგან! რაც უფრო მეტს იფიქრებ იმ საშინელ საკანში გამომწყვდეული, მით უფრო მეტად დაიტანჯები, მაგრამ ეს ყველაფერი ამაო იქნება, გესმის? ამაოების ნისლში ჩაიკარგები და იქიდან ვეღარც ვერასდროს გამოხვალ. იქაურობას ვერასოდეს დაეღწევი. სინანულის გრძნობა მთლიანად შეგჭამს, სული ამოგეხუთება და ეს ყველაზე სამარცხვინო და საცოდავი სიკვდილი იქნება სიკვდილთა შორის! შენ მოკვდები, მაშინაც კი თუ მხოლოდ სუნთქვაღა შეგეძლება!

***

killthehead9-დან გამოვედი, პატარა პურის ნატეხი შევჭამე, სიგარეტს ხელი დავავლე და მეგისთან შესახვედრად წავედი. გზაში დავფიქრდი და გავაანალიზე, რომ გარტყმაში არ ვიყავი რომელი ნაყინი მიყვარდა, მაგრამ ვის ადარდებდა?

სერგის ამბავი კატოს მოვუყევი. არაუშავს, ცოტაღა დარჩაო, - მითხრა. კატო საერთოდ არ გავდა მეგის, მაგრამ არც მე მგავდა. უკვე ყოველ ღამე ტელეფონით ვლაპარაკობდით ხოლმე მეგის გაცილებისთანავე. არ მესმოდა რაში ვჭირდებოდი საერთოდ. ან მას და ან მეგის. თუმცა ორივეს თავისი მიზნები გააჩნდათ. მეგი სიცოცხლისკენ მიმაქანებდა, კატო სიკვდილისკენ. აკი უკვე ვთქვი მკვდართა და ცოცხალთა სამყაროში გავიჭედე მეთქი.

გზაში კატოს ნომერი ავკრიფე. ცოტა ხანში ნამძინარავი ხმით მიპასუხა, ალბათ გავაღვიძე.

-კატიუშ, როგორ ხარ?
-იმდენად ცუდად რომ თავს კარგად ვგრძნობ, შენ?
-რა ქენი? - დავიძაბე. მან გადაიხარხარა.
-კატო, რა ქენი მეთქი?
-გავიჩხირე, დაწყნარდი.
-რას ნიშნავს დავწყნარდე, სად ხარ? მითხარი ახლავე მოვდივარ!
-ნიკა, რა გჭირს? ველარ გცნობ, შენში რაღაც შეიცვალა. იმ ლიდერს, რომელსაც მე ვიცნობდი ასეთი უმნიშვნელო რამის გამო არ გამიბრაზდებოდა.
-სად ხარ მეთქი, გოგო?
-შემეშვი რა...
და ყურმილი დამიკიდა. ერთი წამით მეგის ადგილას წარმოვიდგინე თავი, მაგრამ ეს სისუსტის წამი იყო, სხვა არაფერი. სხვა ვერც იქნებოდა... აი, რა უნდოდა? სულ ნუ გამიცნობდა იმ დაწყევლილ ღამეს წვეულებაზე და მეც აღარ მოვიპარავდი მამამისის მანქანას. სერგიც ცოცხალი იქნებოდა! ოხ მეგი…

მეგი

-რომ გითხრა რომ ეს ნაყინი მართლა მომეწონა, თავს დამანებებ?

მკითხა ნიკამ. გასულ საღამოს დაპატიმრებით დავემუქრე და ნაყინის საჭმელად ისე წამოვიყვანე.
-ესეიგი აქ ხვალაც მოვალთ? - კითხვითვე ვუპასუხე და ჩამეღიმა.
-თუ კი სიამოვნებას ბევრჯელ გამოცდი, მას თავისი ხიბლი დაეკარგება! ველარ შეიცნობ ყველაფერ კარგს რაც მასშია... საერთოდაც, ყველაფერი კარგი დანაკარგს მოითხოვს. უნდა დაკარგო რომ მის ფასს მიხვდე.
-მე ახლა ვანილის ნაყინზე ვსაუბრობდი.
-ორივემ ვიცით რომ ნაყინი არაფერ შუაშია მეგი. მცდელობას იმისა, რომ სიცოცხლე შემაყვარო ისე შეყევი, შენი ცხოვრება აღარ გაქვს, აღარაფერი გაინტერესებს მეტი… ასე არ შეიძლება, ორი ადამიანის ცხოვრება ვერ გაერთიანდება, ერთ მთლიანობად ვერ იქცევა!
-მაშ, რა საჭიროა არსებობდეს რაღაც, თუ კი მის არსებობას მაინც ვერ შეიცნობ?

-ვერ მივხვდი...
-მე და შენ - ჩავიბუტბუტე და თავი ჩავქინდრე.
-და ვანილის ნაყინი? - გაიცინა. მიყვარდა როდესაც ვაცინებდი. ხანდახან ავიწყდებოდა რომ მკაცრი ტირანის როლი უნდა ეთამაშა და პატარა საყვარელი ბიჭი ხდებოდა ფერადი ოცნებებით.
-ჰო და ვანილის ნაყინი! - წამოვიძახე მხიარულად და ჭამა განვაგრძე, თუმცა მის მოშტერებულ მზერას ვგრძნობდი. ახედვა არ მსურდა. როგორ ემეტება თავისი თავი? - ვფიქრობდი. როგორ სურს რომ გამოეთხოვოს სუყველაფერს...
მთელი სულითა და გულით ნიკაზე გავხდი მიჯაჭვული. იმ უბედურმა შემთხვევამ სრულიად უცხო ორი ადამიანი ნაცნობები გაგვხადა. ადრე თუ საათში ერთხელ მახსენდებოდა ის, ახლა ყოველ წამს მასზე მეფიქრებოდა და მასთან ყოფნა მაბედნიერებდა, ნეტავ თვითონაც თუ იგივეს განიცდიდა?
-ნიკა.
-გისმენ.
-თუ კი ამ ქვეყნად არაფერი გაბედნიერებს, მაშ როდისღა იქნები ბედნიერი? ან იქნები ოდესმე?
-რა თქმა უნდა ვიქნები! - მიპასუხა და სახეზე ელვისებურმა მკრთალმა ღიმილმა გადაჰკრა. გულმა სწრაფად დამიწყო ცემა და მასში პატარა იმედის ნაპერწკალი გაკიაფდა.
-როდის? - ვკითხე სულ მოუთქმელად და პასუხის მოლოდინში გავინაბე. მან კი მომიგო:
-როცა მოვკვდები, - და ჭამა გააგრძელა.
იცით როგორი შეგრძნება დამეუფლა? აი რაღაცას რომ მთელი სულითა და სხეულით, მთელი შენი არსებით ცდილობ, მიზნისკენ მიისწრაფვი და თავს არ იზოგავ, ამისთვის ყველაფერს აკეთებ, და მაინც არაფერი გამოგდის და ისევ იგივე ადგილას ბრუნდები საიდანაც დაიწყე, ისევ, ისევ და ისევ... მიზნის მიღწევის მოლოდინში, დაუსრულებელ წრედზე დარბიხარ, მერე იღლები, ინგრევი, ნადგურდები თუმცა მაინც არ ნებდები, რადგან დანებება შენში არაა! მერე გათანგული უკლებ სირბილს, თუმცა სვლას კვლავაც განაგრძნობ. ბოლოს უკვე მიბობღავ, მიჩოჩავ თუმცა მაინც არ ჩერდები... ვერ გაჩერდები ამ წრედს თავი უნდა დააღწიო საშველი კი არსად ჩანს და შენც ამის გამო ნელ-ნელა ყველაფერი გზიზღდება, ყველაფერი გბეზრდება და უიმედო დეპრესიაში ვარდები. არ თქვათ რომ ყოველივე ეს თქვენთვის უცხოა. არ თქვათ რომ ერთხელ მაინც არ ჩავარდნილხართ უიმედობის ზღვაში, ერთხელ მაინც არ დაუხრჩვიხართ მელანქოლიას. არ თქვათ, რადგან ახლა უკვე ისედაც ვიცი.
-რატომ? ნიკა რატომ?
-რადგან ამიხდება ამდენი ხნის ნანატრი ოცნება! - ისეთი ცივი მკაცრი ტონი ჰქონდა, რომ თავი ვეღარ შევიკავე და ძალაუნებურად ტირილი წამსკდა. ჩემმა ცრემლებმა ის დააფრთხო.
-მაგრამ არ მინდა რომ მოკვდე... - კვლავ მუდარაზე გადავედი. სულ ხომ ასე ხდებოდა, ჩვენი დიალოგები წამის მეათასედში იცვლებოდა. მუდარა, ჩხუბი, ჩხუბი, მუდარა... წასვლა! კაფეში ყველას ყურადღება მივიპყარით. იქ გაჩერება აღარ მსურდა, მე მისი მოსმენა აღარ შემეძლო. აღარ შემეძლო იმ საშინელი სიტყვების მოსმენა, რომლებიც სულში ნაიარევებს მიტოვდა. ქუჩის კუთხეში მივიყუჟე და ხმამაღლა ავტირდი. წვიმდა. შარვალი მთლად ტალახიანი მქონდა, მაგრამ არ მადარდებდა.
-მეგი, ადექი, - მომიახლოვდა ნიკა.
-შემეშვი - ვუყვირე.
-მეგი გაცივდები, ადექი მეთქი! - თავისას არ იშლიდა. ჯიუტი ტირანი!

-მერე რა? და მერე რა? მერე რა? გავცივდე, შენ ხომ არ გადარდებს? შენ ხომ ის საწყალი დედაშენიც არ გადარდებს, რომელიც იქ შენს მაგივრად იტანჯება. გინდა ბოლო მოუღო არა? ეს არის შენი მიზანი?
-სულელივით იქცევი, ადექი!
მიყვირა, მკლავში ხელი ჩამავლო და წამომაგდო. თავზე გვაწვიმდა, ძლიერ გვაწვიმდა. ჩვენ კი უხმოდ შევყურებდით ერთმანეთს თვალებში. ისე ახლოს იყო, ისე ახლოს...
მე ხომ ყოველთვის ვვოცნებობდი წვიმაში ნაჩუქარ ნანატრ პირველ კოცნაზე. მაშინაც კი თუ ეს კოცნა უკანასკნელი იქნებოდა! მაგრამ, ახლა უმვე ვიცოდი რომ ასე მხოლოდ ჩემი ოთახის თაროზე შემოდებულ რომანებში იყო და რეალურ ცხოვრებაში ასეთი ზღაპრული რაღაცეები არ ხდებოდა.
ნიკა თვალებს არ მარიდებდა, ისე თითქოს ჩემს დამახსოვრებას ცდილობდა. მე კი შევიგრძნობდი მის სასიამოვნო სურნელს, რომელიც წვიმის ნამსა და ჩემს ცრემლებს ერეოდა. ის უფრო მეტად მიახლოვდებოდა. გონს მაკარგვინებდა.
თუ ხდებოდა?
-წადი! - მომახალა უეცრად. მზერა ამარიდა და ხელი ნელა გამიშვა. ახლაღა ვიგრძენი მაჯაზე მწარე ტკივილი. თურმა რა ძალით მიჭერდა.
-რა? - წამოვიკნავლე.
-ვერ გაიგე? მე ვთქვი წადი! წადი მეგი, წადი... წადი მეთქი!
-არსადაც არ წავალ!
-მაღიზიანებ უკვე, გაიგე? დამანებე თავი, ამის დედაც! არ მჭირდები, შენი ეს უაზრო მცდელობები უკვე ყელში ამომივიდა, დროს ტყუილად კარგავ გაიგე? სამი კვირა საერთოდ არ მჭირდება! თანაც ვინ გგონია შენი თავი, უფრთო ანგელოზი? ერთი უაზრო გოგო ხარ და მეტი არაფერი. გგონია ყველაფერს განაგებ? ჰა? გგონია ყველაფერი შეგიძლია? თუმცა რატომაც არა, შენ ხომ ბავშვობიდან ფუფუნებაში იზრდებოდი, მიჩვეული ხარ რომ რაც მოგინდება ყველაფერი გქონდეს. გათამამებული მამიკოს პრინცესა! ერთ რამეს გეტყვი და კარგად დაიმახსოვრე მეგი ქათამაძე, მე ნივთივი არ ვარ, რომელისაც როცა მოინდომებ მაშინ დაეუფლები! მე პიროვნება ვარ, რომელსაც ეზიზღები!
და თითქოს მე დავინახე ისევ როგორ მოვექეცი დასახული მიზნების იმ უიმედო წრედში, რომელსაც სხვა გზა არ გააჩნდა, რომელიც არასდროს სრულდებოდა. მე ნათლად დავინახე ყველა ჩემი იმედი სათითაოდ როგორ გაფრინდა და როგორ გაქრნენ პეპლები და ცისარტყელები ჩემს გარშემო. იქნებ უკვე დრო იყო ჩემი ვარდისფერი სათვალე ჩამომეხსნა. იქნებ უკვე დრო იყო დავნებებოდი. ვიდექი და წამის წინ გაგებულის გააზრებას უაზროდ ვლამობდი. მაინც ვერ ვიაზრებდი. ასე დიდხანს გაგრძელდა.
-მოკვდი!
ჩავიჩურჩულე უგრძნობივით. გაშეშებული ვიდექი.
-რა თქვი?
თითქოს ყველაზე მეტად ჩემს დანებებას არ ელოდაო.
მე კიდევ გამოვბრუნდი და უსიტყვოდ წამოვედი. ისე გავქვავდი რომ წვიმის წვეთებსაც ვეღარ ვგრძნობდი. პირველად ჩემს ცხოვრებაში ხელი ჩავიქნიე და უიმედობის განცდა დამეუფლა…

***

-გუშინ მამაჩემმა დამირეკა. - გვითხრა ნინიმ. მე ის და ლიზა ჩემთან შევკრებილიყავით. ახლა ნინის ჩვენი დახმარება ისე სჭირდებოდა როგორც არასდროს.
-მერე რა გითხრა? - ვერ ისვენებდა ლიზა.
-რავი, მგონი შერიგებას აპირებენ. - მხრები აიჩეჩა გოგომ.
-სერიოზულად?
აღვრთოვანება ვერ დავმალე. რა მაგარია როცა ორი სული ისე შესისხლხორცდება, რომ განგებაც კი ვეღარ აშორებთ მათ. ლიზასგან ვიცოდი რომ ნინის მშობლებს ერთმანეთი წრფელი სიყვარულით უყვარდათ. როცა გავიგე რომ დაშორდნენ, ვერ ვიჯერებდი. მართალია ნინისთან ახლო ურთიერთობა არასდროს მქონია, მაგრამ ბოლო დრომ საშინლად დაგვაახლოვა. სერგის სიკვდილმა ყველანი გაგვტეხა. ახლა ჩემი ერთი დაქალი ორად გადაიქცა. სინამდვილეში ნინის დახმარება იმიტომ მსურდა რომ მასთან თავს დამნაშავედ ვგრძნობდი. ეს არ მივლიდა.
-ხო რავი - წაიბუტბუტა. სულ არ ეტყობოდა რომ ეს ფაქტი ახარებდა ან უბრალოდ ახლა ვერ გამოხატავდა.
-რა მაგარია! - ერთდროულად წამოვიყვირეთ მე და ლიზამ და ნინის გადავეხვიეთ.
-ალბათ... შენსკენ რა ხდება მეგი?
-არც კი ვიცი ბავშვებო, გაჭედილში ვარ. მამა ჯერ ვერ ბრუნდება, თანაც მას მერე რაც ვიჩხუბეთ და სახლიდან ისე წავიდა, ფიზიკა ნიშანს არ მიწერს.
-რაო? მაიას რაღა დაეტაკა ხო უყვარდი?
-ლიზ, ბოლო სამი კვირაა მაია კი არა ვერავინ ვეღარ მიტანს.
-ოო, დაიწყო ამან, - თვალები გადაატრიალა ლიზამ.
-და იმას უჩვლეთ? - დაინტერესდა ნინი.
-ვის?
უცებ აზრზე ვერ მოვედი.
-თვითმკვლელობის ოთახს!*
აი თურმე საუბარი საითკენ მიჰყავდა. ნიკა... თურმე, შესაძლებელი ყოფილა სრულიად უცხო ადამიანი მოულოდნელად გამოჩნდეს შენს ცხოვრებაში(ან შენთვითონ ჩამოვარდე მისი საძინებლის ფანჯრიდან. საპირფარეშოში შევარდნა და მისი მობილურის გაჩხრეკაც არაა ცუდი იდეა) და ყველაფერი თავდაყირა დაგიყენოს. აქამდე არ ვიცოდი რა იყო დარდი. არ ვიცოდი რომ მან შეიძლება ისე გატკინოს რომ ღამეები თეთრად გაათენო. აქამდე სიყვარული ნათელი, ვარდებითა და კესანებით მოფენილი გრძელი და ლამაზი გზა მეგონა, რომელსაც თვალდახუჭული შენს საბედოსთან ხელიხელჩაკიდებული უეკლოდ გაივლიდი. თუმცა, სინამდვილეში როგორც შექსპირს უთქვამს "ეჰ, შორიდან რომ ასე ტკბილი ჩანს სიყვარული, სინამდვილეში მტარვალი და მწამებელია..." ეს ფრაზა აქამდე არასდროს მესმოდა, ახლა კი ზუსტად ვხვდები. დიახ, ეს მოხდა! გამთენიისას, ზედიზედ სამი თეთრად გათენებული ღამის შემდეგ ჩვენი ბოლო ჩხუბიდან, როგორც იქნა მივხვდი ჩემი ამ უაზრო აკვიატებისა და ნიკას გადარჩენის მცდელობებს. კი, შეიძლება ყველა მეცოდებოდა ცუდისთვის და თავიდან ამას ვიმიზეზებდი კიდეც, თუმცა როგორც ჩანს ეს დიდხანს არ

გაგრძელდა. ყველა იმ ცუდი მხარისდა მიუხედავად რასაც მე მასში ვხედავდი და რაც ასე ძალიან მძულდა, მე გავიაზრე რომ ის შემიყვარდა. შემიყვარდა ისე რომ მის გარეშე სუნთქვასაც აღარ ჰქონდა აზრი. თავს ვიტყუებდი და დღეები უაზროდ გამყავდა. მე კიარ ვცხოვრობდი, არამედ ვვარსებობდი და მეთვითონაც აღარ მესმოდა რისთვის ან ვისთვის. ადრე ჩემს თავს ვიცნობდი, ვიცოდი რა მინდოდა ახლა კი... ახლა, მე ის მენატრებოდა. მენატრებიდა მისი ხშირი სუნთქვა, მკაცრი მზერა. მისი ყორანივით შავი თმა და აზიდული მხრები მენატრებოდა. მისი წარმოთქმული ჩემი სახელი, თუ როგორ მეველრებოდა დარჩენას მე კი უსულგულოდ მაინც მივაბიჯებდი. მივაბიჯებდი წვიმაში და იმ მომენტში აზრი აღარაფერს ჰქონდა...

-მეგიიი, რა გჭირს ტირი?

ღმერთო ჩემო, გაუაზრებლად თითქოს ამ სამყაროდან ავვორთქლდი და სადმე სხვაგან დატყვევებული სულების სამყაროში გადავინაცვლე. გავითიშე.

-რა?

გონზე რომ მოვედი წამწამები მართლაც სველი მქონდა. რა მტკივნეული ყოფილა მასზე უბრალოდ ფიქრიც კი...

-ოჰ, მე... მაპატიეთ ბავშებო.

-მეგ, საყვარელო, მოდი ჩემთან, - ლიზა გადამეხვია, - მიდი გვითხარი რა მოგივიდა.

-ლიზა არა, არა არ მიჩივლია! როგორ ვუჩივლებდი, როგორ გავიმეტებდი როცა მიყვარს? ხო, გესმით? შემიყვარდა... ეს კი ისეთი მტკივნეულია! ახლა უკვე ზუსტად ვიცი რომ მისი დანახვის პირველივე წამიდან შემიყვარდა! გული დასერილი მაქვს, უიმედობის განცდა მთლიანად დაუფლებია ჩემს თავს! მცნობთ, ჰა? მე ისევ ის ძველი მეგი ვარ, რომელიც ვარდისფერ სათვალეს არ იხსნიდა და ცისარტყელის გამოჩენაც კი აბედნიერებდა? როგორც შენ იტყოდი ხოლმე, გახსოვს? თავს იკლავს ხალხნო, ნიკას სიკვდილი გადაუწყვეტია! ხო ლიზა, შენ თვითმკვლელობის ოთახი და დომინიკო ეძახე, მე არ ვხუმრობდი, როცა როგორც იქნა სიმართლე გაგიმხილე.

-რა?

-დაგუგლეთ მიდით ‘ქილ დე ჰედ 9’, აი მიზეზი თუ რატომ გავიტაცე მამაჩემის მანქანა იმ ღამით. მე მხოლოდ მისი გადარჩენა მსურდა. ბოდიში ნინი, ძალიან ვწუხვარ. ადამიანმა რომ იცოდეს ყველა მის ქმედებას რა შედეგი მოჰყვება, დამიჯერეთ აღარც ისუნთქებდა. ძალზე ხშირად კარგ რამეებს საზიანო შედეგები მოაქვსო. არის მრავალი მაგალითი იმისა თუ როგორ გაანადგურა ფულმა ადამიანი, ანდაც როგორ იმსხვერპლა ისინი გაბედულობამ! მეც ზუსტად მაგ გაბედულობამ შემიწირა და შეგვიწირა ჩვენ ყველაც... ყველაფერი იმ დაწყევლილი ღამის ბრალია, როცა ნიკა გავიცანი შენს წვეულებაზე. მაგრამ, იცით რა? დრო რომ უკან დაბრუნდებოდეს, მაინც იგივეს გავიმეორებდი! დიახ, მე ასეთი ვარ. ჯიუტი ვარ და მე კი ვიცი ჩემი სიჯიუტე დამღუპავს. არც ისეთი უფრთო ანგელოზი აღმოვჩნდი, რომელიც ყველას გეგონეთ. ვინ იცის უკვე მიბარდა უფალს ის უბედური, არადა რა იცის რომ სამარადისო სატანჯველს ჰპირდება საკუთარ თავს!

-სერგი, - აღმოხდა ნინის და ხმამაღლა მოთქმა დაიწყო, - სერგი მართალი ყოფილა, ღმერთო ჩემო...

-რა თქვი? - ჩავეკითხე.

-მეგ, თქვენი შეხვედრა შემთხვევითი არ ყოფილა. არც ისეთი მთვრალი ვიყავი იმ ღამეს, როგორიც შენ გეგონე...

-ნინი რას მეუბნები?

-ეს სერგის უნდოდა რომ ნიკას გვერდში დადგომოდი, ის ფიქრობდა რომ ნიკა ძალიან ცუდად იყო და გვერდით ვინმე სჭირდებოდა, ვინმე შენნაირი...

გულის შეკუმშვა ვიგრძენი და სუნთქვა გამიძნელდა. ფანჯარა გამოხსენი და ჰაერი ხარბად შევისუნთქე. თვალები დავხუჭე და ტკივილისგან სახე დამემანჭა.

-თითქოს გული უგრძნობდა...

***

"და მომაგოს მე უფალმან სიმართლისა ჩემისაებრ..."

-კარგი მეგი, - გამაწყვეტინა კითხვა მასწავლებელმა, - რამაზ, გაგვიგრძელე თუ შეიძლება!

ქართულის გაკვეთილს გულს ვერაფრით ვუდებდი. არადა როგორ უნდა გამომეტოვებინა ისეთი მნიშვნელოვანი პოემა, როგორიცაა ვაჟა-ფშაველას "ალუდა ქეთელაური". ალუდა ხომ განსხვავებული აზრის გამო ისჯება! განსხვავებული აზრის გამო საერთოდ ყველა ისჯება! სინამდვილეში, სწორედ რომ ეგ განსხვავებული აზრია, რომელსაც წარღვნისკენ მიმავალი სამყაროს შეცვლა შეუძლია. რატომ არ გვსურს სიმართლეს თვალებში ჩავხედოთ სანამ დროა? რატომ ვითხრით თვალებს, ვიხშობთ ყურებს და ვიჭრით ენებს, რომ არ მოვისმინოთ ჩვენ ნამდვილი ჭეშმარიტება, არ დავინახოთ სიკეთე და არ ვადიდოთ უფალი? რატომაა რომ ბრბოს ყოველთვის უფრო მეტის გადაწყვეტა შეუძლია, ვიდრე სიმართლის მატარებელ მოკვდავს? ზოგჯერ როგორ ვერ ხვდება ადამნიანი რამხელა ცოდვაში დგამს ფეხს... როცა მიხვდება კი(ანდაც მიხვდება რომ ოდესმე?) მაშინ ის უკვე დაღუპულია. და ბრბო? სიბოროტით განთხეული არარაობები! ისინი უბრალოდ უბადრუკი მარიონეტები არიან. აი ვისი არსებობაა საბრალო ნიკასგან განსხვავებით!

—

სერგის სიკვდილიდან ზუსტად ორმოცი დღე გავიდა, მე კი არაფერი მსმენოდა ნიკასგან. მოკვდა? დარჩა? იქნებ სიკვდილი გადაიფიქრა და ახლა უჩემოდ უფრო ბედნიერია? ან იქნებ უფრო ღრმად შეტოპა ამ ყველაფერში? ვინ იცის რამდენი საშინელების ჩადენა აიძულეს იმ ეშმაკებმა. ვინ იცის მას მე აღარც ვახსოვარ. აბა ვინ იცის…

***

სახლის კარი გასაღებით გავაღე, ფეხზე დავიხადე ჩანთა მივაგდე და იქვე მისაღებში დივანზე წამოვწექი. ადრე, როგორც კი სკოლიდან მოვიდოდი, პირველ რიგში ხელებს დავიბანდი, სახლის ფუმფულა ტანსაცმელში მოვკალათდებოდი, ლადოს გემრიელ

საჭმელებს მივირთმევდი და ეგრევე მეცადინეობას ვიწყებდი ხოლმე, ასე მშვიდად და უდარდელად. ჩემს ნივთებს არსად არასდროს ვყრიდი, არც უიმედო ვყოფილვარ ოდესმე. ვამჩნევდი ჩემს თავში ძალიან დიდ ცვლილებებს, თუმცა მეშინოდა ამაზე ყურადღების გამახვილების. რამდენად საზიანო შეიძლებოდა ჩემთვის გამხდარიყო ამის გააზრება. და ისედაც რამდენი ცუდი რამ ხდებოდა... ახლა არაფერზე არ მინდოდა ფიქრი, უბრალოდ დასვენება მსურდა. ვერც მივხვდი როდის წავედი ძილში. არ ვიცი რამდენი ხანი გავიდა. თვალები რომ გავახილე ნაცნობი მზერა მომშტერებოდა, რომელშიც ერთდროულად იკითხებოდა, სინანული, სიყვარული და მონატრება. დიახ, მე ვცნობდი ამ მზერას.
-ჩემი მამიკო! - წამოვიძახე, წამოვფრინდი და ეგრევე კისერზე ჩამოვეკიდე. კაცს ამოსუნთქვაც კი არ ვაცადე. აბა სადღა იყო წყენა? ან რომელს გვცხელოდა რომ ახლა ამისთვის?
-ნელა მეგუშ, კი ნუ კი დამახრჩობ, - მომიგო სიცილით.
-მამა, იცი როგორ მომენატრე?
-შენ თუ იცი მე როგორ მომენატრე პატარა თავნება ქალბატონო.
როგორც იქნა დავეხსენი და უცნაური მოულოდნელი სასიხარულო ეიფორიიდან გამოღწევა მოვახერხე. ასე სცოდნია თურმე, ავდარს ყოველთვის მოსდევს დარი. დარი რომელიც გაგაძლიერებს...
-მეგ, შენ რა გაიზარდე, თუ? აბა ერთი შემომხედე? შემოხედე გოგო მამაშენს, რაღაცა სხვანაირი მეჩვენები...
-დიახაც გავიზარდე, აბა როგორ გინდა ერთი?
-უნდა გაიზარდო, უნდა გაიზარდო... და მერეეე, აუცილებლად გამოჩნდება ვინმე შენსავით განათლებული და კარგად აღზრდილი პროვინციელი ახალგაზრდა და მას შემდეგ რაც მოძღვარი ჯვარს დაგწერთ, მეც შემეძლება ჩემი სიბერის მშვიდად გატარება შვილიშვილებთან თამაშში. ხო... მე ასე მინდა.
-და სანამ მე დამწერდე ჯვარს ჩემო ძვირფასო მამიკო, იქნებ ჯერ შენზე გვეფიქრა? - ჩაეცინა.
-აჰა, ახსენე და რეკავს!
-ხომ ამბობენ კარგი ადამიანები მაშინვე ჩნდებიან როგორც კი მათ ახსენებო.
კარგი ადამიანები! ნეტავ საერთოდ კიდევ არსებობენ ისინი?
-მერი მერი, ჩემო მერი, -, უკვე დაიწყო ლაზღანდარობა ლადომ. ხანდახან მაინც როგორი სასაცილოა ხოლმე მამაჩემი, - ამ საღამოს? რა თქმა უნდა მობრძანდით, იდეალური სუფრა ჩემზე იყოს! რაო? არ უნდა გეთქვა უკვე გზაში თუ იყავით? ახლავე, ახლავე...
ლადომ ტელეფონი უეცრად სადღაც მოისროლა და სამზარეულოში შევარდა. გამეცინა.
-ლიზაც მოჰყავს? - გავძახე.
-ჰო, აბა? პირველი ოჯახური ვახშამი, ვინ წარმოიდგენდა? ჰაჰა, ალილუია!
-ხო, მაგარია.
Зუპასუხე უხალისოდ და ოთახში ასვლა დავაპირე. -მეგ, - გადმომძახა სამზარეულოდან ლადომ.
-გისმენ, მა.
-აბა მაგიდაზე ჩანთა რომ დავტოვე ეგ გახსენი...
-რა არის?
-მიდი და ნახავ, - გავიგონე ლადოს ხითხითი. მაგიდას მივუახლოვდი, გავხსენი და შეფუთული ყუთი დავინახე.
-მამაა, - წამოვიძახე გახარებულმა, ყუთი გავხსენი და ახალი გამოშვების აიფონი შემრჩა ხელებში. ვიცოდი რომ ტელეფონი იქნებოდა. ლადოსთან მივირვინე, მადლობა გადავუხადე

და ვაკოცე. მერე ოთახში ავედი და გამოვიცვალე. ტელეფონი ჩავრთე და სანამ პროგრამას ვაყენებდი, ყვითელი საგაზაფხულო სარაფანი ჩავიცვი და იგივე ფერის თავშალი შემოვიხვიე. ეს ფერი ყოველთვის მაბედნიერებდა. მინდოდა ამ დღისათვის როგორღაც, სასწაული ძალებით განსაკუთრებული ელფერი მიენიჭებინა და გაზაფხულის დადგომაც გვეგრძნო უკვე. მერე მეორე დღისთვის ჩანთაში წიგნების უხალისოთ ჩალაგებას რომ შევუდექი, ოთახში ლიზა გიჟივით შემოვარდა. კინაღამ გული გამისკდა.
-ვაიმე, გული გამიხეთქე გოგო!
-მეგიიი, აუ რა გაცვიაა, დროზე გაიხადე ყვითლები, მალე!
-რაო? რატო ვითომ?
-რა რატო გოგო, სერგის ორმოცზე მივდივართ!

*თვითმკვლელობის ოთახი - (Engl. Suicide room, Pol. sala samobójców) - 2011 წლის დრამა, რეჟისორი - Jan Komasa.

ნიკა

კაფეში მისულს მეგი უკვე იქ დამხვდა. რომ დამინახა კარებშივე მომაძახა არ ვიცოდი რომელი ნაყინი გიყვარდა და ჩემი საყვარელი შევუკვეთეო.
-აჰ, რომელი ყველანაირი? - მის წინ ჩამოვჯექი და ისე მივუგე წარბი არ შემიხრია. მას გულიანად გაეცინა.
-აჰაჰაჰ, არა ვანილის.
-მომეწონება?
-თუ მე მოგწონვარ, ეგეც მოგეწონება, - სართოდ საიდან მოიტანა რომ მომწონდა? აღარ ვუპასუხე. შეკვეთა მალე მოიტანეს. ჭამა უსიტყვოდ დავიწყეთ. გემოს გასინჯვაზე რაღაც ნოსტალგიისმაგვარი დამემართა, თუმცა არ მახსოვს დედას ოდესმე ჩემთვის ნაყინი ეყიდა. მაშინ ალბათ... იქნებ მამა მყიდულობდა ხოლმე? აჰ, მამა? სასაცილოა... ვინ იცის ლალის მისი სახელი აღარც ახლოვს.

-რომ გითხრა რომ ეს ნაყინი მართლა მომეწონა თავს დამანებებ? - ვკითხე. რა თქმა უნდა ვიცოდი რომ არ დამანებებდა. ვინ იცის, იქნებ არც მინდოდა რომ დაენებებინა და სხვა ყველაფერი დანარჩენი უბრალოდ ჩემი ილუზიები იყო? ჩემს ცივ სარკასტულობას და ლაჩრულ ქმედებებს უკვე იქამდე მივყავდი, რომ ყველას ვკარგავდი, მე კი ვთამაშობდი როლს, რომ თითქოს ეს ყველაფერი არ მადარდებდა. მემგონი ემოციების გამოძევების დრო იყო! თუმცა, მე ეს ყველაფერი რომ გავიაზრე, მეგის უკვე ჩემთვის ზურგი შეექცია და მიდიოდა. მტოვებდა... მე მეგი მტოვებდა...ჩემი მეგი. არც კი ვიცი ის როდიდან გამხდარიყო ჩემი, ანდაც ჩემს ემოციებს მთლიანად ასე რანაირად მართავდა, თუმცა ამ ყველაფერს მნიშნელობა საერთოდ აღარ ჰქონდა. მე მას გული გავუტეხე... ისევ! და ეს ყველაფერი არაფრის გამო! რატომ? რა მემართებოდა?
-მეგი! - დავუძახე, მაგრამ უკვე ძალიან შორს იყო, წვიმის ხმა კი ჩემს ტკივილნარევი ყვირილის ხმას მთლიანად ახშობდა. მერე დავინახე ტაქსი როგორ გააჩერა. ავედევნე.
-მეგი, არა... არ წახვიდე! - თუმცა, ერთხელაც არ მოუხედავს. არ ესმოდა, ან ალბათ არც უნდოდა რომ გაეგონა. ტაქსი წავიდა. არ ვჩერდებოდი. სირბილს ვუმატებდი, მიუხედავად იმისა რომ კარგად ვიცოდი აზრი არ ჰქონდა. მე მაინც თავგანწირვით მივრბოდი. როცა მანქანა თვალთახედვის არედან სრულიად გაქრა, მუხლებზე დავემხე და ხმამაღლა ავყვირდი. თურმე მე ეს მჭირდებოდა! თურმე ჩემს შიგნით დაგროვილ ემოციებს გარეთ გამოღწევა სჭირდებოდათ, მე კი ამდენ ხანს ამას ვერ ვხვდებოდი. ჯერ მარი დავკარგე, მერე სერგი...ახლა კი, ახლა... ჩემი მეგი!

***

-რატომ არ შეიძლება რომ შევხვდეთ?
ვკითხე facetime-ში კატოს.
-იმიტომ რომ რეალურ ადამიანებს ვერ ვენდობი!
სწრაფადვე მიპასუხა და ხელში დიდი მაკრატელი შეათამაშა.
-და არარეალური ადამიანები როგორები არიან?
-ისინი ვინც თამაშის გმირები არიან, ანდაც მხოლოდ სიზმრებში მოდიან...
-კატიუშ, დარწმუნებული ხარ რომ კარგად ხარ? ეგ მაკრატელი რად გინდა?
-კარგად? - გადაიხარხარა. ცივად. მდუმარედ. წარმოიდგინეთ დიდი ბნელი ოთახი, უბრალოდ შავი სივრცე, წყვდიადი და მეტი არაფერი. და იმ ყწვდიადში ზის გაფითრებული გოგონა უზარმაზარი მაკრატლით და შემზარავად ხარხარებს. ჟრუანტელმა დამიარა.
-ნიკა, მე კი არა, შენ დარწმუნებული ხარ რომ სიკვდილი გინდა?
ეს კითხვა საიდან მოათრია საერთოდ?
-კი, ვარ!
"ვარ?"
-ტყუი, ტყუი! შენ დამპირდი, გახსოვს? შენ დამპირდი რომ ერთად მოვკვდებოდით, ერთად! გესმის?

-ხო, დამშვიდდი. პირობას შევასრულებ, კაი?
-ჰაჰ, არა შენ... შენ ის დაგსჯის! ის... ის.
ვერაფრით ვწვდებოდი მისი სიტყვებს არსს. უეცრად ჩემე თვალწინ მაკრატელი მოიმარჯვა ისე რომ არც კი დაფიქრებულა თმა ძირში გადაიჭრა. მისი უზომოდ გრძელი თმა, რომელსაც ყოველთვის აქებდა და ეამაყებოდა (მართალია უცნაური გზებით, მაგრამ მაინც), ახლა აღარ იყო. ასე უეცრად, არაფრის ნიადაგზე.
-კატო რას აკეთებ? - ვკითხე გაწბილებულმა.
-შემომხედე, მიყურებ? - არ ჩერდებოდა არაფრით, თითქოს არ უნდოდა, არ მოსწონდა რასაც აკეთებდა მაგრამ სხვა გზა არ ჰქონდა. მის მერე რაც 'პარიკმახელობას' მორჩა, მერე ცალი წარბი აიპარსა მთლიანად. ეს სანახაობა ჩემთვისაც კი შემზარავი იყო.
-კატო ამის გაკეთება გაიძულეს? მითხარი...
-ის დაგსჯის ურჩობისათვის! - თავისას არ იშლიდა.
რას ნიშნავს ყოველივე ეს?
-კატო, გაიძულეს მეთქი? - არც მე ვნებდებოდი.
-თამაში, თამაში, თამაში, თამაში!
რა?
-ეს თამაშმა გაიძულა? შემომხედე, მან გაიძულა?
-თამაში ოთხჯერ! წესები იცვლება! შენ უნდა წაგართვას ის, რაც შენთვის ყველაზე ძვირფასია!
-ყველაზე ძვირფასი? კატო...
და გათიშა. საგონებელში ჩავვარდი. მაგრამ მე ხომ ძვირფასი არავინ და არაფერი გამაჩნია? ზუსტად ამ დროს ტელეფონზე Unknown-სგან ესემესი მომივიდა:

"თქვენ მიემართებით ჯოჯოხეთისკენ, შემდეგი გაჩერება მ ე გ ი !!!"

ძარღვებში სისხლი გამეყინა. მთლიან ტანში დამცრა მისი სახელი რომ წავიკითხე. მაგრამ როგორ? რანაირად? როგორ გაიგეს ჩემს ცხოვრებაში მეგის არსებობის შესახებ? დასწყევლოს ეშმაკმა, მე მისთვის უნდა დამეჯერებინა, ის ვიდეო არ უნდა ამეტვირთა. ერთხელ მაინც, ცხოვრებაში ერთხელ მაინც არ შემეძლო სწორი გადაწყვეტილების მიღება? თუმცა დავიჯერო ის ვიდეო კმაროდა მხოლოდ ჩემი მისდამი დამოკიდებულების შესასწავლად? რა ხდება? თანაც სახელი? ჯანდაბა, ჯანდაბა! მე ხომ მეგის სახელით იმ ვიდეოში მივმართავდი არა? მაგრამ მისგან რაღა უნდოდათ? და იქნებ... იქნებ, თამაში მართალი იყო და ერთადერთი ძვირფასი ვინც დამრჩენოდა მეგი იყო, მე კი მას ზურგს ვაქცევდი, ყოველი ჩემკენ გადმოდგმული ნაბიჯისას, მე ერთით უკან ვიხევდი. მე მხდალი ვიყავი. ნუთუ ეს სიმართლე იყო? ახლა უკვე ვიცოდი ამ სამყაროში რატომ აღარ იყო სიკეთე. ის მთლიანად მეგის მოეპარა. მეგი სიკეთის კეთილი ქურდი იყო.
საერთოდ ყველა ლოგიკურ მსჯელობას იქამდე მივყავდი რომ იმ ვიდეოში მეგის სახელი გარკვევით ისმოდა, მაგრამ აქ რიგზე რაღაც მაინც ვერ იყო. უკვე ტვინი მიხურდა ამდენი ფიქრისგან, თუმცა მაინც ვერ ვისვენებდი. ანდაც როგორ შემეძლო განა მოსვენება? რაღაც მეუბნებოდა რომ ყველაზე მნიშვნელოვანს ვერ ვხვდებოდი. ისევ კატო გამახსენდა. მისი ეს

უცნაური სიტყვები, ის რომ თითქოს რაღაც ფარული შეტყობინების გადმოცემა სურდა ჩემთვის, თან მაფრთხილებდა, თან სიახლეს მეუბნებოდა. მან ახსენა რომ წესები იცვლებოდა, მაგრამ რაღაცის აშკარად ეშინოდა, რას გაურბოდა? ვინ რას გაიგებდა, ჩვენ ხომ უბრალოდ ტელეფონზე ვსაუბრობდით, საერთოდ რა საჭირო იყო ამდენი მინიშნებები? მოიცა... და რა იქნება რომ ჩავთვალო რომ ჩვენი ტელეფონები ისმინება? რა თქმა უნდა! თუ ასეა, მაშინ მათ ისიც უნდა გაეგოთ რომ ცოტა ხნის წინ განყოფილებაში ვიყავი და საერთოდ ყველაფერი... ეს ნამდვილად ასეა, ქმედებებს მოსდევს დავალებები. სწორედ ამიტომ იყო მეორე ეტაპი რაიმე მძიმე სახის დანაშაულის ჩადენა, მაგალითად ქურდობა. წარმოუდგენელია, მე ხომ მანქანა გავიტაცე, მე ხომ ვიქურდე, და ეს დავალება მხოლოდ მას მერე მივიღე რაც სერგის გავუთიშე. ყველაფერი ერთმანეთში ჯდებოდა, მეტი ფიქრი საჭირო აღარ იყო! კატომ ახსენა რომ თამაშმა უნდა წაგვართვას ის რაც ჩვენთვის ყველაზე ძვირფასია. კატოსთვის ყველაზე ძვირფასი მისი თმები იყო, ახლა კი ის აღარ აქვს. მაგრამ რატომ არ გამოგვიგზავნეს ამდენი ხანი მეოთხე დავალება? ჩვენ ხომ მეოთხე ეტაპზე ვიყავით. თამაში ოთხჯერ! ან იქნებ... თვითონ თამაშს უნდოდა რომ ეს ყველაფერი ჩემით გამეგო, ყოველგვარი დავალების გარეშე? წესები იცვლება, ახლა მათ გადაწყვიტეს ჩვენ ყველას სათითაოდ "პერსონალური ჯოჯოხეთი" მოგვიწყონ, თუმცა რაც არუნდა იყოს, როგორც არუნდა იყოს ისინი მეგის ვერ წამართმევენ, ვერა...

გადავწყვიტე რომ კატოსთვის დამერეკა და ყველაფერი გამეგო, არ მაინტერესებდა მომისმენდნენ თუ არა. თუ საჭირო გახდებოდა კატო ყველაფერს ისევ ასე მინიშნებებით ამიხსნიდა. აშკარად ძალიან ჭკვიანი იყო ეგ გოგო. და თანაც, სხვა თუ ვერავინ გადავარჩინე ჩემი თავისა და დედაჩემის ჩათვლით, კატო მაინც უნდა გადამერჩინა... და დედა? მითხრეს რომ მისი სასამართლო პროცესი გაიწელებოდა და დრო კიდევ მქონდა რომ გირაოთი დამეხსნა იქიდან. მეხვეწა და მემუდარა, ოღონდაც აქ არ დამტოვო და შევიცვლები, კარგი დედა გავხდებიო. მე კიდევ ვუთხარი რომ მის გარეშე მე უკეთ ვიქნები. ასე არც ჩემს სიკვდილს შეესწრება.

სექტის ჯგუფში დარეკვა იმ იმედით დავიწყე რომ მეგონა როგორც პირველ ჯერზე მოხდა, ახლაც კატო გამაგონებდა, მაგრამ ასე არ მოხდა. მერე ყველა სოციალური ქსელი გადავამოწმე თუმცა კატო არც იქ ჩანდა. ბოლოს მისი ტელეფონის ნომერი ავკრიფე. მესამე ზარზე ვიღაცამ ხმის კანკალით გამაგონა. ძალიან ჰგავდა კატოს ხმას.

-გისმენთ...

-კატო!

-არა მე, დედამისი ვარ.

ტირილი დაიწყო. ოღონდ ახლა ის არა, რაც მე გავიფიქრე, ოღონდ ახლა ის არა!

-კატო, კატო კარგადაა? სად არის, მან რატომ არ მიპასუხა? - ნერვული ტონით ვკითხე, ადგილზე ვერ ვისვენებდი.

-კატოსი ვინ ხართ?

-მე, კატოს... მეგობარი ვარ, ნიკა!

-ნიკა, კატო ვეღარ გიპასუხებს ხოლმე.

-რატომ?

პანიკამ შემიპყრო.

-ის ახლა ფსიქიატრიულში გადაგვყავს. სამ კვირიანი მკურნალობის კურსზე, თუმცა მისი მდგომარეობა იმდენად სერიოზულია, იმედი არ გვაქვს რომ ამ დროში კარგად იქნება!

რა? კი მაგრამ სულ რაღაც წუთების წინ მესაუბრენოდა... საწყალი კატო! ამჯერად მაინც უნდა ვიღონო რამე, არა? სამი კვირა... უეცრად ჩემი და მეგის სანაძლეო გამახსენდა. ჯანდაბა! ეს რა ჩავიდინე...
-კარგით, მისმინეთ ქალბატონო...
-ნატა.
-შეიძლება შეგხვდეთ? აუცილებელი საქმე მაქვს თქვენთან. ეს კატოსა და მის კეთილდღეობას ეხება.
-რა თქმა უნდა შვილო. კვირის ბოლოს დღის მეორე ნახევარში გაწყობს?
-დიახ, მისამართს მოგწერთ, ოღონდ მანამდე გთხოვთ, კატოს ტელეფონი, კომპიუტერი, ან სხვა რაიმე მსგავსი მოწყობილობა ხელში არ ჩაუგდოთ, ეს ძალიან საშიშია.
-მადლობა ნიკა, როგორც ჩანს ჩემი შვილი თქვენთვის ბევრს ნიშნავს.
-კი, ის... ნამდვილად განსაკუთრებულია. იმედია მალე გამოჯანმრთელდება. ნახვამდის.
გავთიშე და გულში თითქოს სითბო ჩამეღვარა. მე კატოს გადარჩენა შემეძლო, ყველაფერი ხომ ჩემს ხელთ იყო და ამას აუცილებლად გავაკეთებდი. მეგი ჩემით იამაყებდა. თავი ამდენი ხნის განმავლობაში პირველად ვიგრძენი ცოცხლად და ეს ყველაზე მაგარი იყო.

***

სერგის ორმოცისთვის სპეციალურად ვემზადებოდი. მიმტანად მუშაობა დავიწყე, სწორედ იმ კაფეში სადაც მეგიმ მიმატოვა. სამი დღის დანაზოგით იაფიანი ტანსაცმელი და ფეხსაცმელი ვიყიდე . ვერ ვიჯერებდი, მაგრამ რასაც ვაკეთებდი მომწონდა. ძალიან მომწონდა. ყველაფერი თითქოს იცვლებოდა, უკეთესობისაკენ. ვაანალიზებდი რომ მე ვგრძნობდი, ვგრძნობდი მის მონატრებას. ეს რაღაც ახალი იყო. ვიმედოვნებდი რომ მემორიალზე მას ვნახავდი. ვცდილობდი კარგი განწყობა შემენარჩუნებინა და ცხოვრებაში პირველად ამას ვახერხებდი. სერგი სულ უჟმურს მეძახდა. ჩემი ასეთი თავის დანახვა მას აუცილებლად გააბედნიერებდა. და ასევე მეგისაც... ის ყველაზე განსაკუთრებული ნაწილი იყო ჩემს ცხოვრებაში, თუმცა ამას იქამდე ვერ მივხვდი, სანამ მისი დაკარგვის საფრთხე არ ვიგრძენი. ყველაფერს გავაკეთებდი რომ ის გადამერჩინა, შარვალ-კოსტუმსაც კი ვატარებდი.
-ნიკა, მესამე მაგიდასთან ორი ვანილის ნაყინი, თუ შეიძლება, - გამომარკვია ფიქრებიდან უფროსის ხმამ.
-ვანილის ნაყინი? - ჩამეცინა.
-ჰო, რაიყო აღარ გვაქვს?
-როგორ არა გვაქვს. ბოს, შეიძლება დღეს ადრე წავიდე?
-რა მოხდა ბიჭო, უკვე დაიღალე? აქ ამდენ ხალხს ვერ ხედავ თუ ბრმა ხარ? ისე დღეს მართლა რამდენი ხალხია, ასე თუ გაგრძელდა მალე კოტეც თავის სახაჭაპურეს ერთხელდა სამუდამოდ დაკეტავს და ჩემი შემოსავალიც ერთბაშად სამიდან ხუთამდე გაიზრდება. იცი მაინც, რას ნიშნავს ეს? რათქმა უნდა არა, შენნაირი გამოლენჩებული ბიჭები ვერაფერს ხვდებიან! ეს ნიშნავს რომ შენც მოგემატება ხელფასი. ასეა ბიჭო, პურისთვის და

სიგარეტისთვის კი უნდა გეყოს. სხვა კიდე რათ გინდა. შეყვარებული შენარ გეყოლება რო პაემანზე დაპატიჟო და... -მისმა ლაყბობამ თავი ამატკია. არც თავისი კოტე მანაღვლებდა და არც მისი ხაჭაპურები.
-ბატონო, დღეს ჩემი ძმაკაცის ორმოცია, ბოდიშით უნდა წავიდე, - ვთქვი და ცრემლები მომასკდა. ვერაფრით ვიჯერებდი ჩემს სიტყვებს. მე სერგის ორმოცზე ვაპირებდი წასვლას?
-ასეა? მაშინ კარგი ბიჭო...

—

სარკეში ჩავიხედე. ჩვეულებრივ ჩემს თავს არ ვგავდი ამ შავ კოსტუმში და ჰალსტუხში. გული გამალებით მიცემდა, უჩვეულო წინათგრძნობა მქონდა. ძალიან ვნერვიულობდი. სერგის სახლში მისულს მოგონებები განმიახლდა და ეს ძალიან მტკივნეული იყო. ეს სახლი მის გარეშე უბრალოდ წარმოუდგენლად მეჩენებოდა. შიგნით უამრავი ხალხი ირეოდა. უეცრად კუთხეში სავარძელში მჯდარ მარის მოვკარი თვალი. მისკენ სამძიმარის სათქმელად გავემართე მაგრამ თავი ამარიდა. არც გამკვირვებია, მე ხომ ეს დავიმსახურე. სერგის დედამ დამინახა. ჩემთან ტირილით მოვიდა და გადამეხვია.
-ახლა შენ ხარ ჩემი შვილი ნიკა, - ეს სიტყვები ჭრილობაზე მარილივით მომხვდა.
-ნათია დეიდა მე... ბოდიშით თავს ვერ ვიკავებ.
-იტირე ჩემო ბიჭო, იტირე მოგეშება. იცი? ვერასდროს ვაპატიებ ნიკა. ის დამპირდა რომ სულ ჩემს გვერდით იქნებოდა და შვილიშვილებს მაჩუქებდა, მაგრამ წავიდა, დამტოვა! როგორ ვაპატიო აბა მითხარი, როგორ?
-ასეც იყო! ის ნინისთვის აპირებდა ძალიან მალე ხელის თხოვნას.
-ჩემი საბრალო... სად არის? მისი გაცნობა მინდა
არ ვიცოდი. ნინი ვერსად ვნახე. ეგ კიარა, ვისაც მე ვეძებდი ეგეც ვერ ვიპოვე. მეგი არსად ჩანდა. როგორღაც შევმცდარვარ, კვლავ...
ღმერთო ჩემო! - გავიგონე უცებ ვიღაცის აღშფოთებული ხმა ზუსტად ჩემს ზურგს უკან. მივბრუნდი. უცნობი გოგონა გაოცებული მომშტერებოდა.
-უკაცრავად? - მას პირველად ვხედავდი, - მემგონი ვიღაცაში შეგეშალე გოგონი.
-არა, ჰაჰ რა შემეშალე, შენ ნიკა არა ხარ?
აჰა... ეს რაღა ჯანდაბა იყო.
-კი, მე ვარ!
-მე ლიზა ვარ! - მომიგო. თვალებს არ მარიდებდა.
-მერე? - ვერ მივხვდი რა ხდებოდა.
-მეგის საუკეთესო მეგობარი, - დააზუსტა. აი თურმე რა.
-მეგი? მეგი აქ არის?
როგორც ჩანს ამჯერად არ შევმცდარვარ.
-დიახ, სადღაც აქ უნდა იყოს... ა, ჰო დავინახე წეღან აი იმ ოთახში როგორ შედიოდა. ავღელდი.
-სასიამოვნოა შენი გაცნობა ლიზა, მოგვიანებით გნახავ, ჯერ მეგის უნდა დაველაპარაკო სასწრაფოდ.
-ვაიმე, არ არსებობს! - შესძახა უცებ.
ოხ!
-რა? - ვკითხე ისევ.

-არა, ხო ჩემთვისაც მეთქი, - დაიბნა უცებ, - კარგი, აბა შენ იცი ნიკა. თუმცა მოიცა, იცოდე გაფრთხილებ, მეგის არ აწყენინო თორემ საქმე ჩემთან გექნება, ხო გაიგე? მიფრთხილდი! საჩვენებელი თითით "დამემუქრა".

-შენ ყველაფერი იცი არა?

-რა თქმა უნდა მე ხომ მისი...

-კარგი, კარგი...

ლიზას გავეცალე და სასტუმრო ოთახისკენ გავეშურე. მე მას ვნახავდი! კიდევ ერთხელ გავიგონებდი მის ანგელოზივით წკრიალა ხმას. ვიაზრებდი თუ რამდენად ეგოისტი ვიყავი და როგორ ვტკენდი გულს. და თუ მართლა მოვკვდები ახლო მომავალში, მანამდე მაინც აუცილებლად გავაბედნიერებ. თუმცა პირველ რიგში ის უნდა დავიცვა, ამისთვის კი უნდა შემოვირიგო…

***

არ ვიცი რატომ მეგონა რომ მეგის შემორიგება ასეთი მარტივი იქნებოდა. ამ დროის განმავლობაში კიდევ ვერ გავიცანი? თანაც, ის ისე მიყურებდა როგორც უცხოს, თითქოს ერთად ეს ყველაფერი არც გამოგვივლია... მან არ მოისურვა ჩემთან ლაპარაკი, არ მოისურვა, ამის დედაც! თითქოს რაღაც ისევ დაიმსხვა ჩემს შიგნით! რაღაც რაც ალბათ აღარასდროს გამთელდებოდა.

საერთოდ ცხოვრება შემდეგნაირად წარმომედგინა. დაბადება, ეს რა ჯანდაბაა? და სიკვდილი. თუმცა, ჩემთან აშკარად განსხვავებულად მოხდა. ყველაფერი იმაზე უფრო მეტად ჩაიხლართა, ვიდრე საერთოდ ამის წარმოდგენა იყო შესაძლებელი. ჩემს სამყაროში სიკვდილსაც კი თავისი საფეხურები გააჩნდა. პირველად როდესაც ამ თამაშის არსებობის შესახებ ასე სრულიად შემთხვევით გავიგე, ჩემთვის სასაცილო აღმოჩნდა და იმათზეც კი ვკაიფობდი ვინც ამ საკითხს სერიოზულად, მთელი მონდომებით ეკიდებოდა. მე სრულიად არაფრის მიზნით გადავწყვიტე გამევლო ის ცხრა ეტაპი, ან შეიძლება ინტერესი მკლავდა. ჩემი ცხოვრება ხომ მანამდე სრულიად უმნიშვნელო იყო და არანაირ მიზანს არ ემსახურებოდა. შეიძლება იმ მომენტში ვიფიქრე კიდეც რომ სწორედ ეს იყო ჩემი მიზანი. მაშინ მომწონდა თუ როგორ ვიზიდავდი უბედურებას ერთმანეთის მიყოლებით, თუმცა მერე რაღაც შეიცვალა. დავინახე რომ, ეს უბედურება და ეს ზიანი მხოლოდ მე კი არა, ჩემს გარშემო მყოფ ადამიანებსაც კლავდა ნელ-ნელა და ნაბიჯ-ნაბიჯ. ამის გაანალიზების შემდეგ ცხოვრების შეცვლა განვიზრახე. აი ასე, პირველ რიგში საიტიდან წამოვიდოდი და ჩემს მეგისთან ერთად დიდხანს და ბედნიერად ვიცხოვრებდი, გადავარჩენდი კატოს, მივცემდი შანსს დედაჩემსაც და ვიცოცხლებდი სერგის ხსოვნის მოსაგონრად. ამისმა გაფიქრებამაც კი უზომოდ ბედნიერი გამხადა. თურმე რა ლამაზად მოდის ბედნიერება და რამდენი რამის შეცვლა შეუძლია მას შენს ცხოვრებაში.

საერთოდ რა არის ბედნიერება? ის ადრენალინს ჰგავს, სხეულში გეპარება ჯერ ნელა და შეუმჩნევლად, მერე კი ერთიანად და ეს აურა ბედნიერების შენს ირგვლივ ყველას და ყველაფერს ეხება და საგნებსაც კი აცოცხლებს! შენც აღარ ფიქრობ აღარაფერ დანარჩენზე რამაც შეიძლება ცუდი შეგრძნებები გაგახსენოს და მხოლოდ იმ ერთ რაღაცაზე კონცენტრირდები, რამაც შეიძლება გაგაბედნიეროს და მე ვფიქრობ ეს ძალიან სასიამოვნო გრძნობაა.

მეგი

შავებში გამოწყობილი ხალხი... ირგვლივ მწუხარება სუფევდა. სერგის ფოტოს დანახვაზე ტანში ცივმა ჟრუანტელმა დამიარა. დიდხანს ვეღარ ვუყურე, თვალი ავარიდე და ცალკე გავედი. ჩემდაუნებურად მის ადგილას ნიკას თავი წარმოვიდგინე და გავიაზრე რომ ერთ დღესაც შეიძლებოდა მის ორმოცზეც დავეპატიჟე ვინმეს. ძალიან ხშირად, ვინც ყველაზე მეტად გვიყვარს, გვინდა არ გვინდა მის სიკვდილს წარმოვიდგენთ ხოლმე. რატომ? რადგან ჩვენ მისი დაკარგვის გვეშინია და ეს შიში ქვეცნობიერში იმენად გვაქვს გამჯდარი რომ თითქოს წინასწარაც კი ვემზადებითო, მართლა ასე რომ მოხდეს რა რეაქცია გვექნება, ან კიდევ წარმოვიდგენთ რანაირად შეიძლება მოხდეს და დიახ, ეს სრული კოშმარია. ადრე მსგავსი რამ არასოდეს დამმართნია და არ ვიცოდი რამდენად საშინელებაა ღამის სამ საათზე მსგავსი წარმოდგენების შექმნა ან კიდევ იმაზე ტირილი რაც რეალურად არ მომხდარა. ეს ყოველივე გვანადგურებს მაგრამ ეს მხოლოდ ჩენი ფანტაზიებია. ფანტაზიები კი ზოგჯერ შეიძლება დამღუპველი იყოს ადამიანისთვის. მაგრამ, როდესაც შენ დანამდვილებით იცი რომ შენი საყვარელი ადამიანი კვდება და მართლა შეიძლება მოხდეს ეს ყველაფერი, შენ უბრალოდ კი აღარ გეშინია და შენი ჰორმონები ადრენალინს გამოყობს, უბრალოდ პირიქით ხარ და ამის წარმოდგენა საერთოდ აღარ გსურს, არა თუ დაჯერება, რადგან იცი რომ ეს ყველაფერი ბოლოს მოგიღებს. და საინტერესოა რომელი უფრო დაზარალებული გამოდის, ის ვინც დაგვტოვა თუ ის ვინც მის საფლავზე მარტოსული და ეული, სრულიად არაფრის მოლოდინში, ცხოვრებაწართმეული დარჩა? ნინი... მან ვერ შეძლო ჩენთან ერთად წამოსვლა. ადრე მეგონა რომ ვერასდროს გავუგებდი მას, ახლა კი ის ყველაზე მეტად მებრალებოდა. მან ჩემგან განსხვავებით ვერ შეძლო ამ საცოდავი სანახაობის ყურება. ეს აფერისტული მისამძიმრებები... რომ ვითომ ასე ძალიან განიცდიან დანაკარგს, სინამდვილეში კი ამ ოჯახის სიმდიდრეზე უჭირავთ თვალი და ზურგს უკან ჭორაობენ.

ერთადერთი ვაჟი ჰყოლიათ ლომიძეებს. გულკეთილი, მეამბოხე სერგი. მას მე თითქმის არ ვიცნობდი, თუმცა მის გადამდებ იუმორზე ლეგენდები დადიოდა. ღმერთო, ლადო მართალი იყო. მეორე ოთახში გამოვედი, სადაც არავინ იმყოფებოდა. ჩემთვის ეს ყველაფერი მეტისმეტი იყო. და ეს მემორიალიც, რომელიც ვეღარაფერს შეცვლიდა. საკუთარი თავი იმის გამო შევიძულე რომ მე მართლა არაფერს შევცვლიდი და ყველაფერს მაინც ზუსტად ისე ჩავიდენდი, როგორც გავაკეთე, თუმცა... ნუთუ ყველაფერი მართლა ჩემი ბრალი იყო? ის მანქანა რომ არ მომეპარა... აჰ, მაინც როგორი სასტიკია ზოგჯერ ცხოვრება! შევყურებდი ლომიძეების მდიდრულ თაღებს და ვფიქრობდი ეგ დღე რომ არა ნეტავ როგორ წავიდოდა ყველაფერი. მე ნიკასთვის კარგი მინდოდა მხოლოდ და შედეგად რა მივიღე? უდანაშაულო ადამიანის სიკვდილი და ეს ყველაფერი რის ფასად? მე ხომ ყველა იმედი დავკარგე... მიმოვიხედე. ოთახი ისეთი სუფთა და მყუდრო იყო და ჯერ კიდევ თბილი და სრულყოფილი ოჯახის გარემო შემორჩენოდა. ძვირადღირებულ, ჩეხურ ტყავის დივანს წინ პატარა ხის მაგიდა ედგა. კედელზე პირდაპირ დიდი ტელევიზორი ეკიდა, დანარჩენი ადგილი კი საოჯახო ალბომებს წაერთმიათ. ძველებურ ჩარჩოებში მათი ფოტოები მოთავსებულიყო. ყველაფერი ოთხმოცდაათიანების სტილში მოეწყოთ. სერგის მშობლებს აშკარად კარგი გემოვნება ჰქონდათ. ოთახის ერთ კუთხეში ჩამოკიდებულ გიტარას მოვკარი თვალი. მივუახლოვდი და სერგის წარწერები დავინახე. ჯერ გამეცინა, მერე ცრემლები ჩამომცვივდა. რას აღარ ამოიკითხავდა იქიდან კაცი. თანაც ამ გიტარით აპირებდა ის სცენაზე გასვლას. უცებ სიმებზე ჩამოკვრა მომინდა, მიუხედავად იმისა რომ დაკვრა არ ვიცოდი, მაგრამ ხელი ჰაერში გამიშეშდა, ვერ გავბედე, რადგან უბედურების ზარების რეკვის ხმა ისედაც აღწევდა ჩემამდე. მეტის ატანა უბრალოდ აღარ შემეძლო. გადავწყვიტე დაუმშვიდობებლად გავცლოდი იქაურობას. შემოვბრუნდი კარისკენ რომ წავსულიყავი და მოულოდნელად ის დავინახე. ნიკა კარების ზღურბლზე შემომგარიყო და ნახევარ მხარეს მიყრდნობოდა, თმა თითქოს უფრო გაზრდოდა, გახშირებული მეჩვენებოდა. შავი შარვალ-კოსტუმი ჩაეცვა, ალბათ ცხოვრებაში პირველად. არ მჯეროდა, ვერაფრით ვიჯერებდი რომ მე მას ნამდვილად ვხედავდი, კიდევ ერთხელ... ის კი მე მიყურებდა. ასე მშვიდად, თითქოს იღიმოდაო, თუმცა სახეზე აუხსნელი ტკივილი ეწერა. აღუწერელი სევდა რომელიც სინანულიან ბრაზსა და დანაკარგის გრძნობას აერთიანებდა. შემეცოდა... ახლა კი ნამდვილად შემეცოდა იგი. რაღაც შეცვლილი მეჩვენებოდა. მთელი სხეული მექაჩებოდა მისკენ, როგორ მინდოდა გავქცეულიყავი და კისერზე ჩამოვკიდებოდი, როგორც პატარა ეგოისტი ბავშვი, რომელსაც თხოვნას თუ არ შეუსრულებ ტირილს დაიწყებს და მთელი დღე აღარ გაჩუმდება. მომინდა მეთქვა თუ როგორ გამაბედნიერა არა მხოლოდ მისმა დანახვამ ამდენი ხნის შემდეგ, არამედ იმ ფაქტმა რომ ის კვლავაც ცოცხალია, ნამდვილია და ჩემს წინ დგას! ღმერთო ჩემო რა ვქნა? რა ვუთხრა? თავიდან ბოლომდე ვთრთოდი. მე თითქოს... მისი მეშინოდა? კი მაგრამ რატომ?

-მეგი!

მის მკაცრ ბაგეს ჩემი სახელი დასცდა, ისევ... ის მიახლოვდებოდა, რამე მეც უნდა მექნა ან მეთქვა.

-შენ გამოიყურები როგორც...

მთლიან სხეულთან ერთად თურმე ხმაც მიკანკალებდა.

-მოჩვენება? - ხმადაბლა ჩაეცინა. მიკვირდა, ცამდე გაკვირვებული ვიყავი, - მე იმაზე ნამდვილი ვარ, ვიდრე შენ გგონია ძვირფასო!

ძვირფასო? ადრე მას მსგავსი სიტყვა ჩემთვის არ უთქვამს.

-ნახე, შეგიძლია ამაში დარწმუნდე, - და ხელი გამომიწოდა. კრთოლვით შევეხე მის გაყინულ თითებს, თითქოს და მისი რეალურად არსებობის გადამოწმებას მართლა ვლამობდიო.
-როგორ? - წავჩურჩულე. - როგორ არ მოკვდი?
-ასე ძალიან თუ გინდოდა ჩემი სიკვდილი, გეთქვა მაშინ თავიდანვე, რაღას მაწამე ან მე და ან შენი თავი?
ნიშნის მოგებით თვალებმოჭუტულმა გამომხედა. გამახსენდა ჩემი ნათქვამი ბოლო სიტყვა "მოკვდი", რომელიც მერე საშინლად ვინანე, თუმცა არანაირი მნიშნელობა ამ სინანულს აღარ ჰქონდა.
-მე...
არვიცოდი რა მეთქვა. სინდისის ქენჯნა მახრჩობდა, არაფრით მინდობდა, ერთიანად მგუდავდა. თითქოს მისი მოჩვენება ჩემზე შურის საძიებლად დაბრუნებულიყო ჩემთან. შავი საროჩკის ყელთან მიბჯენილი ღილი შევიხსენი და ღრმად ამოვისუნთქე.
-მეგი, მე აქ შენს დასაცავად მოვედი.
ამ სიტყვებმა ერთიანად დამაბოლოვეს, საშინლად გამაღიზიანეს. იმას უნდოდა ჩემი დაცვა, ვინც საკუთარ თავსაც ვერ პატრონობს და უფრო მეტიც, ზიანს აყენებს?
-დასაცავად? როგორი სასაცილოა, რადგან ბოლოს რომ გნახე საშინელ ამინდში მეხვეწებოდი რომ წავსულიყავი! შენ შეგიძლია ზიანისგან დაცვა, არა? მაშინ რა არის ეს ჭრილობები შენს ხელებზე?
-მეგი, ახლა არ იცი რას ლაპარაკობ, სანამ ყველაფერს არ გაიგებ ამის თქმის უფლება არ გაქვს, უბრალოდ უნდა მენდო, გპირდები ყველაფერს აგიხსნი.
-გენდო არა? მაპატიე, მაგრამ არ შემიძლია. ეს უკვე არაერთხელ გავაკეთე და შენ ყოველ ჯერზე მანანებინე. გამატარე, მივდივარ.
ვეცადე ოთახიდან გავსულიყავი, ის კი არ მეშვებოდა.
-მეგი, უნდა მომისმინო!
-ვწუხვარ, უკვე ძალიან გვიანია. ახლა კი გთხოვ, გზიდან ჩამომეცალე და ნუ წამართმევ ჩემს ძვირფას დროს, რომელიც ჩემთვის ასეთი ძვირფასია და რომელსაც შენს გვერდით უაზროდ გავფლანგავ!
არ ვიცი ასე ძალიან როდის ან როგორ დავემგვანე ნიკას, ის კი მე. თითქოს როლები მთლიანად გადავცვალეთ. ახლა ის მთხოვდა დარჩენას, მე კი მივდიოდი. ნიკა რომელსაც მე ვიცნობდი, ნარკომანი, სარკასტული და მექალთანე ნაძირალა იყო და არა ბიჭუნა შარვალ-კოსტუმში მეგობრის მემორიალიდან, რომელიც თავისი ჩადენილი დანაშაულის გამოსწორებას ცდილობს. ეს მომწონდა და გულის სიღრმეში გახარებულიც კი ვიყავი, თუმცა რაღაც არ მიშვებდა მისკენ, რაღაც მაკავებდა. იქნებ სულაც ეს ადგილი, თუ სადაც ვიდექით ჩვენ და ის ფაქტი, თუ სადამდე მიგვიყვანა ჩემს მასთან ურთიერთობამ და აკვიატებამ რომ მის ისტორიაში მე მთავარი როლი უნდა მეთამაშა. ეს ყველაზე ტოქსიკური რამ იყო დედამიქაზე! ყველაზე სულელური ამოჩემება! ყველაზე დამღუპველი თავქარიანობა და ყველაზე ძლიერი სურვილი. სისხლი მიდუღდა ისე მინდოდა მისი შეხება. თვალებში შევხედე. ცრემლები წამოსცვივდა. ჩემს თავს ვეუბნებოდი რომ რაც შეიძლება მალე გავცლოდი იქაურობას , რომ ოთახში სერგის დედა შემოვიდა, რომელიც სულ რაღაც ნახევარი საათის წინ გავიცანი.
-ნიკა, უკვე გაიცანი მეგი? მას არ ვიცნობდი, ჩვენი ნინის მეგობარია, ძალიან კარგი გოგო ყოფილა.

მიუგო ნიკას. როგორც ჩანს მან არ იცოდა რომ მე იმ მანქანის მფლობელის შვილი ვიყავი, რომელი მანქანითაც მისი შილი გარდაიცვალა და რომ ამ უბედურებაში ჩემი ხელიც ერია, თუმცა არც იყო საჭირო გაეგო. კიდევ ერთ ადამიანს იმედს ნამდვილად ვეღარ გავუცრუებდი.

-მართლა? მეგი ასეა? ნათია დეიდა ამბობს რომ ძალიან კარგი გოგო ხარ.

ჩაიცინა ნიკამ და ხელი გამომიწოდა. წამწამები ჯერ ისევ სველი ჰქონდა. იდეალურად თამაშობდა. მეც უნდა ავყოლოდი და როგორცმე ჩემი ემოციები დამემალა, რომლებიც მეგონა შუბლზე მეწერა. არ მსურდა ქალბატონ ნათიას სიმართლე გაეგო. მიუხედავად იმისა რომ ადრე თავადვე ვაპირებდი ყველაფრის მოყოლას და მობოდიშებას, ახლა როცა მის პირდაპირ ვიდექი ვგრძნობდი რომ ამისი არც ძალა შემწევდა და აღარც სურვილი.

-სასიამოვნოა შენი გაცნობა ნიკა! - ხელი სწრაფად ჩამოვართვი და კიდევ ერთხელ შევიგრძენი მისი გაყინული თითების შეხება. კიდევ ერთხელ გადაიკვეთნენ ერთ გზაზე ჩვენი ხელები. როცა ხელის ჩამოწევა დავაპირე, უფრო მაგრად მომიჭირა. ის მე აღარ მიშვებდა. ნიკა მეგის არ უშვებდა?!

-მე… იცით, მე უნდა წავიდე, სახლში მამა მელოდება, - ხელი გამოვტაცე, - კიდევ ერთხელ ვწუხვარ.

და ქალს გადავეხვიე.

-ერთი ჭიქა ფინჯანი საუბრის სანაცვლოდ? - მთხოვა ნიკამ.

-ნახვამდის! - მივუგე ცივად და მტკიცედ და რაც შემეძლო ჩქარი ნაბიჯებით წამოვედი. "მეგი არ მიბრუნდე, არ გაბედო მიბრუნება, არ მიბრუნდე..." - ვუმეორებდი ჩემს თავს ისევ და ისევ. მე ის უნდა მექნა რაც გავაკეთე, მაგრამ ჩემი საქციელით მაინც და მაინც არ ვვამაყობდი. სახლამდე ფეხით გავლა ვარჩიე, რადგან ჩემს ტვინს ჟანგბადის მიწოდება ესაჭიროებოდა. გზაში წვიმამ დაუშვა. ამინდიც კი ყველაფერს გრძნობდა. ის ხომ ყველაფერს ხედავდა, არა? ხედავდა რომ ჩვენს სამყაროში, სადაც ის სხვადასხვა ხასიათით გვსტუმრობდა ხოლმე, უბედურება ტრიალებდა! უცნაური იყო რომ აღარ გამხარებია წვიმის მოსვლა. ამაზე ის დრო გამახსენდა, როცა მამა ჯერ ისევ იტალიაში იყო, მე კი მთელ დროს ნიკასთან ერთად ვატარებდი. გამახსენდა, როგორ გამიხარდა როცა ერთ დღესაც, როცა მის აივანზე ვიდექით უეცრად წვიმა წამოვიდა და როგორ შევძახე ბედნიერმა

-წვიმა!

-რა იყო, სასწაული დაინახე? - შეიცხადა მან.

-მიყვარს წვიმა... - ავუხსენი და ორივე ხელი ჰაერში გავიწვდინე.

-შენ რა არ გიყვარს? - დამცინა.

-მე ყველაფერი მიყვარს რაც სიცოცხლესთან ასოცირდება. წვიმა კი მაგრძნობინებს რომ ცოცხალი ვარ.

-რანაირად? - აბა როგორ შეიძლება რამეზე არ მომდავებოდა, - წვიმა ხომ იგივე ცრემლებია, ამინდის ტირილი... ცაც კი მოღუშულია და გრძნობს შენს ტკივილს. ყველაფრის მთავარი არსი ხომ ტკივილია. მაინც რა გაიძულებს დაინახო ამაში კარგი, მაინც რა გაგრძნობინებს აქედან თავს ცოცხლად?!

-შეხება...

-შეხება?

-ხო, წვიმის შეხება. წვეთები, რომლებიც სახეზე მელამუნება, - თვალები დავხუჭე, მაღლა ავიხედე და გავიღიმე, - და სურნელი ნამის, - ხარბად შევისუნთქე ჰაერში დატრიალებული სურნელი, - განსაკუთრებით გაზაფხულის წვიმა მიყვარს. ნიადაგის ნოყიერი სუნი და

იისფერი ზეცა, თუ გაგიმართლა ვარდისფერიც! და სუფთა, სუფთა ჰაერი, რომელიც შენს ფილტვებს მთლიანად ავსებს. ეს არ მღლის, ეს არ მბეზრდება. შენც უნდა სცადო...
-ვცადო? როგორ? - წამოიძახა და საფრთხეს მოახლოვებულივით ოთახში დაბრუნდა. წვიმამ უმატა და ზეცა კინაღამ შუაზე გაიპო. ხმამაღლა გრუხუნებდა, მე კი სიამოვნებით შევყურებდი ამ თვალწარმტაც სანახაობას.
-აქ მოდი! - შევძახე ხმამაღლა.
-მეგი თავსხმა წვიმაა, - მანაც ხმამაღლა გამომძახა ოთახიდან და მაისურის დაფერთხვა დაიწყო.
-ზუსტად ამაშია მთელი სიამოვნების საიდუმლო, მოდი! - სიცილი დავიწყე და ფეხებს დამდგარ გუბეებში ვაჭყაპუნებდი. ნიკამ ერთხანს გაშტერებულმა მიყურა, ბოლოს მაინც გამოვიდა ოთახიდან და ხმამაღლა მითხრა.
-მართლა გიჟი ხარ!
ისევ გავიცინე და დავტრიალდი. ხელი ჩავკიდე და წინ გამოვათრიე.
-ახლა აქ დადექი. ხო, მიდი. უბრალოდ თვალები დახუჭე და არაფერზე არ იფიქრო. მოდუნდი გესმის? და ღრმად ისუნთქე. მიეცი უფლება წვეთებს შეგეხონ, მიეცი გასაქანი ჰაერს განწმინდონ შენი შინაგანი სამყარო. შეიგრძენი...
ნიკამ მომბაძა. სახე ზეცისკენ აღმართა და მიინაბა. ორივემ დავხუჭეთ თვალები. ორივე გავჩუმდით. მერე ცალი თვალი დავჭყიტე, გადავხედე და გახარებულმა შევძახე:
-აბა მითხარი, რას გრძნობ? როგორია?
-მე ვგრძნობ რომ... - ცოტახანში მიპასუხა, - ჩემი სხეულის თითოეულ ინჩს ვგრძნობ, თითქოს... თითქოს მე ვვარსებობ... შენ მართალი იყავი მეგი, ეს ძალიან სასიამოვნო განცდაა.
გრუხუნმა რეალობაში დამაბრუნა. უკვე დიდი ხნის დაღებული იყო. ტაქსი გავაჩერე და ჩავჯექი. მივხვდი რომ მის გარეშე ყველაფერს ფასი ეკარგებოდა. მივხვდი რომ მის გარეშე იმ საგნების გადაყვარებას ვიწყებდი, რაც აქამდე ასე ძლიერ მიყვარდა. რაც ჩემში სიცოცხლის სურვილს იწვევდა და რაც მაბედნიერებდა.
მამას იმ დრომდე არ დაუძინია სანამ მემორიალიდან არ დავბრუნდი. ბუხართან სავარძელში იჯდა და ცეცხლის ალს უხმოდ მიშტერებოდა. თითქოს ვერც გაიგო ჩემი დაბრუნებაო. საათს შევხედე, მალე შუაღამე გახდებოდა.
-გამარჯობა მამა. დეიდა მერი უკვე წავიდა?
-ხოო, დიდი ხანია, აბა ლიზიკოს სახლში ხომ უნდა დახვედროდა. მაცინა დღეს მაგრად. უცებ გადმოერთო ჩემთან. შევეცადე სახე როგორმე დამეყენებინა და ნაძალადევად გავუღიმე.
-დღეს რაღა მოხდა?
-სახლის გასაღები დაკარგა და გიჟს გავდა. მაგასთან ხომ ვერ მოიწყენს კაცი. ჩანთა ასჯერ მაინც გადაქექა და ბოლოს იცი სად ვიპოვეთ?
-სად?
-ყვავილის ქოთანში!
ყვავილის ქოთანი... ჩემი კლეოპატრა! ნეტავ ცოცხალია?
-მანდ რაღა უნდოდა?
-რავიცი აბა ვიცი? გიჟია ეგ ქალი!
-ისე უხდებით ხოიცი...
-უყურე შენ!
სიცილი მორთო, მერე ლუდი მოსვა. ქილა რომ ჩამოსწია მომაშტერდა.
-რა? - ვკითხე და გული ამიკანკალდა. მსახიობობა აივნებზე ძრომიალივით არ გამომდიოდა.

-აბა კარგად შემომხედე, ყველაფერმა კარგად ჩაიარა?
ამის კითხვის თანავე თავი ვეღარ შევიკავე და ჩემმა საცრემლე ჯირკვლებმა, რომლებსაც ამ ბოლო დროს ძალიან ბევრი მუშაობა უწევდათ, ისევ დაიწყეს რეაგირება. წყვილ-წყვილი ცრემლები ჩამომცვივდა და მამას გადავეხვიე.
-მამა არ შემიძლია.
წამოვიკრუსუნე, უფრო ძლიერად მივეკარი და მხარზე თავი ჩამოვადე.
-მეგი მაშინებ.
-ყველაფერი ასეთი რთული რატომ არის?
-ეეეჰ მეგი, მეგი… ყოველთვის ის რომ ხდებოდეს რაც გვინდა და ისე როგორც გვინდა... შვილო რა მოგივიდა, ფარხმალი როდიდან დაყარე? შენ ის პატარა გოგონა არ იყავი ფერადი ოცნებებით, რომელსაც სამყაროს შეცვლა სურდა? ასე ძალიან როდის მოასწარი გაზრდა?
-მა, მომიყევი რამე რა...
-როგორ გადაგაქვს თემა, რა მოგიყვე?
-არვიცი, უბრალოდ რამე.
-კარგი, მოიცა დავფიქრდე... ძალიან, ძალიან დიდი ხნის წინათ, როდესაც შენსავით დაკარგული და გამოუცდელი ახალგაზრდა ვიყავი და არ ვიცოდი რა მექნა, ზუსტად მაშინ ერთ ძალიან ლამაზ გოგონას შევხვდი. შენსავით დიდი თაფლისფერი ბრიალა თვალები და ძალიან გრძელი ჟღალი თმა ჰქონდა. პირდაპირ ასე ზღაპრის წიგნიდან გადმოვარდნილს მოგაგონებდა. ის იყო მზის სხივი, თვით სათნოება... ის იყო გოგონა რომელმაც ჩემი ცხოვრება მთლიანად შეცვალა. მეგი.
-დედა...
-და იცი როგორ გავიცანით ერთმანეთი?
-ეგ რატომღაც არასდროს მოგიყოლია.
-ეს იმდენად სახალისო ისტორიაა... მოკლედ მამაჩემმა სკუტერი მიყიდა ზუსტად შენხელა რომ ვიყავი, არა მოიცადე არა, ორი წლით უფროსი, ამერია. სვანეთში აგარაკი რომ გვაქვს ხომ გახსოვს? იქ საერთოდ სკუტერის წაღება რათ მინდოდა არ ვიცი, თან მაშინ გზებიც არ იყო დაგებული და მეც პირდაპირ მის წინ ამოვყირავდი.
-ვაიმე, რა? საწყალო!
სიცილი წამსკდა ეს სცენა რომ წარმოვიდგინე. უცებ მანდ ყოფნა და ამის ნახვა მომინდა.
-ხო, ასე იყო. უცნობმა გოგონამ ეგრევე ჩემთან მოირბინა. ძალიან მრცხვენოდა. მთლიანად დამტვრეული ვიყავი. ტკივილი გონებას მიბინდავდა. მერე თავი ძლივს ავწიე, თვალებში ჩავხედე და...
ლადო გაჩუმდა.
-და? - ვკითხე.
-მერე იცი რა მოხდა?
-რა?
-წამში ყველა ტკივილი გაქრა! ის მიღიმოდა, ანგელოზივით. მერე შეეცადა დავემშვიდებინე, გასწორებაში მომეხმარა. ვერ ვდგებოდი. სახლიდან პირველადი დახმარების ყუთი მოარბენინა და ჭრილობები გადამიხვია ადგილზევე. დანახვის პირველივე წამიდან შემიყვარდა. ყოველ დღე მოდიოდა ჩემს სანახავად. მაგ დროს ის სამედიცინოზე სწავლობდა და ჩემთან ცოცხალ პრაქტიკას გადიოდა. თანაც ძალიან მახალისებო მეუბნებოდა. კინაღამ მეორედ არ დავიმტვრიე თავპირი, მაგ ავარიისთვის უფალს მადლობას ვწირავდი, მიუხედავად იმისა რომ ტკივილს ხანდახან ჭკუიდანაც კი გადავყავდი. ამ ავარიის გამო მამაჩემმა რბოლაში მონაწილეობა ამიკრძალა და მეც ავდექი და კულინარიულზე ჩავაბარე.

აბა რა მექნა? ჩემი ბრალი იყო და. სამაგიეროდ ის გავიცანი და როდესაც ფეხზე დავდექი პირველ პაემანზე დავპატიჟე. მახსოვს მაშინაც ასეთი გიჟი გაზაფხული იყო...
ლადომ ღრმად ამოისუნთქა. ამ ისტორიამ ნიკას გაცნობის პირველი ღამე მომაგონა და ღიმილი სახიდან გამიქრა. თურმე მართლაც ყველაფერი კარგი მსხვერპლს მოითხოვს. ლადო ავარიაში რომ არ მოყოლილიყო, მეგის ვერ დაუახლოვდებოდა... ისევე როგორც ჩვენ! ერთად ამდენი საშინელი დღე რომ არ გადაგვეტანა, დღეს ისევ ორი ერთმანეთის მოძულე ბავშვი ვიქნებოდით, რომელიც ერთმანეთს უმიზეზოდ ეომებოდა. ზუსტად ამ დროს ჩემი ტელეფონი აინთო. მამას დავეხსენი და დავხედე.

"ფანჯრიდან გამოიხედავ?" (ის)

რა? გული კინაღამ საგულედან ამომიხტა. ნეტავ რა უნდა? ჩემი ფანჯარა იგულისხმა? ჩემი? კი მაგრამ...
-ეჰ, კარგია მოგონებები...
დაამთქნარა ლადომ.
-მამა, იცი, ძალიან დავიღალე აჯობებს დავიძინო, ტკბილი ძილი.
ლოყაზე ვაკოცე და კიბეებისკენ გავექანე.
-მეგი.
დამიძახა ლადომ.
-გისმენ.
-ჩემი სამყარო ხარ!
გავუღიმე და მთელი კიბეები ისე ავირბინე სულელური ღიმილი სახიდან არ მომცილებია. ვერ ვიაზრებდი რომ ჩემს თავს ნამდვილად ეს ხდებოდა. ოთახში შესულს ისეთი განცდა დამეუფლა რომელსაც ვერ ავღწერ. პირი მიშრებოდა, თავი მტკიოდა, გაბრუებული ვიყავი და არ ვიცოდი რა მექნა. უნდა გამომეცვალა? შუქი ავანთე და სარკეში ჩავიხედე რომ ჩემი ტელეფონის ეკრანი ისევ განათდა.

"ვიცოდი" (ის)

აჰ, ღმერთო... ნამდვილად აქ არის! ეგ არაფერი, ცოტახანს კიდევ მოიცადოს, - მეთქი და ტანსაცმლის კარადა გამოვხსენი.

—

ვითომ წითელი? არა, რათ უნდა ეს ბებრუხანა შარვალი? თანაც კიდევ ფანჯრიდან ძაან დაინახავს. აბა ეს ღამის პერანგი? ვაიმე გოგო შენ სულ გაგიფრენია. ეგრე ხო ამოფრინდება მეორე სართულზე…

—

აჰა ესღა მეკლდა, ახლა უკვე საკუთარ თავსაც ვესაუბრებოდი. პანიკა დამეწყო. ჩემს გამო აქ მოვიდა, აქ ჩემს სახლში! ბოლოს ისევ ის ყვითელი სარაფანი გადმოვიღე და ტანსაცმელი გავიძრე. სწრაფად გამოვიცვალე და თმა გავიშალე. სანამ ფანჯარასთან მივაღწიე წყალი დავლიე და კიდევ ერთი შეტყობინება გავხსენი:

"მეგი ჩემი დანახვაც არ გინდა?" (ის)

ვაიმე არა, მასე არ არის!
ფანჯარას მივვარდი, ფარდა გადავწიე, გადავიხედე.
და მოხდა ის რამაც შეძლო და ორივე გაგვაერთიანა. სამუდამოდ...

ნიკა

ტელეფონი ავიღე და ახალი შეტყობინების წერა დავიწყე მეგისთვის.

"წაიკითხე?"

ამ დღემდე წარმოდგენა არ მქონდა, რომ სხვა გრძნობათა შორის ისეთებიც არსებობდნენ, რომლებიც ადამიანებს მსგავსი სიგიჟეების ჩადენაში დაარწმუნებდნენ, თუმცა სასიამოვნო სიგიჟეების! მე ვიდექი შუა ღამეს მეგის სახლის წინ წარწერით ხელში:

"მე მსურს სიცოცხლე!"

რომელსაც, მის ეზოში მდგარი ლამპიონები ლამაზად დასნათოდნენ.
მეგი ამის წაკითხვაზე სიხარულისგან კინაღამ ფანჯრიდან არ გადმოხტა. მას ასეთს რომ ვხედავდი მისი სიხარული მეც მედებოდა. თურმე, უბედურებასთან ერთად ბედნიერებაც გადამდები ყოფილა. ხო, და სიცილიც. სიცილს, რომელსაც ვერაფრით ვწყვეტდი. ჩემი გულიც უფრო და უფრო სწრაფად იწყებდა ცემას. მეგონა, მალე ფრენასაც კი შევძლებდი. არ ვიცოდი რა მჭირდა, მაგრამ ეს ძალიან მომწონდა, და ამას აღარც ვეწინააღმდეგებოდი.
მერე ისევ მივწერე:

"შენთან ერთად..."

დიდხანს გაღიმებულმა მიყურა ფანჯრიდან. ბოლოს დაორთქლილ მინაზე გული მოხაზა და გაუჩნარდა. ისე გაქრა ეგეც ვიფიქრე ამდენი შოკისგან თავბრუ ხომ არ დაეხვა და ხომ არ წაიქცა მეთქი, მაგრამ მერე მისი ოთახიც რომ დაბნელდა და მივხვდი რომ უკვე ჩემი წასვლის დრო იყო. გზის მეორე მხარეს რომ გადავედი მივწერე:

"ხვალ რომელზე?"

პასუხი ეგრევე დამიბრუნა:

"გაგიჟდი? არანაირი ხვალ, უკვე ვიცმევ!"

ჰაჰ, რა თქმა უნდა, ეს ხომ მეგია! სხვას რას ველოდი? სიხარულით ისევ მისი სახლისკენ გავიქეცი. მაღლა ავიხედე და დავინახე თავისი ოთახის ფანჯრიდან როგორ ეფოფხებოდა. ეგ ახტაჯანა! როგორ შეიძლებოდა არ გამცინებოდა? ის გიჟური ღამე გამახსენდა ისევ. დღემდე არ მესმის უცხო ბიჭის სახლში შეპარვა როგორ გაბედა, თუმცა ახლა მას ამ საქციელისთვის მადლობას ვწირავდი.
-დაგიჭირო?
ავძახე ხითხითით.
-ჩუმად, იდიოტო!
თვალის დახამხამებაში გაჩნდა ჩემს წინ, სრულიად უვნებელი და საღსალამათი. გიჟია ეს გოგო! ახლა შავი სპორტულები და კაპიუშონიანი მოსაცმელი ჩაეცვა.
-მეგი ახლა კრიმინალი გახდი? - დავცინე.
-აჰაჰაჰ, ხო შენსავით, - სარკასტულად ჩაილაპარაკა.
-გეფიცები შენში ორი მეგი ცხოვრობს, ერთი ფერიაა, მეორე განგსტერი!
-ხო ერთს ხო მიტან და ახლა მოინდომა მეორე.
-სულელი ხარ...
-ჰა, აბა რას ვაკეთებთ? - მკითხა და მხარზე გადმომეყუდა. გამეღიმა.
-რას ვაკეთებთ და ყველა იმ ოცნებას ვასრულებთ, რომელზეც ოდესმე მოგიყოლია!
გადავხედე. სახე გაებადრა, მაგრამ ორ წამში ისევ დაიბღვირა. პატარა ბუტია ბავშივით იყო. კაპიუშონი მოიხადა და მიპასუხა:
-ხო? რაღაც ეგეთი არაფერი მახსენდება, რავიცი...

-მაღლა აიხედე, ვარსკვლავებს ხედავ? მე მაგ ვარსკვლავების არსებობაც კი მაბედნიერებს! შენით თუ არ გაიფერადე ცხოვრება, სხვა შენს ადგილას სულ არ გააკეთებს ამას...
-ვერ ვიჯერებ! - სახეზე ხელები აიფარა, ხტუნაობა დაიწყო - ვერ ვიჯერებ რომ ეს გახსოვს...
მომენტი დავიჭირე:
-და წვიმაში კოცნაზე რას იტყოდი? - უცებ სახიდან ხელები ჩამოიღო და გაოცებულმა შემომხედა, ერთხანს ხმა ვერ ამოიღო. დიდი ინტერესით ვუცდიდი, მის ყველა შერხევას, თითოელ ჩასუნთქვას და ამოსუნთქვას ვითვლიდი. მერე დარცხვენილმა მომიგო:
-მაგრამ, მე შენთვის ეს არასდროს მითქვამს...
-არა, მაგრამ მეხვეწებოდი, თვალებით, აი ასე ხედავ?
საწყლად შევხედე და თვალები მოვჭუტე. ვცდილობდი მისი იმიტირება მომეხდინა.
-არამზადავ!
საპასუხოდ მხოლოდ წიხლი მივიღე მუცელში.
-მართლა? კარგი მეგი რა...
-არ გაბედო და არ გაიცინო! იცოდე ვილოცებ რომ ამაღამ არ გაწვიმდეს!
-ამაღამ თუ არა, ოდესმე ხომ მაინც იწვიმებს, არა?
-ოდესმე?
-ხო, რა მოხდა? ჩვენ ხომ ახლა მთელი მარადისობა გვაქვს!

***

-ქალბატონო ნატა, იცით რაშია საქმე?
რამოდენიმე დღის შემდეგ, როგორც იქნა ჩემს კაფეში კატოს დედას შევხვდი. ძალიან მეშინოდა სიმართლის თქმის. ეგ კანონების მიხედვით აკრძალული იყო, თუმცა მე დიდი ხანია მათ აღარ ვიცავდი. ეგ კი არა, ჯერ ის შეტყობინებაც გასაშიფრი მქონდა, რას ნიშნავდა შემდეგი სიტყვები;
"თქვენ მიემართებით ჯოჯოხეთისკენ, შემდეგი გაჩერება მეგი"?
გახსენებაზეც კი ცუდად გავხდი. თუმცა, დასახული მიზნების მისაღწევად ყველაფერს ვიზამდი რაც შემეძლო. ახლა სასწორზე კატოს ცხოვრება იდო და სხვა ვერაფერზე ვფიქრობდი იმ მომენტში. ხო, არასდროს მენახა ის რეალურ ცხოვრებაში, მაგრამ ისეთი უბედური იყო, როგორიც მე ერთ დროს. მეგიმ კი მასწავლა რომ ყოველთვის უნდა დავეხმარო ადამიანებს, თუნდაც უცხოები იყვნენ ისინი. ჩემს გარდა სიმართლე არც არავინ იცოდა, ამიტომ მისი გადამრჩენელი მხოლოდ მე გამოვდიოდი. კატოს სინამდვილეში ძალიან კეთილი გული ჰქონდა, მე ამის მჯეროდა. ასე არ უნდა დასრულებულიყო ეს ყველაფერი და არც დასრულდებოდა!

-გისმენ შვილო...
-მოკლედ, ჯერ მინდა გაიხსენოთ და ბოლო ერთი თვის განმავლობაში მისი ქცევები კარგად ამიღწეროთ. სახლიდან აღარ გადიოდა, სმენისთვის და ნერვებისთვის საზიანო მუსიკებს უსმენდა და საჭმელს აღარ ჭამდა, არა? ეგ ვიცი. კიდევ? კიდევ რას აკეთებდა? ანუ, რაიმე უჩვეულო არ შეგიმჩნევიათ? რაღაც აუცილებლად იქნებოდა... მისმინეთ, კატო სერიოზულ შარშია და შეიძლება უბრალო რამეც კი ძალიან წაგვადგეს, გთხოვთ კარგად დაფიქრდეთ და გაიხსენოთ.
-არც კი ვიცი ნიკა. მე მთელი დღე ისედაც სამსახურში ვარ, ჩემი გოგონასთვის ყოველთვის ძალიან ცოტა დრო მრჩებოდა, მას სათანადო დედობას ვერ ვუწევდი. უკეთესად რომ მიმეხედა მისთვის, უკეთესი დედა რომ ვყოფილიყავი... ღმერთო...
ტირილი აღმოხდა. ახლა დრამების დრო იყო? შევეცადე ქალი როგორც შემეძლო დამემშვიდებინა, მაგრამ საერთოდ არ გამომდიოდა.
-ქალბატონო, ჩვენ ერთად ვუშელით კატოს, უბრალოდ უნდა მითხრათ. მერე კი მე შევეცდები ყველაფერი მოგიყვეთ.
-ისე, იცი რა? სინამდვილეში არის რაღაც. ის ბავშვობიდან იზრდიდა თმას, უფრო მეტიც მისი სიამაყე იყო, როგორც თვითონ ამბობდა, - დავიძაბე, თუმცა არ შევიმჩნიე, - სამი თვის უკან მთხოვდა კიდეც, ვარდისფერ ზოლებს გავიკეთებო. მერე კი უცებ ადგა და ძირში გადაიჭრა! შვილო, ნეტა იცოდე რას დაემგვანა, გული ცუდად გაგიხდებოდა, - ვერ ვუთხარი რომ ამ სანახაობის მომსწრე მეც გავხდი. ეგ კი არა ეგეც სრულიად შესაძლებელი იყო რომ კატოსთვის ჩემთან დარეკვა და ამის ჩადენა გამიზნულად დაეევალებინათ, რომ მე გამეგო, მე მივმხვდარიყავი.
საწყალი გოგო კი ჩემს გაფრთხილებას როგორ ცდილობდა...
ჩვენს მაგიდასთან ჩემი უფროსი მოვიდა:
-ბიჭო, კლიენტთან რას ჩამომჯდარხარ? წადი იმუშავე! - შემომიბღვირა.
-ბატონო, ყველაფერი რიგზეა, აქ ჩემი თხოვნითაა, ნუ დასჯით, - უთხრა ნატამ იმ ბებერს არასდროს რომ არ მასვენებდა. ერთი საზიზღარი ტიპი იყო. იმ ჩემს ღიპიან მანდატურს მაგონებდა რაღაცით.
-ქალბატონო, აქ საქმეა გასაკეთებელი, ვინ მოემსახურება ამ ხალხს თქვენ? ბიჭო მეორე მაგიდასთან ერთი კაპუჩინო და ბრაუნის ნაჭერი მიიტანე, მიდი. თქვენ არაფერს ინებებთ? - ისევ ქალს მიუბრუნდა.
-არა, გმადლობთ.
-როგორ არა, ჩაის მიირთმევს, - ვუპასუხე და ნატას თვალი ჩავუკარი. გავჩურჩულე გპატიჟებთ, - მეთქი.
ცოტახანში ჩვენს მაგიდასთან ორი ლიმნიანი ბალახის ჩაის ჭიქით ხელში დავბრუნდი. ქალმა გამიღიმა და აღნიშნა:
-ნიკა, შენ მართლაც შესანიშნავი ბიჭი ხარ!
"კი, აბა რა!"
-დამიჯერეთ, ეს დიდი ძალისხმევის ფასად მიჯდება და არც კი ვიცი როგორ გამომდის, - ვერ დავუმალე და სიწითლემოწოლილმა სასწრაფოდ დავხარე თავი ძირს.
-გადასარევად! გადასარევად გამოგდის! ხოდა, რას ვამბობდი?
-კატოს თმაზე მიყვებოდით.
-ხო, აი როგორც ის პირსინგი. დამიჯერე, ვეხვეწებოდი ყურის გახვრეტას. საყურეებზე ბავშვობიდან აფანატებდა, ისე კიდევ თავს იგიჟებდა მეშინიაო. ამას წინათ სახლში რომ

დავბრუნდი პირსინგიანი დამხვდა, კიდე წარბთან რაღაცა სისულელე მიეჯღაბნა. ტიროდა. კინაღამ გული გამისკდა.

-რა თქმა უნდა! ქმედებას მოსდევს დავალებები. ისინი შენს ყველა სისუსტეს ზეპირად შეისწავლიან!

-ვინ ისინი?

-ავაზაკები, ეშმაკები!

-შვილო, ნუ მაშინებ.

-გახსოვთ, რომ გთხოვეთ კატო ინტერნეტამდე არ მიუშვათ მეთქი?

-კი, მახსოვს.

-ხომ არ შეძლო მიკარება? იქნებ ტელეფონი მოიპარა? ან რავიცი...

-სამსახური მივატოვე იმის გამო რომ მთელი დღე მის გვერდით ვყოფილიყავი ეგ რომ არ ექნა. გული რაღაც უბედურებას მიგრძნობს. შენი სიტყვების სიმართლეში კი მაშინ დავრწმუნდი, როდესაც ფეხებში ჩამივარდა ტელეფონი დამიბრუნეო და უარი რომ მიიღო ისევ შეტევა დაემართა, ან შეიძლება დაიმართა კიდეც რომ შემბრალებოდა. რა თქმა უნდა შემებრალა, დედის გული სულ სხვაა.

-და მიეცით?

-არა ნიკა... არ მივეცი, რა ხდება? ეს ასეთი მნიშნელოვანია? რაში გაყო ჩემმა გოგონამ თავი, ან შენ რა შუაში ხარ? მომიყევი გისმენ, უფლება მაქვს ვიცოდე.

-ახლავე განახებთ ყველაფერს.

ტელეფონს ხელი დავავლე ჯგუფში შესასვლელად. თითქმის ათი დღე გავიდა, რაც აღარ შევსულვარ და რაც მათგან აღარაფერი მსმენია. თუმცა, მათ რა თქმა უნდა ეცოდინებოდათ ჩემზე ყველაფერი. სასწრაფოდ უნდა შემეცვალა ნომერი და ცოტახნით კომპიუტერსაც აღარ გავკარებოდი. არ მგონია ეს ყველაფერი მართლაც ასეთი სერიოზული ყოფილიყო, უბრალოდ კატო და კიდევ ძალიან ბევრი მისნაირი სუსტის ნებისყოფის ადამიანია, მე კი არ ვარ! მორჩა, დასრულდა გონების კონტროლი! მე ამას დავამარცხებ, რადგან მე ამაზე ძლიერი ვარ!

გადავწყვიტე რომ კატოს დედას ყველაფერს ვაჩვენებდი და ყველაფერში გავარკვევდი, მაგრამ ტელეფონი რომ ჩავრთე, მეგის გამოტოვებული ზარი და ორი შეტყობინება დამხვდა. ერთი მისგან, ერთს კი ისევ უსახელო მწერდა:

"დაუბრუნდი თამაშს, თორემ თვითონ დაგიბრუნდება იგი!" (unknown)

შიშმა ამიტანა ეს ყველაფერი ერთმანეთთან რომ დავაკავშირე. მთელი ის დრო თავში ისედაც ის საშნელი შეტყობინება მიტრიალებდა, ახლა კიდევ ეს...

-რა მოხდა? ფერი დაკარგე, - მკითხა ქალმა.

-უკაცრავად, სასწრაფოდ უნდა დავრეკო.

-მშვიდობაა?

პასუხის გაცემა ვეღარ მოვახერხე, ხელის კანკალით ავკრიფე მეგის ნომერი და პირველად, ცხოვრებაში ღმერთს დახმარება ვთხოვე. ზარი გადიოდა, მაგრამ ყურმილს არავინ იღებდა. ცოტაც და გავგიჟდებოდი, რომ მან თავისით დარეკა. ანუ ღმერთი მართლა არსებობს? გულიდან დიდი ლოდის ჩამოხსნა ვიგრძენი.

-მეგი, კარგად ხარ?

-ჯერ-ჯერობით… ახლა ხომ ცაზე მზის სხივებია! ჰო, ჰო, ხოდა რატომღაც ახლა მოუნდა წვიმას გადაღება! თქვი რომ შენც გინდოდა იმ ღამეს გაწვიმებულიყო. არა? სულ ცოტათი

მაინც არ გინდოდა? აი ამხელათი... ჰაჰ, აი მე კიდევ მეხის ჩამოვარდნაზეც თანახმა ვიყავი, ოღონდ... ოღონდ შენთვის... აჰ!

-შენ რა დალიე?

-არაფერიც, სულ ცოტათი... სად ხარ ნიკა? შენთან მინდა.

-ოხ მეგი, სამსახურში ვარ.

-რას აკეთებ?

-რას უნდა ვაკეთებდე გოგო? მაგიდებს ვემსახურები და ჭურჭელს ვრეცხავ, აჯობებს დაიძინო.

-არა, არა და არა! ამაღამ მამა სახლში არ იქნება, ესენიც დაიძნებენ და...

-მოიცა, ვინ ესენი?

-გოგოები, ჰო. მე კიდევ დაგელოდები. იცოდე მოდი!

-კარგი ხო, მალე მოვალ.

ოხ მეგი... გავგიჟდი კინაღამ. ნატას მივუბრუნდი.

-მიდიხარ? - მკითხა ისევ.

-ჯერ ვერსად წავალ. მინდა ყველაფერი გიამბოთ, ეს ძალიან მნიშვნელოვანია...

მოყოლა დავიწყე და რაც შემეძლო ყველაფერი ვუთხარი. ამის შემდეგ შეშინებულმა ნატამ კატოსთან საავადმყოფოში სტუმრობა და მასთან ლაპარაკი მთხოვა. მე მოვუბოდიშე და შემდეგ კვირას ვიზიტს აუცილებლად დავპირდი. გავაფრთხილე რომ უჩემოდ არაფერი მოემოქმედა და უბრალოდ დამლოდებოდა. მეგის კი მეტს ველარ მოვატყუებდი. მისთვის როგორმე ეს ყველაფერი უნდა მომეყოლა ბოლოს და ბოლოს, მაგრამ არა ისე მშრალად როგორც ნატას მოვუყევი. ნატამ მხოლოდ ის იცოდა რაც საჭირო იყო მისთვის და მისი შვილისთვის. მეგიმ კი... მან ხომ საერთოდ არაფერი იცოდა. არ იცოდა თუ რამხელა საფრთხის ქვეშ იმყოფებოდა მხოლოდ იმის გამო რომ მე ვუყვარდი. რა ამაზრზენია, მას სიყვარულის გამო სჯიდნენ? იმის გამო რომ ჩემთვის სულერთი არ იყო? და ყველაზე საშინელება ის იყო რომ ამ საქმეში ვერავის ჩავრევდი, საერთოდ ვერავის. გადავწყვიტე ჯერ სახლში გამევლო და მოვწესრიგებულიყავი, სანამ მეგისთან წავიდოდი. მერე კი ყველაფერი ბევრად უფრო გართულდა. შეტყობინება შეტყობინებაზე მოდიოდა სხვადასხვა ნომრიდან. მათ იცოდნენ ყველაფერი ჩემს შესახებ და ისიც კი თუ რა ერქვა ჩემს კაფეს, რომელშიც ვმუშაობდი. მწერდნენ რომ გადარჩენაზე ფიქრი ზედმეტი იყო, რომ უკვე ღრმად შევტოპე, რომ თუ პოლიციას, ტელევიზიას ანდაც სხვა რაიმე მსგავს ორგანიზაციას შევეხებოდი, ისინი მომაკითხავდნენ მე, თუმცა უფლება არ უნდა მიმეცა მათთვის ჩემი იმედი და რწმენა შეერყიათ რომ ოდესმე შევძლებ და დავეხსნები ამ უბადრუკ ჭაობს სამუდამოდ! ადრე ეს მე ხსნა მეგონა, ახლა კი რომ ვიხსენებ ნამდვილი სირცხვილი მგონია. ჩემი ბნელი წარსულისდა მიუხედავად, კიდევ არსებობდა უამრავი შანსი იმისა რომ ღირსეულად მეცხოვრა.

სახლში რომ მივედი კიბეებზე ჩამომჯდარ დაახლოებით ჩემი ასაკის ბიჭს მოვკარი თვალი. ეს ვინღაა, - მეთქი. რო დამინახა ეგრევე წამოდგა და მომიახლოვდა.

-ნიკა, ხო? - ამ ბოლო დროს ძალიან პოპულარული გავხდი.

-კი, მე ვარ!

-ხო გიცანი კიდეც, გამარჯობა ნიკა.

-მიცანი? ვინ ხარ?

ეს უცნობი ზედმეტად გამაღიზიანებელი მეჩვენა.

-მე თაზო ვარ.

-და?

-სექტიდან!
ესღა მეკლდა! თვალები გამიფართოვდა. ერთხანს შევყურე ავათვალიერ-ჩავათვალიერე, მერე სახლში შევიპატიჟე. სხვა გზა მქონდა?
-მირჩევნია გავიაროთ, - მიპასუხა.
-კარგი, ისედაც მეგობართან მივდიოდი, შეგიძლია სახლამდე გამომყვე.
არა! ეს რა ვუთხარი? მართლა დებილი ვარ თუ რა ხდება? როცა მივხვდი ამ სიტყვების თქმით და მისი მეგის სახლამდე მიპატიჟებით მეგის რამხელა პრობლემას შევუქმნიდი (დავუმატებდი უფროსწორად), ეგრევე გადავაკეთე:
-ან იყოს, მოგვიანებით გავუვლი.
-მესმის.
-უკაცრავად?
-მესმის რომ არ გინდა მეგის ზიანი მიადგეს.
-შენ იცნობ მეგის? - კინაღამ გავგიჟდი როცა მისგან მეგის სახელი გავიგონე. აღარ მოეშვებოდნენ ამ გოგოს? ახ, სულელო ნიკა... ვცდილობდი სიმშვიდე შემენარჩუნებინა.
-მე არა, ისინი იცნობენ! - უეცრად დაძაბული სიჩუმე ჩამოვარდა, მერე კი როგორც იქნა მომიგო, - ნიკა სექტაში უნდა დაბრუნდე.
ადგილზე გავშეშდი. მერე გიჟივით გადავიხარხარე.
-შენთვითონ გესმის რას მთხოვ?
-ძალიან ცოტანი დავრჩით. ახლა მეექვსე ეტაპის მეათე რაუნდზე ვართ.
-მეათე რაუნდზე?
-ჰო, რაღაცეები შეიცვალა შენი წასვლის შემდეგ. დღემდე ყველა შენზე წერს ჩათში. ის ვიდეოც როგორი პოპულარული გახდა ნეტა იცოდე... მაგრამ, დარწმუნებული ვარ ძალიან ბევრს უნდათ მოგბაძონ უბრალოდ გამბედაობა არ ჰქოფნით.
-და სიკვდილის გამბედაობა ჰყოფნით? - თავი ვეღარ შევიკავე და ავყვირდი.
-ვერა, ბევრი გიჟდება.
-როგორც კატო? - წამომცდა.
-კატოს რა მოუვიდა? - მკითხა შეცბუნებულმა.
-შენ არ იცი? ახლა ფსიქიატრიულში წევს.
-ჩვენ კი გვეგონა მოკვდა...
ისე უბრალოდ წარმოთქვამდა ამ სიტყვებს, მასზე კიდევ უფრო მეტად გავღიზიანდი. არადა ერთი შეხედვით უბრალო ბიჭი ჩანდა. თაფლისფერი თმა და მწვანე თვალები ჰქონდა, სიმაღლეში მეწეოდა. მომეჩვენა რომ ზედმეტად სუფთად და ლამაზად ეცვა თვითმკვლელის კვალობაზე.
-ისე მოთამაშეს არ გავხარ, - გამოვუტყდი.
-ხო? არადა შენი წასვლის მერე ლიდერი მე ვარ!
ახლა ამან თავი შეიქო?
-ხოდა მითუმეტეს.
უცებ ისევ შეცბა. რაღაცის ძალიან შერცხვა თითქოს. მერე ჯიბიდან მარჯვენა ხელი ფრთხილად ამაძვრინა და დამანახა. ხმას ვერ იღებდა, თვალებს ძირს ხრიდა. უნებლიედ წამოვიყვირე ამ საშნელი სანახაობის დანახვაზე. მას მარჯვენა ხელის საჩვენებელი თითი თითქმის მთლიანად მოჭრილი ჰქონდა.
-მე მხატვარი ვიყავი, - სინანულით ჩაილაპარაკა და ხმა ჩაეხლიჩა, - ნიკა უნდა დაბრუნდე!
ჩემი გმირობის სიას სახელები ემატებოდა.

-იცი რა? შენც წამოდი. წამოდი ჰო, ერთი მაგათი დედაც, რას გიზამენ? მესმის, ვხვდები და ვწუხვარ შენს გამო, კატოს გამოც და ყველა იმ ბავშვის გამოც, რომელიც ცხოვრებას იუბედურებს და სულს იმახინჯებს, მაგრამ ეს უნდა შეწყდეს! უკვე დროა... ვერ გეტყვი დაიკიდე მეთქი, სანერვიულო ნამდვილად არის, მაგრამ ისინი ჩვენ ვერ დაგვამარცხებენ! შეხედე რა კარგად ვარ! რა მიქნეს? სიკვდილზე უარესს ხომ ვერ დამმართებენ არა? ე ბიჭო, გამოფხიზლდი რა, ისინი უბრალოდ ფსიქოფატი ნარკომანები არიან და მეტი არაფერი. ჩვენ მათ დავამარცხებთ!
ყოველი სიტყვის წარმოთქმისას ჩემში რაღაც არასებულ ძალას ვპოულობდი.
დარწმუნებული ვიყავი რომ ყველაფერი გამომივიდოდა.
-არც კი ვიცი...
მიპასუხა და ჩაფიქრდა.
-იცი. აი ჩემი ნომერი. დამირეკე, ახლა სასწრაფოდ უნდა გავიქცე, დროებით.

***

მეგის სახლში რომ მივედი უკვე დაღამებულიყო. საბოლოოდ გადავწყვიტე რომ ამაღამ ის აუცილებლად შეიტყობდა სიმართლეს. მე მოვუყვებოდი ყველაფერს კატოზე და ახლა უკვე თაზოს შესახებაც, ვაჩვენებდი იმ ესემესებს, რომელსაც ისინი მწერდნენ და მჯეროდა რომ ჩვენ ერთად ვიპოვიდით გამოსავალს, თუმდაც გაქცევა და ყველას და ყველაფრის მიტოვება გვიწევდეს...
კარი რამდენჯერმე დაზარუნების შემდეგ გამიღო. სველი თმა ჰქონდა. გულებიანი ვარდისფერი პიჟამა ეცვა და გახარებული ბავშივით შემომცქეროდა. მივესალმე. ხმის ამოუღებლად დამავლო ხელი და სამზარეულოსკენ გამაქანა.
-ოჰოო, აი შემართებაც მესმის! - მივუგე ნიშნისმოგებით და ჩავიფხუკუნე.
-დებილო მალე წამოდი, მომშივდა.
-ააა, ესეიგი მოგშივდა...
გზაშივე ერთი მაგარი ჩქმეტა მითავაზა და ხმას თუ კიდევ ამოიღებ მოგკლავო, - მითხრა. მომკლავს, კი. ჯერ სახლში მიბარებს მომენატრეო, მოვდივარ და მოკვლით მემუქრება. იცის სად რა უნდა თქვას. ასეთია მეგი. თავიდანვე ასეთი იყო. სასაცილო, ჩამოუყალიბებელი და თან ყველაზე განსაკუთრებული და ჭკვიანი. ვერასოდეს გამოიტანდი მისგან საბოლოო დასკვნას, რადგან ის შესაძლოა ყოველ წამს შეცვლილიყო. რა უნდა მექნა, დავუჯერე და იქვე მაგიდასთან დავჯექი. გულხელი დავიკრიფე და ინტერესით დავუწყე თვალიერება. მეგი კარადაზე აძვრა და მაღლითა თაროზე შოკოლადიან ორცხობილებს გადასწვდა. როგორი დახელოვნებული იყო ამ საქმეში. ისევ გამეცინა.

-რაიყო, მე დამცინი?
ჩამეკითხა და კარადიდან ჩამომძვრალმა ყუთის გახსნა დაიწყო.
-შენ არა, შენს ჰობს დავცინი.
-რას?
-ძრომიალს. განა ეს შენი ჰობი არ არის?
უეცრად დაიბნა და გაჩუმდა. მერე გაიაზრა ჩემი ნათქვამი და დამებღვირა.
-საზიზღარო.
-მეგ, მიდი ყავა დაადგი, უნდა ვილაპარაკოთ.
-აუ, არა რა.
-რა იყო, აღარც მიმასპინძლდები?
-არა, ეგ არ მიგულისხმია, მე ვთქვი არანაირი სერიოზული საუბრები ამაღამ. უბრალოდ მინდა ჩაგეხუტო და ისე დავიძინო. კარგი?
-მეგი...
-გთხოვ.
-ხო, კარგი, კარგი.
გამიღიმა და ყავის მომზადებას შეუდგა. რატომ ვერასოდეს ვახერხებდი მისთვის უარის თქმას? ის საგნებსაც კი ისე ფრთხილად, სიყვარულით ეპყრობოდა თითქოს ცოცხალი არსებები ყოფილიყვნენ. ჰაერში ისე დაფარფატებდა, ყველგან თავის კვალს ტოვებდა. იმისი ყურებაც კი თუ როგორ ტრიალებდა საქმიანად სამზარეულოში, იმდენად სასიამოვნო იყო რომ სხვა ყველაფერ ცუდს მავიწყებდა. მეგიმ მოკრძალებით ჩააბრძანა შაქრის სამი ნატეხი ჩემს ყავის ფინჯანში, უხმოდ მოურია და რაღაცაზე ჩაფიქრდა. მომეჩვენა რომ ძალიან დაღონდა. რაღაცა მგონი მართლა ძალიან აწუხებდა, მაგრამ წარმოდგენა არ მქონდა რა შეიძლებოდა ყოფილიყო ეს. ყავა სწრაფად დავლიეთ. თითქმის არ გვილაპარაკია. ხშირად მაფეთებდა თავის უზარმაზარ ნათელ თვალებს და უცნაურად მიღიმოდა. ორცხობილების დაგემოვნების შემდეგ დასაძინებლად წავედით. იმის გამო რომ მის საწოლზე ლიზას და ნინის ჩასძინებოდათ თურმე, ჩვენ დაბლა დივანზე დაწოლა მოგვიწია. ხვალ სერგის ნინის იტალიაში აცილებდნენ, ამიტომაც შეკრებილან გოგონები. მეგიმ სადღაც წითელი პლედი მოძებნა და უცებ მოკალათდა დივანზე. თვალი მივუშტერე.
-რა? - მკითხა.
-აა, არაფერი.
-რაიყო, არ მოხვალ?
-ხო, აქ ვარ.
გვერდით მივუწექი. ისეთი სუსტი იყო, მეგონა თუ შევეხებოდი დაიმსხვრეოდა. მეგი უფლისგან მოვლენილი საჩუქარი იყო, რომელსაც მოფრთხილება სჭირდებოდა. სანამ უხერხულად ვიშმუშნებოდი და მძიმედ ვსუნთქავდი, თვითონვე მომეკრო და თვალები დახუჭა. მოვდუნდი, ხელი თმაზე გადავუსვი. რბილი და ნაზი იყო მისი წითელი დალალები და სასიამოვნო სურნელი ასდიოდა.
-მეგ მე ვიფიქრე და...
-ხომ გთხოვე...
წამოიკნავლა და უფრო ძლიერად მომეხუტა.
-არა, არა უნდა გითხრა. არ ვიცი სწორი დრო კიდევ როდის იქნება. მე ვიფიქრე და... მე... - დავაპირე მოყოლა დამწყო მაგრამ გამახსენდა როგორ მთხოვდა ამაღამ არაფერი მითხრა, უბრალოდ ჩამეხუტეო. გული თითქოს რაღაც ცუდს უგრძნობდა. შემეცოდა, - მოკლედ, შენს სკოლაში გადმოსვლა მინდა!

ვთქვი გაუაზრებლად. არ ვიცი ეს საიდანღა მომაფიქრდა. უცებ აენთო და წამოფრინდა.
-ღმერთო ჩემო, ნიკა არც კი იცი როგორ გამაბედნიერე, მადლობა...
-კი მაგრამ, მადლობას რისთვის მიხდი?
გავვოცდი და მისი სახე ხელებში მოვიქციე.
-ყველაფრისთვის. იმისთვის რომ საერთოდ ჩემს ცხოვრებაში ხარ...
-მოდი ჩემთან...
ისევ მომეკრა. თვალები ცრემლებით ამომევსო. რამხელა იმედებს ამყარებდა ის ჩემზე. უცებ მიწყნარდა.
-ამისთვის შენ კი არა, მადლობას მე უნდა გიხდიდე. შენთან ყოფნა... ეს სიმშვიდეში ყოფნას ჰგავს. გახსოვს რომ მიყვებოდი სიკვდილის შემდეგ სიცოცხლეზე და იქ არსებულ სიმშვიდეზე? იქნებ უკვე მოვკვდი და იქ ვარ, ჰა?
-იცი, ყოველთვის სულელი ბავშვი ვიყავი.
-სულელი? შენ სულელი არასდროს ყოფილხარ მეგი.
-როგორ არა, ყველაფერი ხომ სწორედ ჩემს გამო მოხდა, მე კი...
-არ გაბედო, არ გაბედო ამ ყველაფერში საკუთარი თავის დადანაშაულება! ის თუ რა ცინიკოსიც ვიყავი შენს გაცნობამდე და მერეც კი... ამის გაფიქრება უბრალოდ ბოლოს მიღებს, მაგრამ მერე შენ მახსენდები. შენ რომ არა, იმ საშნელებიდან ვერასდროს დავაღწევდი თავს. იმდენ რამეზე დამაფიქრე, იმდენ რამეზე... ცხოვრების სიყვარული შენ მასწავლე, ეგ კი არა, შენ თავად გახდი ჩემი ცხოვრება! მე მიყვარხარ მეგი! მე მიყვარხარ... შენ მე სიყვარული მასწავლე...

სიჩუმე ჩამოვარდა. მერე კი გავიგონე როგორ მოუსვენრად აცეკვდა მისი ცხელი სუნთქვა ჩემს მკერდზე. მის სიზმრებში ალბათ ჩვენ ორნი ერთად მივაბიჯებდით წვიმაში, სადღაც შორს. გავიღიმე, ლოყაზე ხელი ნაზად გადავუსვი და ჩუმად ჩავილაპარაკე:
-და ასე შეუყვარდა სიკვდილს სიცოცხლე…

მეგი

-სინამდვილეში მოგატყუე ერთხელ. არა, არა მეტჯერაც, მაგრამ ეგენი სხვანაირი ტყუილები იყო, - მომიგო დიდ ხნიანი დუმილის შემდეგ ნიკამ. ეს ღამე ნამდვილ ზღაპარს ჰგავდა. არა, უფრო ლამაზი იყო. ლამაზი და დაუჯერებელი. როდესაც ჩემი ოთახის ფანჯრიდან გადავიხედე და ნიკა ამ სიტუაციაში დავინახე ვერ დავიჯერე. მას უკვე იმდენად კარგად გავუცვნივარ, რომ მიხვდა სხვაგვარად ჩემთან დალაპარაკებას ვერ შეძლებდა და ჩემთვის უნდა მოებაძა, რაიმე ორიგინალური უნდა ჩაედინა! ახლა ის იდგა ჩემი ოთახის ფანჯარასთან და არა მე. ახლა მასაც ისევე სურდა ჩემთან როგორც მე. ვერ მოგატყუებთ ნამდვილად, ნამდვილად შეძლო ჩემი აღვრთოვანება და ცამდე გაოცება, ანდაც იმის იქით. იმ ღამეს კიდევ ერთხელ გავიპარე სახლიდან მის გამო, თუმცა აღარ მეგონა თუ ეს ისევ მოხდებოდა და თუ მსგავს სისულელეს ისევ ჩავიდენდი. თითქოს იგივე განცდა დამეუფლა ჩემი ფანჯრიდან ეზოში რომ მივცოცავდი, რაც მაშინ როდესაც სტრატეგიებს ვაწყობდი ნიკას ოთახში მოსახვედრად, მაგრამ ეს უფრო მეტი იყო ვიდრე უბრალოდ სტრატეგია, ანდაც ვიღაც უცნობის ამოუხსნელი ცხოვრების ამოხსნის სურვილი. ეს იყო ის განცდა... აი, როგორ ამბობენ ხოლმე? მუცელში პეპლები რომ დაფარფატებენ. თუმცა, მთლად პეპლებსაც ვერა, გულახდილად რომ ვთქვა, უფრო ვიტყოდი რომ ისეთი განცდა მქონდა, თითქოს უცხოპლანეტელის თებშები დამიქროდნენ. ასეთ ღამეზე ვერც ვიოცნებებდი, მე ხომ ყველა იმედი გადაწურული მქონდა და ეს უიმედობა მთლიანად ცოცხლად მჭამდა, თუმცა უფალი არასდროს მოგვივლენს ისეთ განსაცდელს, თუ იცის რომ ჩვენ ვერ გავუძლებთ! ეგ უბრალოდ ჩვენ ვფიქრობთ იმ მომენტში ასე და გვგონია რომ ვერ გავუძლებთ. ძალიან ბევრჯერ გვითქვამს სიტყვები "არა, ეს უკვე მეტისმეტია, ამას ვეღარ გადავიტანო", მაგრამ დრო გადის, გადის და გარემოებებიცა და ვითარებებიც მასთან ერთად ისე იცვლება, ამის გაანალიზებასაც ვერ ვახერხებთ. და განა გვავიწყდება ჩენი გასაჭირი? არა, ეს ასე არ არის, ეგ კი არა შეიძლება ძველი ტკივილები ვერც ვერასდროს განგეკურნოს. ზოგი იმდენად მკვეთი მახვილივითაა რომ ის სამუდამოდ გკვეთს და რჩება სიცარიელე, მაგრამ რაც დრო გადის ამ სიცარიელეს ახალი ტკივილები ავსებენ. შენც ახალ დროსთან ერთად ახალ ემოციებს განიცდი და ამ ყველაფერს თანდათან ეგუები. ეს ცხოვრების წესია! აი მე კი არ მესმის, უბრალოდ ვერ ვხვდები მაინც რა აიძულებთ ამ ხალხს სუიციდს! ვიცი, დიახ ეს უკვე ვიცი რომ ცხოვრება ზოგჯერ მართლაც ზედმეტად დაუნდობელია და უკანონო თამაშებს გვეთამაშება, მაგრამ სატანამ ისე როგორ უნდა გმართოს რომ ცხოვრებაზე ზურგი შეგაქცევინოს? ეს ტკივილები რომ არა, მაშინ სიცოცხლეს ფასი დაეკარგებოდა, მთლიანად გაუფასურდებოდა მისი სიტკბოება, ზუსტად ამიტომ ხდება ეს ასე. ყველაფერს აქვს თავისი მიზეზი.

ჯერ ისევ დაუჯერებელ ფაქტად მიმაჩნდა ის რომ ნიკამ როგორც იქნა სიკვდილი გადაიფიქრა. ჩვენ ძალიან, ძალიან ბევრი სერიოზული საუბარი გველოდა წინ. მე ყველაფერი მაინტერესებდა მის შესახებ. მაინტერესებდა ასე უეცრად რანაირად შემობრუნდა კარგისკენ და მაინც რამ აიძულა ყოველივე ეს. მაინტერესებდა რაზე სურდა ორმოცზე ჩემთან საუბარი, მაგრამ ეს ღამე მართლა არ იყო სხვა ღამეების მსგავსი. მე ამას ვგრძნობდი, ამას ვხედავდი. მე ნაპერწკალს ვხედავდი ჩვენს შორის და ახლა მხოლოდ ჩვენზეღა იყო დამოკიდებული ამ ნაპერწკლისაგან მწველი ცეცხლის ალი წარმოიქმნებოდა თუ არა. როგორც ნიკამ თქვა, ახლა ხომ მთელი მარადისობა გვქონდა!

როდესაც ვკითხე თუ წასვლას სად ვაპირებდით, მიპასუხა შენს სურვილებს ვასრულებთო. არც ჩემი სიტყვები დავიწყებია, თუ როგორ გაცნობის პირველივე წამიდან ვეცადე მისი დახმარება... მახსოვს როგორ მივუახლოვდი და ვუთხარი რომ ნაწყენი ჩანდა. ბედის ირონიაა. თითქოს ყველაფერს ვხვდებოდიო რაღაცნაირად. ახლა ცოტა შიშის მომგვრელადაც კი მეჩვენება ამაზე ფიქრი. და ბოლოს, ამდენი წვალებისა და წამების მერე, ამდენი განსაცდელის, უბედურების, სიკვდილის, დაღვრილი სისხლის, გულის გატეხვის, ბასრი სიტყვებისა და წასვლების შემდეგ, ის თავისი ფეხით მოვიდა ჩემთან. მართლა ვერ ვიტყვი ის უფრო მიხაროდა რომ სიკვდილი გადაიფიქრა, თუ ის რომ ამის სათქმელად ეგრევე ჩემთან მოვიდა. მას სიტყვა სიცოცხლეზე მე გავახსენდი. გადავწყვიტე ჩემს საყვარელ ადგილას წამეყვანა, ჩემს სახლთან ახლოს მაგრამ მაინც მიუგნებელ ადგილას. იქ ხშირად დავდიოდი აზრების მოსაკრებად და ლამაზი ხედით დასატკბობად. ძველი შენობის სახურავზე რკინის დახვეული კიბეების მეშვეობით აღმოვჩნდით. აქ განსაკუთრებული აურა ტრიალებდა. ეს ადგილი ჩემს მთელ ცხოვრებას და ჩუმ სურვილებს ინახავდა. ეს კედლები ჩემთან ერთად დაბრძენდნენ. ახლა კი შემოგვცქეროდნენ ჩვენ, თუ როგორ ვიწექით და ვარსკვლავებით მოჭედილ ზეცას შევყურებდით, რომელიც უჩვეულოდ ლამაზი და მშვიდი იყო.

-როდის?

ფიქრებში ისე გავერთე რომ პასუხი საშინლად დამიგვიანდა. ნიკა ხმას არ იღებდა. მერე ნელა ჩემსკენ მოიწია. მეც თავი უშიშრად მკერდზე დავადე. უკვე აღარ მეშინოდა რომ ისეთ რამეს იტყოდა რომ კვლავ გამანადგურებდა, ანდაც ისევ გამაგდებდა და ახლო მისვლის უფლებას არ მომცემდა. ეს ყველაფერი უჩვეულო იყო, ძალიან უჩვეულო. მის პასუხს დავაყურადე, თუმცა ერთადერთი რაც საპასუხოდ მოვისმინე მისი გულის გაგიჟებული ფეთქვა იყო ყოველი ჩემი შეხებისას. მისი ცხელი სუნთქვა რომელიც ხელზე მელამუნებოდა რომლითაც სახეზე ვეფერებოდი მსიამოვნებდა. ეს ყველაზე საოცარი რამ იყო, რაც აქამდე გამომეცადა. ვნება, რომელიც ჩემში ბობოქრობდა და შეხების სურვილი, რომელიც დაუცხრომელი იყო. ეს ნამდვილი სიგიჟე იყო!

-როცა გითხარი რომ ბედნიერი მაშინ ვიქნები როცა მოვკვდები. ასე არ არის. მიპასუხა როგორც იქნა ჩუმი მთრთოლვარე ხმით. სულელივით გამეღიმა.

-არა? - მხოლოდ ამის თქმაღა მოვახერხე.

-არა. მე ახლაც ბედნიერი ვარ, რადგან გიყურებ, გეხები და შენი ხმა მესმის მეგი. არ არსებობს ამ ქვეყნად ამაზე დიდი ბედნიერება…

***

ყველაფერი ერთ ღამეში შეიცვალა. სიტუაცია მთლიანად შემოტრიალდა. ამბობენ ცხოვრება სიურპრიზებითაა სავსეო. ეს ასე არ არის, რადგან ცხოვრება თავადაა სიურპრიზი. ყველაფერს აქვს ორი მხარე. აი ხომ არსებობს ცუდი სიურპრიზებიც, არა? მართლაც სიურპრიზივით დამატყდა თავზე ნიკას გადარჩენის ამბავი, უფროსწორად თავადვე დამატეხა. ის წარწერა რომელზეც თავისი ლამაზი ხელით ისეთივე ლამაზად დაეწერა "მე მსურს სიცოცხლე" ჩემს ოთახში კედელზე გავაკარი. ვარდისფერ კედელსა და პატარა ფლამინგოებიან ჩარჩოს ძალიან მოუხდა. ყოველ დილა როცა ვიღვიძებ პირველი ამას ვხედავ და სახეზე ისევ ის სულელური ღიმილი მეფინება. ეს ღიმილი სხვანაირია. რაც არ უნდა მძიმე ღამე მქონდეს, როგორც არ უნდა ვდარდობდე და განვიცდიდე რამეს დაძინებისას, როცა თენდება და თვალებს ვახელ ეს წარწერა ყველა დარდს წამებში აქრობს. მახსენებს რომ ახალი დღე დაიწყო, ახალი შანსებითა და მოლოდინებით სავსე.
ნიკას ასეთი შეცვლა საეჭვოდაც კი მეჩვენებოდა. მე ვცდილობდი მის შეცვლას, ვცდილობდი ნარკოტიკებისგან ასეთი მჭიდრო კავშირის გარღვევას და ვცდილობდი იმას რომ შეეყვარა სიცოცხლე ისეთი პატარ-პატარა რაღაცეების მეშვეობით, როგორიც წვიმაში სეირნობა და მუსიკების მოსმენა, ან კიდევ საყვარელ ადამიანთან ერთად სიცილი და ტკბილეულის დაგემოვნებაა და კიდევ ბევრი სხვა, მაგრამ იმის იმედი არ მქონდა რომ ძველ მავნე ჩვევებს გადაეჩვეოდა. ჩვევა ხომ ჩვევად რჩება, ანდაც იმედივით ყველაზე ბოლოს კვდება.
სიტუაციის გაუმჯობესება ჩემი სკოლის ნიშნებზეც აისახა და მეც ისევ საუკეთესო მოსწავლე გავხდი. მერიკო დეიდამ და ლადომაც დათქვეს ნიშნობის თარიღი, ლიზას კი ამ თემაზე ვერადავერ დაველაპარაკე. სკოლას ხშირად აცდენდა, მეუბნებოდა მერიკოს სახლის საქმეებში ვეხმარები თვითონ ახლა სულ აქეთიქით სირბილი უწევსო. რატომღაც მეგონა რომ მიზეზებს იგონებდა და მე გამირბოდა, თუმცა საუკეთესო მეგობარს აბა როდემდე დაემალებოდა? ბოლობოლო სულ მალე ხომ ერთად ვიცხოვრებდით... მერე კი როგორც იქნა შევხვდით, თუმცა თავიდან ბოლომდე გადართულები ვიყავით ნინიზე. ჯერ სერგის ამბები და მერე გავიგეთ რომ ამის გამო ოჯახს იტალიაში მიყავდა საცხოვრებლად. მათ ალბათ იფიქრეს რომ ახალი ქვეყანა, უცხო გარემო და ყველაფრის თავიდან დაწყება სერგის სიკვდილით გამოწვეულ დარდს ოდნავ მაინც ჩაუცხრობდა. ჩვენც გადავწყვიტეთ მისთვის დასამშვიდობებელი გოგონების წვეულება მოგვეწყო. იმ საღამოს მამაც არ იყო სახლში. ვიფიქრე გოგონებს რამეს დავახვედრებდი და მამის ნასწავლი ანანასის კექსის გამოცხობა დავიწყე. მაცივრიდან ინგრედიენტების გადმოლაგებას რომ შევუდექი ლიზაც მოვიდა. ვიფიქრე უკვე დრო იყო და უნდა გველაპარაკა.
-მეგ, მოვედი საით ხარ? - დამიძახა კარებიდანვე. გამიკვირდა, ეტყობა ლადომ მერის სახლის გასაღები უკვე გადაულოცა, თუმცა არ ჩავეძიე. ზედმეტად უხერხულად მომეჩვენა.
-გოგო შენ ანანასზე ალერგია არ გაქვს? - გავძახე სამზარეულოდან. ჩემს ხმას გამოყოლილმა მალევე მომაგნო, ყურებამდე გამიღიმა მერე ქურთუკი გაიხადა და იქვე დივანზე ლამაზად მიასვენა.
-არა, რა ალერგია, რა რო?
-კექსს ვაცხობ ანანასით დაა, - ვუთხარი და საბუთად მამაჩემის შეფის ქუდი თავზე მოვირგე. დიდი მქონდა და წითელ კუდად შეკრულ თმაზე სასაცილოდ და საწყლად ჩამომეფხატა. ლიზამ გულიანად გადაიხარხარა
-არ გაქვს? - უკვე ეჭვშემოპარული ხმით ვკითხე და ქუდი თავის ადგილას დავაბრუნე, - რავი, რაღაც ეგეთი მახსოვდა.
-მარწყვი იყო ეგ, მარწყვი. სულელო.
-უი, ხოო. ისე თმა მასე როგორ გიხდება.

თმები კარეს ზომაზე შეეკეცა. არადა მისი შავი და გრძელი თმა ყოველთვის ძალიან მომწონდა, მას კი ჩემი თმები უნდოდა. წითელი და ჩემზე უფრო გიჟივით გაბურძგნული.

-ხო, შეჭრას ვაპირებ. მოვიდე დაგეხმარო?

-რავი, აჰა წინსაფარი.

-ხო შემიძლია ცხელი შოკოლადი გავაკეთო, რა ვქნა? სხვებივით ნიჭიერი არა ვარ, წავალ დავიბან ხელებს. შენ სახანძრო გამოიძახე წინასწარ მაინც რა ვიცით რა ხდება.

-ეგ სანამ მოხვედი მანამდე გავაკეთე რო იცოდე. რა გინდა ერთი? მაგარია ცხელი შოკოლადი. ნინიმ არ დარეკა? მალე მოვა?

-არა ჯერ. ისე, ჩვენ რო დავურეკოთ? ჰაჰ, აი, ვახსენეთ და რეკავს.

-ლიზ, სპიკერზე ჩართე მიდი.

-გოგოებო მარკეტში ვარ, რა გაგისწორდებათ რო გამოვაყოლო? ლუდს დალევთ?

-ნინ აქ სახლში ცხელი შოკოლადი და "ჯეკ-დანიელსი" გვაქ, შენ მარშმელოუ გამოაყოლე შოკოლადისთვის მარტო.

-კარგი, თხუთმეტ-ოც წუთში მანდ ვარ.

როგორც კი გათიშა ლიზას მივაშტერდი.

-რაო, რაო რა გვაქვს სახლშიო?

-დადააააამ! სიურპრიზი! - ჩანთიდან ერთი დიდი "ჯეკ-დანიელსი" ამოაძვრინა.

-აუ, შენ ვინ ხარ...

-ხო აბა, გოგოების წვეულება ამის გარეშე ვის გაუგია? შენ რას აპირებდი რძეზე და ანანასის კექსზე უნდა დადაგეტარეთ, არა? აჰაჰ, სხვა რას ველოდი მეც კიდე. აუ სიმღერები ჩავრთოთ რა...

-არც კი ვიცი ეგ როგორი იდეაა. ხომ იცი ნინის მდგომარეობა არა? თან მალე აქ იქნება და...

-ხოდა, რომ ვიცი მაგიტომ ვამბობ გოგო, ჩვენ ხო ნინი უნდა გავამხიარულოთ. გამოილია, აღარ არი გოგო. აუუ, არადა როგორ ცდილობს ხოლმე რო არ დაგვანახოს. საწყალი... თანაც ეს ხომ ჩვენი ბოლო საღამოა!

-გაგიჟდი? ღმერთმა დაგვიფაროს, - გავუჯავრდი, - ნუ ამბობ ეგრე. ვაიმე ლიზი, რძე!

ყოველთვის ყველაზე დაბნეული იყო ლიზა. იქ რომ არ ვმდგარიყავი ალბათ სამზარეულოს ააფეთქებდა, ტყუილად კი არ "გამოვუძახე სახანძროს". ლიზას ძალიან უყვარს ხუმრობა და სიმღერა, თუმცა ამ ხასიათის პატრონს, რატომღაც სულ მუქი ფერის ტანსაცმელი აცვია, მე კი მუდმივად ფერადი. უპირატესობას ვანიჭებ მხიარულ, გამოკვეთილ ფერებს როგორებიცაა ყვითელი, მწვანე და წითელი. ყვითელი ჩემთვის მზესთან ასოცირდება, მწვანე - ბალახთან, წითელი კი სიყვარულთან! როდესაც საჭიროება მოითხოვს ლიზას შეუძლია საკმაოდ სერილზულიც გახდეს, თუმცა ეს ძალიან დიდი ძალისხმევის ფასად უჯდება ხოლმე. ზოგჯერ თავისი გრძელი ენის გამო მერე სატირლად უხდება საქმე. ალბათ ხანდახან ამაში მეც ვგავარ. ბევრჯელ უთქვამს სასამართლოებზეც ასე გიჟივით სიცილი რომ ავტეხო მერე რაღა მეშველებაო. თვითონვე აღიარებს რომ რაღაც არაამქვეყნიური სიცილი აქვს, რომელიც ალბათ უცხოპლანეტელებსაც კი მოიზიდავდა იუპიტერიდან დედამიწაზე. სულ რომ ვერ გავიგო რას იძახის, მაგის სიცილზე მაინც აუცილებლად გამეცინება. ლიზა ადვოკატობაზე ოცნებობდა ბავშვობიდან და ამ აზრის სიმტკიცეში ეჭვი არცერთხელ შეუტანია. ნეტავ მეც შემძლებოდა იგივე... რაც ის ამბები გადამხდა თავს, ვგრძნობდი რომ ძველებურად აღარ მიხაროდა ჩემი ჟურნალისტობის ამბავი. რაც მე და მაჩომ გავისეირნეთ, მას მერე ისეთი აღარაფერი მომხდარა. მხოლოდ დამიბარეს სტუდიაში და ის ბავშვები გამაცნეს, ვინც ჩემთან ერთად უნდა წაიყვანონ

გადაცემა, რომელსაც "სტალკერი" ჰქვია. იდეის ავტორი ქალბატონი ნინაა რათქმაუნდა. ნინა ჩემთვის კლასიკისა და შარმის იდეალია. მოკლედ რას ვამბობდი? ხო, ლიზა და მისი სამომავლო გეგმები... ამისთვის ძალიან ბევრს შრომობდა. ლიზა ჩემი ცხოვრების ნაწილი იყო და მის გარეშე ერთი დღეც კი ვერ წარმომედგინა. ნეტავ უბრალოდ დამთხვევა იყო თუ ბედის ამბავი რომ მთელი ცხოვრება დობაზე ვვოცნებობდით, მერე კი ყველაფერი ერთბაშად ისე დაგვატყდა და ისე სწრაფად განვითარდა მოვლენები, რომ თითქოს ჩვენი ოცნებებიც კი მიგვავიწყდა და ბავშობის მოგონებებთან ერთად ისინიც ნელ-ნელა გაუფერულდა. მე ზუსტად ამაზე მწყდებოდა გული.

-ისე ლიზ, გახსოვს როგორ გვინდოდა ტყუპები რომ ვყოფილიყავით? - დრო ვიხელთე და ძალღონე მოვიკრიბე, როგორც კი დაქცეული რძე მთლიანად მოვწმინდე.

-მაგას რა დამავიწყებს, შენ ლენა იყავი მე ლიზა. უცნაურია არა?

-შენი აზრით ეს უცნაური უნდა იყოს?

-მეგ, აბა რა ვიცი... ისე მეკითხები თითქოს ყველაფერი ჩემზეა, თანაც მე საწუწუნო აბა რა მაქვს? შენ კარგად იცი მე და დეიდა ერთმანეთს არაფერს ვუმალავდით, აი მაგალითად შენი და მამაშენის ურთიერთობა აიღე, ყველაზე მაგარი, ყველაზე წმინდა! ამის გამო არ დაგიმალავ და ცოტა არ იყოს ძნელად გადავიტანე რომ მთელი ერთი წელი მატყუებდა და ჩემგან მალულად ჩემი საუკეთესო მეგობრის მამას ხვდებოდა, მაგრამ ეს არ არის მთავარი. მას მალევე ვაპატიე და იცი რატომ? ის რომ არ ყოფილიყო, არ ვიცი რა ბედი მეწეოდა. ყველას თავისი ცხოვრება აქვს მე კი უბრალოდ მისი მადლობელი ვარ რომ თავისი ცხოვრება მე დამითმო. ამიტომაც მასზე ვეღარ გავბრაზდი დიდხანს.

-მესმის...

-აი შენ კი...

-რა მე?

-არაფერი, დაივიწყე. გინდა ანანასიც მიგიჭრა უცებ?

-ლიზა, თემა გადაგაქვს, რა მე?

-შენ ნამდვილად გაქვს უფლება ნაწყენი იყო ან რამეზე პროტესტი გამოთქვა. და ანანასი?

-ქილაში დაჭრილი დევს გოგო და რატომ?

-მერავიცი უნდოდათ და დაჭრეს.

-ლიზაა!

-ააჰ, მეგი კარგი ახლა რა... შენით ვერ ხვდები?

-რას უნდა ვხვდებოდე?

-ახლა არ უარყო რომ ბავშვობიდან განებივრებული მამიკოს გოგო იყავი. მხოლოდ შენ და მამაშენი. როცა შენ ნაირ-ნაირი კაბები გეცვა ბაღის ზეიმებზე, დეიდაჩემი მაგ დროს იდგა და საავადმყოფოს ბინძურ ტუალეტებს ხეხავდა რომ ჩემი კაბის შესაკერად როგორმე მასალა შეეძინა. მე შენსავით უდარდელი ბავშობა არ მქონია, ბევრჯერ შენი შემშურებია კიდეც... და უცებ ეს შენი კომფორტი უნდა დაირღვეს და რის ან ვის გამო? თავს მაგიტომ გარიდებდი, როდესაც ეს ამბავი შევიტყე პირველად და მერეც... მე შენი მრცხვენოდა მეგი.

-ვაიმე, რატომ არ დამელაპარაკე მერე? იცოდე, ახლა კარგად დაიმახსოვრე რასაც გეტყვი!

წამოვიყვანე და სავარძელში ჩემს გვერდით დავსვი. დამორცხვილ და შეწუხებულ მზერას ვერაფრით მისწორებდა, ადგილზე ვერ ესვენებოდა. შემეცოდა ჩემი მეგობარი.

-რაც არ უნდა ყოფილიყო ეს წარსულში დარჩა, გასაგებია? მე გავიზარდე და მივხვდი თუ რამდენად საშნელებაა მარტოობა და მითუმეტეს უფროსებისთვის, ლიზ. მამაჩემი გვერდით საუკეთესო ქალს აუცილებლად იმსახურებს და სწორედ ისეთს როგორიც მერი დეიდაა.

თქვენზე უკეთესი აბა სხვა ვინ უნდა გახდნენ ჩვენი ოჯახის წევრები? ხომ იცი რომ ყველაფერზე მეტად მიყვარხარ...

ლიზას ლოყაზე წყვილი ცრემლი ჩამოუგორდა. პატარა მხრები აუთრთოლდა.

-ჰეი, შემომხედე, არანაირი ცრემლები ამაღამ. ჩენ ვერთობით, გასაგებია? მაგრამ იცოდე რომ კედლის მხარეს ყოველთვის შენ დაიძინებ.

-აჰ სულელო, - ცრემლი მაიკით მოიწმინდა და გაიღრიჭა. მის ამ ბავშვურ საქციელზე მეც ვეღარ შევიკავე სიცილი.

-აი ასე, უნდა იცინო. აი ნინიც მოვიდა. წავალ კარს გავუღებ, შენ ღუმელი გამორთე.

***

-იცით, ერთხელ მე და სერგი ლიფტში გავიჭედეთ...

უკვე ასჯერ მოყოლილ ამბავს ნინი ასმეერთედ გვიყვებოდა, თუმცა გაწყვეტას ვერც მე და ვერც ლიზა ვერ ვუბედავდით. დაღამებამდე დიდი დრო იყო. მე და გოგონებმა კი "გართობა" ნაადრევად დავიწყეთ. ეს ნინისთვის ტკბილ და ახლა უკვე განუმეორებელ მოგონებებში მოგზაურობა და ის სერგის მემორიალი უფრო იყო, რომელზე მოსვლაც ვერ გაბედა, მაგრამ მისი ძალიან კარგად მესმოდა. ალბათ ყველაზე კარგადაც კი. მან ყველაფერი გაიხსენა რაც კი ერთად გადახდომოდათ თავს. საკმაოდ ბევრი მოგონებები ჰქონიათ, დასანანია რომ ერთად ყოფნა ვერ შეძლეს. და ისევ სინანულის უზარმაზარი ბურთი გამეჩხირა ყელში. ახლა მხოლოდ ნინის გვერდში დგომაღა დამრჩენოდა. მხოლოდ ეს იყო რაც შემეძლო. ჩემი ოთახის იატაკზე უამრავი ფუმფულა ვარდისფერი ბალიში გავფინეთ, ტკბილეული და სასმელი ამოვიტანეთ და ლაპარაკს შევყევით. უფროსწორად ნინი ყვებოდა, ჩვენ კი დიდი ინტერესით ვუსმენდით. თურმე ჯერ მარტო იმიტოა კარგი, ტკბილი მოგონებების დაგროვება, რომ მერე დიდი დრო რომ გავა ისევე ტკბილადვე გაიხსენო, ისევ ისეთმა გრძნობებმა გძლიონ, რასაც მაშინ ამ მოგონების დაგროვების დროს განიცდიდი.

-თქვენი აზრით შევძლებ? - გვკითხა ნინიმ ცოტა ხნის შემსეგ, სანამ ახალ ისტორიაზე გადავიდოდა.

-რას? - ერთდროულად ვკითხეთ მე და ლიზამ.

-ახალი ცხოვრების დაწყებას...

-ნინი თუ წასვლა არ გინდა არ წახვიდე, - ვუთხარი, - არავინ გაძალებს.

-არა, სხვა ვატიანტი არც მაქვს... -როგორარა, გაქვს. სხვა ვარიანტი ხომ ყოველთვის არსებობს.

-ეე, ესე არ გამოვა, დავლიოთ უკვე, რაა - ლიზამ ბოთლს ხელი დაავლო, - მეგი სად არის სახსნელი?
-კარგი, მაგრამ ჩემს პიჟამოებს მოგცემთ უფრო მოხერხებულად რომ იყოთ. მანამდე შენ ეგ გახსენი. ჩადი სამზარეულოს პირველ უჯრაში ნახავ, ბოლობოლო ამ სახლში ყველაფერი ხომ უნდა ისწავლო არა? - თვალი ჩავუკარი ლიზას, მან ეშმაკურად ჩაიცინა და ოთახიდან აორთქლდა.
-მეგი შეგიძლია გათბობას აუწიო? - მთხოვა ნინიმ.
-ნინიი, რას ამბობ, არადა დღეს რა კარგი ამინდია და ნეტა არ იყოს...
-რა თქვი?
-სიცხე ხომ არ გაქვს თქო. კარგი, ავუწევ და აი პიჟამაც.
-არა, სიცხე არ მაქვს.
მიპასუხა მან და გამოცვლას შეუდგა მე ლიზას ჩავძახე:
-იქნებ ცხელი შოკოლადის ამოაყოლო ბარემ? ნინის ცივაა.
-ეს სასმელი სერგისაც უყვარდა, - ამოიოხრა ნინიმ.
-მისმინე, ვიცი ახლა როგორც ხარ. ისეთი შეგრძნება გაქვს თითქოს უსაშველო ნისლში მიაბიჯებ საიდანაც გამოსასვლელ გზას ვერაფრით პოულობ. ამ ნისლში კი ყველაფერი მის თავს გახსენებს. სადღაც სხვა განზომილებაში ეშვები, სადაც წარსული და აწმყო არ არსებობს და დრო სულერთია. უბრალოდ შენ უნდა შეძლო და იპოვო გზა. გზა რომელიც ახალ შანსებსა და ოცნებებს გაგიჩენს. თუ არ გინდა ნუ წახვალ იტალიაში ნინი, არაა აუცილებელი ამისათვის სადღაც უცხო მხარეში გადაიხვეწო. თუ შეძლებ ეს ყველგან გამოგივა. მე არ გეუბნები რომ ის შენი გონებიდან და გულიდან ამოშალო, არა, ამას ვერც იზავ უბრალოდ ცხოვრება გრძელდება, ის კი ყოველთვის ასეთი საშინელი არაა, როგორიც ახლა გეჩვენება.
-თავში ყველაფერი ამერია მეგი. ახლა ხვალ დილამდე იმას ვერ მოვიფიქრებ წასვლა მსურს თუ არა, ანდაც ეს როგორ ვქნა როცა ყველგან მართლაც ის არის როგორც შენ თქვი... ჩემს ფართიზე... გახსოვს? პირველად ერთად მაშინ დავლიეთ. ბოლოჯერაც... მეგი იცი რა ლამაზი იყო ცა იმ ღამეს?
-ვიცი...
ჩავილაპარაკე ისე რომ ჩემი ხმა მეთვითონაც ძლივს გავიგონე.
-სანამ შიგნით დანარჩენები მხიარულობდნენ, ჩვენ ორნი ერთად გავიპარეთ. ის ძალიან ახლოს იყო... ძალიან... მხოლოდ ერთ რამეს ვნანობ... არ უნდა გავქცეულიყავი იმ ღამეს. მან ჩემი კოცნა სცადა, მე კიდევ გავექეცი. დროის უკან დაბრუნება რომ შეიძლებოდეს... ეჰ! მაგრამ ამან ერთი რაღაც მასწავლა. მასწავლა რომ ჩვენი ცხოვრების თითოეული წამი მნიშვნელოვანია. მე რა ვიცი რა მოხდება ხვალ, ეს დღეც ისევე უნდა გავატარო, რომ შემთხვევით უკანასკნელი რომ აღმოჩნდეს, მერე არ ვინანო. აი მაშინ, ყველაზე კარგი დრო გავატარე ჩემს ცხოვრებაში. იცი რომ იმ ღამეს სერგიმ სიმღერა მომიძღვნა? აი ეს, მოიცა...
ნინიმ ტელეფონში რაღაცას დაუწყო ქექვა, ბოლოს ვიდეო ჩართო და ტელეფონი მომაჩეჩა. შეშინებულმა ავხედე.
-შენ უყურე, მე არ შემიძლია, - მომიგო ხმის კანკალით და ლიზასთან წავიდა. ვიდეო გავხსენი და დავინახე კიბეებზე მჯდარი სერგი გიტარით ხელში, რომელსაც ნინი უღებდა. სერგი ისეთი ბედნიერი ჩანდა... და ისეთი ტკბილი ხმა ჰქონდა...
-მოდი მოგონებებს გაუმარჯოს!
ყვირილით შემოვარდა ლიზა ოთაზში, მალევე მოამხო ძირს სასმელი და ჭიქები, მერე ოსტატურად ჩამოასხა და ჭიქა მაღლა ასწია. ცრემლი ჩქარა მოვიწმინდე.

-გაუმარჯოს მოგონებებს! ეს დღეც ხომ მოგონება გახდება... ყველაზე ტკბილი, - გამოეხმაურა ნინიც.

უეცრად ერთი ძალიან კარგი იდეა დამებადა.

-ნინ, სერგი ხომ ცნობილ მომღერლობაზე ოცნებობდა არა?

-ჰო ეგრე იყო, ვიდეოს უყურე?

-კი და იცი რა ვიფიქრე?

ნინიმ ჭიქა სწრაფად გამოცალა და დაჭყანული სახით ჩამეძია:

-რა მოიფიქრე?

-ეს უბრალოდ ჩემი აზრია, თუ არ გინდა ახლავე დავივიწყებ.

-ვაიმე ამოღერღე რა, - მოთმინების ფიალა აევსო ლიზას.

-არ გინდა ეს ვიდეო " YouTube" - ზე ავტირთოთ?

ოთახში სიჩუმე ჩამოვარდა. ენაზე ვიკბინე.

-მართალი ხარ, - მიპასუხა ჩუმად ნინიმ. ლიზა ხმას ვეღარ იღებდა, - მართალი ხარ, სერგის ეს აუცილებლად ენდომებოდა! მოდი ახლავე ვქნათ ეს.

ვიდეო მართლაც ავტვირთეთ წარწერით "მხოლოდ ნინის სიმღერა 2022 - სერგის ხსოვნის საპატივსაცემოდ" და მერე მისი ხსოვნის დავლიეთ კიდეც. კიდევ სამ-სამი მსუბუქი ჭიქა ალკოჰოლის მერე ნინიმ ნიკაზე მკითხა.

-ხო მართლა, შენ და ნიკა ახლა ერთად ხართ?

-ოჰოოო, ნუ იტყვი ძალიან ერთად არიან, იმდენად ძალიან რომ ვერც წარმოიდგენ, - თვალები გადაატრიალა ლიზამ.

-ნუ, რაღაც მაგ სტილში, - ვუპასუხე.

-ანუ გამოუტყდი? ანუ უთხარი რომ გიყვარს? და რა გიპასუხა?

-მე... ისე არა და არც მე მითქვამს, მაგრამ მიმახვედრა, - დავიბენი.

-რაო? - აშკარად ნინიც დავაბნიე.

უცებ ლიზამ მიახალა:

-შენ ის უნდა გენახა სერგის ორმოცზე რა სახე ქონდა რო გაიგო რო მეგიც იქ იყო! - უხერხული სიჩუმე ჩამოვარდა. ჭიქების ერთმანეთზე მიხლის ხმაღა გაისმა, როცა შემთხვევით ხელიდან დამისხლტა. ლიზა მიხვდა რომ ისევ უადგილო თემას შეეხო და სისულელე "წამოაყრანტალა" და ნინის მოუბოდიშა.

-არაფერია ბიძაშვილო, - მშიდად მიუგო გოგომ და ცხელი შოკოლადი მოწრუპა.

-მოდი ნიკას დავურეკავ, დავპატიჟოთ.

-გოგო სულ გაუბერე? მერე მამაშენი? - გაიკვირვეს, - მგონი ამდეეი არ უნდა დაგელია შენ ერთჭიქიანი ხარ.

ფეხზე წამოვდექი, თავბრუ მესხმოდა. გამეცინა.

-აჰ, არა ის დღეს სახლში არ მოვა. დავურეკავ.

ტელეფონს ხელი დავავლე. ზარი გავიდა... გავიდა, მაგრამ ყურმილი არავინ აიღო.

-როგორც ჩანს, - მოვიღუშე.

-რა?

-ალბათ სამსახურშია, დაივიწყეთ. რამეს მოვუსმინოთ უკვე, არა?

გოგონებმა ფლეილისთის არჩევა დაიწყეს, მე კი მას ჩუმად შეტყობინება გავუგზავნე. მხოლოდ ერთი სიტყვა: "ნიკა"

არც მესმოდა რას ჩავდიოდი და არც ის მახსოვს ამის მერე ტელეფონი სად მივაგდე. ცეკვა და ხტუნაობა დავიწყეთ, სახლი ზანზარებდა. ერთმანეთს ბალიშებს ვესვროდით და ხმამაღალ შეძახილებს გამოვცემდით. მერე კი როცა კიდევ ერთი ჭიქის დასალევად

ადგილებს დავუბრუნდით, იქვე ბალიშებს შორის ჩავარდნილი ჩემი ტელეფონი დავინახე, რომელიც რეკავდა, თუმცა ვერ მოვასწარი და ნიკას მეთვითონ გადავურეკე ხელახლა. ეგრევე მიპასუხა. ჩამეცინა.

-მეგი კარგად ხარ? - შემეკითხა შეშფოთებული ხმით.

-ჯერ-ჯეროობით, - ზლაზვნით ვუპასუხე და ფანჯარას გავხედე, - ახლა ხომ ცაზე მზის სხივებია! ჰო, ჰო, ხოდა რატომღაც ახლა მოუნდა წვიმას გადაღება...

კიდევ ბევრი სისულელე ველაყბე. აღარც მახსოვს. მხოლოდ ის ვიცი რომ მას ჩემთან მოსვლას ვეხვეწებოდი. რომ გავუთიშე და ოთახში შევბრუნდი, გოგონები უკვე გათიშულიყვნენ ჩემს ლოგინზე. გამეცინა. მუსიკები გამოვრთე. მე დაძინება არ მინდოდა, მე ნიკას ნახვა მინდოდა. გამოსაფხიზლებლად აბაზანაში შევედი. ცხელი წყლის შხეფების ქვეშ ვფიქრობდი ცხოვრების სასწაულებზე და მაინც ვერ ვაანალიზებდი მთლიანად ასეთ მოკლე ხანში როგორ შეიცვალა ჩენი ურთიერთობა. ნიკას ის უაზრო აკვიატებები რომ უნდა მომკვდარიყო, რომ არაფერს წარმოადგენდა ამ ცხოვრებაში, მისი საზიზღარი მიდრეკილება ნარკოტიკებზე... და გამახსენდა დიდი ხნის წინანდელი ჩემი და მისი დიალოგი როცა ჯერ ისევ იმ საშინელი მიზნისკენ იღწვოდა. სერგის ამბავის მერე ყველანაირად ვცდილობდი მის გვერდში დგომას. ეს ყველაზე საშინელი დრო იყო ჩემს ცხოვრებაში. მეშინოდა, ძალიან მეშინოდა, თუმცა ყველანაირად ვცდილობდი ეს შიში ჩემში ჩამეხშო, რადგან შიშის დრო საერთოდ არ მქონდა. მოქმედების დრო მქონდა მხოლოდ. მე ყველაფერს ვაკეთებდი რომ ნიკა გამეღიმებინა მაინც და ერთად შესასრულებელი საქმეების სიაც კი მქონდა ჩამოწერილი, რომლებთაგანაც მაშინ ძალიან ბევრი მხოლოდ ჩემი ოცნება იყო და მეტი არაფერი. ამ სიით ხომ ჩენ დღეს ვხელმძღვანელობდით. საოცარია, არა?

***

-ოხ ადამიანო, რით ვეღარ შეიგნე რომ შენ ერთადერთი ეშმაკი ხარ შენს ჯოჯოხეთში და ერთადერთი ანგელოზი შენს სამოთხეში სამუდამოდ?

აღმომხდა სამების კიბეებზე მოკალათებულს. გუმბათს ავხედე. შევეცადე ღრმად მესუნთქა და ხედით დავმტკბარიყავი, რომ ამჯერად მდგომარეობიდან აღარ გამოვსულიყავი. რა თქმა უნდა ვიცოდი რომ ნიკა ამ ჯერადაც ყველაფერს გააფუჭებდა. ცა სუფთა იყო და კამკამა. მზის სხივებს სახეზე მოლამუნების უფლება მივეცი და თვალები დავხუჭე.

-ეგ რაღას ნიშნავს, რა უცნაური ფრაზებით მელაპარაკები ყოველთვის? - დაიბნა ნიკა. ოდნავი გაღიზიანებაც შევატყე. ისევ. თვალები გავახილე და მივუგე:

-არა, მე მხოლოდ იმას ვამბობ რომ სიკეთე და ბოროტება ყველა ადამიანშია თანაბრად, უბრალოდ შენ უნდა აირჩიო რომელი გადაწონის. მხარეებს შენ ქმნი, გაიგე?

-და რატომ მაინც და მაინც მე? შენსავით ღმერთის გამოგზავნილი ანგელოზი ვარ თუ? გამაწყვეტინა ირონიულად. აი ისევ დაიწყო. გამაღიზიანებელი იყო უბრალოდ.

-რადგან ეს შენი სამყაროა! განა ვერ ხვდები? შენ შეგიძლია სიბოროტის ჩახშობა შენში თუ მოინდომებ. ეს ყველას შეუძლია! არ მისცე ბოროტებას უფლება დაგეუფლოს და ნელ-ნელა მთლიანად გშთანგთქოს. ღმერთო ჩემო, ასეთი ძნელია უბრალოდ სუფთა ჰაერი ჩაისუნთქო, გაიღმო და თქვა "რა კარგია რომ ცოცხალი ვარ?", ასეთი ძნელია უბრალოდ თვალები გაახილო და დაინახო ყველაფერი კარგი რაც სიცოცხლეშია? მე მძლს სიკვდილი! ვერ ვიტან! გთხოვ, ნუ მოკვდები რა... იცოცხლე ჩემთან ერთად! შენ იმაზე ძლიერი ხარ ვიდრე ეს არის.

უბრალოდ მომენტი დაიჭირე. მომენტი, როდესაც გაიაზრებ რომ შენ ამ ყველაფრის გადალახვა შეგიძლია და მერწმუნე, ეგ მომენტი საუკეთესო იქნება შენს ცხოვრებაში და ეგ გრძნობა მთელი შენი სიცოცხლის განმავლობაში გემახსოვრება, სამუდამოდ!

***

ჩემი და ნიკას ურთიერთობა გამუდმებით იცვლებოდა. ალბათ ეს არ გვაძლევდა მოწყენის საშუალებას არც ერთს. ბოლო დროს ერთად ძილს დავეჩვიეთ. პირველად იმ ღამეს გვეძინა ჩემი მისაღების დივანზე, როცა მომაკითხა. მე ისევ მტკიოდა თავი, მაგრამ მას რომ ვხედავდი მაინც მეღიმებოდა. იმ ღამეს ძალიან გამახარა. მითხრა რომ ექსტერნებს გადააბარებს იქით წელს ჩემს სკოლაში გადმოიტანს დაბუთებს. არაუშავს ამასაც შევძლებთ. სექტემბრამდე ყოველ დღე ვამეცადინებ და რამე იქნება. ლადომ ისევ რაღაც ახალი პროექტი წამოიწყო და ხშირად სახლში არ არის. ამის გამო ნიკას ნახვა საერთოდ არ მიძნელდება. ჩემს პირველ გადაღებაზე გამოყოლაზე დავითანხმე და ერთად წავედით სტუდიაში. ზედმეტად ვღელავდი მაგ დღეს. მთავარი არხის ოფისი უზარმაზარი იყო. მინის კედლები გადაცემის ოთახებს გამოყოფდა და თითოეულს თავისი წარწერა ჰქონდა. კიდევ უამრავი კაბინეტი იყო და ჩაბნელებული დარბაზები თავისი სკამებით, მათ პირდაპირ კი პატარა სცენა, რომელსაც უამრავი მოწყობილობა ანათებდა. "სტალკერის" ოთახი ძალიან ლამაზად იყო მოწყობილი. როგორც კი შევედით სიხარულისგან ხტუნაობა დავიწყე. არ მჯეროდა რომ ეს ყველაფერი მართლა ხდებოდა. სასიამოვნო აურა იდგა, ყველა კუთხეში ფერად-ფერად სუვენირებსა თუ სოციალური ქსელების ლოგოებს მოკრავდი თვალს. დიდ თაროებზე შიგადაშიგ პაწია კაკტუსის ქოთნები, უამრავი თანამედროვე წიგნი, დინამიკები და ყურსასმენები შემოეწყოთ. ერთიორ ადგილას " one direction"-ისა სა "imagine dragons"-ის პისტერსაც კი მოვკარი თვალი. შესანიშნავი იყო უბრალოდ. მართალია ჩემი ოთახი ფერიების ქვეყანას უფრო ჰგავდა, ვიდრე ნებისმიერი დანარჩენი ჩვეულებრივი თინეიჯერი გოგოს ოთახს, უამრავი პოსტერითა თუ ნახატით, მაგრამ ესეც ძალიან მომწონდა. შესაძლოა როგორც ნიკამ თქვა მართლაც ფერიაც ვიყავი და განგსტერიც ერთდროულად. ამის გახსენებაზე გამეცინა, მაგრამ თავი იმით დავიძვრინე რომ მალევე მოვკარი თვალი ჩემსკენ გამოქანებულ მაჩოს. რომ დამინადა გამოიქცა, ჩამეხუტა და ამაფრიალა.

-ეს დღეც დადგა გოგონი!

-ეს დღეც დადგა, - გამოვაჯავრე და ამაყად გადავხედე. გამიღიმა, ხელი დამავლო და გასახდელისკენ გამაქანა. ნიკასთვის ხელის დაქნევა ძლივს მოვასწარი, რომელიც მაყურებელთა რიგში თავისთვის იდგა. ჰაერში კოცნა გამომიგზავნა. ეს რომ დავინახე ფეხი რაღაცას წამოვკარი და კინაღამ ნინას ზედ არ შევასკდი.

-მეგიი, უკვე მოხვედი?

-ამ, მე... დიახ, გამარჯობა ქალბატონო ნინა.

-ისე რაღაცას გეტყვი და ჩვენს შორის დარჩეს, მოდი ეს ფორმალობები არ გვინდოდეს. რო იცოდე შენზე ხუთი წლით დიდი ვარ მხოლოდ, - გადმომჩურჩულა და თვალი ჩამიკრა, - აბა შენ იცი.

სანამ რეაგირების მოხდენა შევძელი მაჩომ გასახდელიდან მიღრიალა, გოგო რას აკეთებ დაგვაგვიანდებაო. ამაზე მე და ნინას გულიანად გაგვეცინა. მერე წარმატებები მისურვა და ერთმანეთს დროებით დავშორდით.

გასახდელი. სწორედ ისეთი იყო, როგორიც ჩემს ოცნებებში. ნათურებიანი სარკეები, მაკიაჟის მთელი კოლექცია და ნაირ-ნაირი ტანსაცმლის საკიდები. იქაურობა ბრჭყვიალების გროვას წაეღო. ამდენმა სიდიადებ უცებ თავბრუ დამახვია, მაგრამ როგორც კი ოთახში ფეხი შევდგი ამოსუნთქვაც კი არავინ მაცადა, ეგრევე დამესივნენ მთელი კოლექტივი. თავიდან შეშინებულმა წამოვიყვირე კიდეც რა ხდება მეთქი. ამაზე სარკის წინ მჯდარმა გოგონამ ჩაიცინა. თვალი მივუშტერე და თავიდან გავიფიქრე კიდეც საიდან მეცნობა თქო, სანამ ჩემაკენ არ გამოიხედა და გაკვირვებისგან კინაღამ გონი არ დავკარგე.

-რუსკა ქარქაშაძე?

მივუახლოვდი და მის გვერძე სარკესთან მდგომ სკამზე ჩავენარცხე.

-ხო, მე ვარ მე, - გაიცინა რუსკამ და ტუჩსაცხის კიდევ ერთი პირი გადაისვა. მოშიშვლებული მხრები მოხდენილად გადაეშალა და თავის შავ ბრჭყვიალა კაბას ამაყად დაჰყურებდა. მერე წამოდგა, წელში გაიმართა, კაბა გაისწორა და სარკეში ჩაიხედა, - მიდი დროზე ჩაიცვი. დანარჩენები უკვე მზად არიან, მალე დაგვიძახებენ.

-შენ? ჩემთან ერთად? - სიტყვებსაც ვეღარ ვარჩევდი უკვე, - წინაზე რომ არ იყავი?

-წინაზე გადაღებები მქონდა, მაგრამ არაუშავს, სამაგიეროდ მეგი ხარ. ლამაზი და წითური. ესეც საკმარისია.

-შენი აზრით მე ლამაზი ვარ?

-კი, ფერიას მაგონებ, რაღაცნაირი ხარ.

-მმ..მადლობა...

-კარგი, მე გავედი და ეცადე მალე მორჩე, კაი?

თავი დავუქნიე. კიდევ ერთხელ გამიღიმა და გასახდელიდან მოხდებილად გავიდა. კიდევ ვერ ვიჯერებდი წუთების წინ მომხდარს. "ეს რა ხალხში გაერიე, შე ოხერო", - ზუსტად ასე მეტყოდა ლადო, ლიზა კიდე... ლიზა საერთოდ გაგიჟდებოდა. აქ რომ ყოფილიყო თითიეულ კუთხეს დააფიქსირებდა და მერე კლასელებთან იტრაბახებდა. სანამ მაჩოს დამხმარეებმა ჩემთვის ტანსაცველი იპოვნეს, მანამდე მივავლე ჩემი ახალო ტელეფონის კამერა მთელ ოთახს და ლიზას გადავუგზავნე ინსტაგრამზე. ცოტა ხანში ჩემი ტელეფონი გასკდა კინაღამ. ტირილის ემოჯებს მწერდა და მეჩხუბებოდა მე რატომ არ წამიყვანეო. გამეცინა. მერე მაჩო მოვიდა ჩემთან და მაკიაჟის გაკეთებას შეუდგა. ტონალურის ფერს სანამ არჩევდა ჩემი საშინელი სახის ლაქების დასაფარად, მანამდე მკითხა:

-ხომ არ ნერვიულობ?

-ცოტას, - არ დავუმალე.

-ხო, თავიდან მეც ეგრე ვიყავი, რუსკა უკვე გაიცანი?

-არ ვიცოდი ამდენად პრესტიჟული გადაცემა თუ იქნებოდა.

-რა არ იცოდი გოგო, ეგ მე ვერ შემატყე? - გამინაწყენდა მაჩო, თავისი ქერა პარიკი შეისწორა და სახეზე ფუნჯი გადამისვა.

-არა, რაღაც სწორად ვერ ვთქვი, არ მეგონა ამდენს თუ შევძელბდი მეთქი.

-რუსკაც ჩვეულებრიცი გოგოა, შენ კიდევ საუკეთესო ხარ. თუ დაუმეგობრდები კარგი იქნება, ბევრ რამეს გასწავლის. კარგი გოგოა რუსკა.

-მადლობა.

-მადლობას რისთვის მიხდი გოგო?

-ყველაფრისთვის, ძალიან კარგი ვინმე ხარ.

-კაი ახლა, არ ამატირო, რა დროს სენტიმენტებია. დღეს მაგის გარეშე გაძელი როგორმე.

-კარგი, ეგრე იყოს.

მალე ჩამაცვეს ფორთოხლისფერი მოკლე მაიკა და ყვითელი შლაქსები. ტუჩსაცხიც ფორთოხლისფერი წამისვეს და თმები კოსად ამიკეცეს. ჩემს გარეგნობას და კანის ფერს ეს ფერები მართლაც შესანიშნავად შეეხამა. საკუთარი თავით კმაყოფილი ვიყავი. რომ დამიძახეს უკვე დროაო, გული საგულედან ამომივარდა კინაღამ. ისიც ვიფიქრე გადაღება ხომ არ გადავადებინო მეთქი, მაგრამ როგორს კი სტუდიაში ავედი და ყველას გადავხედე მათ შორის ნიკას, რომელიც კამერების მხრიდან გაღიმებული შემომცქეროდა, ყველა შიში მაშინვე გამიქრა. წარმოვიდგინე როგორ იამაყებდნენ ჩემით ჩემი საყვარელი ადამიანები და როგორი ბედნიერი იქნებოდა ახლა დედა. ემოციების პიკზე ვიყავი. ეს შეგრძნება საოცრად მომეწონა. ეს ადრენალინი რაღაც განსხვავებული იყო. ეს თავდაჯერებულობა, რომელსაც პირველად ვგრძნობდი... წარმოვიდგინე რომ შესაძლებელი იყო მთელს საქართველოს გავეცანი, ჩემი არსებობის შესახებ გაეგოთ მათ, შემეძლო ჩემი ხმა მათთვის მიმეწვდინა, უამრავი ახალი იდეა ჩამენერგა ჩემხელა ბავშვებისთვის და დავხმარებოდი ამ ასაკიდან მშრალად თავის დაძრომაში მათ. ეს ხომ თავიდანვე ჩემი მოწოდება იყო... ახლა უკვე ვხვდებოდი თუ რატომ მოვევლინე ასე სასწაულად ამ ქვეყანაზე. როგორც უკვე ვთქვი ადრე, ეს აუცილებელი იყო. ამაშიც დევს რაიმე კარგი. მე ჩემი დანიშნულებები გამაჩნდა. დანიშნულებები, რომლებსაც აუცილებლად მოვიხდიდი.

არაფერი არ გამჭირვებია. თავიდან ჩვენი გაცნობა იყო მხოლოდ. რიგ-რიგობით გავაცანით თავები ერთმანეთს და ჩვენს ინტერესებზე, სანაცნობო წრეზე, გემოვნებაზე, ჰობზე თუ კარიერული წინსვლის სამომავლო გეგმებზე მოვუყევით. სულ ხუთნი ვიყავით. მე, დავითი, ლუკა, მარიამი და რუსკა. ყველამ ბევრი ვიცინეთ, როცა ჯერი რუსკაზე მიდგა.

-რავიცი, აქეთ ხომ არ შეგეკითხოთ რომელი ფერი მიყვარს და რა სტილის მუსიკას ვუსმენ? - ჩაილაპარაკა მან. ერთი პერიოდი სულაც გადამავიწყდა რომ ხუთი კამერა მაფიქსირებდა ერთდროულად. თავი პირველად ვიგრძენი ყველაზე კომფორტულად. საბოლოოდ სასიამოვნო გადაცემა შედგა. ჩვენით ყველა აღვრთოვანებული დარჩა, მათ შორის მეც. დასასრულს დავინახე ნიკა ტაშს როგორ მიკრავდა. ამაზე დიდი ბედნიერება მემგონი არც არსებობს. ესეც ასე. მე ეს შევძელი!

ნიკა

კატო საავადმყოფოდან გამოწერეს. თაზოს დავპირდი დავურეკავდი და კატოს სანახავად ერთად წავიდოდით, მაგრამ ეგ ტიპი არასანდოდ მეჩვენებოდა. მეგიზეც ისე უბრალოდ დაიწყო საუბარი, თითქოს ის მართლაც რიგითი გოგონა ყოფილიყო და მეტი არაფერი, თუმცა მაინც იყო რაღაც საეჭვო მის სიტყვებში - შენი კარგად მესმის, ვიცი არ გსურს რომ მეგის რამე დაუშავონო. რას ნიშნავს ჩემი კარგად ესმის? ეს მას საიდან უნდა ესმოდეს, თუ რა თქმა უნდა... მასაც ვინმეთი არ ემუქრებიან! ნაბიჭვრები!

დავფიქრდი. თაზოს საუბრიდან კიდევ რაიმე მნიშვნელოვნის გახსენება ვცადე, მაგრამ მხოლოდ ის გამახსენდა, რომ მხატვარი იყო და უმთავრესი, რომ ახლა ეტაპებიც რაუნდებათ იყოფა. და ეს ყველაფერი მხოლოდ ჩემი წამოსვლის შემდეგ? ისეთი შთაბეჭდილება რატომ მრჩებოდა რომ ისინი ჩემს მერე ამ საქმის გაწელვას ცდილობდნენ? მაგრამ მე? მე ხომ არ ვიყავი ამ ყველაფრის მთავარი ფიგურა და რატომ იყვნენ ჩემზე ასე ძალიან ჩაციკლულები? თუ მე ვხდებოდი პარანოიკი და ეს ჩემს წამოსვლასთან არაფერ შუაში იყო? არ ვიცი, მაგრამ როგორც არ უნდა ყოფილიყო ეს მიიცდიდა. პირველ რიგში როგორღაც უნდა გამეგო თითო ეტაპში რამდენი რაუნდი იყო. ასე საბოლოო დღის დადგენას შევძლებდი. მაგრამ ეს როგორ მექნა... ხო, და ასევე უნდა გამერკვია ამ თაზოს გამოჩენა ჩვენს ცხოვრებაში ავის მომასწავებელი იყო თუ კარგის. კატოს კორპუსს რომ მივუახლოვდი, თავი უცნაურად ვიგრძენი. მისი სახლი გლდანში, კერძოდ მუხიანის IVბ მიკრო რაიონში მდებარეობდა. თუ სწორად მოვედი, მაშინ მესამე სართულის პირველივე კარზე უნდა დამეზარუნებინა. თავი დავიზღვიე და ქალბატონ ნატას გადავურეკე კართან ვდგავარ მეთქი. გზად მეგის საყვარელი ყვავილები - გვირილები ვიყიდე. თავს საშნლად ვგრძნობდი იმის გამო რომ მეგის ზურგს უკან ვმოქმედებდი, მაგრამ ძლივს უწინდებურად ბედნიერი იყო. ამ ბედნიერებას ხელმეორედ ნამდვილად ვეღარ წავართმევდი. გადავწყვიტე ყველაფერი მარტოს გამომეძიებინა და თუ საჭირო გახდებოდა საყვარელი ადამიანების სიცოცხლის გადასარჩენად სისხლის ღვრაზეც წავსულიყავი. ეს ასე უბრალოდ არ შერჩებოდათ.

ნატამ კარები გამიღო, თაიგული ღიმილით გამომართვა და სახლში შემიპატიჟა.

-მოგესალმებით, - რაც შემეძლო მოკრძალებით მივუგე. მართლა ვნერვიულობდი.

-შემოდი, შემოდი ჩემო ბიჭო, აი აქ დაჯექი.

დივანზე მოვკალათდი. კატოს თვალებით ძებნა დავუწყე.

-აქ არის? - ვუჩურჩულე.

ქალმა თავი ნელა დამიქნია და ისევ გამიღიმა, თუმცა საზეზე აშკარა შიში ესახებოდა ამ ღიმილის უკან. ეს ბუნებრივი იყო. სიჩუმე ჩამოვარდა. ამ დროს ოთახში დაცემის ხმა გაისმა. შევხტი. ნატას რეაქცია არ ჰქონია, ისე თითქოს ასეთებს შეჩვეული იყო. მერე ოთახის კარი ნელა გაიღო და იქიდან კატო გამოვიდა. თეთრი გრძელი ხალათი ეცვა ცისფერი ზოლებით. თავზეც თეთრი თავშალი ეკრა, ბიჭურად შეჭრილი თმა რომ დაემალა როგორმე. პირსინგი მოეხსნა, თვალთან მიხატული ის პატარა ვარსკვლავიც წაეშალა. ცალ წარბზე ბინტი გადაეკრო. ტუჩები გამომშრალი ჰქონდა, სახეც პერანგის ფერი გახდომოდა. ახლა ეს უფრო შემზარავ სანახაობად მომეჩვენა, ვიდრე ბნელ ოთახში მაკრატლით ხელში იმ დღეს. შევძრწი. თავიდან ვიფიქრე ხომ დამდვილად კატოა მეთქი, თუმცა როგორც კი ჩემი სახელი შეჰყვირა და ჩემსკენ ჩასახუტებლად გახარებული გამოემართა უცებ მოვედი გონზე და გული გამითბა. ოდნავი მორიდების გრძნობაც კი არ გასჩენია, მიუხედავად იმისა რომ ცხოვრებაში პირველად მხედავდა. წარმოიდგინეთ, ჩემში ეჭვი არც ერთხელ შეჰპარვია, არც კი შეშინებია, უბრალოდ თითქოს იქ მის სახლში ჩემი დანახვა წარმოუდგენლად ეჩვენებოდა.

-ვერ ვიჯერებ რომ მოხვედი. ხომ მართლა შენ ხარ?

-კატო გამარჯობა, მიხარია რომ კარგად ხარ, - სიტყვა "კარგად" ზედმეტად ძალდატანებით წარმოვთქვი.

-გამარჯობა ნიკა, - თვალებში მომაშტერდა კატო. ამ დიალოგმა ჩვენი გაცნობა მომაგონა. ნატამ ცრემლები მოიწმინდა და სასმელი შემომთავაზა.

-არა, გმადლობთ.

ვუთხარი.

-რას ქვია არა გმადლობთ, - შეჰყვირა კატომ - მაცივარში ლუდი ხომ გვაქვს დედა? ნიკას ლუდი უყვარს.

-რაგინდა, საღ ჭკვაზე ყოფილხარ კატიუშ, - მხარზე ხელი წავკარი. უხერხულად შეიშმუშნა და პერანგის საყელო გაისწორა. ახლა მივხვდი რაც ჩავიდინე და ბოდიში მოვუხადე. უბრალოდ მას ძალიან ახლო მეგობრად აღვიქვამდი. რაღაცნაირად სერგისაც კი მაგონებდა. კატომ ჩემი მობოდიშება გაატარა.

-ახლაც კი ხუმრობის ხასიათზე ხარ?

-რატომაც არა, სხვა რა შემრჩება... რაო, მართლა გაგაგიჟეს იმ გიჟებმა, არა?

-აუ, ეგ განდეგილები, ნუ მკითხავ... ისე რადროს ესაა, - ჩემსკენ გადმოიხარა და გადმომჩურჩულა, - შენ ის მითხარი როგორ გადარჩი, უკვე მორჩენილი არ უნდა იყოს?

-ნწ.

-როგორ თუ ნწ, წესიერად მიპასუხე.

-არა, მორჩენილი არ უნდა იყოს, წესით ცოტაღა უნდა ეკლდეს, მაგრამ ამას არანაირი მნიშვნელობა აღარ აქვს, მე წამოვედი.

კატოს სახე უარესად გაუფითრდა და თვალები განზე გაუხტა. ერთხანს ენაგადაყლაპულივით მიყურა, მერე კი გაიცინა, - აჰ, კარგი იყო.

-კატო, მართლა წამოვედი.

უცებ სახე დაუსერიოზულდა და აგრესიულად მკითხა:

-რანაირად?

-აი ასე, ავდექი და წამოვედი, მაგრამ - დავაპირე მეგიზე და იმ მუქარის შემცველი ესემესების შესახებ მეამბა, - ერთი გოგოა...

-აი თურმე რა, - გამაწყვეტინა და უფრო ახლოს მოიწია ჩემსკენ, -გახსოვს რომ ჩემთან ერთად უნდა დაგეძინა და აღარასოდეს გაგეღვიძა? ტრაგიკული სიყვარულის ისტორია! შენ

კი გაიგე რომ კატო გაგიჟდა და უეცრად გამცვალე სხვაში! დამიკიდე... ის მაინც მითხარი როგორია, ლამაზია?

ოჰაა! ყველაფერი ცუდად წავიდა. არა, მაგაზე უფრო ცუდად! ტრაგიკული სიყვარულის ისტორია? რას ნიშნავს ტრაგიკული სიყვარულის ისტორია, ამაში მე სიტყვა ტრაგიკულის გარდა ვერაფერს ვხედავდი. არ მჯეროდა რომ ამაზე კატოს ასე წარბშეუხრელად დავთანხმდი ერთ დროს. რაზე ვფიქრობდი საერთოდ?

-კატიუშ, კარგი რა, ახლაც კი ისევ მაგაზე ლაპარაკობ? - შევეცადე ჩემივე გაჩმახებული საქმე ტრაკიდან მევე ამომეძვრინა, - თანაც მე შენ ყოველთვის მეგობრად გთვლიდი და არც არასდროს მომიტყუებიხარ. მაგას მართლა ვაპირებდი, დამიჯერე. მაგას მართლა ვაპირებდი.

-მაგრამ, მთავარი სიტყვაა აპირებდი.

ნატამ ლუდი მოიტანა.

-დედა შეგიძლია მარტო დაგვტოვო?

-არა იყოს... დაგვჭირდება.

-დაგვჭირდება? ნიკა, ის მე ტელეფონს არ მაძლევს რამე უთხარი.

-კატო იცი რომ თავს იქამდე არ გამანებებენ სადამ თამაშში არ დავბრუნდები?

თითქოს სიტუაციის განსამუხტად ვთქვი, სინამდვილეში ყველაფერი ავურიე.

-მერე მაგას რა სჯობს? - ტაში შემოჰკრა, მერე დედამისს შეუბღვირა, - დამიბრუნე ტელეფონი და ერთად დავბრუნდეთ.

-თუ ღმერთი გწამს შვილო!

ნატამ თავი ველარ შეიკავა. შეუმჩნევლად ვანიშნე გაჩმებულიყო და ისიც უხმოდ დაუბრუნდა თავის ადგილს. როგორც ჩანს მენდობოდა. ამის გააზრება სასიამოვნო რაღაც ჩანდა. მე ადამიანი მედნობოდა. მის ბედს მანდობდა და ჩემი სჯეროდა. ახლა როგორმე თავადაც უნდა დამეჯერებინა და მერწმუნა საკუთარი თავის.

-კატო, ახლა კარგად მომისმინე, ეს თავის მოჩვენება საჭირო არ არის. ყოველ შემთხვევაში, აღარაა. მე გიცნობ და იცოდე, მე თუ ვერა ამ სატანისტებს თავს შენ მაინც დააღწევ, გასაგებია? ახლა არავინ გვისმენს სხვა, მე უკვე ყველაფერი ვიცი და ეს მხოლოდ შენი წყალობით. ვიცი რომ იმ დღეს ჩემთან დარეკვა და თმის შეჭრა თამაშმა დაგავალა, ისიც ვიცი რომ ჩემს გაფრთხილებას ცდილობდი, ხოდა გამოგივიდა კიდეც. შენ რომ არა, ალბათ ვერასოდეს მივხვდებოდი. ცხოვრების ბოლომდე ვალში ვარ შენთან. და რა შემიძლია შენთვის გავაკეთო, თუ არა გადაგარჩინო? ძალიან გთხოვ, მომეცი უფლება, თანაც, - მერე ნატაზე ვანიშნე, - მან იცის...

კატოს ტუჩები მთლიანად აუთრთოლდა და ლუდის ბოთლს გადასწვდა.

-როგორ? როგორ უნდა გავიგო რომ ეს ყოველივე შენი მორიგი დავალება არაა? - მკითხა ხმის კანკალით. და ლოგიკურიც იყო

ესეც ასე, როგორც ჩანს მისი გატეხვა მთლიანად თუ ვერა, ნახევრად მაინც შევძელი. ახლად დაწყებული ცდის კვალობაზე კი ცუდი ნამდვილად არ იყო.

-როგორ და... აი ასე, - ჯიბიდან ტელეფონი დავაძვრინე და რამოდენიმე შეტყობინება ვაჩვენე, მათ შორის;

"დაუბრუნდი თამაშს, თორემ თვითონ დაგიბრუნდება ის"

-ახლა გჯერა?

-ყველას შეეძლო ასეთი შეტყობინების მოწერა შენთვის, აი ნახავთ, მაინც დავბრუნდები თამაშში. ჯერ არ ვიცი როგორ, მაგრამ ყველაფერს ვიღონებ.

-კატო, - შეეკამათა გოგოს დედა და კალთაზე გაფითრებული ხელები მშვიდად დაინარცხა. ყოველ ხუთ წუთში ერთხელ გოგონას სინანულით უცქერდა და ნერვულად ტუჩებს იკვნეტდა. ის იყო დედა. დედები შვილებზე ნერვიულობენ და ეს ყოველთვის ასეა. შეიძლება მე და დედაჩემი შაბათ-კვირას ერთად ცხელი ჰოთ-დოგის საჭმელად ვერ დავდიოდით და არც კარგი მეგობრები ვყოფილვართ არასდროს, მაგრამ საქმე საქმეზე რომ მიდგა, როცა ყველაზე ხმამაღლა ჩამოჰკრა ჩემთან გასაჭირის ჟამმა, ის ჩემს გვერდით აღმოჩნდა. მან ჩემს გამო თავი გასწირა. ლალი ჩემს გამო ციხეში ჩაჯდა. ნატამ კატოს გამო სამსახური მიატოვა. ის კარიერა დაანგრია, რომელსაც წლები სიმწრით აშენებდა და ესეც მხოლოდ და მხოლოდ მისი ერთადერთი ქალიშვილის გამო ხდებოდა. ქალს ღამეების გათენება იმისთვის უწევდა რომ კატოს კარგი მომავალი ჰქონოდა, მან კი რა გააკეთა...

-კატიუშ, კარგი რა, შემომხედე ოდესმე მომიტყუებიხარ, ჰა? - რაც შემეძლო გულწრფელი ვიყავი მასთან, - ნუთუ ჩემი გულწრფელობა შენთვის არ კმარა?

კატოს ცრემლები წამოსცვივდა და თავი სწრაფად გააქნია. ზურგი მაქცია და ხელები მკლავებზე შემოიჭდო.

-კატიუშ...

-ჩემთვის ასე დაძახების უფლება აღარ გაქვს!

ასეთი რა დავუშავე? მე ხომ მხოლოდ მისი გადარჩენა მინდოდა... მეგი მართალი ყოფილა, ცხოვრება მართლაც ბუმერანგი აღმოჩნდა, რაც მად დავმართე, ზუსტად იგივეს გადატანა ახლა თავად მიწევდა. მწარე ყოფილა, როცა რაღაც ყველაზე მეტად გინდა, მისი დაუფლების საშუალებას არ გაძლევენ. მწარე ყოფილა, როცა ზურგს გაქცევენ და შენთან საუბარი არ სურთ, როცა უხეშად გესაუბრებიან და გაგდებენ. როცა დახმარების გაწვდილ ხელს საკუთარს არ სჭიდებენ და უბრალოდ დანებებას გაიძულებენ. ახლა უკვე დავრწმუნდი რომ აქამდე რაც სხვისთვის ოდესმე დამიშავებია, ის ყველაფერი მომავალში აუცილებლად მელოდა მე. ეს ცხოვრების სამართლიანობა იყო და... და ღმერთის სამართლიანობა! მიუხედავად იმისა, რომ დაბადების დღიდან მთელი თვრამეტი წლის გაბმავლობაში ვგმობდი მას, მიუხედავად იმისა რომ უკვე მილიონჯერ მაინც ვუარყავი და უკუვაგდე, მისგან ბოძებული შანსი არ გამოვიყენე და მის გზებს უამრავჯერ გადავუხვიე, ის მაინც ჩემთან აღმოჩნდა როდესაც პირველად ვთხოვე დახმარება. როგორ შემეძლო ღმერთის აღარ მეწამა, სანამ მეგის სუფთა თვალებს შევყურებდი და მის სიწმინდეს ვაღიარებდი. განა როგორ შემეძლო...

-კატო, ნუ ბავშვობ ძალიან გთხოვ, მე ხომ მხოლოდ შენი დახმარება მინდა, მეტი არაფერი. აქამდე ვინმეს დახმარება არარსებულად მეჩვენებოდა, ჩემთვის გვერდში დგომა, სხვისი დარდის გაზიარება ეს... ეს უცხო იყო. ვერ წარმომედგინა როგორ უნდა მოგეკლო შენთვის რაღაც და სხვისთვის მიგეცა, როგორ უნდა წასულიყავი რისკზე და სრულიად უცნობი გადაგერჩინა... ამას ვერასოდეს წარმოვიდგენდი მაშინ. მაგრამ ახლა... გამოგიტყდები, როცა ისევ დაგირეკე და დედაშენმა მიპასუხა, - ნატას გადავხედე. მან მკრთალად გამიღიმა, - საშინელება ვიგრძენი როცა მეგონა რომ დაგკარგე, - კატო ჩემსკენ შემობრუნდა, - მაგრამ აღმოჩნდა რომ შანსი კიდევ არსებობდა და გადავწყვიტე მისთვის ყველაფერი მომეყოლა. ეს რომ გავაკეთე კი, იცი რას მივხვდი? მივხვდი რომ შესაძლებლობა მქონდა გადამერჩინე. ის სევდიანი, ჩაკეტილი გულთბილი გოგონა გადმერჩინა, რადგან შენში ნაპერწკალს ვხედავდი. ეს კი არ მივლიდა. როცა მივხვდი რომ ნიკა კატოს გადაარჩენდა, როგორ გითხრა... თავი გმირი მეგონა, ხვდები?

-ესეიგი მხოლოდ საკუთარი ეგოს დასაკმაყოფილებლად გინდა ჩემი გადარჩენა?

-არა, არა, არასწორად გამიგე, ეგო არაფრ შუაშია. კმაყოფილებას იცი რა დროს იგრძნობ? როცა ერთ დილას გაიღვიძებ და მიხვდები რომ შენ ამის გადალახვა შეძელი და ყველაფერი გამოგივიდა, - უნებურად გავიმეორე მეგის სიტყვები.

-ანუ, ამის გაკეთება მართლაც ჩემს გამო გსურს? - ჩამეკითხა ეჭვმორეული ხმით. ვიგრძენი რომ მიზანს ვუახლოვდებოდი.

-რა თქმა უნდა! შენ ხომ ასეთი საოცარი ხარ. ყველა იმსახურებს მეორე შანსს კატო.

-კარგი, ვთქვათ დაგთანხმდი. ამას როგორ იზამ? რამე გეგმა გაქვს?

-როგორ და... ვიტყვით რომ მოკვდი. აი ასე. ისედაც ყველას მკვდარი გონიხარ თაზოს გარდა.

-რა? თუ ასეა ისიც გააფრთხილე. ან კიდევ არ გააფრთხილო უთხარი რომ მე მოვკვდი, რომ წინა კვირას დამკრძალეთ და თუ საჭიროა ჩემი ყალბი საფლავის ქვაც დადგით, რამე ცერემონია ჩაატარეთ ან არ ვიცი. ყველაფერი, ოღნდ გადამარჩინეთ...

ესეც ასე. არ შევმცდარვარ. ამჯერად მაინც

-შენ იცნობ თაზოს? - მკითხა მერე.

-ცოტა ხნის წინ ჩემთან იყო მოსული.

-ნიკა, უეჭველი მათ გამოგზავნეს.

-ვიციი, ვიცი, ნუ გეშინია ისიც წამოვა. წამოვა და ჩვენს მხარეს იქნება, აი ნახავ.

-და რომ არ იყოს? ყველას რომ უთხრას რომ გადავრჩი? იცოდე იტყვის...

-ასე სერიოზულადაა საქმე? გისნენთ და გული გამიხდა ცუდად...

გვკითხა ნატამ.

-თანაც როგორ სერიოსულად დედა. იცით? ბევრი მათ სატანისტურ ზეწოლებს ვერ უძლებს, - წამოენთო კატო. მასში ის სადღაც გადაკარგული იმედის ალი დავინახე, რამაც უფრო მეტი მონდომება მიბოძა, - ორი მათგანი ნაადრევად მოკვდა. სამიც ჩემი ჩათვლით გაგიჟდა.

-მაგრამ, შენ გიჟი არ ხარ - ვუთხარი. ყური არ მათხოვა.

-იმ ორიდან ერთი ძილში გულის შეტევით გარდაიცვალა. ერთიც უკვალოდ გაუჩინარდა და ორ დღეში ძველ სახლში მისი ჩამომხრჩვალი და უკვე დამპალი გვამი იპოვნეს. წარმოგიდგენიათ რა საშინელებაა?

-ღმერთმა დაგვიფაროს, ეს რეებს ამბობ! რატო ხელები არ გამიხმება შენ ტელეფონი რო გიყიდე.

ნატამ ხეზე სამჯერ დააკაკუნა.

-განაგრძე, მომიყევი რაც იცი უმნიშვნელო დეტალიც კი დაგვეხმარება.

-გადამარჩენ? - იმედის ალი ავარვარებულ ცეცხლად გადაიქცა. გული შემიწუხდა. როგორც ჩანდა ბოლომდე შევძელი მისი გატეხვა. ახლა უკვე სამ ადამიანს სჯეროდა ჩემი. სამი ადამიანი მენდობოდა. ახლა მატო აღარ ვიყავი. თავიდანვე რომ მცოდნოდა, რომ ყველაფერი ასე უკეთესობისაკენ შეიცვლებოდა ჩემს ცხოვრებაში, მაშინ არც ვეცდებოდი თავის მოკვლას. თურმე მომენტი ყოფილა მხოლოდ. მომენტი, როცა შენთვის ყველა ბედნიერების კარი ჩარაზულია, ანდაც შენ გეჩვენება ასე. სინამდვილეში უბრალოდ უნდა დაელოდო, როდის იპოვნი გასაღებს. უნდა მოითმინო, აიტანო, დაიცადო. ამ მომენტის გადალახვისთანავე შენ მიხვდები რომ ყვრლაფერი არც მთლად ცუდად ყოფილა, რომ შენს ცხოვრებას არც მთლად ფუჭად ჩაუვლია და რომ შენც ისევე იმსახურებ ბედნიერებასა და კარგად ყოფნას როგორც სხვა დანარჩენი. როგორც თითოეული დედამიწაზე მცხოვრები. უბრალოდ მთავარია, ის ერთი სისუსტის მომენტი გადალახო და არ აქვს მნიშვნელობა რამდენ ხანს გაგრძელდება ტანჯვა, ერთ წამი, ერთი კვირა, თუ სულაც წლები... ის ტკივილი კი მომავლის ნათელი

დღეების ძალა უნდა აღმოაჩინო შენს თავში და ჩაებღაუჭო მას, ისე რომ ხრამში გადაჩეხვის საშუალება აღარ მისცეს შენს ბნელ სულს. ისე რომ დამპალ ხავსთან ერთად ოქროსი გაპოვნინოს, ისე რომ ერთ დღესაც თქვა, ღმერთო მადლობა რომ იმდენად ძლიერად ჩამთვალე, რომ ჩემთვის ამხელა განსაცდელი მოგევლინა. მადლობა რომ ჩემში ის ძალა დამანახე, რომელსაც უშენოდ ვერასდროს დავინახავდი! აი ეს მომენტია, მხოლოდ, რომელსაც ძალიან ბევრი ვერ უძლებს და მე ახლა უკვე ვიცი რომ ვინც თავის ცხოვრებას უბედური სიკვდილით ასრულებს, ის ყველაზე სუსტი ადამიანია. ის ლაჩარია და ერთ დროც მეც ვიყავი. მეგი მართალი იყო.

-აუცილებლად, - ვუპასუხე კატოს და თბილად გავუღიმე.

-კმარა, მეტის მოსმენა აღარ შემიძლია, ახლავე პოლიციაში ვრეკავ.

სადაც იყო ტელეფონს უნდა მივარდნოდა ნატა რომ მე და კატომ ერთდროულად დავიყვირეთ:

-არა! არ შეიძლება!

-დედა, წამებში აგვაორთქლებენ! გაიგე? ეს უბრალოდ ონლაინ თამაში არაა, შეიგნე. ნაცნობობა პოლიციაშიც კი ჰყავთ. რაღაც მაფიოზობანას თამაშობენ და ეგრე... როგორც ხდება ხოლმე.

-და მაინც და მაინც ბავშვები უნდა ჩაეთრიათ? ეგ ანტიქრისტეს მოციქულები, ეს რა დაგვმართეს! - თავბედს იწყევლიდა ქალი.

-კატო თუ შეიძლება განაგრძე, რასაც ამბობდი, - ლუდის ქილა გავხსენი და მოვსვი. კატოს ყური გულმოდგინედ დავუგდე.

-აი რა ვიფიქრე, აბა დაფიქრდით, თუ კი ორი მოკვდა, ორიც გაგიჟდა, მე კი თეორიულად უკვე დავიკრძალე, შენ წამოხვედი, თაზოს ბედი კი ისევ სასწორზე დევს... მოდი ჩავთვალოთ რომ ეგეც წამოვიდა. მაშინ რა გამოდის?

-რა გამოდის? - ვერ მივხვდი საით უმიზნებდა.

-ის გამოდის რომ ექვსი მოთამაშეღა დარჩა. იქნებ საბრძოლველად სულაც არ არის გვიანი?

კატო რომელიც სამი წუთის წინ დედამისს ტელეფონის დაბრუნებას საიტზე შესასვლელად სთხოვდა, ახლა მათი დამარცხების გეგმებს ადგენდა. ახლა უკვე ჩემი ეჭვები გამყარდა, სინამდვილეში სიკვდილი არავის არ სურს, უბრალოდ ჰგონიათ რომ არც სიცოცხლე უნდათ. დანარჩენი ყველაფერი უბრალოდ პატარა სპექტაკლის თამაში და საკუთარი თავის მოტყუებაა და მეტი არაფერი

-მათ გადმობირებასაც რომ შევძლებდეთ, დემონი ამ შემთხვევაში სრულიად უძლური გახდებოდა, - აგრძელებდა ის. ვხედავდი მის თვალებში გამარჯვების დაუოკებელ წყურვილს და რაც უფრო მეტი გულმოდგინებით ვუსმენდი, მით უფრო მეტად მითრევდა მისი იდეები, - თუ აქამდე ვერ დააკვირდი ის ხომ სწორედ ამ ბავშვების მეშვეობით მოქმედებს... აქ უკვე თაზო გვჭირდება. საჭიროა ერთი კაცი თვითონ სექტაში გვყავდეს. ხომ ხვდები რა, მიტან-მოტანის სერვისი და ასე შემდეგ.

-ჯაშუშს გულისხმობ?

-სხვაგვარად როგორ ვეომოთ იმას, ვისი სახეც კი არ ვიცით? დანარჩენებზე აღარ ვლაპარაკობ... უნდა ვიცოდეთ რა ხდება იქ, რომ მაგის მიხედვით ვიმოქმედოთ. თუ კი ჯერ-ჯერობით პოლიციასაც ვერ ჩავრევთ საქმეში, მაშინ საჭიროა იმდენი ვქნათ, რომ სიმართლე ხალხს ადვილად დავუმტკიცოთ. ყველას უნდა დავანახოთ რა ხდება ინტერნეტ სივრცის მიყრუებულ უბნებში! ეს ხომ საქართველოა, ქართველი ერი ნადგურდება, მომავალი თაობა თავს ისპობს... ახალ ამბებს, ამ კვირის გაზეთებს გადახედეთ, ყველა მხრიდან მხოლოდ ცუდი ისმის! ქვეყანამ რომელმაც საუკუნეების განმავლობაში ამდენ ომს

სასწაულად გაუძლო და დღემდე შემორჩა, ის ანადგურებს, ვისაც ამის შესახებ წარმოდგენაც კი არ აქვს, ვისაც წიგნიც კი არ გადაუშლია! როგორღაც ისევ უნდა შევიყვაროთ ჩვენი სამშობლო, მტრები ჩვენი უბედურების ხარჯზე არ უნდა გავახაროთ! გადატრიალება უნდა მოვაწყოთ, ნამდვილი გადატრიალება! მე ეკატერინე მეორე ვიქნები, დემონი პეტრე მესამე, სექტა რუსეთი, შენ კიდევ...

-მე კიდევ თხუნელის ცხვირი, - მივუგე და გაოცება ვერ დავმალე. კატო ნამდვილად მებრძოლი სულის პატრონი იყო.

-ვერ გავიგე?

-მე დავბრუნდები, - ვუთხარი.

-თუ შენ დაბრუნდები, შეიძლება ხელმეორედ თავი ვეღარც დააღწიო ნიკა, თაზო უფრო არ გამოდგება? ის ხომ ჯერ ისევ იქაა.

-ვერ ვენდობი მე მაგ თაზოს.

-და რატომ?

-ისე უბრალოდ. - ვერ ვუთხარი ნამდვილი მიზეზი.

-მოკლედ ეგ ჯაშუში მე ვიქნები, შენ კი ეცადე თვალებში არავის გაეჩხირო.

-სახლიდან არ გავა ნიკა, - შემპირდა ნატა.

-ხო, და კიდევ, ტელეფონს არცერთი გაეკაროთ, შესაძლოა ისმინებოდეს. მე ახლა წავალ, მოგვიანებით ისევ მოვალ რომ სიახლეები გაცნობოთ, თავს გაუფრთხილდით.

***

სახლში დაბრუნებული საწოლზე მივეგდე. თვალწინ კატოს მუდარით სავსე მზერა მედგა. ვერაფრით ვისვენებდი. ბოლოს ამდენი ხნის შემდეგ პირველად ჩავრთე ლეპტოპი და ავკრიფე:

http://killthehead9.com/

თურმე ასეა. ერთხელ თუ გარისკავ, თუ საერთოდ არ შეგეცოდება შენი თავი, ერთხელ მაინც თუ შეხვალ ამ საიტზე, მერე ვერც ვეღარასდროს დაეღწევი. ზოგი თავიდან ბოლომდე

სიამოვნებას იღებს ამით და ალბათ მეგი რომ არა, მე ერთხელაც არ შემეპარებოდა ეჭვი, არ დავფიქრდებოდი თუ რა სისულელეს ჩავდიოდი და ბოლოს როცა ზუსტად ის გადამწყვეტი მომენტი დადგებოდა, ის დღე და ბოლო წამები და მე გავიაზრებდი რომ ეს დასასრულია, სინანულის გრძნობა მანამ მომიღებდა ბოლოს, სანამ საბოლოოდ შევწყვეტდი სუნთქვას და ჩემი გულის გამალებული ფეთქვაც ერთხელ და სამუდამოდ მიწყნარდებოდა.
ყველანაირ ნარკოტიკზე გამაბრუებელი და ყველანაირ საწამლავზე მომწამვლელი იყო ის თითოეული ასობგერა რაც მე ავკრიფე, თითქოს ყოველი მისი აკრეფვისას მთელ სხეულს მისერავდნენ. თითო ასობგერა კი თითოეულ გასროლილ ტყვიას ჰგავდა ჩემი გულის მიმართულებით, მაგრამ სხვა გზა არ მქონდა. უნდა გამეგო რა ხდებოდა იქ. და გამოვიდა რომ მართლაც ის ჯაშუში უნდა ვყოფილიყავი კატოს გეგმიდან და საერთოდ ბევრი რამე ჩემს თავზე უნდა ამეღო! მინდოდა ეს განა? ეს იყო საერთოდ ჩემი მიზანი? ან იქნებ ცნობისმოყვარეობა მჭამდა და მაინტერესებდა როგორ წარიმართა ყველაფერი ან ახლა რა მოხდებოდა, რა იქნებოდა ჩემი "გაქცევის" სასჯელი, თუ საერთოდ დამსჯიდნენ...
"თუ დემონი გაბრაზდა ის სიკვდილზე უარესს დაგმართებს!"
რას ნიშნავს ეს სიტყვები? სექტიდან გამოქცევა საგიჟეთიდან გაქცევას ჰგავს! სექტა ხომ შეპყრობილი ადამიანების დაჯგუფებაა, ისევე როგორც საგიჟეთი. და იქნებ მართლაც ჩვენ ყველანი გიჟები ვიყავით? წარმოიდგინე, გსურს ამ ყველაფრისგან დაღწევა, თუმცა რაც უფრო ინდომებ, შენ მით უფრო ღრმად შედიხარ ამაში, რაც უფრო მეტად გსურს სუნთქვა, მით უფრო მეტად იგუდები და რამდენჯერაც გარბიხარ, იმდენივე ჯერზე უკან ბრუნდები, რადგან გასაქცევი არსად გაქვს. ერთხელ თუ ამოყავი თავი ამ ყველაფერი, მერე როგორც არ უნდა ეცადო, ვეღარ დაეღწევი, ისე თითქოს ობობას ქსელში ხარ გახვეული, ის კი ნელ-ნელა გიახლოვდება, იმისათვის რომ შეგჭამოს. შენ უბრალოდ ელოდები, ელოდები შენს სიკვდილს და სხვა არაფერი შეგიძლია. იცი რომ ეს ყველაფერი აუცილებლად ცუდად დასრულდება და ყოველივე დანარჩენი უბრალოდ საცოდავი მცდელობებია და სხვა არაფერი... დრო თითქოს გაჩერებულია, მაგრამ წამების ათვლის ხმა მაინც გესმის. შენს ქვეცნობიერს თითქოს მთლიანად ემართება რაღაც, თითქოს დანებებას არაფრით გაიძულებს, მაგრამ ერთადერთი რისი გაკეთებაც შენ შეგიძლია იმ წამების ათვლა, რომელიც მაგ მომენტში ყველაზე ხმამაღალი გეჩვენება და მონანიებაა. რა საშინელებაა იმის გააზრება რომ კვდები, ფიქრობ "ღმერთო არა, იქნებ გადამარჩინო? იქნებ ერთი შანსი კვლავ მომცე? სულელი ვარ... ეს არუნდა მექნა, ყველაფერი ჩემი ბრალია...არ მინდა სიკვდილი!" და შესაძლოა ეს სწორედ შენი ბოლო სიტყვები აღმოჩნდეს!

მხოლოდ აღლაღა ვხვდები, რამხელა სიკეთე გამიკეთა მეგიმ. და ახლაღა ვიაზრებ რაოდენ სასწაულად მოხდა ეს ყველაფერი. მე და მეგი თავდაპირველად შევხვდით, ისევე როგორც ჩრდილოეთისა და ბალტიის ზღვები, როგორც თეთრი და შავი არაგვი... მაშინ ჩვენი შერწყმა შეუძლებელი იყო, რადგან მზე ვერ იქცევა ღამედ და მთვარე , - დღედ. რადგან, ნათელი და ბნელი, ერთმანეთს სრულებით გამორიცხავენ. მაგრამ, ჩვენ შევხვდით და უამრავი წინააღმბისდა მიუხედავად და მათ შორის თავად საკუთარი თავისაც, მაინც გადავიკვეთეთ ერთმანეთში. მიუხედავად, ჩემი თავისთვის გაწეული უშველებელი წინააღმდეგობისა, ჩვენ მაინც ვიკვებეთ ერთმანეთის სულებით. ერთმანეთს ჩვენ-ჩვენი სამყარო შევაცანით, ტკივილისა და სიამოვნების სათვალეები გადავცვალეთ და ერთმანეთის ღრმა გულებისაკენ მიმავალი გრძელი და სახიფათო გზა გავიკვლიეთ.

და ჩვენ შეგვიყვარდა.

შეგვიყვარდა როგორც კლეოპატრას და მარკუს ანტონიუსს, როგორც ლეილასა და მიჯნუნს, როგორც ევრიდიკესა და ოვფრეოსს...

ამაზე ძლიერადაც კი შეგვიყვარდა.

გზა რომელიც ერთად გამოვიარეთ, სულაც არ იყო ადვილი გამოსავლელი და ვერც მაინცდამაინც სასიამოვნო მომავალს გვიქადდა ბედი, რადგან მე მისთვის ნაღმივით ვიყავი. ვიყავი, როგორც მოსალოდნელი უდიდესი აფეთქება, რომელსაც დიდი წითელი ასოებით აწერია: "მიახლოება კლავს!"

ის კი ამის და მიუხედავად კვლავ განაგრძნობდა ჩემს სიყვარულს. განაგრძობდა ჩემს სულში ქექვას, ჩემი განცდების წაკითხვასა და მათ გაზიარებას ისე ფრთხილად, წინასწარ მოზომილი სიდინჯითა თუ სინაზით რომ მე ვერც კი მივმხვდარიყავი, თუ როდის გადამეზარდა მეგიზე გაბრაზება ჩვევად, რომლის გარეშეც სუნთქვაც აღარ შემეძლო. მე ვერ გავიაზრე რომ ის სიგიჟეები, რომელსაც ეს გოგო თავზე მატეხდა მალე მომინდა ჩემი ცხოვრების ჩვეულებრივი ყოველდღიურობა გამხდარიყო და ვერც აღმოვაჩინე მაინც რანაირად, როდის ან როგორ გადაიქცა ჩემს თვალში ერთი ჯიუტი, აბეზარი გოგონა ქალის სილამაზის ეტალონად და სიყვარულის ქალღმერთ აფროდიტედ!

ის მართლაც ქალღმერთის მაგვარიიხვრა-მოხვრით არის დაჯილდოვებული. არ ვიცი რა დროს, მაგრამ მე ნელ-ნელა მასში ამ თვისებების დამახსოვრება დავიწყე. ზუსტად ის წამი არ მახსოვს, როცა თავს ამაში გამოვუტყდი, მაგრამ როცა ყველაფერს ფარდა აეხადა, უკვე მთლიანად მისი ზედავლენის ქეშ ვიყავი მოქცეული და მეტი არც არაფერი მაინტერესებდა. აღმოვაჩინე რომ მასზე უკვე უამრავი რამ ვიცოდი, მაგალითად ის რომ როცა ის იცინის, გეგონება ზეციდან ანგელოზთა წკრიალის ხმები იღვრება. მისი შეხება კი...მისი შეხება უბრალოდ სასწაულის ტოლფასია. ხანდახან მართლა ზებუნებრივი არსება მგონია ხოლმე ჩემი მეგი. აი განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ჩვეულებრივი რიგითი ბუტია გოგონადან, მოულოდნელად ცოცხალი ფილოსოფიის წიგნი გამოიძერწება ხოლმე. მისი ამდენი უნიკალურობა, დახვეწილობა და სრულყოფილება აღმაგზნებს. აღმაგზნებს, როდესაც ჯიუტად ამოიჩემებს ერთ რაღაცას, და მისი სისრულეში მოყვანისათვის ყველაფერზეა წამსვლელი. მხიბლავს მისი სიწმინდე, სისპეტაკე და გულუბრყვილობა. მისი უზარმაზარი თაფლისფერი თვალები, უგრძესი რკალად შემოწერილი ხშირი წამწამები და ის ღია ყავისფერი წვრილ-წვრილი ლაქები მათ გარშემო. მისი წითელი დალალები მხიბლავს, რომელსაც ყოველთვის ჰაერში გაჟღენთილი სიცოხცლის აურის, ატმის თმის სპრეისა და მსუბუქად არომატიზებული ველური თაფლის სუნამოს სურნელი უდის. ამ სურნელს ათასშიც ვიცნობ, უგონო მდგომარეობაშიც კი ვიცნობ, რადგან ვიცი ეს ის სურნელია, რომელმაც სიყვარული მასწავლა და რომელმაც მის არსებობაში სამუდამოდ დამარწმუნა.

ახლაც სწორედ ამ არაჩვეულებრივ სურნელს შევისუნთქავდი და გაუმაძღარივით ხელახლა ვუშვებდი ჩემს ფილტვებში, სანამ ჩემს სახეზე პირველი სადილაო მზის ცელქი სხივები კლასობანას თამაშობდნენ და ნეტარების ხუთი წუთით ვტკბებოდი. რათ გინდა, მაინც არ მყოფნიდა. ხუთ წუთში მე და მეგი მის პირველ გადაღებაზე მივრბოდით სტუდიაში, რადგან ეს ჩვენს სიაში შემდეგი იყო. ყოველთვის უნიათო, უაზრო ვედრებად

მეჩვენებოდა დროის გაჩერების სურვილი, იმ ვედრებათა შორის რომელიც ოდესმე ჩაუთქვამს ადამიანს. მაშინ ვფიქრობდი; "რა სისულელეა? რატომ უნდა მსურდეს გავაჩერო ეს დამპალი დრო, როცა თითოეულ იმ წამს და წამის მეათასედსაც კი ზეპირად, სულმოუთქმელად ვითვლი, რომელმაც სიკვდილთან უნდა დამაახლოვოს?" - მაგრამ ახლა... ახლა უკვე გადასარევად მესმოდა იმ ადამიანების, რადგან ის უკვე თითქმის გალეული ხუთი წუთი მთელ ხუთ საუკუნედ მინდოდა გაგრძელებულიყო. მინდოდა ყველა ის მოვალეობა, დანიშნულება თუ ვალდებულება, რომელიც მე და მეგის გვეკისრა, უბრალოდ გამქრალიყო და ყველაფერი ცუდი, რაც დღემდე ჩვენს შორის დაბრკოლებად უზარმაზარი აგურის კედელივით იდგა და რომელსაც ერთად ყოფნის გამო ყოველ დღე ახლიდან ვანგრევდით შიშველი ხელებით ამ ვალდებულებებს მიჰყოლოდა, მაგრამ...

-ჩვენი ხუთი წუთი გავიდა, - წამოიკნავლა მეგიმ და ჩემი მკერდიდან თავის წამოწევა სცადა.

მაგრამ ჩვენ რეალურ სამყაროში ვცხოვრობთ...

ორივე ხელი მაგრად შემოვაჭდე და ჩემსკენ მივიზიდე.

...და არა დისნეიში!

-კიდევ ხუთი წუთიც რა, - შევევედრე და ძილი გავაგრძელე.
-ჩემზე რომ იყოს დამოკიდებული, - ამოილუღლუღა გაგუდულმა, - დღეს ამ საწოლიდან საერთოდ არ ავდგებოდი და შენ იცი ეს.
მერე დამეხსნა და ფეხზე წამოდგა. მეც გავახილე თვალები. დღის შუქზე ახლაღა შევხედე მის თეთრ, აბრეშუმის ღამის პერანგს, რომელიც კოჭებამდე სწვდებოდა. ისეთი თეთრი იყო, ისეთი თეთრი, ვერც გაარჩევდი პერანგის საყელოს შეფერილობისგან, რომელიც ცალ მხარზე მოუსვენრად გადასრიალებოდა. უცებ გამოვფხიზლდი. საწოლიდან ოდნავ წამოვიწიე, ისე რომ ჩემს იდაყვებს დავყრდნობოდი და თვალი მივუშტერე. მეგიმ ჩემი ოთახის ფანჯარა გამოაღო და ერთხანს სადილაო ორკესტრს სახეზე გამოხატული აღვთოვანებით უსმინა. მერე იქაურობას მოსწყდა და მაგიდაზე მედიდურად დაბრძანებულ ქალბატონ კლეოპატრას წყლის წვეთები დააპკურა.
-გაიღვიძე ზარმაცო კლეოპატრა, სამყაროს გადატრიალების დროა.
მეგის ამ სიტყვებზე ჩემი და კატოს გეგმა გამახსენდა და მოვიღუშე. ისევ მეგიზე გადავიტანე ყურადღება, რომწლიც მცენარესაც კი უზადო სინაზით ეპყრობოდა. მის პაწია ფოთლებს თითქმის შეუხებლად მოეფერა და მერე ჰაერში დაბზრიალდა. მზის სასიამოვნოდ მოკიაფე სხივები მის სახესა და ფითქინა პერანგზე აირეკლა. კინაღამ ტვინში სისხლი ჩამექცა. უეცრად მეგის თვალები ჩემსკენ გამოექცა:
-რას მომაშტერდი?
მკითხა პირქუშად და რაღაც ძალიან ნაცნობი სიმღერა წაიმღერა. ყველა ის ნივთი შემიყვარდა ჩემს ოთახში, რომელსაც ის მოკრძალებით შეეხო და ინტერესით აათვალიერ-ჩაათვალიერა. უცებ ხელში პატარა ბროლის კოლბა აიღო და მკითხა:
-ეს საიდან გაქვს?
ყელი გამიშრა.

-ეგ... ჩემი და სერგის გაცნობის სიმბოლოა.

მივუგე ჩუმად და შევეცადე ნერწყვი გადამეყლაპა. მეგიმ მომიბოდიშა და კოლბა თავის ადგილას დააბრუნა. ცოტახანს ორივენი გავისუსეთ, სანამ გონზე არ მოეგო და არ შემიფაცხანა:

-ნიკაააა, ადექი დაგვაგვიანდება! რა მოგივიდა რას გაშტერდი, სასწაული დაინახე? - მკითხა სიცილით და თავის ტანსაცმელს ძებნა დაუწყო, - შენ რას ჩაიცვამ?

ჩემი გარდერობი გამოხსნა და უკმაყოფილოდ გადმომხედა, - შავ მაისურს, შავ მაისურს თუ... შავ მაისურს?

-სწორედაც რომ, - ჯერ ისევ გონზე მოუსვლელი, გამოთიშული ვიდე ლოგინზე და დანარჩენი სიტყვები უბროდ ინსტიქტებისაგან ამოსროლილი დაუფიქრებელი ფრაზები იყო, - განა ეს სასწაული არაა?

ჩავიბუტბუტე ისე, რომ მე თვითინაც ვერ გავიგონე. მეგიმ მაისურები თავზე დამაყარა.

-მაისურების რევოლუციაა! წამოხტი! - მომაძახა და მერე თითქოს თავისთვის ჩაილაპარაკა, - არა, რას ერჩი, არჩევანი ძალიან დიდია.

მერე ისევ მე გადმომხედა, - სასწრაფოდ ფერადი ტანსაცმელი უნდა ვიყიდოთ.

მე ისევ დაჰიპნოზებულივით ვიმეორებდი:

-ჰო, სასწრაფოდ უნდა... ჰა, რა?

-რა გჭირს ამ დილას, - გამინაწყენდა და დამეჭყანა, - საერთოდ მისმენ?

დაჭყანულიც ყველაზე ლამაზი იყო ჩემი მეგი.

-მე, ჰო... ისა, შეიძლება რომ... აი აქ გაკოცო? - თითით ვანიშნე მარჯვენა მხართან ჩამოსრიალებულ პერანგის საყელოზე, საიდანაც ხელოვნების უდიდესი ნიმუშივით გამოყვანილი ქათქათა ყელი და ცალი ლავიწის ძვალი მოწოლილი ინტერესით იჭყიტებოდა. მეგიმ ახლაღა დაიხედა მკერდზე, უეცრად ერთიანად წამოწითლდა და განზე გადგა.

-უნდა გამოვიცვალო, - მომიგო სახეზე მომსკდარი სიწითლითა და სასწრაფოდ გაისწორა საყელო. ლოგინიდან წამოვდექი, მან კი სისულელეების როშვა დაიწყო, - მალე უნდა ჩავიცვათ, რომ საუზმე მოვასწროთ... გუშინდელი დარჩენილი პროდიქტებით სალათა რომ გავაკეთოთ არ გინდა?

მე ვუახლოვდებოდი. ის კი უკან-უკან კარისკენ ყელზე ხელებ შემოხვეული იწევდა და უაზროდ ლაპარაკს განაგრძობდა: -კარგი გემრიელი სალათა, მზესუმზირის ზეთით და ხახვით ჰა? არ გინდა? ისეთი გემრიელი იქნება თითებს ჩაიკვნეტ.

-სალათაში ხახვი არ მიყვარს, -მივუგე და სვლა განვაგრძე, - მაგრამ ერთ რამეში გეთანხმები, აშკარად ისეთი გემრიელი იქნება რომ თითებს ჩავიკვნეტ.

უცებ მეგის თვალები გაუფართოვდა და ოთახიდან ელვის სისწეაფით გაშპა. მე გავეკიდე, მაგრამ სააბაზანოს კარი ცხვირწინ მომიჯახუნა და შიგნიდან გამომძახა:

-შენც ჩაიცვი, თორემ დაგვაგვიანდება! - მის ხმაში უთვალავი არეულობა, აფორიაქება, ნერვიულობა და ზღვა სირცხვილი იგრძნობოდა. ცალი ხელი აბაზანის კარებს მივაკარი. მთელი სხეულით ვხურდი. ჩემში სურვილი კატასტროფულად ძლიერდებოდა და მძაფრდებოდა და კვლავაც კარებთან ატუზვას მაიძულებდა კუთხეში მდგარი დასჯილი ბავშვივით. ვიგრძენი როგორ გაფართოვდა ჩემი ნესტოები და ჰაერიც უფრო მკვრივი გახდა. მეორე ხელიც ავაკარი კარებს და მთელი ძალით მივეყრდენი.

-მეგი, - ამოვიგმინე და შევეცადე სუნთქვა როგორღაც გამენაწილებინა, თორემ სხვაგვარად მთელი დღე სააბაზანოში იჯდებოდა, - ჩემი ნუ გეშინია.

-შენი? - გამომძახა და გაიცინა, - აბა რას ამბობ, შენი როდის მეშინია? ან როდის შემშინებია, როცა საშიში იყავი მაშინ არ მეშინოდა და... აქეთ შენ გეშინოდეს ჩემი და ჩემი

მარჯვენის მადლის! უკვე გაგიარა წინა დალურჯებ? ისე ეგ მართლა ზედმეტი მომივიდა მგონი...

-მეგი, მაგას არ ვგულისხმობ...

სამარისებული სიჩუმე ჩამოვარდა. ცოტა ხანს ხმა ამოუღებლად ზუსტად კარს უკან იდგა.

-აბა რას... რას გულისხმობ?

-მართლა ვერ ხვდები? - ვკითხე და კარიდან ხელები ჩამოვიღე.

-ვერა...

-თუ ასეან მაშინ რატომ გაიქეცი?

კვლავ სიჩუმე.

მერე როგორც იქნა საკეტის ხმა გაისმა და მე და მეგი ერთმანეთის პირდაპირ აღმოვჩნდით. ღია მწვანე წელზე მომდგარი, მხრებზე ამოჭრილი მარტივი კაბა და ზუსტად იგივე ფერის მაღალი კედები ჩაეცვა. უჩუმრად იდგა და თვალებში მიყურებდა.

"ახლა არა ნიკა, ახლა არა!" - ვუმეორებდი ჩემს თავს. უმალ ჩვენი პირველი შეხვედრა გამახსენდა და ის თუ როგორ უბრალოდ ვცადე მისი კოცნა, მან კი ასე მოურიდებლად ხალხის თანდასწრებით გამაწბა სილა. ხანდახან მგონია კიდეც რომ ის გარტყმული დღემდე მტკივა ხოლმე. ეგ შეგრძნება დღემდე გამომყვა. საინტერესოა, ახლაც რომ იგივე მეცადა, კვლავ იგივე რეაქცია ექნებაოდა? დიდხანს ასე უხმოდ გავაგრძელეთ ერთმანეთის ყურება. სიტყვები უბრალოდ ზედმეტი იყო. მეგი კი უჩვეულოდ ჩუმი. ეს ჟესტი მისი მხრიდან თანხმობას უდრიდა, თუ? ნაბიჯი ზღურბლზე გადავდგი და მასთან მიახლოვება ვცადე. ვცდილობდი ნაზი ვყოფილიყავი, რომ კვლავ არ დამეფრთხო. მისმა საოცარმა სურნელმა, რომელიც არასოდეს მომბეზრდებოდა, კვლავ გამაბრუა.

-და ახლა და ამ ადგილას მე შენ რომ გაკოცო, - დავიჩურჩულე თითქმის მის წითელ ბაგეებზე, - რამდენად სამართლიანი იქნებოდა?

პასუხად მეგის გაწბილებილი გულის დგაფა-დგუფი და აჩქარებული, ხმამაღალი სუნთქვა გავიგონე. უცებ მეგიმ თავი უსწრაფესად გაატრიალა გვერძე და თვალები მაგრად დახუჭა. ხელები, რომლითაც მისი სახის დაჭერას ვაპირებდი, ჰაერში ტყუილად შეკიდული შემრჩა.

"ახლა არა... ახლა არა..."

მის ამ სიახლოვეს და სიშორეს ერთდროულად ჭკუიდან გადავყავდი. თავი ნელა დავხარე, მოშიშვლებულ ფითქინა რბილ მხარზე ფრთხილად დავუტოვე ჰაეროვანი კოცნა და დავჩურჩულე:

-დაგვაგვიანდება!

მეგი

ჩვენი სურვილების სია დღითიდღე მცირდებოდა...
ერთად გატარებული უამრავი დროისდა მიუხრდავად, მაინც მქონდა ისეთი შეგრძნება რომ ნიკას ბოლომდე კვლავ არ ვიცნობდი. სიაში ბოლოდან მესამე სურვილის, ანუ მისთვის წითელ-ყვითელი მაისურების ყიდვის გადახაზვის შემდეგ თავში ახალი, უცნაური აზრი დამებადა. ძალიან დამაინტერესა, თუ რა მოხდებოდა სიაში ბოლო სურვილის გადახაზვის შემდეგ. ასე უბრალოდ შევწყვეტდით შეხვედრებს? რატომ მქონდა განცდა იმისა რომ მხოლოდ ეს სიფრიფანა ფურცელიღა გვაერთიანებდა, რომელიც სულ რაღაც ორ სურვილში დასრულდებოდა?
-ნიკა...
ჩავილაპარაკე ჩემი ტელეფონის ეკრანს ამოფარებულმა.
ბოლო რამდენიმე კვირა ნიკა სულ რაღაცას იმიზეზებდა და ერთმანეთს ონლაინღა ვხვდებოდით. საკუთარ თავს ვარწმუნებდი რომ ამაში უცნაური არაფერი იყო და ვცდილობდი მაინცდამაინც ყურადღება არ გამემახვილებინა ამ საკითხზე. თანაც ლადო თავის საქმეებს მორჩა, სახლში დაბრუნდა და პატარა, ვიწრო ნიშნობის გადახდის შემდეგ უკვე ქორწილის დაგეგმარებას შეუდგა.
-გისმენ, - მიპასუხა ნიკამ და რაღაცას ქექვა დაუწყო. იმ დღეს რაღაცნაირად მოღუშული მეჩვენა. და საერთოდ, ბოლო დროს სულ ასეთი გახდა. ჩაკეტილი და მოწყენილი. ვეკითხებოდი რა სჭირდა ის კი ჩემს მონატრებას იმიზეზებდა. მაგრამ თუ ვენატრებოდი, მაშინ რატომ არ მნახულობდა? ამაში ვერანაირ ლოგიკას ვერ ვხედავდი.
-რაღაცას გკითხავ, მაგრამ არ გაბრაზდე, კარგი?
-თუ კი მაგდენს ხვდები რომ უნდა გავბრაზდე, მაშინ საერთოდ რაღა საჭიროა კითხვა?
-ჰმ... არა უბრალოდ ვფიქრობდი და...
-შემთხვევით ზედმეტად ბევრს ხომ არ ფიქრობ შენ?
-დამაცდი თუ არა?
-კარგი კარგი, ჩუმად ვარ... ან საერთოდ, როდის ვიცოდი ამდენი ლაპარაკი? სულ შენი ბრალია, შენ გადმომდე!
-არ იდარდო, სამაგიეროდ შენც ბევრი რამ გადმომდე.
-რეებს მაბრალებ?
-არ გაბრალებ.
-მაინც რა გადმოგდე?
-რა გადმომდე და უიმედობა, ნერვიულობა, სტრესი, მელანქოლია...
-დაუჯერებელია, პირდაპირ დაუჯერებელი! ამდენ ცუდთან ერთად კარგი არაფერი მოგიტანე? საერთოდ არაფერი მეგი?
-რა თქმა უნდა კარგიც მომიტანე.

-მაგალითად?

-მაგალითად... მაგალითად ადრენალინი მაჩუქე! ხო, ხანდახან მაინტერესებს ხოლმე, შენამდე საერთოდ რამეზე ვნერვიულობდი თუ არა... ჩვენს ამ ტოქსიკურ ურთიერთობაში სწორედ ეს მღელვარება მიზიდავდა. მომწონდა თუ როგორც ვნერვიულობდი და ვზრუნავდი შენზე... როგორ მტკიოდა შენი ტკივილები, როგორ ვიჩემებდი შენს განცდებს...

-სინამდვილეში ეგ მეც მომწონდა, მაგრამ ვერ წარმომედგინა რომ ვინმე ასე გადამყვებოდა ზედ. ზოგჯერ შენი ზედმეტი მზრუნველობითა და ახირებებით მაშინებდი კიდეც... და რეალურად მე შენ კი არა, ის არ მომწონდა რომ მომწონდი. ხო, საშინლად მომწონდი! შენი ყველა თვისება მაგიჟებდა და ვფიქრობდი, ნეტავ ეს ყველაფერი მოჩვენებითია? მაინტერესებდა ნუთუ მეგისნაირი კეთილი ადამიანები საერთოდ არსებობენ ამ ქვეყნად, თუ ესეც სხვა დანარჩენივით ნიღაბ ამიფარებული უბადრუკია მეთქი... მე შენ არ გენდობოდი, ისევე როგორც სხვა დანარჩენებს, რადგან მეშინოდა, ჩემი თავის მეშინოდა, შენიც და იმისიც რომ ჩემზე გავლენა არ მოგეხდინა, ანდაც გაუმიზნებლად რაიმე არ დამეშავებინა შენთვის. ალბათ თვლა არ არის ამის გამო, რამდენჯერ გაწყენინე, შენ კი თითქოს ეს უფრო გიზიდავდა და ამით უფრო ინტერესდებოდი, პარადოქსივით იყავი! აი იცი რას შეგიძლია შეადარო შენი მაშინდელი საქციელები? ჩალურჯებაზე თითს რომ დაიჭერ და გეტკინება, მაგრან შენ მაინც რომ აგრძელებ დაჭერას გაუჩერებლად, ისე თითქოს მოგწონდეს ეს ტკივილი...

-შეიძლება მართალიც იყო. არ ვიცი, მეც დღემდე არ მაქვს ბევრ რამეზე პასუხი. სწორედ ამიტომ მინდა რომ უფრო მეტი ვილაპარაკოთ, უკეთესად გავიცნოთ ერთმანეთი და საკუთარი თავებიც. იცი? იმდღეს გავიაზრე რომ ჩვენი სურვილების სია სადაცაა ამოიწურება და თავი ძალიან ცუდად ვიგრძენი. მერე ვფიქრობდი და დამაინტერესა...

უცებ ხმა ჩამიწყდა და სულ ერთი წამით ჩემს თავში ეჭვი შემეპარა. ვკითხო? თუ არა...

-რატომ გაჩუმდი?

-ნიკა, თუ კი აღარ ვიარსებებ, შენ მაინც გეყვარები? - მაინც მივახალე და ამოვისუნთქე. დავიძაბე მისი პასუხის მოლოდინში. უეცრად რაღაცის უშედეგოდ ქექვას თავი მიანება და ეკრანს ჯერ გაკვირვებულმა მერე კი გაბრაზებულმა მიუშტერა თვალი.

-ეგ რა შუაშია, მაგას რატომ მეკითხები? - შეშფოთებული ხმით აღმოხდა. მე მხრები ავიჩეჩე.

-რავიცი ისე.

-რას ქვია ისე?

-მიპასუხე რა.

-ეს შენ მიპასუხე.

-პირველად მე გკითხე!

-არა, არა ქალბატონო, ასე ვერ შევთანხმდებით! რომ გიპასუხო, ნორმალური, ლოგიკური, სასიამოვნო კითხვები უნდა დამისვა, ეგ რა შეკითხვაა? რას ქვია... გამეორებაც კი არ მსურს, არა თუ წარმოდგენა!

-კარგი, ნუ მეჩხუბები, მე ხომ შენს უკეთ გაცნობას ვცდილობ და მეტი არაფერი.

-სერიოზულად? უკეთ გაცნობას ცდილობ? ამდენი ხნის განმავლობაში კიდევ ვერ გამიცანი? თანაც, ნორმალური ადამიანი მკითხავდა მაინც თუ რა არის ჩემი საყვარელი ფერი, ან რავიცი ათასი წვრილმანი არსებობს... მაგრამ არა, საერთოდ არ მიკვირს! როდის იყი შენ ნორმალური ადამიანივით იქცეოდი, ნორმალურობა და შენ ერთმანეთს ვერ ეგუებით რატომღაც.

-უჰ, ეგ ხო ისედაც ვიცი.

-რა იცი, რა...
-რა და და შენი ტანსაცმლის კარადას ჰკითხე, უჟმური და ჩაშავებული რომ ხარ!
-ახლა მე ბოდიში, რომ შენსავით ვარდისფერი ფლამინგოები და ჭრელი მოსართავები არ მიყვარს. ეგ ცხოვრებისეული შეცდომა როგორ დავუშვი მე ცოდვილმა...
-ნიკა...
-მეგი?
-თხოვ, უბრალოდ მიპასუხე... რა იყო, რა მოგივა?
-აჰ, შენსას არ იშლი, არა? აბა რა უნდა გიპასუხო მეგი, მაინც რისი მოსმენა გინდა ჩემგან. უცნაური ხარ, იცი? მაგრამ ეს უკვე ათასჯერ მითქვამს. და განა შენ თავად არ მასწავლე რომ სიყვარული არ ქრება? რომ იგი თუ ნამდვილია, მაშინ ამ უხილავი დამაკავშირებელი ძაფების გაწყვეტას ვერცერთი სულიერი ვერ შეძლებს? შენ არ იყავი დაუშრეტელ სიყვარულზე ლექციებს რომ მიკითხავდი ოცდაოთხი შვიდზე? შენ კიდევ თავად სიყვარული ხარ! შეიძლება მართლაც ერთი უტვინო, უვარგისი და ყველაფერზე გულაცრუებული ვინმე ვარ, მაგრამ სხვა თუ არაფერი, ამ ცხოვრებაში იმას მაინც ვხვდები რომ სიკვდილიც კი ვერ დაგვაშორებს. ჩვენ შეიძლება აღარ ვიარსებოთ და ეს აუცილებლად მოხდება ალბათ ასი წლის შემდეგ, მაგრამ ჩვენი ისტორია არასოდეს გაქრება მეგი, არასოდეს... გესმის?
და ის მრთალი იყო! ჩვენი ისტორია მართლაც არასოდეს გაქრებოდა. ეს ყველაფერი უნდა მომხდარიყო. აუცილებლად უნდა მომხდარიყო, ჯერ მარტო იმისთვის რომ ამ დღემდე მოვსულიყავით ერთად და იმისთვის რომ ბევრი სიმწარის შემდეგ ნამდვილი სიტკბოების გემოც შეგვეგრძნო, რეალური გრძნობები განგვეცადა... ჩვენი გზები სამუდამოდ გადაკვეთილიყო, ერთმანეთისთვის ხელი ჩაგვეკიდა და აღარასოდეს გაგვეშვა.
-მაგრამ გთხოვ, ძალიან გთხოვ ასეთ რაღაცეებზე აღარ იფიქრო, კარგი? გულს მიღონებ ხოლმე ისეთებს მეუბნები ხან, - შემომევედრა სევდაშემოწოლილი ხმით, - ხან მართლა ძალიან მიკვირს ამდენი უცნაური აზრები მაინც როგორ გეტევა მაგ შენს პატარა საყვარელ თავში.
-არ ვიცი... ზოგჯერ მეც ისევე მიკვირს ჩემი თავის, როგორც შენ. რაც შენ შეგხვდი მაგის მერე, კიდევ სულ გადავირიე.
-ერთი წუთით, ერთი წუთით, ეს შენ კი არა მე გადამრიე, თორემ შენ თავიდანვე ასეთი იყავი. შენს არაამქვეყნიურობას მე ნუ გადმომაბრალებ. გაიგონე რამხელა აქცენტი გავაკეთე სიტყვა არაამქვეყნიურზე?
-ისე ნიკა, მაინც რამდენი რამე დამატეხე თავზე, მაგრამ გასაკვირი იცი რა არის? ის რომ რაღაცა სასწაული ძალით საერთოდ არაფერსაც არ ვნანობ! ერთადერთი რაც მაფიქრებს და მადარდებს მხოლიდ, ის არის რომ მამას დღემდე ვუმალავ სიმართლეს შენზე და ეს ჭკუიდან მშლის. სულ შენი ბრალია ყველაფერი რა. ეს შენ შემცვალე, გამზარდე და თან დამაპატარავე! მოკლედ, მთლიანად გადამატრიალე... გაიგონე რამხელა აქცენტი გავაკეთე სიტყვა გადატრიალებაზე? რა გამიკეთე შე ტირანო...
-კიდე მე გაგიკეთე რამე? კიდე მე გაგიკეთე? ოხ მეგი... მაინც რანაირი ადამიანი ხარ?!
-რანაირი? ცუდი?
-უჩვეულო, უცნაური! გეფიცები შენნაირს მეორეს არ შევხვედრილვარ და მთელი დედამიწა ფეხით რომ შემოვიარო... არა, არა ეს საკმარისი არაა, მარსზე რომ გავფრინდე მაინც ვერ ვიპოვი შენნაირს და ამაში ეჭვი არც ერთი პროცენტით არ მეპარება.
-და ეგ კარგია თუ ცუდი?
-ხანდახან მაოცებ, იცი? უფროსწორად, ყოველთვის მაოცებ.

-და ვითომ რატომ?
-ჰაჰ, რატომ? კითხულობს კიდეც... გოგო, როცა გინდა ისეთ ბრძნულ აზრებს მესვრი რომ წუთები მჭირდება ხოლმე გასაანალიზებლად და ხან საერთოდ ვერც ვიგებ და როცა გინდა, კიდევ ბავშივით გულუბრყვილო და მიამიტი ხდები. ყოველთვის როცა მგონია რომ ვსო ეგ არის და უკვე ბოლომდე ვიცნობ მეგის მეთქი, მეორე წამში ისეთ რაღაცას აკეთებ ან ამბობ რომ საპირისპიროში მარწმუნებ. არა იცოცხლე, დარწმუნებები და ტვინის გაბურღვები კი გეხერხება... და ნეტავ კიდევ ბევრი რამე არ ვიცი შენზე და შენს შესაძლებლობებზე? არა მაინც, რომ ვიცოდე მომავლისგან რას უნდა ველოდე და რას არა... ყოველ შემთხვევაში, ასეა თუ ისე, ბოლომდე მაინც ვერ ამოგიცანი...
-ეგ იმიტომ ვერ ამომიცანი რომ ჯერ ბოლოში არ გავსულვართ. აბა გაიხედე, ხედავ გზის ბოლოს?
-აი ისევ!
-რა?
-ეს ისევ გააკეთე.
-მაინც რა გავაკეთე?
-ისევ შენი მორიგი სიბრძნე დამიხეთქე და მე სულელივით ისევ ვერ მივხვდი რა იგულისხმე!
-არაუშავს, ეგ არაფერი, მაგაზე ბევრი არ იფიქრო და დამიჯერე, აი ნახავ, ერთ დღეს როცა ბოლომდე ამომიცნობ, აი მაშინ მიხვდები და მერე გამიხსენებ.
ლადომ დამიძახა. ნიკას დავემშვიდობე და გავუთიშე. ნიშნობის ცერემონიის შემდეგ, ლიზა და მერიკო საცხოვრებლად ჩვენთან გადმოვიდნენ. მე და ლიზას შეგუება საერთოდ არ გაგვჭირვებია, ერთად ძალიან ბედნიერები ვიყავით. თურმე გვაკლდა ეს... ერთობა! მართალია გზად ბევრი დაბრკოლება შეგვხვდა, მაგრამ მთავარი ხომ ოჯახის ერთიანობა და სიმტკიცეა. მამაც როგორც იქნა ბედნიერი იყო, მის სახეზე ამოუცნობ ნათელ ღიმილს შევცქეროდი, მე კი ეს უზომოდ მახარებდა. ჩავფიქრდი. ისევ დედა გამახსენდა. ანდაც როგორ შეიძლებოდა ოჯახის ერთობაზე ფიქრის დროს ის არ გამხსენებოდა? მაინტერესებდა ის რომ ცოცხალი ყოფილიყო როგორ წარიმართებოდა და რა სახეს მიიღებდა ყველაფერი. ჩემს გვერდით რომ ყოფილიყო... რა თქმა უნდა მომწონდა მერი და ლადოს წყვილი ერთად, მაგრამ ზოგჯერ მერის ადგილას დედას წარმოვიდგენდი ხოლმე. წარმოვიდგენდი როგორ ამზადებდნენ სადილს ერთად, მერე დედას სრულიად შემთხვევით როგორ ეყრებოდა ფქვილი და მთელი სახე ესვრებოდა, ლადო კი როგორც სჩვეოდა გიჟივით სიცილს იწყებდა. ამის გამო დედა ებუტებოდა, მე კი ამ სასაცილო სანახაობას კამერით ვაფიქსირებდი. თუმცა არც ეს ვარიანტი იყო ცუდი. მე მიყვარდა მერი დეიდა, ანდაც როგორ შეიძლებოდა არ მყვარებოდა, მან ხომ შეძლო და ჩვენი ყოველთვის წყნარი, მშვიდი სახლი გაახალისა... დრო გადიოდა.
მთელი გაზაფხული გადაცემებზე მუშაობაში გავატარე. ზოგჯერ დღე და ღამე სტუდიაში მიწევდა ყოფნა. ნელ-ნელა ვეცნობოდი გარესამყაროს და ბევრ სიახლესაც ვხვდებოდი ყოველდღიურად. დიდიხანი დამჭირდა იმასთან შესაგუებლად, რომ ხალხი უკვე მცნობდა ქუჩაში და ჩემთან გამოლაპარაკება, ან სულაც სელფების გადაღება სურდა. ფრაზა "ნახე, ეს ის არის!" ყოველთვის თან დამყვებოდა მეტროს ვაგონებში, წიგნის მაღაზიებში, თუ პურის რიგში. ეს კი ერთდროულად სასიამოვნოც იყო და დამღლელიც. "სტალკერი" ძალიან მალე გახდა პოპულარული. როგორც რუსკამ აღნიშნა, წინა წლის გადაცემა "ჩათის" მერე ეს მეორე პროექტი იყო, რომელსაც ამდენი თინეიჯერი მაყურებელი ჰყავდა. რუსკა და მაჩო ერთმანეთს ძალიან ჰგავდნენ. მაიძულებდნენ რომ სოციალური მედია შემეყვარებინა და

"ექაუნთები" მეც გამეხსნა. ცნობილ ადამიანს კარგი ლამაზი ინსტაგრამის კედელი უნდა ჰქონდეს გინდა თუ არა, მთავარია სწორად გამოყენება შეძლოვო. ხანდახან ვფიქრობდი კიდეც მგონი არასწორ მისამართზე მოვხვდი და ეს საქმე ლიზასი უფროა მეთქი, მაგრამ როგორც კი ახლიდან აღმოვჩნდებოდი ხოლმე კამერების წინაშე, მაშინვე გულმოდგინედ ვეკიდებოდი საქმეს. ზოგჯერ ლაპარაკს ისე შევყვებოდი, რომ ჩემს გარშემო ყველაფერი მავიწყდებოდა და თითქოს სრულიად სხვა განზომილებაში ვეშვებოდი ხოლმე. ჩვენ ვსაუბრობდით ჩვენს ყოველდღიურ პრობლემებზე, რომლებსაც ყველა განიცდის გარდატეხის ასაკში. ერთ გადაცემაში ჩვენი ფსიქოლოგიც კი მოვიწვიეთ და მან ბევრი რჩევები მოგვცა. გვქონია ისეთი გადაღებებიც, სადაც ჩვენი ქვეყნის ეკონომიკურ, ფინანსურ, ეკოლოგიურ თუ პოლიტიკურ პრობლემებზე გამოვთქვამდით ჩვენს აზრებს და მოკლედ განვიხილავდით მომხდარს. მოვუწოდებდით ახალ თაობას ყოველივე კარგისკენ და ვაძლევდით განხრებს სამომავლოდ, ვურჩევდით სხვადახვა საიტებს, ონლაინ კურსებს, სამოდელო სააგენტოებს და ვუკეთებდით რეკლამებს ახლად გახსნილ ცეკვისა თუ სიმღერის სტუდიებსა და თეატრებს. ვცდილობდით უფრო მეტი ევროპული იდეა ჩაგვენერგა ახალი თაობისთვის და ჩვენი სამშობლო წინ წაგვეწია. სამშობლო, რომელიც ცირკად უფრო გადაიქცა. აქციებმა სასულიერო პირებიც კი შეიყოლია, ხალხმა რწმენა დაკარგა, ხალხმა ქართველობა დაკარგა, ერი უბედურების მომასწავებელ გზას დაადგა ერთად. მაგრამ ჩვენი ხმა აბა რას შეცვლიდა? თუ რა თქმა უნდა ძალიან არ მოვინდომებდით ჩვენი ხმის ამაღლებას. ეს თაობა, გასულ თაობას იმით ვჯობივართ რომ უფრო გაბედულები ვართ და ახლა სოციალური მედიაც გვაქვს. ინტერნეტს ბევრი რამ შეუძლია, თუ მას სწორად გამოიყენებ. მართლები იყვნენ მაჩო და რუსკა. სწორედ ამიტომ გავხსენით ჩვენი ვებ საიტი იგივე სახელწოდებით, სადაც ყოველდღიურად მორიგეობით ვწერდით სტატიებს. ხალხმაც ჩვენდა საბედნიეროდ თუ საუბედუროდ დღევანდელ მწარე რეალობაზე, ფიქრი დაიწყო, რომლის წინაშეც ყოველდღიურად ვგდავართ და ჩვენი გადაცემის რეიტინგიც უფრო და უფრო ამაღლდა. ვვამაყობდი. მე ნამდვილად ვვამაყობდი, რადგან ვხვდებოდი რომ ვიზრდებოდი და ნელ-ნელა ამ საზოგადოების წევრი ვხდებოდი. საერთოდაც იმდენი გეგმები მქონდა, იმდენი იდეები გამაჩნდა, რომ მეგონა ყველაფრის შესრულებას ვერც კი მოვასწრებდი. ხოდა, მეც აღარ დავაყოვნე, ამჯერად ხომ ჩემი ჯერი იყო. ხოდა გადავწყვიტე რაიმე ისეთ სასიამოვნო თემას შევხებოდი, როგორიც იყო ეს დილა. კომპიუტერი როგორც კი ჩავრთე და საიტის აკრეფა დავიწყე, ოთახში ლიზა შემომივარდა. (როგორც სჩვეოდა)

-შენ უკვე გაიღვიძე?

-ლიზ, რა იყო ამ დილაადრიან? მშვიდობაა?

საათს შევხედე, ცხრის ნახევარს აჩვენებდა.

-ანუ წავიდე?

თითქოს ეწყინა. თუმცა, რაღა თითქოს... ეგრევე ცხვირი აიბზუა და უკვე ბრუნდებოდა რომ საჩქაროდ მივახალე:

-გაგიჟდი? ეგ რამ გაფიქრებინა, რა მოხდა?

-რაა და ნინიმ დამირეკა.

-და?

-უნდა რომ ერთად დაგველაპარაკოს.

-მიდი დაურეკე.

ნინის დანახვამ ძველებური სევდა მომგვარა. ზედმეტად შეცვლილი მეჩვენა. მაგრამ დრო ხომ ადამიანებს არ ცვლის, ის უბრალოდ თავისი თავის სრულყოფილ ვერსიას ხდის. სასურველ მიზნამდე გარკვეული ეტაპები არსებობს, რომლებიც აუცილებლად უნდა

გაიარო. ზოგი მარტომ, ზოგიც შენს ადამიანთან, მონათესავე სულთან ერთად... მეც კი დიდი ხნის განმავობაში სანამ ნიკას შევხვდებოდი უბრალოდ უდარდელი, გალაღებული ბავშვი ვიყავი, მერე კი... მერე სევდა ვისწავლე, თუმცა ეს ხომ ის ერთადერთი საფასურია, რასაც სიყვარულში ვიხდით. და მაინც, რომ არა ეს ღვთაებრივი გრძნობა ყველა გრძნობათა შორის, რამდენად უაზრო გახდებოდა დედამიწაზე ამ გზააბნეული სულების უგზოუკლოდ ხეტიალი. ნინის ჩვენს ერთად დანახვაზე ცრემლები მოადგა, თუმცა არ უტირია.

-ის როგორაა?

მკითხა ცოტახნის მერე, როცა იტალიური ამბების გამოკითხვა დავასრულეთ როგორც იქნა. მივხვდი რომ ნიკა იგულისხმა. საერთოდ, როდესაც შენი საყვარელი ადამიანი კვდება, გამიგია რომ მისკენ მიმართული გრძნობები, მთლიანად მის ყველაზე ახლობელ ადამიანზე გადაგაქ. მომეჩვენა რომ ნინისაც ასე ემართებოდა თითქოს, თუმცა ამას რა აზრი ჰქონდა, ახლა ის თითქმის დედამიწის მეორე ბოლოში იყო გადახვეწილი და ალბათ აღარც არასდროს დაბრუნდებოდა.

-კარგადაა...

ჩავილაპარაკე ბუნდოვნად.

-კი, იმდენად კარგად რომ მის გამო უკვე ოთახიდანაც კი მაგდებს, ნინი წარმოგიდგენია? ოცდაოთხი საათი ან ნიკას ელაპარაკება ან გამუდმებით რაღაცას წერს, ან კიდევ ტელევიზიაშია. ისე მეგი მართლა რა დაგემართა ამ ბოლო დროს?

უცებ ჩამიშვა ლიზამ. მე თავი ვიმართლე:

-ლიზ, რაც თავი მახსოვს ეგეთი ვიყავი, კარგი რა, ისევ ნუ დაიწყებ...

-მოიცა რას წერ? - მკითხა ნინიმ.

-ყველაფერს, წამყვანთან ერთად ბლოგერი გავხდი. ჩვენი გადაცემის საიტი შევქმენით. სტალკერი დაგუგლე, ვიდეოებსაც გაგიხსნის და ჩვენს საიტსაც. მაგარი რამეა, ყველაფერზე ვყვებით, ჩვენს თავგადასავლებსაც კი, არ მოიწყენ...

-ვა, რა მაგარი ამბავია. ყოჩაღ. როცა მეცლება, აუცილებლად ჩავუჯდები. ჯერ ისევ ბურუსში ვარ. ვერ გამიაზრებია რომ მანდ აღარ ვარ. თან, იცი მეც დავიწყე ამ ბოლო დროს წერა.

-მართლა? და რას წერ? შენც ბლოგერი ხარ?

-არა არა მე...

ნინიმ თავი ჩაქინდრა. ცოტახანს უხმოდ იყო, ფიქრობდა თითქოს არ იცოდა რა ეთქვა, ანდაც იცოდა მაგრამ ვერ ხვდებოდა საიდან დაეწყო.

-მე წიგნს ვწერ, მისი ხსოვნის საპატივსაცემოდ...

გავჩუმდით. ლიზაც კი მიხვდა რომ უნდა გაჩუმებულიყო. მართალია ნინი წავიდა, თუმცა იმ ყველაფრიდან თავის დაღწევა მაინც ვერ შეძლო. ალბათ ეს ბუნებრივიც იყო. მას ხომ სერგი თავის თავზე მეტად უყვარდა. ისევ საშინლად ვიგრძენი თავი. ოთახიდან გავედი, რადგან ნინისთან ამ უხერხულობისა და დანაშაულის განცდას ვერასდროს ვუვლიდი გვერდს. ყველაზე და ყველაფერზე მეტად მეცოდებოდა ის. ეგ დღე უხმოდ და უხასიათოდ გავატარე, საღამო კი გადავწყვიტე კითხვისთვის დამეთმო. სტეფანი მეიერის "ახალი მთვარე" ხელში ავიღე თუ არა, ეგრევე ჩემი ტელეფონის ზარის ხმა გაისმა. ისევ ნიკა მირეკავდა. სახე გამებადრა, წიგნი გადავდე და ეგრევე ვუპასუხე.

-რა იყო, ვერ ძლებ უჩემოდ ხო? - გავეხუმრე და კმაყოფილმა ვითომ ბოროტულად ჩავიხითხითე.

-მეგი...

მისი შეშლილი ხმის გაგონებაზე, უნებურად ლოგინიდან წამოვვარდი.

-რა იყო, რანაირი ხმა გაქ, მართლა ვერ ძლებ თუ რა ხდება?

-მეგი... ძალიან გთხოვ რამეზე მელაპარაკე, რა.

-ნიკა რას ამბობ, კარგად ხარ? რამე ხომ არ მოხდა? ან რაზე გელაპარაკო, წუხელ განა ლაპარაკში არ გავათენეთ?

-აი რავიცი, შენ როგორც იცი ხოლმე ისე მელაპარაკე.

-უცნაური ხმა გაქვს, რამეს ხომ არ მიმალავ? ნიკა...

-მე... აჰ არა, მენატრები უბრალოდ მართლა, - მძიმედ ამოიოხრა და გაჩუმდა.

-სხვათაშორის, - გამახსენდა უცებ, - მე შენ ნიძლავი მოგიგე, ვაჟბატონო!

-კაი რა, მაგას სერიოზულად ამბობდი?

-რატომ, რა მეტყობოდა რომ ვხუმრობდი?

-მართალია, როდის იყო მეგი ქათამაძე ხუმრობდა.

-ახლა ჩემს გაკრიტიკებას უნდა მოყვე, თუ დამპატიჟებ როგორმე პაემანზე?

-და მაინც და მაინც დღეს უნდა მოხდეს ეს?

-რა იყო, როდემდეღა გაწელავ ჩემს ნახვას? მომბეზრდა ტელეფონზე ჩამოკიდებული ცხოვრება, წამოდი რა, მინდა ჩაგეხუტო...

ბოლოს როგორც იქნა მის ახალ კაფეში შეხვედრაზე დავითანხმე, სადაც ლალის ციხიდან გამოსაყვანად მუშაობდა, რადგან ეს ჩვენს სიაში ბოლოდან მეორე იყო. ვაპირებდი რომ ჩემი დაბადების დღისთვის შეგროვილი დანაზოგიც დამემატებინა მის თანხას თუ რა თქმა უნდა დამთანხმდებოდა. ჩემსავით ჯიუტი იყო ნიკა და ჩვენი კამათებიც ხშირად ცუდად მთავრდებოდა, ან საერთოდ არ მთავრდებოდა, მაგრამ უკვე ეს ყველაფერი ისე გვქონდა გათავისებული რომ ყურადღებასაც აღარ ვაქცევდით. როგორც კი ტელეფონი გავთიშე, მომზადებას შევუდექი. უბრალო შორტი და მაისური გადავიცვი, თმები ავიკეცე და ჩემი საყვარელი თაფლის სუნამო დავისხი. ლიზამ მეც გამოგყვები და გზად ბიბლიოთეკაში შევივლიო. მოკლედ, ერთი შეხედვით ყველაფერი ჩვეულ რითმში ჩადგა. ნინიმ ცხოვრებაში თავისი არჩევანი გააკეთა, იტალიური ენის შესწავლასთან ერთად, გადაწყვიტა მწერალი გამხდარიყო, ნიკა აღარ ლაპარაკობდა შემზარავ თემებზე და პარალელურად დღითიდღე უფრო ახლობელი ხდებოდა ჩემთვის. ღელავდა რადგან არ იცოდა როგორ მოქცეულიყო მას შემდეგ რაც დედამისს ციხიდან დაიხსნიდა, მაგრამ ეს ღელვა ცუდ შეგრძნებას საერთოდ არ გვგვრიდა. ლადო და მერიკოს თანაცხოვრება საოცრად მშვენივრად მიდიოდა, სანამ ქორწილში მოწვეული სტუმრების სიას, ეზოში ჩამოსაკიდ მოსართავ გირლანდების ფერსა და ტორტის მასალებს ერთად არჩევდნენ. ლიზა წუწუნსა და ოთახში შემოვარდნებს არ წყვეტდა და გაუთავებლად მაპარებდა სტუდიაში წაყვანის გეგმებს (ანუ თავს მშვენივრად გრძნობდა). მე კი ვიჯექი და ვფიქრობდი ჩემს სტატიებზე "სტალკერის" ბლოგზე და მაჩო და რუსკას იდეაც ჩემი ინსაგრამ გვერდის შესახებ, მგონი ჭკვაში მიჯდებოდა ნელ-ნელა. საბოლოო ჯამში ყველა ბედნიერი იყო და თავისი ცხოვრებით ცხოვრობდა. ამ ყველაფრის ფონზე ბოლო დროს ერთი კითხვა გამეჭედა თავში; ნეტავ ადამიანი თავის ცხოვრებაში ოდესმე სრულ წესრიგს ამყარებს თუ ვერა? არ ვიცი, მაგრამ რამდენიც ჩემს ახლობლებს გადავხედე, თავი იმდენჯერ უბედნიერეს არსებად ვიგრძენი. ეს რაღაც კი უდავოდ სრულყოფილების განცდას ჰგავდა და მე კვლავინდებურად დავიბრუნე ცხოვრების ხალისი. მიხაროდა რომ ცხელი ზაფხულის მზის სხივებით ტკბობა და საყვარელ ადამიანებთან ბედნიერი წამების გატარება შემეძლო. დავფრინავდი თითქოს და ამ ბედნიერებას რაც უფრო მეტად ვაანალიზებდი, მით უფრო მეტად ვეშვებოდი სიყვარულის მორევში. სინამდვილეში ასეა, თავს რაც უფრო მეტად აჯერებ რომ კარგად ხარ, მით უფრო კარგად გრძნობ თავს. ღიმილი ხომ ბედნიერების რეფლექსია. როდესაც ცუდად გრძნობ თავს, მაშინაც თუ

გაიღიმებ, შენს ტვინს დააჯერებ რომ ყველაფერი კარგად გაქვს და ისიც ავტომატურად კარგზე დაიწყებს ფიქრს. ასე გამოგიკეთდება გუნება-განწყობა. ამიტომ უნდა გაიღიმო რაც არ უნდა მოხდეს, სხვა თუ არაფერი ღიმილი გიხდება მაინც... მახსოვს ადრე როცა ნიკამ მკითხა თუ რა იყო სიყვარული, მე ვუპასუხე რომ იგი ჰაერშიც იყო. მან მითხრა რომ სინამდვილეში რასაც ვსუნთქავთ ეს ის ჰაერია რომელიც გვკლავს. პატარა რომ ვიყავი მეგონა ოდესმე სიკვდილის ანტიდოტს გამოვიგონებდი და ასე აღარ მოგვიწევდა საყვარელ ადამიანებთან გამოთხოვება სამუდამოდ. როგორი სულელი ვიყავი... ალბათ ეს იმიტომ რომ გამომშვიდობებები ბავშობიდან მძულდა. ნეტავ საერთოდ რატომ შორდებიან შეყვარებულები ერთმანეთს? რატომ თმობენ ყველაზე სათუთს რაც კი გააჩნიათ, რატომ აყენებენ პირველ ადგილზე სიამაყეს, რატომ არ სურთ ბრძოლა, რატომ ნებდებიან... ალბათ არც არაფერს ნიშნავს მათთვის ეს ყოველივე. ბოლო-ბოლო ეს ხომ ოცდამეერთე საუკუნეა, დრო სადაც სიყვარულს ბოდვაში გითვლიან, სადაც ურთიერთობები ფურცელივით არის, პატარა ხელის მოძრაობა და ისიც წამში იქცევ ნაკუწებად. სადაც ერთი პატარა შეცდომა და მზად არიან ზედ გადაგიაროონ, ქვებითა და ტალახით ჩაგქოლონ, შენი სულის სილამაზე დაასამაროონ და წაგართვან ის ერთადერთი სანუკვარი ოცნება, რომლითაც ცოცხლობ. მაინც როგორი მტკიცე და მაგარია ადამიანი! ქვაც კი გასკდებოდა იგივეს გადატანა რომ უწევდეს რასაც ადამიანი იტანს მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე. ზოგს კი დღეს თითქოს გულის მაგივრად კარტოფილი უდევს. დღემდე ვერ ვიჯერებ რომ მაინც ჯიუტად მწამდა ნიკას კარტოფილის ქერქით შემოხვეულ მშიშარა გულში არსებული კეთილი სხივის. სხივის რომელიც მის შიგნით არსებულ ბნელეთს, ძალისძალით ანათებდა. ეს იყო არ ვიცი, ალბათ წლის მიღწევა... მე ამ სხივისგან, რომელიც სადაც იყო სამუდამოდ ჩაქრებოდა, იმედის ცეცხლი გავაღვივე. ეს ცეცხლი კი მთლიანად მოედო მის სხეულს და ალი მეც კი გადმომწვდა. და ეს მხოლოდ იმიტომ, რომ ბოლო მომენტამდე არ დამიკარგავს იმედი და გულისიღრმეში მაინც მწამდა რომ ნიკა მეორე შანსს იმსახურებდა და რომ ის არც ისეთი ცუდი იყო რეალურად, როგორიც გარედან ჩანდა. და იმედი? ოჰ, ის იმდენად უხილავი გრძნობაა, რომ შეუძლია ძალიან ნელა მოგეპაროს, მაგრამ იმდენად სწრაფად დაგტოვოს, არც კი გეგონოს თუ ის ოდესმე შენთან ყოფილა და შენს გულში უცხოვრია...

დანიშნულ დროზე დანიშნულ ადგილას მივედი. ნიკამ რომ დამინახა ფეხზე წამოდგა და ისე გამიცინა, თითქმის ყველა კბილი გამოუჩნდა.

-ახტაჯანავ მოხვედი?

როგორც ჩანს ხასიათი გამოკეთებია. გადამეხვია.

-ღმერთო ჩემო, ასე ხალხში ნუ მომმართავ თუ შეიძლება.

ბრაზით ავხედე და დავიმორცხვე.

-ოჰოო, ჩენს მადმუაზელს შერცხვა!

-აქლემო!

-თავქარიანო!

-აქ საჩხუბრად დამიბარე? - გავბრაზდი - თუ ასეა დუელში გიწვევ ვაჟბატონო.

-კარგი კარგი, ეგრევე ნუ იწევ ხოლმე, ეგ მერე იყოს ჯერ პეპერონს დაველოდოთ. უკვე მოაქვთ.

დავფიქრდი. მაცდურათ გამომხედა. მაინც გამაცინა. მერე სკამი გამომიწია და მეც დავჯექი. ჩემს პირდაპირ მოკალათდა და ისევ გაიკრიჭა.

-აბა როგორ ხარ?

მკითხა.

-გადასარევად! - თვალი თვალში გავუყარე. დიდხანს უხმოდ მიმზირა. წარბი არ შეუხრია, არც კი შემდრკალა. უბრალოდ ჩემს წინ იჯდა და მიმზერდა. მომნატრებია მისი ლამაზი სახე. ახლა ასე პირდაპირ ვუყურებდი და არა ეკრანიდან და მისი ყოველი სახის ნაკვთის დაკოცვნა მსურდა. ყოველ ინჩზე მინდოდა შევხებოდი და მისი სურნელი შემეგრძნო. ვიმედოვნებდი რომ ეს ძალიან აშკარაც არ იყო. ასე კიდევ დიდხანს თუ გააგრძელებდა ყურებას გონს დავკარგავდი. თავი ვეღარ შევიკავე და ვუსაყვედურე.
-ასე ნუ მიყურებ გთხოვ...
-როგორ?
-აი ასე, თითქოს თვალებით მჭამ!
ჩაიცინა.
-რას ვაკეთებ?
-მჭა-აანუუუ, გადატანითი მნიშნელობით ხომ ხვდები? აი...
დავიბენი, წყალი მოვსვი და მოუსვენრობა დამემართა.
-ესეიგი გჭამ, - არ ჩერდებოდა.
-ჩემი წვალება გსიამოვნებს არა?
-თანაც როგორ...
-ნაძირალავ!
-მეგი იცი რა გამახსენდა?
-რა? მითხარი, ნუ იცინი...
-სულაც არა, მე და შენ პაემანზე? აჰაჰაჰ, ეგ არასდროს მოხდება, ისეთ ბიჭს როგორიც შენ ხარ ჩემნაირი გოგო პაემანზე არასდროს გაყვება, აჰაჰაჰაჰ...სულ რამოდენიმე თვის წინ ამ სიტყვებს ერთი ჯიუტი თხა მეუბნებოდა, ახლა კი რა ხდება? ჩემს წინ ზის ჩემი პასუხების მოლოდინში. მართალი მითქვამს მაშინ, შენ ნამდვილად არ ხარ ამ პლანეტიდან.
-თუ გინდა ახლავე წავალ!
-სუფთა მარგო ხარ "ქაღალდის ქალაქებიდან".
-არ ვნანობ რომ დაგარტყი!
-დამშვიდდი პატარავ, მთელი დუელი წინაა.
-იცოდე გაგანადგურებ, - "დავემუქრე".
-ჩემო ტკბილო, ხომ იცი როგორ მიყვარხარ...
მომიგო და საყვარელი თვალებით გამომხედა.
-ეგ ხო პირფერობაა? - წამოვხტი ადგილიდან და შევყვირე, - პროვოკაცია, ნამდვილი პროვოკაციაა!
-მეგი, რას აკეთებ სუყველა ჩვენ გვიყურებს.
ხალხს გადავხედე და ახლაღა მივხვდი რაც ჩავიდინე. დანაშაულის გამოსყიდვის მიზნით, ყველას ხელი დავუქნიე და თბილი ღიმილით გავუღიმე, მერე კი ისევ დავჯექი ჩემს ადგილას. გაგვეცინა. ამასობაში პიცაც მოიტანეს. თითო ნაჭრები სწრაფადვე მივირთვით. მერე ისევ საუბარი წამოიწყო.
-ისე, უცნაურად არ გეჩვენება რომ ჩვენი დადებული პირობის შემდეგ არადა აღარ გაწვიმდა? ცაც როგორ შენსავით გაჯიუტდა ჰა?
-როგორარა, გაწვიმდა, - არ დავიბენი და ეგრევე მივახალე, რადგან ვხვდებოდი საუბარი საითკენაც მიჰყავდა.
-ეგ არ ითვლება პრინცესავ, მაშინ ერთად არ ვყოფილვართ. ა რ ც ე რ თ ხ ე ლ!
თითქმის დამარცვლით ჩამახარა.
-და რომ ვყოფილიყავით რა?

-ხომ იცი რაც?
-ნიკა! - დამორცხვილმა შევძახე.
-რაიყო ახტაჯანავ?
-იცოდე ხმას აღარ გაგცემ.
-მერე მაგას რა ჯობია, ცოტახანს დავისვენებ.
ეგრევე მოვიღუშე. ეგ პასუხი არ მესიამოვნა. სადღაც ორ წუთს სახე დაყენებული ჰქონდა, მერე მხრები და წარბები ერთდროულად აუთრთოლდა და ფხუკუნი წასკდა.
-რაიყო გოგო, ვხუმრობ. ხოო, შემახსენე აბა ჩვენს სიაში შესასრულებელი რა დაგვრჩა?
-გაიძვერავ!
-ხოოო, დიახ შენ მართალი ხარ, წვიმაში კოცნა დაგვრჩა. ეს უნამუსო წვიმა... ხოდა ამაღამაც თუ არ იწვიმა, რაც ჩვენს ჯიბრზე სავარაუდოდ არ მოხდება, შეგვიძლია ხელოვნური წვიმა მოვიყვანოთ.
-მაიმუნობას აღარ მოეშვები ხო?
არაფრით დამაცადა მთავარ თემაზე გადავსულიყავი.
-წვენს დალევ? - მკითხა.
-ნიკა...
-ჩემი იდეა მოგეწონა ხო?
-ცხრამეტ ივლისს ჩემი დაბადების დღეა.
-ეგ ვიცი.
-მე... ჩემი დაბადების დღისთვის მცირე დანაზოგი მაქვს.
-გინდა აქ გადავიხადოთ? - ვერ მიხვდა რას ვგულისხმობდი.
-არა, მე... ვიფიქრე, თუ მაგ დანაზოგს შენს ფულს დავამატებდით, მაშინ ლალი დეიდას გამოყვანას შევძლებდით, სასამართლო რომ უკვე დანიშნონ და ვეღარ მოვასწროთ, მერე? წამში სახე გაუმკაცრდა, არაფრით ელოდა თემას თუ ასე შემოვაბრუნებდი.
-იცოდე არც იფიქრო, თორემ ხმას აღარ გაგცემ.
-კაი ნიკა რა, მერე რა მოხდა? ვცდილობ დაგეხმარო. თან ნელ-ნელა დამიბრუნებ მერე.
-მეგიი, მომხედე მესმის რომ დახმარებას ცდილობ, მაგრამ, შენ უკვე ისედაც ბევრი გააკეთე პატარავ... - ხელი ხელზე დამადო -სხვა შენს ადგილას...
ნიკას შეხება ძველებურად მესიამოვნა, მაგრამ იგივე შეგრძნებები არ დამიტოვა, როგორსაც ადრე მიტოვებდა. დავვეჭვდი და ნელა ამოვუტრიალე ხელი, უცებ დაიძაბა და წამში გამომტაცა, თუმცა არ დავანებე.
-მანდ რა გაქვს?
-აჰ, არაფერი...
-მანახე...
-მართლა არაფერია, მეგ.
-თუ არაფერია, მაშინ რატომ მალავ?
ხელი ნელა ამოატრიალა. ხელის გულზე საშინელი ჭრილობა ემჩნეოდა. ავკანკალდი. დაიბნა და თვალები გაუფართოვდა. სულ ერთი წამით არარსებული რამ დავუშვი ჩემს ცნობიერში. თუმცა არა... ეს შეუძლებელი იყო, ნიკა მე არ მომატყუებდა. პასუხის მომთხოვნი გამჭოლი მზერით მაინც დავუწყე ყურება. სანამ ხმას ამოიღებდა გულში ვევედრებოდი ის არ ყოფილიყო, რაც მეგონა. ღრმად ამოისუნთქა.
-უბედური შემთვევაა მეგ, - ნერვულად ჩაიცინა და თვალები ამარიდა.
-უბედური შემთხვევა?
-ხო, ხახვს ვჭრიდი და... წარმოგიდგენია? ჰაჰ, როგორი სასაცილოა...

-შენ ჭრიდი ხახვს?

-ხო, რაიყო სალათასთან ერთად არ გიყვარს?

-რავიცი, ალბათ მიყვარს.

-მეგი, ნუთუ შენ იფიქრე... ოხ, რა სულელი მყავხარ. ჭამე, აღარ გშია?

პასუხი აღარ დამიბრუნებია, ჭამა უხმოდ გავაგრძელე, მაგრამ მადა დაკარგული მქონდა. ნიკა ხომ ვერ იტანდა ხახვს, მითუმეტეს სალათასთან ერთად. განა ეს თავად არ მითხრა? ხო, კარგად მახსოვს ის დილა, ნამდვილად თავად მითხრა სალათაში ხახვი არ მიყვარსო. თანაც ჩემი მოტყუება არასდროს გამოდსიოდა. აქ რაღაც რიგზე ვერ იყო. გუნება წამიხდა, თუმცა აღარ ჩავძიებულვარ. ნაძალადევად გავუღიმე, მერე ისევ ჩავფიქრდი. გული ცუდს მიგრძნობდა. თუ ჩემი ეჭვები გამართლდებოდა და ერთ მშვენიერ დღესაც აღმოვაჩენდი რომ ის მე მატყუებდა და ისევ შავბნელ საქმეებში იყო გახვეული, ალბათ ვეღარასდროს ვაპატიებდი ამას...

დაბნელდა. ეზოში გავედით. ის ჭრილობა თვალებიდან არ ამომდიოდა. მე უჩვეულოდ ჩუმი ვიყავი, ნიკა კი უჩვეულოდ ხალისიანი. ახლა თითქოს მე ის გავმხდარიყავი, ის კი მე. ვაკვირდებოდი და მართლაც ვცვლიდით პიროვნებებს ერთმანეთში. ვუსმენდი და ვამჩნევდი როგორ აკიდებოდა ჩემი ლაპარაკის კილო, მე კი მისი მანერები. ეს ძალიან უცნაურად მეჩვენებოდა, მაგრამ ამასთანავე სასიამოვმოდათ. ადრე მან მითხრა რომ ორი ადამიანის ცხოვრება ვერ გაერთიანდება და ერთ მთლიანობად ვერ იქცევა. მე ამ დებულების სიცრუეც დავამტკიცე. რესტორნის ეზო ლამაზად გაეფორმებინათ. პატარ-პატარა აუზების გარშემო თეთრი გედის ქანდაკებები ჩამოემწკრივებინათ. ძალიან მესიამოვნა აქაური აურა. გარშემო ყველაფერს დავუწყე თვალიერება. ჩვენს ირგვლივ გაზონები ირწყვებოდა. სავსე მთვარე იყო, ცაზე კი რატომღაც არცერთი ვარსკვლავი. ჰაერი შემაღონებლად ჩახუთულიყო. უეცრად, ნიკა ცეკვა-ცეკვით სარწყავ მილთან მიიპარა და სიტყვის უთქმელად არც კი დაფიქრებულა მთლიანად ისე ამოსწია.

-რას აკეთებ გაგიჟდი? - შევყვირე.

-ესეც ჩვენი წვიმა!

მაშინვე ორივენი გავიწუწეთ, სარწყავი მილიდან წყალი ფანტანივით იფრქვეოდა და ირგვლივ ყველაფერს წუწავდა, მათ შორის ჩვენც. ნიკა ბედნიერი სახით მომიახლოვდა ჰაერში ამიტაცა და დამაბზრიალა. და მეც ველა ეჭვი გამიქრა. ხმამაღლა ვიცინოდი. ჩვენი ბედნიერების ხმები ზეცამდე აღწევდა. ვხვდებოდი ახლა ის წუთები უნდა დამდგარიყო რაზეც ამდენი ხანი მიფიქრია და მიოცნებია, მაგრამ ვერც კი წარმოვიდგენდი ყველაფერი ასე თუ მოხდებოდა. თუმცა ხომ ყოველთვის ის ხდება რასაც ვერასდროს წარმოვიდგენდით და ვერასდროს შესწვდებოდა ჩვენი ქვეცნობიერი. ამბობენ ცხოვრება ზუსტად ის არის რაც შენი გეგმების საპირისპიროდ ხდებაო. მაინც რა მაგარია, როდესაც არაფერს ელოდები და ყველაფერი მოხდება... უკვე სადაცაა ჩვენი სუნთქვა გადაიკვეთებოდა. ნიკამ ნელა დამსვა ძირს. ადგილზე გავშეშდი. სულ რაღაც მილიმეტრები გვაშორებდა ერთმანეთს. მისი ცხელი სუნთქვა სახეზე მელამუნებოდა და მოძრაობის უნარს მთლიანად მიქვეითებდა. წამში შევხტი და ეს ყველაფერი თითქოს გაქრა, რადგან რესტორნიდან მეპატრონის ყვირილი და ლანძღვა გაისმა.

-ეს რას ჩადით თქვე უსირცხვილოებო, გადმოდით ჩემი გაზონიდან, წარწერა ვერ დაინახეთ? გაზონზე გადასვლა აკრძალულია, მოწყდით აქედან! ეს რა უნამუსო თაობა მოდის! მოშორდით, თქვე ღმერთის სასჯელებო!

მალევე ჩვენც ორი დაცვა დაგვედევნა. სანამ გაზონზე გადმოირბინეს, ეგენიც გვარიანად ამოილუმპნენ. გონზე მოსვლა ვერ მოვასწარი. არა, ჩვენ თავს ხომ ჩვეულებრივად და

ნორმალურად არასდროს არაფერი მოხდებოდა! ანდაც სადაც მე ვიყავი, რა უნდოდა იქ ჩვეულებრივობას და ნორმალუროზას... ნიკა ამჯერადაც მართალი იყო.

-ნიკა, მალე გაიქეცი, გაიქეცი!

ერთი შევკივლე და მიწას ეგრევე მოვწყდით ხელიხელჩაკიდებულები და მთლად სველები. პარკინგზე მდგარ მანქანებს ჰაერში გადავახტით კინაღამ.

-ისევ მოგვდევენ? ეს რა ჩაიდინე, შეშლილი ხარ! - ხელი უცრო მაგრად მოვუჭირე და მთელი ძალით გავიქეცი.

-თითქოს შენ აკლებდე!

-საით წავიდეთ? დაგინახა? ვაიმე, ახლა სამსახურიდან რომ გაგიშვას?

-ნუ ღელავ, ჩემი სახე არ დაუნახავს, აი შენ კი მშვენივრად დაგინახა. მგონი შენი დაბადებისდღის აქ გადახდის იდეა ჩაგვეშალა. მამაშენის რესტორანში კიდევ მე ვერ მოვალ... როგორ მოვიქცეთ?

-რა დროს ჩემი დაბადებისდღეა სულელო, ჯერ ამათ გადავურჩეთ!

სულს ძლივსღა ვითქვამდი, სიცილისგან მუხლები მეკვეთებოდა. როცა როგორც იქნა დავრწმუნდით რომ უკვე უსაფრთხოდ ვიყავით ჯერ დიდხანს, ძალიან დიდხანს ვიცინეთ. მერე კი უცებ ორივე დავსერიოზულდით. სადღაც წარწერებიან ძველ კედელთან ამოვყავით თავი. მის სახეს ვერ ვხედავდი, მე კი ლამპიონების შუქი მანათებდა. საშნლად ავღელდი, ჩემმა გულმა ისე სწრაფად დაიწყო ცემა როგორც არასდროს. პირი გამიშრა. ვერაფერს ვახერხებდი, არ ვიცოდი რა მექნა, არ ვიცოდი ხელები სად წამეღო, ანდაც რამე მეთქვა თუ არა. არ მინდოდა ისევ რაიმე "ბრძნული სისულელე" დამეხეთქებინა და მომენტი გამეფუჭებინა. საშინლად აღელვებული ვიყავი. შეიძლება ერთი ადამიანი სიკვდილამდე გაფორიაქებდეს, და ამავდროულად გამშვიდებდეს? ნიკა ჩვენი გაცნობის დღიდან ერთმანეთის სრულიად გამომრიცხავ ემოციებს მჩუქნიდა. ერთდროულად მისი ცემაც და ჩახუტებაც ხშირად მდომებია. ერთდროულად ზიზღი და სიყვარულიც მიგრძვნია მის მიმართ. დღემდე ვერ ვხვდებოდი მაიც რა სახელი უნდა დამერქმია ამ გრძნობისთვის. თითქოს უსახელოდ გვიყვარდა. მაგრამ აბა რა მნიშვნელობა ჰქონდა ჩვენს სტატუსს? მსგავსი სიგიჟე არცერთ წიგნში არ ამომეკითხა და არც ერთ ფილმში მენახა. მე რამე ზღაპრულს, რომანტიულს ველოდი ამ ცხოვრებისგან, მაგრან მივიღე ამაზე მეტი... სრული სიგიჟე, ადრენალინი და თავგადასავალი, რომელსაც ჩემს შვილებს აუცილებლად მოვუყვებოდი ერთ დღეს! ახლა კი, ამ წამს მე ისე ვგრძნობდი მისი სხეულის სიმხურვალეს, როგორც ჯერ არასდროს, რომელიც ძალიან ნელა უფრო და უფრო ახლოვდებოდა, თუმცა მიუხედავად ოცდაცამეტი გრადუსი სიცხისა მაინც თავიდან ბოლომდე ერთიანად ვცახცახებდი. მის ყოველ გადმოდგმულ ნაბიჯზე უკან იქამდე ვიხევდი სანამ იმ კედელს არ შევეჯახე. და მერე... სადღაც ერთ წამში მისი ბაგეები ჩემსას შეხვდა. განგებ, უმოწყალოდ, ღმერთმანი სადაც იყო სულს დავლევდი, მაგრამ მალევე ჩენ ორნი სადღაც უსასრულო მორევში გადავეშით ერთად...

***

მამამ დარეკა, სახლში ვაგვიანებდი. ნიკას დავემშვიდობე და ტაქსიში ჩავჯექი. ვერაფრით ვიჯერებდი წუთების წინ მომხდარს. მთელი გზა სახიდან ბედნიერი ღიმილი არ მომცილებია. ჩემს თმებზე მის სურნელს ვგრძნობდი. დავინახე სარკიდან მოხუცი ბაბუ ღიმილით როგორ შემომცქეროდა. მეც გავუღიმე. მერე რადიო ჩართო. ჯეიმს არტურის "Impossible" ჩაირთო. ეს სიმღერა მთლიანად ჩვენს ისტორიას მახსენებდა რატომღაც. ჩვენი გაცნობის ღამიდან დღემდე... ჩემს სახლამდე მთელი გზის განმავლობაში ბედნიერების ზღვაში ვცურავდი ახლა უკვე ჩემი საყვარელი სიმღერის ჰანგების ფონზე. სახლში გაბრუებული დავბრუნდი. ლადომ სუფრასთან მიმიწვია. ლიზა თავის ოთახში იყო, მერი კი ტელევიზორს უყურებდა.

-მადლობა მამა, მეგობართან ერთად უკვე ვჭამე.

სწრაფად ვუპასუხე და კიბეებისკენ გავემართე. ერთი სული მქონდა ლიზას ყველაფერს როდის მოვუყვებოდი.

-მეგ, არ გაგვაცნობ მაგ შენს მეგობარს?

გამომძახა მერიკომ.

-ხო, არ გაგვაცნობ უკვე შვილო?

-რა თქმა უნდა, ჩემს დაბადებისდღეზე ხომ იქნება არა?

-უი ხო, რაც შეეხება მაგას, ჩვენ ვიფიქრეთ და... მთელი ოჯახი დასასვენებლად ბათუმში ხომ არ წავსულიყავით და შენი დაბადებისდღეც იქ ხომ არ გადაგვეხადა? ბოლო-ბოლო ადამიანი თავის სიცოცხლეში ერთხელ ხდება თვრამეტი წლის! რა მაგარია არა?

-მაგრამ მამა, მე რომ არ...

-აუ მეგ, დათანხმდი რა, თუ გიყვარვარ, - კიბეებიდან მომაძახა ლიზამ, - ბათუმი ჩემი ოცნების ქალაქია!

-კარგი ხო...

გადავიფიქრე იმის თქმა რომ თბილისში დარჩენა და დაბადებისდღის ნიკასთან ერთად გადახდა მერჩივნა. თანაც მამამ ხომ არ იცოდა, რომ მისი მანქანის ქურდი შემიყვარდა და რომ ის იყო სწორედ ის "მეგობარი" ვისაც მე ვხვდებოდი. საერთოდაც წარმოდგენა არ მქონდა ამას როდის ან როგორ ვეტყოდი.

-კარგი ხო, ანუ კარგი თანახმა ხარ? - მკითხა ლადო.

-როგორც გინდათ, ისე ვქნათ, - ჩავილაპარაკე იმედგაცრუებულმა.

ამის გაგონებაზე სიხარულისგან ლიზამ ერთი შეჰკივლა და მერე ისევ თავის ოთახში ავარდა.

-აუ ლადიიი, არ გინდა ხინკალი მომიხვიო უცებ? - სთხოვა მერიკომ მამას.

-რაო? - მე და მამას ერთდროულად აგვიტყდა სიცილი.

-მეგ, გაიგე რა თქვა? ამ შუაღამეს ხინკალიო.

-სულ არ გიყვარვარ, არა?

გაიბუტა მერი. წავიფხუკუნე.

-ღმერთო ჩემო, ჭირვეულიც გამხდარა... აბა რას ამბობ ჩემო ძვირფასო, შენნაირი მშვენება როგორ არ უნდა მიყვარდეს?

-კარგით მე ლიზასთან ავალ.

ვუთხარი მათ და მარტო დავტოვე თავიანთ სასიყვარულო ბუდეში. ლიზასთან ასულმა მას სასწრაფოდ მოვუყევი მომხდარი. სახლი შეძრა იმხელა ხმაზე იკივლა.

-გოგოო, რას შვრები გინდა მშობლებს გული გაუხეთქო?

-ოო, ეხლა მაგათ სად სცალიათ ჩენთვის... ხედავ შენ? აი ეს მესმის! ნამდვილ სასიყვარულო რომანს ჰგავს...

-ჰო , ასეა - ამოვიოხრე.
-რა იყო?
-აუ, რა ვიცი ლიზ... რაღაც რიგზე ვერ მეჩვენა.
-რა თქმა უნდა! მართლა რომ გაწვიმებულიყო, ყველაფერი უფრო რეალური იქნებოდა და მერე აღარ გეჩვენებოდა მასე.
-არა, მაგას არ ვგულისხმობ სულელო! მაგრამ მართალი ხარ, ამას ვერც წარმოვიდგენდი. ნამდვილი გიჟია ეგ ბიჭი.
-აჰ, არც შენ აკლებ.
-ხო, მაგანაც ეგრე მითხრა, - მრავლისმთქმელად ჩამეღიმა.
-აბა რას გულისხმობდი სხვას?
ლიზამ ერთი ნახტომი გააკეთა, ლოგინზე წამოფარფატდა და ოცნებებში გადაეშვა. გადავწყვიტე ხელი არ შემეშალა და ნიკას გაჭრილ ხელზე არაფერი მითქვამს. გამეცინა მის შემხედვარეს.
-ასე მეც მინდა...
ამოიოხრა ცოტახანში.
-როგორ ასე?
-აი ასე, შენსავით ზღაპრული რომანის გმირი მეც მინდა ვიყი. ან ნაჰჰ, არა... მარწყვის ტორტი უფრო მინდა.
-შენ ხომ მარწყვზე ალერგია გაქვს?
-ხოდა მერე რა? შენ რა, არ გაგიგონია რომ ადამიანს ყველაფერი აკრძალული იზიდავს? აკრძალული ხილი ხომ ყველაზე გემრიელია, არა? ხოდა აი ნახავ, ერთ დღეს ამ ტორტს აუცილებლად გავსინჯავ!
-აკრძალულზე გამახსენდა, - გვერდით მივუწექი ლიზას, - ლიზ, იცი როგორ მეშინია?
-რისი გეშინია?
-მამასი. როცა გაიგებს რომ მისი მანქანის ქურდს ვხვდები...
-ვაიმე, ეგ სულ დამავიწყდა! აუ, ასეა რა, ასეა ჩემო მეგობარო, ყოველთვის ყველაფერი რიგზე ვერ იქნება. როცა გგონია რომ ყველაფერი კარგად გაქვს და ეს ნამდვილად ჰეფი ენდია, უცებ ჰოპ და ისეთი რაღაც გამოხტება, რაც არც კი დაგსიზმრებია! არადა რაის ქურდი, რო შეხედავ მშენიერი ბიჭია...
-ნეტა რა მოხდება...
-ბათუმი გვიჩვენებს, ბათუმი! მეგი იცი რა მოვიფიქრე? ადექი, მიდი ხო...
ლიზამ ოთახის კუთხეში ჩამოკიდებულ პატარა ვარდისფერ ჩარჩოიან სარკეში ჩამახედა და თვითონაც გვერდით მომიდგა.
-გახსოვს თმის შეჭრა რომ მინდოდა?
-მერე?
-მერე, დებს უფრო მეტად რომ ვგავდეთ, ორივემ შევიჭრათ და მე წითურად შევიღებავ. გაწყობს?
-ვითომ ჩენგან რამე გამოვა?
გავიცინეთ.
-აბა რა ვიცი...

ჩემს ოთახში დაბრუნებულმა ტელეფონი ავიღე და ნიკას შეტყობინება გავუგზავნე.

"იცი რომ დასასვენებლად მივდივარ? და ჩემს დაბადებისდღეზეც იქ ვიქნები სავარაუდოდ:))"

პასუხი მალევე დამიბრუნა:

"მართლა? სად?"

გაგზავნის ღილაკს ვაჭერდი უკვე რომ ისევ მომწერა:

"ან არა, ნუ მეტყვი, არ მითრა"

რას ქვია არ ვუთხრა?

"ვითომ რატომ არ უნდა გითხრა?"

"რავიცი ძვირფასო, როცა გნახავ მაშინ მითხარი პირადად..."

"ნიკა რა გემართება?"

"მეგი, ნუ აზვიადებ, წავედი მეძინება, შენც დაიძინე მიდი <3"

"კარგი" - მივწერე ნაწყენმა.

"ჩემზე ხომ იფიქრებ?"- მაინც გამაღიმა.

"შენ სიზმარში ხომ მნახავ?"

"კი :))"

"მაშინ, მეც კი..."

SEEN

ნიკა

მთელი აპრილის მაისისა და ივნისის განმავლობაში საიტიდან კატოს სახლამდე ინფორმაციებს დავარბენინებდი. მცირე დეტალსაც კი უდიდეს ყურადღებას ვაქცევდით და ყველაფერს ვიწერდით. რატომღაც სექტაში ჩემს დაბრუნებას დიდი აჟიოტაჟი საერთოდ არ გამოუწვევია. მე და კატო შესანიშნავი გუნდი გავხდით, მე კი საბოლოოდ შევძელი და ვაღიარე რომ მეგი მიყვარს. მეგი... მისი მოტყუება დღითიდღე ჩემი ჩადენილი ცოდვების საზღაური ხდებოდა ჩემთვის, ეს კი ბოლოს მიღებდა. რომ დავენახე მიხვდებოდა, თვალებში ერთხელ მაინც რომ შემოეხედა მიხვდებოდა რომ ვატყუებდი, როგორც იმ ღამეს. მან ჩემი დანახვის პირველივე წამიდან შეძლო იმის დანახვა რომ რაღაც მიჭირდა. ამიტომ ხან სამსახურს ვიმიზეზებდი, ხან რას და ხან რას და შეხვედრებზე უარს ვეუბნებოდი. ჯერ-ჯეროზით ასე ვთლიდი საჭირდ. როცა დრო იყო და მისთვის ყველაფრის მოყოლა მსურდა, რატომღაც ეს საუბარი არაფრის დიდებით არ შედგა. მერე კი სხვა პრობლემები გაჩნდა და ეს ამბავი ყველაზე მნიშვნელოვნად აღარ ჩავთვალე. მე ველოდი თაზოსგან ზარს, და შეხვედრის დაგეგმვას, რომ საბოლოოდ გადაეწყვიტა წამოვიდოდა თუ დარჩებოდა სექტიდან, მაგრამ ახლა ჩემი დაბრუნების შემდეგ ალბათ ჩათვალა რომ ეს საჭირო აღარ იყო და საერთოდ გაუჩინარდა. ამის შემდეგ მე იძულებული გავხდი დავალებების შესრულება ისევ გამეგრძელებინა, რადგან საიტიდან ესემესი მომივიდა. მისამართი იყო. მეგის სახლის მისამართი. ერთ საღამოს, როდესაც ისევ შევედი საიტზე, პირად შეტყობინებებში ხმოვანი ესემესი დამხვდა. ის იყო. დემონი. ყველაფერი იმ ეშმაკის ბრალი იყო.

-იცოდი რომ მეგის კითხვა უყვარს?

მეუბნებოდა ხმა.

"ჩაძაღლდი! ჩაძაღლდი! ჩაძაღლდი!" კინაღამ პირში მივახალე, მაგრამ არაფრის დიდებით არ უნდა დამვიწყნოდა ჩემი ჯაშუშის მოვალეობა და ყველაფერი უარესად არ უნდა გამერთულებინა.

-რა თქმა უნდა ვიცი.

-თუ ასეა მისი საყვარელი წიგნის სახელი დამიწერე და გამომიგზავნე.

ეს რაღა იყო? წიგნი? რაში აინტერესებდა? დავფიქრდი და გამახსენდა რომ ბოლოს მეგიმ "რომეო და ჯულიეტა" წაიკითხა. ვერ ვხვდებოდი რა საჭირო იყო ყოველივე ეს. ხელის კანკალით სწრაფადვე ავკრიფე და გავუგზავნე. ტელეფონი სადღაც ოთახის კუთხეში მოვისროლე და მსხვრევის ხმა გავიგონე. მთლიანი სხეულით ვკანკალებდი. ძველი კამოდის უჯრებს მივვარდი და მასში ქექვა დავიწყე. არ არსებობს, რამე უნდა მქონდეს, რამე კიდევ უნდა მქონდეს დარჩენილი, - ვფიქრობდი. ყველაფერი მტკიოდა, თავი მეწვოდა, ვგრძნობდი როგორ მემსხვრეოდა შიგნიდან ყველა ძვალი, მერე თავისით ისევ როგორ მთელდებოდა და ასე დაუსრულებლად. არა, ამისი გადალახვა შეუძლებელი იყო. ვითომ მარი? მაგრამ ბოლოს რომ დამინახა, არც კი მომესალმა. იმ ყველაფრის შემდეგ რაც გავუკეთე, მისი ეს საქციელი მიკვირდა? ამის დედაც, მისი დეიდაშვილი ჩემს გამო მოკვდა მე კი მასთან არც მილაპარაკია, არც კი ამიხსნია, ჩემი ჩადენილი დანაშაულებისათვის ბოდიშიც კი არ მომიხდია და ახლა როდესაც ყველაზე მეტად დამჭირდა ძველი მეგობრისგან დახმარება, მისგან საპასუხოდ რაიმე კეთილ საქციელს ველოდი? ადრე მისი მზრუნველობა ყელში მქონდა ამოსული, ახლა კი დამენატრულა. გიჟივით ისევ დამტვრეულ ტელეფონს დავუწყე ძებნა. მარი, მარი, მარი... კონტაქტებში მისი სახელი ავკრიფე, არაფერი მიჩვენა. ეს როგორ? მერე ნომრებს ჩამოვუყევი და დავინახე: "პატარა ძუკნა" თვალი მივუშტერე. ეს მე ვიყავი? ასეთი იდიოტი ვიყავი? ღმერთო... სასწრაფოდ დავრეკე. სუნთქვას ვერ ვინაწილებდი, ბუნდოვნად ვხედავდი. ცოტაც და ღრიალს დავიწყებდი. უცებ მარიამის ხმა გავიგონე და გავისუსე. არ მინდოდა ჩემთვის ეს უღონობა შეეტყო.

-გისმენ...

-მარი, - მაგრამ ვერც ეს შევძელი. მისი ხმის გაგონებაზე ყველა მოგონება ერთნაირად ამემღვრა თვალწინ.

-ვინ არის? - კონტაქტებიდანაც ამოვუშლივარ...

-მარი მე... მაპატიე გთხოვ, - მოვყევი ვედრებას და ბოდიშებს.

-ნიკა რა გინდა?

-მე... მარი, - ცრემლები წამომცვივდა.

-ასე უბრალოდ არ დამირეკავდი, ვიცი. ეს შენ საქციელს არ ჰგავს!

-მე... ცოტა აღარ გაქვს? რამე... მე ძალიან ცუდად ვარ, დამეხმარე გთხოვ, სულ ცოტა... გემუდარები, შემხვდი და დავილაპარაკოთ. იმ შემთხვევის მერე სალაპარაკო ბევრი დამიგროვდა, მარი ძალიან მომენატრე.

-ნამდვილი ლაჩარი ხარ, თავი დამანებე.

-მარი, გთხოვ...

-შემეშვი შე მკვლელო!

"შე მკვლელო! მკვლელო... შემეშვი შე მკვლელო!" - ეს სიტყვები ჩემმა გონებამ უაზროდ ჩაიხვია. მარიმ ყურმილი დამიკიდა. ტელეფონი ყურიდან შეძრწყნებულმა ჩამოვასრიალე ძირს და ჩამსხხვრეულ ეკრანიდან თვალებში ჩემი და სერგის სურათის ანარეკლი ნათლად გამოისახა. ეს ფოტო მარიამმა ბოლოს მის სახლში რომ შევიკრიბეთ მაშინ გადაგვიღო. როგორი უდარდელები და ლაღები ვიყავით სამივე... მენატრებოდნენ ჩემი მეგობრები, მთელი არსებით მენატრებოდნენ, მაგრამ ვიცოდი რომ ვეღარც ერთს დავიბრუნებდი. სერგის დანახვაზე ჩვენი ბოლო შეხვედრა გამახსენდა. გამახსენდა, თუ როგორ იწვა გაშეშებული, გაყინული და მთლიანად უსიცოცხლო, სწორედ იმ მაისურში, რომელის ჩუქებასაც მარი დაჰპირდა. მე კი დილამდე ვედექი თავზე. ვედექი და ველოდი თუ როდის გაიღვიძებდა და ძველებურად დამიძახებდა. ალბათ გაუხარდებოდა, ამდენი ხნის შემდეგ მასთან სახლში რომ მნახავდა, ეგრევე შემომეგებებოდა და გადამეხვეოდა. მე ველოდი, დილამდე ველოდი... ხანდახან მეჩვენებოდა კიდეც რომ მის უსიცოცხლო სახეზე მისი მომხიბვლელი ღიმილი გადაურბენდა ხოლმე, ანდაც ხელს იმის ნიშნად ამოძრავებდა რომ ჯერ ისევ ცოცხალი იყო და ჩვენი ესმოდა. სერგი... მაინც რამდენჯერ მივირბინე იმის გადასამოწმებლად რომ მართლაც სუნთქვადა... რამდენჯერ დავუჩოქე, რამდენჯერ მოვეფერე თმებზე... რამდენჯერ მომეჩვენა რომ მას კვლავ შერჩენოდა სითბო. ვერ ვიჯერებდი რომ სიცოცხლით სავსე ბიჭის სხეული ახლა ცივ, გამოფიტულ გვამად გადაქცეულიყო, რომელიც სულ რამდენიმე საათში გახრწნას დაიწყებდა. არა, ამის დაჯერება შეუძლებელი იყო. სერგის ხომ მალე სინჯები ჰქონდა! იქნებ ჯერაც არ იყო გვიანი. სერგი... ჰაერში გაწვდილი ხელი ცოტახნით გამიშეშდა. ჯერ ისევ ვერ ვბედავდი შეხებას, რადგან მეშინოდა რომ ჩემი იმედები არ გამართლდებოდა. არა, ის ვერ მოკვდებოდა! როდესაც ყველა გავიდა ოთახიდან და მხოლოდ მეღა დავრჩი, გადავწყვიტე კიდევ ერთხელ მივვახლოვებოდი და უეცრად ზუსტად ჩემს წინ მისი სახე დავინახე და გავიგონე მისი ხმა. სერგი? გახარებულმა წამოვიძახე და სახე ცრემლებით დამენამა. სერგის თავისი საყვარელი მულთფილმის გმირებიანი საროჩკა ეცვა და თმები ძველებურად მხრებზე გადაყრილი ჰქონდა. სახე უცინოდა როგორც ყოველთვის.
-სერგი?

თვალებს ვერ ვუჯერებდი. ის კი იდგა ზუსტად ჩემს წინ და სწორედ იმ ღიმილით მიღიმოდა, რომლის დანახვასაც კიდევ ერთხელ ვნატრობდი.

-ვერ ვიჯერებ ეს მართლა შენ ხარ? ვიცოდი... მე ვიცოდი რომ ვერ მოკვდებოდი!

-შემეხე! - მომიგო მან.

-რა? - ვერ მივხვდი რას მეუბნებოდა. უეცრად თვალებით უსულო სხეულზე მანიშნა. ახლაღა დავიხედე და გული გამიჩერდა.

-ეს... როგორ... - ჩავიბუტბუტე და ძირს დავიხარე.

-შემეხე ნიკა, - სერგი კვლავ იღიმოდა. მე კი შევყურებდი ხან მის სულს, რომელსაც ენით აღუწერელი ნათელი ედგა და ხან მის სხეულს, რომელიც გაშეშებული გაუნძრევლად იწვა. ხელი მისი სახისკენ წავიღე, ლოყაზე მივაბჯინე და ეგრევე გამოვტაცე.

-არა! შენ არ მომკვდარხარ, - დავუყვირე მას, მაგრამ როდესაც კვლავ ავიხედე აღარავინ დამხვდა. ოთახი ცარიელი იყო. მხოლოდ მე და სერგის მიცვალებული სხეულიდან გამოდევნილი სიცივე, რომელიც ჩემს გარშემო ადგილს იმკვიდრებდა და გულს მთლიანად მიყინავდა. ხანდახან იმ სიცივეს ისევ ვგრძნობდი ხოლმე ამდენი ხნის შემდეგაც. მაინც რამდენჯერ მიოცნებია, მინატრია მისი კიდევ ერთხელ დანახვა... რამდენჯერ მომდომებია მისი ხმის კიდევ ერთხელ გაგონება და რჩევების მოსმენა, რამდენჯერ მითხოვია მაგრამ...

ის აღარ გამოჩენილა.

აღარცერთხელ...

კუთხეში ჩავიკეცე და ბოლო ხმაზე ამოვუშვი ღრიალი. ამ დროს საიტიდან ისევ მოვიდა შეტყობინება:

"სისხლით"

რაღაც საზარელი ხმა აღმომხდა. უჯრაში ჩაგდებულ ჩემს დანას ვწვდი და მის ადგილას ერთი პატარა შეკვრა დავინახე. სასწრაფოდ გავხსენი თან ხელის გული გადავიჭერი. ეს იმ ტკივილთან შედარებით, რომელსაც შიგნიდან ვგრძნობდი არაფერი არ იყო, საერთოდ არაფერი. ძველი მავნე ჩვევები ძველ მავნე ჩვევებად რჩებოდა, თამაში უბრალოდ ამის დანახვას მაიძულებდა და მეტი არაფერი. რაც არ უნდა კარგი ვყოფილიყავი სინამდვილეში, ადრე ჩადენილი არასწორი საქციელები დღეს სწორად ცხოვრების მცირე

იმედებს და შესაძლებლობებსაც კი არ მიტოვებდა. შუაზე გადაჭრილი კანიდან სისხლი დინებით წამსკდა. კედელზე ძალის ძალით დავწერე ინგლისური ასოებით და ფოტო გადავუღე. ნაწერიდან სისხლის წვეთები გაუჩერებლად ჩამოდიოდა და სანახაობას უფრო საზარელს ხდიდა. იმ საღამოს საერთოდ არავის თავი მქონდა. ვიჯექი ოთახის კუთხეში და შევყურებდი ჩემი და სერგის სურათს. ყველაფერი ისევ აირია. ახლიდან!

მეორე დილას როდესაც გავიღვიძე და გამახსენდა რა დებილობებიც ჩავიდინე, პირველად საღებავების მაღაზიაში წავედი. შავი საღებავი ვიყიდე და კედელი იმ ადგილას მთლიანად გადავღებე. მერე მივხვდი რაც მჭირდა და ასე რატომ ვიქცეოდი, ძველი ჩვევები რატომაც ბრუნდებოდა... მეგის გარეშე მე ისევ ისეთი ნაგავი ვხდებოდი, როროგიც თავდაპირველად. ტელეფონი ავიღე და გადავურეკე, ვთხოვე ჩემთვის რაიმე მოეყოლა. მე ის ჰაერივით მჭირდებოდა. მისი ხმის გაგონება დამშვიდებაში მეხმარებოდა და ყველაფერ ცუდს მავიწყებდა. მეგიმ ჩვენი წაგებული სანაძლეო გამახსენა, ანუ შეხვედრა მთხოვა. ვიფიქრე და იქნებ ეს ჩემთვისაც კარგი იყოს მეთქი და როგორც კი გავუთიშე, მოსაწესრიგებლად აბაზანაში შევედი. არაფერი არ უნდა შეეტყო ჩემთვის. ამ დროის განმავლობაში თამაშს ჩვენი ურთიერთობა მთლიანად შესწავლილი ჰქონდა, რადგან ის მხოლოდ ტელეფონითღა ხერხდებოდა. სიმ-ბარათი რომ გამომეცვალა ეჭვს გამოვიწვევდი, ასე რომ თავის გასულელება გადავწყვიტე. ეს ერთ-ერთი მიზეზი იყო, თუ რატომ ვუმალავდი მეგის ყველაფერს. თუ მეგი გაიგებდა, მაშინ თამაშიც გაიგებდა რომ მის წინააღმდეგ რაღაცას ვგეგმავდი. მერჩივნა მეგის სამუდამოდ შევზიზღებოდი, ვიდრე მას რამე დამართნოდა და არამარტო მას. სასწორზე ჩემი, მეგისა და კატოს სიცოცხლეები იდო...

ჩემს კაფეში მე და მეგი პიცას შევექცეოდით. ვუყურებდი მის ლამაზ სახეს, ვუსმენდი მის წკრიალა ხმას და ვგრძნობდი ჩემს შიგნით დაცლილი სითბო ხელახლა ნელ-ნელა ისევ როგორ ივსებოდა. ხელი რომ ჩამკიდა და ჩემი ჭრილობა იგრძნო, მივხვდი რომ დავიწვი. ჭრილობა ჯერ ისევ ახლად გამოიყურებოდა. არადა სპეციალურად არ შევიხვიე რომ არ შეემჩნია. რა შემჩნევაზე იყო საუბარი პირველი მაგას მკითხავდა. მაინც ვერ ავცდი ამას, ჯანდაბა! კიდევ ახალი ტყუილი მოვიფიქრე, ძალიან სულელური ახალი ტყუილი. ერთ ტყუილს მეორე მოსდევდა, მეორეს მესამე, მერე მეცხრე და ასე დაუსრულებლად... სასწრაფოდ რამე უნდა მელონა. ჩვენთვის ყველასთვის განაჩენი სწორედ მე უნდა გამომეტანა. ამ ყველაფრის დასრულების დრო იყო!

***

როგორც უკვე ვთქვი, ერთ საფუძვლიან თუ უსაფუძვლო ტყუილს(როცა იტყუები ამას არანაირი მნიშვნელობა არ აქვს) მეორე მოჰყვება, მეორეს კი მესამე... შემდეგ მეათე და ა. შ... მე ისევ მომიწია ტყუილი მეთქვა მეგისთვის. აბა როგორ ვეტყოდი რომ სექტის წევრები იკრიბებოდნენ უკვე ძალზედ მოახლოებული უკანასკნელი ეტაპის აღსანიშნავად და რომ მე დაძინებას კი არა სწორედ იქ წასვლას ვაპირებდი? ისინი ღამით იმ სასაფლაოზე იკრიბებოდნენ, სადაც სერგი უკანასკნელად ვნახე. ვიაზრებდი რომ სიკვდილთან ჩემი ფეხით მივდიოდი, უბრალოდ ვიმედოვნებდი რომ ის ავსულიც იქ დამხვდებოდა. დ ე მ ო ნ ი. ეს რაღაც უფრო ჩემსა და მას შორის ომს ემგვანებოდა. დემონი და ლიდერი! ერთმანეთზე თითქმის ისე ვნადირობდით, რომ ამის შესახებ არცერთმა ვიცოდით. ვერ ვხვდებოდი ასე ძალიან მე რატომ ამომიჩემა, თუმცა ერთი რამ ცალსახა იყო, ამ დაუსრულებელ ომში აუცილებლად მე გავიმარჯვებდი!

სიბნელეში სასაფლაოებს შორის მივაბიჯებდი. სხეული გაყინული მქონდა. საფრთხის სუნს აშკარად ვგრძნობდი, ყველაფერი ავისმომასწავებლად გამოიყურებოდა. ისეთი შეგრძნება მქონდა რომ სერგის სული სადღაც იქვე ჩემს სიახლოვეს ტრიალებდა და მოახლოვებული საფრთხის შესახებ მიქადდა. იქვე შორიახლოს ანთებულ კოცონს მოვკარი თვალი. მის ნათებას მივყევი და ყველანაირად ვეცადე მეგიზე არ მეფიქრა. ირგვლივ მდუმარება სუფევდა. როგორღაც უნდა დავწყნარებულიყავი და უკვე გეგმის შემუშავება დამეწყო. მათ მხოლოდ ის უნდა სცოდნოდათ რაც მე მსურდა. რომ დავნებდი და ვაგრძელებ თამაშს და რომ კატო მკვდარია და მასზე კითხვების დასმას აზრი აღარ აქვს. ამ ყველაფერში მე დარწმუნებული უნდა ვყოფილიყავი და ჩემს სიტყვებში ეჭვი მეთვითონვე არ უნდა შემეტანა.

როგორც წესი "ის" საბრძოლო არენაზე არასდროს გამოდიოდა ხოლმე, მაგრამ თუ თითოეულ მოთამაშეს დაწვრილებით შევისწავლიდი, მის კვალზე გასვლასაც შევძლებდი. აი მაშინ კი აუცილებლად გავანადგურებდი. ჯერ-ჯერობით რაც აზრად მომდიოდა ეს იყო მხოლოდ სხვა არაფერი. ვფიქრობდი; ეს სწორედ ის ღამეა და უნდა გამოვიყენო. უნდა გამოვიყვანო სააშკარაოზე! თუ მოსვლა გაბედა და აქ მყოფთაგან ერთ-ერთი მათგანია, მაშინ ისე ვიზავ, რომ თავისი ვინაობა თავადვე აღიაროს. ამის შემდეგ მე გადმოვიბირებ

ყველას, რადგან მე და კატო საკმარისი ნამდვილად არ ვართ და რატომღაც თაზოც ზუსტად ისევე გაქრა, როგორც გამოჩნდა. არა ვიძახდი, რომ თავიდანვე არ მომწონდა ეგ ტიპი.

როგორც იქნა ნათებასაც მივუახლოვდი.კოცონის გარშემო უცებ გადავთვალე შვიდი ბნელი სილუეტი. მეშვიდე სავარაუდოდ ჩვენი დაკარგული ბიჭი უნდა ყოფილიყო, ძალიან კარგი. ისინი ისხდნენ და თავის განვლილ "უბედურ ცხოვრებას" იხსენებდნენ, რომელიც მათი აზრით ძალიან მალე დასრულდებოდა. ჩემი აზრით კი ეს გაკვეთილ კატებზე და დასისხლიანებულ ხელებზე უარესი იყო. სიტყვის უთქმელად დავიკავე ჩემთვის განკუთვნილი მერვე ადგილი. იმდენად გაკვირვებულები შემომცქეროდნენ, თავი ძალზე უხერხულად ვიგრძენი. არც ერთისთვის მზერის გასწორება არ მსურდა, ყველა ერთმანეთზე საშინლად გამოიყურებოდა. სასმელი, რამოდენიმე სახის ნარკოტიკი და ბასრი საგნები ერთად მოექუჩებინათ. ეგრევე თვალი ავარიდე, გამახსენდა ცოტა ხნის წინ მარის ამის გამო დახმარებას როგორ ვთხოვდი, ჩემი სიმწრით მოკრუნჩხული სხეულიც გამახსენდა და ის სახეც, სარკიდან მომზირალი, რომელიც ჩემსას საერთოდ აღარ ჰგავდა. არაფრის დიდებით არ უნდა მიმეღო არაფერი, მაგრამ ამის გამო არც თვალში არ უნდა მოვსვლოდი ვინმეს. ერთი წლის წინ მსგავსი შეკრებები ჩემთვის ალბათ ჩვეულებრივი ერთი ღამის გართობის ტოლფასი იქნებოდა, რომელზეც ისე დავთვრებოდი რომ მეორე დღეს სახლში როგორ დავბრუნდი ისიც აღარ მეხსომებოდა. ან დავბრუნდებოდი რო? ახლა კი, ამ უბედური სახეების ყურება იმდენად მაღიზიანებდა, კინაღამ აქ მოსვლის მიზეზი არ დამავიწყდა. მე ხომ დიდი მისია მეკისრა. სიცოცხლესა და სიკვდილს შორის ეს არსებული უცილავი ხიდი ხომ სწორედ მე უნდა გადამეწვა! და იქნებ მართლაც ეს იყო ჩემი დანიშნულება ამ ცხოვრებაში... გამოვტყდები მე მეშინოდა, ძალიან მეშინოდა. ყველაფერში მმართებდა სიფრთხილე. ყოველი გადადგმული ნაბიჯისას ჯერ კარგად უნდა დავფიქრებულიყავი და ამეწონ-დამეწონა ჩემი საქციელი, რადგან ამაზე უამრავი ადამიანის სიცოცხლე იყო დამოკიდებული. დაბადებიდან მეგის ჩემს ცხოვრებაში გამოჩენამდე თუ ჩემთვის ყველაფერი სულერთი იყო და საერთოდ არაფერს ნიშნავდა, ახლა მათ ერთნაირად ვინაზღაურებდი. თურმე ემოციებია სწორედ ის ერთადერთი რამ, რაც თავს ცოცხლად გაგრძნობინებს, გახსენებს რომ შენ არსებობ, რომ შენ რამეს ნიშნავ და არ აქვს მნიშვნელობა ეს ემოცია დადებითადაა დამუხტული თუ უარყოფითად. ზედმეტი სიხარული ზუსტად იგივე ადრენალინს იწვევს, რამდენიც ორი გრამი უბედურება. იგი თუ ელდასავით გეცემა და წამის მეათასედში შენი სხეულისა თუ სულის თითოეულ კუთხე-კუნჭულს დაივლის, თითქოს ფეხქვეშ მიწა გეცლება, სულში აპოკალიფსი გაქვს და სხეულში არსებული შენობებიც თითო აგურის მიყოლებით გენგრევიან. ეს განცდა ზუსტად ერთი წამით ან ზოგჯერ უფრო ნაკლები დროითაც კი

გვსტუმრობს, მაგრამ ზუსტად ეგ ნახევარი წამი წყვეტს უზომოდ გაგვახაროს თუ უზომოდ დაგვამწუხროს. და არ აქვს მნიშვნელობა შედეგი როგორია, ჩვენ მაინც გვიცრემლიანდება თვალები. ჩვენი არსებობის ირონიაც ხომ ზუსტად ამაში მდგომარეობს! რეალურად ყოველი განცდა თუ ემოცია, თითოეული გრძნობა ფერადი მძივის თვლებივით, ერთმანეთის მიყოლებითაა ასხმული. აქამდე ამაზე არ გიფიქრიათ ხომ? არ გიფიქრიათ რომ ვტირით და მუხლები გვეკვეთება მაშინაც, როდესაც მსოფლიოში ყველაზე ბედნიერები და ამავდროულად ყველაზე უბედურები ვართ(ან შესაძლოა ეს ჩვენ გვგონია ასე). და სადღაც ამ ორი ემოციის გასაყარს აუცილებლად უნდა ეარსება, რადგანაც მე სწორედ მანდ ვიყავი იმ მომენტში. თითქოს სრულიად სხვა გალაქტიკაში ვიმყოფებოდი სადაც ყველა ვარსკვლავი მეგის თავს მახსენებდა, მათი სიკაშკაშე კი მისი სულის სათნოებას.

***

-და შენ?

მკითხა ერთმა გოგონამ რომლის სახელსაც ვერაფრით ვიხსენებდი, თუმცა რა მნიშვნელობა ჰქონდა...

ვერ მივხვდი.

-რა მე?

-შენ რაღატო გადაწყვიტე საიტზე დარეგისტრირება? უეჭველი რამე გადაგხდებოდა თავს როგორც სხვა დანარჩენებს. აქ ხომ ისედაც ამისთვის ვართ, შენ კი რაც მოხვედი არაფერი გითქვამს.

-ხოო, თან ისედაც დაიგვიანა, - ჩაერია მეშვიდე "ნაომარი გმირი" - თაზო.

-შენ საერთოდ ხმა ამოგეღება? - გავმწარდი, მაგრამ მალევე დავიოკე ნერვები, - მნიშვნელოვანი არაფერი, უბრალოდ ჩემი არსებობის მიზეზს ვერ ვხვდებოდი... ვერაფრით ვხვდებოდი.

-და ახლა ხვდები?

მომესმა ხმა ზუსტად ჩემს პირდაპირ. ამ ხმას გაყოლილი ცეცხლის მწველ ალს შევეჯახე. მის შუქზე აქ მყოფთაგან ასაკით უფროს ტიპს თვალი მივუშტერე, თუმცა გარკვევით ვერ ვხვედავდი. მთელი ინტუიცია მისკენ მივმართე, რადგანაც მის ხმაში თითქოს იყო რაღაც ნაცნობი, თუმცა ვერაფრით ვიხსენებდი. თვალი ვერ მოვწყვიტე, თითქოს ჩემი ქვეცნობიერი ყველაფერს ჩემამდე მიხვედრილიყო და სწორედ ამის გამო საბოლოო მიზეზის გამხელა მომინდა ყველასთვის და უფრო მეტად იმ ამოუცნობი ტიპისთვის და ისე რომ ჯერაც ვერ მივმხვდარიყავი რატომ ჩავდიოდი ამას, ჩავილაპარაკე:

-სინამდვილეში დედაჩემს ერთ ნაბიჭვართან შევუსწარი და ეს იყო, რამაც საბოლოოდ თქვენთან მომიყვანა, - ცეცხლის ალის მიღმა ვიღაცამ ირონიულად და ბოროტად ჩაიცინა, არა გადაიხარხარა და უკვე ნათლად დავინახე მისი ოქროს კბილები და მელოტი თავი. დალახვროს ეშმაკმა! ის იყო! ლალის ყოფილი საყვარელი, ის ტიპი იყო! ახლაღა ვინანე რატომ არ ჩავაძაღლე იმ დღესვე, საიდანაც ეს ჯოჯოხეთი დაიწყო. ამას მეტი ფიქრი აღარ სჭირდებოდა, ეს თამაში, სექტა, დავალებები... ის იყო, ის დემონი იყო! ეს ყველაფერი მისი იყო. უეცრად თვალთ დამიბნელდა, თავში თითქოს ყველაფერი ერთდროულად მომაწვა, მაგრამ მერე მათმა სიცილის ხმამ გამომარკვია. მანიაკებივით იცინოდნენ, თუმცა ვერაფრით გამეგო რაზე. ნუთუ ჩემი ტრაგედია ასე სასაცილოდ ჟღერდა ყველასთვის? თუ საერთოდ რა ჯანდაბა ხდებოდა? ვისკის ბოთლს დავწვდი და საჩქაროდ მოვსვი რამოდენიმე დიდი ყლუპი. სხეულში ცეცხლი მომეკიდა. მე უძლური ვიყავი, არ უნდა შემემჩნია რომ მე ის ვიცანი, საერთოდ არაფერი არ უნდა შემემჩნია! ვეცადე მათ როგორღაც სიცილში ავყოლოდი თუმცა ბოლომდე მაინც ვერ ვიაზრებდი რა ხდებოდა. ერთი სული მქონდა ამ მოულოდნელ სიახლეს კატოს როდის ვეტყოდი. მე ხომ საქმე თითქმის გავხსენი. თუმცა რეალობამ მოლოდინს გადააჭარბა. ამჯერადაც გადააჭარბა!

გამთენიისას დავიშალეთ. იმ დროს როცა უფრო ნათლად და გარკვევით ვხედავდი "დემონის" სილუეტს. ყველა მის გარემოცვაში გატარებული წამი ჩემთვის ჩემს შიგნით დაუცხრომელი ომის ტოლფასი იყო! თითოეული წამი... წყურვილი რომ ნებისმიერ მომენტში მივვარდნოდი და ადგილზევე მიმეხრჩო არაფრით ქრებოდა. და ეს რომ საბოლოოდ დავაპირე სასაფლაოსთან შავი ლიმუზინი გაჩერდა, იქიდან კი ოთხი ჭარბწონიანი, მაღალი, შავ ტანსაცმლიანი ტიპი გადმოვიდა და ჩვენსკენ აიღო გეზი. ოჰოოო, მაფია! აი ეს მესმის... სასწრაფოდ დავტყდი იქიდან და კატოსკენ

გავემართე(კიარადა გავიქეცი) ისეთი დაბნეული ვიყავი, იმდენ კითხვაზე არ მქონდა პასუხი... ნეტავ ეს უბრალოდ დამთხვევა იყო? არადა დამთხვევების არასდროს მჯეროდა. და მაინც რაღა ის ნაძირალა? რატომ? ესეიგი ჩემი ეჭვები უსაფუძვლო არ ყოფილა, ეჭვები რომ თითქოს თავიდანვე ყველაფერი მხოლოდ ჩემს გამო ხდებოდა, რომ მას შემდეგ რაც გავიქეცი ეტაპებს თითქოს ძალით წელავდნენ, დროს აჭიანურებდნენ... მაგრამ არა! ეს ვერ იქნებოდა სიმართლე. ეს უბრალოდ... უბრალოდ ჩემთვის დაგებული მახე იყო, სადაც ძალიან ადვილად წამოვეგე და მეტი არაფერი! აქ ნამდვილად სხვა ამბავი ტრიალებდა. მე ვგრძნობდი ამას...

***

-ნიკა, მოიცა, ერთი წუთით! ამ ყველაფერში შენ უცნაურს ვერაფერს ხედავ?

შემეკითხა კატო როცა ყველაფრის მოყოლა დავასრულე.

-გოგო მეღადავები? მთელი ეს ისტორია თავიდან ბოლომდე უცნაურობა არაა? რა ჯანდაბამ და ჩემმა ფეხებმა ჩამაწერინა ის სიტყვები გუგლში, აი საერთოდ მაგ საიტს როგორ მივაგენი? რანაირად?

-კიი, ეგრეა, მარა მაგას არ ვგულისხმობ მე.

-აბა?

-მისმინე, აბა ცოტა ტვინი გაატოკე, მართლა ის რომ იყოს ვისაც ჩვენ ამდენი ხანია ვეძებთ, თავს ასე უბრალოდ დაიწვავდა? ანუ რატომ დანიშნა შეხვედრა და ასე უბრალოდ, სრულიად არაფრის გამო თავისი ვინაობა რატომ გაგიმხილა?

სული შემეხუთა მისი ოქროს კბილები და საზიზღარი ღიმილი რომ გამახსენდა. ეგ კაცი ჩემი პირადი ეშმაკი იყო თუ ყველაფერი ცუდი ჩემს ცხოვრებაში მის გამო რატომ ხდებოდა? ეგ არ ვიცოდი, მაგრამ ზედმეტსახელს აშკარად რომ ამართლებდა ეგ ნამდვილად ცხადი იყო. კატო კი ისევ მართალი...

-გეფიცები რა, ეს ყველაფერი დღითიდღე უფრო იხლართება! ისეთი შეგრძნება მაქვს რომ ჰაერგამოტუმბულ ოთახში ვიმყოფები, რომელსაც არც კარი აქვს და არც ფანჯარა და მეც არაფრის გაკეთება არ შემიძლია! მაშინ ისე გავმწარდი კატო, ისე გავბრაზდი, რომ მეგონა სისხლძარღვები ერთმანეთზე მიყოლებით დამისკდებოდა! მაგაზე საერთოდ არ მიფიქრია...

-აქ უკვე დედაშენი გვჭირდება.

-რა დედაჩემი?

-რა და ყველაფერი უნდა ვკითხოთ რაც მაგ კაცზე იცის ნიკა.

-და შენ ისევ მართალი ხარ. და იქნებ... ვაიმე კატო!

-ახლა რაღა მოხდა?

-რა თქმა უნდა, დემონი და მისი თამაშები პირდაპირი და გადატანითი მნიშნელობით.

-რამეს მიაკვლიე?

-იქნებ იმიტომ გამიმხილა ვინაობა რომ ეჭვი მასზე არ მიმეტანა და უბრალოდ რიგითი მოთამაშე მგონებოდა?

-რა ზუსტად გაარტყი! კიიი, ეგრეა, ნამდვილად მაგაშია საქმე და მოიცა... ჩემზე რამე თუ გკითხა?

ჯანდაბა! მე და კატომ ერთმანეთს შეშინებულებმა გადავხედეთ და დავინახე ერთიანად როგორ აუთრთოლდა მხრები. მისი ხელი ხელში დავიჭირე. გაყინული იყო.

-ნიკა, - წამოიკნავლა - ძალიან არ მინდოდა ამის თქმა, მაგრამ უნდა მეთქვა.

-მან იცის...

***

თავში არცერთი გეგმა არ მომდიოდა, არ ვიცოდი როგორ მოვქცეულიყავი, მაგრამ ერთი რამ ცხადი იყო, ლალის ციხიდან გამოყვანა კიდევ უნდა გადამედო. კატოსაც უკვე

ამოსწურვოდა შესაძლებლობები და ახლა ისიც ნატასავით ფიქრობდა, რომ უკვე დრო იყო პოლიციისთვის მიგვემართა. სულ თუ არაფერი იმ არამზადას ნარკოტიკების გასაღების ბრალდებით მაინც დაიჭერდნენ. ყოველ შემთხვევაში ასე იყო თუ ისე, მე ისევ უთქმელად და უმოქმედოთ ვიჯექი და საიტიდან მოსულ დავალებებს ერთმანეთზე მიყოლებით ვასრულებდი.

-ნიკა, მოგწონს ეს სიტუაცია, არა? -

მკითხა მეორე კვირას კატომ, როცა ჩვეულებისამებრ მასთან მივედი, ეს ხომ უკვე ტრადიციად გვექცა. თუმცა ამჯერად არა საქმეზე, მე უბრალოდ თავს ძალიან ცუდად ვგრძნობდი, ეს იყო და ეს. ნატას ახალი სამსახური ეშოვა და სახლში არ იყო.

-რაზე ამბობ? - კითხვითვე ვუპასუხე კატოს.

-თამაშზე!

ოჰ! ახლაღა მოვედი აზრზე! ჩავფიქრდი, თუმცა არა, არ დავუშებდი ის ამჯერადაც მართალი ყოფილიყო. ახლა არა, ახლა ხომ მიზეზი მაინც გამაჩნდა ბრძოლისთვის...

-რა თქმა უნდა არა, - სწრაფადვე მივუგე რომ ჩემი ყოყმანი არ შეემჩნია.

-აბა რა გაკავებს?

-შენ ამას ვერ გაიგენ კატო, - ვუთხარი და ღერ სიგარეტს მოვუკიდე.

-შენ მითხარი და მე გავიგებ თუ ვერა, ეგ უკვე ჩემზე იყოს.

მიღიმის და ღერ სიგარეტს თითებიდან მტაცებს.

-ახლა აღარ მომეშვები ხო?

-შენ როგორ გგონია?

წარბებს მაღლა სწევს და მოუთქმენლად ელოდება ჩემს პასუხს, რომელსაც ასე ძალიან ვუგვიანებ.

-კატო, ის ტიპი დედაჩემთან იყო, გასაგებია? კი, დედაჩემმა ბევრი დააშავა, ეს მართალია და ამ დრომდე ესეც მორიგი ნაძირალა იყო ჩემთვის, რომელიც უბრალოდ სიკვდილამდე მძულდა, რადგან დედა მის გამო აღარ მოდიოდა სახლში ღამ-ღამობით, არ იყო ჩემთან მაშინ როცა ყველაზე მეტად მჭორდებოდა! ამის დედაც, ამ ფაქტს უკვე შეჩვეული ვიყავი და უფრო მეტიც, მზად ვიყავი საკუთარი თავი დამედანაშაულებინა და დამესაჯა! ხო, მე მზად ვიყავი სიკვდილისთვის და ბოლოს რა ხდება? ვიგებ რომ ვის გამოც ეს მსურდა, თურმე სწორედ ის ადამიანი ყოფილა, რომელიც ამ მიზანთან მაახლოვებდა!

სიჩუმე ჩამოვარდა.

-და მისთვის ციხე სამოთხედ გეჩვენება!

ჩუმი, ცივი ხმით ჩაილაპარაკა თავის სიტყვებში დარწმუნებულმა. ჩემს გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა კატომ მიზანში გაარტყა. მკრთალად გამეღიმა და თავი ჩავქინდრე. დავინახე სიგარეტი ფრთხილად როგორ ჩააქრო. ხმას არ ვიღებდი, ანდაც ვერ. ისიც კარგახანს იყო ჩუმად. თავს არ ვწევდი მანამ, სანამ კისერზე მისი ხელის შეხება არ ვიგრძენი, რომელიც გამუდმებით ცივი იყო, ან მე მეჩვენებოდა ხოლმე ასე. გახურებულ კანზე, მისი ყინულივით ცივი შეხება ელვასავით მომასკდა. ავთრთოლდი და თავი ნელა ავწიე. პირდაპირ თვალებში ვუყურებდით ერთმანეთს. მან ორივე ხელი სახეზე შემომაჭდო და ჩემსკენ მთლიანი სხეულით გადმოიხარა...

-ნიკა, - ჩაილაპარაკა მძიმედ და დანანებით. ბაგეები უმოწყალოდ უთრთოდა.

-კატო, გთხოვ, - ამოვიოხრე მის ტუჩებთან ძალიან ახლოს და უკან დავიხიე. მერე მისი ხელები ფრთხილად მოვიშორე სახიდან და იმის მოლოდინში დავუწყე უხერხულად თვალთვალი, სანამ გავიგებდი ეწყინა თუ არა, მაგრამ როცა გოგო წამში თავის ადგილს დაუბრუნდა და გამიღიმა გულზე მომეშვა. მართალია ნაძალადევად, მაგრამ მაინც.

-მეგი, არა?

ერთი ჩავახველე და მეც გავუღიმე, იმისგან განსხვავებით რომ ჩემი ღიმილი გულწრფელი იყო. აბა როგორ შემეძლო მეგის სახელი გამეგონა და არ გამეღიმებოდა...

-ხანდახან ვერ ვიტან იცი? - თვალები გადაატრიალა კატომ.

-არაუშავს, გაიცნობ და აუცილებლად შეგიყვარდება.

-იმედი მაქვს...

***

ერთი კვირა ვაიგნორებდი მეგის ესემესებს. გული მეწურებოდა რომ წარმოვიდგენდი როგორ ნერვიულობდა, თუმცა ასე იყო საჭირო. ეს რომ არ მექნა მეტს ნამდვილად ვეღარ გავუძლებდი, უბრალოდ ხაზს ვეღარ გადავუსვამდი ძველებურად იმ ფაქტს რომ მე მას ვატყუებდი. გულის ტკენისთვის არ მემეტებოდა, ისედაც უკვე რაღაცას ხვდებოდა და ამ საქმის კვალს რომ თავად გაჰყოლოდა და რამე მაინც აღმოეჩინა, აღარასდროს მაპატიებდა. ამიტომ ვერიდებოდი მასთან შეხვედრასაც, უკვე ვეღარ გამეგო ჩემს თავს რა იდიოტობა ხდებოდა. მაშინ როდესაც მეგონა რომ ყველაფერი დავალაგე, მოულოდნელად ისევ ახლიდან აირია. ვარჩიე სანამ ეს ყველაფერი არ ჩაივლიდა მეგისგან თავი შორს დამეჭირა, მაგრამ მის მონატრებას ჩემში ვეღარ ვიტევდი, ყველა გრძნობაზე მეტად ჭარბობდა. შესაძლოა სწორედ ამიტომ იყო რომ გეგმა შედგენილი ჯერაც არ მქონდა. უბრალოდ ვდუმდი და ყველა დავალებას მორჩილად ვასრულებდი... ეს დანებებას ნიშნავდა? არა! ამას არ დავუშებდი. ამის დასამტკიცებლად მოვწესრიგდი, ცოტა ადამიანს დავემგვანე და სამსახურში წავედი. იქაურობის დანახვაზე გამახსენდა რომ მეგის დაბადებისდღე ხვალ იყო. ჩვენ ხომ აქ გადახდას ვაპირებდით. ვეღარ გავუძელი კონტაქტებში შევედი და მის ნომერს ძებნა დავუწყე მაგრამ მალევე გავჩერდი, რადგან არ ვიცოდი რა მეთქვა მისთვის ამდენი ხნის შემდეგ. ტელეფონი შევინახე და საქმეს შევუდექი. ის ან კვლავ უნდა მომეტყუებინა, (ამდენი ტყუილების თქმით კიდევ უკვე ტყუილების ყუთად გადავიქეცი) ან კიდევ სიმართლე მეთქვა, მე კი არცერთი მსურდა...

იქნებ კატო მართალი იყო და უკვე დრო იყო პოლიციაში წავსულიყავი? ეს საქმე უკვე ძალიან გაიწელა. თუ მივყოლოდი წინა გეგმას და ისინი ჩემსკენ ერთმანეთის მიყოლებით გადმომებირებინა? ამას როგორ შევძლებდი? ან შევძლებდი განა? სანამ შეკვეთა გამზადდებოდა გონება დავძაბე და სექტის შეკრების ღამე გავიხსენე. მაშინ რამოდენიმეს თითქოს ყოყმანიც კი შევატყე. მართალია მსურდა ისინი ბოლომდე შემესწავლა, თუმცა მაინც ვერ ვახერხებდი მათთვის ბოლომდე დაკვირვებას მანამ, სანამ სასმელმა არ გახსნა. მე ისე ვიყავი გამწარებული რომ გამარჯვების სურვილი გამისამმაგდა და მოქმედებაზე გადავედი. ყველას "სევდიან ისტორიებს" სათითაოდ ვუსმინე და იქიდან სამი გავიხსენე. სამი ისეთი ისტორიის ავტორი, რომელსაც შეიძლებოდა ამ ყველაფრის დასრულება სურდა. შესაძლოა, არც იყო ასე და უბრალოდ მე მსურდა რომ ყოფილიყო, უბრალოდ მე მეჩვენებოდა და ვიცოდი რომ ვრისკავდი. ძალიან დიდი ალბათობა იყო იმისა, რომ მათ დავებიზღებინე, თუმცა გასარისკად მაინც ღირდა. მათი სახელები გავიხსენე, მერე საიტზე შევედი და სამივეს სათითაოდ მივწერე, მერე კი სასწრაფოდ გავასუფთავე ტელეფონი. ამ სამი მოზარდის სახელები იყო ლევანი, ტატო და ლიკა. ვთხოვდი რომ ხვალ იგივე ადგილას შევხვედროდით და არც გამკვირვებია რომ მათი პასუხი დადებითი

იყო. შესაძლოა ამ ყველაფრის მიზეზს გულისიღრმეში ხვდებოდნენ კიდეც, მაგრამ აბა რა ათქმევინებდათ...

სახლში მისული მთელი ღამე ვფიქრობდი მათთვის რა მეთქვა. გვიან ასე დილის ხუთისკენ ჩამძინებია. ათი საათისაკენ გამომეღვიძა. პირველ რიგში მეგის მივულოცე დაბადების დღე. ვიცოდი რომ ეს საქციელი ჩვენს ურთიერთობაში არსებულ ბზარებს არ გააქრობდა, თუმცა დაბადების დღე ხომ მაინც უნდა მიმელოცა. მერე სწრაფადვე ჩავიცვი და სასაფლაოსკენ გავემართე. სანამ დანარჩენებიც მოვიდოდნენ სერგის გავუარე. ერთი-ორი ცრემლიც ჩამოვაგდე. ძალიან მაკლდა მისი სასაცილო ისტორიები, მისი ინტრიგები და თავგადასავლები და მისი თანადგომა. უეცრად ყველა ის ტკივილი თითქოს განმიახლდა, თითქოს ისევ იმ საზარელ დღეში დავბრუნდი. ასე დღეში მილიონჯერ მემართებოდა, უიმისობას ვერაფრით ვეგუებოდი, თითქოსდა მისი გარდაცვალების ამბავს ახლიდან ვიგებდი ყოველ დღე გაუთავებლად, ამავდროულად ყურში ისევ მისი სიცილი ჩამესმოდა ისე ცოცხლად და ახლად და ეს რაღაც ზუსტად ისე მტკიოდა როგორც მაშინ, თავდაპირველად. მოგონებები განმიახლდა, ისევ ჩამესმა მისი სიტყვები, ისე თითქოს ისევ ის დღე ყოფილიყო, ისევ ჩემს წინ მდგარიყო და ეთქვა: "ისე ნიკა, მაგრად რომ მიყვარხარ, იცი? ...არა, არა ჩემი ძმა ხარ! მართლა მაგრად მევასები!"

მოგონებებიდან იქამდე ვერ გამოვერკვიე სანამ ჩემდაუნებურად ტატოს და ლიკას არ მოვკარი თვალი. მეც აღარ დავაყოვნე და მათ შესახვედრად გავწიე. ცრემლები შევიმშრალე. როცა ლევანიც მოვიდა და მეც მიზეზის გამხელა დავიწყე, თუ რატოც შევკრიბეისინი ამ ადგილას, დავინახე, რომ ის ყურადღებით ისმენდნენ ჩემს თითოეულ წარმოთქმულ სიტყვას. ეს ამბავი რომ სრულად მომეყოლა საჭირო იყო კატოც ჩამერთო. როდესაც საბოლოოდ უკვე გაარკვიეს რაც ხდებოდა, კატოს გადარჩენის ამბავმა მათში საბოლოო იმედი გააღვიძა. მართალია რაღაცეები დავმალე, მაგალითად ის რომ დემონმა ეს იცოდა და არ მგონია ეს ამბავი ასე უბრალოდ მიჩქმალულიყო, მაგრამ მაინც...

-და ასე უბრალოდ დაიძვრინა თავი? ერთი ყალბი საფლავის ქვით?

გაუცებულმა იკითხა ლიკამ.

-ბიჭოო, არა, შანსი არაა, იმ ჩემისას ეგეც ეცოდინება, - გამოთქვა აზრი ლევანიმ.

-რა მნიშვნელობა აქ იცის თუ არა? - ჩაერია ტატოც - მთავარია არაფერს აკეთებს.

-ეგ ჩვენ გვგონია მასე, - ვერ ისვენებდა ლევანი. ხოდა მეც სიტუაციის განსამუხტად მივუგე მათ:

-ყოველშემთხვევაში ბავშვებო, კატო ცოცხალია და მეტიც, შესანიშნავად არის!

ლევანის ნიშნისმოგებით გადავხედე.

-ლევან, ნიკას ხომ არ ჩაუშვებ, არა?

თითქოს ლიკა ჩემს შიშს მიხვდა რომელიც ასე აშკარა იყო, ან იქნებ შუბლზეც მეწერა...

-თქვენ იცით ბავშებო, თქვენი სიცოცხლე თქვენი გადასაწყვეტია, მაგრამ ერთს გეტყვით ის არავის და არაფრის გამო არ დათმოთ! არავის ცოცხალი მარიონეტები არ იყოთ! როცა ცუდად ხართ და თქვენი ჭრილობები ჯერ კიდევ ცხელია, მაშინ გეჩვენებათ რომ სულ ასე იქნება და ეს სამყაროს დასასრულია, მაგრამ მერწმუნეთ ეს ასე არ არის...

ლიკას ცრემლები მოეძალა, მე კი საუბარი გავაგრძელე, რადგან მივხვდი სასურველ მიზანთან უკვე ძალიან ახლოს ვიმყოფებოდი.

-მე თვითონაც ეს იმიტომ გადავწყვიტე რომ დედას მაგ არაკაცთან შევუსწარი.

-მოიცა ანუ... ის არის ვისზეც ყვებოდი? - ჩამეძა ტატო.

-მაგაზე მეტიც, იცით ვინ არის დემონი?

-ეგ ძნელი მისახვედრი არ ყოფილა. მაინც არ მესმის ვინაობა რატომ გაგვიმხილა, - თქვა ლევანიმ.

-სამაგიეროდ მე მესმის... - ჩავილაპარაკე, - ყოველ შემთხვევაში მაქამდეც არ მქონდა იდეალური ცხოვრება, მაგრამ ეს გადაწყვეტილება სწორედ მაგ შემთხვევამ მიმაღებინა და ჩემში ფესვები ღრმად გაიდგა, თუმცა რაც არ უნდა ღრმა იყოს, ამოუკვეთი ფესვი არ არსებობს. რაც არ უნდა მწარე იყოს ჭრილობა, მოსაშუშებელი არაფერია... მერე მე მეგის შევხვდი! გოგონას რომელმაც ჩემი სამყარო ამოატრიალა, რომელმაც ცხოვრება შემაყვარა, ჩემი სიცოცხლის აზრი გახდა...

-ვაიმე მეგი...

თითქოს ახლაღა გაახსენდა რაღაც ლიკას. ტატო და ლევანიმაც დაეჭვებით გადახედეს ერთმანეთს.

-კი, ვიცი რომ ჩემს თავზე ძალიან ბევრს ვიღებ, - განვაგრძობდი მე, - მაგრამ, კატოს გადარჩენის შემდეგ, ჩემს თავში არსებული ძალა დავინახე და ჩემი თავისა და თქვენი გადარჩენაც მომინდა. ისედაც ბევრი შეიწირა უკვე ამ თამაშმა. და განა დანარჩენები არ მადარდებენ? როგორ არა, უბრალოდ როცა ჩვენ შევხვდით, მე თქვენში სადღაც მიმალული იმედი დავინახე. იმედი გადარჩენისა! ვიცოდი, რომ ვრისკავდი ამ ყველაფრის გამხელით და გარანტირებული არც ახლა ვარ, მაგრამ ისევ თქვენს გამო, ჩვენი სიცოცხლეების გამო ვრისკავ. ახლა არჩევანი თქვენს წინაშეა სიცოცხლესა და სიკვდილს

შორის. შეგიძლიათ ის აირჩიოთ და მეც დამღუპოთ და საკუთარი თავებიც, ან შეგიძლიათ ჩემს მხარეს გადმოხვიდეთ და ყველანი ერთად გადავრჩეთ!

ამოვისუნთქე. საკმაოდ მიმზიდველად ჟღერდა ასე შორიდან ჩემი წინადადება.

-და ამას როგორ შევძლებთ? - მკითხა ლევანიმ.

-როგორ და ერთობლივ გეგმას შევიმუშავებთ! ეგ კი არა, დანარჩენ ახალგაზრდებსაც გავაგებინოთ რომ ფრთხილად იყვნენ, ურიგო არ იქნება, თანაც... თანაც თაზოც ჩვენს მხარესაა...

ბოლო სიტყვები შესამჩნევი თაკილით წარმოვთქვი.

-ეგ თავად გითხრა? -აკანკალებული ხმით შემეკითხა ლიკა.

-არა, მაგრამ თქვენამდე მასაც ველაპარაკე.

-იდიოტო, ეს რა ჩაიდინე!

-რატომ?

შეცდომა სად დავუშვი? გავშეშდი უეცრად.

-ნიკა, სინამდვილეში არის რაღაც რაც უნდა იცოდე...

მეუბნება ტატო.

-რა? რა არის?

-თაზოსთვის არაფერი არ უნდა გეთქვა. ჩვენ არ ჩაგიშვებთ, მაგისი იმედი გქონდეს, ჩვენ გადმოვალთ შენს მხარეს და ყველაფერს შევძლებთ ერთად მაგრამ მანამდე...

-მანამდე რა?

ხმას არავინ მცემს.

-რაა მანამდე?

-მანამდე მეგი უნდა გადაარჩინო!

-რა? ჩემი მეგი?

თითქოს სიხლი მიდუღდება. ეგრევე მეგის ნომერს ვკრეფ და აღარც ვფიქრდები ისე ვურეკავ. აღარ მადარდებს ჩვენს საუბარს ვინმე მოისმენს თუ არა, რადგან ახლა ამის დრო საერთოდ არაა. მე საერთოდ აღარაფერი მადარდებს.

ზარი გავიდა.

-რა? რა სჭირს მეგის? - ამის კითხვაღა მოვასწარი.

-თაზოს ბოლო დავალება მეგის გატაცებაა!

...

-გისმენ ნიკა.

მეგის ხმა თითქოს მაღვიძებს ამ კოშმარიდან. ვცდილობ არ დავმალო ჩემი აღელვება, მაგრამ არ გამომდის.

-მეგი, სად ხარ?

ვკითხე.

და

მერე

სიჩუმეში

ვიღაცის ძალზედ ნაცნობი ხმა გაიჭრა

-მეგი რომელი ხართ? - ვიგებ მეგის პასუხის სანაცვლოდ თაზოს ხმას.

-არაფერი თქვა, უკვე გზაში ვარ, არაფერი თქვა, გასაგებია?

ვაფრთხილებ მეგის და წასასვლელად უკვე ვემზადები რომ ტატო მანიშნებს ჩემი მანქანით წადიო და მას შემდეგ რაც ჩემკენ ნასროლ გასაღებს ჰაერშივე ვწვდები და ვიმარჯვებ მას მადლობას ვუხდი და ტელეფონიდან მეგის გაბრაზებული ხმა მესმის. ისეთი, როგორიც აქამდე არასდროს მომისმენია მისგან.

-ნიკა აქ რა ჯანდაბა ხდება?

-ყველაფერს აგიხსნი, - ვეუბნები, მერე ვიგებ ლიზა როგორ ეძახის და ვწყნარდები. მანქანაში ვთავსდები და ვაფრთხილებ, - სახლიდან არ გახვიდე გთხოვ, - და ვუთიშავ.

თბილისს რომ გავცდი ისევ დავურეკე რომ მისამართი გამეგო, მაგრამ მის მაგივრად ლიზამ მიპასუხა. წამით გავშრი და ეგრევე ცუდზე დავიწყე ფიქრი.

-ლიზ, მეგი?

-კარგად არის პალატაშია.

-პალატაში?

-ხო წნევა დაუვარდა, საშიში არაფერია.

-მოვდივარ, მარტო არსად წახვიდე.

-და რა ხდება?

-ყველაფერს აგიხსნით, შენ საავადმყოფოს მისამართი მომწერე. ან არა, სადმე მახლობელ კაფეში შევხვდეთ ჯერ... ან, ჯანდაბა რა გავაკეთო?! კარგი პირდაპირ მისამართი მომწერე.

-კარგი მაგრამ ნიკა, იცოდე მეგი თუ მოატყუე ის არასოდეს გაპატიებს!

და მითიშავს. ვიყინები, სიჩქარეს ვუმატებ და მთელი გზა ეს სიტყვები მიტრიალებს თავში

"ის არასოდეს გაპატიებს!"

კატო

დიდხნიანი დავის შემდეგ ჩემს თავში თუ რომელი უფრო მოულოდნელად გავჩნდით ერთმანეთის ცხოვრებაში, მე - მისაში, თუ ის - ჩემსაში, აღმოვაჩინე რომ ეს საერთოდ არ ყოფილა მოულოდნელობა, რადგან მოულოდნელობები ასე არ ხდება. მე უბრალოდ სასიკვდილო სენიდან სასიყვარულო სენში გადავვარდი და წ ე რ ტ ი ლ ი

***

მესამე სართულიდან თბილისის ხედი არც ისე ლამაზად და სასიამოვნოდ გამოიყურება და განსაკუთრებით მაშინ როდესაც დღეა. თუმცა მე ესეც მომნატრებოდა. გარეთ გასვლა, მეგობრებთან ერთად გართობა, რომლებიც ნელ-ნელა ჩემს გარშემო ისე მიმოიფანტნენ და გაქრნენ რომ ვერც გავიგე, მახლობელ ბარებში დალევა და მოტორბოლები. ეს ყველაფერი მე ჩემივე ხელით გავანადგურე და სანაცვლოდ საგიჟეთის თეთრკედლებიანი ოთახი, ყალბი საფლავის ქვა და დასახიჩრებული სხეული მივიღე. თუმცა სამაგიეროდ ნიკას შევხვდი... სამაგიეროდ გადავრჩი(ამას თუ გადარჩენა ჰქვია, რადგან არც ეს გამოდგა ისეთი ადვილი, როგორც ახლა ვამბობ) რომ იტყვიან ვაის გავეყარე და ვუის შევეყარეო. ეს "ვუი" ჩვეულებისამებრ იყო ჩემს სახლში მოსული, თუმცა ვერ ვიტყვი რომ ეს დღე სხვა დღეებს ჰგავდა. ვიყურებოდი ჩემი სახლის ფანჯრიდან და მისკენ მიბრუნება არაფრის დიდებით არ მსურდა.
ვფიქრობდი - რა იქნება რომ ერთხელ მოვიდეს და აღარასოდეს წავიდეს? რა იქნება რომ მისი მეგი მართლაც მისივე გამოგონილი პერსონაჟი აღმოჩნდეს? და მაინც არ მჯერა რომ ის ნამდვილია, არა, ის ვერ იქნება... წესით ვერც ამ ყველაფერს უნდა ვგრძნობდე, მე ხომ ახლა მოსიარულე მკვდარი ვარ. არც ეს რაღაც უნდა მჭამდეს, რომელიც მთელს ჩემ სხეულზე ასე დაუნდობლად გართხმულა, მე კი მინდა ფანჯარაში შემოსულ ზაფხულის მკრთალ ნიავებს გავატანო, თუმცა ისინი იმდენად სუსტები არიან რომ ვერ დაუძვრიათ ჩემი უსიამოვნო და ამავდროულად ტკბილი ტვირთი. არა, მაინც არ უნდა მივბრუნდე, არ მივბრუნდები...

სანამ ეს ფიქრები ბოლოს მომიღებდნენ ვაგრძელებდი ხედით "ტკბობას" მაგრამ მალევე ზუსტად ჩემს ზურგს უკან ნიკას ხმა გავიგონე:
-ხელში სინათლის სხივი მიჭირავს და წინ მივაბიჯებ...
მოიცა რა? რა ხდება? ეს სიტყვები... ჩემი სიტყვები... ო არა, კატო ყველაფერი შენ როგორ უნდა დაგემართოს? ადგილს მოვწყდი, მისკენ თავქუდმოგლეჯილი გავიქეცი და ჩემი დღიურის ხელიდან გამოგლეჯვა ვეცადე, რომელიც იქვე და რატომღაც ზუსტად იმ სავარძლის ბალიშის ქვეშ გადაშლილი დამრჩენია, რომელზეც ახლა ნიკა გემრიელად მოკალათებულიყო. მცდელობა უშედეგო აღმჩნდა. ნიკამ კითხვა ღრეჭვით გააგრძელა:
-და თუ პატარა ნიავი ვარდება და მე სიბნელეში ვეცემი, ეს იმას არ ნიშნავს რომ წავაგე...
მან ფხუკუნი დაიწყო, მე კიდევ მეგონა სადაც იყო გული გამიჩერდებოდა.
-ნიკა, ეს ჩემია!
ვწრიპინებდი უშედეგოდ.
-ოჰოოო, ერთი ამ ჩვენს გიჟუკელას დამიხედეთ. სიმართლე ყოფილა რომ ყველა გენიოსი სინამდვილეში შეშლილია, არა?
-აქ რას ხედავ სასაცილოს? და შეშლილი შენ თვითონ ხარ თუ კარგია!
-კი, მე ვიყავი საგიჟეთში გამოკეტილი და მე მინდოდა შენთან ერთად სიკვდილი აბა რა...
და რა, ახლა მთელი ცხოვრება ეს უნდა მაძახოს? მისი ეს სიტყვები თითოეული გასროლილი ისრის ტილფასი იყო პირდაპირ ჩემი ისედაც დანაწევრებული გულის მიმართულებით, თუმცა ამას მაინც არასდროს დავანახებდი.

-ვიცოდი რომ მატყუებდი, თავიდანვე ვიცოდი, - სულის შემხუთველად აღმოვთქვი და ფიქრებში წავედი. ეს ხმა დანებებას ჰგავდა. მან კი ეს წამი დაიჭირა და თითქოს დრო იხელთაო დააპირა კითხვა გაეგრძელებინა, მაგრამ საბოლოოდ მივხვდი მის ეშმაკობებს თითქოს გამოვფხიზლდიო, გააფთრებული ავაზასავით დავწვდი და ჩემი დღიური ხელებიდან გამოვტაცე. ხელებ გაწვდილი და პირდაღებული დარჩა.
-რაც ჩემია ჩემია!
ენა გამოვუყავი, დავეჯღანე, ორაზროვნად მივაძახე და დღური გულში ჩავიკარი.
-ხო, შენია შენი, მაგრამ ამ საქციელს არ გაპატიებ, - შემომიღრინა.
-რაო? საპატიებელი შენ გაქვს თუ მე?
-დიახაც მე მაქვს. და იმისათვის რომ გაპატიო რას იზამ იცი?
არა, არა, არა, გთხოვ ეს სიტყვა არ თქვა...
-წამიკითხავ, - დღიურზე თავით მიმანიშნა და მეც საფრხემოახლოვებული მსხვერპლივით უფრო მივიხუტე ის. ასე გააფთრებული ავაზიდან, პატარა უსუსური კნუტიღა შემოვრჩი. ასეთებიც ხდება თურმე. მანიპულატორი! რაღა ეს და რაღა... ისე მართლა რა ძალიან ჰგვანან რაღაცით, მაგრამ ამას რა მათქმევინებს!
-მე... დაივიწყე რა, სისულელეა, - ვეცადე თავი მომეჩვენებინა რომ ვითომ ეს ნაწერი ჩემთვის სრულიად უმნიშნელო იყო, საერთოდ არაფერს ნიშნავდა, მაგრამ პირიქით გამომივიდა. კნუტის კნავილს უფრო დაემგვანა ჩემი აღელვებული ბოდიალი. ვხედავდი ეს მას როგორ ართობდა.
-ხოდა სისულელე რომაა, ზუსტად მაგიტომ მაინტერესებს, პატარავ.
რაში აინტერესებდა ჩემი სისულელე? რას ნიშნავს "პატარავ"...
-მაგრამ...
-კატო კარგი რა, რა გჭირს, გეხვრწე და გემუდარე და მაინც არ მიკითხავ?
-აააჰ, ჯანდაბას შენი თავი, ოღონდ დამპირდი რომ არ დამცინებ.
-კაი, - ისევ სულელივით გაიღრიჭა და სახეზე მოგებულის ნასიამოვნებმა აურამ გადაურბინა.
-რა კაი, დამპირდი მეთქი! - გავცოფდი.
-გპირდები.
-რომ?
-რომ არ დაგცი...
-ღმერთო, შენ უკვე იცინი...
-კარგი ხო კარგი, აღარ დაიწყებ? - წამში სერიოზული სახე დაიჭირა. ნერვიულად ჩავახველე, ყელი ჩავიწმინდე, დღიური ახლიდან ხელების კანკალით გადავშალე და ჩუმი მაგრამ რაც შემეძლო მტკიცე ხმით დავიწყე ჩემი მორიგი მონაბოდის წაკითხვა. ვერ გამეგო რატომ ჩააცივდა ამ ნაწერებს ნიკა ასე ძალიან. მაინც რა იყო მათში ასეთი განსაკუთრებული? ოთახში ჩამოვარდნილი სიჩუმე ჩემმა აღელვებულმა და ჩახლეჩილმა ხმამ გაკვეთა:
-"ხელში სინათლის სხივი მიჭირავს და წინ მივაბიჯებ. და თუ პატარა ნიავი ვარდება და მე სიბნელეში ვეცემი, ეს იმას არ ნიშნავს რომ წავაგე. თუ კი ამ პატარა ნიავმა შეძლო ჩვენი მეგობრობის დანგრევა, ესეიგი ნამდვილი არც ყოფილა ის. თუ დაცემულს დახმარების ხელს არ გამომიწვდი, მე მაგასაც გაპატიებ, რადგან ვხედავ შენ თავადაც ეცემი... თუ კი ჩვენი ამბის ბოლო ჩაძირვაა, მაშინ მოდი ჩავიძიროთ ერთად. დაბოლოს, თუ კი მეტყვი რომ არ გეყვარები, მე მაინც ჩამწვარი სანთელივით უთქმელად განვაგრძობ შენს სიყვარულს და თუ კი ერთ დღესაც საბოლოოდ ჩავქრები, ვისურვებდი რომ შენი ხელიდან ჩავქრე. ეს წიგნი კი

იმ უთქმელი სიტყვების კორიანტელად გადაიქცეს, რომლის თქმაც სიცოცხლეში მინდოდა, ძალიან მინდოდა თუმცა... ვერ შევძელი!"

დღიური სასწრაფოდ დავხურე და უჯრაში თავის ადგილას მოვათავსე

-მორჩა, სპექტაკლი დასრულდა, შეგიძლია დაუშვა ფარდები! - მივახალე მკვახედ და დავინახე გაოცებულმა ხელები როგორ მოიმარჯვა ტაშის დასაკვრელად.

-ვაჰ კატო, კატო... ეს რა იყო... - "მხურვალე აპლოდისმენტები"-ს შეფერების შემდგომ როცა ვიფიქრე რომ საშიშროებას უკვე მშვიდობიანად ჩაევლო, ნიკამ ისევ ყველაფერი გააფუჭა როცა ისევ გენიალურმა კითხვამ შეუჭამა გული, რომელსაც სანამ არ ამოხეთქავდა იქამდე ვერაფრით მოისვენებდა, - მოიცა კატიუშ... შენ რა შეყვარებული ხარ?

ესეც ასე. რა გინდა, როცა უნდა მიხვედრილია, როცა უნდა დებილი. ისევ ჩაიფხუკუნა, მე კიდევ ცქმუტვა დავიწყე. ყელი ამეწვა და ხელები ისევ გამეყინა. ასე დაუსრულებლად ხდებოდა იმ დროის განმავლობაში სანამ ის იყო ხოლმე ჩემთან, მაინც ვერაფრით შევჩვეოდი ამ ამბავს. ბევრჯელ საქმეზე კონცერნტრირებაც კი მიჭირდა. და არ ვიცი საერთოდ ამხელა რაღაცას ჩვენ ორნი რანაირად ჩავეჭიდეთ. ყველაფერი ზუსტად იმ დღეს დაიწყო როდესაც ნიკა ჩემს სახლში პირველად მოვიდა, რაც იმას ნიშნავს რომ რეალურ ცხოვრებაში პირველად ვნახე. თუმცა ეს ძალიან გრძელი ისტორიაა, მოვყვები ალბათ ოდესმე.

-მე გაფრთხილებდი რომ სისულელე იყო...

გავიმართლე თავი.

-მაგრამ რომ არ იყო?

რაო?

-არ იყო?

-არა, საერთოდ არ ყოფილა! ეს პირდაპირ, როგორ გითხრა... ეს შენი გულიდან წამოსული სიტყვები უფრო იყო და თანაც დამწვარი გულიდან. ასე უბრალოდ ასეთი სიტყვები არ იწერება და არც გაბედო შეწინააღმდეგება.

ახლა რაღა მეთქვა? ახლა რაღა მომემიზეზებინა?

-ეგ პოეტური სიტყვები მეგიმ გასწავლა? - მივახალე გამწარებულმა.

-მეგი რა შუაშია?

რა გავაკეთე! ეს არ უნდა მეთქვა. სანამ ბოლომდე ჩამჭრიდა ისედაც უკვე არგუმენტებგამოცლილს, თემის გადატანა ვცადე, რადგან მივხვდი ზედმეტი მომივიდა.

-ნიკა, მოგწონს ეს სიტუაცია არა?

ისევ დაიბნა. ისევ დავაბნიე. ჩემი ნება რომ ყოფილიყო სამუდამოდ გავაგრძელებდი ამ დიალოგს, დაუსრულებლად ველაპარაკებოდი ჩემს გრძნობებზე. ვკითხავდი იმას რაც უკვე ისედაც ვიცოდი - "ნიკა მოგწონს ეს სიტუაცია არა? მოგწონს რომ შენს გარშემო ვცხოვრობ, შენს გარშემო ვსუნთქავ და შენს იქით ჩემთვის სამყარო არ არის პირდაპირი მნიშვნელობით? მოგწონს როგორც მაბნევ და მაწითლებ ყველა შენს ორაზროვან ფრაზებზე, როგორ მიჩქარებ გულს ყოველ კარის გაღებაზე როდესაც შენ გხედავ და როგორ ვკარგავ გონს როდესაც ასე ახლოს ხარ ჩემთან, როგორც ახლა? მე ვიცი რომ მოგწონს..." მაგრამ არ შეიძლებოდა. სანამ ეს ყველაფერი არ ჩაივლიდა ამას ვერ ვიზამდი, ანდაც რა უფლება მქონდა? მე რა უფლებით უნდა გავბრაზებულიყავი ნიკაზე? სანამ დრო მქონდა, სანამ მას მართლა სურდა ჩემთან, მე მასთან ერთად სიკვდილის ნაცვლად მასთან ერთად სიცოცხლე რომ ამერჩია, ახლა ჩვენ ერთად ვიქნებოდით ბედნიერები! და როგორც უკვე ვთქვი, ყველაფერი რაც დამემართა ჩემს თავს მე თავადვე დავმართე! და ახლა იმის არც ერთი გრამი უფლება არ მქონდა რომ ამ ყველაფრის გამო მას მოვდავებოდი. როგორც იტყვიან ხოლმე,

რასაც დასთეს, იმას მოიმკი! და მეც მივხვდი რომ ეს მოულოდნელობა კი არა სასწაული იყო. მე ნიკასთვის სიკვდილის მიზეზი ვიყავი, ის კი ჩემი სიცოცხლის მიზეზი გახდა. ასე სიკვდილიდან სიცოცხლემდე, მეგობრობიდან სიყვარულამდე და სიყვარულიდან სიკვდილამდე. მერე ისევ ახლიდან. ვგრძნობდი ეს წრედი არასდროს დასრულდებოდა...
-რაზე ამბობ?
სანამ ყველაფერს მიმიხვდებოდა გამახსენდა მიზეზი თუ რატომაც დადიოდა ჩემთან სახლში და ვეცადე ისევ მთავარი თემა წამომეწყო. საიტი, თამაში, სექტა...
-თამაშზე!
ის ხომ მაინც აგრძელებდა დავალებებს, იმისდა მიუხედავად რომ უკვე გავარკვიეთ ვინც იყო დემონი, უფრო სწორად ნიკამ გაარკვია. მე მაინც შევეხე ამ თემას, მაგრამ აკი უკვე ვთქვი რომ ეს დღე არ ჰგავდა სხვა დღეებს. დღეს მას ერთი სიტყვაც არ დასცდენია არც ამ საქმეზე, არც დედამისზე და არც თავის გასაჭირზე. და რა თქმა უნდა ეს თემაც ისეთივე მძიმე იყო ჩემთვის, რომელიც წინანდელი, თუმცა იმის განხილვას ისევ ეს მერჩივნა. ვიგრძენი ამით მას გუნება როგორ წავუხდინე. შემეშინდა მისი პასუხის რადგან არ ვიცი რატომ, მაგრამ მართლა მინდოდა რომ ეს ასე ყოფილიყო. მინდოდა რომ ადრინდელი ნიკას რაიმე ნაწილს კვლავ ეცოცხლა მასში, იმ ნაწილს რომელსაც ჩემთან ერთად სიკვდილი მართლა სურდა. ალბათ ახლა მთავარი სიტყვა მხოლოდ "ჩემთან ერთად" იყო. მე მეტი არაფერი მსურდა.
-რა თქმა უნდა არა!
მომიგო და უსიამოვნოდ შეიშუშნა. ჩემი მოლოდინები არ გამართლდა.
-აბა რა გაკავებს?
-შენ ამას ვერ გაიგებ, კატო!
მეღადავება? რას ვერ გავიგებ? ამდენი ხანი მე ხომ გვერდში ვედექი, ამ გამოძიებაში ვეხმარებოდი და ჩემს გადარჩენაზე მეტად ის მსურდა რომ მას სიმართლე გაეგო, რადგან ვგრძნობდი აქ რაღაც რიგზე ვერ იყო. როგორც ნიკამ მითხრა ეს ამბავი უკვე მხოლოდ მაგ ორს შორის ომს ემგვანებოდა. რა იყო ეს? როგორც იქნა სააშკარაოზე გასული ნიკა ხომ ეგრევე ჩემთან გამოიქცა რომ ეს ამბავი "ეხარებინა"? ახლა რატომ ამბობს რომ მე რამეს ვერ გავიგებ? გული მეწურება და ვგრძნობ ერთიანად როგორ ვიყინები, თუმცა ისევ არაფერს ვიმჩნევ როგორც ყოველთვის რადგან ვიცი რომ სხვანაირად უბრალოდ ვერ გამოვა.
-შენ მითხარი და მე გავიგებ თუ ვერა ეგ უკვე ჩემზე იყოს, - ნაძალადევად გავუღიმე და ანთებული სიგარეტი თითებიდან გამოვტაცე როგორც მჩვეოდა. ნეტავ თუ არჩევდა ჩემს გულწრფელ და ტყუილ ღიმილს...
-ახლა აღარ მომეშვები ხო?
მკითხა და ჩემსკენ მობრუნდა.
-შენ როგორ გგონია?
თვალი ჩავუკარი, მოვიკალათე და ღერს ერთი მაგრად გამოვქაჩე. ალბათ მიხვდა რომ ვეღარაფერს გააწყობდა რადგან ძალების მოკრეფის შემდეგ ლაპარაკი დაიწყო:
-კატო, ის ტიპი დედაჩემთან იყო, გასაგებია? კი, დედაჩემმა ბევრი დააშავა, ეს მართალია და ამ დრომდე ესეც მორიგი ნაძირალა იყო ჩემთვის, რომელიც უბრალოდ სიკვდილამდე მძულდა რადგან დედა მის გამო აღარ მოდიოდა სახლში ღამ-ღამობით, არ იყო ჩემთან მაშინ როცა ყველაზე მეტად მჭირდებოდა! ამის დედაც, ამ ფაქტს უკვე შეჩვეული ვიყავი და უფრო მეტიც, მზად ვიყავი საკუთარი თავი დამედანაშაულებინა და დამესაჯა, ხო მე მზად ვიყავი სიკვდილისთვის და ბოლოს რა ხდება? ვიგებ რომ ვის გამოც ეს მსურდა, თურმე სწორედ ის ადამიანი ყოფილა რომელიც ამ მიზანთან მაახლოვებდა!

პასუხის მოსმენისას ყველაფერი ნათელი გახდა ჩემთვის. ეს ხომ ნიკაა, შურისმაძიებელი, ამპარტავანი, მიზანდასახული და შეუდრეკელი. ყოველშემთხვევაში მე ასეთს ვიცნობ და სწორედ ასეთი მომწონს.

-და ციხე მისთვის სამოთხედ გეჩვენება!

მივუგე და ვეცადე ისეთივე მტკიცე ხმა მქონოდა როგორიც მისი სახე იყო მაგ მომენტში, თუმცა ჩემი პასუხის მოსმენისას წამში ჩვილი ბავშვისას დაემგვანა, თითქოს სადაც იყო აღნავლდებოდა, ტუჩები ოდნავ გარეთ გადმობურცა. არ ვიცი რა დამემართა, ვიგრძენი როგორ დავიძაბე მთელი ჩემი სხეულით. მერე თითქოს არ მოინდომა რომ მე მისი ეს სახე დამენახა, მისი ის მხარე შემეცნო, რომელსაც როგორც ჩანს აქამდე არ ვიცნობდი და არც სურდა რომ გამეცნო. გულჩვილი მტირალა გულკეთილი ნიკა, ალბათ ისეთი როგორიც სინამდვილეშია. რატომ არ სურდა რომ მე მისი ეს მხარე დამენახა? იქნებ იმიტომ რომ ასეთს მხოლოდ ის ხედავდა? გამოდის რომ მართლა არსებობდა ვინმე მეგი? არ ვიცოდი როგორ იყო, მაგრამ აუცილებლად გავიგებდი. ეს დღეს გაირკვეოდა. ამაში ეჭვი საერთოდ აღარ მეპარებოდა. რადგან ეს დღე სხვა დღეებს არაფრით ჰგავდა, გამოდიოდა რომ ეს დღე და ეს შანსი უნდა გამომეყენებინა. ჩემს გადაწყვეტილებაში უკვე სრულებით დარწმუნებულმა ღერი ნელა ჩავაქრე და ცალი ხელი გაბედულად კისერზე შემოვხვიე. საერთოდ გადაწყვეტილებების მიღება არასდროს მიჭირდა. არც მაშინ მიყოყმანია, როდესაც ჩემი გარდაცვლილი საუკეთესო მეგობრის ტელეფონში საიტს მივაგენი და დარეგისტრირება გადავწყვიტე, არც მაშინ როდესაც ჩემი დავალება ნიკას თვალწინ თმების ძირში გადაჭრა იყო. და მაინც დღემდე ვერ ვაკავშირებდი ჩემი თმა რაში ეხებოდა ნიკას. და ყველაფერი ნიკას გაშემო რატომ ხდებოდა საერთოდ? ახლაც კი მხოლოდ ის იყო სუყველაფრის ეპიცენტრი. ამ წამსაც ვიგრძენი მისი სითბო ჩემს შიგნით ნელ-ნელა და ძალიან ფრთხილად როგორ ნაწილდებოდა და მეც მსიამოვნებდა ეს პროცესი, რომელიც თითქოს არადა აღარ დასრულდა. თითქოს ის წამები საუკუნეებად გაიწელა. ვიგრძენი როგორ დაეჭიმა ყველა კუნთი ერთდროულად. ვერ გაეგო რა ხდებოდა, ანდაც ხვდებოდა რასაც ვაპირებდი და არ იცოდა როგორ მოქცეულიყო. როცა ჩაქინდრული თავი დიდხნიანი დუმილის შემდეგ როგორც იქნა მაღლა ამოსწია ისე რომ მის ცხელ კისერს ჩემი თოვლივით გაყინული ხელის მტევანი არ მოსცილებია, ჩემი თვალები მისას შეხვდა, ერთბაშად შეხვდა და ეგ მომენტი სამუდამოდ ჩამებეჭდა ჩემს გონებაში. ეს მხოლოდ ჩვენი მომენტი იყო და მეც კისრიდან მისი ხშირი თმის გავლით ხელი მის ლოყაზე გადმოვანაცვლე და მეორე ხელიც სახეზე შემოვაჭდე. მისკენ გადავიხარე, თვალები დავხუჭე, გავინაბე და ვეცადე მოვდუნებულიყავი. ეს სწორედ ის მომენტი იყო. ამ მომენტში ჩვენ ორის გარდა სხვა არაფერი არსებობდა. მხოლოდ მე და ის, ის და მე... ყოველ შემთხვევაში ასე უნდა ყოფილიყო. მისი ხმამაღალი, აშლილი სუნთქვა ჩემს გამშრალ ბაგეებს ასკდებოდა.

-ნიკა, - ამოვიხვნეშე მისი სახელი. მომეჩვენა რომ ამ დაუვიწყარ მომენტს ძალიან მოუხდა და აღარც დავაყოვნე, ნელა უფრო მივუახლოვდი.

-კატო გთხოვ...

ჰაერში შეკიდებული პიჯაკივით შემოვრჩი. თვალებ დახუჭული და მისკენ მთელი ძალით გადახრილი. ჩემი ხელები სახიდან უხეშად მოიცილა და თავის ადგილს დაუბრუნდა. რატომ? არ მესმის რა აკავებდა? ეს ხომ სწორედ ის მომენტი იყო... ჩვენი მომენტი! საშინლად შემრცხვა და ოფლის წვიმამ წამომასხა. უარყოფილი და ისევ არაფრის მაქნისი ერთი უნიათო გოგო გავხდი. მას მე არ ვუნდოდი. არ ვუნდოდი! აბა ის უნდოდა?

-მეგი არა? - წავიჩრჩულე და გავუღიმე. რა თქმა უნდა ეს ღიმილი ნამდვილი არ იყო, მაგრამ არასოდეს ვიკადრებდი იმას რომ თავი მისთვის ან ნებისმიერი სხვისთვის იმათ

მეგრძნობინებინა რაც სინამდვილეში ვიყავი... უარყოფილი, არასასურველი და გადათელილი, ან კიდევ რამეზე წუწუნი დამეწყო. სიამაყე (ანდაც რაც გაგიხარდებათ ის დაარქვით) იმის უფლებას არ მაძლევდა რომ ახლა სხვა გულგატეხილი თინეიჯერებივით სახეზე ხელები ამეფარებინა და ბიჭის თანდასწრებით ტირილი დამეწყო. ამას არ ვიზამდი, ასეთი არ ვიყავი და არც ვინმეს გამო გავხდებოდი. შეუმჩნევლად დავუბრუნდი ჩემს ადგილს. ნიკამ საპასუხოდ მხოლოდ გამიღიმა, თუმცა მისი ღიმილი ჩემი ბოლოს დასმული კითხვის თანხმობაზე მეტად უფრო სხვა რამეს ნიშნავდა. მეგის სახელის გაგონებაზე სახე მთლიანად გაებადრა. რას არ გავიღებდი რომ ეგ ღიმილი ჩემი ყოფილიყო, თუმცა არ იყო და ალბათ არც გახდებოდა. არასოდეს...
-ხანდახან ვერ ვიტან იცი? - უეცრად ძალიან მომინდა მასთან გულწრფელი ვყოფილიყავი, თუმცა რაღათქმაუნდა მთლად ბოლომდე ვერ ვიქნებოდი. საერთოდაც ბოლო წერტილამდე შენს უახლოეს ადამიანსაც კი არ უნდა ენდო. მე ასე მგონია. უაზრობა იყო, ნამდვილი უაზრობა. ნიკას თავს მართმევდა გოგო, რომელსაც შეიძლებოდა სინამდვილეში არც ეარსება და მხოლოდ და მხოლოდ მისი წარმოსახვის ნაყოფი ყოფილიყო, მაგრამ რა მოხდებოდა რომ... რომ მართლა...
-არაუშავს, გაიცნობ და აუცილებლად შეგიყვარდება! - ანუ მართლა არსებობს? ანუ მეგი ნამდვილია?
-იმედი მაქვს, - წავიჩურჩულე და ეს სიტყვები არ ყოფილა ძალდატანებული, ანდაც უბრალოდ სიცრუის შედეგი ან მორიგი საცოდავი მცდელობა, იმისა რომ იმაზე უკეთესი გამოვჩენილიყავი რაც სინამდვილეში ვარ. არა! იმ მომენტში რატომღაც მე მართლა ძალიან მომინდა იმ გოგოს გაცნობა, რომელმაც ნიკა იმ ჭაობიდან ამოაძვრინა, სადაც მე უფრო მეტად ვექაჩებოდი. რამდენად საპირისპირო უნდა ყოფილიყო ის ჩემგან და მე მისგან...

***

თავს ტირილის უფლება არც მაშინ მივეცი როცა ნიკა გავაცილე. მალევე წავიდა. ახლაღა გავიაზრე რაც ჩავიდინე, თუმცა როგორც მჩვეოდა ჩემს თავს სინანულის ნისლში გადავარდნის უფლებას არაფრით ვაძლევდი. რა თქმა უნდა იმასაც ვიაზრებდი რომ მე ბოლო ექვსი თვის განმავლობაში საშინლად ვიქცეოდი და ჩემს მშობლებს გულს ვტკენდი. თუმცა სინანული არ იყო საჩემო. ასე ჯდომას, მოთქმას და დეპრესიაში ჩავარდნას გამოსავალზე ფიქრი მერჩივნა. მაგრამ, მართლა რა აღარ გადამხდა ამ ბოლო ექვს თვეში, საგიჟეთშიც კი ამოვყავი თავი და დედაჩემსაც მოუწია იმ თავისი სანუკვარი კარიერის დათმობა, რომლის გამოც ის და მამა ვერ თანხმდებოდნენ. და აი როგორ იყო საქმე; მამაჩემი დიდ ქალაქებს ვერ იტანს და ამის გამო მთის სახლში ბაბუასთან და ბებიასთან ერთად ცხოვრობს. დედამ თავისი კარიერა ვერ დათმო და იფიქრა რომ მეც მომავალი აქ უფრო გამაჩნდა ვიდრე პატარა მიყრუებულ სოფელში და ასე შემოვრჩით ჩვენ ორნი მარტო თბილისს. მაგრამ დღესასწაულებს და არდადეგებს ჩემი ოჯახი ყოველთვის ერთად ვატარებდით ხოლმე და ეს ბედნიერება იმისათვისაც მყოფნიდა რომ სხვებისთვისაც გამეზიარებინა. ასე იქამდე იყო სანამ... სანამ ის არ დავკარგე! ვერ დავიცავი, ვერ გავუწიე კარგი მეგობრობა. წარმოიდგინეთ საერთოდ არაფერი შემიმჩნევია მისთვის. არაფერი ზედმეტი, არაფერი საშინელი... მე და თამთა ერთად გავიზარდეთ. ის იყო ჩემი საუკეთესო

მხარე, ჩემი სულიერი და, ჩემი დამრიგებელი. არცერთხელ გვიჩხუბია, არც ერთხელ მივუტოვებივარ გაჭირვების ჟამს. იქნებ ნორმალურიც კი იყო რომ მისი უეცარი სიკვდილის შემდეგ მეც ასე მომინდა ამ ქვეყნიდან გაქრობა. იქნებ ნორმალურიც იყო რომ ძალიან დიდი ფსიქიკური ტრამვები მივიღე და რაც დრო გადიოდა იმდენად მიპყრობდა სურვილი მასთან წასვლის რომ მე მიჯაჭვული გავხდი ტელეფონზე, მიჯაჭვული გავხდი ამ თამაშზე და მაბედნიერებდა ის ფაქტი რომ მალე მოვკვდებოდი. თითქოს მზად ვიყავი ჩემი და თამთას ისტორიის დასრულებისთვის. და მერე გამოჩნდა ნიკა. უცნაურია არა? თავიდან ისიც სწორედ ჩემსავით ფიქრობდა, თავიდან მეგონა რომ როგორც იქნა ჩემნაირი ვიპოვე, მაშინ მას ჩემს მეორე ნახევრადაც ვთვლიდი და ჩვენ პირობა დავდეთ რომ მალე ერთად დავასრულებდით ყველაფერს. მაგრამ მერე... მერე მე ჩემი თვალით კამერების ფონზე ვხედავდი დღითიდღე როგორ იცვლებოდა ნიკა კარგისკენ და ეს არ მსიამოვნებდა. მისი მშურდა კიდეც რომ ის ახერხებდა დაძვრომას, მე კი ვერა... მერე უფრო არ მომეწონა ეს სიტუაცია, რადგან ვხვდებოდი რომ ამ ცვლილების მიზეზი მე არ ვიყავი და ისიც ვიცოდი რომ მის ცხოვრებაში სხვა არსებობდა და მე შესაძლოა უბრალოდ ვეცოდებოდი და მეტი არაფერი. ვერასდროს წარმოვიდგენდი თუ თამთას წასვლის შემდეგ დატოვებულ სიცარიელეს ოდესმე ვინმე ამოავსებდა, მაგრამ ეს მოხდა. თუმცა სანამ ბოლომდე გავიაზრებდი რომ ნიკა სწორ გზაზე იდგა და მეც მას უნდა მივყოლოდი, საბოლოოდ შეირყა ჩემი ფსიქიკა ჩემი თამაშში შესრულებული ბოლო დავალების მერე და მე ფსიქიატრიულში აღმოვჩნდი. ნეტავ ის საავადმყოფო, რომელშიც ვიწექი რომ არ დაკეტილიყო, კიდევ რამდენ ხანს მომიწევდა იმ საღორეში დარჩენა, სადაც ყველა კედელი თეთრი იყო. თეთრი და ცარიელი. მე მძულს იქაურობა და ყველაფერი რაც მაგ დროს მახსენებს.
შევეცადე იმ დროზე ბევრი აღარ მეფიქრა და ისედაც გადაჭედილი ჩემი გონება უარესად არ დამემძიმებინა. სახლში ისევ მარტო დარჩენილს სული შემეხუთა. ფანჯარა გამოვაღე, მაგრამ იქიდან კვამლისა და ჭუჭყიანი ჰაერის მეტი არაფერი შემოდიოდა და ისევ დავხურე. კონდიციონერი ჩავრთე და ცივი წყალი მოვიყუდე. გული რაღაც სხვანაირად ავისმომასწავებლად მიფორიაქებდა და ეს გრძნობა ჩემთვის უცხო იყო. ჩემს თავს იმის უფლებას არ მივცემდი რომ დღეს ჩადენილი მენანა, ანდაც ნიკას უარის მერე მეტირა. აი ასე! ამის კიდევ ერთხელ გაანალიზების და ხმამაღლა თქმის შემდეგ, ჩემი თავით ძალიან ვიამაყე. მერე უჯრა გამოვხსენი, თითქოს იმის გადამოწმება მსურდა დღიური კვლავ იქ იმყოფებოდა, თუ არა. ნეტავ ახლა მაინც ვერ მიხვდა ნიკა თუ ვის ეძღვნებოდა ჩემი წინანდელი ღამის მონაბოდი? და რომც მიმხვდარიყო რა? ასეთი სულელიც არ არის, ყველაფერი აქამდეც მშვენივრად იცოდა. ნეტავ ამ დღის მერე ჩემთან სიარულს გააგრძელებდა? დახურული უჯრა ალბათ მეასედ გამოვაღე, ვერ გამეგო უბრალოდ წერა მინდოდა თუ მართლა მეგონა რომ დღიურს ფეხები გამოებმებოდა და ნიკასთან გაიქცეოდა. ნეტავ მე შემძლებოდეს ეგ და ამ იდიოტურ დღიურს ვინღა დაეძებს...

როცა ბოლოჯერ დავხურე უჯრა და უფრო მეტიც გასაღებითაც კი ჩავკეტე რომ ხელი ისევ მისკენ არ გამქცეოდა, ჩემი საყვარელი ანიმეს "I want eat your pancreas"-ის ყურება დავიწყე და ჩემს ფუმფულა ლოგინზე წამოვწექი. ჯერ ისევ დღე იყო. და უცებ ნატას ძახილმა გამომაფხიზლა.

-კატოო, დე აი ის იისფერი საღებავი შენ რომ მთხოვე. გამაღიავებელიც მოგიტანე, აბა ნახე მოგწონს?

ჩემი საყვარელი დედიკო... სიხარულით წამოვფრინდი და თმის საღებავის სანახავად შემოსასვლელში გავიქეცი, მერე კი დედას გადავეხვიე. არა, არ ვნანობდი, თუმცა მაგდენს მაინც ვიაზრებდი რომ მისი დაღლილი სახე, გაუთავებელი ნერვიულობები და უძილობები

მხოლოდ და მხოლოდ ჩემი ბრალი იყო. მას შემდეგ რაც სამსახური მიატოვა და დღე და ღამე ჩემთან პალატაში ატარებდა, იმის შიშით რომ ჩემი ტელეფონი არ მომეპარა ან როგორღაც საიტზე შესვლა არ მომეხერხებინა, რა თქმა უნდა მამამ ეს ამბავი გაიგო და ნატას სოფელში დაბრუნება სთხოვა. უთხრა ახლა ხომ დაკარგე ის შენი საოცნებო კარიერა და ახლა მაინც დაბრუნდი და მთელი ოჯახი ერთად ვიყოთო. დედას უარმა მამა გააოცა, ნატამ ვერ გაბედა და ჩემი ავადმყოფობის ამბავი ვერ გაუმხილა. ამის გამო მამა გაბრაზდა და თურმე ერთ დღეს მოულოდნელად სახლში დაგვადგა. არცერთი რომ არ დავხვდით დედას დაურეკა და მაშინ კი მოუწია მას ყველაფრის თქმა. მამაჩემი გაგიჟდა, ეს როგორ დამიმალეო და ამის გამო მაგრად იჩხუბეს. ახლა კი ნატა ზის და მის ზარს ელოდება. მამა სოფელში დაბრუნდა. ნეტავ არც ჩემი ამბავი აინტერესებს?
-შეგიღებო გინდა? - მკითხა ნატამ. ხმაში ნაღველი დაღლილობა და შიში ერთნაირად ემჩნეოდა. მაინც არ, ან ვერ ბრაზობდა ჩემზე. რა ექნა? ასეთი იყო. ყოველთვის ლმობიერი და ღვთისმოშიში...
-არა, არა მეთვითონ, - გავუღმე.
-რა იყო ტიროდი?
ეგღა მაკლია.
-ნწ.
-აბა თვალები რას გიგავს?
-კი არ ვტიროდი ვიცინოდი, რაღაც სასიამოვნო სიზმარი ვნახე დაა...
-აა, გეძინაა? სიზმარი რაზე იყო?
-არ მახსოვს,მემგონიიი პანკრეასზე! - ვიცრუე. რა პანკრეასი, რაზე იქნებოდა?
-წამლები ხომ დროულად დალიე?
-დიახ სერ! - შევძახე ხალისიანად და პარკს ხელი დავავლე.
-მოიცა საით, აბა მოდი აქ...
-რა?
-დღეს იყო ნიკა?
ო, არა! ახლა არა, ახლა არა...
პარკი ხელიდან დამისხლტა.
-რა იყო? ფერი დაკარგე.
-ხო, იყო.
ვუპასუხე ჩუმად და ძირს საღებავის ასაღებად დავიხარე.
-და რა ხდება? ამ საქმეს ბოლო აღარ უჩანს... ძალიან ვნერვიულობ, ღამე არ მძინავს და მამაშენიც აღარ რეკავს. რაღაც კოშმარები დამჩემდა. ნეტავ შენი დაავადება მემკვიდრეობითია? იქნებ მე მჭირს რამე? ნეტავ ექიმს უნდა გავესინჯო?
-დე, მერე ვილაპარაკოთ ამაზე რა გთხოვ...
ჩავიბუტბუტე ისე რომ ჩემი ნათქვამი სიტყვები მეთვითონ ძლივს გავარჩიე და საღებავით ხელში აბაზანაში მოვუსვი. სარკეში ჩავიხედე, მაგრამ რასაც პირველი მოვკარი თვალი ეს ჩემი სილუეტი არ იყო. ეს იყო სარკე, ზუსტად იგივენაირი, როგორიც იქ საგიჟეთში და მე შევიძულე ეს სარკე. კადრებმა ათობით შეშლილი ადამიანის, ექთნების რომლებიც ხელში დიდი ნემსებით აქეთიქით დარბიან და კიდევ ფანჯარა საიდანაც ყოველ ღამე ხის ტოტების ჩრდილი ისე საზარლად ჩანდა, წამიერად გამიქროლეს და თვალთ დამიბნელდა. ჩამესმოდა ხმები, რომლებიც ჩემს წინ მდებარე ოთახიდან გამოდიოდა ყოველი ღამის ოთხ საათზე. იქვე მოვიკეცე და კანკალი დავიწყე. მოშვებული ონკანიდან წყალი იქამდე გუბდებოდა, სანამ ნიჟარიდან დაბლა არ დაიწყო დაღვრა და მეც მთლიანად ვსველდებოდი, თუმცა

ვერაფერს ვაკეთებდი, არაფრის გაკეთება შემეძლო. დედამ დამიძახა, მე კი მხოლოდ მისი ის ხმა მახსენდებოდა რომელიც მიყვიროდა, მეუბნებოდა რომ ტელეფონს აღარასდროს დამიბრუნებდა. არ ვიცოდი ეს კადრები ოდესმე მარტოს დამტოვებდნენ თუ არა. ნატა სააბაზანოში შემოვარდა.
-კატო... კატო დე, კარგად ხარ? კატო...
-რატომ არ მომეცი? ტელეფონი! რატომ? რატომ? რატომ?
-კატო, რა გემართება?
-ის აქ არის... ტელეფონი დამიბრუნე, თორემ ის მოვა, ხო მოვა და შენც დაგსჯის და მეც! იცი რა უყვარს? იცი რა უყვარს ყველაზე მეტად? როცა ყველაზე ძვირფასს გართმევს მას ძალა ემატება! ხო, ხო ძალას ემატება ძალა!
-კატო რას ამბობ? ვინ მოვა!
-დემონი! ფანჯარაში გაიხედე იქ მის რქებს დაინახავ!
ეიფორიამ მთლიანად შემიპყრო. დღეს დღიური არაფრით გადავიკითხე ახლიდან და აი შედეგიც. არ ვიცი რატომ, მაგრამ საგიჟეთში გატარებული დღეების შესახებ დღიურში ჩაწერილ წერილებს თუ წავიკითხავდი, იმ დღეს შეტევა აღარ მემართებოდა. ეს რაიმე პარადოქსი იყო? მე ხომ ის გასაღებითაც კი ჩავკეტე რომ ეს არ მექნა. თითქოს რაღაც ავსული ჩემი გამოფიტული სხეულის სიმშვიდე დარღვეული აურით იკვებებოდა. დედაჩემი ისევ შევაშინე. ისევ საშინელი, არაფრის მაქნისი და უნიათო გავხდი. ნატამ ონკანი დაკეტა და სასწრაფოდ მოარბენინა ორი აბი ამორინი და ჭიქა წყალი და პირში ძალით ჩამჩარა. უწყლოდ ეგრევე გადავყლაპე და კინაღამ გული ამერია. საზიზღრობაა როცა წამლებზე ხდები დამოკიდებული და მის გარეშე შეიძლება საშიში გახდე შენს გარშემო მყოფებისათვის და პირველ რიგში შენი თავისთვის.
ცოტა ხანში ისე რომ ნატას ხვეწნა-მუდარისდა მიუხედავად სველი აბაზანის იატაკიდან საღებავის ყუთით ხელში არ ავმდგარვარ, ყველაფერი მივლის და უეცრად ქრება. წესით ყველაზე კრიტიკულ შემთხვევაშიც კი ერთი აბი უნდა დამელია, ისე ყოველ დღე ნახევარ აბს ვსვამდი და კიდევ უამრავი ტაბლეტები იყო, ვინ მოთვლის. მე კი ახლა ორი დავლიე და მომეჩვენა რომ ნატამ ჩემი ტელეფონი დამიბრუნა, რომ ყველაფერმა უკვე ჩაიარა და ის წყეული სარკეც უკვე გამოვცვალე, მომეჩვენა რომ დღეს ნიკამ კოცნითვე დამიბრუნა პასუხი და მამამაც ბოლოს და ბოლოს დაურეკა დედას. მომეჩვენა რომ ყველაფერი კარგად იყო და გაღიმებულმა მშვიდად მოვხუჭე თვალი. ღამის ორ საათზე გამომეღვიძა. თითქმის არაფერი მახსოვდა გასული საღამოდან. გვერდით თავთან შავ ტუმბოზე ჩემი ტელეფონი, თმის საღებავი, ჭიქა წყალი, წამლები და უჯრის გასაღები მედო. მეგონა რამე მეჩვენებოდა, ეგრევე წამოვვარდი და ლამფა ავანთე მაგრამ არა, იქ ნამდვილად იდო ჩემი ტელეფონი. სიხარულით ცას ვეწიე, ცოტაც და კივილს დავიწყებდი, დავაპირე დედას ოთახში გავარდნა, ვიცოდი ამ დროს მას მაინც არ ეძინებოდა და წამოვდექი, თუმცა კარებში მდგომმა ვიღაცის ჩურჩული გავიგონე. გული ამიფანცქალდა. სასწრაფოდ უკან დავბრუნდი, გასაღები ხელის კანკალით უჯრას დავუმაგრე და ჩემი დღიური ისევ მივიხუტე გულში. ოხ, ეს აბსურდი ცრურწმენები... რატომ მეგონა რომ როგორც დემონის განდევნას სჭირდება ჯვარი, ისე მჭირდებოდა მე ჩემი თავისგან დასაცავად ეს ჩანაწერები... ეს ხომ უბრალოდ ჩემი ცხოვრების უსაშინლეს დროს მახსენებდა და მეტი არაფერი. რატომ გავიჭედე იმ დროში და რატომ ვერაფრით ვანებებდი თავს იმ ყველაფერს? ახლა რადგან ნატამ ტელეფონი დამიბრუნა, ეს იმას ნიშნავდა რომ ის მე მენდობოდა. იცოდა რომ ცუდს აღარაფერს ჩავიდენდი. თუმცა ეს იმას არ ნიშნავდა რომ ის ჩემს საბოლოოდ გამოჯანმრთელებაში

დარწმუნდა. რამდენიც თავად მე ვიფიქრებდი ასე, ჩემი თავი იმ წამსვე მეწინააღმდეგებოდა და მეც ისევ ცირკებს ვდგამდი, სადაც მთავარი ჯამბაზი თავადვე ვიყავი.
დღიურით ხელში უკვე საბოლოოდ დარწმუნებულმა რომ ეს ჩურჩული ჩემი ფანტაზიის ნაყოფი არ იყო, გადავკვეთე ჩემი ოთახის ზღურბლი და სიბნელეში ორ გაურკვეველ სილუეტს მოვკარი თვალი. სადაც იყო დღიურს ჰაერში მოვიმარჯვებდი და 'განვედ სატანას' დავიყვირებდი რომ ვიღაცამ შუქი აანთო და მე დავინახე...
-მამაა! შენ დაბრუნდი?
წარმოუდგენლად სასაცილოდ მეჩვენა ის ფაქტი რომ საკუთარი მამის ჩურჩლმა შემაშინა. ახლა ორმაგად გახარებული მისკენ მივვარდი და გადავეხვიე.
-დავბრუნდი კატო და ახლა აღარსად წავალ!
დედაჩემის გახარებულ სახეს წავაწყდი, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში აღარ მენახა და მისი ეს სახე მეც ამერეკლა. ამდენი ხნის შემდეგ პირველად იყო საუკეთესო ღამე ჩემს ცხოვრებაში. ახლა ჩვენ ისევ ერთად ვიყავით და გულზეც კი მომეშვა რომ ერთი ჩემი ჩადენილი დანაშაული მაინც გამოსწორდა და საბოლოოდ დაუბრუნდა თავის ადგილს. თურმე ასეა, რაც მოსახდენია მაინც აუცილებლად მოხდება ჩვენი ჩარევებისა თუ არ ჩარევებისდა მიუხედავად...

***

მთელი ღამე ვფიქრობდი ნიკასთვის რა მიმეწერა. მე დავბრუნდი? თუ უბრალოდ ბოდიში გუშნდელზე? არა სისულელე იქნებოდა. ტელეფონი ისევ გადავდე, მაგრამ ვეღარაფრით დავიძინე. რაღაც მაინც არ მასვენებდა. თვალი ჩემი ფანჯრისკენ გამექცა. კატო რა სისულელეა? დამშვიდდი, აქ არავინ არ არის - ვუმეორებდი საკუთარ თავს. არა რა, ნიკა მართალი იყო როცა მითხრა მაგ დემონს შენს ტვინში აშკარად შემოუღწევიაო. მაშინ როგორ ვერ ვითავისებდით საშინელ რეალობას ორივე... იქნებ უბრალოდ მიმეწერა მართალი იყავი მეთქი? არა ეს რა შუაშია? მან ხომ არ იცის ახლა მე რაზე ვფიქრობ. ან მოდი მაინც მივწერ...
ვერაფრით ჩამოვყალიბდი და ტელეფონს ხელი ისევ დავავლე, ჩართვისთანავე კი ეკრანზე ალბათ მილიონი შეტყობინება გამოჩნდა და ყველა საიტიდან იყო მოსული. ვაიმე ეს რა ჩავიდინე! სასწრაფოდ გავასუფთავე ტელეფონი, ისტორიებიც წავშალე, საიტი საერთოდ დავბლოკე და სიმ-კარტაც ამოვაცალე. აუცილებლად უნდა მეყიდა ახალი კარტა და მერე ნებისმიერ დროს მივწერდი ნიკას. რა თქმა უნდა თუ ეს მას ენდომებოდა. აბა მართლა მესამე ჩაჩხერილი პერსონაჟი კი არ ვარ! საერთოდ პირველი მე არ გამოვჩნდი მის ცხოვრებაში? თუ ის გამოჩნდა ჩემსაში? ოხ... ამას რაღა მნიშნელობა აქვს ახლა?
ბოლოს, დღიური გადავშალე, ისევ ძველ ფურცლებს დავუბრუნდი. ისევ იმ თეთრ საშინელ ოთახში აღმოვჩნდი და კითხვა დავიწყე:

18 აპრილი 2022 წელი

სადაც არ უნდა გავიხედო სითეთრეა გარდა ჩემი პალატის ფანჯრისა. დედაჩემს საერთოდ არ ვეცოდები, ტელეფონს არ მაძლევს მე კიდევ ზუსტად ამ წამს ნათლად ვხედავ ფანჯარაში

მდგარ დემონის სილუეტს. მე ვიცი ის მოვა და ამ საქციელის გამო მეც დამსჯის და ნატასაც. ის მეუბნება რომ რქები არ აქვს, მაგრამ თუ მინდა რომ ჰქონდეს უბრალოდ საჭიროა წარმოვიდგინო. ის მატყუარაა, რადგან ჩემს ფანჯარაში ეს ორი ირმისებრი მკვეთრი და ბნელი ხაზები რომლებიც ყოველი შებინდებისას ჩნდება, უბრალოდ ტოტების ჩრდილები არ არის. ის მატყუარაა. მან მითხრა რომ ყველაზე ძვირფასის წართმევით, ღირებულს მომცემდა თუმცა სანაცვლოდ აქ გამომკეტა. ის მატყუარაა და ის ჩემი პალატის ფანჯარასთან დგას!

19 აპრილი 2022 წელი

არ ვიცი ამას რა მოვუხერხო. მე გამუდმებით ჩამესმის რაღაც ხმა, რომელიც თითქოს ჩემს ზურგს უკნიდან მოდის. ამისდა მიუხედავად, თითქმის ყველა დავარწმუნე რომ ავად არ ვარ, ნატა კი ტელეფონს მაინც არ მიბრუნებს. შესაბამისად ისიც არ შორდება ჩემს ფანჯარას, სანამ ტელეფონი ისევ მე არ მექნება. ჩვენ ხომ საქმე გვაქვს დასამთავრებელი. სანამ მე არ მოვკვდები ის მაინც არ მომეშვება. დანარჩენი ყველაფერი უბრალოდ დროის ფუჭი ფლანგვაა და მეტი არაფერი.

22 აპრილი 2022 წელი

აქ აღარ მინდა... წამიყვანეთ რა. თამთა სად ხარ? ნიკა... რაც დრო გადის მით უფრო მეტად მეშინია. ეს ხალხი ნამდვილად გიჟები არიან. მე არ ვარ და უთხარით რა... მათ რომ ვუყურებ ისეთი შეგრძნება მეუფლება რომ ჩემი შეჭმა უნდათ. დღეს როგორც იქნა გავბედე ამ ოთახიდან გასვლა, რადგან დამაინტერესა რა ხმები მოდიოდა ყოველი ღამის ოთხ საათზე ჩემს პირდაპირ მყოფი პალატიდან. პაციენტი ჩემხელა, ძალიან ლამაზი ბიჭი აღოჩნდა. როდესაც კარები ჩუმად შევხსენი დავინახე ელექტროშოკს როგორ არტყამდნენ ის კი ჰაერში ხტოდა, იკლაკნებოდა და რაღაც ღმუილისმაგვარ საზარელ ხმებს გამოსცემდა. ამ დროს მორიგე ექთანმა გამომიჭირა და მკითხა პალატაში რატომ არ ვიყავი. მოვიწყინე და გასეირნება მომინდა მეთქი. ახლა უნდა გეძინოს რაშია საქმე, დამამშვიდებელი არ დალიეო? კინაღამ თავი არ გამოვიმჟღავნე. აბა მან საიდან იცოდა რომ ყველა აბს სათითაოდ დედაჩემის მოტანილ ფუმფულა დათუნიაში ვტენიდი. მოკლედ მომბეზრდა აქ და ეგ ბიჭიც ძალიან შემეცოდა. რაღაცით ნიკას მივამგვანე და იმ მომენტში ისე მომინდა რომ მართლაც ის ყოფილიყო... პალატაში რომ დავბრუნდი მივხვდი რომ ნიკას რეალურ ცხოვრებაში გაცნობა მსურდა, მაგრამ ამის შანსები ალბათ უკვე აღარ მქონდა. რაც იყო ხომ ჩემი ხელით მოვსპე და...

27 აპრილი 2022 წელი

იქნებ სულაც ნგრევისთვის ვარ დაბადებული? მთელი დღეა ეს აზრი თავიდან ვერ ამოვიგდე. არც გასულ ღამეს დამიძინია. დიდხანს ვიფიქრე. რა იქნება რომ ნატას ტელეფონის დაბრუნება აღარ ვთხოვო და მუხლებში აღარ ჩაუვარდე ყველა მისი დანახვისას? იქნებ გიჟად აღარ ჩამთვალონ და მეც აქედან გავიდე...

თარიღი არ მახსოვს მაგრამ მემგონი ისევ იგივე წელია

როცა საბოლოოდ მეგონა რომ ჩემმა იდეამ ამჯერადაც არ გაჭრა, უცებ ექთანი ჩემს პალატაში დედაჩემთან ერთად შემოვიდა და გამომიცხადა გაწერილი ბრძანდებითო.
-ესეიგი გამოვჯანმრთელდი? ეს ასეა?
დედაჩემს ერთი წამით სახე გაუშეშდა, მედდამაც ძალდატანებით უხერხულად გამიღიმა და მერე დედამ მითხრა კი, შენ ჯანმრთელი ხარო.
-ხომ გეუბნებოდით რომ გიჟი არ ვიყავი არა? თავიდანვე რომ დაგეჯერებინა ჩემთვის ეს ყველაფერი საჭირო არ გახდებოდა...
და იმ იმედით დავბრუნდი სახლში რომ გამოჯანმრთელებული ვიყავი, მაგრამ სახლში მოსვლისთანავე ისევ საშინელი შეტევა დამეწყო. რა ცუდი აღმოჩნდა იმის გააზრება რომ მოგატყუეს. თავი გაწამებულად, მოტყუებულად და ახლა უკვე მართლა გიჟად ვიგრძენი. მერე არ ვიცი რატომ გავაკეთე ეს მაგრამ რაც კი ტანსაცმელები მქონდა ყველაფერი ერთად მოვხვეტე და სანაგვე პარკში ჩავაბრძანე. დავრჩი ერთიცალი თეთრი ზოლებიანი პერანგის ამარა, რომელიც ფსიქიატრიულიდან გამომატანეს. რა ჯანდაბად მინდა? სამახსოვროდ კი არ უნდა დავიტოვო... ეგ მართლა ავადმყოფები! იმ აუტანელი ბიჭის ღუილი ყოველ ღამე, ის უგემური საჭმელი და თეთრი კედლები, იმ უზარმაზარი საათის გაუთავებელი წიკწიკი და ის რქები თუ ჩრდილები აღარ შემეძლო უკვე. თანაც დათუნიაც უკვე გამოტენილიყო ნაირნაირი ტაბლეტებით. გზად გამოვაყოლე და მახლობელ ნაგვის ურნაში ვისროლე. ნატას ისე ეწყინა კინაღამ ტირილი არ დაიწყო, მაგრამ როგორ ვეტყოდი რატომ ვქენი ეგ... არა, მაგას ვერ ვეტყოდი. სახლში დაბრუნებულს იმედი მქონდა რომ ტელეფონს დავიბრუნებდი. ბოლო-ბოლო ნატამ ხომ არ იცის სინამდვილეში რა ხდება, არ მესმის ასე ძალიან რატომ ჯიუტდება. ნეტავ მოსული შეტყობინებები ნახა? არა არ მგონია, ის ასეთი არ არის. აბა რაშია საქმე? კიდევ ერთხელ რომ ვიკითხე სად არის ჩემი ტელეფონი თქო და ნატასგან ისევ მკაცრი უარი რომ მივიღე ყველაფერი ისევ ახლიდან დაიწყო და ბოლოს ისევ დამამშვიდებლების ფონზე ჩემი დაძინებით დასრულდა...

11 მაისი 2022 წელი

დღეს პირველად ვნახე ნიკა და გეფიცები ეგრევე ვიცანი. ჩემი მოლოდინები გაამართლა და მეტიც, იმაზე უკეთესია თურმე ვიდრე ტელეფონის ეკრანიდან ჩანდა. ისე მენატრებოდა... ამიერიდან ჩემთან ყოველთვის ივლის.

19 მაისი 2022 წელი

ჩემს თავს გაუმჯობესებას ნამდვილად ვატყობ. მე და ნიკამ ერთად დავსახეთ გეგმა თუ როგორ გავუმკლავდეთ დემონს ერთად და დავამარცხოთ. აღმოჩნდა რომ ნატას ყველაფერი სცოდნია და ახლა საერთოდ აღარ მიკვირს ინტერნეტს რატომ აღარ მაკარებს და მეც ასე მხოლოდ ამ დღიურს ამოფარებული დავრჩი. მაგრამ არაუშავს... იქნებ თეორიულად სიკვდილი პრაქტიკულად სიკვდილს სჯობდეს. მოკლედ ახლავე მოვყვები რა ხდება; მე ნიკას ვუთხარი რომ აზრი არ შემიცვლია, ვგულისხმობ რომ ჩვენ ხომ უნდა მოვმკვდარიყავით ერთად არა? უბრალოდ ამ ცხრა ეტაპის გასვლას ველოდით. თუმცა მან მითხრა რომ ჩემი გადარჩენა შეეძლო. რა თქმა უნდა, ის უკვე საგრძნობლად კარგად

გამოიყურებოდა, თურმე თამაში მიუტოვებია. მიზეზი არ ვიცი მაგრამ აუცილებლად გავიგებ. მე რომ არ ვარ ეგ ცხადია... ან იქნებ მე ვარ? იქნებ ინერვიულა ჩემი ამბავი რომ გაიგო... მაგრამ მოიცა საიდან გაიგო? რა ჩახლართულობაა, როცა მგონია რომ აზრები საბოლოოდ დავალაგე ისევ ყველაფერი ახლიდან ირევა, თითქოს ლაბირინთში ვიყო. კაი, მოკლედ ჩვენ სიცოცხლე ავირჩიეთ და არ ვიცი ეს ყველაფერი რით დასრულდება, მაგრამ ახლა სექტაში ყველას მკვდარი ვგონივარ და მეც მემგონი სამუდამოდ სახლში ამოგუდვა მომიწევს. რაღაცნაირად მაგარიც კია ეს ყველაფერი... ნიკა, მე და ჩვენი ეს საოცარი თავგადასავალი! მომწონს…

***

მთელი მეორე დღის განმავლობაში მეძინა და არც არავის გავუღვიძებივარ წუხანდელი ღამის გამო. ამიტომ დილით დასალევი წამლები ვერ დავლიე. რომ გამეღვიძა შუადღის ოთხი საათი ხდებოდა. ეგრევე წამოვხტი ტელეფონს რომ დავხედე. იქნებ უკვე მოსულიყო ნიკა მეკიდევ ასე მშვიდად მეძინა. თმაგაწეწილი მისაღებში გავვარდი მაგრამ იქ მამას გარდა არავინ დამხვდა, რომელიც დივანზე წამოწოლილიყო, ვაშლის ნაჭრებს გემრიელად მიირთმევდა და ტელევიზორში ფილმს უყურებდა.
-მამა დღეს ჩვენთან არავინ მოსულა?
-როგორციქნა გაიღვიძე, რა იყო ამდენი ძილი?
-მამა არავინ მოსულა?
-ვის ელოდებოდი შენ პრინცს? უნდა ეკოცნა და ისე გაეღვიძებინე და მაგიტომ არ იღვიძებდი არა?
-ნუ, მიახლოვებით.
-ოხ კატო, არა არავინ მოსულა რა რო? დღეს როგორ ხარ?
-უკეთ. წამლები მაქვს დასალევი. ისე კარგად ვარ.
-არ გინდა კინოს უყურო? მაგარია ძაან.
-ხოიცი არ მიყვარს ეგეთები, კარგი წავალ თმებს შევიღებავ, გუშინ ვერაფრით დამცალდა...
-ვა, რა ფრად?
-ქერა და იისფერი მაქვს, რომელი ჯობია?
-რომელიც გინდა შვილო, აბა მე რა გამეგება...
ამ მხრივ ძალიან კარგი იყო მამაჩემი. იმას არასდროს მიშლიდა რასაც სხვა ჩემხელებს უშლიდნენ მამები. ამით ყოველთვის ვვამაყობდი და თავს ვიწონებდი ხოლმე სამეგობრო წრეში მათ კი ჩემი საშინლად შურდათ. ისევ გავედი სააბაზანოში და შევეცადე სარკისთვის დიდი ყურადღება არ დამეთმო. სწრაფად გადავისვი საღებავი და იქვე კუთხის სკამში

ჩამოვჯექი. ჩემდაუნებურად იმაზე დავიწყე ფიქრი თუ ნიკა რატომ არ მოვიდა დღეს. როგორც წესი როცა მოსვლას ვერ შეძლებდა, წინა დღეს მაფრთხილებდა ხოლმე, ასე გაუფრთხილებლად არასდროს მოქცეულა. ნეტავ ჩემი საქციელის გამო ქნა ეს? ვაიმე, ამის მერე ჩემთან აღარც ივლიდა ხოლმე? ნუთუ ყველაფერი მორჩა? ისევ ახლიდან ვქენი ეს? ისევ ყველაფერი დავანგრიე და გავანადგურე? საშინელი შეგრძნება დამეუფლა და აი ახლა კი ნამდვილად ვინანე რაღაც ცხოვრებაში პირველად...

მეგი

-რას ალაგებთ ამდენს, მთელი სახლი მოგაქვთ? - დილიდან არ წყვეტდა ლადო ბუზღუნს. ჩემი ყვითელ ყვავილებიანი ჩემოდანი შევკარი და კიბეებზე დავეშვი.
-რას აკეთებ, რამე არ იტკინო, - ამოვარდა კიბეებზე მამა და ჩემოდანი გამომართვა. ცოტა ხანში მე და ლიზამ მზის სათვალეები მოვიმარჯვეთ და გარეთ გავემართეთ, სადაც ლადოს ახალი მანქანა ეყენა.
-აუუ, ძალიან ვღელავ! - ხტუნაობა დაიწყო ლიზამ.
-რატომ? წინა წელს ხომ ვიყავით ქობულეთში ერთად?
-მეგიიი, ეს სულ სხვაა, ახლა ისე მივდივართ როგორც მთელი ოჯახი, მაგარი არა?
მანქანაში მოვთავსდით, ლადომ საბარგულში ბარგის ჩალაგება დაიწყო მერი კი მოვიდა ჩვენთან იმის გასაგებად რამე ხომ არ გვრჩებოდა. უარყოფის ნიშნად თავი გავიქნიეთ მე კი ჩვენს დიალოგს დავუბრუნდი:
-რავიცი რა, გული მეთანაღრება თითქოს.
-რამე მოხდა? - ჩამჩურჩულა ყურში.
-მერე გეტყვი.
ვუპასუხე და მთელი გზა ბათუმამდე ხმა არ ამომიღია, გართული ვიყავი ჩემი თავზარდამცემი ფიქრებით, ლადო კი თავის საყვარელ ტვინის წამღებ მუსიკებს არაფრით რთავდა. თავი მისკდებოდა. როცა გავჩერდით გაკვირვებულმა ამოვწიე თავი და დავინახე ლიზა დაბღვერილი როგორ მიყურებდა.
-რა ხდება? - ვიკითხე.
-დილამშვიდობისა, კეთილი იყოს თქვენი მობრძანება ამ პლანეტაზე.
-რა? რატო გავჩერდით?

-ფანჯრიდან თუ გაიხედავ მიხვდები, - მომიგო ლადომ. თურმე ჩავსულვართ უკვე. მერიკოს მოშიებია და ჩვენც რესტორან "რეტრო სანაპიროში" საჭმლის შესაკვეთად გავჩერდით. გადავედი მანქანიდან. ამდენი ჯდომისგან ფეხები გაბუჟებული მქონდა. სანამ ერთი ჩავისუნთქე და წელში გავიმართე ლიზა ელვის სისწრაფით გაჩნდა ჩემთან.
-რა სიკვდილი გემართება? მთელი გზა ხმა არ ამოგიღია და კიდე ბევრი მასეთი არ ჩამომათვლევინო ახლა.
-დავიღალე ლიზ.
-ჰაჰ დაიღალე? დაიღალე არა? დაიღალა გოგო თურმე! რა გჭირს? სულ შეიცვალე, თითქოს შენს ცხოვრებაში მე აღარც ვვარსებობ, ახლა შენს თავგადასავლებში ხარ ჩაფლული! სტუდია, რუსკა ნინა, ნიკა მაჩო... და კიდე ათასი ვიღაც! და მე? მე ვინ ვარ... იცოდე, არც გაბედო და არ თქვა რომ ეს ასე არ არის, აღარ უარყო თორემ გეფიცები ხმას აღარ გაგცემ! დოინჯი შემოირტყა და ზურგი შემაქცია. რაღაც მხრივ ლიზა მართალი იყო, მე მართლაც შევიცვალე, მე მართლაც რაღაც მემართებოდა, თითქოს ნიკას გარდა სხვა აღარავინ და აღარაფერი მაინტერესებდა, მაგრამ ლიზა... თუ დავფიქრდებოდი, მივხვდებოდი რომ ლიზა იყო ყველაფრის მიზეზი, ყველაფრის თავი და თავი, რადგან სწორედ მის მოსაძებნად წავედი თავდაპირველად ნინის წვეულებაზე. ეს ადამიანი ჩემთვის უზომოდ ბევს ნიშნავს, მთელს ჩემ ცხოვრებასაც კი, რადგან მის გარეშე ერთი დღეც ვერ წარმომიდგენია და ახლა რადგანაც მისი ამ ფიქრების მიზეზი მე გავხდი თავი ძალიან ცუდად ვიგრძენი და მივხვდი რომ მართლა ზედმეტი მომდიოდა, ცოტა უნდა გამოვფხიზლებულიყავი.
-ბოდიში.
-ეგ არ გიშველის.
-არ გინდა თმები შევიჭრათ?
-მინდა მაგრამ ვერც ეგ დაგაძვრენს, აი ბოდიში კი მიღებულია.

***

სასტუმროში ოთახების განაწილების შემდეგ ლიზა ჩემს ოთახში შემოვიყვანე და თავიდან ბოლომდე ვუამბე ყველაფერი.
-ვაიმე, მე კიდევ გიმატებდი.
-სისულელეს ნუ ამბობ გოგო.
უცებ ჩემი ტელეფონი განათდა და მეც კარადისკენ გავვარდი გახარებული მაგრამ ტელეფონს დიდი ასოებით, გარკვევით დაეწერა ნინი და არა ნიკა. კიდევ ერთხელ გამიცრუვდა იმედები.
-რა მოხდა, ის არის?
საპასუხოდ ვიგრძენი ლოყაზე ცხელი ცრემლი როგორ ჩამომიგორდა.
-მეეეგ, კარგი რააა, ხვალ ხომ შენი დღეა!
-რამე რომ მოუვიდეს???
-რა დებილობებზე გეფიქრება გოგო...
-ლიზა რა არის სისულელე? ადგა და ასე უბრალოდ მიატოვა თამაში? და თუ მართლა სასწაული მოხდა, რისიც მე ასე ძალიან ვირწმუნე, თუ კი ეს ასეა მაშინ, მაშინ ახლა ასე

რატომ იქცევა? ორი მიზეზი ხსნის მის საქციელებს, ორად ორი მიზეზი და ორივე ერთმანეთზე უარესია, გესმის?

-რა ორი მიზეზი რა... ახლა რაღა მოიგონე.

-პირველი, ჩემი მიტოვება უნდა და მეორე თამაშში დაბრუნდა. გული რაღაც ცუდს მიგრძნობს, დედაჩემის სულს გეფიცები!

-კარგი რა, იქნებ სულ სხვა მიზეზი აქვს, რაც შენ არ იცი? ასე იცი სულ, გადააწყობ შენს გონებაში რაღაცეებს და მერე მაგის იქით გზა აღარ გაქვს! მალე ჩავალთ და დაელაპარაკები, არ ინერვიულო. ხვალინდელზე იფიქრე, გთხოვ რა...

ჩემს ლოგინზე მოვიკუნტე და ბალიში მთლიანად დავასველე, ცრემლების უკიდეგანო შეუწვეტელ ნაკადში ვცურავდი რომ ზღვა ემოციების, ახალი ჰავისა და მთელი დღე მგზავრობის გამო უცებ ჩამეძინა.

***

-ეს აქ დავდო? - თან შორიდან და თან ახლოდან ჩამესმა ლიზას ხმა.

-არა, სჯობს ხელში გეჭიროს, - გამოეპასუხა ლადო. ვერ გადავწყვიტე სიზმარში ვიყავი თუ ცხადში. უცებ ყურში ერთდროულად ჩამყვირეს:

-დაბადებისდღეს გილოცავ!

შეშინებული წამოვხტი, კამერა მაფიქსირებდა რომელიც მერიკოს ეჭირა, ლიზას კი პატარა თეთრი ნიჟარებიანი ტორტი დაეკავებინა, რომელიც თითქოს ზუსტად აღწერდა ჩემს შინაგან სამყაროს. ლადო ჩვეული ღმილით მიღიმოდა, არა უფრო დამცინოდა რადგან ამ სურათის დანახვამაც კი ვერ გამახსენა ის ფაქტი რომ დაბადებისდღე მქონდა. თვრამეტი წლის გავხდი, ღმერთო რამ გამომაშტერა?

-რა გჭირს ისევ სხვა პლანეტაზე გადასახლდი?

დაცინვას არ წყვეტდა მამა.

-მე უბრალოდ... მადლობა, ყველას...

-მოდი ადექი, ტორტი ჩააქრე.

-არა გაჩერდი რას აკეთებ? ჯერ სურვილი, - წამოიძახა ლიზამ.

სურვილი? ჰმმ..."ღმერთო, გემუდარები ნიკა კარგად იყოს" და ტორტი ჩავაქრე. და ზუსტად ამ დროს მისგან ესემესი მომივიდა. საშინლად ავფორიაქდი და გავხსენი. ეწერა: "შენს დღეს გილოცავ მეგ, მიყვარხარ და მენატრები".

ამის დანახვისას მაინც სულელივით ვიწყებ ღიმილს მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს რომ გაბრაზებული აღარ ვარ. ეს რანაირი მოლოცვაა? მიყვარხარ და მენატრები? რა ბანალურობაა

ნიკას მხრიდან? საერთოდ არ ჰგავს მას. მისთვის გასაგზავნი შეტყობინება წავშალე რადგან მასში ზედმეტად ბევრი საყვედურები იყო და ისევ ჩემებს მივუბრუნდი. ტორტის გაჭრის ცერემონია რომ დადგა მერიმ დაიჟინა ჯერ ჩემი საჩუქარი გახსენიო.
-უკვე გავხსნა? - გამიკვირდა.
-ხო რა მოხდა?
-კაი, რომელია?
-აი ის, - პატარა ლურჯ პრიალა ყუთზე მანიშნა, რომელიც საჩუქრების ზევიდან სულ პირველი იდო. ყუთი ღიმილით გავხსენი და უეცრად თვალები გამიშტერდა. ხელში ორი პაწია მაქმანებიანი ფეხსაცმელი შემრჩა, რომელსაც მარკაზე ლამაზი ხელით წაწერილი წარერა ჰქონდა "შენს დღეს გილოცავ დაიკო". მთლიანად გავშეშდი და რამდენიმე წამი დამჭირდა ამ ყველაფრის გადასახარშად. გავიგონე ლადოს და ლიზას გახარებული შეძახილები, ლადომ მერიკო ჰაერში აიტაცა და ააფრიალა, მეც კივილი დავიწყე და ვულოცავდი მათ ამ ახალ ამბავს,სულ მალე ჩვენს ოჯახს ახალი წევრი შემოემატება, რომელიც სულ სხვანაირ ჟრიამულს შემოიტანს... ღმერთო ჩემო, ყველაზე მეტად კი ის მახარებდა რომ ეს საოცარი სიახლე ყველამ ერთად ჩემს დაბადებისდღეზე გავიგეთ. მართლაც ყველაზე მაგარი საჩუქარი გამიკეთა მერიკომ. რამდენიმე საათი კიდევ ვერ ვიჯერებდი ამ ამბავს, მერე კი როცა ყველაფრის აღნიშვნა დავამთავრეთ ლიზას მკლავზე მოვქაჩე წავიდეთ უკვე მეთქი.
-სად მიდიხართ? - გაიკვირვა მერიკომ, ლიზამ კი თავისი გეგმის შესახებ უამბო.
-მერე მე ვერ წაგიყვანთ? - გვკითხა ლადომ რომელსაც ჯერ ისევ დასთამაშებდა სახეზე სასიამოვნო ღიმილი და თან რაღაც ნაცნობ მელოდიას ღიღინებდა ხმადაბლა.
-მა, როგორღაც მივაგნებთ სალონს.
-რატო? სანამ თქვენ თავებს მოიწესრიგებთ ჩვენ სანაპიროზე გავისეირნებ, არა ლადი? - მოეხმარა მერიც, - წავიდეთ ყველა ერთად.
-მაშინ კარგი.
სალონის ძიებაში მთელი შუადღე გაილია თითქმის. და როგორც იქნა მივაგენით ერთ პატარა სალონს, რომელიც პლიაჟთან იყო ახლოს. არჩევა აღარ დაგვიწყია და შევედით. შედეგი ფანტასტიური აღმოჩნდა, მე და ლიზა გაოცებას ვერ ვმალავდით როცა ბოლოს სარკეში ჩავიხედეთ. უფრო მეტად კი ის იყო ბედნიერი, რომ მისმა გეგმამ გაამართლა. მოკლე წითური თმა საშინლად უხდებოდა. მე ჯერ ისევ ვფიქრობდი რა მეპასუხა ნიკასთვის, ანდაც საერთოდ მეპასუხა თუ არა. მე ხომ მასავით აფერისტობა არ შემეძლო, რომ თითქოს და არც არაფერი მომხდარა და რომ ყველაფერი კარგადაა ჩვენს შორის. შენობიდან ახალი გამოსულები ვიყავით, ჯერ ჩვენი ახალი იმიჯის მორგებას ვცდილობდით და სანაპიროსკენ მივემართებოდით რომ მშბლები გაგვეოცებინა, რომ ნიკამ დამირეკა. პანიკაში ჩავვარდი, რა ვქნა მეთქი ლიზას ვეკითხებოდი.
-რასქვია რა ქნა გოგო, მიდი და უპასუხე, იქნებ რა ხდება, პლიაჟზე დაგელოდები.
-კარგი, დაგეწევი.
ვუთხარი და მეორე მხარეს გავედი. ვუპასუხე. ნიკას აღელვებული ხმა ჰქონდა, მეკითხებოდა სად ხარო. სანამ როგორღაც ვუპასუხებდი, მანამდე მოვკარი თვალი თვალი მისი აღნაგობის გამხდარ ბიჭს, რომელიც ჩემთან ძალიან ახლოს მოვიდა და მკითხა:
-მეგი რომელი ხართ?
არ ვიცი რატომ, მაგრამ რაღაცნაირად თავზარი დამცა ამ სიტყვებმა. ჯერ გავიფიქრე იქნებ ვინმეში ავერიე მეთქი, მაგრამ ეს არაფერს ამართლებდა. რაში სჭირდებოდა უცხო ბიჭს ჩემი

ვინაობა, ან საერთოდ აქ რას აკეთებდა? ვინ იყო? თანაც ზუსტად იმ დროს მოვიდა, როცა ნიკამ ამდენი ხნის შემდეგ დამირეკა. ეს ყველაფერი უნდა დამეკავშირებინა ერთმანეთთან?
-არაფერი თქვა, უკვე გზაში ვარ.
დამიყვირა ყურმილში ნიკამ და ამან უფრო ამაფორიაქა. მოდის? სად მოდის? ერთიანად ავკანკალდი. უცნობი ბიჭი ისევ შემომცქეროდა. ამ დროს ლიზამ დამიძახა:
- მეგი არ მოდიხარ?
ღმერთო! უცნობს თვალები გაუფართოვდა და სანამ რამის გააზრება მოასწრო, იქაურობას სწრაფად გავეცალე, ისე რომ უკან აღარც მიმიხედავს. საბედნიეროდ ძალიან ახლოს ვიყავი პლიაჟთან.
-ნიკა აქ რა ჯანდაბა ხდება? - ჩემი ხმა ვეღარ მოვთოკე.
-ყველაფერს აგიხსნი, სახლიდან არ გახვიდე გთხოვ, - და მითიშავს.
ამდენი მოულოდნელობებისგან თავბრუ მესხმის.
-მეგ კარგად ხარ? - ვერც გავიგე ლიზა როდის მომიახლოვდა, - ის ტიპი ვინ იყო?
-არა, არ ვარ კარგად.
მანქანამდე ლიზას მივყავარ. რა მოხდაო, გაუთავებლად მეკითხება, მაგრამ სიტყვებს ერთმანეთზე ვერაფრით ვაბამ. ნიკა მოდის მეთქი, მარტო ამის თქმა შევძელი.
-მართლა? რა მაგა... - ლიზას ხმა უწყდება, - მოიცა, სად აქ, ანუ აქ? ბათუმში? ლადოსთან?
ეგღა მაკლდა. ფეხები გამიშეშდა და უცებ ნაბიჯიც ვეღარ გადავდგი.
-ლიზი, არ წახვიდე...
და ყველაფერი დაბნელდა.
გონს საავადმყოფოს პალატაში მოვედი. თავთან მამა მეჯდა.
-რა... რა მომივიდა?
მოულოდნელობები აღარ დასრულდა. ეს რანაირი დაბადებისდღე მქონდა?
-სერიოზული არაფერი მეგ, წნევა დაგივარდა, გადაიღალაო ექიმმა ასე თქვა. დედაშენივით სუსტი ხარ, ყვავილივით ნაზი. ნეტა იცოდე როგორ შემაშინე.
-ლიზა აქ არის?
-კი, დავუძახო?
-არა მეთვითონ, - წამოვიწიე, მაგრამ გამაჩერა.
-რა? - ვკითხე.
-აჯობებს თუ დღეს აქ დარჩები.
-მაგრამ რატომ?
-ანალიზები უნდა გაიკეთო. კარგი, მე ლიზას დავუძახებ, შენ არ გაინძრე.
ლიზა პალატაში შემოვიდა. ფერი არ ედო.
-კარგად ხარ? მკითხა და მომიახლოვდა.
-ჰო, ის?
-აქ არის.
-რაო? - ლოგინიდან წამოვვარდი, - მართლა მოვიდა? საქმე ასე სერიოზულად არის?
-აქ, ანუ საავადმყოფოსთან არის და ვერ გადამიწყვეტია უნდა შემოვიდეს თუ არა, ეგ შენ უნდა მითხრა.
-რა ვქნა?
-ბოდიში მაგრამ, აზრზე არ ვარ.
-რომ არ შემოვიდეს სად წავიდეს? და რომ შემოვიდეს მერე რა იქნება? ან ის ვინ იყო?
-ის ტიპი არა? მეც ხომ ეგ გკითხე...

-არ ვიცი ლიზ, მეგი რომელი ხართო ასე მკითხა, ეტყობა ერთნაირი ვარცხნილობების გამო ვერ მიცნო. ან საერთოდ ვერ ვხვდები, მაინც რატომ უნდა ვეცნე ვიღაც უცხოს, რომელსაც ცხოვრებაში პირველად ვხედავდი? და ზუსტად მაგ დროს ნიკამ მითხრა არაფერი არ უთხრა, ხმა არ ამოიღო მოვდივარო. და შენც დამიძახე, სახელით მომმართე. თვალები მთლიანად გაუფართოვდა, მომეჩვენა რომ მაგ მომენტში უფრო მომიახლოვდა. ვაიმე დედა, იცი რა შიში ვჭამე? ნეტავ რა უნდოდა? კიდეკაი ჩვენებიც წამოვიყვანეთ, აშკარად ღმერთს ვუყვარვარ, აშკარად!
ამოვიოხრე და თვალები გადავატრიალე.
-გოგო ნეტა ახლა რაღა ხდება?
-არ ვიცი ლიზიიიი, არ ვიცი და ნიკა რომ არ შემოვუშვა ვერც გავიგებ, მაგრამ ლადო? მას რა ვუყო? დილემის წინაშე ვარ, მიშველე.
-მეგ, ახლა რაღაცას გეტყვი და არ გაბრაზდე.
-მითხარი.
-მემგონი კარგი ისედაც არ მოხდება და აჯობებს სიმართლე მაინც გაიგო.
ერთი წამით მისი ნათქვამი გადავხარშე და მართალი იყო. რაღაც ძალიან ცუდი ხდებოდა.
-ხო... მაგრამ როგორ?
-ლადოსთან მე მოვაგვარებ, დაწყნარდი.
-აუ მიყვარხარ რა... ლიზ!
-ჰო.
-მერი დეიდა როგორ არის?
-კარგად.
მიღიმის და პალატიდან გადის. მოუსვენრად ვარ, გული მიჩქარდება. ერთი თვის უნახავი ნიკა უნდა ვნახო, თანაც ჩემს დაბადებისდღეზე და თანაც ბათუმის საავადმყოფის პალატაში...
ნახევარი საათი იმაზე ფიქრში გავიდა თუ რას იზამდა მამა ნიკას დანახვაზე. რა მოხდებოხა სკანდალი რომ ამტყდარიყო, ანდაც უფრო მეტი რომ ეჩხუბათ? ვწრიალებდი, ოფლში ვცურავდი. უცებ კარი გაიღო და მეგონა ხელახლა დავკარგავდი გონს, მაგრამ ექთანი დავინახე. მომიახლოვდა, გამიღიმა. რამოდენიმე ანალიზი ამიღო. რა დროს ეს იყო?კანკალებო - მითხრა. არაფერია, - მეთქი. მერე პირში თერმომეტრი ჩამჩარა. რამდნიმე გრადუსით მაღალი მქონდა სიცხე. ექთნის გასვლისთანავე პალატაში ნიკა შემოვიდა. არ მჯეროდა რომ ბათუმში მართლა ჩამოვიდა, ვხედავდი მაგრამ მაინც არ მჯეროდა. რა ირონიულია რომ ჩემი დაბადებისდღის ერთად გადახდას ვგეგმავდით და როცა გეგმა ჩაგვეშალა გული საშინლად დამწყდა. ნელა მომიახლოვდა, თავთან დამიჯდა და შუბლიდან თმა ფრთხილად გადამიწია. არ გაუღიმია.
-თმა ასე ძალიან გიხდება.
ხმა უკანკალებდა, სიტყვებს შორის დიდ ინტერვალებს ტოვებდა. შავი გრძელმკლავიანი მაიკა ეცვა. ნეტავ ეს იმიტომ რომ ახალი ჭრილობები გასჩენოდა? თუ ეს საზარელი აზრები, უბრალოდ ჩემი ეჭვების ბრალი იყო? რას არ ვიზამდი რომ ეს მართლაც ასე ყოფილიყო... შეცვლილი მეჩვენებოდა რაღაცნაირად. თითქოს, ჩემთან მიმართებაში ყველაზე ფრთხილი იყო, ვიდრე ოდესმე. გამახსენდა ჩვენი პირველი შეხვედრა, თუ როგორი მექალთანე იდიოტი იყო მაშინ და როგორ ურცხვად სცადა ჩემი კოცნა. როგორ უხეშად მექცეოდა და მხოლოდ მტკენდა. ახლა კი თითქოს ჩემს თმაზე შეხებაც კი უჭირდა და ეთაკილებოდა. ხელი უთრთოდა, გაყინული ჰქონდა. მის შეხებაზე მთლიან სხეულში მწარე ეკალმა დამაყარა. თავს უფლება მივეცი, სანამ დრო მქონდა ეს სიამოვნება შემერგო, რადგან გული

რაღაც საშინელის მოახლოებას მიგრძნობდა. ხელი ჩემს ლოყაზე გაასრიალა. ეს შეხება თითქოს სხვანაირი იყო. ისეთი როგორიც აქამდე არასდროს. თვალები დავხუჭე. "როგორ მომნატრებიხარ" გავიფიქრე გულში და თავს ძალა დავატანე როგორღაც ეს სიტყვები ხმამაღლა არ მეთქვა, თუმცა მან თითქოს ჩემი აზრები წაიკითხა.
-მომენატრე...
გავიგონე მისი ხმა და თვალები გავახილე. არ ვიცოდი რა მეთქვა. ძალიან ბევრი კითხვა მქონდა. იმდენი რომ ვერც კი ამერჩია პირველი რა მეკითხა.
-მამამ გნახა?
-შენ არა? - ჩაეცინა.
დავიბენი.
-რა?
-შენ არ მოგენატრე?
-თემის გადატანა არასდროს გამოგდიოდა.
-მეგი რაზე ამბობ?
-არც ხახვი გყვარებია არასდროს სალათაში.
მიხვდა, ვიცი რომ მიხვდა თემა საითკენაც მიმყავდა, მაგრამ ისევ თავის გასულელება ამჯობინა.
-ახლა ეგ რა შუაშია? როცა დაეცი თავი რამეს დაარტყი? ახლა როგორ გრძნობ თავს? რამე ხომ არ გტკივა...
-ისევ ურცხვად მატყუებ... ისევ! გეყოფა გემუდარები...
-მეგი...
-ადამიანურად გთხოვ, ოდნავი პატივისცემა მაინც თუ შემოგრჩა ჩემდამი, მითხარი რა ხდება.
-კარგი, გეტყვი! მე... არ ვიცი რა გითხრა. მამაშენმა მნახა, რაღაცეებს მიხვდა, მაგრამ სკანდალი არ აუტეხავს. მითხრა მერე ვილაპარაკებთო. მანქანისთვის ბოდიში მოვუხადე. მართალია ძალიან გვიან, მაგრამ მაინც.
-და შემოსვლის ნება დაგრთო?
-ლიზა დამეხმარა.
-შემოგაპარა?
-შენი აზრით?
-ოჰ...
-ხო, შენი დედინაცვალი სასადილოშია და მამაშენიც მას გაჰყვა. წინააღმდეგი ხომ არ ხარ დედინაცვალი რომ დავუძახო?
-ახლა მაგას არანაირი მნიშვნელობა არ აქვს.
-მეგი ბოდიში.
-რისთვის მიხდი ბოდიშს?
-მაშინ მე... დედაშენზე ცუდად ვილაპარაკე, გეფიცები არ ვიცოდი.
-ახლა ეგ რატომ გაიხსენე?
-თუ ბოდიშების მოხდის დღეა, ბარემ ყველაფრის გამო მოვიხდი.
-და შენ? - ვკითხე უცებ, რადგან მისი წამოწყებული დიალოგის მიმართულება ძალიან არ მომწონდა.
-რა მე? - გაოგნდა.
-შენ როგორ ხარ?
-მეგი, კიდევ ერთხელ გიხდი ბოდიშს.

-ნუ მიხდი! არ მჭირდება შენი ბოდიშები, გასაგებია?
-არა ბოდიში საჭიროა, ბევრ რამეზე უნდა ვისაუბროთ, - ჩემი ხელი ხელში დაიჭირა და მაკოცა.
-ვიცი, - წავიჩურჩულე და წამოწევა ვცადე. მომეხმარა.
-ასეთ დღეში ჩემს გამო ხარ, - კბილებში გამოსცრა და მუშტები შეკრა.
-არა არ ვარ. ალბათ ვკვდები უბრალოდ, დიდი რამე...
-რას ამბობ? - სახე წამში შეეცვალა და სიბრაზე სინანულში გადაეზარდა. სათქმელი ჰქონდა, ალბათ ბევრი. სიტყვებს ეძებდა, წარამარა თვალს მარიდებდა.
-მეგი, რამე დაგიშავა იმ ტიპმა?
-ჩემები იყვნენ ახლოს და მალე გავეცალე.
ღრმად ამოისუნთქა.
-ვინ იყო?- ვკითხე და მზერით მივახვედრე რომ პასუხს უკვე ვეღარსად გაექცეოდა.
-თაზო, - ჩაისისინა, - თამაშიდან...
აი თურმე რა! დავიძაბე. არ ვცდებოდი, თურმე არ ვცდებოდი. გონებაში ყველაფერი ერთდროულად ამომიტივტივდა. ის ჭრილობაც მის ხელის გულზე. აი მიზეზი თუ გრძელ მკლავიანი მაიკა რატომ ეცვა. ეგ კი არა, ყველაფერი იმდენად სერიოზულად ყოფილა რომ ეს საქმე მეც კი გადმომწვდა, მეც მეძებდნენ უკვე! მაგრამ ყველაზე ძალიან მაინც ის მტკიოდა რომ ნიკამ ჩემი მოტყუება შეძლო და არა მარტო შეძლო, არამედ საერთოდ ამისი სურვილი გაუჩნდა. გამახსენდა ის ღამე, თუ როგორ მოვიდა ჩემს სახლთან წარწერით ხელში "მე მსურს სიცოცხლე" და როგორ მომწერა "შენთან ერთად", თუ როგორ იცვლებოდა დროდადრო უკეთესობისკენ და უყვარდებოდა ის მცირედი დეტალები, რომლებიც ცხოვრებას ქმნიან! ეს ყველაფერი თამაში იყო? ნუთუ არ არსებობდა არანაირი ნიკას კარგი პერსონაჟი ჩემს ამბავში და ის თავად გამოვიგონე? გამოდის რომ მისი ჩემდამი გრძნობებიც გამოგონილია? აბა როგორ დავიჯერე, რომ ტირანის ქვის გულს სიყვარული შეეძლო? ვინ იცის, იქნებ და მეც ერთ-ერთი დავალება ვიყავი თამაშიდან? ასე გავიმეტე ჩემი თავი მის გადასარჩენად? ამ ყველაფრის დაჯერება არ მინდოდა და მახსენდებოდა ლიზას სიტყვები "იქნებ მიზეზი აქვს?" თუმცა, მის საქციელს გამართლება არ ჰქონდა. ისევ ვიგრძენი ავარვარებულ სახეზე ცხელი ცრემლების შეხება.
-მეგი ყველაფერს აგიხსნი...
ჩურჩულებს ნიკა.
-ამიხსნი? რას ამიხსნი, რომ მეც ერთ-ერთი დავალება ვარ? რომ არ გიყვარვარ? თუ ღმერთი გწამს ნიკა, აქ რა არის ასახსნელი, ყველაფერი ამის გარეშეც ნათელია!
ცრემლებს ვიწმენდ, მაგრამ ისევ ჯიუტად მომდის. ვეღარც ჩემს ხმას ვცნობ და ვეღარც ასეთ ჩემს თავს.
-ამას როგორ ამბობ? როდის შევძელი რომ ჩემს გრძნობებში ეჭვი ასე ძალიან შეგეტანა მეგი?
-ახლახანს... როცა მომკალი!
თავს ვატრიალებ და ნელა ვბრუნდები.ყველაფერი მტკივა, შიგნიდანაც და გარედანაც. სხეული მეწვის, გული მეშლება და მასთან ერთად ოცნებებიც ნელ-ნელა, ერთმანეთის მიყოლებით ქრებიან და უკუნეთ სიბნელეში უკიდეგანოდ იფანტებიან.
-მეგი...
გავიგონე ნიკას ვედრების ტონი, როგორ იმეორებდა ჩემს სახელს და უეცრად მივხვდი თუ ეს შეგრძნებაც კი როგორ მომენატრებიდა. ჩემი სმენა ხომ ამ ბგერებს შეჩვეული იყო.
და მერე თითქოს სხვა ადამიანი გავხდი. ასე უბრალოდ და გაუაზრებლად. მე ვეღარასდროს, ვეღარასდროს ვიქნებოდი ისევ ის მეგი, რომელსაც ნიკა იცნობდა. თითქოს მასზე მეტად მე

საკუთარ თავზე ვბრაზდებოდი, რადგან იმაში დავაჯერე რაც რეალურად არ არსებობდა. სამყარო გამოვიგონე, რომელშიც გამოგონილმა წარსულმა ჭრილობები რეალურ აწმყოში დამიტოვა. თითქოს გამოვიღვიძე... გამოვიღვიძე ჩემივე ილუზიებისაგან და იმ მომენტში აზრი აღარაფერს ჰქონდა, აღარც საუბარი მსურდა ვინმესთან. სწორედ ახლა გავიგე, როგორ ეცემიან ადამიანები. გავიაზრე რომ ყველა ჩემი შთაგონება აბსურდი იყო. მე შევიცვალე. ასე წამიერად. თითქოს გავქრი. ყველა ის სიტყვები, რომლებსაც მეუბნებოდნენ ჩემამდე არ აღწევდა, ჰაერშივე იბუნდებოდა და უკვალოდ ქრებოდა. ცხოვრებაში პირველად შევიცანი ის განცდა, რომელიც აქამდე მეგონა რომ არ არსებობდა და მიკვირდა, თუ რატომ ჩადიოდნენ ამას ადამიანები. მ ი ტ ო ვ ე ბ ა ! მე თითქოს ნიკა კი არა, მთელი სამყარო მივატოვე, პირველ რიგში ჩემი თავი მივატოვე, მე უარი ვთქვი.
თბილისში ჩასულმა რომ გამოვიღვიძე, მეგონა უბრალოდ ყველაფერი ერთი დიდი კოშმარი იყო. ან იქნებ ნიკას გაცნობის დღიდან გახდა ყველაფერი კოშმარი... ამ ადამიანმა ყველაფერი კარგი და ამავდროულად ცუდი განმაცდევინა. არც კი ვიცი მადლობა უნდა მომეხადა თუ უნდა განმეკიცხა. საათს რომ დავხედე შუადღს ორის ათ წუთს უჩვენებდა. ამ დრომდე არასდროს მძინებია, თვალებს არ დავუჯერე. დღე ძალიან გრუბი იყო. ლამფა ავანთე და წამოვჯექი. ცრემლები მოვიწმინდე და ისეთი შეგრძნება დამეუფლა რომ ჩემი ოთახის კარების ზღურბლზე გადაბიჯება სასტიკად მეკრძალებოდა. გამიკვირდა ამ დრომდე რატომ არ გამაღვიძეს, თუმცა ამაზე მნიშვნელოვანი კითხვა ახლა ჩემს ქვეცნობიერში მაწანწალა ძაღლივით დაეხეტებოდა:
"ახლა როგორ ვიცხოვრო?"
ეს კითხვა გულს შუაზე მიპობდა.
რაღაც ზღვარი არსებობს თურმე. მისი გადაკვეთის შემდეგ კი ისეთი ვეღარასდროს იქნები, როგორიც ადრე. ჩემი თავის დაკარგვა უფრო მიმძიმდა თუ მისი? და საერთოდ როგორ გავმკლავებოდი ამ ყველაფერს?
თავს ძალა დავატანე და შხაპის მისაღებად აბაზანაში გავედი. გრილი წყლის შხეფების ქვეშ თითქოს ყველა მოგონება ერთმანეთის მიყოლებით გამიცოცხლდა.
"-ვინ გაწყენინა ასე ძალიან?" - ჩვენი პირველი დიალოგი ნინის წვეულებიდან. მაშინ ნიკა ზუსტად ისე გამოიყურებოდა როგორც ახლა ჩემი ანარეკლი სააბაზანოს სარკიდან. თითქოს ის რომ ყველაფერი ნაგვისკენ მიექანებოდა, ან უკვე ნაგავში იყო შუბლზე ეწერა.
და გამახსენდა ის წამი როცა პირველად გავიაზრე რომ მას სიკვდილი სურდა: "თავს იკლავს, ნამდვილად სიკვდილი უნდა..."
გამახსენდა ის საბედისწერო ღამე, ნიკას დასისხლიანებული ხელები, გატაცებული მანქანა და სერგი... გამახსენდა პირველად ჩემი თანდასწრებით როდის იტირა ნიკამ და როგორ მარიდებდა თვალებს მაშინ. გამახსენდა პირველი მიტოვება წვიმაში, როცა ყველაფერმა აზრი პირველად დაკარგა! ასეა, ყველა იმედგაცრუებაზე იკარგება აზრი! აზრი ყველაფრის, ცხოვრების, ბრძოლის, ადგომის, სუნთქვისაც კი და მერე უეცრად, როდესაც ყველაზე ნაკლებად ელი რომ შენს მისნეულებულ არსებობას რამე გამოაცოცხლებს და შენს ცხოვრებაში რამე შეიცვლება, ზუსტად მაგ დროს მოექანება არსაიდან. მოექანება და ისე აგაფორიაქებს, ყველა გულისტკენა და ყველა გაცრუებული იმედი წამში გავიწყდება. იმედი ისევ გეძლევა და შენც ამბობ, "არაუშავს, ამაზე მეტად მაინც აღარ მეტკინება..." და აი სწორედ აქ უშვებ შეცდომას. შენ ისევ რისკავ, მერე ისევ და ასე უთვალავჯერ. ამას დასამარებელი იმედების დაუსამარებელ გზას ვემახი. გზას რომლის ყველა ბოლოც საბოლოოდ ერთმანეთთან ერთდება, რადგან წინ წასასვლელად გამბედაობა არ გყოფნის! გზა, რომელზეც ერთხელ თუ გაუაზრებლად მოექციე ახლა რა მონდომებითაც აღარ უნდა

ეცადო, იქიდან ვეღარ გადმოუხვევ და შენც ისევ და ისევ დაუსრულებელ წრეზე გიწევს სიარული. მაგრამ მთელი ამ ყველაფრის ირონია იცი რა არის? თითქოს მოგწონს კიდეც როგორ იტანჯები, როგორც გეკვრება სუნთქვა და შენც ამიტომ უშებ ფილტვებში მომწამვლელ კვამლს! რა არის ეს? რეალურად, როცა ამბობ, ამაზე მეტად ვეღარ მეტკინებაო, იცი რომ პირველ რიგში საკუთარ თავს ატყუებ, თორემ სხვას ეგ ტყუილი სულ ფეხებზე ჰკიდია! მერე ჩვენც ვდგებით და იმას რომ სულელები ვიყავით სხვას ვაბრალებთ და სხვის დანაშაულს ვაწერთ. ვიძახით, - თავისი ბრალი იყო რომ ნდობისთვის საბაბები მომცაო, და არა იმას, - ჩემი ბრალია რომ ვენდეო! ესეც შენი აღიარება! აქედან კიდევ ერთხელ დასკვნა იმისა რომ ყველაფერი აფსურდია და ალბათ ის ვარსკვლავებით გადაჭედილი ღამე სახურავზე, ვანილის ნაყინის ტკბილი გემო და პირველი საოცნებო კოცნაც ტყუილი წვიმის წვეთების ფონზე, სწორედ ამ წვიმასავით ტყუილი იყო.
"ახლა როგორ ვიცხოვრო?"

პირსახოცს ვიხვევ და ისევ ჩემი ოთახისაკენ მივემართები, რომ ახალი აზრი ადგილზე მბოჭავს და სუნთქვასაც მავიწყებს. თითქოს ახლაღა ვხვდები, ახლაღა ვიაზრებ რომ:

ნიკა მაინც მოკვდება !!!

ნიკა

ნიკა

ისევ იქ დავბრუნდი, საიდანაც დავიწყე. სამსახური მივატოვე, დედაჩემი იქ დავტოვე სადაც იყო, კატოსთან კონტაქტი გავწყვიტე და ბოლო სიტყვები რაც მას ვუთხარი იყო "ყველაფერი ამაოა".
ყველაფერი ამაოა... მართლაც ამაოა? ამხელა გზა ტყუილად გამოვიარეთ? აქამდე ტყუილად მოვედით? ამ კითხვებზე პასუხების მოძებნას არც კი ვცდილობდი, უბრალოდ განვაგრძობდი დავალებების შესრულებას, დიახ ასე უბრალოდ. არ ვფიქრობდი შედეგზე, უფროსწორად აღარც მადარდებდა. უცნაური იქნება რომ ვთქვა მეცინებოდა, - მეთქი? ხო, მე მეცინებოდა როცა ვიხსენებდი თავს რამდენი რამ გადამხდა, იმისთვის რომ უაზრო წრე შემომერტყა სრულიად არაფრისთვის და ბოლო გადადგმულ ნაბიჯს ისევ პირველთან მივეყვანე. ამაზრზენია... ბოლო რამოდენიმე კვირის განმავლობაში ტატოსა და ლიკასგან შემოსული ზარები არ წყდებოდა. თავს თითქოსდა დამნაშავედ ვგრძნობდი ამ ბავშვების წინაშე და იმის გამო რომ მათ ტყუილი იმედები ჩავუსახე, მაგრამ მერე გადამიარა. როგორ იძახიან? ხელი ჩავიქნიე... დავნებდი. არ მინდოდა იმის გახსენება თუ გამარჯვების წყურვილი ერთ დროს ჩემში რაოდენ იყო გაბატონებული და რა ძალიან ვიყავი დარწმუნებული ჩემს თავში რომ ამ დაუსრულებელ ომში მე გავიმარჯვებდი. როგორც ჩანს ამბიციებს მხოლოდ იმედგაცრუებამდე მივყავართ და ისიც მითია რომ რწმენა ცამდე აგაფრენს და დაბლა აღარასოდეს დაგცემს, რადგან მე მთელი ჩემი საწყალი არსებობით ვგრძნობდი დაცემას. არა, უფრო "ჩაცემას" დავარქმევდი. თითქოს მიზანდასახულობის საოცნებო მწვერვალიდან, რომელიც ღრუბლებს სწვდებოდა და იმათზე მაღალიც კი იყო, ასე სრულიად შემთხვევით ჩამოვვარდი და არა მხოლოდ დავეცი ძირს, არამედ ნიადაგიც კი გავხეთქე და ახლა უსასრულო ვაკუუმში და სიბნელეში არც კი ვცდილობ გზის გაკვლევას, გამოძრომასა და გადარჩენას, რადგან აზრი ნიადაგამდე აღწევასაც კი აღარ აქვს, არა თუ მწვერვალების დაპყრობას...
როცა კატომ ჩემი უეცარი უკან დახევა და გაჩერება ვერ აიტანა ადგა და სახლში მესტუმრა. მე კიდევ ვეჩხუბე, როგორ გაბედე და გარეთ ფეხი როგორ გამოდგი მეთქი.
-ეე გმირკაცავ, აბა რა გეგონა. შენ თუ გკიდია, მე კიდე სულ მკიდია!
მომიგო ბრაზით და თავის ახალი ფერის თმას წვალება დაუწყო. ნაწყენი კი იყო, მაგრამ თან მაინც უნდოდა ცვლილება შემემჩნია და კომპლიმენტი მეთქვა. ტიპიური კატო - სასაცილო იყო, მაგრამ მიუხედავად იმისა რომ მთელი ძალით ვცადე, ღიმილითაც ვერ გავუღიმე. სახე უფრო მეტად დაემანჭა. თვალი ავარიდე, უაზროდ ჩემი ოთახის ფანჯარას მივაშტერდი. ნეტავ რატომ, ნეტავ რატომ...
-მართლა ნიკა? ასე უბრალოდ დანებდები? მართლა იქიდან გააგრძელებ საიდანაც დაიწყე?
-ალბათ.
ძალიან ჩუმად ვუპასუხე და სიგარეტი მივაწოდე, ახლა უკვე ჩემი ნებით, რადგან როგორც სჩვეოდა ხელიდან არ გამოუტაცია, მე კიდევ თითქოს გული დამწყდაო. მაგრამ რატომ? რა აზრი ჰქონდა რამდენად ვეცდებოდი რომ ყველაფერი ძველებურად ყოფილიყო, ხომ მაინც აღარ იქნებოდა არა? ვეღარ იქნებოდა... ამისდა მიუხედავად სანამ ღერს მოვუკიდებდი ცოტახანი ხელში გავიჩერე. არაფერი მომხდარა. კატო ისევ თავისი დამანჭული სახით იჯდა და გაბუსხული შემომჩერებოდა.
-არ მოწევ? - ისევ ვკითხე.
-მე მოგკლავ! - ჩაისისინა და კოლოფიდან ახალი ღერი ამოაძვრინა.
-ეგრე თუ გააგრძელებ ნაოჭები გაგიჩდება, - ვუთხარი და ვეცადე ირონიულად გამომსვლოდა. ნუ, ხომ ვეცადე მაინც... ტუჩის ცალი კუთხე მთელი ძალით ზემოთ იმ იმედით ავზიდე რომ სახე მასაც მოულბებოდა, მაინც არ გატყდა.

-მომიყევი! - გამოსცრა კბილებში. ვერ მივხვდი რაზე მკითხა. სულ ასე აკეთებდა, ან მე ვიყავი ზედმეტად სულელი. გავშტერდი, ამჯერად ჩემს შავად გადაღებილ კედელზე გამიშეშდა თვალი. უცებ საშინელი წვა ვიგრძენი ხელზე და ძალაუნებურად წამომეყვირა. ფერფლმა კანში შეაღწია და იქაურობას ცეცხლი წაუკიდა. კატო წამოხტა, ღერი გამომტაცა, ჩააქრო და ჩემს ხელს უაზროდ სულის შებერვა დაუწყო.

-ვაიმე, გტკივა? ძალიან გეწვის?

-არაფერია, კატო... - სიტყვის დამთავრება არ დამაცადა, სამზარეულოში ჩავარდა და ცოტახანში ყინულები ამომირბენინა. აი ახლა მართლა გულწრფელად გამეღიმა.

-მართლა არაფერია. და შენ რაზე მეკითხებოდი?

-ოხ... ბათუმის ამბებზე ნიკა.

თითქოს მეხი ჩამოვარდა, დენმა დამარტყა, ან კიდევ, არ ვიცი... ყველაფერი ერთად. გონებაში პალატის საწოლი და მასზე ქალღმერთივით მისვენებული წითური ანგელოზი წარმომიდგა. ყელზე ხელი ვიტაცე, მერე სავარძლიდან ავდექი, კუთხეში გადავინაცვლე და ფეხები მოვკეცე თითქოს იმაზე ფიქრის დასაწყებად თუ მისთვის რა მეპასუხა, უფროსწორად მოყოლა საიდან დამეწყო. კატო ჩემს ყველა თვალის დახამხამებას, ოდნავ შერხევასაც და ამოსუნთქვასაც ყურადღებით აკვირდებოდა. რამდენჯერმე ჩავახველე, ღრმად ამოვისუნთქე და ხმის ამოღება დავაპირე, მაგრამ მერე თაზოს გაფითრებული სახე გამახსენდა, იმ დღეს ჩემი სახლის კიბეებთან რომ ატუზულიყო და თავისი შემოქმედის ფერადი საღებავებით დალაქულ შარვალს მიმარიაჟებდა. მხატვარი ყოფილა თურმე! ოხ ეგ...

-ეგ ნაბიჭვარი! - ერთი მაგარი მუშტი ვუთავაზე კედელს. ხელი ისევ დაწითლებული მქონდა და ისედაც უსიამოვნოდ მეწვოდა, მაგრამ ყურადღებას არ ვაქცევდი.

-ვინ? - იმ სავარძლისკენ გადაინაცვლა კატომ, სადაც ცოტა ხნის წინ მე ვიჯექი.

-კატო იცი რა მოხდა? ზუსტად მაშინ, როდესაც ყველაფერი... ყველაფერი ჩვენი წყეული გეგმის მიხედვით მიდიოდა და სამი ბავშვი გადმოვიბირე კიდეც...

-რრაოო, რა ქენი?! - თვალები დაჭყიტა, ისტერიულად ჩაიცინა, თითქოს გაუხარდა კიდეც მაგრამ იმ მომენტში სათანადოდ ვერ გამოხატა, თან სიტუაციასაც არ მოუხდა. ჯერ გიჟივით წამოხტა, მერე თავი მოთოკა და ისევ მოკალათდა სავარძელზე, - და ამდენი ხანი დუმდი? გიჟი ხარ? რატომ არ აკეთებ მერე არაფერს? ან მე რატომ არ მითხარი?!

-ხო, ვაპირებდი შენს გახარებას, მაგრამ ახლა აზრი აღარ აქვს.

-ახლა მინდა რომ ეგ შენი მეგი დავიჭირო და შუაზე გავგლიჯო!

-და რა შუაშია ჩემი... რა შუაშია ახლა მეგი?

-ჰაჰ, ეგრეც ვიცოდი! - ხელები ერთმანეთს შემოჰკრა და ისევ მკვლელის სახე მიიღო. ისევ ვერ მივხვდი რას გულისხმობდა, - არა რა, ვიცოდი მეთქი, გოგოების ინტუიცია სხვანაირია! მაგიტომ ჩაიქნიე ხელი არა? დაშორდი?

ახლა გასაგებია. მაინც საიდან ხვდებოდა ასე უთქმელად ყველაფერს?

-უფრო სწორი იქნება თუ ვიტყოდი, რომ ის დამშორდა.

-და შენც ხელი ჩაიქნიე!

-მეგის ჩემი არ სჯერა, კატო!

-და მერე შენც რას აკეთებ რომ დაეჯეროს იდიოტო?

-შუაზე რომ გავსკდე, მაინც არ მაპატიებს იმას რომ ამდენი ხანი ვატყუებდი. შენ მას არ იცნობ... ის... ის, მოკლედ, რაღა მნიშვნელობა აქვს.

-ახლა ერთს მაგრა გაგილაწუნებ და მერე მიხვდები რა მნიშვნელობაც აქვს!

რა ჭირდა ამ გოგოს? უბრალოდ აფერისტობდა თუ მართლა ასე ძალიან სწყინდა ჩვენი დაშორების ამბავი? მაგრამ მაშინ მის სახლში... მოკლედ, ველარაფერი გავიგე.

-გეფიცები ყველაფერი ერთმანეთს აეწყო რა, გეფიცები - მივუგე გამწარებულმა, - არადა სუ პირველად დალაპარაკება სერგის ორმოცზე ვცადე. არც მაშინ გამოვიდა და არც მერე. სულ რაღაცას იმიზეზებდა, ლაპარაკი არ უნდოდა, ეძინებოდა, არ ეცალა, ჯანდაბა, მერე... მე შემეშინდა. შემეშინდა, გაიგე? მე რა ვიცოდი? თავიდან ის მუქარები უბრალოდ სულელური ფსიქოლოგიური მანიპულირებები მეგონა და მეტი არაფერი.
-აი მე გეუბნებოდი, შენ კიდე არ დამიჯერე!
-ერთი დღის გაცნობილი უცნობი შემლილი გოგოსთვის დამეჯერებინა, რომელსაც ტაბლეტების დალევა და სამუდამოდ ძილი უნდოდა? - მივახალე გაცხარებულმა, ისე რომ არც დავფიქრებულვარ. წამში სახე შეეცვალა და თვალებში წყენა ჩაუდგა. სანამ გავიაზრებდი რა სისულელე წამოვროშე, ის ჩუმად იყო, მერე ძლივს გადაყლაპა მოზრდილი ნერწყვი და ტირილ-მოახლოვებული ხმით წაიკნავლა:
-ესეიგი ახლა ასეა არა?
-კატოზ არა, არ მინდოდა, მე... ხომ იცი რომ იდიოტი ვარ? აი ზუსტად ისეთი როგორიც მაშინ, თავიდან... მემეგონა რომ შევიცვალე, თურმე ტყუილად მგონებია, თურმე ადამიანები არ იცვლებიან! მაპატიე გთხოვ...
-ამ წესებს შენთვითონ აწესებ ნიკა და შეგახსენებ რომ თავიდან ეს შენც გინდოდა. შენ გინდოდა ჩემთან ერთად სიკვდილი, გინდოდა არა? არა???
-კი... მე მართლა მინდოდა...
-წადი, - მითხრა უცებ და თავი მაღლა ასწია, მოწოლილ ცრემლებს გამოღწევის გასაქანი არ მისცა. ძალიან მომინდა მისი ჩახუტება და თანაგრძნობა მაგრამ ადგილიდან ვერ დავიძარი. გაკვირვებულმა ავხედე.
-მასთან წადი და უთხარი, ყველაფერი უთხარი!
ჩემს გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა. იმ მომენტში კატო უზომოდ შემეცოდა. თითქოს ერთი პატარა მტკაველი მეკლდა საბოლოოდ განადგურებისთვის და ესეც მოხდა. ამდენად ლაჩარი ვიყავი? მაინც ვერ დადგებოდა ჩემგან ადამიანი? ღმერთო, მე ხომ ასე ძალიან ვცდილობდი? მე ხომ მინდოდა... არადა მართლა რამდენი რამ მქონდა მეგისთვის სათქმელი, მაგრამ ვიცოდი რომ არ მომისმენდა. ის ხომ მეგი იყო, ყველაზე სუფთა, ყველაზე უმწიკვლო... წყალივით. ყველაზე მეტად ტყუილს ვერ იტანდა, წარმოდგენა არ მქონდა ეს ამდენი რამე მისთვის როგორ, რანაირად უნდა ამეხსნა. ფეხზე წამოვდექი.
-საით? - მკითხა მან.
-ლუდს ხომ დალევ?
-ნიკა დროს წელავ.
-ვიცი, ახლავე მოვალ.
ორი ბოთლით ხელში ჩემს ოთახში დაბრუნებულმა დავინახე კატო ჩემს ტელეფონში როგორ იქექებოდა.
-რა ჯანდაბას აკეთებ მანდ?
უცებ შეხტა, წამით დაიბნა მაგრამ საბოლოოდ მაინც არ გატყდა. ის ძალიან უდრეკი იყო, მაგარი როგორც რკინა. თითქოს რაღაცით სერგის მაგონებდა. იქნებ სწორედ ამის გამო ვიპოვე მასში რაღაც ნაცნობი, რამაც უფლება მომცა ასე ძალიან დავყრდნობოდი და მივნდობოდი მას და ამას სწორედ ახლა მივხვდი?
-შენ სამი თქვი არა? - ისე მკითხა, თითქოს ჩემი კითხვა არც გაუგონია, - ლიკა, ტატო და მესამე?
-კატიუშ, არ გინდა რა, - ბოთლები იატაკზე დავდგი და დავაპირე ტელეფონი გამომერთმია.

-ნიკუშ, მოდი საქმეები გავინაწილოთ, აღარ გვინდა ბავშური გაბუტვები და გაჯიუტებები. ამათ მე მივხედავ, შენს დაწყებულს დავამთავრებ, შენ კიდე მეგის დაელაპარაკე, ყველაფერი აუხსენი, არაფერი გამოტოვო და თუ მართლაც ისეთია როგორსაც შენ ამბობ, მაშინ ის აუცილებლად გაგიგებს და მერე რამე იქნება, რა... ეგ კი არა, დედაშენთანაც ვართ მისასვლელები, შენ ხომ უნდა გელაპარაკა, ის მაინც გაგვეგო საიდან იცნობს იმ სატანას.
-ვერ მოვასწრებთ კატოოოო!
-რას ვერ მოვასწრებთ, კაი რააააა... საფინალო დღე როდისაა?
ამაზე არ მიფიქრია. საფინალო დღე! ისე ჟღერს თითქოს გვირაბის ბოლოს სადაცაა სინათლე უნდა გამოჩნდეს. ისე ჟღერს, როგორც განკითხვის დღე, მეორედ მოსვლა! ისე ჟღერს, თითქოს ან უნდა დავიხოცოთ, ან უნდა გადავრჩეთ. ნუთუ კატო მართალი იყო? ასე უცებ დავივიწყე ჩემს თავთან დადებული პირობა რომ, ამ ომში აუცილებლად მე გავიმარჯვებდი? უეცრად სრულიად მოულოდნელად ისევ ავივსე ამბიციებით, თითქოს შავ, ბნელ უჰაერო ნიადაგში ვიღაცამ მიწის გასათხრელად და ზევით ამოსასვლელად ნიჩაბი ჩამომაწოდა და ეს ვიღაც კატო იყო. დავფიქრდი და ისე ვუპასუხე:
-თუ კი კვირაში ერთხელ თითო დავალება მოდის... ხო უკვე ასეა, და თუ დღეს, დღეს რა რიცხვია?
-ორია, ორი სექტემბერი! - წამოიძახა გახარებულმა კატომ, რომელსაც თვალებში სინათლე ისევ ჩადგომოდა. მე გავაგრძელე.
-ხო, ორი სექტემბერი! ვინაიდან და რადგანაც სამი დავალება დაგვრჩა ბოლო რაუნდის დასახურად და მეცხრემდე მისასვლელად, გამოდის რომ დღე რომელზეც შენ საუბრობ ოცდასამი სექტემბერია!
ერთმანეთს გადავხედეთ.
-და შენ იძახი რომ ვერ მოვასწრებთ? ნიკა ისე ბოლო დავალება ნეტა რა იქნება...
-რასამბობ, რა უნდა იყოს გოგო.
-არა, ხო ვიცი, მარა...
-კაი არ გვინდა მაგაზე რა, უარესი მომდის.
-გ ე შ ი ნ ი ა - თითქმის ჩამიმარცვლა.
-რაღა დაგიმალო, ძალიან მეშინია.
-მეც, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს რომ ვნებდები. აი შენ კიდე, პატარა ბავშვივით ხარ, რომელსაც რამოდენიმე ნაბიჯის გადასადგმელად და წინ წასასვლელად ხელის ჩაჭიდება სჭირდება.
ისევ გამეღიმა.
-ან კიდევ შენ ხარ საფლავების მთხრელი, დაბადების დღეზე ოქროს ნიჩაბი უბდა გიყიდო.
-რა? - მკითხა გაკვირვებულმა. გამეცინა.
-არაფერი დაიკიდე.
-ხო, თუ მივაღწიეთ მაქამდე.
-სადამდე?
-ჩემს დაბადების დღემდე, - ეშმაკურად გადმომხედა და მანაც გაიცინა. ოხ კატო...
-ან მაგარი მსახიობი ხარ და ან კიდე საოცრება! - ვუთხარი, ლუდი მოვსვი და ფურცელზე ბავშვების ნომრების ამოწერას შევუდექი.
-ან კიდევ ორივე ერთად...
გაისმა ნაცნობი ირონიული ხმა...

***

კიდევ ერთი დღე უბრალოდ ფიქრში გავატარე. ჩემი და კატოს ბოლო საუბარმა ძალიან ბევრი რამ შეცვალა. საღამოს ამდენი უაზროდ ყოფნისგან და უსაშველო ფიქრისგან, გადაღლილმა და ძალიან მოწყენილმა ტელევიზორი ჩავრთე და არც კი ვიცი რატომ, როგორც წესი ამას არასდროს ვაკეთებდი. მერე სამზარეულოს გზას გავუყევი. ბოლო ხელფასით ცოტაოდენი პროდუქტი მქონდა ნაყიდი. აბა ამდენი სიცოცხლისთვის ბრძოლის მერე უბრალოდ შიმშილს რომ მოვეკალი ხომ სასაცილო იქნებოდა. მაცივარში კვერცხს მოვკარი თვალი. იმ თავიდან ამ თავამდე ვერ ვიტანდი, ლალისა და იმ საზიზღარ დროს მახსენებდა, "ცოდვის სუნი ასდის" - მეთქი რომ ვუთხარი და მართალიც ვიყავი. მერე ქვედა თაროზე პარკში გახვეული ქიშმიშის ფუნთუშა ვიპოვნე და ჩამეღიმა, თითქოს ახლა მართლაც და იმ დროში დავბრუნდი. მე ისევ ვაპირებდი ჭამას და ხელში ისევ ფუნთუშა შემრჩა. წყალი დავადგი და ფინჯანში პიტნის ფოთლები ჩავყარე. ნეტავ სასწაული მოხდებოდეს და მეგი ჩემთან თავისი ფეხითვე მოვიდოდეს, რა იქნებოდა...

-როგორც ვიცით, ერთ ერთი თვითმკვლელი თამაშის "ლურჯი ვეშაპის", მერე რომელმაც საუბედუროდ არაერთი მოზარდის სიცოცხლე იმსხვერპლა, გაჩნდა "მარიამ გეიმი", თამაში რომელიც ფსიქიკას არყევს და მოზარდს მაზოხისტური საქციელების ჩადენას აიძლებს...

ტელევიზორიდან გაისმა ხმა და ჩემდაუნებურად, კოვზი რომლითაც ჩაის ვურევდი ხელში გამიშეშდა, სმენა დავძაბე და ჭიქით ხელში ტელევიზორის ოთახამდე გამოვედი:

-საქართველოში იმ წუთიდანვე მივიღეთ ზომები, როდესაც ერთ-ერთი მშბელი ინტერნეტ-მედიის წყალობით ამის შესახებ გვაფრთხილებდა. როგორც ჩანს ჩვენი ქვეყანა ამ ყველაფრისდა მიუხედავად მწვანე ზონაში არც ახლა იმყოფება, რადგან რამოდენიმე საათის უკან ჩვენი არხის გვერძე მოვიდა ინფორმაცია ანონიმური "facebook account"-დან ახალი თვითმკვლელი თამაშის "ცხრიანის" შესახებ...

ცხრიანი? ეს რას ნიშნავს? ჩაის ფინჯანი ხელიდან გაუაზრებლად დამისხლტა და საშინელი მსხვრევის ხმა გაისმა. შევხტი, მაგრამ არ გავნძრეულვარ. ხმა კი განაგრძობდა:

-ადრესატი და სხვა პირადი ინფორმაციები ანონიმურია და როგორც ვივარაუდეთ ის ამჯერადაც ერთ-ერთი მორიგი შეშინებული მშობელია. გადამოწმების შედეგად, დადგინდა რომ ასეთი საიტი მართლაც არსებობს და ვრცლად http://www.killthehead9.com/ ჰქვია. არც ისე ბევრი ინფორმაციის შეკრების შედეგად დადგინდა რომ ის არ არის მსგავსი წინანდელი თამაშებისა და როგორც ჩანს სხვა ქვეყნებშიც არსებობს. მშობლებო გაფრთხილდით, დაიცავით თქვენი შვილები...

სხვა ვერაფერი მოვიფიქრე გარდა გუშინდელი კატოს სიტყვებისა

"ამ საქმეს მე მივხედავ"

კატო! ეს რა ჩაიდინე...

უფრო მეტად შეშინებული ვიყავი ვიდრე გაოგნებული, რადგან ახლა ამ ინფორმაციის გავრცელების გამო ეჭვს თითოეული მათგანი ჩემზე მიიტანდა. ამაზე რატომ ვერ იფიქრა? რატომ არ გამაგებინა თუ ამხელა რაღაცას აპირებდა? მაგრამ ერთი მხრივ, როგორც იქნა ეს მოხდა, მან ის შეძლო რაც ამდენ ხანს მე ვერ შევძელი. კატოს დატოვებული ახალი კარტით

სასწრაფოდ გადავრეკე მის ახალ ნომერზე და დავაპირე მეთქვა ეს როგორ გააკეთე მეთქი რომ თვითონვე "მახარა":
-ნიკაა, პირველ არხზე გადართე მალე!
-რა პირველ არხზე, ყველგან ეს ამბებია, ეს როგორ გამიკეთე კატო?
-რა? რას ამბობ?
-განა ეს შენ არ ქენი?
-დაუჯერებელია! მართლა გეგონა რომ ამ სიდებილეს ჩავიდენდი? და ვინც პირველი გაგახსენდა ეს მე ვიყავი? საერთოდაც მე შენ მეგონე!
-მართლა არ გიქნია?
-ნიკაააა, რას ამბობ? ყველაფერი კარგად მიდიოდა, დედას გეფიცები ბავშვებსაც კი შევხვდი გუშინვე, რა გამაჩერებდა...
-ხოდა ეგ რომ ვიცი მაგიტომ მეგონე...
-სანამ შენ რამეს გაიფიქრებ, მე უკვე ვიცი, ეგ რომ მექნა ყველა ხომ ეჭვს შენზე მიიტანდა, ზუსტად მაგიტომ მეგონა რომ შენ ჩაიდინე რომ მერე თვითონვე განგეცხადებინა ეს ახალი ამბავი და ასე გასუფთავებულიყავი.
-ვითომ თვითონ ქნა? - დავვეჭვდი უცებ და ფეხი დაქცეულ ჩაიში ჩავდგი. ჯანდაბა!
-ასეთი დებილია? - გაისმა ყურმილში კატოს განცვიფრებული ხმა.
-კატო, აბა დაფიქრდი, დაინახა რომ სექტა ეშლებოდა და რამე ხომ უნდა ექნა? ამით ახლა ის საბრალოები დააშინა, ეგ კიარა მეც შემეშინდა გოგო, მივლეწე აქაურობა.
-რას ამბობ, მოვიდე?
-ნუ ავარდები ხოლმე და მომისმინე! ახლა რა მოხდება?
-არვიცი, რა მოხდება?
-რა და ყველა იფიქრებს რომ ეჭვმიტანილი თვითონაა, რადგანაც სექტის დატოვება გადაწყვუტა, შეეშინდება და აღარ წავა!
-მართალია! მაგ *ირის ლოგიკასთან ახლოსაა...
-ვსო, გადაწყვეტილია, ხვალვე წავალ ლალისთან იქნებ დავტყუო რამე... არ ვიცი რა, შევიშლები მალე! ნახე ახლა რა ამბები ატყდეს!
-ჯერ მეგისთან მიდი.
-კარგი.
-კაი, გავთიშე ახლა მაშინ და შენ შეეცადე დაწყნარდე, ნერვიულობას რა აზრი აქვს? აბა მითხარი...
-კაი ხო...
-კაი...
-კატო!
-რაიყო?
-მადლობა.
-კარგი ხო, არ გვინდა ახლა ეს სენტიმენტები. ნუ იღიმი, წადი დაიძინე!

***

ვერაფრით ვისვენებდი საწოლში. იმ ყველაფრის მერე მადაც დამეკარგა და ვეღარც ჩაი დავლიე. ჩაიზე საერთოდ ვერ ვიფიქრებდი ახლა. მომდევნო დილის მოლოდინში შუაღამესაც გადასცდა. უაზროდ ვტრიალებდი საწოლში. მერე ისევ ავდექი და ახლა ოთახში დავიწყე აქეთ-იქით სიარული, შუქი ავანთე და კიბეებს ჩავუყევი. მუცელი მაწამებდა. პატარა პურის ნატეხს დავავლე ხელი, ისევ ოთახში ამოვედი და კუთხეში მივჯექი. ჭამა რომ დავიწყე ტელეფონზე შეტყობინება მომივიდა. საიტიდან იქნება მეთქი და არც დავხედე, ახლა მაგის თავი არ მქონდა. მაგრამ ესემესის ხმები რომ არ შეწყდა უცებ რაღაც არარსებული გავიფიქრე გულში. ეს მას სჩვეოდა. ესემესების სწრაფად წერა მას უყვარდა. ლუკმა ძლივს გადამივიდა ყელში. უნდა ავიღო ტელეფონი? ხელი საწოლისკენ წავიღე. არაა, რა სისულელეა, რა ის... მაგრამ იქნებ... იქნებ...
საბოლოოდ მაინც მივვარდი საწოლს და თვალებს არ დავუჯერე! მეგი მწერდა და ეგ კი არა შეხვედრასაც მთხოვდა ჩვენს ადგილას, თანაც ახლავე. აი ნამდვილი სასწაული! აღარც მახსოვდა ისევ ძველი კარტა როდის ჩავდე ტელეფონში და იქნებ გულმა მიგრძნო... შეყვარებული ადამიანების გულები ასეთ რამეებს ხშირად გრძნობენ. ზოგჯერ უსიამოვნო შეგრძნება სრულიად უმიზეზოდ, არსაიდან უჩნდებათ, როდესაც მათ მეორე ნახევრებს რაიმე უჭირთ. ამას გულების კავშირი ჰქვია, ნახევარი გულების უხილავი ძაფებით გადაბმა! ცხოვრება ხომ ძალიან გრძელი გზაა და არანაირი მნიშვნელობა არ აქვს ასი წელი იცოცხლებ თუ ათი... მთავარია როგორ იცხოვრებ! ამ გრძელ გზაზე კი მხოლოდ იმისთვის დავეხეტებით რომ ჩვენი ნაწილებად დამსხვრეული გულის მიმოფანტული გროვა მოვხვეტოთ და ხელახლა შეწებება ვცადოთ. რა სისულელეა, ეს რა მექანიზმია! რამდენჯერაც არ უნდა ეცადო გატეხილი ვაზის გამთლიანება, ის ხომ ისეთი ვეღარასოდეს იქნება, როგორიც თავდაპირველად იყო! სწორედ ამიტომ, გაუფრთხილდით ამ გულს, რადგან ის თავისით აღარასოდეს გამთელდება, რამდენიც არ უნდა ვიხეტიალოდ ამ გზაზე უმისამართოდ და თუ მაინც გამთელდა, მხოლოდ სხვის გულთან შეერთებით!
მეგისგან შეწყალებას საერთოდ არ ველოდი და თუ კი სამუდამოდ დამტოვებდა, თუ კი სიკვდილისთვის გამიმეტებდა, დაე მოვკვდებოდი, თუ მეცოდინებოდა რომ ის კარგადაა, ჩემი მეგი კარგადაა, ცოცხალია და უვნებელია, ისევ ახარებს ისეთი პატარა რაღაცეები, როგორიც გაწვიმებულზე მზის გამოსვლა, აღდგომის კვერცხის წითლად შეღებვა, ციცინათელების გამოჩენა სიბნელეში და წუთების წინ გამომცხვარი შოკოლადის კექსის სურნელია! ვინაიდან და რადგანაც, ყველაფერი ჩემი ბრალი იყო, ის ყველაფერი რაც ამ დღემდე, ამ მომენტამდე მოხდა მხოლოდ ჩემი ბრალი იყო. ნეტავ იმ ღამეს ჩემთვის სერგის, მარის და დანარჩენ კლასელებს რომ არ დაერეკათ და მერე ნინის წვეულებაზე ძალით რომ არ წავეთრიე, მეგის თუ შევხვდებოდი? ნეტავ რომ არა ეს მისი აკვიატებული, სულში მედგრად გართხმული ჩემი გადარჩენის სურვილი, შევუყვარებოდი თუ არა... თითქოს მისთვის ამოუხსნელი რებუსი ვიყავი, ის კი პატარა ვარდისფერ წინდებიანი გოგონა იყო, რომელიც რებუსების ამოხსნაზე გიჟდებოდა! ნეტავ თუ თვლის რომ ეს რებუსი ამოხსნა, ნეტავ საერთოდ თავს როგორ გრძნობს, რას ფიქრობს, რა სწყინს და რა უხარია?! ეს გაუთავებელი პასუხგაუცემელი კითხვები და კადრები წარსულიდან, მეგის დაბადების დღისა და ბათუმის საავადმყოფოს საუბრის (ჩვენი ბოლო საუბრის) შემდეგ თავს არაფრით მანებებდა. ნეტავ ოდესმე თუ შევძლებდი ამ კითხვებზე პასუხი მეპოვნა? ამ პასუხების ძიებაში ისევ და ისევ ახალი კითვები იბადებოდა და ასე დაუსრულებლად! ნოსტალგია? სინანული? მონატრება? არ ვიცი რა მჭირდა, ამჯერად ამ ყველაფრისთვის სახელი მოფიქრებული არ მქონდა, ხოდა რაც გინდათ ის დაარქვით... როგორც ჩანს გრძნობათა შეცნობის ცერემონია არა და არ სრულდებოდა. იქნებ ბოლო ამოსუნთქვამდე ასეა? და მაინც

რამდენნაირი გრძნობა თუ ემოცია არსებობს რომელიც ადამიანშია და რაოდენ გასაოცარია ეს ყველაფერი!

***

სახურავზე ასულს მეგი ძირს გაწოლილი დამხვდა. შეემჩნია ჩემი მოსვლა, თუმცა ცას თვალს არ სწყვეტდა. იქნებ არც უნდოდა რომ ჩემთვის კიდევ ერთხელ შემოეხედა. გული შემეკუმშა.
-როგორც ადრე, არა? - ხმა გამბზარვოდა. დაუფიქრებლად, ინსტიქტურად მივუახლოვდი და გვერდით მივუწექი. შემომხედა. წაიჩურჩულა:
-მაგრამ ზეცა ისეთი ლამაზი აღარ არის როგორც ადრე იყო, - ყელში ბურთი გამეჩხირა, - ჩვენ ვცდილობთ წარსული აღვადგინოთ, გაბზარულ ადგილებს ბინტები გადავაკრათ, ორად გაყოფილი ყინული შევაერთოთ და ამიტომ ვიმეორებთ იგივე საქციელებს, მივდივართ იგივე ადგილას, ვამბობთ იგივე სიტყვებს... მაგრამ როგორც არუნდა ვეცადოთ ნიკა, ჩვენი ეს საცოდავი მცდელობები ამაოა! როგორც ადრე, ისე ვეღარ იქნება! ისეთები ვეღარასდროს ვიქნებით, როგორიც მაშინ, ამ ყველაფრამდე ვიყავით...
ისევ ცას ახედა. მისი ხმა მელოდიასავით ჩამესმოდა, მაგრამ როგორც კი მიყუჩდა მივხვდი რომ ახლა იყო ის მომენტი, რომელიც ძალიან ადრე უნდა დამდგარიყო, მაგრამ არ დადგა, ვერ დადგა. ისევ დავიწყე ნერვიულობა. ეს მან შეამჩნია, თუმცა ხმა არ ამოუღია. დუმილით მეუბნებოდა რომ რაც არ უნდა ყოფილიყო, უნდა მეთქვა, უნდა მელაპარაკა, ადუღებული ვულკანივით ამომეფრქვია. ერთი დიდი მოზრდილი ნერწყვი გადავყლაპე და დანანებით ვკითხე:
-ასეთი მე გაგხადე, არა?
-ასეთი ცხოვრებამ გამხადა! - სწრაფადვე მიპასუხა.
მეგი... განა მე არ ვარ შენი ცხოვრება???
-არ მადანაშაულებ? - გულწრფელად გამიკვირდა.
-მე ჩემს თავს ვადანაშაულებ! - მომიგო მშვიდად.
რა თქმა უნდა! განა სხვას რას ველოდი?
-რატომ მეგი? რატომ?
-იმიტომ რომ ის დავიჯერე რაც არ არ სებობდა!
ორივეს ხმა მიწყდა, ისე მიწყდა თითქოს სამყაროს წამით სუნთქვა შეწყვიტა, დედამიწამ ტრიალი შეაჩერა, ქარებმა პირი იბრუნა და მთვარემ ბინდისფერი ფარდა ჩამოაფარა დედამიწას. ეს ღამე მართლაც ბინდისფერი იყო. ადრეული სექტემბრის, მაგრამ სხვანაირად ცივი, თეთრი და ნათელი მაგრამ გრუბი, ჩუმი, მაგრამ ყველაფრის მთქმელი. ამ სიჩუმეში მისმა თრთოლვამ ყურებში ელვასავით გააღწია და იქაურობა მთლიანად აამღვრია. და მე დავინახე ლოყაზე წყვილი ცრემლი როგორ ჩამოუგორდა. ავთრთოლდი, თითქოს სუნთქვა დამავიწყდა:
-მიყვარხარ! - ჩემი ჩურჩული ხელახლა ამოვარდნილ ცხელ სიოს შეერია და სადღაც ჰაერშივე გაიფანტა. წამოვაყენე და მისი სახე ხელებში მოვიქციე. ლამაზი იყო, არაამქვეყნიურად ლამაზი. ვერ ვპატიობდი ჩემს თავს იმას რომ ამ ცრემლების მიზეზი

ვიყავი. მისი თვალები უდავოდ შთამბეჭდავი და ამაღელვებელი იყო. ცრემლები ცერა თითებით მოვწმინდე. ცხელი იყო, ძალიან ცხელი. ცრემლის ნაკადი არ წყდებოდა. რომც დომებოდა მეგი ცუდს ვერ იფიქრებდა, ის სიკეთის ქურდი კი არა თავად სიკეთე იყო. პატარა ბავშური ჭკუით ამოუჩემებია, რომ თურმე არ მყვარებია და ახლა სწორედ ეს კლავდა. გული ჩამიკვდა რომ წარმოვიდგინე ახლა ამ სისულელის გამო როგორ იტანჯებოდა, როგორ წამობდა და როგორ სტკიოდა... თითქოს ჩემი ნათქვამი არც გაუგონია. ადამიანი ხომ საერთოდ ასეა, არა? რასაც თავის თავს დააჯერებს, მერე ყველაფერი სწორედ ისე ეჩვენება, როგორც მის წარმოდგენებში გადააწყო და დაახარისხა.
-მეგი, ყველაზე და ყველაფერზე მეტად მიყვარხარ! - უფრო ხმამაღლა თითქოს იმ იმედით გავუმეორე რომ ახლაღა შეძლებდა გაგონებას და მიპასუხებდა.
-მაგრამ, ეს ფაქტი იმას არ ცვლის რომ შენ მე მომატყუე ნიკა...
და ის მართალი იყო, ამით შედეგი არ შეცვლილა. მე ის მოვატყუე, თვეების მანძილზე ასე ურცხვად ვუყურებდი თვალებში, მის წმინდა, საოცრად ლამაზ, დიდ თაფლისფერ თვალებში და ვატყუებდი. არც კი ვიცი ამაზე უფრო მეტად თუ შემეძლებოდა საკუთარი თავის შეძულება ოდესმე.
-მეგ, სერგის ორმოცი გახსოვს?
-როგორ შეიძლება ეგ არ მახსოვდეს?
კითხვითვე მიპასუხა. სახეზე დაბნეულობა ეწერა. ვერ მიხვდა საუბარი საით მიმყავდა.
-მაშინ ფინჯანი ჩაი საუბრის სანაცვლოდ შემოგთავაზე... შენ გაიქეცი.
-საერთოდ, ვერც იმას ვიჯერებდი რომ ნამდვილი იყავი...
-მეორედ საუბარი შენს სახლში ვცადე, ნინის გაფრენის წინა ღამეს, გახსოვს? -მახსივს...
-უფრო სწორად, უკვე მტკიცედ მქონდა გადაწყვეტილი. გახსოვს მერე რა მოხდა?
-მე გითხარი რომ სერიოზული საუბრები არ მსურდა...
-მართალია! მოკლედ, არ ვიცი შემთხვევით თუ გამიზნულად, მაგრამ ეს საუბარი არასდროს შედგა, ახლა კი როცა მართლა მოვიდა ამისი დრო, შენ ეს გინდა, ნამდვილად გინდა არა?
-ასე რომ არ ყოფილიყო არც აქ დაგიბარებდი.
-არც კი ვიცი რა ვთქვა. მაშინ ვჩუმდებით, როცა ყველაზე მეტი გვაქვს სათქმელი. ასე რატომაა?
-მოდი მაშინ ასე გკითხავ, რას მეტყოდი მაშინ ორმოცზე, ჩაიზე რომ დავრჩენილიყავი?
-ჰმ... მაშინ? მაშინ ჯერ ყველაფერი ასე სერიოზულად არ იყო. მაშინ მე უბრალოდ აღმოვაჩინე რომ კარგი საქმეების კეთებაც შემეძლო და ეს ცუდებს აშკარად სჯობდა. ბავშვმაც კი იცის რომ ჭიანი მარწყვი გამთელებულზე უარესია, მე კიდევ ეს გვიან გავიგე... ამის გააზრებისას გადავწყვიტე რომ თამაში მიმეტოვებინა და მინდოდა ეს შენთვის მეთქვა, მხოლოდ ეს იყო. მე შენ არასდროს მომიტყუებიხარ, გარდა იმ დღისა, როცა გითხარი რომ არ მჭირდებოდი, როცა გითხარი რომ მეზიზღებოდი! მაშინაც მხოლოდ იმიტომ ვიცრუე, რომ შენ დამეცავი, რადგანაც შენ თავიდანვე თავად სინათლე იყავი ჩემთვის! შენ ის შეძელი რაც სხვამ ვერავინ შეძლო. შენ მე შემცვალე, სიცოცხლე შემაყვარე, უფალი შემაცანი, სასწაულები მაწამებინე...
წყნარად მისმენდა. სიბრაზის კვალი აღარ დარჩენოდა, მეც თითქოს ნელ-ნელა გულზე მომეშვა და მოყოლას თამამად განვაგრძობდი. მნიშვნელობა უკვე აღარ ჰქონდა შედეგი როგორი იქნებოდა.
-არა, მე კი არ შეგცვალე, შენი თავის სრულყოფილი ვერსია გაგხადე. გაცნობის წამიდანვე დავინახე რაღაც შენში, რაღაც ხელჩასაჭიდი. შენ ცუდი არასდროს ყოფილხარ, - ჭრილობაზე მალამოსავით მომხვდა მისი სიტყვები, მაგრამ ჯერ ამბის ნახევარიც კი არ იცოდა.

-გინდა რომ მოყოლა განვაგრძო?
-მე გისმენ, - მოიკალათა, მე ისევ ღრმად ჩავისუნთქე და განვაგრძე:
-თუ გახსოვს ცამეტნი ვიყავით...
-სექტაში?
-ჰო. ხოდა, ერთ-ერთი გოგონა, კატო... გოგონა რომელიც, ამ ყველაფერმა ისე შეიყოლია რომ საბოლოოდ ფსიქიატრიულში მოხვდა, თუმცა საბედნიეროდ თუ დაუბედუროდ მხოლოდ დროებით. ჩვენ ვმეგობრობდით, - გამახსენდა კატოს სიტყვები არაფერი დაიტოვო გულში სათქმელი, ყველაფერი უთხარიო. მეგის ვეღარაფერს დავუმალავდი, - უფროსწორად ის შეყვარებულს მეძახდა, თუმცა რეალურ ცხოვრებაში ერთმანეთი ნანახი არ გვყავდა. რამდენჯერმე რათქმაუნდა შევთავაზე შეხვედრა, არ ვაპირებ შენს მოტყუებას, მაგრამ ის არ დამთანხმდა. ზუსტად მანქანის გატაცების დღეს გავიცანი შემთხვევით.
-ჩემი გაცნობიდან მეორე დღეს, - დააზუსტა, - იმ დღეს როცა კიდევ ერთხელ გამაცურე, გამასულელე და სანამ შხაპს ვიღებდი, კამერასთან და მანქანასთან ერთად სადღაც ჯოჯოხეთში გაშპი! და სადამდე მიგიყვანა ამ საქციელმა? მე ესეც გაპატიე... ეგ კი არა ჩემს თავსაც ვადანაშაულებდი!
-ვიცი, - სხვა ვერაფრის თქმა მოვახერხე, ეს ტკბილ-მწარე საუბარი ცუდი და კარგი გადაწყვეტყვეტილების ერთდროულად მიღებას ემგვანებოდა. არ ვიცი სხვანაირად როგორ ავხსნა...
-მაინც ვერაფერს ვხვდები...
-უბრალოდ მომისმინე! მოკლედ, კატოს ვურეკავდი ხოლმე, ხოდა ერთ დღესაც როცა დავრეკე დედამისმა მიპასუხა. რა თქმა უნდა პირველი ცუდი რამ გავიფიქრე, თუმცა არც საგიჟეთში მოხვედრაა უკეთესი ვარიანტი! იმ წამს თავი პირველად წარმოვიდგინე შენს ადგილას, ვაღიარებ ეს მართლაც საშინელება იყო და იმ დღიდან მე დავიწყე შენი დაფასება. ჩემს თავში იმ კარგი მხარეების დანახვაც დავიწყე, რასაც აქამდე მარტო შენ ხედავდი. ამიტომ, კატოს დედა გავაფრთხილე რომ კატო ინტერნეტამდე არ მიეშვა და ეს რომ ვქენი ჩემი თავის გადარჩენის ამბიციებიც გამიჩნდა. ვთქვი: "რატომ არა?" მე ორი ადამიანის გადარჩენა ერთდროულად განვიზრახე და თავი გმირი მეგონა... როცა კატოს ბოლოჯერ ველაპარაკე, სანამ კლინიკაში დააწვენდნენ, მაშინ მან თავისი საოცრად გრძელი თმა ძირამდე გადაიჭრა დიდი მაკრატლით. ვერ აგიღწერ ეს რა იყო, რობოტივით მოძრაობდა, თითქოს ჩემს გაფრთხილებასაც კი ცდილობდაო, მინიშნებებით მესაუბრებოდა. მაშინ ვერაფერს ვიგებდი. იცი რა მითხრა? "თამაშმა ის უნდა წაგართვას, რაც შენთვის ყველაზე ძვირფასიაო" ვერ ვხვდებოდი რა იყო ჩემთვის ყველაზე ძვირფასი სანამ არ მომივიდა ეს...
პირველი მოსული შეტყობინება გავხსენი და ვანახე. თვალები გაუფართოვდა, ცრემლი ლოყებზე შეშრობოდა, ხმის ამოღების უნარი მთლიანად წართმეოდა.
-მერე მივხვდი რომ თავიდან ბოლომდე მსწავლობდნენ, ჩვენ ყველას გვსწავლობდნენ და ჩემი ტელეფონიც ისმინებოდა. ზუსტად ასე იყო, სანამ მე გავიაზრებდი რომ მიყვარდი თამაშმა გაიაზრა. ბევრჯელ, ძალიან ბევრჯელ დამისვამს ჩემი თავისთვის კითხვა; ნეტავ თამაში რომ არა ოდესმე ამას ვაღიარებდი? მივხვდებოდი რომ მეგი ყველაზე და ყველაფერზე მეტად მიყვარს, - მეთქი? და პასუხი არ მქონდა...
-ღმერთო ჩემო! მაგიტომ, მაგიტომ იქცეოდი ასე? რას აღარ ვიფიქრებდი და ვფიქრობდი კიდეც, რას აღარ, მაგრამ ამას ნამდვილად ვერა! მაინც რა სულელი ვიყავი! ღმერთო... შენ არ გინდოდა ტელეფონით მეთქვა რომ ბათუმში მივდიოდი... მოიცა, მოიცა! და თუ მე არ მითქვამს, არც მომიწერია, აბა საიდან გაიგეს ეს?

მეგის კითხვა სრულიად ლოგიკური იყო. მაინც რამდენი დეტალიღა გამომრჩებოდა მხედველობიდან, რასაც ჩვენი გადარჩენის ძალა გააჩნდა? მეგის ხომ ტელეფონით ბათუმის შესახებ არ ვათქმევინე... ნუთუ თაზოს დავალება მისი თვალთვალი იყო? იქნებ სწორედ მაგიტომ მოვიდა მაშინ ჩემს სახლში? ეს ნაბიჭვარი მსახიობები! თავიდან ეჭვი მაგ ტიპზეც კი მქონდა, მაგრამ როცა ის არაკაცი დავინახე ზუსტად ჩემს წინ და დავინახე ცეცხლის ალზე ნაცნობი, საზიზღარი ოქროს კბილები როგორ უელავდა, იმ წუთიდანვე ნათელი გახდა ყველაფერი. თითქოს თეატრის სცენას ფარდა თავისი ნებითვე ახადა! და მაინც ვერაფრით ვხსნიდი ბოლომდე ამ კაცის მოულოდნელ და არაადეკვატურ საქციელებს, ან კიდევ მასეთ გავლენიან მაფიოზსა და ჰაკერს დედაჩემთან რა ესქმებოდა? საიდან? როგორ? რანაირად? მართლა ვინ იცის რამდენი მოზარდის ცხოვრება იყო მის კისერზე, მის ბინძურ კისერზე! უნებურად გამახსენდა კატოს მეგობარი თამთა, "ჩემი საუკეთესო მეგობარიც თამაშის გამო მოკვდა, ისიც შენსავით ლიდერი იყოვო..." "მოკვდა"..."შენსავით" და სერგიც... მისი სიკვდილიც ხომ ამ ყველაფერთან იყი დაკავშირებული. მახსოვს დავალება რომ გვქონდა რაიმე უკანონო ჩაგვედინა, ისიც გამახსენდა მეგის მამის მანქანის მოპარვით მაშინ როგორ ვიამაყე. ეს ამდენი დანაშაულის შეგრძნება კი ერთიანად მიღებდა ბოლოს, ისედაც უკვე ყველაფრისაგან გათანგულს. მაგრამ ახლა აღარც წუწუნსა და აღარც სუნანულს აღარაირი აზრი აღარ ჰქონდა…

მეგი

და იყო უფერული დღეები, იყო თეთრი დღე (მამას ქორწილი) და შემდეგ ისევ უფერული დღეები…

***

-მეგ, უნდა გეთქვა და გაგიგებდი, - მომიგო ლადომ როცა მამა-შვილი სახლში ისევ მარტო დავრჩით. როგორც ჩანს ამ საუბრისთვის მომენტს ეძებდა, რადგან მანამდე სიტყვა არ დასცდენია ჩემსავით. მე უბრალოდ ამ საუბარს თავს ვარიდებდი და ვიმედოვნებდი რომ არც არასდროს დადგებოდა.
-მა, არ გინდა მაღაზიაში ჩახვიდე და შოკოლადი მიყიდო? თან ცოტას გაისეირნებ.
-მეგი თემას ნუ ცვლი!
-რას ამბობ? -თავი "გავისულელე"
-იმას რომ ჩემთვის თავის დროზე უნდა გეთქვა, მეთქი.
-და რა მეთქვა მამა? რომ შენი მანქანის ქურდს ვხვდებოდი? - მივახალე და სავარძელში გაბრაზებული ჩავენარცხე. ნეტა ვიცოდე ვის ვუბრაზდებოდი... არ მინდოდა ეს საუბარი, საერთოდ არაფერი მინდოდა! ჩემი კალენდარი თითქოს უკვე დღეებსაც კი უკუღმა ითვლიდა. დროში ჩაკარგული ვიყავი და მეც არ ვიცოდი ვისთვის ან რა მიზნით. ათასში ერთს უმართლებს ისე, რომ მამის ქორწილი ნახოს. მე კი შევყურებდი თეთრ კაბიან, ანგელოზის სახიან მერიკოს და მხოლოდ იმაზე ვფიქრობდი თუ რამდენ ხანში მოეღებოდა ბოლო ამ უნიათო ცერემონიას. გული მიმძიმდებოდა, სინდისის ქენჯნა მღრღნიდა, რადგან ეს ჩემს თავს და ჩემს საქციელებს საერთოდ არ ჰგავდა და ვერც ის ფაქტი გამამართლებდა რომ ნიკასთან უკვე ერთი თვე არ მელაპარაკა და მეტიც. სტუდიაც კი მივატოვე, ავადმყოფობა მოვიმიზეზე და ჩავრჩი ჩემს ქერქში, ოთახში გამომწყვდეული. ვფიქრობდი და უკვე ის ვარდისფერი ტონებიც კი მაღიზიანებდა რაც ჩემს ოთახში ყოველ კუთხეში იგრძნობოდა. ფლამინგოს ჩარჩოიანი წარწერა ჩამოვხსენი, დიდ სკივრში შევინახე და წარწერა დავაკარი: "what the fuck ever happens, don't open, it's killing you". აი ასე, ყველაფერს მოვუღე ბოლო. ერთ დილას კი, როცა მამა ჩემს გასაღვიძებლად შემოვიდა და დამინახა ყველაფერს რაც კი ვარდისფერი მქონდა სანაგვე ყუთში როგორ ვყრიდი, ალბათ მას მერე იფიქრა რომ ეს საუბარი აღარ უნდა გაეჭიანურებინა და მომენტის არჩევა დაიწყო. ვინ იცის იქნებ ლიზა და მერიკო განზრახ გაუშვა მშობლების სახლში.
-შენ არ იძახდი, კარგი ბიჭიაო, ესეო ისეო, აღარ იზავს, არ უჩივლოვო, ცუდი მიზნები არ ჰქონიაო... დაგავიწყდა რა დღეში იყავი? მაგ ბიჭის გამო ცხოვრებაში პირველად დაგარტყი, გახსოვს როგორ ვიჩხუბეთ? გახსოვს რომ გამოლეული ფეხზეც ვეღარ იდექი და მაინც საკანს ებღაუჭებოდი გინდა თუ არა მარტო არ დავტოვებ არ წამოვალო?
-არაფერი დამვიწყებია! - ის საშინელი დრო გონებაში ამომიტივტივდა, როცა ლადო ტურნეში გაემგზავრა, მე კი მარტო უბედურად დარჩენილმა, უამრავი თეთრად გათენებული ღამის მერე გავიაზრე რომ ნიკა მიყვარდა. ღმერთო, ახლა რაღა ეშველებათ ამ მოგონებებს?
-გიყვარს? - მოულოდნელი იყო ლადოსგან ეს კითხვა. შევცბი თვითონ წყნარად მომჩერებოდა. ტყუილს რა აზრი ჰქონდა? უკვე ისედაც საკმარისზე მეტი ვიტყუე. ქვედა ტუჩი ამითრთოლდა, ცოტაც და ტირილს დავიწყებდი. ლადოს თვალი ავარიდე, გამორთულ ტელევიზორს უაზროდ მივაშტერდი და რამდენიმე წუთიანი დუმილის შემდეგ წავიჩურჩულე:

-მიყვარს...
-მაშინ რატომ არ უსმენ? - საერთოდ რაზე ლაპარაკობდა? ნუთუ მან რამე იცოდა?
-რას უნდა მოვუსმინო?
-სიმართლეს მეგი! მე არ ვიცი რა ხდება, მართლა არ ვიცი, მაგრამ ერთს გირჩევ როგორც მამა შვილს და მეგობარი მეგობარს, კარგი? შენით ნუ გამოიტან დასკვნებს შვილო. დედაშენიც ზუსტად ასეთი იყო, ზუსტად! ამოიჩემებდა ხოლმე ერთ რაღაცას და მერე სულ მაგას გაიძახოდა. ვსო, მაგის იქით გზა აღარ ჰქონდა. ძალიან ჯიუტი იყო მეგი... ასე როგორ გიმგვანა?
-ახლა დედაზე უნდა ვილაპარაკოთ მამა?
-არა მეგი, ახლა შენზე უნდა ვილაპარაკოთ. მიდი დაურეკე.
-ვის?
-მეგი! სთხოვე სიმართლე გითხრას და სანამ არ მოისმენ და ყველაფერს კარგად არ გადახარშავ, იქამდე არაფერი მოიმოქმედო. მე არ გეუბნები გინდა თუ არა კისერზე ჩამოეკიდე მეთქი, უბრალოდ ძალიან დიდი დაძაბულობა დავინახე საავადმყოფოში. საერთოდ იქ რომ დავინახე ჯერ მაგაზე გადავირიე, მაგრამ მერე სხვა კუთხით რომ შევხედე და გავიაზრე რომ მხოლოდ იმიტომ რომ გული წაგივიდა, ბიჭმა ამხელა გზა გამოიარა... რავიცი, ხომ ხვდები, მამა ვარ და რა თქმა უნდა შენზე ყოველთვის ვინერვიულებ, მაგრამ მასე ცივად რომ გამოისტუმრე იქიდან გული მეც კი დამწყდა... სულ შეიცვალე მეგი, მართლა არ მესმის რა გემართება! რაც დრო გადის შენზე მით უფრო მეტად ვნერვიულობ. რამე არის რაც უნდა ვიცოდე? იქნებ ამ ახალმა გარემოებებმა იმოქმედეს შენზე? ჩემი ბრალია, არც კი დაგეკითხე და მე ჩემსას მივაწექი, ჩვიდმეტი წლის ბავშვივით ავიტეხე მერიკო მიყვარს, მერიკო მიყვარს მეთქი. არც მაშინ არ უნდა გავფრენილიყავი იტალიაში. წყალსაც წაუღია ეგ შენი რესტორანი... ჩამეშალა ეგ საქმეც და ბოლო ჯამში რა გამოვიდა? შენზე სათანადოდ ვერ ვიზრუნე, ფსიქიკაც დაგერღვა და ჯანმრთელობაც... საჭმელსაც აღარ ჭამ და ინსომანიაც დაგეწყო! აბა როდის იყო შენ შუადღის ორ საათამდე გძინებოდა? გიყურებ და გული მისკდება, მამის გულს ამის ატანა არ შეუძლია! მე ასე არ წარმომედგინა ჩვენი მომავალი, არ წარმომედგინა ის დრო, როდესაც როგორც იქნა შენს ოცნებებს აიხდენდი და ტელევიზიით გამოხვიდოდი... გახსოვს? პირველი გადაცემა რომ გავიდა ჩემი ტელეფონი არ ჩერდებოდა, მირეკავდნენ და მირეკავდნენ... როგორი ბედნიერები ვიყავით მაშინ, შენ კიდევ ყველაზე ციმციმა ვარსკვლავივით ანათებდი! და ახლა? ჩაქრი, ჩამოდნი, მიილიე... რატომ მაქვს ისეთი შეგრძნება რომ ხელებიდან მეცლები შვილო? ნუ გამიკეთებ ამას, გთხოვ... არც მეორე შვილი და არც ახალი ოჯახი, ჩემს შენდამი დამოკიდებულებას ვერ შეცვლის, ხომ იცი ეს, არა?

ყელში დიდი სინანულის ბუშტი გამეჩხირა, სუნთქვა შემეკრა. ძალიან შემეცოდა მამაჩემი. ჩემი თავი შემძულდა იმის გამო რომ მას ეს ყველაფერი ვაფიქრებინე და ამ დასკვნამდე მივიწყვანე. ეს როგორ ვერ გავთვალე წინასწარ? ადრე პირველ ადგილას ყოველთვის ჩემს საყვარელ ადამიანებს ვაყენებდი. ასეთი ეგოისტი მაინც როდის გავხდი? ნუთუ ის უბრალო ხუმრობა არ იყო როცა მე და ნიკა ვამბობდით რომ ერთმანეთის ხასიათები გადავცვალეთ... ნუთუ ეს სიმართლე იყო? ჩემი პირველი გადაღება... ლადოს სიტყვებმა ის დრო გამახსენა, როცა ნიკასთან ვრჩებოდი, დროს ერთად ვატარებდით, სხვადასხვა კერძებს ვამზადებდით, კინოში დავდიოდით... გამახსენდა ის დილა, როცა ჩემს პირველ გადაღებებზე მივდიოდით ერთად. მაშინ როგორ არ უნდოდა ადგომა... ნეტავ ჩემი კლეოპატრა როგორ იყო, ალბათ მოიწყენდა უჩემოდ... ღმერთო, მალე გული გამისკდებოდა!

-ნეტამც იმ დროს...

ძლივს ამოვიოხრე.
-ესეიგი მართალი ვარ არა? ის ბიჭი არაფერ შუაშია, რა ქვია? და ყველაფერი ჩემი ბრალია არა? ასეც ვიცოდი... ვიცოდი!
-მამა არა, მასე არ არის როგორც შენ გგონია. შეიძლება ვერ გამოვხატე ჩემი სიხარული თქვენს მიმართ და ამის გამო დიდ ბოდიშს გიხდი, მაგრამ მე მართლა ბედნიერი ვარ.
-ბედნიერი? ჰაჰ, მეგი თუ ღმერთი გწამს ნუ მაცინებ! ბედნიერი ხარ არა? მაგიტომ მიატოვე სტუდია? მაგიტომ გადაღებე შავად შენი ითახის კედლები? თუ მე არაფერ შუაში ვარ, გამოდის რომ მის გამო ხარ ასე, რა ქვია...
-ნიკა მამა, ნიკა ქვია.
-ხოდა დაურეკე მეთქი და ნუღა მეწინააღმდეგები უკვე!
არ მჯეროდა რომ ლადო ამ ყველაფერს მეუბნებოდა. მე კიდევ ამდენი ხნის განმავლობაში იმის შიშით რომ ვერ გამიგებდა, არაფერს ვეუბნებოდი. არ ვიცი მანაც ასე რატომ დაიჩემა რომ რამე არ ვიცოდი ან საერთოდ აბა რაღა იყო გასარკვევი? ტელეფონი ინსტიქტურად ავიღე ხელში. ან იქნებ ეს მეც კი მინდოდა, უბრალოდ ამას ჯერ ვერ მივმხვდარიყავი. ან რა მეთქვა? რომ დამერეკა რა უნდა მეთქვა? ლადომ ინტერნეტ მაღაზიაში ბავშვის საწოლებს დაუწყო თვალიერება. ისეთი აღტაცებული იყო, დაფრინავდა. მემგონი მზადებას ძალიან ადრე იყწებდა. გამეღიმა. წარმოვიდგინე პატარა ბავშვით ხელში... ნეტავ როგორი იყო ჩემი პატარაობა, ნეტავ როგორ მზრდიდა მარტო. ღმერთო, ჩემი საყვარელი მამიკო.
ლიზას შეტყობინებას თვალი მოვკარი. ეგ და მერი დეიდა მის მშობლებთან იყვნენ, ალბათ ღამეც იქ დარჩებოდნენ. ლიზა მწერდა:
"ცხრიანია?"

ეს რას ნიშნავს?

"რა?" - მივწერე.

"თამაშს რა ქვია?"

რა თამაშს? ნეტავ საიტს გულისხმობდა? რა თქმა უნდა, ცხრიანი!

"http://killthehead9.com/ რა რო?"

მუცელში უსიამოვნო გვრემა ვიგრძენი.

"ინტერნეტი აჭრელებულია, მშობლებს აფრთხილებენ, როგორც ჩანს საქმე გასკდა. ვიღაც ვიღაცეებს დაერხათ HA HA"

ეს ნიშანი იყო, ნამდვილად ნიშანი იყო! ახლა უკვე ვიცოდი ნიკას რა მიზეზითაც ვნახავდი. ეგრევე მივწერე და შეხვედრა ვთხოვე. იმისმა გააზრებამ რომ ისევ ვნახავდი მას, სხვა ყველაფერი წამში დამავიწყდა. ახლა ისღა დამრჩენოდა მამას სახლიდან გავეშვი.
-მამა...
-გიშვებ, - გაეღიმა ლადოს. გამორიცხულია, რანაირად? ის მართლაც საუკეთესო მამაა ამ ქვეყნად. მივედი და ლოყაზე ვაკოცე, მერე გავიქეცი ფეხზე ჩავიცვი და ჩვენი ადგილისკენ გავემართე. იქნებ და მართლა იყო რაღაც, რაც არ ვიცოდი, იქნებ ლიზა მართალი იყო რომ

მაინც ყველაფერი ცუდად არის და ის მაინც სჯობს სიმართლე ვიცოდე. ვიმედოვნებდი ეს შეხვედრა არაფერს შეცვლიდა, რადგან კიდევ ერთ დარტყმას ვეღარ გადავიტანდი, თანაც ნიკას ამ ტყუილს მაინც ვერასდროს ვაპატიებდი. მეორეს მხრივ, ძველი გრძნობები ჩემში თითქოს ისევ იღვიძებდნენ და მეც ზუსტად ისე ვღელავდი, როგორც იმ ღამეს როცა მთხოვა ფანჯრიდან გადმომეხედა. მოგონებებს დასასრული არ უჩანდათ...

***

ცოტახანში ვერც ყურებს ვუჯერებდი და ვერც ნიკას. საღი აზრი მთლიანად წამართმეოდა. გაგონილის გადასახარშად ალბათ ძალიან დიდი დრო დამჭირდებოდა. თურმე ყველაფერი გაზაფხულზევე, სერგის ორმოცის დროიდან დაწყებულა, მე კიდევ რას ვაკეთებდი, მეძინა? იმ სტატიების წერას "სტალკერზე" არ მერჩივნა სიმართლე თავის დროზე გამომერკვია? და მიუხედავად იმისა რომ ჯერ მას მოყოლა ახალი დაწყებული ჰქონდა, მასზე ოდნავადაც ვეღარ ვბრაზდებოდი. ვინ იცის უჩემოდ რამდენი რამე გამოიარა, რამდენ ქარიშხალს გაუძლო, მე კიდევ ისეთ უბრალო რამეებზე ვნერვიულობდი და ვუბრაზდებოდი, როგორიც უპასუხო შეტყობინებები იყო. არც კი ვიცი როდის ვერ გავიაზრე ამ ყველაფრის სერიოზულობა... როცა მან ვიღაც კატო ახსენა, ტანში უსიამოვნოდ დამცრა, არ ვიცი ეს რა იყო თითქოს ნიკასგან წარმოთქმული უცხო გოგოს სახელის გაგონებისას ყინულიანი წყალი გადამასხეს. ეს გრძნობა წამიერად ვიგრძენი და ვეცადე ყურადღება არ მიმექცია მისთვის. ახლა ნიკასთვის უნდა მომესმინა და ბოლომდე უნდა გამეგო, ისე როგორც ერთი ზრდასრული ადამიანი უსმენს მეორეს და ცირკები აღარ უნდა დამედგა, აღარც დრამები მომეწყო. ნელ-ნელა ჩემს ყველა კითხვას პასუხები თავისით ეძებნებოდა. ახლა უკვე ვხვდებოდი მისი ასეთი უეცარი ცვალებადობის მიზეზებს და საერთოდ აღარ მიკვირდა. მითხრა საკუთარი თავი გმირი მეგონაო. ჩემი აზრით კი არ ეგონა, ის მართლაც გმირი იყო!
-ნიკაააა! - ხმამაღლა დავუძახე, რადგან ფიქრებში წასულმა კითხვაზე პასუხი დამიგვიანა. ვკითხე საიდან გაიგეს რომ მე ბათუმში ვაპირებდი წასვლას, ეგ კი არა ზუსტად იგივე სალონთან საიდან გაჩდნენ? წარმოდგენა არ მინდოდა მაშინ იქვე ჩემებიც რომ არ ყოფილიყვნენ რა შეიძლებოდა რომ მომხდარიყო.
-არ ვიცი მეგიიი, მეც ზუსტად იმდენივე ვიცი რამდენიც შენ! ბოლო დროს რამე უცნაური ხომ არ შეგიმჩნევია, იქნებ გითვალთვალებდნენ? სულ ავირიე... მახსოვს ეგ ტიპი პირველად სად ვნახე, მაშინ ჩემს სახლთან თვითონ მოვიდა. იმაზე ვამბობ ვინც იქ ნახე, მე მაშინ შენს სახლში მოვდიოდი, მარტო რომ იყავი გოგონებთან ერთად აი იმ საღამოს. მე კი თავიდან მოვიშორე რომ არ ამკიდებოდა და შენი მისამართი არ გაეგო, მაინც თავი დავიზღვიე მაგრამ იყო რაღაც უცნაური.
-რა იყო?
-შენზე მანაც იცოდა...
-ეგ უცნაურად აღარ მეჩვენება უკვე. და იქნებ მაგ საღამოს ჩუმად გამოგყვა, რა იცი?
უეცრად ნიკა საშინლად გაბრაზდა და მუშტები შეკრა.
-ოხ, ეგ...
-მერე რა მოხდა?

-სად გავჩერდი?
-ბოლოს კატო გადაარჩინე? - კატო... როგორი ლამაზი სახელი იყო. მაგრამ რა მემართებოდა როცა ამ სახელს წარმოვთქვამდი, ანდაც როცა ნიკა ახსენებდა? მაინც რა იყო ეს?
-გადავარჩინე მეგი, გადავარჩინე მაგრამ დიდი ძალისხმევის ფასად. კინაღამ საფლავის ქვა არ დავუდგით.
-რა?
ყველაფერი უფრო და უფრო მოულოდნელი ხდებოდა. ვლოცულობდი ლადოს არ დაერეკა და სახლში დაბრუნება არ ეთხოვა. ნიავმა დაუბერა, შევიშმუშნე.
-გცივა? - მკითხა. თანხმობის ნიშნად თავი დავუქნიე. უსიტყვოდ მომეკრა და თავისი ძლიერი მკლავები ჩემსას შემოაჭდო. ახლაღა გავიაზრე მისი სიახლოვე როგორ მენატრებოდა. საერთოდ ამ შეგრძნებების გარეშე ცხოვრებას როგორ ვაპირებდი...
-ხმა გავავრცელეთ რო კატო მოკვდა, იმიტომ რომ სხვანაირად თავს არ დაანებებდნენ როგორც მე არ დამანებეს. შენ თავს გეფიცები თამაშიდან წამოსვლა მართლა ვცადე და შენთან ერთად ცხოვრებაში პირველად ვიყავი ბედნიერი მეგი...
ამ სიტყვების გაგონებაზე გული შემეკუმშა.
-მე კიდევ შენს გრძნობებში ეჭვი შემქონდა... - სინანულით ჩავილაპარაკე.
-და სხვა რა უნდა გეფიქრა? მითუმეტეს შენ. ეგ კი არა ალბათ შენს ადგილას მეც იგივეს ვიფიქრებდი. და მერე გრძელდებოდა ეს...
მუქარის ესემესები ერთმანეთზე მიყოლებით მანახა, ყველა სათითაოდ წავიკითხე და თითქმის ყველაში ჩემი სახელი ერია. ზოგში ჩემს მისამართს და ჩემს საყვარელ წიგნების მაღაზიასაც კი სწერდნენ, სადაც ხშირად დავდიოდი. ისე შემეშინდა ნიკას მივეკარი. თითქოს ჩემი ფიქრები წაიკითხაო, ჩუმად მაგრამ გარკვევით მითხრა:
-შენი აზდით დავუშებ რომ რამე მოგივიდეს? ნუ შეგეშინდება, მე შენთან ვარ...
და შუბლზე მაკოცა.
მთლიანი ამბის მოსმენის შემდეგ არანაირი უფლება არ მქონდა მასზე გავბრაზებულიყავი. მე კიდევ ყველაფერს ვართულებდი, არც ვუსმენდი და დროს ვაკარგვინებდი. ან იქნებ ესეც იმიტომ მოხდა რომ ის ყველაფერი გამომეცადა რაც მისი დაკარგვის შემდეგ გამოვცადე. მაგრამ როგორც ჩანს ჩვენი ყველა გზა ბოლოს მაინც იკვეთებოდა... ასეა, თურმე ყველაფერს მხოლოდ საკუთარი გადმოსახედიდან არ უნდა შეხედო. შოკიდან ვერ გამოვდიოდი და საშინლად მეშინოდა. მზე უკვე იწვერებოდა, სახლში დაბრუნება კი არაფრით მინდოდა. განსაკუთრებით ამბის ბოლო ნაწილმა გამაოცა, როცა "დემონი" სწორედ ის ადამიანი აღმჩნდა, ვის გამოც ნიკამ საიტზე გაწევრიანება გადაწყვიტა. თითქოს ყველაფერი ერთმანეთზე დაკავშირებული და წინასწარ გათვლილი იყო, ამის გააზრება კი უარესად მაშინებდა. ამასთან კიდევ რაღაც ვერ იყო რიგზე იმ კატოსთან. რას ნიშნავდა სიტყვები "ის შეყვარებულს მეძახდა?" ნუთუ ნიკა მას რამეს ჰპირდებოდა? ეს უსიამოვნო შეგრძნება იმ დროის განმავლობაში თავიდან ვერ ამოვიგდე, თითქოს რაღაც კიდევ არ ვიცოდი, თუმცა აღარ ჩავეძიე. მზე იმ დილას სულ სხვა ფრად ამოვიდა. ყველაფერი იმდენად ლამაზი იყო... ქალაქის ხედი, განთიადი და მხოლოდ ჩვენ ორნი... თითქოს აქ, ამ სიმაღლეზე ყველაფერს რაც ახლახანს შევიტყე ძალა ეკარგებოდა. თითქოს ერთად არაფერი გვემუქრებოდა. მის მკლავებში ყველა სირთულე ქრებოდა. თუმცა ეს ის დრო იყო, როცა რეალობისთვის თვალი უნდა გაგვესწორებინა, მისი სირთულე უნდა შეგვეცნო, დრო აღარ ითმენდა! როდესაც სახლში დაბრუნების დრო მოვიდა ნიკამ სასწაულებრივად ისევ წაიკითხა ჩემი ფიქრები.
-სახლამდე მიგაცილებ.

უსიტყვოდ დავთანხმდი და კიბეებისკენ გავეშურეთ. სახლში იქამდე უნდა დავბრუნებულიყავი, სანამ ლადო გაიღვიძებდა. მთელი გზა ხმა არ ამოგვიღია. სახლამდე მისულებმა ერთმანეთს დავემშვიდობეთ. თითოეული ჩვენი გამოსამშვიდობებელი ჩახუტება გულზე ისე მხვდებოდა, თითქოსდა, უკანასკნელი ყოფილიყო იგი. შემპირდა ხვალაც მოვალო, მე კი მჯეროდა რომ პირობას არ გატეხდა. სახლში ფეხაკრეფით შევიპარე, ლოგინზე ძალაგამოცლილი მთელი ღამის უძლო(თანაც რა ღამის) დავეგდე და ვერც გავიგე როდის გავითიშე.

***

სანამ დაღამდებოდა იქამდე გამომელვიძა. თითქოს ყურში გაუთავებლად ჩამძახოდნენ რომ უნდა გავქცეულიყავი. გასაღებს ხელი დავავლე. ლადო ძველებურად სამზარეულოში ფუსფუსებდა მარტო. ლიზა და მერიკო არსად ჩანდნენ. გამიკვირდა, მაგრამ მერე გავიფიქრე ალბათ ჯერ არ დაბრუნებულან მეთქი. თანაც შეყოვნებისთვის დრო არ მქონდა, რადგან დრო არ ითმენდა, უნდა გავქცეულიყავი. სახლიდან ჩუმად გავედი და საათს დავხედე. დილის სამს აჩვენებდა. ალბათ ჩემი საათი აირია, მერე გავასწორებ - მეთქი, არც ამის გამო გავჩერებულვარ, ჩავჯექი მამაჩემის BMW M5-ში და ნაცნობი მისამართისკენ გავწიე. ვიღაც ისევ მიმეორებდა რომ გავქცეულიყავი და მეც სიჩქარეს უფრო და უფრო ვუმატებდი, სადაც იყო გავფრინდებოდი. სულ რაღაც წამებში საკმაოდ ძველ სახლთან აღმოვჩნდი, თუმცა ცოტა ხნის წინ შემჩნეული მზის მწველი სხივებისდამიუხედავად ისევ ბნელოდა. თითქოს უეცრად სრულიად სხვა დროსა და განზომილებაში აღმოვჩნდი. სადაც ამდენი უცნაურობა, ეს აღარაფრად ჩავთვალე და მანქანიდან გადმოსულმა ნიკას სახლი მალევე ვიცანი. გამიხარდა, ბევრი ფიქრი აღარც დამჭირვებია, სადაც იყო სახლს შემოვუვლიდი და მეორე მხრიდან ფანჯარაში ავცოცდებოდი, მაგრამ უეცრად სახლი გაქრა და მის ადგილას დიდი, თვალწარმტაცი სივრცე გაჩნდა. ისე გამოიყურებოდა, როგორც სამყაროს დასალიერი, მის იქით კი საერთოდ არაფერი აღარ იყო. ხმა არაფრით წყდებოდა :
"გაიქეცი, გაიქეცი, გაიქეცი..."
ვერ ვჩერდებოდი. სირბილი უნდა გამეგრძელებინა. ნიკას თვალებით დავუწყე ძებნა, მაგრამ გარშემო მხოლოდ სალი კლდე იყო, არც ერთი სულიერი არ ჭაჭანებდა. იყო მხოლოდ ხმა, რომელიც გაურკვეველი მიმართულებიდან მოდიოდა, მაგრამ ისე ახლოდან ჩამესმოდა, თითქოს რეალური იყო, თითქოს ჩემს ზურგს უკან იდგა ვიღაც რომელიც ყურში ჩამძახოდა, ჩემს სხეულს მთლიანად მართავდა, თავისი ნებით ამოძრავებდა! ვერც ვჩერდებოდი და ვერც უკან ვიხევდი, გზა ჩემს წინ კი ნელ-ნელა მოკლდებოდა... სულ მალე კიდევ ერთხელ გადადგმული ნაბიჯი წამით ჰაერში შემრჩა ჩამოკიდებული და თავისუფალ სივრცეში მთელი სხეულით ვიგრძენი ვარდნა. მეჩვენებოდა რომ სულ მალე ამ სივრცესთან ერთად მეც გავქრებოდი და მერე ყველაფერი თავის ადგილს დაუბრუნდებოდა, მაგრამ ჩემს გარეშე... ცოტახანში ვიგრძენი როგორ ჩავვარდი ჩემს ლოგინში და თითქოს ამდენი უმისამართოდ ფრენისგან თავში სისხლიც კი ჩამქცეოდა. შევხტი და ლოგინიდან წამოვვარდი. ოფლში ვცურავდი, თავიდან ბოლომდე ვკანკალებდი. ეს რანაირი სიზმარი იყო? თითქოს ყველაფერი ისე იყო როგორც იმ ღამით, მაგრამ, ბოლოს...

უცნაურმა აზრებმა შემიპყრო, თუმცა ბოლომდე ვერ ვიაზრებდი ჩემი ქვეცნობიერი საითკენ მიექანებოდა. სინამდვილეში იმაზე უფრო მეტი რამ არსებობს, რისი აღქმაც ადამიანს შეუძლია, მაგრამ რისიც არა? რა ხდება ჩვენი ქვეცნობიერის ზღვარს მიღმა? კოშმარები ადამიანის შიშებზეა დამყარებული. მე ყოველთვის ნიკას დაკარგვის მეშინოდა, სიზმარში კი მას საერთოდ ვერ ვპოულობდი. თითქოს იმ სამყაროში არც ის და არც მისი სახლი არ არსებობდა, იქაურობა რაღაც პარალელურ განზომილებას ჰგავდა. მე ბევრჯელ მინატრია იმ ღამეში დაბრუნება და ყოველთვის ვიძახდი რომ დროის უკან დაბრუნება რომ შეიძლებოდეს, მაინც არაფერს შევცვლიდი, - მეთქი. სწორედ ამიტომ ხდებოდა მოქმედებები ერთმანეთის მიყოლებით ზუსტად ისე და მაგიტომ მქონდა შეგრძნება რომ მე ისევ იმ ღამეში ვიმყოფებოდი და ყველაფერი ზუსტად ისე უნდა მექნა, როგორც მაშინ. თითქოს ჩემი ტვინი მოქმედებების გააზრებას უბრალოდ ვერ ასწრებდა და მე მექანიკურად ვმოძრაობდი, მაგრამ ბოლოს? რა მოხდა ბოლოს? საიდან მოდიოდა ის ხმა, ან ვის ეკუთვნოდა? ვეცადე ამაზე ძალიან ბევრი აღარ მეფიქრა, ახლა როგორღაც ისევ რეალობას უნდა დავბრუნებოდი, ყველაფერი მოიცდიდა მაგრამ ახლა დრო არ ითმენდა, როგორც სიზმარში...

-ერთი მეგის შეხედე რა, ამ ბოლო დროს გვიანობამდე სძინავს...
მომესმა ოთახის გარედან ლადოს ხმა და თითქოს ახლაღა გამოვფხიზლდი. საათი ზუსტად შუადღის თორმეტს აჩვენებდა. წამოვდექი და სარკეში ჩავიხედე. ძველ მეგის საერთოდ აღარ ვგავდი. შემეშნდა და დამენანა ჩემი დალალები, მაგრამ ლიზას კიდევ ერთხელ ვერ ვაწყენინებდი. ჩემი ანარეკლის დიდხნიანი მიშტერების მერე ისტერიულად გამეცინა. ბოლოს საკუთარ თავს დრო როდის დავუთმე? ნიკასთან დაშორების შემდეგ მაინტერესებდა როგორღა ვიცხოვრებდი, მაგრამ მანამდე ან ახლა რა, ვცხოვრობდი? თითქოს ყოველი დღის გათენებისთვის ბრძოლა იყო საჭირო, თითქოს ჩემი ცხოვრება არსებობას უფრო ემგვანებოდა. გამახსენდა ადრე, სულ ადრე ტანსაცმლის არჩევასაც კი რამდენ დროს ვუთმობდი, ყოველთვის იდეალურად გამოვიყურებოდი და კარგი ნიშნები მყავდა! ყველა ოცნებობდა მდიდარი, გათამამებული მეგი ქათამაძეს ადგილას ყოფნაზე. მაშინ ეს დიდება და სახელი, ეს ძვირფასი ტანსაცმელი და ნივთები თითქოს უბრალო ყოველდღიური წვრილმანები იყო, რომლებსაც უკვე იმდენად შევჩვეოდი რომ ყურადღებას აღარც კი ვაქცევდი. ახლა კი ის ყველაფერი ისე ძალიან მენატრებოდა, თითქოს და საუკუნის წინ ყოფილიყო. ნეტავ ოდესმე შევძლებდი ისევ ის მეგი გავმხდარიყავი?
ზედა თაროზე ჩემი კოსმეტიკის ჩანთას დავუწყე ძებნა, თითქოს მეთაკილებოდა.
ვფიქრობდი, - რა სისულელეს ვაკეთებ მეთქი, მაგრამ როგორც კი თვალი მოვკარი, ხელში მაინც ავიღე. აღარც კი მახსოვდა ბოლოს როდის გავხსენი.
-მეგ, გღვიძავს? რრა... რა გიჭირავს? - როგორც ლიზას სჩვეოდა, ოთახში დაუკაკუნებლად შემოვარდა. მის ამ საქციელს ვერაფრით მივეჩვიე. ჩანთა ხელიდან გამივარდა.
-ლიზ?! - ისეთი გაოგნებული სახით შემომცქეროდა, უნებურად ჩემს უკან გავიხედე.
-რა კოშმარული სახე გაქვს, წუხელ არ გძინებია? - მკითხა.
-ვაიმე, რომ იცოდე რა აღარ მოხდა, ლიზიიი!
-ჰა? რა მოხდა, მითხარი მალე...
ჩანთა ავიღე და ლიზა საწოლზე დავსვი. მეთვითონაც გვერდით მივუჯექი და აღტაცებულმა წამოვიძახე:
-ის ვნახე!
-რა? ნიკა ნახე? აპატიე?
-ასე გამოვიდა, - მხრები ავიჩეჩე, - თანაც რო იცოდე მამას დიდი წვლილი მიუძღვის!

-რას მეუბნები! ახლა გავგიჟდები, რანაირად?
-ცოტა ჩუმად, - ემოციებს ვერ მალავდა ლიზა, - მოგიყვები მერე, ახლა არ გინდა მაკიაჟი გამიკეთო?
-სერიოზულად? - თითქოს ჩემი და ნიკას ამბავზე მეტად უფრო ჩემმა თხოვნამ გააოცა. რაც კიდევ ერთხელ ამტკიცებდა რომ მართალი ვიყავი. გამეცინა.
-ხო, რა იყო, არარეალურს რას გთხოვ?
-აი ეს კი ჩემი გოგოა, - ხელები შემომხვია და ჩანთაში ქექვა დაიწყო, - არ გინდა თმები დავიხვიოთ? - მერე ჩემს თმებს შეხედა და თითქოს მხოლოდ თავისთვის ჩაილაპარაკა, - უი, შენ ხომ ისედაც... ასეთი უნაკლო როგორ ხარ? ისევ მე მომიწევს დახვევა რომ დავემგვანოთ.
-სულელო, წამო საქმეს შევუდგეთ...
გადავწყვიტე, მხოლოდ ერთი დღე ძველი მეგი ვყოფილიყავი. ყოველ შემთხვევაშ მეცადა მაინც. დღის ბოლოს კი ყველაფერი თავის ჩეულ რიტმს დაუბრუნდებოდა. დღეს უბრალოდ ცუდზე არ უნდა მეფიქრა და დრო ოჯახთან ერთად გამეტარებინა.
ეს მზერა თურმე როგორ მომნატრებია, - გავიფიქრე როცა ცოტა ხანში ლიზამ ჩემს წინ პატარა სარკე აღმართა და კმაყოფილებისგან წარბები მაღლა ავზიდე. ამის შემდეგ ჩემი ტანსაცმლის კარადას გულმოდგინედ თვალიერება დავუწყე. გონება ისევ მეფანტებოდა და ისევ ცოცხლად ჩამესმოდა სიტყვა "გაიქეცი", მაგრამ არაფრით დავუშვებდი დღევანდელი დღის განწყობა რამეს გაეფუჭებინა.
-ლიზ, ძველი მეგი რომ იყო, რას ჩაიცვამდი? - ვკითხე იქვე პუფში მჯდომ ლიზას და ლოგინის ალაგება დავიწყე. ლიზა ეგრევე წამოხტა და ტანსაცმელებში ქექვა დაიწყო.
-ჰმმ, მოიცა დავფიქრდე... აი ამეებს!
ტანსაცმელს თვალი შევავლე და ჩამეღიმა, სხეული გამითბა და სასიამოვნო ნოსტალგიის შეგრძნება დამეუფლა.
-ეგენი "სტალკერის" შესარჩევ დღეს მეცვა.
-ხოდა გიხდებოდა.
გამიღიმა ლიზამ და დავინახე კარი დანანებით როგორ დახურა. მე ისევ გამოვაღე და ლიზას გაკრეჭილმა ეშმაკურად გადავხედე.
-რა? - გაიკვირვა. მე ხმას არ ვცემდი, ისევ ისე ვაგრძელებდი სულელივით სიცილს.
-ხომ უკვე აირჩიე ტანსაცმელი არა? - მკითხა დაბნეულმა.
-ხომ გინდა რომ ვგავდეთ?
მამას იტალიიდან ჩამოტანილი შარვალი და პიჯაკი გადმოვიღე და ლიზას ხელებში მივაჩეჩე.
-დაგხატავს ლიზ, მიდი აბა გაისინჯე.
-მეგიიი, ეს... ძალიან ძვირიანია, ვერ ავიღებ! ნახე, იარლიყებიც ზედ აქვს?
-აბა რას ამბობ? ქაღალდი უბრალოდ ქაღალდია ლიზა, და კი სამუდამოდ იქნება ერთადერთი და განუმეორებელი.
თვალებზე ცრემლები მოადგა, გადამეხვია და მადლობების მოხდას მოჰყვა. შემდეგ სწრაფად ჩავიცვით, ჩავედით და ლადოს ლამაზად გამოწყობილ სუფრას შევუერთდით. ის დღე ერთ-ერთ ლამაზ მოგონებად დამრჩა…

ნიკა

როდესაც კატოსგან შევიტყე, რომ სექტიდან ორი მოთამაშის გარდა ყველა წამოვიდა, გამარჯვების სურვილმა უფრო მეტად შემიპყრო. სწორედ იმ გამარჯვების, რომელიც უკვე ასე ძალიან მოახლოვებულიყო. ვერასოდეს წარმოვიდგენდი თუ ის საბედისწერო საღამო, როდესაც სკოლიდან გამოგდებული სახლში გვიან დავბრუნდი და კარი ღია დამხვდა, ამდენი უბედური ბედნიერების ფასად დამიჯდებოდა. აქამდე მეგონა რომ ცხოვრებას ჩემთვის კარგი არაფერი ემეტებოდა, მაგრამ ახლა ვხვდები რომ ის სინამდვილეში ამდენხანს მხოლოდ იმის გამო დუმდა, რომ ჩემთვის საუკეთესოს ამზადებდა. მე კი სულელივით ამის მიღებამდე ზუსტად ერთი ნაბიჯით ადრე ვაპირებდი დანებებას და ლოდინის შეწყვეტას. თითქოს ასე იოლი ყოფილიყო სიკვდილი. მაშინ რომ მცოდნოდა რომ ჩემი სიბნელის ბოლოს სინათლეს აუცილებლად შევხვდებოდი, ალბათ ამდენ შეცდომას აღარც დავუშვებდი. თუმცა, ხანდახან ვფიქრობ, ეს შეცდომები რომ არა, მაშინ ხომ ვეღარც ამ დღემდე მოვიდოდი ისე, როგორც მოვედი. მაშინ ხომ ვეღარც მეგის შევხვდებოდი, რომელმაც იმ სიბნელეში გზა თავისი გულუბრყვილო სხივებით გამინათა, ხელი მაგრად ჩამკიდა და ერთიანად იმ მომაკვდინებელი მელანქოლიიდან, სასიყვარულო ეიფორიაში გადამაქანა. ყველაფერი კარგის შეცნობაში დამეხმარა, რაც სიცოცხლეშია. სინამდვილეში, ყველაფერი ჩვენს გარშემო ეს ხომ უდიდესი სასწაულია! სანაპიროზე მიმოფანტული ფერად-ფერადი კენჭები, ცაზე გაელვებული კლაკნილი ნათელი სხივი, ჰორიზონტის ლურჯ-მწვანე ხაზი, რომელიც ზოგჯერ ისე ახლოსაა, გეჩვენება კიდეც, რომ ხელი მისკენ რომ აღმართო მიაწვდენ... წვიმის დროს ჰაერში დატრიალებული ნოტიო ნიადაგის სურნელი და ხან წითლად, ხანაც მუქ ლილაქვისფრად მოელვარე ზეცა, რომელიც ყველაფერს ხედავს! ნეტავ რანაირი შეგრძნებაა, როდესაც ყველაფრის მომსწრე ხარ, როდესაც სამყაროს კედლები ხელში შენ გიკავია, როდესაც ყოველ ღამე და უფრო მაშინ, როცა ვარსკვლავები ჩვეულებრივზე მეტად ციმციმებენ, ყველა შეყვარებული წყვილის თავშესაფარი ხარ, როდესაც თითოეული გულგატეხილი დედის საფიცარი ხარ და სახლი ხარ მზისა და მთვარისა! შენიდან მოდის მათი თითოეული ის გზა, რომლებიც მრავალი საუკუნის განმავლობაში ერთმანეთის გადაკვეთას ელიან. ვინ იცის, მხოლოდ ამ იმედით თუ ანათებს მზე დღესა და მთვარე, - ღამეს. ვინ იცის, ერთმანეთს ვერასოდეს შეხვდებიან და მიუხედავად ბუნების ამ უდიდესი გამოცდისა, მაინც შეუდრეკლად, დაუღალავად აგრძელებენ ერთმანეთის სიყვარულს და წერილების გადაცემას სხივების სახით. ვის უნდა ვკითხო რამდენ ხანს უცხოვრიათ იმ კენჭებს სანაპიროზე და რამდენჯერ უცქერიათ დადუმებულ ზღვაში გულმოსაკლავი სინელით ჩასვენებული მზისათვის... რამდენჯერ გადაუგორებიათ ცივი, სუსხიანი და უიმედო ზამთარი... ვის ვკითხო მაინც რომელ მხარეს მიფრინავენ სევდა შემოწოლილი მერცხლები ასეთ დროს. იქნებ და ძირს ერთუ შეხედვით

უსულოდ მისვენებულ კენჭებსაც რამდენჯერ სდომებიათ მათსავით ფრთების გამობმა და გაფრენა... ზამთარს ხომ ყველა გაურბის, ტკივილი ხომ არავის აურჩევია! და მაინც, რა იქნებოდა მელანქოლიის ჟამს ჩვენ ადამიანებსაც შეგვეძლოს ფრთების გაშლა და ბედნიერებისაკენ გაფრენა, სწორედ ისე როგორც მერცხლები გაურბიან ავდარს. და განა ყოველივე ეს სასწაული არაა? უბრალოდ, ისე მიეჩვია ჩვენი თვალები და მგრძნობელობა ამ ყველაფრის აღქმას, რომ ცოტა ძალა თუ არ დაატანე, ცოტა ფანტაზია თუ არ ჩართე, გარშემო უველაფერი უსულოთ და უფერულად მოგეჩვენება. და აი ზუსტად ასე ვცხოვრობთ ჩვენ. ჩვენი ყველა დღე ერთნაირია. ის იწყება უიმედოდ გახელილი სევდიანი თვალებით, გრძელდება უსიცოცხლო, გაზეპირებული რუტინით (იქნება ეს სკოლაში თუ სამსახურში წასვლა, ოჯახის მოვლა და სხვა მილიონი ვალდებულება), შემდეგ მოდის ათას ერთი ტყუილი, რომელსაც ყოველ დღე ვამბობთ (მაგალითად მაშინ, როდესაც ქუჩაში სრულიად შემთხვევით წლების წინ გადაკარგულ ნაცნობს შევხვდებით გვესმის ფრაზები - "კარგად ვარ, შენ როგორ ხარ?" და ტყუილი, რომელსაც ტყუილზევე ვპასუხობთ - "მეც კარგად ვარ"). ტყუილთან ერთად, ვაგრძელებთ ჩვენს გარშემო მყოფი ადამიანების წყენას, ისე რომ უკვე ჩვევადაც კი გადაგვცევია და ზუსტად ისე ვეღარ ვამჩნევთ სხვათა გრძნობებს, როგორც ისინი, - ჩვენსას. დაბოლოს, მოდის ისევ ღამე. ღამე, რომელიც მხოლოდ ვალდებულების მოხდის მიზნითღა თენდება და ეს დღე, რომელიც ზუსტად ისევე დაიწყო როგორც წინები, დაღლილ სახეზე ყელის მიმართულებით ჩამოწოლილი, გრძნობებით გაჟღენთილი ცრემლებით მთავრდება. ეს ჩვენი დღევანდელი რეალობა გახდა. მაგრამ, რატომ არ გიფიქრიათ რა მოხდებოდა მაშინ, თუ ერთი დღით, მხოლოდ ერთადერთი დღით მაინც შევაჩვევდით ჩვენს გაურჩებულ მგრძნობელობასა და მხედველობას ჩვენს გარშემო მყოფი საგნების სხვაგვარად დანახვასა და ჩვენი საყვარელი ადამიანების ფიქრების, განცდებისა თუ ემოციების სხვაგვარად შეცნობას? განა რა დაშავდებოდა ამისთანა, ადამიანები ერთმანეთს სულ ორი გრამით მაინც რომ ვაფასებდეთ? რა დაშავდებოდა უბრალოდ ბუნებისგან ბოძებული სილამაზით რომ ვტკბებოდეთ და ამ სასწაულის ნაწილი ვხდებოდეთ? მაინც რა დაშავდებოდა, ჩვენი ცხოვრების წიგნებში ტრაგიკული ისტორიების ნაცვლად, ფერად თავგადასავლებს რომ ვწერდეთ და ერთმანეთი და პირველ რიგში საკუთარი თავები გვიხაროდეს?

ახლაც ზუსტად ისე წვიმს, როგორც სხვა დროს. სამყაროც ზუსტად ისეთია, როგორც უწინ. ეს უბრალოდ, მე ვისწავლე ამაში კარგის დანახვა, მე შევხედე იმედიანი თვალით და ის წამი, როდესაც ვიგრძენი, თუ როგორ გაცოცხლდა და ერთიანად გაფერადდა ჩემს გარშემო ყველაფერი, შემდეგ ცხოვრებაშიც გამყვება. ის სასიამოვნო შეგრძნება, თუ როგორ მივეცი წვიმის წვეთებს ჩემი შეხების უფლება პირველად, ბოლო ამოსუნთქვამდე მემახსოვრება. და თურმე ასე ხდება, როცა არ ელი მაშინ მოვა! მოვა და თავიდან ბოლომდე ამოგატრიალებს. უკვე დაწყობილ გეგმებს ხელახლა აგირ-დაგირევს. თავიდან მათში ცოტათი დაგაეჭვებს, შემდეგ კი ერთბაშად გადაგაფიქრებინებს. თამაშის პირველ ეტაპზე ვინმეს რომ გავეფრთხილებინე, ბოლო ეტაპამდე შენ ამის წინააღმდეგ ბრძოლას დაიწყებ და შენი დასახიჩრებული თავის ჩათვლით, ყველა წევრის გადარჩენას მოისურვებო, ალბათ გიჟად ჩავთვლიდი და წესიერად არც კი მოვუსმენდი. და რა თქმა უნდა, მეგისა და კატოს გარეშე ჩემი ცხოვრება ისევე უინტერესოდ დასრულდებოდა, როგორც დაიწყო. მაგრამ, თურმე ამ ქვეყნად ცხოვრება უინტერესოდ ჯერ არ შობილა! მეგიმ ამ დებულების სიმტკიცის ნერგი დიდი რწმენით დარგო შემში, კატომ კი ამ ნერგს აყვავებისთვის წყალი დაუსხა. მე თუ ოდესმე ღმერთის მირწმუნია, ყველა ჯერზე მისთვის ამ ორი ადამიანის გამოჩენისთვის ჩემს უბადრუკ ცხოვრებაში მადლობა შემიწირავს. თუმცა, უბრალოდ სიტყვა მადლობა იმდენად

ცოტა იყო, რამდენადაც დიდი, მათი ჩემსკენ მომართული სიყვარულის გრძნობა. სწორედ ამიტომ ეს ვალი როგორღაც უნდა გადამეხადა მათთვის. ახლა ჩემი მოქმედების დრო იყო. მსხვერპლშეწირვის გარეშე გამოსული საქმე მე ჯერ არ მინახავს. ამიტომ, ის უნდა გამეკეთებინა, რასაც აქამდე ჩემით ვერასდროს გავბედავდი. თანაც, მათი აზრით ამ ეტაპზე ეს ყველაზე სწორი და ლოგიკური გადაწყვეტილება იყო. ხოდა მეც დრო აღარ დავკარგე, მეგის ნაჩუქარი მწვანე მაისური გადავიცვი, სახლში მოგროვილი ნაგვის პარკში შავი საღებავის ქილა და დამთავრებული სიგარეტის შეკვრები გადავუშვი და გზად გავაყოლე. ვიზიტების დღე იყო - ხუთშაბათი. მე ლალის სანახავად გავემართე. უკვე ისედაც საკმარისად დაიხოცნენ საქართველოში უდანაშაულო და გზააბნეული ბავშვები. ახლა ამ ყველაფრის დასრულების დრო იყო. მე მეგის სიყვარული დავიფიცე, რომ ამიერიდან აღარ იქნებოდა არანაირი მუქარის შემცველი შეტყობინებები, არანაირი გასეირნებები ჯოჯოხეთამდე და გაჩერებები საყვარელ ადამიანებთან, არანაირი დანაშაულები, უკანონობები და მანიპულირებები. ამ სამყაროში ამდენი ცუდი არ უნდა იყოს! მართალია უკვე წარმოვიდგენდი როგორ მშვიდად და ამაყად ვკვეთდი ფინიშის ხაზს, მაგრამ იქამდე გზა ჯერ ისევ გრძელი იყო, ხოლო დრო ყოველ ნაბიჯის გადადგმაზე მოკლდებოდა. ამ გზაზე კი ისეთი პატარა, ერთი შეხედვით ჩვეულებრივი რაღაცეები მაბრკოლებდნენ, როგორიცაა დედასთან საკანში სტუმრობა. ამდენ ადამიანს მთების გადადგმას ვპირდებოდი და გულისიღრმეში დედასთან უბრალო საუბარიც კი სიკვდილამდე მაშინებდა. აბა მისთვის ამდენი ხნის შემდეგ რა უნდა მეთქვა? რამდენი თვე გავიდა, ეს საქმე კი იმდენად უმნიშვნელოდ ჩათვალეს და ისე გაწელეს, რომ სასამართლო ჯერაც არ დაუნიშნავთ. ვინ იცის გადაავიწყდათ კიდეც. თვითონ ხომ გასაჭირი არ ჰქონდათ და... რა თქმა უნდა ეს ასეც იქნებოდა და სანამ ეს ხალხი გონს არ მოეგება, კიდევ დიდხანს იქნება. ასე იქნება იქამდე, სანამ კაცობრიობა იარსებებს. ეს ხომ საქართველოა! ყველასთვის საყვარელი და პატივსაცემი ადამიანი მაშინ ხარ, როდესაც ფული გაქვს, როდესაც თანამდებობა გაქვს და იმ ხნის განმავლობაში სანამ შენი ქეშით შემოსაზღვრულ ნაჭუჭში ცხოვრობ, ყველა ბაღში ნაცეკვი ზილინასავით თავს გევლება რომ როგორთაც მასში შემოაღწიოს. აბა რათ უნდათ ამ საცოდავ, დამონებულ ხალხზე ფიქრი, მათი პრობლემების მოსმენა და ამ პრობლემების გადაჭრის გზებზე ფიქრი და ამი თავის ატკიება! მაინც რათ უნდათ ერთი ადგილის გატოკება, სანამ მაცივარი გამოტენილია, არჩევნების დღე კი ჯერ ისევ არ ჩანს და რატომ იწყებენ ფიქრს ამ პრობლემებზე მხოლოდ მაშინ, როდესაც ეს დღე ახლოვდება?! რატომ ყიდულობენ ამ ისედაც დამონებულ, უბადრუკ და მათზე სოციალურად დაბლა მდგომ ადამიანებს ორი ლუკმით ერთი საცოდავი ხმის სანაცვლოდ? მათი ეს ყოველგვარ ლოგიკას მოკლებული, დამთრგუნველი სტრატეგია, რაღაცნაირად დაბადების დღეებს მაგონებს. მაგონებს, როდესაც მთელი ერთი წელი შენს გაჭირვებებს სრულიად მარტო იტან და შენი სიხარულებიც სრულიად მარტოს გიხარია და უეცრად, ამ დღეს სუყველას შენს ცხოვრებაში მყოფს, თუ არ მყოფს, შვიდი წლის წინანდელ გადაკარგულ ნათესავსა თუ მეგობარს, ყველას ერთიანად ენატრები... ყველას ერთიანად უყვარხარ და ყველასთვის ერთიანად ხარ საუკეთესო! ან კიდევ, როდესაც რაღაც დასჭირდებათ შენგან და უკვე დიდი ხნის წასულები ბრუნდებიან, ზუსტად ისევე როგორც მე დავბრუნდი მარისთან. არც კი მსურს, თავი უარესად შევირცხვინო მაშინდელი ჩემუ საქციელების გახსენებისას, რადგან როგორც კი ის უმაქნისი პერიოდი მახსენდება, ჩემს შიგნით წამიერად ვარდება მწარე მეხი, რომელის ასჯერ მკლავს და ასჯერვე მხოლოდ იმიტომ მაცოცხლებს, რომ შემდეგ ეს ისევ და ისევ გაიმეოროს. როცა მახსენდება როგორ უმოქმედოდ ვიჯექი ყველასგან განცალკევებული ჩემს ბნელ ოთახში და როგორ ვივიწყებდი ბავშვობის მეგობრებს, სანამ ჩემი ბალიშის ქვეშ აბები,

კომოდის უჯრაში მოსაწევი და კომოდზე შემომდგარი ლუდის ბოთლები იყო (ზუსტად ისე სანამ პოლიტიკოსის მაცივარია სავსე და საფულე გამოტენილი) და როგორ ვნახულობდი ჩემს მეგობრებს მხოლოდ მაშინ, როდესაც დახმარება მჭირდებოდა მათგან, ამის გახსენებისას მინდა მიწა გამისკდეს და თან ჩამიყოლოს (ყოველ შემთხვევაში, იქამდე მაინც სანამ კატო არ გამოჩნდება ნიჩბით ხელში). აი სწორედ ასე მიივიწყეს საკანში გამოკეტილი დედაჩემი და ეს საქმე, ჯერ ხომ არაფერი სჭირდებოდათ, ჯერ ხომ არაფერი ხდებოდა ისეთი რაც მათ კარიერას დაემუქრებოდა. მაგრამ, მათგან განსხვავებით ახლა მე მჭირდა, ახლა მე მინდოდა დახმარება და იმის გამო რომ მხოლოდ ასეთ დროს და მხოლოდ ამის გამო მივდიოდი პირველად დედაჩემის მოსანახულებლად, ძალიან მრცხვენოდა. ბოლოს და პირველადაც რომ დამირეკა, წესიერად არც დაველაპარაკე და რაღაც საშინელებები ვუთხარი და ერთ-ერთუ მიზეზი სწორედ ის იყო, რომ მე არ მსურდა იქიდან გამოსულიყო და ჩემს სიკვდილს შესწრებოდა. თუმცა, გულისიღრმეში იმისდა მიუხედავად, რომ ჩემი გატაცებული მანქანის საქმე და ამ სულელურ, ყოვლად დაუფიქტებელ საქციელს მოყოლილი უბედურებები ერთი მეორეს მიყოლებით თავის თავზე აიღო, მანამდე მომხდარს კვლავაც ვერ ვპატიობდი მას და შესაბამისად დახმარების გამო თავის შეწუხებაც არანაირად არ მსურდა. თუმცა, მეგი ხომ ცოცხალ მაგალითად დაიბადა იმისა, რომ ადამიანები ერთმანეთს უნდა ვეხმარებოდეთ, იმისდა გათვალიწინებით, ვიცნობთ ერთმანეთს თუ არა. და მე როგორ არ დავხმარებოდი ქალს, რომელმაც გამაჩინა? როგორ დამევიწყებინა დედაჩემი? აქამდე ამას მხოლოდ იმიტომ ვერ ვბედავდი, რომ მისთვის მზერის გასწორება მაშინდელ ჩემს ძალებს ბევრად აღემატებოდა და ის შიშები ამ მომენტის დადგომისა, დღემდე გამომყოლოდა, მიუხედავად იმისა, თუ როგორ ვფიქრობდი ახლა და როგორი იყო ჩემი მისდამი განწყობა. და ალბათ მეგი და კატო რომ არა, ამას არც არასოდეს ვიზამდი, რადგან მეგონა როგორც კი დამინახავდა, აფერისტულ ვედრებას მოჰყვებოდა, მთხოვდა იქიდან გამომეყვანა როგორც წინაზე. მე კიდევ ეს ყველაფერი რაც ხდებოდა მისთვის მაინც როგორ უნდა ამეხსნა? განა ჩემი დასმული უადგილო და უმისამართო კითხვები მასში ეჭვის გრძნობას საერთოდაც არ აღძრავდა? ან ნეტავ ახლა სწორად ვიქცეოდი? მთელი ის გზა ეჭვები მჭამდა და იდიოტური ფიქრები გასაქანს არ მაძლევდა, მაგრამ როდესაც შენობას მივუახლოვდი ჩემთვის ჩავილაპარაკე - "ერთი მაგისიც, რაც იქნება იქნება" - მეთქი და ნაბიჯი გადავდგი, თუმცა როგორც კი შიგნით შევედი ეგრევე ამიკანკალდა მუხლები. ვიცოდი მისი დანახვისას მაინც გავტყდებოდი. ეგ კი არა, ნაწილებადაც კი დავიშლებოდი, მაგრამ ჩემი ემოციურად გაუწონასწორებელი მდგომარეობის გამო, უკვე აქამდე წამოწეულ საქმეს უკან ვეღარ წავწევდი და ამასთან, ლაჩარივით მასთან ასე ახლოს მოსული, უკან ვეღარ გამოვბრუნდებოდი. ამას გარდა, მე ხომ საქმით თუ საქმის გარეშე, ისედაც მაინტრრესებდა ლალისა და "დემონს" საერთო რა ჰქონდათ.

როგორც კი მნახველთა რიგი დავიკავე, შევეცადე მხოლოდ იმ წინადადებებზე ვკონცენტრირებულიყავი, რაც წინა ღამით მოვიფიქრე. "რაც იქნება იქნებაა" - ვუმეორებდი საკუთარ თავს, - "უარესებიც გადაგიტანია!" თუმცა აზრები ჩემს თავში მაინც წინ და უკან აგრძელებდნენ ბრუნვას. ნეტავ ის დამპალი დღე რომ არა საერთოდ იმ გადაწყვეტილებად მივიღებდი და დავრეგისტრირდებოდი საიტზე? თუ ასე უმოქმედოდ გავაგრძელებდი ნაგავში ცხოვრებას და თავადაც ჩვეულებრივ ნაგვად ყოფნას... გავაგრძელებდი ადამიანებისთვის გულის ტკენას ისე რომ არც მოვისურვებდი ამის გააზრებას? განა იმ გადაწვეტილებამდე მიცხოვრია? ანდაც, მაინცდამაინც უნდა გაიგო რომ კვდები რომ ცხოვრება დაიწყო? ეს დღე ხომ ყოველი სულიერისთვის გარდაუვალია! ჩვენ კი, კარგი

იქნება თუ სიკვდილზე ფიქრს ან არ ფიქრს საერთოდ შევწყვეტთ და როგორღაც შევურიგდებით იმ უსამართლო და ზოგჯერ სამართლიან ზავს, რომელიც ჩვენს დაბადებამდე ჯერ კიდევ დიდი ხნით ადრე სიკვდილმა და სიცოცხლემ დადეს. მაგრამ ისიც ხომ ასეა დაწესებული, რომ ადამიანი ან საერთოდ არ ფიქრობს არაფერზე წინასწარ და ან ზედმეტად ბევრს ფიქრობს. ყოველ შემთხვევაში, ამას მნიშვნელობა ჯერ მარტო იმიტომ არ აქვს, რომ ორივე ერთმანეთზე უარესია. რაღაცეები მაინც უნდა გათვალო ხოლმე წინასწარ და მთლად დაუფიქრებლადაც არ უნდა მოიქცე მერე სანანებელი რომ არ გაგიხდეს (ჩემსავით), მაგრამ ზედმეტი ფიქრიც არ ვარგა. ის ვნებს ჯანმრთელობას და მეტიც, შეიძლება ჭკვიდანაც კი შეგშალოს! აქედან დასკვნა; საერთოდ ზედმეტი ამ ქვეყნად არაფერი ვარგა. მაგრამ ვაი, რომ სწორედ ასეთია ადამიანის ბუნება! ვაი, რომ არ აქვს მნიშვნელობა რამდენი აქვს უკვე, მას მაინც კიდევ და კიდევ მეტი უნდა და მის სურვილებს აღარ აქვს საზღვარი. რაც არ უნდა მიიღოს, ის მაინც უკმაყოფილოა. აი სიტყვაზე, ბოლო გამოშვების აიფონი რომ ჰქონდეს, ის კვლავ ახლის გამოსვლას ელის, მეუღლეც რომ ჰყავდეს, თვალი მაინც სხვა ქალებზე უჭირავს, საკმაოდ კარგი შემოსავლის ფონზე, მაინც სხვის მატერიალურ მდგომარეობას ანგარიშობს თავის ბიუჯეტში, რომ გამოთვალოს რამდენად ეტევა მისი საფულის ჯიბეების ჩარჩოებში, ანდაც რამდენად სცდება მათ. ამის გარკვევის შემდგომ, კი ჩვეულებრივ, როგორც წესი პარალელებს ავლებს რომ ეცადოს იმაზე მეტი ჰქონდეს, ვიდრე აქვს სხვას და იმაზე მეტს მიაღწიოს ვიდრე მიაღწევს სხვა. და ამ სიხარბეს არ უჩანს დასასრული. ჰეი მეგობარო, თუ გინდა დავნიძლავდეთ, რომ სულ ბოლოს ვერც კი გაიაზრებ რომ უკეთესის ძიებაში, იმასაც დაკარგავ რაც უკვე გაქვს და უფრო მეტის, მეტის და მეტის შოვნის მცდელობაში, ისიც თავზე ჩამოგენგრევა, რაც აქამდე სიმწრით გიშენებია. და როდესაც, შენი დამძიმებული, სიხარბით გამოჭედილი გონება ამ ყოველივეს გაიაზრებს, შენ უკვე აღარ გეყოლება გარშემო აღარავინ და აღარ გექნება აღარაფერი და მიხვდები რომ აი სწორედ მანდ დასრულდა შენი ცხოვრება. მერე იბადება კითხვა - საერთოდ რიღასთვის მიცხოვრია? რიღასთვის მიწვალნია? არ ჯობდა ჩემი უბრალო მანქანა, სოლიდური შემოსავალი, ლამაზი მეუღლე და მხიარული მეგობრები მეკმარა? არა! ადამიანი ჭკვას ვერაფრის დიდებით ვერ სწავლობს და ვერც აწი ისწავლის. ისეთები, როგორიც მეგია კი სამ საუკუნეში ერთხელ თუ დაიბადებიან. აქედან გამომდინარე, ადამიანებმა ერთმანეთს ხელიდან ხელში სიკეთე თუ არ გადავეცით და ერთხელ და სამუდამოდ ის შურით ანთებული თვალები თუ არ დავხუჭეთ, სამყაროს რომელშიც ახლა ვცხოვრობთ, არც არაფერი ეშველება!

ჩემი რიგი რომ მოვიდა, ათასგვარი მტკნარი სისულელით (რომელიც სამწუხაროდ დღევანდელი მწარე რეალობაა) უკვე ისე მქონდა ტვინი გამოჭედილი, რომ მეგონა სადაც იყო თავი გამისკდებოდა და ყველა ჩემი ფიქრი თუ განცდა ჩემს გარშემო მყოფებს გადამდები თეთრი სიბრმავესავით შეეყრებოდათ. მითხრეს მხოლოდ თხუთმეტი წუთი გაქვსო. რა უნდა მექნა, ჯანდაბას - მეთქი. როგორღაც ეს დრო ლალისთან შესარიგებლადაც და სიმართლის გასარკვევადაც უნდა მეკმარა. ლალის რომ გაუგია მნახველი ჰყავდა, გამოსვლაზე უარი განუცხადებია. ნეტავ, ვინმეს ელოდა, თუ რატომ იუარა გამოსვლა? ამის გამო, ნებართვა ავიღე და მეთვითონ შევედი მასთან. იქაურობის დანახვამ მარტი და ყველა ის სიგიჟე ამომიტივტივა გონებაში, რაც ლალისთან ერთად ვითომდა მარტშივე ჩავტოვე. გულის რითმი შეშინებული ღამურასავით ამითამაშდა. ლალი მე აშკარად არ მელოდა. ჩემს დანახვაზე ერთი წამით სულ დაიბნა, სიფათი მთლიანად წაეშალა და საერთოდ ვერაფრის თქმა მოახერხა. მერე დავინახე როგორ აუცრემლიანდა თვალები და სწორედ ის მომენტი დადგა, რომელიც ბოლო მიმდინარე შვიდი დაუსრულებელი თვის განმავლობაში

შვიდასჯერ მაინც მქონდა წარმოდგენილი, მაგრამ რატომღაც ისე არაფერი არ მომხდარა როგორც იმ წარმოდგენებში. ლალი მომიახლოვდა და მთელი ძალით გადამეხვია. იმ მომენტში დამერწმუნედ, მე უფრო დავიბენი, რადგან ჩვეულებრივ ეს მის საქციელებს არ ჰგავდა. შესაბამისად მეც არ ვიცოდი რა უნდა მექნა, ან რა მეთქვა. იქამდე მოფიქრებულიც ხომ სულ გადამავიწყდა და რამოდენიმე ხანი ადგილზეც გავშეშდი, იმის მკითხაობაში, მისთვის ხელი მეც მომეხვია თუ არა.

-შვილო, - აღმოხდა მიწურული ხმით ლალის, - შვილო, ჩემო შვილო!

და მე მომეჩვენა, რომ ყოველ "შვილო"-ს წარმოთქმაზე, მკლავებს უფრო მაგრად მხვევდა.

-რამხელა გაზრდილხარ! - ძლივს მოახერხა რამის თქმა, ნელა დამეხსნა და აცრემლებული თვალებით ამომხედა. კინაღამ გული არ გამისკდა, ისეთი სევდიანი იყო მისი თვალები, - აბა დამენახე, ეს რა არის, მწვანე მაისური? როგორ ჩამომხმარხარ, აი აქ ძვლებსაც კი დაგითვლის კაცი! საჭმელს სულ არ ჭამ? შენს თავს სათანადოდ არ უვლი? ხომ არაფერი გიჭირს? ჩემო ბიჭო...

ლალი ხელახლა გადამეხვია. გაუთავებლად მეხუტებოდა და მეფერებოდა. გავვოგნდი. ჩემს შვიდასივე წარმოდგენაში ის იქიდან გაყვანას მთხოვდა და ისევ მხოლოდ თავის თავზე იფიქრებდა როგორც ყოველთვის! და არ ვიცი... ჩვეულებრივ ისე მოიქცეოდა, როგორც მას სჩვეოდა და ისეთ რამეს მეტყოდა, რომ საშინლად მაწყენინებდა და მეც ყველაფრის თქმას გადავიფიქრებდი, უკანმოუხედავად წამოვიდოდი და იქ აღარც არასოდეს დავბრუნდებოდი. მე ამის მართლა მჯეროდა. მაგრამ, რატომღაც ასე საერთოდ არ მომხდარა. შოკში ჩავარდნილი ვუცქერდი ლალის ყველა ქცევას და ვისმენდი თითოეულ სიმწრით წარმოთქმულ სიტყვას, რომელიც მის ბაგეებს დანანებით სცდებოდა.

-ვერც წარმოვიდგენდი თუ ჩემს სანახავად შენ მოხვიდოდი, თორემ ხომ გამოვიქცეოდი არა? ნიკა, აბა შემომხედე, რაიმე გიჭირს? რა გინდა აქ? ძალიან მენატრებოდი... მომიყევი, როგორ ხარ?

-დედა...

ამ ერთი სიტყვის თქმა მოვახერხე მხოლოდ. უბრალოდ ვერ შევძელი გაგრძელება, რადგან ეგრევე ცრემლები გამეჩხირა ყელში, რომლებიც ვერაფრის დიდებით ვეღარ გადავყლაპე და ეგრევე ნიაღვარებად წამომსკდა, ისე რომ მეგონა მალე გავიგიდებოდი. თავი უზომოდ დამნაშავედ ვიგრძენი რომ შვიდი თვის მანძილზე ერთხელაც არ ვინახულე ის. დაუჯერებელი რამ მომხდარა! დედა სულიერადაც და ფიზიკურადაც, სრულიად სხვა ადამიანი გამხდარიყო. თმა ჩვეულებრივზე მეტად ჩამოზრდოდა. მის ყოველთვის წითლად გადაღებილ თმებში ახლა ჭაღარისფერი სიმები შემოპარვოდა აქაიქ. მის ყოველთვის მკაცრად გადაწკეპილ დიდ, სწორ შუბლზე ახლა დარდის ზოლებს შემოერჩინათ საცხოვრებელი. ადგილს მოვწყდი და მთელი წლების დაგროვილი მონატრებით მივიხუტე გულზე დედაჩემი. და ზუსტად იგივე ემოცია განვიცადე, როგორიც მაშინ ვანილის ნაყინის გასინჯვისას. რაღაც თითქოს ნაცნობი, მაგრამ ამავდროულად უცნობი... რაღაც მშობლიური და თან უცხო... ნოსტალგია მის სურნელზე, სითბოზე, დედობრივ ზრუნვასა და სიყვარულზე. ჩემი ცრემლების ნაკადი აღარაფრით წყდებოდა, მაგრამ დრო არ ითმენდა. როგორღაც ემოციები გვერძე უნდა გადამედო, დროებით მაინც.

-დედა, როგორ ხარ? - ძლივს ამოვხეთქე და თავადვე გავიკვირვე, რაოდენ უცნაურადაც ჟღერდა ეს სიტყვები ჩემი პირიდან. რაღაც მომენტში ამის გამო გამეცინა კიდეც.

-მე კარგად ვარ ნიკა, - თვითონაც გაეღიმა, - შენ? შენ როგორ ხარ, აღარ მეტყვი რატომ მოხვედი?

ის, რომ ჩემი მასთან დანახვა ასე ძალიან უკვირდა, თავს ასმაგად დამნაშავედ მაგრძნობინებდა.

-მე შენი შვილი ვარ! - წარმოვთქვი როგორც შემეძლო სიმტკიცითა და გარკვევით.

-შვილი, რომელიც ჩემნაირ დედას არ იმსახურებს!

-გეყო ისე ლაპარაკი, თითქოს მე გადასარევი შვილი ვიყო! საერთოდაც, ჩვენ, ადამიანები ცუდები ვართ, მაშინ როცა შეგვიძლია კარგები ვიყოთ დედა.

-ადამიანებს შეუძლიათ, მე კი არა. მე არ შემიძლია კარგი ვიყო, ნიკა!

გულში მწარედ გადავიხარხარე. ახლა მივხვდი მას რამდენად ვგავდი. საუკეთესო დედის საუკეთესო შვილი! ირონიაა თუ კარმა? ბედისწერაა თუ სამყაროს შეთქმულება? სატანა პირადად მე დამცინოდა როგორც ვატყობდი.

-ცდები! - მივუგე მალევე, - ეს ყველას შეგვიძლია! მე თუ შევძელი, მაშინ შენც შეძლებ, მთავარია სცადო.

-ვცადო? რისთვის?

-ჩემთვის!

-შენ უჩემოდ უკეთესად ხარ, განა თავად არ თქვი?

იქვე ჩამოჯდა, თავი ძირს დახარა და სახეზე ხელები აიფარა. მე გვერდით მივუჯექი.

-არ არსებობს ცოდვა, რომელსაც ღმერთი არ მოგიტევებს, - ხელები ჩამოვაღებინე და გავუღიმე, - მოინანიე და მოგეტევება, გაბედე და დაგიფასდება. დამიჯერე, სცადე და აუცილებლად გამოგივა! აბა მითხარი, ჩვენ ერთმანეთს რა არ უნდა ვაპატიოთ, როცა თავად ქრისტემ ჯვარცმა გვაპატია?

-შენს თავს არ გავხარ, - მიპასუხა აღშფოთებულმა და გაოცებული მომაშტერდა. მეც ხომ ზუსტად იგივეს თქმა მსურდა მისთვის.

-შენს თავს არც შენ გავხარ. როგორც ჩანს ბოლო დროს ორივე ჩვენგანი შევუცვლივართ ცხოვრებას...

-და არ მეტყვი რა ჰქვია მაგ შენს ცხოვრებას?

-რანაირად მიხვდი?

-ეჰ ნიკა, სხვა თუ არაფერი ხომ მე გაგაჩინე...

-მაგის დროც მოვა დედა, გპირდები. დრო ხომ თავზე საყრელად გვაქვს!

და ზუსტად ამ სიტყვების წარმოთქმისას, დარაჯმა საკანში შემოგვძახა:

-ხუთი წუთი!

ორივეს გულიანად გაგვეცინა, თუმცა მხოლოდ სიმწრის სიცილით. მერე სახე ისევ დაუღონდა და თვალებიც ახლიდან აუწყლიანდა.

-დე, აქედან გაგიყვან, მენდე.

-შენ იყავი კარგად, შვილო...

-მე... რაღაც მინდოდა მეკითხა, - უკვე დრო იყო. როგორღაც ეს ნაბიჯიც უნდა გადამედგა. ძალღონე მოვიკრიბე და გავაგრძელე, - ოღონდ, შენ არ ინერვიულო. უბრალოდ, მჭირდება რომ ვიცოდე, კარგი?

-რა ხდება, რა უნდა იცოდე?

-რა და... მე მაინტერესებდა... აი ის ტიპი, იმ ღამიდან, - შესაფერისი სიტყვა ვერაფრის დიდებით ვერ ავარჩიე. და განა არსებობდა, რო? - აი ის, მოკლედ...

-დემონი? - სახე გაუმკაცრდა ლალის და ხმა ერთიანად აუკანკალდა. ეს იმას ნიშნავდა რომ სწორი ვიყავი, რომ ნამდვილად ის იყო. ძარღვებში სისხლი ჩამეყინა.

-ხო ეგ, მასე რატომ ეძახიან?

-ნიკა, თუ ოდნავ მაინც გიყვარს დედაშენი, მასზე მეორედ აღარ მკითხო... აღარასდროს!

-მაგრამ, უნდა ვიცოდე, მჭირდება რომ ვიცოდე. შენ კიდევ ვალდებული ხარ მითხრა!
-რატომ? რატომ გაინტერესებს? ნუთუ...
-დედა!
-რამე იცი?
-რაზე ამბობ, რა უნდა ვიცოდე?
დავვეჭვდი. ლალი კვლავ ცრემლების ღვრას მოჰყვა.
-ნიკა, ახლოს ნუ გაეკარები, გეხვეწები.
-დედა რა დაგემართა?
-გთხოვ, გემუდარები...
-ნუ ტირი, უბრალოდ რაც მასზე იცი მითხარი, ძალიან გთხოვ.
-რატომ?
-ახლა თუ მეტყვი გეფიცები ასო "დ"-დან დაწყებულ სიტყვასაც აღარ გიხსენებ. ან საერთოდ სად გაიცანი?
-არ შემიძლია თქმა!
-დედა...
-ნიკა, მე დავხურე ეს თემა, მორჩა! ნუღარ ჩამეძიები...
-შენთან რა უნდოდა? გემუდარები, ეგ მაინც მითხარი...
-დრო ამოიწურა! - გავიგონეთ ხმა.
-ბატონო მომისმინეთ, - ახლა დაცვას შევევედრე, - სიკვდილ-სიცოცხლის საქმეს განვიხილავთ, აი ეს ქალი დედაჩემია, რომელიც შვიდი თვეა არ მინახავს. ძალიან გთხოვთ, ხუთი წუთი კიდევ დაგვითმეთ, ღმერთი გადმოგხედავთ.
-სამწუხაროდ, ამას მე არ ვწყვეტ ახალგაზრდავ.
რაღა ახლა?
-დედა...
-შმაგი!
-რა?
-მორჩილაძე შმაგი! ეს არის მისი ნამდვილი სახელი და გვარი. იმდენი მტრები ჰყავდა რომ სახელი გადაიკეთა. ძალიან საშიში ადამიანია. წლებია თავს ნარკოტიკების გასაღებით ირჩენს. ბოლო დროს ვიღაც გავლენიან ტიპებს შეეკრა და ჰაკერებს გამოერია. არ ვიცი რა საქმეებს ხლართავდნენ ერთად. მხოლოდ ეს არის რაც მასზე ვიცი, მაგრამ გთხოვ თუ რამე გაიგე, მე არ დამადანაშაულო და არც გამოძიებას გაჰყვე, თორემ შეიძლება ცუდად დასრულდეს. გთხოვ, უბრალოდ შეეშვი ყველაფერს და შენ შენი ცხოვრებით იცხოვრე. საერთოდ აჯობებს მაგ სახელსაც თუ დაივიწყებ. შევცდი, შენთვის ესეც არ უნდა მეთქვა...
-დრო ამოიწურა!
რას ნიშნავდა ეს სიტყვები? სულ დავიბენი.
-აქედან გამოგიყვან, - შევპირდი და ბოლოჯერ გადავეხვიე. ეს ინფორმაცია ამ დროისთვის საკმარისი უნდა ყოფილიყო. თუმცა, ვერაფრით ვიგებდი დედაჩემის ნათქვამ ბოლო სიტყვებს და ვერ ვშიფრავდი მის გაფრთხილებებს - "არც გამოძიებას გაჰყვე, თორემ შეიძლება ცუდად დასრულდეს." ნუთუ მან ყველაფერი იცოდა? მაგრამ როგორ? ან კიდევ რატომ უნდა დამედანაშაულებინა ის? რა იყო ისეთი, რაც მე არ ვიცოდი? რატომ აღარ უჩანდა ბოლო ამ ლაბირინთს?
მე დავიღალე...
იქიდან პირდაპირ კატოსთან წასვლა გადავწყვიტე. დავგეგმეთ, რომ ერთად გავუვლიდით მეგის ჩვენს შეკრებაზე წასასვლელად და როგორც იქნა ჩემი ქალბატონების გაიცნობდნენ

ერთმანეთს. გზაში ისევ ლალიზე მეფიქრებოდა. ანდაც, როგორ შემეძლო ყოველივეს შემდეგ ეს არ მექნა... როგორ შემეძლო ის მომენტები თავიდან ამომეგლიჯა... მერე უსცრად მისი პირვანდელი რეაქცია გამახსენდა ჩემი დანახვისას და ის სურათი ახლიდან რომ წარმოვიდგინე, ერთიანად დამცხა. უსამართლო ვიყავი! მისი განსჯის უფლება მე არ მქონდა და ახლო მომავალში ამას აუცილებლად გამოვასწორებდი...

მეგი

-გამარჯობა კატო, მე მეგი ვარ, - თამამად გავუწოდე ხელი გოგონას. ჩვენს შორის რაღაც უსიამოვნო დაძაბულობა მხოლოდ იქამდე იგრძნობოდა, სანამ თავისი სასიამოვნო ღიმილით თბილად არ გამიღიმა და არ მითხრა:

-ვერც კი წარმოიდგენ როგორი გახარებული ვარ, რომ როგორც იქნა შენი გაცნობა შევძელი მეგი.

თვალები ყოველი შემთხვევისთვის გავაპარე ნიკასკენ და დავინახე შვებით როგორ ამოისუნთქა.

-იცი, რაღაც პერიოდი ისიც კი მეგონა რომ არ არსებობდი და მხოლოდ ნიკას წარმოსახვის ნაყოფი იყავი, - გამიმხილა კატომ. ამაზე ნიკამ ხელახლა შეკრა წარბები და რაღაც უსიამოვნისთვის მოემზადა. უცებ ვერაფრის თქმა მოვახერხე. აბა რას ნიშნავდა რომ "მხოლოდ ნიკას წარმოსახვის ნაყოფი ვიყავი" და მეტი არაფერი?

-როგორც ხედავ, - დავძინე ბოლოს ირონიით, - ნამდვილი ვარ! და იმდენად ნამდვილი რომ ახლა შემიძლია ეს კარი გავაღო და შიგნით შეგიპატიჟოთ.

ნიკას ეშმაკურად ჩაეღიმა. მე ჩვენი პირველი შეხვედრა გამახსენდა პირველი დაშორების შემდეგ. ვიცი რომ მასაც.

-საუბარი ფინჯანი ჩაის სანაცვლოდ? - დავამატე და ნიკას ორაზროვნად გავუყარე თვალი თვალში. იმ დღეს ხომ მანაც სწორედ ასე შემომთავაზა დარჩენა. ახლა ორივე მოგონებებში გადაჩეხილი ღიმილით შემოვიფარგლეთ. კატო ვერაფერს მიმხვდარიყო და თითქოს ეს გაურკვევლობა აღიზიანებდა.

-რა იყოთ, - წამოიძახა გოგომ, - თავი მძაფრ სიუჟეტიან მელოდრამაში მგონია.

-არა ხარ, რო? - ვუპასუხე და ჩავიხითხითე.

-უკვე მომწონხარ, ხო იცი შენ! -აკისკისდა კატო. ნიკა ზავის სანაცვლოდ აყვანილი მძევალივით გაჩუმებული იდგა და კუდუკან დაგვყვებოდა. ასეთ უცნაურს პირველად ვხედავდი. ნეტავ სულ რამდენნაირი სახე ჰქონდა? შესასვლელი კარი რომ გავაღე, კატომ გამაჩერა:

-არ ჯობია აქვე ჰაერზე დავსხდეთ? თან ძაან მალე გასასვლელები ვართ.

-კაი, როგორც გინდა. მაშინ წავალ რამეს მოვამზადებ. ცივ სასმელს დალევთ ხო?

-ძალიან მცხელა, ცივ ყავაზე უარს არ ვიტყოდი, - შემითანხმდა კატო და ეზოში მდგარ სავარძელში მოკალათდა.

-მე დაგეხმარები, - უცაბედად ამედევნა ნიკა.

-არ მგონია ახლა ეგ კარგი იდეა იყოს ნიკ, - გავუღიმე და მხარზე ხელი მაზად დავადე. კატო ეგრევე ყველაფერს მიხვდა და ადგილიდან წამოხტა.

-როცა მე ვარ აქ, ვითომ შენ რატომ უნდა დაეხმარო? - თვალი ჩამიკრა. ერთად გავემართეთ სამზარეულოსაკენ.

-მეღადავები? სახლია თუ რომანოვების სასახლე? - აღვრთოვანდა კატო და მთლიან მისაღებს მოავლო თვალი.

-ნუ აზვიადებ, უბრალოდ სახლია. აქეთ წამო...

-ამას ეძახით სამზარეულოს?

-როგორც ხედავ...

-ეს სამზარეულოა თუ კოსმოსი? როგორი გემოვნებიანი ქალი ყოფილა დედაშენი...

კარადიდან გამიღებული სამი მინის ჭიქა უეცრად ხელიდან დამისხლტა და კინაღამ ერთიმეორის მიყოლებით ძირს არ დაენარცხა. კატო ეგრევე მომვარდა.

-რა გჭირს კარგად ხარ?

-მე დედა არა მყავს.

-ღმერთო ჩემო, ბოდიში! მე... მართლა არ ვიცოდი...

-არაფერია, საიდან უნდა გცოდნოდა.

-აუ, რა იდიოტი ვარ!

-დაივიწყე, მოდი მალე მოვამზადოთ რა. ახლა ის უფრო არ მინდა გარეთ შემთხვევით გასული მამაჩემი ეზოში ნიკას გადაეყაროს.

-მესმის შენი, რაც მამაჩემი ჩამოვიდა ნიკა ჩემთან აღარ მოსულა.

დავიძაბე და უხერხულად ჩავახველე.

-მართლა?

-ნიკა, - წამოიწყო ისევ კატომ, - გიყვარს, ხო?

ახლა უკვე ზუსტად ვიცოდი რომ მას ჩემთან განმარტოვება სწორედ ამ საუბრისთვის სურდა.

-პასუხი ხომ ისედაც იცი.

-გადამოწმება მინდოდა.

-ის ხომ შენთან ისედაც გულახდილია არა?

-ზედმეტადაც კი.

"ზედმეტადაც კი"?

-მაგრამ, ეს შენთვის აშკარად გულახდილობაზე მეტია, - გავბედე და მივახვედრე რომ მე ყველაფერი კარგად მესმოდა.

-შაქარი რამდენი ჩავყარო? - არ მესმის რატომ წამოიწყო ის თემა, რომლის გაგრძელებაც საერთოდ არ სურდა.

-კატო, არ გინდა დამიჯერე. ასეთი დაძაბული ნუ იქნები და ჩემთან ნურაფერზე იღელვებ. თანაც... გრძნობები ხომ კარგია.

-ყოველთვის არა.

-მაგრამ შენში ხომ დადებით ემოციებს მაინც იწვევს?

-ამას როგორ ამბობ?

-რას?

-ასეთი კარგი როგორ ხარ... თურმე ნიკა მართალს მეუბნებოდა.

-თქვენ რა ჩემზე ლაპარაკობდით?

-აბა რა! და იცი რა მითხრა?

-რაო?

-რომ გაიცნობ აუცილებლად შეგიყვარდებაო.

კატოს გავუღიმე და ლანგრით ხელში ნიკასკენ გავემართე.

-მეგი, - მისაღებში გამაჩერა კატომ.

-გისმენ.

-იმედია სამზარეულოს საუბარი ჩვენს შორის დარჩება.

-დარდი არ გქონდეს...

ეზოში სიცილ-სიცილით დავბრუნდით. ნიკამ ამაზე პროტესტი გამოთქვა.

-რაო? ახლა თქვენ ორნი არ ჩადაქალდეთ რა, თორე გეფიცებით მართლა ვიეჭვიანებ.

-იეჭვიანებ როგორც მეგობარი თუ, გგონია რომ გოგოს აგახევ? - მხარი გაჰკრა კატომ. ამჯერად სამივეს სიცილი აგვიტყდა. ყავა სასწრაფოდ ჩამოვარიგე, მეც იქვე მათ პირდაპირ მოვთავსდი და ვიკითხე:

-მალე უნდა გავიდეთ, ხო?

-კი, ხუთ წუთში დავადგეთ გზას, - მიპასუხა კატომ.

-ლიზიკოც წამოვა? - დაინტერესდა ნიკა.

-ხო, ახლა სახლში არაა, მოგვიანებით შემოგვიერთდება.

-ლიზიკო ვინღაა? კიდევ ერთი სევრია ჩვენი სამკუთხედის ასოციაციიდან? - წამოიძახა კატომ და ყავა მოწრუპა.

-დებილო, მერე ეგ რანაირი სამკუთხედი გამოვიდოდა? - ჩაერია ნიკა.

-აბა ოთხკუთხედი? ოო, რას დამცინი, ვინაა?

-აი ეგ ძალიან ძნელი სათქმელია, მაგდენის ახსნა მეზარება.

-მეკაიფები?

შესჩივლა კატომ. მე ნიკას დავუბღვირე და ისევ გოგოს მივუბრუნდი:

-არაფერი რთული აქ არ არის, ლიზა ჩემი ბავშვობის დროინდელი მეგობარი და ამავდროულად მამაჩემის მეუღლის დის შვილია.

-არა, არაფერი რთული არ არის, საიდან!

-ნიკაააა! - მე და კატომ ერთდროულად შევძახეთ, მერე კი მან ტაში შემოჰკრა:

-რა მაგარია! რაც მეტი მეგობარი მით უკეთესი! თანაც, გული მიგრძნობს ყველაფერი კარგაფ წავა.

-როგორი პოზიტიური გოგო ყოფილხარ შენ. აქამდე რატომ არ გაგიცანი ნეტა?

კატო მართლაც ყველანაირად საინტერესო გოგონა იყო მოხდენილი ნაკვთებით, საუცხოო მოყვანილობის აზიური თვალებითა და პატარა ცხვირით. ეს ვთქვი, მაგრამ გულში ზუსტად ისეთი განცდა დამეუფლა, როგორც მაშინ როცა ნიკამ ის სულ პირველად ახსენა. მე ვიეჭვიანე! უკვე ვიცოდი მათი გაცნობის ისტორია, რომელიც ზედმეტად უცნაური და ასე ძალიან ჩამთრევი იყო... მათი ისტორია!

-რა პოზიტიური გოგო, იმენა დეპრესიაა, - ამოიხახანა ნიკა.

-ენა ჩაიგდე შენ, - ვუსაყვედურე.

-ხომ გაიგონე მეგიმ რაც გითხრა? - გამომეხმაურა კატოც.

-აა, ესე იგი ორი ერთზე, არა? კაი, გაგებუტეთ ორივეს.

მის ამ ბავშვურ გამომეტყველებაზე და საქციელებზე გამეცინა. მთელი გზა გვებუტბუტა დათქმულ ადგილამდე, როგორც მივედით ლიზა და ლევანიც მოგვყვნენ და ვერანდაზე დიდი სუფრა დავჯავშნეთ. ნიკამ გამოაცხადა ჯერ დავიცადოთ, ვნახოთ რამდენი მოვქუჩდებითო. სუფრა ნელ-ნელა მართლაც ივსებოდა. როცა ლიზა ჩვემთან ახლოს მოვიდა, მასაც გავაცანი კატო.

-ეს ის კატოა? არ არსებობს!

ღმერთო... ის ყოველთვის ასეთი თავშეუკავებელი იყო! მაინც არ მესმის ადვოკატობას რანაირად აპირებს, როცა თავისუფლად შეუძლია ბრალდებული ან სულაც მოსამართლე ადგილზევე მიახრჩოს. მის ამ უტაქტობაზე წამით დაძაბული სიჩუმე ჩამოვარდა. მივხვდი რომ რაღაც უნდა მეღონა, თუმცა დიდი ვერაფერი მოვიფიქრე.

-ლიზ, - გავიღიმე სიტუაციის განსამუხტად.

-ანუ, ვიგულისხმე რა მაგარია შენი გაცნობა მეთქი! შენი თმა ძალიან მომწონს...

კატოს მოკლედ გადაჭრილ ღია იისფერ თმებს რაღაც მომენტში მეც მივუშტერე თვალი. მართლა ძალიან უხდებოდა.

-მადლობა. მე კიდევ შენი კაბა მომწონს, სად იყიდე?

-ჰმმ... მეგიმ მაჩუქა. შენ თამაშში მართლა იყავი?

გამაგიჟა ამ გოგომ! მალე ჩემთან ნიკა გადმოჯდა და ჩამჩურჩულა:

-არაფერი შეგიკვეთავს, არ გშია?

-სპეციალურ დიეტაზე ვარ.

-ვიცი მე შენი დიეტა!

-შენ კიდევ დედაშენთან შეხვედრის ამბავი არ მოგიყოლია, კატოსთან ედთად აღარ გკითხე.

-გეკითხა რა, კატოს მაინც არაფერს ვუმალავ.

-ვა, მართლა?

-ხო. შენც მოგიყვები მერე, არ დაიგრუზო, - მითხრა და ლოყაზე მაკოცა. არ დაიგრუზოს თქმა ამ ყველაფრის მერე როგორი ადვილია. კატოს არაფრს უმალავს თურმე...

-და კარგად ჩაიარა? - ვკითხე ეჭვნარევი, ჩუმი ხმით.

-საკმაოდ...

ამ გაცნობის რიტუალებისა და სადილის დასრულების შემდეგ, ნიკა ფეხზე წამოდგა, ვერანდას გადაეყრდნო და სიგარეტს მოუკიდა. მისი ადგომისთანავე კატოც წამოდგა, მასთან მივიდა და ღერი ხელიდან გამოსტაცა. ჩემდა გასაოცრად ნიკამ მას მხოლოდ გაუღიმა, ისე გაუღიმა როგორც მე მიღიმოდა ხოლმე და ასე უხმოდ განაგრძეს დგომა. თითქოს

უთქმელად საუბრობდნენ და ისე უსიტყვოდ ესმოდათო ერთმანეთის... საშინლად დამცხა, სოდიან წყალს ხელი დავავლე, ჭიქაში ჩამოვისხი და ერთიანად გადავკარი. ლიზა თვალებით მეუბნებოდა ბიჭს გახევენ გოგო რას უზიხარო, მაგრამ ახლა დრამების და ეჭვიანობების დრო არ იყო. თანაც ისინი ხომ მხოლოდ მეგობრები იყვნენ, ნიკა მე არასდროს მიღალატებდა. მალე ის ჩვენსკენ შემობრუნდა, ლიზამაც ამოისუნთქა და მეც მაშინვე გავხსენი შუბლი რომ ჩემთვის არაფერი შეემჩნია. ნიკამ საუბარი დაიწყო:

-კარდით ბავშვებო, დროა საქმეზე გადავიდეთ, არა?

სანამ ყველა დაეთანხმებოდა, უნებურად თვალი მოვკარი ვერანდაზე უდარდელად როგორ გამოვიდა 'ბიჭი ბათუმიდან' და წამით მაშინდელი შიში მთლიანად განმიახლდა, ავცახცახდი. გამახსენდა მისი უაზროდ, მაგრამ საშიშად წარმოთქმული სიტყვები "მეგი რომელი ხართ?" და ისიც თუ რატომაც იკითხა, რომ შეიძლება მთელი ის დრო მითვალთვალებდა და რომ შესაძლოა სწორედ ის იყო, ვინც ნიკას სისტემატიურად ანონიმურად, სხვადასხვა ნომრიდან აწვდიდა ჩემზე ინფორმაციებს და ემუქრებოდა. ზიზღის გრძნობა დამეუფლა. აქ მოსვლა საერთოდ როგორ გაბედა? სანამ ნიკა ამის შემჩნევას მოასწრებდა და საუბარს განაგრძობდა, მე ჩემი ჭიქა სასწრაფოდ დავდგი, წამოვდექი და ნიკასთან მივედი. კატო თავის ადგილს დაუბრუნდა. გულში ვეხვეწებოდი იმ ადგილისკენ არ გაეხედა სადაც ბიჭი იდგა და შემოგვცქეროდა. მას შემდეგ რაც ნიკამ თავისი სიგარეტი ჩააქრო, თვალი ახალმოსულისკენ მაინც გაექცა, რადგან ბიჭი უაზროდ მიშტერებოდა.

-ეს აქ ვინ მოათრია? - ნიკამ მისკენ გიჟვით გაიწია, სასწრაფოდ ლევანი და კიდევ ერთი ბიჭი ჩაერივნენ, ვისი სახელიც ჯერ არ ვიცოდი. სიტუაცია წამებში დაიძაბა.

-მოგკლავ! გეფიცები მოგკლავ აქედან თუ არ მოწყდები შენ ნაბიჭვარო! - ღრიალებდა ნიკა. ასეთი ნიკასი ძალიან მეშინოდა და ეს თავიდანვე ასე იყო.

-ის კი არა, ახლა გონს თუ არ მოეგები აქედან სუყველას გაგვყრიან, - შეჰკივლა კატომ და ისიც შეერია ბიჭების ხელჩართულ ბრძოლას, რომ როგორმე დაეკავებინათ ნიკა. აი გამბედაობაც - გავიფიქრე. რამე მეც უნდა მექნა.

-აჟიოტაჟი რა საჭიროა? - თითქოს ახლაღა გამოვფხიზლდი, - ჯერ გავიგოთ რა უნდა.

-ხო, მართალია - დამეთანხმნენ ბიჭებიც.

ნიკა საკმაოდ დიდიხანი არ წყნარდებოდა. ლიზას და კატოს თვალებით ვანიშნე ბიჭი ცალკე გაეყვანათ. მაინც ვერ გავიგე რომელ მხარეს იყო ის. მესმის, ნიკამ ბათუმის ამბავი ძალიან განიცადა, რადგან ფიქრობდა რომ ვერ შეძლო ჩემი დაცვა. სინამდვილეში კი აქამდე რომ მოვედით მისი დამსახურება იყო მხოლოდ. თაზო გაიყვანეს. მე კი ნიკას ჩავკიდე ხელი და მეორე, შედარებით უფრო პატარა მაგიდასთან დავსხედით. მისი სახე ხელებში მოვიქციე. ერთიანად ცახცახებდა. შუბლი შუბლზე მომადო. მისი ეს იმპულსები დაუცხრომელი იყო, როგორც ყოველთვის. მე ვნახე გააფთრებული ლალიც, როდესაც მას ეგონა რომ ჩვენ ქურდები ვიყავით ან კიდევ მის სახლში ცუდი მიზნებისათვის შევიპარეთ, მაგრამ ეს რაღაც

ვერ ვიტყოდი რომ იგივენაირი იყო. ნიკას საუცხოო ნერვული სისტემა გააჩნდა, ისეთი როგორსაც ადამიანებში ძალიან ძნელად შეხვდები. სულ მუდმივად წყნარი, ირონიული, რაღაც მხრივ მხიარული ბიჭიც კია, მაგრამ თუ გაბრაზდა მისგან კარგი აღარაფერი რჩება. სრულიად სხვა ადამიანი იბადება, მერე კი როცა ეს სიბრაზე გადადის, თითქოს ფენიქსივით ფერფლიდან ისევ ახლიდან ღდგება ისევ ისეთი წყნარი და თავისებური, სარკასტული და თითქოს "ამჩემფეხება", თავგადასავლების მოყვარული და გულისიღრმეში ყველაზე კეთილი.

-ნიკა...

-მოვკლავ!

-თუ გიყვარვარ დამშვიდდი.

-მეგი, იმ არაკაცს შენი გატაცება უნდოდა და შენ გესმის საერთოდ რას მთხოვ?

-გაიხსენე რამდენ სისულელეს ჩადიოდი შენთვითნ, სანამ მე გამიცნობდი, გაგახსენო?

-ეგ სხვადასხვა რამეა... - ოდნავ დაცხრა და მოდუნდა, თავისსავე ნათქვამ სიტყვებში შეეპარა ეჭვი. გამოვიჭირე.

-სულაც არაა სხვადასხვა! აბა დაფიქრდი, შენ ჩემით და მას კიდევ ღმერთმა იცის ვისით ემუქრებოდნენ! იქნებ სულაც საბოდიშოდ და აზრის შესაცვლელად მოვიდა? რაც მეტი მომხრე, მით უკეთესი!

-მას არ მივიღებ!

-შენი მაგ სიჯიუტის გამო, ყველაფერი არ დაანგრიო ფრთხილად იყავი! ეს თამაში არ არის, ჩვენი, სუყველას სიცოცხლეს საფრთხეში აყენებ და რის გამო? მხოლოდ და მხოლოდ შენი პრინციპების! იცოდე მერე სანანებელი არ გაგიხდეს...

-რას გულისხმობ?

-ვინ იცის...

-მეგი!

-უბრალოდ მოუსმინე, მეტს არაფერს გთხოვ.

არც მე მსიამოვნებდა ის რაც ხდებოდა, არც ის ფაქტი რომ ის ტიპი უნდა მიგვეღო. იმ ყველაფრის ფონზე თუ რაც აქამდე ჩაიდინა, ზედმეტად საეჭვო იყო მისგან ეს ჟესტი ახლა. გულისიღრმეში მე ვემხრობოდი ნიკას. უბრალოდ მისთვის აზრი რომ არ შემეცვლევინებინა, ნამდვილად ცუდი რაღაც მოხდებოდა. ამ დროს ისინიც დაბრუნდნენ და თაზო ჩვენთან მოვიდა. გოგონები თავის ადგილებზე დასხვდნენ და საუბარი გააგრძელეს. შიგადაშიგ

მზერა ჩვენსკენ გამოურბოდათ და ახალი ამბის გაგებას მოუთმენლად ელოდნენ. მერე გავიგონე გოგონამ, რომელიც შეკრებაზე ვიღაც უცნობ ბიჭთან ერთად მოვიდა წითელი ღვინო როგორ შეუკვეთა. ამ გოგოს სხვანაირად ეცვა, თვითონაც სხვანაირად გამოიყურებოდა. ვიცი რომ ადამიანების გემოვნება ბევრნაირია, მაგრამ მისი ეს ზედმეტად გოთური სტილი თითქოს უკვე მის ხასიათზეც კი ასახულიყო. რაღაც უცნაური "წიკები" სჭირდა, ოდნავ მაშინებდა კიდეც. თვალი რომ მივუშტერე, დავინახე ლიზას ტელეფონით კატომ როგორ დაიწყო შეტყობინების წერა და მეც ეგრევე მომივიდა ესემესი. ტელეფონს დავხედე. ეწერა: "თავიდან მეც ეგრე მეცვა :p" ისევ კატოს გადავხედე და შევეცადე გამეღიმა მაინც. ლიზამ მანიშნა ხო მაგარიაო, სულელი. ახლა ღვინოს დალევენ და სუ გადაირევიან - გავიფიქრე. თაზომ ლაპარაკი რომ დაიწყო, ისევ დავბრუნდი იქ სადაც ვიჯექი და გავიაზრე ის თუ რაც ხდებოდა და მას ყური დავუგდე.

-მეგი, მისმინე მე ბოდიში მინდა მოგიხადო... ვიცი ჩემს საქციელს გამართლება არ აქვს და ბოდიში იმას არ შეცვლის რაც მე ჩავიდინე, არც არაფერს გამოასწორებს ახლა, მაგრამ...

ოდნავ გამიკვირდა საუბარი ჩემი მისამართით რომ დაიწყო. ნიკას ჩაკიდებულ ხელზე ხელი მაგრად მოვუჭირე.

-იქ რა გინდოდა? მითვალთვალებდი? - საუბარი რაც შემეძლო წყნარად დავიწყე. რათქმაუნდა მითვალთვალებდა, ამაში ორი აზრი არ იდო, რა უაზრობა ვკითხე. ნიკა ჯერ-კეროზით გაჩუმებული იჯდა ისიც ჩემი ხათრით და მაქსიმალურად იკავებდა თავს.

-ჩემი ექვსი წლის და ყავდათ გატაცებული, სხვა გზა არ მქონდა...

წამიერად მაგრად მოჭერილი ხელი მომილბა და სიბრალულით ავივსე.

-ცრუი! - ჩაისისინა ნიკამ და ახლა თვითონ ჩამჭიდა ხელი.

-ძმაო, ამ თამაშმა მთელი ჩემი სიცოცხლე შეიწირა, განა არ გახსოვს? - ჯიბიდან ხელი ამოიღო და სანახაობამ საშინლად შემზარა. უნებურად წამომეკივლა.

-ხატვა ჩემი სიცოცხლე იყო, ეგ კი არა ნახატებს ვყიდდი და ოჯახს იმ ფულით ვარჩენდი... განა რამდენი იყო, მაგრამ ახლა ეგეც... ეგეც - ბიჭს ხმა ჩაუწყდა.

-ეგ ნაბოზრები! თურმე ეგ მარტო ჩემ შემთხვევაში არ იყო არა? - გინებას მოჰყვა ნიკა.

-რაზე ამბობ? - დავვინტერესდით მე და თაზო.

-რომ თამაშმა უნდა წაგართვას ის რაც შენთვის ყველაზე ძვირფასია! ჯერ ნიჭი, შესაძლებლობა რომ თავი ირჩინო და მერე და... ყველა ჩვენი სისუსტე, ახირება, ჰობი თუ ნაკლოვანება... ყველაფერი გაზეპირებული აქვთ!

-ახლა როგორ არის შენი და? - ვკითხე.

-ეს... ეს გრძელი ისტორიაა, მაგრამ ერთ დღეს მოგიყვებით. თუმცა არ იდარდო, ახლა კარგადაა, მაგრამ ფსიქოლოგიურად დიდი ტრამვა მიიღო.

-ძალიან ძნელია, წარმომიდგენია...

უცებ ჩემს არდაბადებულ და, ან ძმაზე ფიქრი დავიწყე.

-და მეგისაც იმავეს უპირებდი? - არ ეშვებოდა ნიკა, - მაინც როგორი უნამუსო ხარ რომ ბედავ და დღეს ჩვენთან მოდიხარ!

-მეგი რომ გამეტაცებინა და სანაცვლოდ ჩემი და მოეთხოვათ, შენ თვითონ რას იზამდი? მაინც არ მესმის რატომ მწყინს, განა ერთიდაიგივე ქვაბში არ ვიხარშებით? - ნიკა გაჩუმდა, გულზე მომეშვა. თაზო აგრძელებდა, - კი ის მართალია, რომ რეალურად იმ დღეს შენს სახლთან იმისთვის არ მოვსულვარ რომ გამეფრთხილებინე, მოვედი რომ როგორმე მისთვის მიმეგნო, - ბიჭმა მე გადმომხედა. ისევ დავიძაბე, - და მივაგენი კიდეც, როცა უკან გამოგყევი.

რა თქმა უნდა! როგორც ვვეჭვობდი. ნიკამ მაგიდას მუშტი დაარტყა. შევხტი. ყველამ ჩვენსკენ გამოიხედა.

-და ახლა რაღა ჯანდაბა გინდა?

-მე მინდა რომ შემოგიერთდეთ.

-და რა ვიცი რომ ამჯერად არ მატყუებ და მომავალში უარესს არ ჩაიდენ? რა ვიცი? როგორ ნდა გენდო?

-განა ჩემი აღიარება შენთვის საკმარისი არაა?

-იცოდე ისევ თუ მატყუებ...

-კარგი, გეყოთ! - ვეღარ მოვითმინე, - ნიკა მივიდეთ უკვე სუფრასთან თორე სულ გამოთვრნენ. ხო მართლა, იმ გოგოს სულ შავებში სუფრის თავთან რომ ზის, რა ქვია?

-ეგ ლიკაა, - მიპასუხა თაზომ.

მერე ნიკა ძალით წამოვაყენე და მათთან ახლა უკვე სამივენი ერთად მივედით. რამოდენიმე წყვილი გაკვირვებული თვალი ერთდროულად შემოგვცქეროდა, სანამ ნიკამ არ გამოაცხადა ამიერიდან თაზოც ჩვენთან იქნებაო. ვიგრძენი როგორ გაუჭირდა ამ სიტყვების წარმოთქმა. -ამაზე მეტს ვეღარ ვიფიქრებდი და ამ სისულელეზე დროს ვეღარ დავკარგავდი, რადგან დრო ისედაც აღარ გვაქვსო. ამაზე ზოგმა პროტესტი გამოთქვა, ზოგიც კი მას მშვიდად დაემორჩილა. ლიზა კიდევ გაგებაში არ იყო მის გარშემო რა ხდებოდა, კატოს ერთმანეთზე მიყოლებით უცნაურ და უხერხულ კითხვებს უსვამდა და ხინკალს უდარდელად და გემრიელად შეექცეოდა.

-მორჩილაძე შმაგი! როგორც შვიტყე ეს არის დემონის ნამდვილი სახელი და ნარკოდილერი და ჰაკერია, რაც ისედაც ცხადი იყო აქამდეც. ამ ეტაპზე ამ ინფორმაციას დავჯერდებით რაც ცოტა საერთოდ არაა, რადგან ეს ინფორმაცია სანდო წყაროდან მოდის. არ მკითხოთ საიდან გავიგე, უბრალოდ იმაზე ფიქრი დაიწყეთ მისი სახელის გაგება პირველ რიგში რაში წაგვადგება და რისი გაკეთება იქნება ამ ეტაპზე ყველაზე სწორი!

-და რა დარწმუნებულები ვართ, რომ ახლა ამ შეხვედრის შესახებ უკვე არ იცის, ან კიდევ აქ მყოფთაგან რომელიმეს ტელეფონით არ გვისმენს? - იკითხა ლიკამ.

-არ ვართ! - ერთდროულად მიახალეს კატო და ნიკამ.

-თუ ჩვენს შორის მოღალატეა, მინდა იცოდეთ რომ პირველ რიგში ძალიან მშიშრები და სულელები ხართ, ზედმეტადაც კი! მერე კიდევ, ეშმაკს ახარებთ, აი ასე! - გამოაცხადა კატომ. მას სრულებით ვეთანხმებოდი.

-აბა? ვინმეს რამე იდეა გაქვთ?

-სინამდვილეში მე მაქვს, - ხელი ავიწიე მე.

ნიკამ და ლიზიმ გაოცებულებმა შემომხედეს.

-რა იყოთ? წუხელ ბევრი ვიფიქრე და როგორც იცით, ჟურნალისტიკით დაინტერესებული ვარ და საკუთარი ბლოგიც მაქვს, ჩვენ კიდევ შეგვიძლია ინტერნეტ თამაშის შესახებ ინფორმაცია დეტალებში გამოვაქვეყნოთ. ეს ნიუსი საკმაოდ პოპულარულიც გახდება და მოზარდებიც გაფრთხილდებიან. შემიძლია სტუდიაში დავბრუნდე და გადაცემაც ჩავწეროთ ამის შესახებ. ეს კი პირველი თავდასხმა იქნება ჩვენი მხრიდან!

-მართალი ხარ მეგ, - ნიკა მომიახლოვდა და თავისი მკლავები მომხვია. დავინახე კატომ თავი როგორ ჩაქინდრა. ეს უბრალო დამთხვევა იყო?

-დაა მოიცათ ეე, მერე ინტერესის გამო უფრო არ შევლენ ამ საიტზე? - წამოიძახა ლიზამ, რომელსაც როგორც იქნა დაესრულებინა ჭამა და ახლა როგორც წესი დესერტის შესაკვეთად ემზადებოდა. ისე ამაზე არ მიფიქრია, მისი აზრიც ლოგიკური იყო.

-ხოდა, ჩვენც ისე დავაშინოთ რომ ვეღარ გაბედონ... აუ, დამისხით! - ლიკას აზრიც მომეწონა. მოკლედ გადაწყდა, მეორე დღეს ლადო და მერი ბავშვის ოთახისთვის ავეჯის საყიდლად მიდიოდნენ. ყველანი ჩემთან წავიდოდით და "სტალკერზე" "ანტიცხრიანის" სახელწოდებით ახალ სტატიას გამოვაქვეყნებდით. იქ კი პირდაპირ მივმართავდით "დემონს" თავისი ნამდვილი სახელითა და გვარით. ვიმედოვნებდით რომ, ეს საქციელი მას ისე გააღიზიანებდა, რომ შეტევაზე გადმოვიდოდა. ჩვენ ვრისკავდით და არ გვადარდებდა რა შეგვემთხვეოდა. ასეთ შემთხვევაში დემონი რამე უკანონოს აუცილებლად ჩაიდენდა. მაშინ კი ჩვენ დაუყოვნებლივ მივმართავდით პოლიციას. ეს იყო ჩვენი გეგმა.

ნიკა

სხვათაშორის მეგის და კატოს ერთმანეთი არ დაუხოცავთ. მაგრამ იმ დღეს მაინც არ ჩაუვლია ინციდენტების გარეშე. პირიქით, მემგონი რომ ჩაევლო ეგ უფრო გამიკვირდებოდა. მოკლედ საქმე ასე იყო, ის ნაძირალა თაზო დაბრუნდა და მეგისთან გამოლაპარაკება რომ არ იკმარა როგორღაც ისევ შემოძვრა ჩვენთან. მეგი ასეთია, ყველა ეცოდება და ყველას ენდობა. არ მესმის როდისღა ისწავლის ჭკვას. ის რომ არა ამ გადაწყვეტილებას არ მივიღებდი და მაგ თაზოს იქიდან კინწისკვრით გავაგდებდი. აბა ვინმეს გაებედა და ჩემთვის წინაადეგობა გაეწია. დღემდე ისე აღმიქვამდნენ როგორც ლიდერს, მე კი ვერ ვიტყვი რომ ეს სიტუაცია არ მომწონდა. მომწონდა თუ როგორც ვმართავდი ამ ბავშვებს, მაგრამ რა თქმა უნდა უკეთესობისაკენ. და მხოლოდ მეგის სიტყვებმა დამარწმუნეს ისევ მაგრამ თაზოს დის გატაცების ამბავს მაინც ვერაფრით ვიჯერებდი რადგან რაღაც არარსებული ზღაპარივით ჟღერდა. ამიტომაც, ის ასე მარტივად ჩემს ნდობის წრეში ვეღარ შემოვიდოდა, როგორც არ უნდა დავთანხმებულიყავი მისი დაბრუნების ამბავს. მაგ ბიჭს ტყუილის პოტენციალი აშკარად გააჩნდა. საღამოსკენ დავიშალეთ. შეიძლება ითქვას რომ ისევ მეგიმ და მისმა იდეებმა გადაგვარჩინა. ისედაც უკვე გამსკდარი იყო ეს საქმე და კარგი იქნებოდა ამ ფაქტს საჩვენოდვე თუ გამოვიყენებდით და საზოგადოებას თამაშის შესახებ ფართოდ გავაფრთხილებდით. მაგრამ იყო სხვა რაღაც... ლალიმ მითხრა რომ მას ძალიან ბევრი მტერი ჰყავდა და მისი ნამდვილი სახელი მაგიტომ გააქრო არსებობიდან. და რა მოხდებოდა როგორღაც ისევ რომ გაეგოთ მისი ვინაობა? რა მოხდებოდა თუ მისი ძვირფასი მტრები მას ჩვენამდე გამოააშკარავებდნენ და საკადრისსაც მიუზღავდნენ? როგორც ჩანს ფრაზა - "ჩემი მტრის მტერი ჩემი მეგობარია" სრულიად შეესაბამება სიმართლეს. მეგის იდეებს ჩემსას თუ შევურწყავდი, იდეალური შედეგი დაიდებოდა. მის სტატიებში დემონის ნამდვილ სახელს და გვარს თუ ვახსენებდი მის შავბნელ საქმეებს ერთხელ და სამუდამოდ ფარდა აეხდებოდა. ფრთხილები უნდა ვყოფილიყავით ფრთხილები, მაგრამ იმდენადაც არა რომ ჩვენს გეგმებში ჩვენვე ჩავკარგულიყავით. ახლა ჩვენ ის უნდა დაგვებნია და ამავდროულად უნდა გამოგვეწვია... აშკარა იყო რომ ომი გადამწყვეტ ფაზაში შედიოდა!

როცა კატოც გავაცილეთ ადგილზე მხოლოდ მე და მეგი დავრჩით და ჩემთან გავლა შევთავაზე. დამთანხმდა. გზაში დედასთან შეხვედრის ამბავი მოვუყევი, თუმცა რატომღაც ლალის რეაქციების შესახებ არაფერი მითქვამს. არ ვიცი, რამ მაგრამ რაღაცამ რომ აშკარად მიბიძგა გაჩუმებისკენ ეგ ნათელი იყო. მეგის ძალიან გაუხარდა ჩემი და დედაჩემის შერიგების ამბავი და მის ლამაზ სახეზე ბედნიერების ბრჭყვიალა ღიმილმა გაიბრწყინა. მერე ხელი ჩამკიდა და ამაყად მომიგო:

-შენ ეს შეძელი!

-როგორც ჩანს...

-მე მხოლოდ ამაზე არ ვამბობ ნიკა. შენ ამ ბავშვების გადარჩენაც შეძელი. შენში თავიდანვე არ ვცდებოდი, შენ ნამდვილად აღმოჩნდი ჩემი გმირი!

-მერე არ იცი რომ, ყველა გმირს ჰყავს თავისი მუზა რომლის გარეშეც არაფერია?

-რას მეუბნები...

მკლავებში მოვიქციე და ლოყაზე თბილად ვაკოცე.

-რაღაცას გეტყვი, - მითხრა და ტაქსი გააჩერა, - სასაფლაომდე გახვალთ?

ჰკითხა მძღოლს და თანხმობის მიღების შემდეგ ისევ მე მომიბრუნდა, მაისურზე მომქაჩა და ტაქსში შემათრია.

-რას აკეთებ? - სიცილი ვერ შევიკავე.

-დედაშენი უკვე მოინახულე, ახლა დედაჩემის მონახულების დროა!

-მე არ ვიცოდი დედაშენიც თუ, - დავიბენი უცებ, - თუ ისიც მანდ იყო...

-არაუშავს, ნუ დაიძაბები, ყველაფერი კარგად ჩაივლის, აი ნახავ.

შეუძლებელია, როგორ ახერხებდა ასეთი სიმშვიდის შენარჩუნებას?

-მეგი, რაღაცას გეტყვი.

-მითხარი ჩემო სიყვარულო!

-მე რომ იმ ღამეს დედაშენზე მცოდნოდა... რომ მცოდნოდა იმ სიტყვებს არაფრის დიდებით არ ამოვუშვებდი პირიდან, რაც გითხარი.

-ვიცი...

-ამისთვის ბოდიშს გიხდი!

-ბოდიში ხომ უკვე მომიხადე?

-მართლა? და როდის?

-ჩემს დაბადების დღეზე, საავადმყოფოში.

-ხო?

-ხო.

-მაშინ ისე ვღელავდი, საერთოდ აღარ მახსოვს რა ვთქვი.

-სამაგიეროდ მე მახსოვს...

-ხო, მაგრამ ჩემი ლაჩრული საქციელის საპატიებლად მხოლოდ ერთი ბოდიში არ კმარა.

-ჩემთვის კი და დედასთვის ნამდვილად არ კმარა.

-რას გულისხმობ?

-მივალთ და ბოდიშს თავად მოუხდი.

-კი მაგრამ, ეგ როგორ უნდა გავაკეთო?

-შენ რა მიცვალებულისთვის არასდროს გილაპარაკია?

უმალ სერგის დაკრძალვის წინა საღამო და მისი სასწაულებრივი გამოცხადება გამახსენდა. იმასაც მივხვდი რომ ამაზე მეგისთან არასდროს მილაპარაკია. ნეტავ რომ მომეყოლა რას მეტყოდა?

-არა, - ვიცრუე უნებლიედ.

-ხშირად როცა რამე გვიჭირს, ვერ გაგვიბედავს, ანდაც თავს მარტოსულად ვგრძნობთ, როგორ გითხრა... ჩვენ თითქოს მათი სიახლოვე გვეჩვენება. ანუ ჩვენი საყვარელი გარდაცვლილი ადამიანის. გვეჩვენება რომ ჩვენს გვერდით არის, გვიცავს ან კიდევ გვაფრთხილებს. ამ გრძნობის გამო ჩვენ მათთან გამოლაპარაკების სურვილი გვიჩნდება. აი მაგალითად ყოველთვის როცა დედასთან მივდივარ, მომხდარ ამბებს ისე ვუყვები, თითქოსდა გადაშლილი დღიური იყოს... ამ ყვრლაფრის შემდეგ მე ვგრძნობ როგორ მეპარება სხეულში უჩვეულო სიმშვიდე და დარდებიც როგორღაც უმალ უჩინარდებიან. ამაზე აქამდე არ გიფიქრია?

-დაუჯერებელია!

რეალურად ეს განცდა მე ხომ ბევრჯელ მიგრძვნია! სერგის სიახლოვე, მისი გაფრთხილება... ის სწორედ მაშინ გამოჩნდა პირველად, როდესაც მის შეხებას ვერ ვბედავდი და მეორედ მაშინ, როცა სექტის შეკრებაზე მივდიოდი. მეგი მართალს ამბობდა! ეს უხილავი წმინდა კავშირი ორ მონათესავე სულს შორის ნამდვილი იყო და მნიშვნელობა არ ჰქონდა ერთ-ერთი მოკვდებოდა თუ არა... რაც მარადისობისთვისაა შექმნილი, სამარადისოდ გრძელდება!

-ადრე სკოლაში უსიამოვნებები მქონდა, - აგრძელებდა მეგი, - არ ვიცი ეს საზოგადოების ჩემს მიმართ მომართული შურის ბრალი იყო თუ უბრალოდ მართლა არავის მოსწონდა ჩემი ყოველთვის გაღიმებული სახე, მაგრამ რაღაც პერიოდი ბულინგის მსხვერპლიც კი ვიყავი.

-მართლა? ამაზე აქამდე არაფერი გითქვამს...

-ხო მართლა. მქონია დღეებიც რომ სკოლაში სიარული საერთოდ არ მსურდა. ბევრი გიჟად მთვლიდა, მანეკენს, უგრძნობს და უგულოს მეძახდა. ამის გამო ძალიან განვიცდიდი, თუმცა არ ვიმჩნევდი და გულში ვპატიობდი მათ, რადგან სინამდვილეში ჩემი საიდუმლო არ იცოდნენ. მე ყველა განცდას, ცუდ სიზმარს თუ ნატვრას ყოველთვის დედას ვანდობდი ხოლმე მხოლოდ და ვცდილობდი როგორც მამამ მასწავლა, რა განსაცდელის წინაშეც არ უნდა დავმდგარიყავი, თავი ამაყად დამეჭირა და გამეღიმა. ასეთი ვიყავი სულ. მეგი და ლადო ქათამაძეების ერთადერთი ქალიშვილი!

-ერთი წუთით... დედაშენსაც?

-დედაჩემსაც მეგი ერქვა.

ტაქსი გაჩერდა. ფული სწრაფად გადავუხადე და იქიდან გაოგნებული გადმოვედი. მეგიმ ხელი ჩამკიდა და დედამისის საფლავისკენ გაემართა. თან საუბარი გააგრძელა.

-ლადო სულ ამბობდა სამყარომ ერთი მეგი წამართვა და მეორე მომივლინაო!

-ეგ როგორ? მოიცა რა? - განცვიფრებულმა შევხედე მეგის და ემოციები ვეღარ დავმალე, - თუ სწორად მივხვდი გამოდის რომ... რა გამოდის?

-რომ დედაჩემი არასდროს მინახავს. თუმცა ის აი აქ ცხოვრობს, - ხელი გულზე მიიბჯინა და გაიღიმა, - აი აქ!

-სამწუხაროა...

-ნიკა გახსოვს რომ მკითხე კარგი ემოცია თუ მოგიტანე, რაიმე დადებითი მუხტი თუ გადმოგეციო? შენზე მეც ვიმოქმედე თუ არაო...

-მახსოვს, გრძელი ღამე იყო...

-გინდა პასუხი ახლა მოისმინო? - მკითხა და მარმარილოთი მოპირკეთებულ საფლავის შემოგარენზე შემოჯდა. როგორც ჩანს მოვსულვართ. მგონი თავი იმაზე უარესად ვიგრძენი, ვიდრე იმავე დღეს ლალისთან საკანში.

-მინდა.

აღმომხდა და გვერდით მივუჯექი. მეგიმ ღრმად ამოისუნთქა, დედამისს გადახედა, მხარზე თავი დამადო და ლაპარაკი დაიწყო:

-წარმოიდგინე როგორი საშინელი გრძნობაა როდესაც საკუთარი დედის მკვლელი ხარ...

გამაჟრიალა.

-როდესაც იცი რომ ის მხოლოდ იმიტომ მოკვდა, რომ შენ მოვლენილიყავი ამ ქვეყანას... რომ მან შენ აგირჩია და თავისი თავი გაწირა... იცი? მე სამ წლამდე საერთოდ არ ვიცოდი რას ნიშნავდა სიტყვა დედა. მე ვიზრდებოდი თბილ, პატარა ბავშვისთვის შესაფერის გარემოში მამასთან და ბებია-ბაბუასთან ერთად. მხოლოდ იმ დღეს, როცა ბაღში პირველად დამტოვა მამამ და გავიგონე როგორ გულმოსკვნით ტიროდა ყველა ბავშვი ჩემს გარშემო და

როგორ ეძახდა ვინმე "დედას", მაშინღა დავვინტერესდი თუ რას ნიშნავდა ეს სიტყვა. თუმცა, ჩემი პაწია გულის ერთადერთ სადარდებელს მამაჩემს ვერაფრით ვუზიარებდი, რადგან ეს კითხვა იმდენად პირადული მეგონა რომ ვერ გამებედა. დრო გადიოდა, მე კი ყური ზედმეტას შევაჩვიე ამ სიტყვას და უკვე ტელევიზორიდანაც მესმოდა ხოლმე... ხუთი წლის ვიყავი მამაჩემთან რომ მივირბინე და ვკითხე: -მამა დედა რას ნიშნავს?

-პატარავ... - დანანებით ჩავილაპარაკე და ჩემი მეგი გულზე მივიხუტე.

-ლადოს სახე უნდა გენახა... გეფიცები ეს კადრი ჩემს გონებას არასოდეს დავიწყებია! ცრემლმორეულმა კაცმა ხელში ამიტაცა, კალთაში ჩამისვა და მითხრა: -მეგ, გახსოვს ორი თუთიყუში რომ გვყავდა?

-როგორ არ მახსოვს ჩემი ალბერტი და ალბერტინა! შენ ხომ მითხარი რომ ღმერთთან გაფრინდნენ? - ვუპასუხე მე.

-ალბერტის და ალბერტინას ერთმანეთი უყვარდათ!

-როგორც მე და შენ...

-არა პატარავ, როგორც... როგორც მე და დედას გვიყვარდა ერთმანეთი.

მერე კარადიდან ძველი გამტვერილი წიგნი გადმოიღო, ეგეც კი მახსოვს რა წიგნი იყო, "ქარიშხლიანი უღელტეხილი", რომელიც მერე მათ გამო მილიონჯერ მაინც წავიკითხე... ეს დედას საყვარელი წიგნი ყოფილა, რომელიც მამასთვის მოუყოლია...

-ამიტომ გიყვარს წიგნების კითხვა?

თანხმობის ნიშნად თავი დამიქნია. მთლიანად ისეთი შეგრძნება დამეუფლა, რომ ჩემი მეგი როგორც იქნა მზად იყო მის სამყაროში ბოლომდე შემოვეშვი. ახლა ის მე ბოლომდე მენდობოდა. მასზე ძალიან ბევრ ახალ რამეს ვიგებდი და უზომოდ მიხაროდა... შეგრძნებებს, რომლებიც იმ მომენტში მეუფლებოდა, ვერ ავღწერ რადგან კალმით მისი გადმოცემა ყოვლად შეუძლებელია. არ ვიცი რატომ, მაგრამ თითქოს ამ საუბრის შემდეგ ის უფრო მეტად მიყვარდებოდა. მისი ისტორია იმდენად გულმოსაკლავი, სევდიანი და სიყვარულით გაჟღენთილი იყო რომ მთელი არსებით შევყავდი როლში და თავი მეც მის ადგილას წარმომედგინა. პატარა მეგი, რომელმაც სიტყვა "დედას" მნიშვნელობა არ იცოდა, შეეძლო ძველ დახურულ წიგნზე "ქარიშხლიანი უღელტეხილი" ამოეკითხა. განა ეს საოცრება არ არის? თურმე ის დაბადებიდან ასეთი ყოფილა...

-მერე ლადომ იქიდან გახუნებული სურათი ამოაძვრინა და ხელში მომაჩეჩა.

-რა ლამაზი პრინცესაა, ეს იმ ზღაპრებიდან არის დაძინებისას რომ მიყვები, - მეთქი? ვკითხე.

-კი სწორედ ისაა, პრინცესა მეგი. ის დედაშენია! - მომიგო ლადომ და სახეზე კუნწულა ცრემლები ჩამოუგორდა.

-მამა რატომ ტირი? ნუ მოიწყენ, ახლა ხომ დედა ალბერტთან და ალბერტინასთანაა, - ვუთხარი და სახიდან ცრემლები ჩემი პატარა ხელებით მოვწმინდე. ლადოს გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა ჩემითვე მივხვდი იმას, რაც თვითონ უნდა აეხსნა. მაგრამ მივხვდი ისე, რომ საერთოდ ვერ გავიაზრე სიკვდილის არსი. დაახლოებით თოთხმეტი წლის ვიყავი, დედას დაბადებისდღე იყო, პირველი თებერვალი. მამამ როგორც ყოველთვის დიდი წვეულება გამართა და მეზობლები და ნათესავები დაპატიჟა. სანამ როგორც წესი დედაზე თბილ, სასიამოვნო ისტორიებს იხსენებდნენ, ერთ-ერთ ქალს, რომელიც ლადოს და მეგის ძველი, ჭორიკანა მეზობელი ყოფილა, შემთხვევით თუ გამიზნულად წამოსცდა რომ დედა ჩემზე მშობიაროზას გადაჰყვა. სანამ მისი სიტყვების გააზრებას მოვახერხებდი, მან დაამატა "არაუშავს, ასეთებიც ხდება, ბევრჯერ შვილის სიჯიუტე კლავს დედას, ზოგჯერ კი

თავად დაბადება. მართალია შენ ის მოკალი, მაგრამ სამაგიეროდ თავიდან ბოლომდე მისი ასლი გამოდექიო"

-რა საზიზღარი ყოფილა! - გამოვცერი გულმოსულმა.

-ის წვეულება მივატოვე და მთელი დღით ოთახში ჩავიკეტე. მას მერე ამოჩემებული მქონდა რომ დედა მე მოვკალი. ასეა ნიკა, ტრამვა ყველა ადამიანს აქვს. როგორც არ უნდა შენიღბო ის, შენ ხომ მაინც გეცოდინება გულისიღრმეში, ხომ მაინც გაგახსენდება ერთი წამით დაძინებისას...

-მაგრამ მეგი... შენ მკითხე, მინდოდა თუ არა გამეგო თუ რა დადებითი ემოცია გაჩუქე, რამე კარგი მეც თუ მოგიტანე... შენ შენი ისტორიის მოყოლა დაასრულე, მე კი ჯერაც ვერ მივხვდი ამ ყველაფერთან მე რა კავშირში ვარ...

-იმიტომ ვერ მიხვდი რომ ჯერ არაფერიც არ დამისრულებია! ვთქვი რომ დედაჩემის სიკვდილში ჩემს თავს ვადანაშაულებდი, თუმცა მაინც სულ მწამდა რომ რაიმე აზრი ამაშიც იდო. რომ მიზეზის გარეშე ამ ქვეყნად ქვაც არ შობილა! რომ ჩემი ცხოვრებით ბოლომდე უნდა დავმტკბარიყავი და არ ჩავვარდნილიყავი სასოწარკვეთაში, გარდა ამისა ყოველთვის ვცდილობდი დედას თავისთან, მამას კი აქ ჩემთან ერთად ეამაყა ჩემით! მე მწამდა რომ აუცილებლად მქონდა დანიშნულება ამ ქვეყნად და ჩემი მისიის გამოჩენას ჯიუტად ველოდებოდი. მერე კი დაგინახე შენ... დავინახე შენს შიგნით ყოველი მოლეკულა ერთიანად როგორ იწვოდა, როგორ გტკიოდა და როგორ გტანჯავდა! და მე გავიფიქრე... იქნებ სწორედ ის არის!

-მაგიტომ? მაგიტომ ჩაიხვიე ჩემი გადარჩენის სურვილი ასე ძალიან...

-შენ ჩემს ცხოვრებას აზრი მიეცი ნიკა! ახლა უკვე ვიცი რატომაც წავიდა დედაჩემი ასე მალე ამ ქვეყნიდან და ამ ფაქტს ძველებურად აღარ განვიცდი. ახლა უკვე ვიცი რომ უმიზეზოდ მეც არ დავბადებულვარ და ამის გამო უზომოდ ბედნიერი ვარ! შენ ჩემს სისხლში მედგრად გამჯდარი დებულების რეალობაში სამუდამოდ დამარწმუნე ჩემო ცხოვრებავ...

-წარმოუდგენელია მეგი ქათამაძე, შენ ჩემი პირადი ანგელოზი ხარ!

-შეიძლება ასეც არის...

-მაშინ რაღას იტყვი სერგიზე, ის რიღასთვის მოკვდა? - სერგის საფლავს თვალი მივუშტერე, - ის ხომ ჩემს სულელურ საქციელს შეეწირა და მეტი არაფერი. მის მშობლებს ერთადერთი ვაჟი წაერთვათ, მან და ნინიმ სიყვარულში გამოტყდომაც კი ვერ მოასწრეს! მარიმ ჩემს გამო დეიდაშვილი დაკარგა...

-რაც ეწერა ის არ აცდა ნიკა. არც მისი არსებობა იქნებოდა მიზეზ გარეშე. თანაც, დარწმუნებული ვარ რომ მან სამუდამო სასუფეველი აუცილებლად დაიმკვიდრა. გახსოვს რომ გიყვებოდი?

-ასე გგონია?

-კი, ასე მგონია.

-და მერე ნინი? მათი სიყვარული?

-თუ ნამდვილია, მაშინ არ დასრულდება.

-ეს როგორ?

-განა შენ თავად არ მითხარი რომ მე და შენ შორის თვით სიკვდილიც კი ვერ ჩადგებაო?

-კი გითხარი.

-რაც მარადისობისთვისაა შექმნილი...

-სამარადისოდ გრძელდება!

მეგი

აუხსნელი რაღაცეები ხდება ჩემს ცხოვრებაში! მალე გამოსაშვებ კლასში ვიქნები და თან პატარა და ან ძმა მეყოლება. მერიკომ და მამამ სახელი ჯერაც ვერ აარჩიეს. ლადო სულაც გაიძახის, მე ფეხბურთის გუნდი მინდა, მსაჯები უკვე გვყავსო. ამაზე მე და ლიზა გულიანად ვიცინით , - რა მსაჯები სკოლაში ბურთი ჩვენსკენ რომ მოფრინავს აღარ ვიცით სად შევძვრეთ და ბოლოს ისევ ერთმანეთს ვეხეთქებითო. ის საღამო რომელიც ოჯახმა ბოლოს ერთად გავატარეთ, მართლაც საუკეთესო მოგონება გახდა. ყველაზე თბილი სხვა რა გინდა ინატრო, თუ არა სექტემბრის ერთი მშვიდი საღამო მოსიყვარულე ოჯახთან ერთად... იმ საღამოს არ ყოფილა არანაირი ნეგატიური საუბრები, ანდაც ცუდი შეგრძნებები. ვიყავით მხოლოდ ჩვენ და ვსაუბრობდით ჩვენს ბედნიერ მომავალზე და ეს ზუსტად ის იყო რაც მინდოდა და რაც მახარებდა. თურმე მაინც რამდენი რამეა დამოკიდებული განწყობაზე... და სწორედ ამ პოზიტიურ შემართებას ვინარჩუნებდით მეც და კატოც შემდეგი ერთი კვირა. უბრალოდ არ ვფიქრობდით არაფერ ცუდზე და ვიკრიბებოდით ყოველ დღე. ჩემი გეგმა "ანტიცხრიანის" თაობაზე სისრულეში მალევე მოვიყვანეთ და ახლა ამ სტატიის გავაგზავნეთ ინფორმაცია მთავარ არხზე. მე ნინას დავუკავშირდი და მომზადებას ჩვენთან ერთად ისინიც შეუდგნენ. ერთი შეხედვით ყველაფერი კარგად მიდიოდა. დღეები გადიოდა, ჩვენ ყველანაირად ვცდილობდით და გვეგონა გამოგვდიოდა, თუმცა საპასუხოდ არაფერი ხდებოდა.

-როგორც ჩანს ქარიშხალისთვის უნდა მოვემზადოთ, - ჩაილაპარაკა კატომ, როცა მე, ის და ნიკა ჩვეულებისამებრ შევხვდით ახლა უკვე ნიკას სახლში. ეს საქციელი ჩვევაში გადაგვდიოდა და ის უცნაური დაძაბულობებიც და ჩემი არაფრისგან გამოწვეული, მაგრამ მაინც საშინელი ეჭვიანობებიც ნელ-ნელა ქრებოდა და ისევ იმ არაფრად იქცეოდა, საიდანაც დაიბადა.

-როგორ ფიქრობთ, მიხვდა უკვე რომ ეს ჩვენი ნამოქმედარია? - გვკითხა ნიკამ.

-დებილია? მაშინ მივახვედროთ! - წამოვიძახე.

-რას გულისხმობ? - მკითხეს მათ.

-კარგი, ერთი იდეა მაქვს, მაგრამ ნუ მომკლავთ.

კატომ ის დანა რომლითაც ვაშლს ჭრიდა ჩემსკენ მოიმარჯვა და "დამემუქრა"
-მეგი დროზე თქვი რა მოიფიქრე თორემ...
-კარგი ხო რაიყო, ეგეთიც არაფერია, უბრალოდ... მე ვიფიქრე, ვიდეოები ხომ არ ჩაგვეწერა?
-ვიდეოები?
-რა სახის ვიდეოები?
-რეპორტაჟები, ინტერვიუები, არ ვიცი ყველანაირი, უბრალოდ რასაც ანონიმურად ვწერთ, შეგვიძლია ჩვენი პირით განვაცხადოთ და მერე "სტალკერში გავუშვათ", გარდა ამისა მინდა თქვენ ორნი ჩემს შემდეგ გადაცემაში მიგიწვიოთ. ამაზე რა აზრისები ხართ?
-ეს ძალიან ცუდ შედეგებს მოიტანს, - დაასკვნა ნიკამ.
-მერე ჩვენც ხომ ეგ გვინდა, არა? - ჩემს აზრზე ვრჩებოდი მე.
-ისე მართალია, თან ამაზე უარესი რაღა უნდა მოხდეს? - დამეთანხმა კატო. და გადაწყდა. იმ საღამოს ჩვენ პირველი რეპორტაჟი ჩავწერეთ. წასვლისას ნიკამ მითხრა ხვალ გამომიარე, ჩემი მისაღების კედლები ერთად შევღებოთო. უცებ თავი უხერხულად ვიგრძენი ეს კატოსთან ერთად რომ შემომთავაზა, მაგრამ უხერხულობა დიდხანს მაინც არ გაგრძელებულა, რადგან გოგომ როგორც ჩვეოდა ახლაც უდარდელად გაიღიმა. ვინ იცის ამ ღიმილის მიღმა რამხელა დარდს მალავდა. ხანდახან უზომოდ შემეცოდებოდა ხოლმე, მაგრამ მერე ვფიქრდებოდი და ის დღეები მახსენდებოდა, რომლებიც ნიკას გარეშე გავატარე და არა! ყოველ ჯერზე ვასკვნიდი რომ საკუთარ თავს ამას ვერ გავუკეთებდი! ამჯერად მაინც უნდა დამეყენებინა ჩემი თავი პირველ ადგილას. ოდნავი ლტოლვაც რომ შემემჩნია ნიკას მხრიდან კატოსთან მიმართებაში, ამას მაინც ვერ ვიზამდი. ნიკას ვერ მივატოვებდი. თუმცა რა სისულელეა? უსაფუძვლოდ მეშინია, არასწორი დასკვნები გამომაქვს... მაგრამ მე დავინახე იმ დღეს ნიკა როგორ უღიმოდა მას და მე მეცნო ეგ ღიმილი, სითბოთი და სიყვარულით სავსე. განა შესაძლებელია მეგობარსა და საყვარელ გოგოს ერთნაირად გაუღმო? იგივენაირად ჩახედო თვალებში? ეს შესაძლებელია? მაგრამ ნიკას ხომ მე ვუყვარვარ და არა ის, არა? არა?

ჩემი ტელეფონი აინთო, ნიკა მირეკავდა.

რა თქმა უნდა მე ვუყვარვარ!

ის საღამო მე და მან მის სახლში ერთად გავატარეთ, უკვე ჩაწერილი რეპორტაჟები დავათვალიერეთ, მერე სპაგეტი მოვამზადე. სანამ სუფრას გავაწყობდი უცებ მაგიდაზე სამიცალი სანთელი შემოდგა და თავისი სანთებელით მოუკიდა. გადავიხარხარე.

-არ ვიცოდი ასეთი რომანტიკოსი თუ ბრძანდებოდით!

მივუგე და სუფრას მივუჯექი.

-დამიჯერე, არც მე. ეს ჩემთვისაც რაღაც ახალია. მოიცა დამელოდე...

-სად გარბიხარ?

-კინაღამ რაღაც დამავიწყდა, - სულ მალე წითელი ღვინის ბოთლით ხელში დაბრუნდა და პატარა ჭიქებში ჩამოასხა, - მაპატიე, გარემოს შესაფერისები არ მაქვს, მაგრამ წავა რა...

-გარემოს შესაფერისად არც მე მაცვია, მაგრამ არაუშავს.

მერე ტელეფონი გამომართვა, Claire Wyndham-ის "My Love Will Never Die" ჩართო და ჩემს პირდაპირ დაჯდა. მის ოთახში ამ მშვენიერი მუსიკის ფონზე წყნარად და გემრიელად ვივახშმეთ. ნიკამ კვლავაც შეძლო ჩემი აღვრთოვანება, როდესაც ჭიქა ჭიქაზე მომიჭახუნა და მთხოვა:

-"ქარიშხლიანი უღელტეხილი" მომიყევი...

გული დამიმძიმდა და თვალები ამიცრემლიანდა. ჭიქას ხელი დავავლე და ერთიანად გადავკარი. ტკბილმა სიმჟავემ გულ-მუცელი ჩამითუთქა. ტკბილი სიმჟავე... როგორც სიყვარული! წითელი ღვინო სიყვარულის სიმბოლოა, გათრობს თუმცა სასიამოვნო შეგრძნებები მოაქვს. გაბრუებს და უცნაურად მოქცევას გაიძულებს. აი სწორედ ასეთ უცნაურ საქციელებს სჩადიხარ როდესაც შეყვარებული ხარ. მაინც რამხელა სასწაულების მოხდენა შეუძლია ერთ ჭიქა წითელ ღვინოს და ერთ გრამ სიყვარულის გრძნობას. ჩვეულებრივი ნარკომანი, რომანტიკოსად გამოძერწა მე კი იმისთანა რამეები მაკეთებინა, რაც ჩემგან ყოვლად წარმოუდგენელი იყო. საბოლოოდ ამ შეგრძნებებს მაინც მადლობას ვუხდიდი, ისევე როგორც ჩემი ცხოვრების სიყვარულს, რომელიც ახლა ჩემს წინ იჯდა და ჩემს ყველა ჩასუნთქულს გულმოდგინედ ითვლიდა. საოცრად მაფორიაქებდა ის ფაქტი, რომ მან ჩემზე ყველა დეტალი დაიმახსოვრა და ასევე ისიც თუ რომელი წიგნი უყვარდა დედას ყველაზე მეტად. ეს მაშინ მოვუყევი, როდესაც დედას პირველად ვესტუმრეთ ერთად. იმ დღეს მე როგორც იქნა საბოლოოდ გავიხსენი მასთან და ახლა არცერთი საიდუმლო აღარ იდგა ჩვენს შორის. ისეთივე სუფთები ვიყავით, როგორც ეს გამჭირვალე ჭიქა, რომელზეც გარედანაც კი ჩამდა წითელი მჟავე-ტკბილი ელექსირი სიყვარულისა.

-რომანი "ქარიშხლიანი უღელტეხილი", ინგლისელი პოეტის ემილი ბრონტეს ბრწყინვალე ნამუშევარია! - როგორც იქნა ამოვისუნთქე.

-ეგ შარლოტა არ არის?

-ჰაჰ, არა სულელო, შარლოტა ბრონტე "ჯეინ ეარის" ავტორია.

-მართალია...

-"ქარიშხლიან უღელტეხილში" ერთდროულად ზღვა სიყვარული და სიძულვილია გადმოცემული, იმდენად დეტალურადაა და სუფთად რომ კითხვის დროს საკუთარი გულის ძგერის ხმაც კი წიგნის ფურცლებიდან გესმის. სხეულში მათი ემოციების აყვავებას გრძნობ და მათ ტკივილებზე სული გეწვის... ეს უფრო რაღაც დაწყევლილი სიყვარულის ისტორიაა!

-დაწყევლილი სიყვარულის ისტორია? როგორ საინტერესოდ ჟღერს...

-მართლაც რომ!

-არ გინდა ვუყუროთ?

-ახლა?

-რატომაც არა? ძალიან დამაინტერესა!

-კარგი მაშინ.

წიგნი მილიონჯერ მქონდა წაკითხული, თუმცა ფილმი ჯერ არ მენახა. ნიკასთან ერთად მას დიდი სიამოვნებით ვუყურე. ემოციებს ისე შევყევი ვერც გავიგე როდის დაღამდა და ერთი ჩემი ჭიქა ღვინისგან აწითლებული ლოყებიც ერთიანად მიწყნარდა. ნიკას მკლავებში დროს ფასი ეკარგებოდა. ლოგინიდან რომ წამოვდექი, ნიკამ კომპიუტერი გვერძე გადადო და მაჯაზე ხელი ჩამჭიდა.

-მეგი დარჩი!

ჩემმა გულმა ტრიუკი გააკეთა. წამით ჩამომცხა. მისკენ მივბრუნდი და დაბნეულმა და ხელახლა წამოწითლებულმა, ოღონდ ამჯერად არა ღვინისგან (აკი უკვე შევადარე ეს ორი ერთმანეთს) ტუჩებს წვალება დავუწყე.

-რას მთხოვ?

ვკითხე და პასუხის მოლოდინში მივაჩერდი. ნიკა საწოლზე იწვა, ცალი ხელი ჩემს მაჯაზე წაევლო, მეორეთი გადასაფარებელს აწვალებდა. ფანჯრიდან მთვარის სხივები შემოგვნათოდა.

-ასე ნუ აკეთებ!

გამაფრთხილა უცებ, ლოგინზე მუხლებით წამოიწია და თავისკენ მიმიზიდა. უფრო დავიბენი და როგორც მჩვეოდა ხელახლა დავუწყე ტუჩებს კვნეტა.

-ტუჩებს ნუ იკვნეტ!

-ვითომ რატომ?

-უბრალოდ ნუ აკეთებ!

-შენ გგონია ჩემს ერთადერთ მავნე ჩვევას გადამაფიქ...

სიტყვის თქმა არ დამაცადა, მისკენ მიმიზიდა, შემესისხლხორცა და მგზნებარედ მაკოცა. ერთი წამით გავშეშდი, ვერ ვხვდებოდი როგორ უნდა მოვქცეულიყავი, თუმცა ჩემი ნდობა მისდამი, იმაზე უფრო დიდი აღმოჩნდა, ვიდრე მე წარმომედგინა. სულ რაღაც სამ წუთში ნიკა ნაზად დამეხსნა და ჩემი რეაქციის გარკვევას სიბნელეში ეწადა. როცა ჩვენი გაცხოველებული სუნთქვაც ნელ-ნელა მიწყდა, ფრთხილად წამოვდექი საწოლიდან და გამოღებულ ფანჯარას მივუახლოვდი. ნიკამ შუქი აანთო და მანაც გამომაჯავრა.

-დარჩები? - ისევ მკითხა უცებ, სანამ ზურგშექცევით ვიდექი ფანჯარასთან და ვითარებიდან გამორკვევა მსურდა. ორი წამის წინ რა მოხდა?

-ლადოს რა ვუთხრა? - წამოვიკნავლე აკანკალებული ხმით.

-მიზეზები... მიზეზები...

აღმოხდა ნიკას, მომიახლოვდა, ისე რომ კვლავ ზურგით ვაგრძელებდი დგომას და წელზე ხელები ფრთხილად შემომხვია. მთლიან სხეულში დამცრა.

-კაი რა, - შემომევედრა და ჩამოზრდილი თმები ცალ მხარეს გადამიწია, - აბა სხვაგან მიდისო?

-ხვალ მიდის მაგ სხვაგან, - ვუპასუხე სწრაფად და თმები თავის ადგილას დავაბრუნე, რადგან მოშიშვლებულ კისერზე მოლამუნებული მისი გახშირებული სუნთქვა საღად აზროვნების უნარს მთლიანად მართმევდა.

-და რამეს ვერ მოიფიქრებ?

მკითხა და თავისკენ შემომაბრუნა. მზერა გავუსწორე და დანანებით შევჩივლე:

-ნიკაააა!

უცებ დავინახე ტუჩის კუთხეები როგორ აუცეკვდა ხარხარი ატეხა და სანამ გამოვერკვიდ ასე გიჟივით რა აცინებდა და გაბუსხულმა გავაგრძელე მისი ყურება, მანამდე წაიმღერა მელოდიასავით:

-ო, რა მგზნებარეა ეს ბგერები შენს ბაგეზე, რომელიც ჩემს სახელს წამში ერთხელ ჰკვნესის ჰანგებად!

-შენ რა სულ შეიშალე? - ერთი გემრიელი მუშტი ვუბოძე მკერდზე და გაცხარებულმა დავძინე, - რა პოეტობა აგიტყდა ამ შუა ღამეს?

-აბა შუა ღამეს თუ არა, სხვა როდის უნდა ამიტყდეს ჩემო ძვირფასო! ერთი შეხედე რა ლამაზი მთვარეა! დავიჯერო ოდნავადაც არ გიღვივებს გრძნობებს?

ისევ ფანჯარაში გავიხედე და ენას კბილი მაგრად დავაჭირე.

-წეღანდელის მერეც არა?

მკითხა ისევ. პასუხის არ მიღების შემდეგ, არგუმენტები რომ გამოელია შეტევაზე გადმოვიდა.

-თუ გგონია რომ შენს უკან გადაჯვარედინებულ თითებს ვერ ვხედავ ძალიან ცდები!

საშინლად შემრცხვა და მეც არ დავაკელი.

-აჰ, შენ თუ ერთი-ორი ჰორმონი აგითამაშდა, რა მთვარეს ბრალია?

გახსოვთ ჩვენი დიალოგების უსწრაფესად ცვლილებაზე რაღაცას რომ ვამბობდი ადრე? ისევ იგივე განმეორდა. ამას არასოდეს შევეჩვეოდით, ეს რაღაც არასდროს დასრულდებოდა!

და იქნებ სწორედ ეს იყო ის ერთადერთი რაც ჩვენს ბავშვურ, გულუბრყვილო ურთიერთობას ასეთ მიმზიდველს ხდიდა...

-როგორ არ გრცხვრნია მაგას რომ ამბობ...

შემომჩივლა ნაწყენმა. მემგონი ზედმეტი მომივიდა.

-შენ გგონია მე თვითონ ვიცი რას ვამბობ? ისე მცხელა, გონზე აღარ ვარ!

და დავინახე ხელახლა როგორ გაეღიმა.

-კი, ისე გცხელა რომ კანკალებ! სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით ერთიანად ცახცახებ!

-ხო მე... უბრალოდ სიცხეზე ცოტა უცნაური რეაგირება მაქვს...

-მხოლოდ სიცხეზე?

-არა, მაგრამ ამჯერად ამას დავჯერდეთ. ახლა უნდა წავიდე, - ჩანთას ხელი დავავლე და კარისკენ წავედი, - შენ კიდევ შეგიძლია დაჯდე და მშვიდად წერო ეგ შენი ლექსები.

-კი მაგრამ, ასეთ დროს როგორ გაგიშვა?

ისევ მომიახლოვდა და ამჯერად ნაზად მომკიდა ხელი.

-რა ვიცი, ძალიან მარტივად. როგორც წინებზე მიშვებდი. რამე შეიცვალა?

-და შენი აზრით ოდესმე მარტივად დამითმიხარ? მეგი... გიყურებ და შენი ცქერით ვერ ვტკბები. ყოველთვის, ყოველთვის აღვრთოვანებაში მოგყავარ. და მაინც ვერ ვხვდები, რატომ ან რანაირად გაქვს ასეთი დაბალი წარმოდგენები შენს თავზე?

-ნიკა რაღაცას გეტყვი... არ ვიცი რამე კავშირში არის თუ არა ეს ყოველივე ერთმანეთთან, მაგრამ... ჩვენი დაშორების შემდეგ მე შევიცვალე. და ვგრძნობ რომ ისეთი ვეღარასოდეს გავხდები, როგორიც მაშინ, თავდაპირველად ვიყავი.

-და შენ თავად თუ მოგწონს ეს ცვლილება?

-არ ვიცი... ხანდახან მომწონს, ხანდახან ის დრო მენატრება.

-როდესაც ჯერ ისევ არ მიცნობდი?

-არა, არა საქმე შენში არაა... საქმე ჩემშია. როგორ გითხრა თითქოს...

-გაიზარდე!

-კი.

-დაიხვეწე, დაბრძენდი... ცუდისკენ არ შეცვლილხარ მეგ, ამაზე შენ არ უნდა ნერვიულობდე.

-შეიძლება, მაგრამ სამაგიეროდ მამა ნერვიულობს. დამიჯერე, მე ძალიან ვეცადე... ნუთუ მაინც არ ვარ საკმარისი?

-საკმარისი არ ხარ? შენ მთელი ჩემი სამყარო ხარ! შენ ხარ ჩემი ერთადერთი არსებობის მიზეზი, რით ვეღარ შეიგნე? შენ ჩემი მეგი ხარ და როგორც არ უნდა შეიცვალო და რაც არ უნდა მოხდეს, მაინც ჩემი მეგი იქნები, სამარადისოდ! რაც მარადისობისთვისაა შექმნილი ხომ...

-სამარადისოდ გრძელდება! - გავუღიმე და ისევ ჩემს ტუჩს გადავწვდი. როგორც კი მისი მზერა დავიჭირე, მკლავებიდან დავეხსენი ისე რომ აზრზეც ვერ მოვიდა, ადგილს მოვწყდი და კიბეებზე დავექანე.

-მაინც დაგიჭერ! - მომახალა კიბეებიდან.

-იოცნებე! - ჩავახარე

-შენ მე ჩემს სამფლობელოში ვერ დამემალები ახტაჯანავ!

ნიკამ მულტფილმის ბოროტი გმირივით ხმამაღლა გადაიხარხარა. მე კი გასასვლელთან შამომდგარ ვაზაში მოზრდილ ბანანს ხელი დავავლე და მთელი ძალით გავუქანე.

-აქლემო!

ნიკამ ბანანი დაიჭირა, ქერქი გააცალა, კიბის საფეხურზე ჩამოჯდა და გემრიელად ჩაკბიჩა.

-გაიქეცი ახტაჯანავ, გაიქეცი, ვნახოთ სადამდე ირბენ!

***

სულ მალე ჩენ სრულიად დაგვავიწყდა თუ რა იყო რეალური ცხოვრება, რადგან გადაცემაზე მზადებამ იმაზე მეტად შეგვითრია, ვიდრე გვეგონა. საქმეში ყველა ერთად ჩაერთო რაც ძალიან მახარებდა. ჩემი ეჭვებიც კატოსა და ნიკაზე ხან მცირდებოდა, ხან იზრდებოდა. ვცდილობდი ამაზე არ მეფიქრა, მაგრამ თავს ვერაფერს ვუხერხებდი. ვინანე კიდეც თითქოს იმ ღამეს როცა ნიკა მასთან დარჩენას მთხოვდა რატომ არ დავრჩი. ისეთი შეგრძნება მქონდა რომ ჩვენ უფრო მეტი მოგონების შექმნა გვჭირდებოდა ერთად, ამას კი არ ვაკეთებდით. ლადოც ნაწყენი იყო ჩემზე, ძველებურად დროს ჩემთან ერთად აღარ ატარებ, სულ სადღაც მიგეჩქარება, რა ხდება შენს თავს, ის ბიჭი სადმე გაგექცევაო? ამაზე ყოველთვის ვჩუმდებოდი და ჩემს ოთახს ვაფარებდი თავს, სანამ ერთ დღეს ლიზამ არ წამოიძახა:

-რას ვაკეთებთ და წვეულების ორგანიზებას ვახდენთ!

-რომელი წვეულების? - გაიკვირვა ლადომ.

-ხო ლიზი, აბა შემახსენე ერთი, რომელი წვეულების? - გავიოგნე მეც. ლიზიმ თვალები გადაატრიალა, მერე მომაშტერდა და ძალით გაიღიმა.

-ვაიმე მეგი, რა სულელი ხარ, უკვე დაგავიწყდა? შენი დაბადების დღე ხომ ჩაგვეშალა და... ნუ თითქმის, - მერე ისევ ლადოს მიუბრუნდა, - ხოდა ჩვენც გადავწყვიტეთ რომ დიდი წვეულება მოვაწყოთ. ცოტა მოგვიანებით, მაგრამ მაინც. წელს ხომ სკოლა ოცდახუთში იწყება. მანამდე ერთი კვირა კიდევ გვაქვს. მერე გამოსაშვებ კლასში ვიქნებით და აბა აბიტურიენტებს გართობისთვის სადღა გვეცლება? სულ აქეთ-იქით ამიტომ დავრბივართ. რას ფიქრობ ამაზე?

ლიზას გართობაზე და წვეულებებზე ჭკვა ეკეტებოდა. როგორც კი მომენტი ხელში ჩაიგდო, რომელიც საქმეს წაადგა კიდეც, შანსი ხელიდან არ გაუშვა და წამებში მოიფიქრა ეს ტყუილი ჩემი რე-დაბადებისდღის თაობაზე. არადა, რეალურად ამის დრო ახლა საერთოდ არ გვქონდა.

-რაღაც მეგის არ ჰგავს, მაგრამ წავა.

თქვა ლადომ. გამეცინა. ლიზა დაიბნა:

-ვერ გავიგე?

-ვგულისხმობ რომ თუ კი თქვენ გინდათ, მაშინ თანახმა ვარ!

ნიკა

შემდეგ კვირას მეგიმ თავისი მაინც გაიტანა, დამიყოლია რომ მისი შემოთავაზება მიმეღო და არაფრის დიდებით არ მეწუწუნა ლალის ციხიდან დახსნის თაობაზე გირაოს სანაცვლოდ. მეგის მამა, ლადო ძია ჩაერია ამ საქმეში და საუკეთესო ადვოკატი დამიქირავა. მისი ძალიან მერიდებოდა და უზარმაზარ უსამართლობას ვგრძნობდი, რადგან მე მათგან ამდენი სიკეთე არ დამიმსახურებია. მეორეს მხრივ კი მახსენდებოდა დედაჩემთან დადებული პირობა რომ იქიდან რაც შეიძლებოდა მალე დავიხსნიდი და ვხვდებოდი რომ ამას ჩემი სახსრებით ვერასდროს მოვახერხებდი. დღე და ღამე დაუღალავად რომ მემუშავა საჭირო თანხას მაინც ვერ შევაგროვებდი. მე ხომ უბრალო მიმტანი ვიყავი, თანაც სამსახურიდან გამოქცეული მიმტანი. როგორც ვატყობდი, სასწრაფოდ ახალი სამუშაოს პოვნა უნდა დამეწყო ისევ. ის წვლილი ჩემს დანაშაულში ლალისთან, როგორმე კარგით უნდა გადამეცვალა და გამომესყიდა, თუმცა ამ ყველაფერს უბრალოდ ვალდებულების მოხდის მიზნით არ ვაკეთებდი. მე ხომ დედის სიყვარულს ახლა ვსწავლობდი, ისევე როგორც ის სწავლობდა ჩემსას. ან სულაც შესაძლოა გამოხატულებების თავისებური უნარი გააჩნდა, ანდაც გრძნობების დაუფლების ფობია სჭირდა. არაფერს გამოვცრიცხავდი, ის ხომ ტიპიური ნიკას დედა იყო... ტოქსიკური დედა-შვილი!

-სახლი! აქაურიბაც კი შეცვლილი მეჩვენება, - ჩაილაპარაკა გახარებულმა ლალიმ და ზღურბლს გადმოაბიჯა.

-არაფერიც არ გეჩვენება, ძალიან ვეცადეთ, - ვუთხარი და მეც კმაყოფილმა შემოვავლე თვალი მისაღებს. გადახუნებული ძველი კედლები კრემისფრად გადაგვეღება. მეგის დალაგებულ ოთახში ახლად შეძენილ მაგიდაზე სეზონური ხილი ეწყო. ახლა ნამდვილად ტრიალებდა აქ სახლის აურა, აღარ ჰგავდა მიტოვებულ ადგილს, როგორც ადრე. მეგიმ პირდაპირი მნიშვნელობით შემოიტანა სინათლე ჩემს მიყრუებულ და ჩაბნელებულ ცხოვრებაში.

-შენ და მან... შენმა ცხოვრებამ, არა?

-შენ გახსოვს? - გავვოცდი.

-რას ჰქვია... სულ სხვა ადამიანი დაგტოვე და სულ სხვა დამიბრუნდი შენთვითონ. შენ გგონია დედის თვალს რამეს გამოაპარებ? გიყურებ და... სიცოცხლეს ვხედავ, შენ სიცოცხლით სავსე ხარ! - სიტყვა "დაგტოვე" პაუზის შემდეგ ძლივს წარმოთქვა, - არ გამაცნობ?

-ჰა? - ფიქრებში წასული, უცებ ვერ მივხვდი რა მკითხა.

-მას არ გამაცნობ?

-ჰო, როგორ არა, - ვუპასუხე გაუაზრებლად და რაღაც გემრიელი სუნი შევიყნოსე.

-რისი სურნელია? - დამასწრო დედამ.

სურნელს გაყოლილი მშიერი ძაღლივით, ჩვენს ძველ საცხობთან მივედი, გამოვხსენი და გამომცხვარი კექსი დავინახე შაქრის წარწერით: "WELCOME HOME" ოხ მეგი... მაინც რანაირი ადამიანი ხარ!

-რა არის? კაი ერთი! მეხუმრები? - შეიცხადა ლალიმ როცა კექსით ხელში დამინახა. მის ამ რეაქციაზე სიცილი ამიტყდა.

-არა, არა მე არ...

-შენ რა, დაქორწილდი და მიმალავ? სად არის პატარძალი?

-აჰ მე... სიმართლე რომ გითხრა, შენ მას იცნობ...

-ეგრეც ვიცოდი! მარი ხო?

-ჰმ... არა.

-აბა, ანი?

თავი გავუქნიე.

-ვიცი, ვიცი გვანცა! ოო, ეგ გოგო არ მომწონდა!

-არა დედა, მეგი, მეგი!

ლალის სახეზე ღიმილი შეაშრა.

-მოიცა ვინ? ვინ მეგი? ის მეგი?

-ჰო, ის მეგი, - მეც დავსერიოზულდი.

-რანაირად? განა მან არ გიჩივლა?

-არა დედა. და რომ იცოდე, გირაოს ფულიც მამამისმა გადაგვიხადა!

-კი მაგრამ, რატომ? ჩვენ ხომ მათ... მოკლედ, როგორც არის, იმ საშინელი დღის გახსენება ახლა მართლა არ მინდა...

-კი, ვიცი.

-აბა რატომ?

-უბრალოდ კეთილი ადამიანები არსებობენ დედა. თავიდან მეც შენნაირად ვიყავი ამ საკითხზე განწყობილი, არ მჯეროდა ასეთების, არ მწამდა ღმერთის, არ მყავდა მეგობრები, არ ვიყავი საზოგადოების წევრი... საერთოდ არაფრის ნაწილი არ ვიყავი, ჩემი არსებობა შეუმჩნეველი იყო და იმისთვის რომ მეცხოვრა არაფერს ვაკეთებდი.

-და ეს ჩემი ბრალია...

-სინანულს აზრი აღარ აქვს. გთხოვ აღარ იქექო წარსულში, უბრალოდ მინდა იცოდე რომ როგორიც ახლა ვარ, ეს გარემოება, ადგილი სადაც ახლა ვდგავართ და საერთოდ ყველაფერი მეგის დამსახურებაა!

ზედმეტად როლებში შევიჭერი. ხანდახან მეგის გაუაზრებლად ვემგვანებოდი ხოლმე. ეს პერიოდები ძალიან მომწონდა, ხშირ შემთხვევაში კი ვერც ვიაზრებდი. ახლაც ასე მომივიდა, ლალიმ ენა გადაყლაპა. მე დანა ავიღე და ორი მოზრდილი კექსის ნაჭერი ჩამოვჭერი.

-მადლობა უნდა გადავუხადოთ! - მომიგო ცოტახანში, - უნდა წავიდეთ და მადლობა უნდა ვუთხრათ მათ! და უნდა მოვუბოდიშოთ! ზუსტად ის უნდა ვქნათ, რაც ადრე არ გავაკეთეთ!

დავფიქრდი. დედა მართალს ამბობდა. მგონი ცხოვრებაში პირველად მოვუსმინე მის იდეას და მომეწონა კიდეც ის. ვინ იფიქრებდა რომ ეს დღეც დადგებოდა…

***

-რას აკეთებ, კარგად დაიჭირე არ დაგივარდეს, - სადღაც ასმეოცეთ მსაყვედურობდა ლალი. ხელში პატარა, მაგრამ ძალიან ლამაზი ხაჭოს ნამცხვარი მეკავა, რომელსაც მოცვი და ჟოლო ამშენებდა. ქათამაძეების სახლის კართან ვიდექით. ის პიჯაკი მეცვა, რომელიც მაშინ მემორიალზე. ლალიმ კიდევ ერთხელ დარეკა ზარი და საყელო შეისწორა.

-საშინლად გამოვიყურები, არა? - მკითხა.

-რავი, ნორმალურად.

-ესეც ძლივს შევარჩიე. მაინც არ მომწონს, ძველია. საერთოდ რაც მაქ, ყველაფერი დასაწვავია!

-არა, არ დაწვა, გაჭირვებულებს დავურიგოთ და ახლებსაც მალე ვიყიდით. სამსახურის მოძებნა უკვე დავიწყე, - ვუთხარი და გავუღიმე.

-ნეტავ იცოდე როგორ ვვამაყობ შენით.

კარი გაიღო. კარე თმიანი წითური გოგონა, ინტერესით შემოგვცქეროდა. ასე უბრალოდ იდგა და გვიყურებდა, სანამ ლალიმ არ მიუგო:

-შენ მეგი... არა არ ხარ...

-ეგრეც ვიცოდი! ვგავართ არა? - ტაში შემოჰჯრა ლიზამ

- ამას გამოგართმევ! - ხელებში ისე მწვდა, კინაღამ არ გადამაყირავა. ლალიმ გაფართოვებული თვალებით გადმომხედა. სიცილი ძლივს შევიკავე.

-კარში ამდენი ხანი რას აკეთებ ლიზი, აღარ შემოიპატიჟებ სტუმრებს?

ლადო ძია ჩვენთან მოვიდა და სახლში გრაციოზულად შეგვიპატიჟა.

-შემობრძანდით, გთხოვთ. ლიზი, წადი მეგის დაუძახე.

მისი სახელის გაგონებაზე მკერდის არეში რაღაც გიჟივით ამიფრთხიალდა. სახლში შევედი და ლადო ძიას ხელი ჩამოვართვი. ლალი მოუსვენრად ცქმუტავდა, ადგილს ვერ პოულობდა და ენა ებმებოდა. უკვირდა ასეთი სტუმართმოყვარეობა იმ ყოველივეს შემდეგ, თან ვინ იცის როგორ ენატრებოდა ხალხმრავლობა, ანდაც ბოლოს ასეთ გარემოში როდის იყო... როგორც იქნა მე ვუგებდი მას, ვხვდებოდი და შევდიოდი მის მდგომარეობაში. ხელი ზურგზე მოვხვიე იმის შესახსენებლად რომ მარტო არ იყო, უკვე აღარ. ახლა მე ვიყავი მასთან. ლადო სასტუმრო ოთახისკენ გაგვიძღვა, სადაც უზარმაზარი სუფრა დაგვხვდა.

-ღმერთო მაღალო! ასე ძალიან რატომ გაისარჯეთ? - როგორც იქნა ხმა ამოიღო ლალიმ.

-არაფერია ქალბატონო, სტუმარი ღვთისაა. თქვენც მადლობა რომ დაგვაფასეთ და ჩვენთან მობრძანდით.

-აბა რას ბრძანებთ, მაშინ ხომ არაადამიანი ვიქნებოდი ბატონო! იმ ყველაფრის მერე რაც მოხდა, თქვენ...

-საუბარი სუფრასთან აუღელვებლად განვაგრძოთ, დაბრძანდით.

მაგიდასთან მოვთავსდით. თვალები მეგის ძიებაში სულ აქეთ-იქით გამირბოდა. და მერე დავინახე ჩემი გულის ბაგაბუგი კიბეებიდან როგორ მობრძანდებოდა. ჩვენთვის სპეციალურად გამოწყობილა. მაღალ-ქუსლიან ფეხსაცმელზე შავი შლაქსის შარვალი და შავი ტოპი ჩაეცვა. შავები არასდროს ეცვა. დღეს ის საუცხოოდ გამოიყურებოდა, იმდენად უცხოდ, როგორც არასდროს. იმ საღამოდან როცა თავში ბანანი გამომიქანა(ნეტა იმის მერე რეებიც მე ველაპარაკე, მისგან სხვას რას ველოდი)კედლების კრემისფრად შეღებვის დღემდე

სულ რაღაცას იმიზეზებდა და ბაჭიასავით გამირბოდა. დღეს დილით კი მთხოვა სანამ ლალისთან წახვალ სახლის გასაღები მე დამიტოვეო.

***

-გასაღები? ჩემი სახლის? შეხედეთ ამას ვინ ამბობს! ფანჯრიდან ვერ გადაძვრები? და რა მოხდა, შენი საყვარელი საქმიანობა მიატოვე? - სიცილით მივუგე ყურმილში. ახლა ერთმანეთს ჩემი ახალი ნომრით ვეკონტაქტებოდით ხოლმე.
-არ მესმის ყველაფერზე რანაირად ხუმრობ ნიკა.
-მე კიდევ არ მესმის სულ სიბრძნეს როგორ ღაღადებ.
-თუ გგონია რომ ყველა ჩემი წარმოთქმული სიტყვა რაღაც საოცრებას ნიშნავს ცდები!
-გეგონოს, დავიწყო ახლა შენი სიბრძნეების ჩამოთვლა?
-არა არა, ახლა არ გვინდა, უბრალოდ შემხმვდი.
-ვაა, ლალისთან წასვლა ხომ არ გადამედო? შეხედე, შეხვედრას შენით მთხოვ, რა მშვენიერი დღეა, არა?
-ღმერთო, ახლა მაინც ნუ მაიმუნობ!
-კარგი ჰო, რო დავბრუნდები სახლში დამხვდები?
-რა თქმა უნდა არა! დღეს თქვენი დღეა!
-აბა გასაღები რათ გინდა?
-პატარა საქმე მაქვს!
-კი როგორ არა, ვიცი მე შენი პატარა საქმეები...

***

როგორც იქნა კიბეებზე ბოლო საფეხურიც ჩამოდგა და ღიმილით შემოგვეგება.
-საღამომშვიდობის, ლალი დეიდა როგორ ბრძანდებით?
-მე კარგად ვარ შვილო, თქვენი წყალობით!
ჩემს პირდაპირ სკამი გამოდგა.
-სულელო, რას აკეთებ, წადი იმის გვერძე დაჯექი, უნდა გიყუროთ! - შეუფაცხანა ლიზამ.
-შენ გადაირიე ხო? რა გაყვირებს? - იდაყვი წაკრა მეგიმ.
-ოხ, მაინც ყველამ ყველაფერი ვიცით...
ახლა ნამდვილად ვეღარ შევიკავე სიცილი. ლალი და ლადო ჯერ-ჯეროობით არაფერს იმჩნევდნენ. როგორც ჩანდა ლადოს მეუღლე სახლში არ იყო. მას მერე რაც მეგიმაც დაიკავა ადგილი უკვე ჩემს გვერდით, ლადომ გამოაცხადა გემრიელად მიირთვითო და ჩვენც წყნარად შევუდექით ჭამას.
-მადლობა სიურპრიზისთვის, - ჩავჩურჩულე მეგის. ლიზა ჩემს ყველა მოქმედებას კრეფავდა.
-შენ კიდევ ხაჭოს ნამცხვრისთვის. ჩემი საყვარელია.
-ვიცი...
-აბა ბავშვებო, რას აპირებთ? - გვკითხა ლალიმ მხიარულად.
ჯანდაბა დედა! აქ ამის გამო მოვედით?

-მეგიმ ჯერ უნდა ისწავლოს ქალბატონო, თან ჩვენ ჯერ კიდევ ბევრი რამე გვაქვს გასარკვევი, ასე არაა?
-ყველაფერი ასე სერიოზულადაა? - წამოიძახა ლიზამ. ეგ გოგო ყოველთვის უტაქტო იყო. მეგიმ სირცხვილისგან თავი დახარა, ისევ მე უნდა მეთქვა რამე.
-არა, ჩვენ ჯერ... ჯერ არ, - შესაფერისი სიტყვა ვერ მოვიფიქრე, მეგის მაგიდის ქვეშ ფეხზე ხელი დავადე დახმარების თხოვნის ნიშნად. უცებ შეხტა და შეშინებულმა შემომხედა. როგორც ჩანს ფიქრები სულ სხვაგან გაქცეოდა. ამ რეაქციას მისგან ნამდვილად არ ველოდი. მეგი ნახე შენ... ჩავიფხუკუნე.
-რას აკეთებ?
მკითხა და ტუჩზე იკბინა. კარგი თუ ასე გგონია, ასე იყოს - მეთქი.
-გსჯი.
-რისთვის?
-იმისთვის რომ იმ ღამეს ჩემთან არ დარჩი! - ჩავჩურჩულე და ნაზად ყურის ძირში ვაკოცე. ფეხზე თითი ნელა გავუსვი და ჩემი უპირატესობით ნასიამოვნებმა ეშმაკურად ჩავიცინე.
-აბა ბავშვებო? - დაგვაბრუნა ლადომ მათთან.
-რა მამა?
ვაიმე სულელი...
-შენ ხომ ჯერ უნდა ისწავლო მეგი, არა?
-მე... რა რო?
-მეგი რას ეუბნები, გვაქორწილებენ დროზე უშველე თავს! - ვუთხარი და ისევ გამეცინა.
-რა? მე ხო... რა თქმა უნდა... უნდა ვისწავლო!
-მემგონი აჯობებს შენ და ლიზიმ ყავა მოადუღოთ არა? - უთხრა ლადომ.
-ჯერ ადრე არაა? - წამოხტა ლიზი.
ლადომ თვალებით ანიშნა ამდგარიყვნენ და გოგონებიც მალევე გავიდნენ ოთახიდან. უფს... მგონი ზედმეტი მომივიდა! ჭამა უკვე კარგ ხასიათზე დამდგარმა მხიარულად განვაგრძე. მეგი ჩემი იყო... ამას ვერავინ და ვერაფერი შეცვლიდა!
და ზუსტად მაშინ როცა მეგონა, რომ ყველაფერი კარგად იყო და ყველაფერს ვაკონტროლებდი... რომ ჩვენი გეგმა აუცილებლად გაამართლებდა ისე რომ აღარ მოხდებოდა ყველაფერი ცუდი... როგრც კი მეგონა რომ ამბის ბოლოში უბედურების გარეშე გავედით და ეს ბძოლა მე მოვიგე, ყველაფერი ისევ წამებში რადიკალურად შემობრუნდა და ზარებმა რომლებიც საშინელებებს მაუწყებდნენ, ისევ დაიწყეს რეკვა. ეს ზარები ამჯერად მატყობინებდნენ რომ ჩემს ტელეფონზე ახალი შეტყობინება მოვიდა. წვენი მოვსვი და ჯიბეში ხელი ტელეფონის შესამოწმებლად ჩავიყავი. ამ დროს მეგი და ლიზაც მოვიდნენ და ყავა მოგვართვეს. ტელეფონი ისევ შევინახე ისე რომ მხოლოდ უცხო ნომერი დავინახე, საპირფარეშოში გავედი და წავიკითხე შეტყობინება, რომელიც ახალ ნომერზე იყო მოსული:

"ბოლო სიტყვა ყოველთვის ლიდერს ეთქმის..."

გავშრი, ესემესს თვალი მივუშტერე. რანაირად? ახლა რანაირადღა მომაგნო? რას ნიშნავს ეს სიტყვები? ეს უკვე მეტისმეტი იყო, მხდალი აღარ უნდა ვყოფილიყავი და უნდა გამებედა. კარი ჩავკეტე და სასწრაფოდ გადავრეკე იგივე ნომერზე.
-ჩემგან რა გინდა? - თავს ძლივს ვიკავებდი რომ ხმისთვის არ ამეწია.

-ოჰოოო, ბატონო ნიკა ვიმედოვნებდი რომ ამას იზამდი! - გაისმა უკვე ძალიან ნაცნობი საზარელი და საზიზღარი ხმა, რომელიც ირონიულად სიკვდილის ანგელოზივით იცინოდა. თუმცა ანგელოზი? არა ეს დემონზე ნათქვამი არ არის... მას ხომ სულიერი სამყაროც ისეთივე მახინჯი აქვს, როგორიც გარეგნული. ეს სიცილი... რატომ მეცნობოდა ეს ირონია?
-ჩემგან რა გინდა? - გავუმეორე კითხვა, თან ძალიან მეშინოდა რომ ვინმე ჩემს ხმას გაიგონებდა. ამანაც შეარჩია რა მომენტი! იქნებ... ჯანდაბა! ვინ არის? რა ადამიანია, სხვისი უბედურებით იკვებება? მე რას გადამეკიდა? ჩემგან რა უნდა?
-ხომ გაგიგონია რომ ლიდერს ყოველთვის აქვს უპირატესობები... იცი რა არის შენი უპირატესობა? ის რომ შეგიძლია გადარჩე.
გადავრჩე? რას ამბობს? ნუთუ დანებდა? რა თამაშს თამაშობს?
-გადავრჩე?
-დიახ...
-და შენ ასე უბრალოდ გამიშვებ? ამხელა ამბავს ასე უაზროდ დაასრულებ? მართლა ისეთი მხდალი ყოფილხარ როგორიც მეგონა. მე გეუბნებოდი რომ ამ ომში მე გავიმარჯვებდი, მორჩილაძე შმაგი, გახსოვს?
ჩემი სიხარული ნაადრევი აღმოჩნდა:
-ვინ ამბობს რომ უბრალოდ გიშვებ? აჰაჰ, პატარა სულელო ბავშვო, ბოლო სიტყვა ყოველთვის ლიდერს ეთქმის... ეს სიტყვები არაფერს გეუბნება?
-პირდაპირ მითხრარი რასაც ამბობ, მალე უნდა გავთიშო.
-რატომ, ძვირფასი დედიკო გაიგონებს შენს ხმას?
ჩაძაღლდი...ჩაძაღლდი...ჩაძაღლდი!!! სარკეში ჩავიხედე, ნესტოები დამბერვოდა, სუნთქვას ვეღარ ვინაწილებდი. სასწრაფოდ მოუშვი ონკანი რომ ჩემი ხმა არ გაეგონათ, თან სახეზე შევისხი ცივი წყალი და დაწყნარება ვცადე.
-დედაჩემისგან თავი შორს დაიჭირე გასაგებია? იცოდე, კიდევ რომ დაგინახო მის სიახლოვეს, ან კიდევ ჩვენს სახლში, გეფიცები მოგკლავ... აღარ დაგინდობ, როგორც ეს იმ დღეს გავაკეთე. თუ ოდესმე მკითხავენ თუ რას ვნანობ ყველაზე მეტად, მე ვუპასუხებ რომ არ მოგკალი!
-ეს სიფიცხე... არ დავიჯერებდი, მაგრამ მართლა როგორი მსგავსებაა...
-რას ბოდავ? მითხარი რასაც მეუბნებოდი, რა უნდა გავაკეთო?
-სწორი ხარ, მე შენთვის როგორც ლიდერისთვის ბოლო და გრანდიოზული დავალება მოვამზადე. სხვათაშორის წესები შევცვალე და იცი რატომ? შენს გამო! თუ ასე ძალიან გსურს სიცოცხლე, კიბატონო, მაშინ იცოცხლე, მაგრამ ჯერ ბოლო დავალება უნდა შეასრულო!
-ბოლო დავალება ჩემი სიცოცხლის სანაცვლოდ? რა თამაშს თამაშობ? თანაც... მე მეგონა ლიდერი ახლა თაზო იყო, ჩემი წასვლის შემდეგ, ასე არაა?
-დასანანია, მე კიდევ მეგონა ლიდერობა სისხლში გქონდა...
-რა?
-ნიკა, რამე პრობლემაა? - გავიგონე ზუსტად მაგ დროს მეგის ხმა. სასწრაფოდ გავთიშე ტელეფონი და გავმახე.
-არაა!
-ვის ელაპარაკებოდი?
სახე შევიმშრალე, ონკანი გადავკეტე, ღრმად ჩავისუნთქე და კარი გავაღე.
-კატოს, - ნაძალადევად გავუღიმე, თუმცა ჩემი გონება სულ სხვაგან იყო იმ მომენტში. უბრალოდ არ მესმოდა მისი - დემონის ყოველი სიტყვა, რომელიც რაღაც დაფარული აზრით იყო წარმოთქმული.

-კატოს? რამე მოხდა? - ჩამეძია ის.
-არა, არაფერი.
უცებ მომაშტერდა და იმედგაცრუებულმა ხმადაბლა ჩაილაპარაკა:
-კარგი მაშინ.
-მეგი შენ რა, მოიცა აქ მოდი...
-რა გინდა?
-ეჭვიანობ?
-მე? საიდან მოიტანე?
ზურგი შემაქცია. მე კი დავიჭირე და საპირფარეშოს კარებზე მიხეთქებული გამოვამწყვდიე, ჩემს მკლავებში მოვიქციე. ახლა ეჭვიანობის სცენების ან კიდევ გამოკითხვების საშუალება ნამდვილად აღარ ჰქონდა.
-რას აკეთებ გაგიჟდი? დაგვინახავენ... ნიკა!
-ვერ დაგვინახავენ! ხომ გითხარი მაინც დაგიჭერ მეთქი?
ნელა მივუახლოვდი. აღარ იცოდა რა ექნა. ბოლოს წამოიკნავლა:
-კარგი, კარგი შენ გაიმარჯვე, დავრჩები შენთან ან კიდევ არ ვიცი, ხვალ საღამოს წვეულებიდან გავიპაროთ... წამოვალ სადაც გინდა, ოღონდ ახლა გამიშვი...
-მეგი ქათამაძე, შენ ჩემი ხარ! - ვუთხარი ნასიამოვნებმა და მისი სურნელით დახარბებულმა თავი მხარზე ჩამოვადე, მერე ყელისკენ გადავინაცვლე და ვაკოცე. ის საშინელი შეგრძნება, რომელიც წუთების წინ იმ სიტყვების გაგონებაზე დამეუფლა: "მე კიდევ მეგონა ლიდეროზა სისხლში გქონდა..." ისევ განმიახლდა. ემოციებს ერთმანეთისგან ვერ ვარჩევდი. ვერ ვიგებდი რა იყო ის რასაც ჩემს შიგნით ვგრძნობდი იმ მომენტში, დანაშაულის შეგრძნება, შიში რომ წარსული დამეწეოდა და იმის გამო დავისჯებოდი რაც უკვე დავაშავე თუ ცუდი წინათგრძნობა და შიში მომავლისა, რომელიც რაღაც ისევ ახალსა და ამოუხსნელს, ისევ საშინელს მიქადდა... აღმოვჩნდებოდი ამ ყველაფერზე ძლიერი? საბოლოოდ დასრულდებოდა ეს წამება? ამ დღეს მოუთმენლად ველოდი, მოახლოვებულ ფინალს კი მთელი ჩემი არსებით შევიგრძნობდი...
-რამე გჭირს? - მკითხა მეგიმ, როდესაც მისაღებში ვბრუნდებოდით.
-ეს რა ოთახია? - თემის გადატანა ვცადე და მეგის ძველ დაკეტილ კარზე მივანიშნე. საბედნიეროდ გამომივიდა.
-ეს... აქ დედას ნივთებია.
-ბოდიში...
-არაფერია, ხვალ მისი კაბის ჩაცმას ვაპირებ, გინდა ერთად შევიდეთ?
-არა, მირჩევნია ხვალ გნახო. მეგი იცი როგორ მინდა ახლა უბრალოდ ბარგს ვალაგებდეთ ერთად? იცი როგორ მინდა ჩვენ მართლა გავრბოდეთ?
-მაგრამ ვალდებულებებს ხომ ვერ გაექცევი ნიკა... ამდენ მოზარდს შუა გზაზე ასე უპატრონოდ ვერ მივატოვებთ. თანაც ეს ერთადერთი არ არის რაც ჩვენ აქ გვაკავებს. ჩვენ ოჯახი გვყავს, მეგობრები გვყავს... ეს ის არის რაც მე მინდოდა. შეხედე, საბოლოოდ ყველა ბედნიერია!
-ეს დასაწყისია ძვირფასო, - ჩავეხუტე, - მაგრამ ერთი ღამით მაინც ხომ გავიპარებით არა?
-გაიძვერავ...
გაიცინა, მე მომენტით ვისარგებლე.
-ან შეიძლება ორითაც...

მეგი

წერილს ჩემი საწოლის ბალიშის ქვეშ ვინახავ და ვიმედოვნებ რომ ნიკასთან არასდროს მოხვდება. უცნაური შეგრძნებები მეუფლება. თავს ჯერ ნიკას წარწერისკენ ვაბრუნებ - "მე მსურს სიცოცხლე", მერე სარკეში ვიხედები. ეს კაბა... მახსოვს როგორ მინდოდა იმ ღამით ამ თეთრი ულამაზესი კაბის ჩაცმა. მართლაც მოვიხდინე და ერთ მომენტში, სანამ თეთრ ნიღაბს სახეზე მოვირგებდი, ჩემს სილუეტს თვალი მივუშტერე. თითქოს ერთი მხრიდან მე ვიყავი, სარკის მიღმა კი დედაჩემი. და მე გავუღიმე დედას, რადგან ეს სწორედ ის იყო, რაზეც მთელი ცხოვრება ვვოცნებობდი. ვიცი ყოველთვის წარმოვიდგენდი ხოლმე რომ ის ჩემთან ერთად იყო, მხედავდა, ჩემი ესმოდა, მიცავდა და ჩემთვის იქიდან ლოცულობდა, თუმცა დღეს მე მის სიახლოვეს ყველაზე მეტად ვგრძნობ. ვგრძნობ იმდენად ახლოდან, რომ შემიძლია თვალებში ჩავხედო მას და გავუღიმო კიდეც...
ნიღაბს სახეზე ვირგებ და კარისკენ მივემართები რომ დაბლა ჩავიდე. სტუმრები ხომ სადაცაა მოვლენ. უჩვეულოდ მშვიდი ვარ. ალბათ ეს წინათგრძნობაა. ოთახს თვალს ხელახლა ვავლებ, თითქოს ყველა კუთხე-კუნჭულის დამახსოვრებას ვცდილობ. მერე კი კიბეებისკენ უხმოდ მივემართები.
-ღმერთო დიდებულო! მეგი ამ კაბაში შენ ნამდვილი ანგელოზი ხარ! - ლიზა თავს ვერ იკავებს და პატარა მოუთმენელი ბავშვივით ჩასახუტებლად მვარდება. მოკლე ფუშფუშებიანი ვარდისფერი კაბა და იგივე ფერის ბრჭყვიალებით გაფორმებული ნიღაბი უკეთია. მასკარადები ხომ სწორედ მისი იდეა იყო. სხვა ვისი იქნებოდა... - რა გაყინული ხარ?
-ლიზი, მე რაღაც გავაკეთე, - ვჩურჩულებ და კიბის სახელურს ვეყრდნობი. მართლა ძალიან მინდა ყველაფერი მოვუყვე, მოვუყვე იმის შესახებ თუ რა ვნახე ცოტა ხნის წინ ნიკას ტელეფონში და რაც ჩავიდინე ამის შემდეგ, მაგრამ როგორც კი მის გაგიჟებულ სახეს ვხედავ და მესმის ხმა, რომელიც გაუთავებლად მეკითხება თუ - რა გავაკეთე, ვხვდები რომ სათქმელად არ ღირს, ვხვდები რომ, თუ ვიტყვი შეიძლება ყველაფერი გავაფუჭო. სწორედ ამიტომ მალევე ვიყენებ სახეს და ლიზას ვეუბნები:
-მე თაზო დავპატიჟე წვეულებაზე!
-კარგი რა, რა გული გამიხეთქე, მე კიდევ რა აღარ გავიფიქრე, როგორ იცი ხოლმე რა... წამო მოვლენ სადაცაა, ნიკამ არ დაგირეკა? რა მაგარია არა? დღეს ბოლომდე ვსვამთ! ისე დაგათრობ იატაკზე გაწვები, მხოლოდ და მხოლოდ მას მერე რაც მაგიდაზე ტანგოს იცეკვებ, აი მერე კი დავდგები და ჩუმად ვიდეოებს გადაგიღებ. გეფიცები მთელი წლის საშანტაჟოდ მეყოფა!
ლიზა ხარხარებს მე კი მოულოდნელად თემას ისე ვუხვევ, თითქოს მისი არც ერთი სიტყვა გამეგონოს.
-ლიზ, რა გინდა პატარას რომ დაარქვათ?

ლიზა გაოგნებული შემომცქერის:
-გინდოდა გეთქვა დავარქვათ, ხო?
-ჰმ... ხო, - თავი მივაბრუნე და სამზარეულოსკენ გავწიე წყლის დასალევად. ლიზა თან გამომყვა.
-რავი აბა, მე არ მიფიქრია მაგაზე. შენ რა გინდა?
-მე? მე ნიკა...
-ოჰოოო, ჩვენი ქალბატონი მწარედ შეყვარებულია! წარმოდგენაც არ მინდა შენი გმირი როგორი სექსუალური იქნება შავ პიჯაკში და ნიღაბში... წინასწარ ვგრძნობ რომ ეს ღამე არასდროს დაგვავიწყდება!
-ერთ დღეს შენც შეგიყვარდება ზუსტად ასე როგორც შენ იტყოდი - მწარედ და მაშინ გამიხსენებ ქალბატონო.
-არაფერსაც არ გაგიხსენებ, იმიტომ რომ შენც იქ იქნები... ხომ იქნები, არა?
-ჰმ... ხო!
-მეგი, ხომ იქნები?
-რა თქმა უნდა ვიქნები, - ვუღიმი გოგოს, რომელიც დაეჭვებით მიცქერს და თან ლადოს შედევრებს შეექცევა რიგ-რიგობით. ვუყურებ მის დახვეულ თმას და მეცინება. არ მესმის ყოველთვის რატომ სურდა მე დამმგვანებოდა, ის ხომ ასეთი კარგია და ყოველთვის კარგი იყო. მართალია ზოგჯერ ძალიან მოუთმენელი და უტაქტო ხდება, თუმცა მისი ხიბლი ხომ ზუსტად ამაშია! ის სუფთაა, როგორც ბავშვი. რამდენიმე სახის ტკბილეულობა არ ჰქოფნის და ვხედავ მარწყვის ტორტის ჩამოჭრილ ნაჭერს როგორ სწვდება და გემრიელად იგდებს ყბაში.
-რაა? რას აკეთებ? - ცოტაც და კივილზე გადავალ, - შენი ალერგია...
ლიზა უდარდელად აგრძელებს კრემიანი კოვზის ლოღვნას. იმ მომენტში ყველაზე საყვარელიც კი მეჩვენება.
-ვის ადარდებს? - მეუბნება და კისკისებს, - განა არ გახსოვს? აკრძალული ხილი ყველაზე გემრიელია. მე ის უნდა გავსინჯო, თუმდაც ეს უკანასკნელი რამ აღმოჩნდეს რასაც გავაკეთებ!
ესეიგი აკრძალული ხილი არა? მის ამ სიტყვებზე თითქოს თვალი მეხილება. რა თქმა უნდა! "თუმდაც ეს უკანასკნელი რამ აღმოჩნდეს რასაც გავაკეთებ!" სამზარეულოდან გიჟივით ვვარდები.
-მეგი სად მირბიხარ?
-უნდა დავრეკო, ახლა გამახსენდა, - ვეუბნები ლიზას და ისევ ჩემს ოთახში ავრბივარ, თუმცა ჩემი ტელეფონი იქ აღარ მხვდება. ბალიშს ჰაერში ვიტაცებ. წერილი ადგილზეა. არა, ეს უკვე აღარ დამჭირდება! ფურცელს ვიღებ და სადაცაა შუაზე გავგლეჯ, მაგრამ რაღაც მაკავებს, გული მეუბნება რომ ეს არ გავაკეთო, ამიტომ ფურცელს ჩემი საწერი მაგიდის უჯრაში სწრაფად ვინახავ და ტელეფონის მოძებნას ვაგრძელებ, თუმცა უშედეგოდ - ის არსადაა. ჩემი ოთახიდან გამოსული ახლა მერიკოს ოთახში შევდივარ, რომელსაც გამზადება ჯერაც არ დაუსრულებია.
-მეგი, რა ლამაზი ხარ!
-მერ, შეგიძლია ჩემს ნომერზე ზარი გაუშვა? ტელეფონს ვეღარ ვპოულობ, - ვთხოვ და ერთ ადგილზე ვერაფრით ვისვენებ.
-რა იყო, ასე რა განერვიულებს? უბრალოდ წვეულებაა, არა? პირიქით გაიხალისე, მეგობრების შეკრება გაქვს, თანაც ამ დღის დედოფალი ხომ შენ ხარ, - ბოლო ჩრდილის დასრულების შემდეგ მერიკო ჩემსკენ ბრუნდება, მიახლოვდება, გაყინულ ხელებზე თავის

ხელებს მკიდებს და განაგრძობს, - მეგ, გულწრფელი საუბრები... ეს, ის იყო რაც სულ მინდოდა გვქონოდა, თუმცა რატომღაც არასდროს გვიქნია ჩვენ ეს. მინდა იცოდე, რომ შენ მართლა საუკეთესო ხარ და არ ვიცი შევძლებ თუ არა, ვიყო ღირსეული დედინაცვალი. არ დაგიმალავ, ეს ვალდებულებები ჩემთვისაც კი მძიმეა. ყოველთვის ჩვეულებრივად ვცხოვრობდი, ერთი ღარიბი მკერავი გოგონა ვიყავი, რომელიც თავის პატარა დისშვილს ძალიან დიდი გაჭირვებით ზრდიდა. მერე კი ასე უეცრად ერთდროულად, მდიდარი შეფის ცოლი, ორი უმშვენიერესი გოგონას აღმზრდელი და მომავალი დედა გავხდი! ვიცი რომ ამ ყველაფრისთვის საკმარისი არ ვარ, თუმცა გპირდები, გპირდები რომ ყველანაირად ვეცდები...

მერიკოს სიტყვები მაოცებს და გული მიჩუყდება. ლოგინზე ვსვამ, მის პაწაწუნა მუცელს ხელს ვადებ და მართლაც რომ გულწრფელად ვეუბნები, ზუსტად ისე როგორც მას უნდოდა:

-მერ, შენ კარგი დედინაცვალი ხარ...

მიღიმის და გულში მიკრავს, მე კი მგონია რომ ამის თქმის მომენტი მეორედ აღარ დადგება და ვცდილობ გამოვიყენო ის:

-ჩემ ძმას ნიკა დაარქვი, კარგი?

-და თუ დაიკო გეყოლება?

-მაშინ კატო.

-კარგი, ასე იყოს.

კატო? არ ვიცი რა მომივიდა და ეს რატომ ვთქვი. ამას საერთოდ არ ვგეგმავდი. მაინც ვიმედოვნებ რომ ბიჭი დაიბადება...

-მერ, შეგიძლია ახლა დარეკო? გთხოვ რა, სასწრაფოდ ტელეფონი უნდა ვიპოვო.

-უი ხო, ბოდიში სულ გადამავიწყდა.

-არაფერია.

ორიოდე წუთში დაბლიდან ლადოს ხმა გაისმა:

-მეგიიი!

-ლადო სახლში იყო? - ვეკითხები მერის.

-ალბათ ახლა მოვიდა.

-მეგიიი, - მეორდება მამას ხმა.

-გისმენ! - ვპასუხობ, მერის ისევ ვუღიმი და კიბეებზე ჩავდივარ.

-ვიღაც გირეკავს... მერიკო რატომ გირეკავს?

მისაღებში ჩასული მამას ხელში უზარმაზარი დინამიკით ვხედავ.

-მე ვთხოვე რომ დაერეკა, სად იყო ჩემი ტელეფონი?

-ტელევიზორთან დაგრჩენია, - მპასუხობს და აღვრთოვანებული შემომცქერის. ვგონებ ჩემს რეაქციას ელოდება. ჩემი საყვარელი მამიკო...

-ეს რა არის? - ისე ვეკითხები, ვითომ ვერ ვხედავ. მაინც ვაძლევ საშუალებას თვითონ "ჩამახაროს".

-ეს ის არის, რაც სურვილების სიაში ბოლო გეწერა. გახსოვს? - სურვილების სია! ისევ ნიკა და ჩემი ცოტახნის წინ მიღებული გადაწყვეტილება მახსენდება და ისიც რომ სასწრაფოდ უნდა დავურეკო მას. მაგრამ, სამ წუთსაც მოიცდის როგორმე ეს ზარი, არაუშავს.

-აბა მაგას რა დამავიწყებს? მაცივარზე გამოკრული ჩემი პატარა სურვილების სია. რა ადრე იყო, როგორ გახსოვს?

-შენ გეგონა გადავაგდებდი? თუმცა... არც თუ ისე პატარა სია - მეკრიჭება ლადო.

-პატარა დიდი სია...

-მაპატიე რომ მფრინავი მარტორქა ვერ გიყიდე, ვარდისფერ კაბაში! - ამაზე ორივენი გულიანად ვხარხარებთ და მე ვიაზრებ ეს როგორ მომენატრება.

-სამაგიეროდ, უკეთესი საჩუქარი გამიკეთე - ძამიკო!

-ძამიკო? - უკვირს ლადოს და უკვე ხტუნაობას იწყებს, რადგან ჰგონია რომ სქესი გავიგეთ.

-არა, არა, ჯერ მაგისთვის ადრეა, - ვამშვიდებ, - უბრალოდ ასე მგონია...

ამ დროს კარებზე ზარის ხმა ისმის. ღმერთო, ნიკა მოვიდა! ახლა კარებისკენ მივქრივარ და ამდენ ემოციებს მუცელში უკვე ველარ ვძრავ, თუმცა კარებში კატო მხვდება. მას შემდეგ რაც იმედგაცრუებული ვპატიჟებ შიგნით, ის საჩუქარს მაწვდის. ამის შემდგომ სამზარეულოდან ლიზა ეძახის და ისიც მალევე მიემართება. მე კი ლადოსთან ჩემი ტელეფონის ასაღებად ვბრუნდები.

-მეგ, იცოდი რომ ეს კაბა დედაშენს ჩვენს ნიშნობაზე ეცვა?

ღმერთო ჩემო! აი თურმე რას ნიშნავდა ჩემი ცოტახნის წინანდელი შეგრძნება!

-დარწმუნებული ვარ ახლა ის ყველაზე ბედნიერია, - აგრძელებს ლადო, - და სახიდან ანგელოზის ღიმილი არ შორდება.

ანგელოზის ღიმილი... უნებურად მახსენდება გამოსახულება სარკიდან.

-მეგი მიყვარხარ...

-მეც მიყვარხარ მამა, მინდა რომ ჩაგეხუტო.

-მოდი პრინცესავ. იცი რომ ამაყი ვარ, შენნაირი შვილი რომ მყავს?

თავს ამ სიტყვების გაგონებაზე ყველაზე ცუდ ადამიანად ვგრძნობ. მას შემდეგ რაც მოსიყვარულებას როგორც იქნა ვამთავრებთ, ნიკას ნომერს ვკრეფ. ზარი გადის... გადის... გადის... მაგრამ არავინ იღებს! მცდელობას ვაგრძელებ და ხელახლა ვრეკავ. მერე ისევ ხელახლა, ისევ და ისევ... მაგრამ არაფერია! ღმერთს ვთხოვ რომ ჩემი უცნაური შეგრძნებები ამ უპასუხო ზარებთან არანაირ კავშირში არ იყოს. მერე კი არ ვიცი რატომ, მაგრამ ისევ იმ ფოტოს ვუყურებ, რომელიც დღეს დილით ნიკას ტელეფონს ჩუმად გადავუღე და ვხვდები! ნუთუ მან ჩემამდე წაიკითხა ეს შეტყობინება? ჩემამდე ნახა ბოლო დავალება და მის წაშლას აზრი აღარ ჰქონდა? რა თქმა უნდა, მე სულელს მეგონა რომ ჭკვიანი ვიყავი, რომ მასზე ყოველთვის ერთი ნაბიჯით წინ ვიყავი, თუმცა ეს ასე არასდროს ყოფილა. ჩვენი გაცნობის პირველივე დილიდან, სანამ მე გადავხარშავდი თუ რისი გაკეთება შემეძლო და რისი არა, იმისათვის რომ მას ის ჩვენი უბედური ვიდეო საიტზე არ გამოექვეყნებინა, მას უკვე დაევლო ხელი თავისი კამერისთვის და წასულიყო სახლიდან მამაჩემის მანქანით. მისი ეს უაზრო, სიჯიუტის ფონზე ჩადენილი ქმედებები, რომლებიც ჩემს არანაკლებ ჯიუტ მოქმედებებზე წინ ხდებოდა, ყოველთვის დამღუპველ შედეგებს იძლეოდა! ნიკა, ეს რა ჩაიდინე? რა ჩაიდინე! ნიღაბს სახიდან ვიგლეჯ, შიგნიდან ხმამაღალი ღრიალი მხდება, რომელსაც ლადოს ახალი დინამიკის გამაყრუებელი ბგერები ფარავს, რომელიც აზრზე არ არის რა ხდება, ისევე როგორც სხვა დანარჩენები. ცრემლებს დიდხანს ვიკავებ და ისევ იქ ვაბრუნებ, საიდანაც მოდიან და გარეთ გამოღწევას ლამობენ და სადაც არის ძირს უკვე მთლიანად ძალაგამოცლილი დავენარცხები, რომ კარზე ისევ ზარია, რომლის ხმასაც ძლივს ვარჩევ. ჩემს განადგურებულ გულში ისევ იღვიძებს მცირედი საციცოცხლო იმედი (როგორც ეს ყოველ ჯერზე ხდებოდა), რომელიც მაიძულებს ძალა როგორღაც მოვიკრიბო და მივჩოჩდე კარის გასაღებად, თუმდაც მუხლებზე დაჩოქილმა, ოღონდ ვნახო ის არის თუ არა. მე ვაღებ კარებს და მართლაც მას ვხედავ. ადგილს ვწყდები.

-ღმერთო, ნიკა! - მთელი ძალით ვიკრავ გულში და ყელში შემოჩხერილ უზარმაზარ ცრემლებს უკვე გასაქანს ვაძლევ ამომხდნენ. გული საშინლად მიცემს, რაღაც მძიმე ლოდი მწყდება მხრებიდან.

-პატარავ, კარგად ხარ? - მეკითხება შეშინებული, - მეგი, რა გჭირს?
-რატომ დაიგვიანე? - ტირილს და მოთქმას ჯერ ისევ სახლის ზღურბლთან განვაგრძობ.
-ლალისთან შევყოვნდი, რაღაცაზე ვსაუბრობდით, რა არის?
-არ მატყუებ?
-არა მეგი, რატომ უნდა მოგატყუო? შენ რა, მართლა ამის გამო ტირი?
როგორც იქნა ვეხსნები და სახეში ვუყურებ.
-ცუდად გამოიყურები, - ვეუბნები.
-ხო, მერე მოგიყვები, - ნუთუ მან იცის? ეჭვები არ მასვენებს...
-რას ეხება? - არაფრით ვეშვები.
-ყველაფერს, - მპასუხობს მშვიდად.
-თამაშს ეხება? - შიში მიახლდება.
-ნაწილობრივ, - მან იცის...
-ახალი დავალებაა?
-არა მეგი, მერე მოგიყვები მეთქი, მართლა არაფერია მსგავსი, - მპასუხობს. ვწყნარდები.
-იცი რა? - ვეუბნები და ეზოში მივათრევ. ყველაზე გაბედული ვარ დღეს, ვიდრე ოდესმე. უკვე ღამეა. სასიამოვნოდ თბილა. მის სახეს ხელებში ვიქცევ და დაუფიქრებლად ვკოცნი, - თანახმა ვარ! გავაკეთოთ ეს... გავიქცეთ, ერთად გავიქცეთ ძვირფასო!
გაოცებული შემომცქერის, მერე ეღიმება, მაგრამ სახეს ხელახლა ისერიოზულებს, რადგან საერთოდ ვერაფერში გარკვეულა:
-მეგი შენ? რას მეუბნები, დარწმუნებული ხარ? შენ... დავიბენი, ახლა მართლა ძალიან დავიბენი! ჯერ კიდევ გუშინ მიმტკიცებდი რომ ვალდებულებები გაგვაჩნია, რომლებსაც ვერ გავექცევით, რომ აქ მეგობრები და ოჯახი გვყავს. ერთ დღეში მაინც რა შეიცვალა?
-მე უბრალოდ მინდა რომ, რაც შეიძლება შორს წავიდეთ ამ დაწყევლილი ადგილიდან. განა ვერ ხედავ? აქ მოსვენება არ გვაქვს, მომავალი არ გვაქვს! როგორმე ყველა იპოვის თავის გზას!
-მეგი, შენს თავს არ გავხარ!
-მართალი ხარ! ეგოისტი ვხდები, ყველაზე ეგოისტი ადამიანი ამ ქვეყნად, თუმცა იცი რა? ჯანდაბაშიც წასულა ყველაფერი! უბრალოდ ყველაზე და ყველაფერზე მნიშნელოვანი ჩვენი ერთად ყოფნა მგონია. შენ რა, ასე არ თვლი? არ გინდა ჩემთან ერთად, ძალიან შორს ამ ყველაფრისგან, თუმდაც სამყაროს დასალიერში?
-მე... მინდა! რა თქმა უნდა მინდა. სადაც შენ მეტყვი იქ წაგიყვან, დაე დავივიწყოთ ყველა და აღარავინ გვახსოვდეს ერთმანეთის გარდა! - ჰაერში მიტაცებს და ხმამაღლა იცინის. ეს მოულოდნელი ემოციებია და მე ბედნიერი ვარ, ისეთი ბედნიერი როგორც არასდროს. რატომ ვგრძნობ ყველა გამძაფრებულ ემოციას დღეს?
-წამოდი, ახლავე გავიქცეთ, - მეუბნება ნიკა.
-კარგი, კარგი, მაგრამ ჯერ რაღაც უნდა გავაკეთო. დამელოდე, კარგი? როგორც კი მოვახერხებ ჩემოდანს ფანჯრიდან ჩამოგიგდებ და იქვე იყავი. უკანა ეზოში გადი და მოგწერ. ხო მართლა, სადაა შენი ტელეფონი?
-თან არ მაქვს ვერ მომწერ, მერე მოგიყვები.
-კარგი, განიშნებ მაშინ როგორმე, ახლო იყავი. და მერე უნდა შევბრუნდე, ცოტახანი დამელოდები?
-რამდენი ხანიც გინდა, იმდენი დაგელოდები მეგი...
ვუღიმი და სახლში შებრუნებას ვაპირებ რომ მაჯაზე ხელს მტაცებს, უკან მაბრუნებს და ჩემს ტუჩებს აცხრება... და ეს ყველაზე მგზნებარე კოცნაა კოცნათა შორის...

***

მას შემდეგ რაც ჩემი ჩემოდანი ფანჯრიდან გადავაფრინე, რომელშიც დედას რამდენიმე კაბა, ჩემი და ლიზას ფოტოები, მამის ნაყიდი ნივთები, მერის ნაჩუქარი ჩემი მომავალი ძმის პატარა ფაჩუჩები სამახსოვროდ, ჩემი ძველი დღიურები, საფულე და რამდენიმე საკრედიტო ბარათი ჩავაწყე, ისევ მძარცველივით ჩავიცვი, კაპიუშონი ჩამოვიფხატე და დღიური გადავშალე. არც კი ვიცოდი ამას რატომ ვაკეთებდი. დაბლიდან მხიარული და უკვე მთვრალი ბავშვებისა და ლიზას საყვარელი სიმღერების ხმები აღწევდა. ალბათ ეგონათ რომ როგორც ყოველთვის ვაგვიანებდი და მოგვიანებით შევუერთდებოდი მათ. სჯობდა ასე ჰქგონებოდათ... ამ დღის ჩანაწერების გაკეთება რომ დავიწყე, ჩემი ოთახის კარებთან რაღაცის ფხაკუნის ხმა გავიგონე და შევხტი, ავკანკალდი. მეგონა ვინმე ჩემს დასაძახებლად მოვიდა, თუმცა მერე ბუტბუტი გავიგონე, რომელიც ერთ ადამიანს ნამდვილად არ ეკუთვნოდა. კართან ფეხაკრეფით მივიპარე და მივაყურადე.

-მგონი მთვრალი ვარ, - გავარჩიე ლიზას ხმა. წარმოვიდგინე ახლა როგორ გამოიყურებოდა და გულსაკლავად ჩავიფხაკუნე. ვინ იცის მას კიდევ როდის ვნახავდი, ან ვნახავდი თუ არა საერთოდ...

კი მაგრამ, ვინ იყო მეორე?

-აქ რას ვაკეთებ? - გავიგონე ისევ მისი ხმა, - ა, ხო მეგისთვის უნდა დამეძახა.

ვაიმე არა! სასწრაფოდ გადავამოწმე კარის საკეტი.

-ლიზა, მოიცა! - ეს ხმა... კი მაგრამ, ვის ეკუთვნოდა?

-რა გინდა თაზო?

თაზო?

-მე რაღაც უნდა გითხრა... ვიცი ახლა სრულებით არაა არც ამის დრო და არც ადგილი, მაგრამ...

-რა ხდება? ტუალეტს თუ ეძებ, აი აქეთაა, - ოხ ლიზა! ყოველთვის უტაქტო და სულელი, მოუთმენელი ბავშვი როგორაა, რომელიც მაშინაც კი არ ჩუმდება, როცა სიყვარულს უხსნიან? - ხო მესმის, რა თქმა უნდა, - აგრძელებს ის, - ჩვენ ბევრი დავლიეთ, ლუდმა კი ბევრი შარდის გამოყოფა იცის და... იცოდი რომ ლუდსაც გააჩნია?

-ჰაჰ... არა, მე... ლიზა, იმ დღეს ბათუმში...

-რა ხდება, ახლა ჩემი მოტაცებაც ხომ არ გადაწყვიტე? შენ მართლაც ცუდი ბიჭი ხარ! არადა როგორ აღარ ვანიშნებდი მეგის შენზე, ვეუბნებოდი რომ აკრძელული ხილი ყოველთვის გემრიელია... იდიოტო, შენს გამო ალერგიით მოვკვდი კინაღამ!

აი თურმე რა... ამას როგორ ვერ მივხვდი?

-მოიცა რა? მოკლედ მოდი ჯერ დავამთავრებ! ნება მომეცი, გთხოვ.

-კკ...კაი!

-მოკლედ, როცა მე... როცა მეგის გასატაცებლად მოვედი და თქვენები იქვე აღმოჩნდნენ, მათ შორის იყავი შენც და მეგის ეძახდი.

-ხო და კიდევ ვიძახდი, ეს სიმპათიური, მაგრამ ცუდი ტიპი ვინ არის მეთქი.

-მართლა ასე იძახდი?

-დიახ...

-ლიზა, მინდა იცოდე რომ, მე არ გავიტაცებდი მეგის, არც კი ვცდიდი ამას, რადგან იმ წამიდანვე როცა დაგინახე... იმ მომენტიდან ამ დღემდე მე შენზე ფიქრს ვერ ვწყვეტ და მე... მგონი ეს იმაზე მეტია ვიდრე უბრალოდ მოწონება!

და ესეც ასე... როგორც უკვე ვთქვი, ყველა იპოვნის თავის გზას! გზას რომელშიც მე და ნიკა აღარ ვიქნებით... ვიღიმი და კარებს ვშორდები, ისევ ჩემს დღიურს ვუბრუნდები და მალევე როცა აქ ყველა საქმეს ვასრულებ, სანამ ჩემს ფანჯარაში ჩემი ჩემოდანივით ნიკას მიმართულებით გადავფრინდებოდე, ჩემი ტელეფონიდან ფოტოს ვაქრობ, ფოტოს სადაც ნიკას ტელეფონში მოსული შეტყობინება ჩანს, საბოლოო დავალება რომელიც მას არც კი წაუკითხავს, რადგან როგორც კი ფოტო გადავუღე მაშინვე წავშალე. ახლა კი დროა ჩემი ტელეფონიდანაც ავაორთქლო! და ეს შეტყობინება ისევე არასდროს არ მოხვდება ნიკასთან, როგორც ჩემი წერილი, რომელიც ისევ ჩემი საწერმაგიდის უჯრაშია. სანამ ფოტოს წავშლიდე რატომღაც ისევ, მაგრამ ამჯერად უკანასკნელად ვავლებ თვალს ამ შემზარავ შეტყობინებას, სადაც წერია:

"უკანასკნელი დავალება:
მოკალი მეგი ჩემო შვილო! გაამართლე მამის სახელი, ანდაც დამარცხდი ამ ომში! და იცი რა ემართებათ ბრძოლაში დამარცხებულებს? ისინი კვდებიან!"

ნიკა

დილით მეგისთან შევიარე სახლის მორთვაში დასახმარებლად საღამოს წვეულებისთვის. გარშემო ყველაფერი ბრწყინავდა და მართლაც ზუსტად შეეფერებოდა მეგის დღეს. ლადო

ძიას კიდევ ერთხელ გადავუხადე მადლობა და მემგონი ჩვენი პრობლემები როგორღაც მოვაგვარეთ. ლიზამ შავი ნიღაბი გადმომილოცა, გინდა თუ არა გაიკეთე და ისე მობრძანდი თორემ ამის გარეშე არ მოგიშვებთო.

-და მეგის რა ფერი ექნება? - დავვინტერესდი მე.

-შენი აზრით? - თვალი ჩამიკრა გოგომ.

-რა თქმა უნდა! სხვას რას ველოდი... ჩვენ ხომ თავიდანვე ასე ვიყავით!

-ვერაფერი გავიგე, მაინც როგორ იყავით?

-როგორც ფერები...

-როგორც ფერები? რა უცნაურია.

-ხო, როგორც თეთრი და შავი!

—

იმ დღეს კატოსგანაც კი არაფერი მსმენია. ალბათ ყველა საღამოსთვის ემზადებოდა. სახლში დაბრუნებულს ლალი არ დამხვდა. მარტო დარჩენილს ერთი აზრად იდეა მომივიდა, გადავწყვიტე რომ სანამ სახლში დაბრუნდებოდა გამეხარებინა და სახლიდან ისევ გავედი. ქალის ტანსაცმლის მაღაზიებს დავუწყე თვალიერება. წინა დღის ზარი "მასთან", ჩემს გონებას არაფრით შორდებოდა. ვერაფრით მივმხვდარიყავი თუ რას ნიშნავდა დემონის სიტყვები. ვცდილობდი ლოგიკურად მეაზროვნა, თუმცა ამ ჯერად, ლოგიკა - ეს ის არ იყო რაც დამეხმარებოდა, რადგან ყველაფერი რაც ჩემს გარშემო ხდებოდა სრული სიგიჟე და საღ აზრს ძალიან დიდი მანძილით გაცდენილი იყო. რამოდენიმე იაფიანი მაისურისა და ერთი კაბის ყიდვის შემდეგ სახლში გახარებული დავბრუნდი და ლალის ოთახში შევედი ტანსაცმლის კარადაში დასაკიდად. გადავწყვიტე რომ ასე უფრო გაუხარდებოდა. მისი გარდერობიდან რამდენიმე ძალიან ძველი ტანსაცმელი გადმოვიღე და ისინი ახლებით ჩავანაცვლე. მერე დახვავებული ტანსაცმლის ქვეშ თვალი რაღაც ბრტყელ საგანს მოვკარი. დამაინტერესა რა იყო და ხელში ავიღე. ფირფიტა შუაზე გავხსენი და დავინახე პატარა შავი დისკი, იქვე მიწებებული ფურცლით, რომელზეც ეწერა:

"სამუდამოდ ვერ მოატყუებ! ის შენ შეგიძულებს... იმაზე უფრო მეტად შეგიძულებს, ვიდრე მე ვძულვარ ახლა!"

ეს რა არის? ნუთუ კიდევ ერთი შეტყობინება? მაინც ვერაფერს მივმხვდარვარ, ჩემს გონებას უბრალოდ არ უნდა რომ გაიაზროს... მაგრამ მოიცა! თუ დავფიქრდები, მივხვდები რომ ზუსტად იგივე მჭირდა სწორედ იმ ღამეს, როცა "დემონი" მეორედ ვნახე და დავინახე როგორ საზიზღრად უელავდა ცეცხლის ალზე თავისი ოქროს კბილები. ვითომ ის არის? მხოლოდ და მხოლოდ ჩემს ინტუიციას დავეყრდნო? არადა მას ძალიან ჰგავს, მაგრამ არა... ის ვერ იქნება! ოთახში ჩემი ლეპტოპის მოსაძებნად გავიქეცი, ვერ ვძლიე ამ ცნობისმოყვარეობას. ვხვდებოდი რომ რაღაც არანორმალურთან მქონდა საქმე. ვიცოდი რომ ცუდად ვიქცეოდი, მაგრამ თავს მხოლოდ და მხოლოდ იმ აზრით ვიწყნარებდი, რომ რადგან ვიპოვე, ესე იგი ასეც უნდა ყოფილიყო. უნდა გამეგო რა იყო ამ დისკზე. ეს წარწერა

სასტიკად ავისმომასწავებლად გამოიყურებოდა. და ზუსტად ასეთი იყო მისი თითოეული შეტყობინებაც. დისკი ჩავრთე. მასზე ჩაწერილი იყო რამოდენიმე ვიდეო. პირველი გავხსენი და თვალებს არ დავუჯერე. ეს იყო... უფროსწორად ჩვენ ვიყავით. მე და ის... მე და მეგი, ჩემს ოთახში! მეგი მთხოვდა დანა მისთვის მიმეცა, რომლითაც ხელებს ვისერავდი. ეს ხომ ჩემი პირველი დავალება იყო? და დანარჩენი ვიდეოებიც ყველა ერთიმეორეზე მიყოლებით ჩემი შესრულებული დავალებები იყო გარდა ერთისა. გამოდის რომ ლალიმ იცოდა? ბოლო ვიდეოს დავაკლიკე. გული მიგრძნობდა რომ ყველა პასუხი ზუსტად აქ დამხვდებოდა, თუმცა ნანახმა მოლოდინს გადააჭარბა. მაინც როგორი იდიოტი ვიყავი რომ აქამდე მომხდარ მოვლენებს ვერ ვაკავშირებდი. ძველი ჩაჭვის პატარ-პატარა რგოლებს, რომლებიც ცხვირწინ მეყარა ერთმანეთთან ვერ ვაბამდი. ვიდეოს ბოლომდე ყურებისას, ის სიტყვები რომლებიც თავში მიტრიალებდა იყო მხოლოდ:

"უნდა მომეკლა!"

-ნიკა, დე მოვედი, - გაისმა შემოსასვლელიდან ლალის ხმა. ლალი... დედა, რომელიც გვიან ვიპოვე და ადრე დავკარგე. მე ის მიყვარდა, მე ის ახლაც მიყვარს მაგრამ ამის მიხვედრა, სიმართლის ერთხელ და სამუდამოდ დადგენა და მისთვის თვალებში ჩახედვა იმას მეუბნებოდა რომ თვრამეტი წელი ტყუილში მიცხოვრია და ეს მხოლოდ და მხოლოდ მისი დამსახურებით. გამახსენდა ის ნოსტალგიის შეგრძნება, რომელიც ვანილის ნაყინის ჭამის დროს დამეუფლა მეგისთან ერთად. გამახსენდა მაშინ როგორ მწარედ გამეცინა იმის გაფიქრებაზე, რომ შეიძლებოდა ის მამას მოეტანა ოდესმე ჩემთვის, თუმცა მე ეს არ მახსოვდა. ამის მცირე იმედს მაინც ვიტოვებდი, მიუხედავად იმისა რომ არარსებულად მეჩვენებოდა. ახლა კი, ახლა თითქოს ჩემი სხეული მე არ მეკუთვნოდა, უბრალოდ არ მესმოდა რას ჩავდიოდი. ჩემში მოწოლილი ზიზღი, აფეთქება, იმედგაცრუება, ბოღმა, ღალატის გრძნობა, ტყუილი, ტანჯვა და წამება როგორმე უნდა ამომენთხია. ხელში რაც მომხვდა ეს ჩემი საწყალი ტელეფონი იყო, რომელიც მთელი ძალით მივანარცხე კედელს და ხმამაღლა ვიღრიალე. ტელეფონი საბოლოოდ მოკვდა. ამ ხმაზე შეშინებული ლალი ჩემს ოთახში შემოვარდა, კარებში აიტუზა და გაუთავებლად მეკითხებოდა თუ რა მოხდა, სანამ... თვალები ლეპტოპისკენ არ გაექცა, სადაც ისევ ვიდეო იყო ჩართული.

-ყველაფერს აგიხსნი, - აღმოხდა მას და ჩემთან მოახლოვება სცადა. მცდელობა უშედეგო გამოდგა. არ ვიცოდი როგორი რეაქცია მქონოდა, მან არ იცოდა რა რეაგირება მოეხდინა ჩემს ამ ურეაქციო რეაქციაზე. და ჩვენ ვიდექით მანძილის დაშორებით ერთმანეთთან და შევცქეროდით ერთმანეთს.

-ამას რა გამართლება აქვს? - ვიყვირე როგორც იქნა და ვიდეო ხელახლა ჩავრთე. მისი თითოეული წამი ისეთი მწამებელი იყო ახლიდან და მერე ისევ ახლიდან...

და აი რა ვნახე მე:

ლალი ძველი ციფრული კამერით უღებს სადღაც დაახლოებით ორი წლის ბიჭუნას. ეს მე ვარ. ის რომელიღაცა ლექსის თქმას მასწავლის, მე კი გაწამებული და დაჯღანული სახე მაქვს. (ალბათ ეს პატარაობიდანვე მომდევდა) ერთი შეხედვით ყველადერი ძალიან ჩვეულებრივად არის, სანამ ოთახში კაცი არ შემოდის. ნაცნობი სახე აქვს. ნაცნობი საზიზღარი ჩაცინებით, ოქროს კბილებითა და მაჯაზე მორგებული ჩემი ვერცხლის საათით. ის არის - "დემონი"! ხელში ვანილის ნაყინი უჭირავს და მე მაწვდის, მე კი გახარებული ვართმევ და შევძახი "მამა"!

ჯობდა მოვმკვდარიყავი... ისევ და ისევ ახლიდან მახსენდებოდა ყოველ წამს რომ ადამიანი, რომელიც ყველაზე და ყველაფერზე მეტად მძულდა და რომლის კისერზეც უამრავი მოზარდის სიცოცხლე იყო, მამაჩემია. მამაჩემია? ამის გააზრება არც ახლა მსურს...

-რატომ დედა?

-შენთვის ამის თქმას არასდროს ვაპირებდი, მაგრამ ხედავ? ის თავად იპოვე... როგორც ჩანს განგება ფესვებთან გვაბრუნებს, ფესვებს კი განგებამდე მივყავართ!

-და რა გამოდის, რომ შენ იცოდი? თამაშზე იცი?

-ყველაფერი... თუმცა მერწმუნე დიდი ხანი არაა. ის შენით მემუქრებოდა ნიკა! რა უნდა მექნა? აბა მითხარი... ორ წყალს შუა ვიდექი და არჩევანიც არ მქონდა რომელში გადავვარდნილიყავი...

-რა თქმა უნდა, ეს ხომ ის ერთადერთია რაც მაგ ნაბოზარს შეუძლია! და შენ... რამე დაგიშავა? პასუხი გამეცი!

-ნიკა დაჯექი.

-რას ქვია დავჯდე?

-მისმინე, გთხოვ.

-მოვკლავ!

-არა, არ მოკლავ!

-მართლა? ვითომ რატომ? ერთი მიზეზი დამისახელე ეს რატომ არ უნდა გავაკეთო!

-იმიტომ რომ თუ ამას იზამ, ასე მას დაემგვანები, გესმის? მე კი ეს არ მინდა.

-შენ... შეგეძლო გეთქვა, შეგეძლო რომ გეთქვა დედა!

-დამიჯერე ისევ შენთვის გიმალავდი ნიკა. შეხედე გაიგე და რა ხდება...

-და ახლა რა?

-დაჯექი ნიკა, გთხოვ...

-არა, არ შემიძლია! შენ იცოდი თუ რა შეიძლებოდა მომსვლოდა და ის ჩემთან სახლში მაინც მოგყავდა! ამის გამო თავი მეზიზღებოდა, ამის გამო მინდოდა... შენ გესმის? იცი მაინც რა გამოვიარე? ყოველი დღე ჯოჯოხეთი იყო, ყოველი ღამის მშვიდობით გათენებისთვის ბრძოლა მიწევდა და ეს ყველაფერი რისთვის? იცი რა? მე არ მინდა სიმართლე ვიცოდე, აღარ მინდა მეტი ვიცოდე, ეს ის არ არის რისი გადატანაც ახლა მინდა... მე უბრალოდ... უნდა წავიდე!

კარებისკენ წავედი, ლალი გამომეკიდა, პიჯაკზე მექაჩებოდა, ტიროდა და დარჩენას მთხოვდა.

-გამიშვი!

-არასოდეს მაპატიებ, ხო?

-არ ვიცი, - ვუპასუხე და კარები მოვიჯახუნე. გარეთ დარჩენილმა ასე ყველაფრის გარეშე და უპატრონოდ, თავი საშინლად მარტოსულად და უბედურად ვიგრძენი. ახლა რა ვქნა? სად

წავიდე? სერგი... ნეტავ ჩემს გვერდით ყოფილიყავი. მე შევიწირე შენი სიცოცხლე, შენი ძვირფასი სიცოცხლე და ეს ყველაფერი ამად ღირდა? და ახლა რა? მხოლოდ ის ვიცი რომ აქ გაჩერება აღარ შემიძლია. მეტის ატანა ჩემს ფიზიკურ შესაძლებლობებს სცდება. რაც დამრჩენია ეს მხოლოდ შენს საფლავზე ეულად, შარვალ კოსტუმში გამოწყობილი ჯდომა და მოთქმაა. ნეტავ შენთან ერთად უფრო მეტი დრო გამეტარებინა მეგობარო...

რაღაცეები სიკვდილის მერეც არ იცვლება თურმე. ახლაც კი გასაჭირის ჟამს ვინც პირველი გამახსენდა ეს სერგი იყო. უცნაურია, ძალიან უცნაურია...

უაზროდ სიცარიელეს იქამდე შევცქეროდი სანამ არ მოსაღამოვდა. ყველაფერი ერთმანეთში ამრეოდა. ამ ამბავში კარგს ვერაფერს ვხედავდი გარდა იმისა რომ მე ჩემი თავი და მეგობრები და პირველ რიგში მეგი ვიპოვე. ო, არა მეგი! მე მისი წვეულება გამოვტოვე! ჯიბეში ხურდებს ძებნა დავუწყე. ეს ფული ტაქსისთვის არ მეყოფოდა. მეგის სახლამდე სირბილით მისვლა მომიწია. როცა როგორც იქნა მის სახლს მივუახლოვდი, უკვე ბნელოდა. კარი მან გამიღო. ატირებული დამხვდა. თავის თავს უცნაურად არ ჰგავდა. ისეთი ლამაზი იყო, ისეთი ლამაზი... და მან თითქოს მაშინაც იგრძნო! იგრძნო და მე ამომირჩია! ჩვენ გავიქცეოდით ერთად, დავტოვებდით ყველაფერს და ყველას, გასაქანს მივცემდით ჩვენს სიყვარულს გაზრდილიყო და აყვავებულიყო. მეტი საერთოდ აღარაფერი მინდოდა ამ ცხოვრებისგან. მხოლოდ მე და ის... ის და მე...

***

-არა რა, ხო გეუბნები სუფთა მარგო ხარ მეთქი, - ავძახე ფანჯარაში მეგის. კიდევ ერთხელ მომიწია იმის ყურება თუ როგორ ძვრებოდა ფანჯრიდან.

-რა დროს მარგოა იდიოტო, ჯერ ჩემი ტელეფონი დაიჭირე, - გამეცინა და ხელი გავუწოდე. ყველა ცუდი ფიქრი როგორღაც ჩემიდან განვდევნე და მხოლოდ ჩვენზე და ჩვენს ბედნიერებაზე ვკონცენტრირდი. სხვა დანარჩენისთვის უკვე წერტილის დასმის დრო იყო, რადგან ყველაფერს აქვს თავისი დასაწყისი და დასასრული. მაგრამ მე ვეცადე და მთავარი ეს იყო.

-ჩვენს საქციელზე "წყეული სამყაროს დასასრული" მახსენდება, - მითხრა და ძირს ჩამომხტარმა თავისი ჩემოდნის მოძებნა დაიწყო, რომელიც იქვე სიბნელეში ეგდო.

-გეთანხმები, წყეული სამყაროს დასასრული ზუსტად რომ შესაფერისი სახელია, იმის გამოკლებით რომ მე არავინ მომიკლავს, - თვალი ჩავუკარი და გავუცინე. წამში დაიძაბა და სახე მოეღუშა, - მეგ, მისმინე... იცოდე თუ გადაიფიქრე გავიგებ.

-არა, არა უბრალოდ... ანდაც, რა მნიშვნელობა აქვს.
-არა, მითხარი.
-ნიკაა დაივიწყე.
-გთხოვ...
-უბრალოდ გავიაზრე რომ ჩემი ფანჯრიდან შენს შესახვედრად ღამე ბოლოჯერ "გადმოვეფოფხე" და საერთოდაც ის ყველაფერი რაც დღეს გავაკეთე... საუბრები ოჯახის წევრებთან და ის ხალხი რომლებიც ახლა ჩვენ შიგნით გვიცდიან და ჰგონიათ რომ წუთიწუთზე შევუერთდებით მათ მხიარულებას... ეს ყველაფერი მტკივნეულია! მე ვეღარასოდეს შევძლებ ეს გავაკეთო, ვერასდროს ვნახავ როგორ იზრდება ჩემი ძმა, ვეღარ მოვუსმენ ლიზას სისულელეებს, ვეღარ ვიცინებ მამასთან ერთად...
-მეგ...
-არა! ვიცი ახლა რასაც მეტყვი და არ ღირს რადგან მე არ გადავიფიქრებ! ჩვენ წავალთ, გასაგებია?

ჯერ კიდევ გუშინ ის მარწმუნებდა რომ გაქცევა მხდალების საქმეა, რომ გმირულად უნდა დავუდგეთ ჩვენს მოვალეობებს და პატიოსნად მოვიხადოთ ისინი, რომ ამის შემდეგ შევძლოთ მშვიდად და ბედნიერად ცხოვრება. ახლა კი ჩემზე მეტად დაეჟინებინა გაქცევა, თითქოს მეტ გამოსავალს ვერც ხედავდა, თითქოს ეს ის ერთადერთიღა იყო რისი გაკეთებაც საერთოდ შეგვეძლო. ამის მიზეზი ვერ გამერკვია, მაგრამ ახლა ამის დრო აღარც იყო. ჩემოდანი გამოვართვი და ქუჩისკენ ფეხაკრეფით გავემართეთ. მაგრამ უეცრად ზუსტად ჩვენს უკან ძახილი გაისმა:

-ნიკა!

მეძახდა კატო. მე მივბრუნდი და დავინახე გრძელ საღამოს იისფერ კაბაში, რომელიც თმებისთვის ზუსტად შეეხამებინა, როგორ იდგა და იმეორებდა ჩემს სახელს და ეს საერთოდ არ იყო კარგი, რადგან მე მოულოდნელად ძეგლივით გავშეშდი ერთ ადგილას.
-ნიკა, წავედით, - ფრთხილად დაიჩურჩულა მეგიმ. თითქოს ეშინოდა რაღაცის.
-ნიკა რას აკეთებ? - შესძახა ისევ კატომ. სადღაც ათ მეტრში იდგა ჩვენგან. ისედაც გაოგნებულმა მალევე მოავლო თვალი ჩანთას რომელიც ხელში მეჭირა და თითქოს სპეციალურად უფრო ხმამაღლა შეჰყვირა:
-რას აკეთებთ? სულ გაგიჟდით?
-კატიუშ, - უცებ გაუაზრებლად გაუშვი ხელი ჩანთას და ორი ნაბიჯი წინ გადავდგი. პარალიზებულივით მივემართებოდი კატოსკენ და ერთადერთი რის თქმასაც ვახერხებდი იყო მხოლოდ:
-კატიუშ!
-ნიკა წავედით, - ხმას აუწია მეგიმ. მე უკვე ზუსტად მათ შორის ვიდექი. მეგისა და კატოს შორის!
-დროზე ნიკა, ის ჩაგვიშვებს! დაიკივლა მეგიმ, მომვარდა და მკლავზე მომქაჩა. გონზე მოსულმა სასწრაფოდ უკან დავიხიე, მეგის ხელი მოვკიდე, მეორე ხელით კვლავ ჩემოდანი ავიღე და მთელი ძალით გავიქეცით ერთად.
-ნიკა არ წახვიდე, ნიკა! არ მიმატოვო...

იქამდე მევედრებოდა კატო, სანამ ისე შორს არ გავიქეცით რომ მისი ხმა საბოლოოდ ღამის ბურუსში არ ჩაიკარგა. მეგიმ ტაქსი გააჩერა.
-საით? - იკითხა მძღოლმა.

-სულ ერთია, ოღონდ სწრაფად იარეთ თუ შეიძლება, - მიუგო მან აკანკალებული ხმით, მე კი თითქოს კვლავ ჩამესმოდა კატოს ხმა რომელიც ტიროდა და მთხოვდა არ მიმეტოვებინა. უცნაური იყო რომ თითქოს ჩემს შიგნით რაღაც დამძიმდა.

-ჩემთან უნდა გავიაროთ ნივთების ასაღებად, ამასთან არც ფული მაქვს არც პასპორტი, რას ვაპირებთ მეგი?

-სომხეთის ქუჩისკენ წადით და გეტყვით სადაც უნდა გაგვიჩეროთ, - უთხრა მეგიმ მძღლს და მერე მე მომიბრუნდა:

-რა იყო ეს?

-რაზე ამბობ?

-სერიოზულად, რა იყო?

-მეგი ამიხსენი რომ გავიგო რას მეუბნები, რას ბავშვობ?

-ნიკა შენ დაფიქრდი, გესმის? გადაწყვეტილების მიღება გაგიჭირდა!

-გადაწყვეტილების მიღება რასა და რას შორის?

-ჩემსა და კატოს შორის!

-მეგი არაა...

-გაჩუმდი, შენ მე ვერ მომატყუებ და ეს იცი.

-მისმინე მეგი, არ ვაპირებ რამე დაგიმალო და არც რამის მტკიცებას ვაპირებ, კატო ჩემთვის მართლა ძალიან ბევრს ნიშნავს მაგრამ მე შენ მიყვარხარ, შენ ერთი და მხოლოდ შენ! ათასჯერ რომ ვიცხოვროთ, ათასივე სიცოცხლეში მე გიპოვი და მხოლოდ შენ აგირჩევ!

-მპირდები?

-გპირდები... თანაც ახლა ხომ მარადისობა გვაქვს! მთელი მარადისობა...

-შენ გახსოვს...

-რა თქმა უნდა მახსოვს, შენთან ერთად გატარებული თითოეული წამი მახსოვს და მასზე ძვირფასი ამ ქვეყნად არაფერი გამაჩნია. მე მიხარია რომ როგორც იქნა ამ შავ-თეთრ ცხოვრებას თავს დავაღწევთ და არცერთი წამით არ იფიქრო რომ ეს არ მინდა. ჩვენ ფერადი მომავალი გველის!

-ჩვენ ორნი მხოლოდ... მეტი არავინ მჭირდება ნიკა.

-რა ვიცით, იქნებ სამნიც...

ტაქსი შეჩერდა. მეგიმ მგზავრობის ფული გადაიხადა. გადავედით და სახლის გასაღების მოძებნას შევუდექი რომ შიგნიდან რაღაც ხმაური გავიგონეთ.

-რა ხმაა? - მკითხა შეშინებულმა. არანაკლებ შემეშინდა როცა ვივარაუდე რა შეიძლებოდა ეს ყოფილიყო და ძლივს მოვარგე გასაღები საკეტს. შიგნით შევცვივდით. დედაჩემის კივილის ხმა სამზარეულოდან გამოდიოდა.

-ნიკა რა ხდება? - ატირდა მეგი.

-მეგ, პოლიციაში დარეკე მალე და შიგნით არ შემოხვიდე რაც არუნდა მოხდეს, გაიგე?

-მაგრამ...

-მეგი გაიგე?

-კარგი, კარგი გავიგე, ვრეკავ...

სამზარეულოსკენ გულისხეთქვით გავიქეცი. დავინახე ფეხს ძირს დაცემულ დედაჩემს ის არამზადა როგორ ურტყამდა, ხელში კი დედაჩემის ძველი იარაღი ეჭირა. ამ სურათის შემხედვარეს თავში სისხლი ჩამექცა. ღმერთო, ლალი მარტო როგორ დავტოვე? სანამ ჩემს მოსვლას შეამჩნევდნენ მაქამდე მივვარდი, მას ხელი ვკარი ისე რომ წონასწორობა დაერღვა და თავი მაგიდის წვერს ჩამოჰკრა. სანამ ფეხზე ისევ შეძლებდა დადგომას, მე ლალის დახმარება ვცადე, მაგრამ დაბეჟილობა იმდენი იყო, რომ ის საერთოდ ვერ ინძრეოდა.

-გაიქეცი შვილო, - დაიჩურჩულა მან.
-დედა...
-ნუ გეშინია, მე კარგად ვიქნები...
უკან რომ მივიხედე ის იქ აღარ დამხვდა. სისხლის კვალს გავყევი რომელიც მისაღები ოთახისკენ მიდიოდა. წითელი ხელის ნაკვალევები ჩვენს შეღებილ კრემისფერ კედლებზე მკაფიოდ დამჩნეულიყო. არა! იქ ხომ მეგი იყო.
-ჩაგაძაღლებ, მას არ მიეკარო! - ვიყვირე.
-ჯერ ისევ ვერ ირჩევ შვილო? - ცალი ხელი თავზე მოიკიდა მან. სისხლი არ უჩერდებოდა, თუმცა თავის შემზარავი სიცილით კვლავ ახერხებდა გაცინებას. ყოველ ჯერზე ტანში საშინლად მცრიდა. საერთოდ რეალობის აღქმას ვერ ვახერხებდი. ყველაფერი იყო ისე, როგორც საშინელებათა ფილმებში, როგორც ყველაზე უარეს კოშმარში. მეგი იქვე კუთხეში საწყლად ატუზულიყო. დემონი ხან მას უყურებდა ხან მე და იარაღს ხელში ატრიალებდა. საერთოდ როგორ ბედავდა ჩემთვის შვილი დაეძახებინა?
-ვერ ვირჩევ რას?
-ნიკა არ უსმინო, - შემომევედრა მეგი.
-ჯანდაბა, რას ვერ ვირჩევ?
-სიცოცხლეს და სიკვდილს!
-რა?
-შენს თავს თუ მეგის! აბა გამოიცანი შენ რომელი ხარ?
-ნიკა, ნუ უსმენ!
-რას ამბობ, ამას ნიშნავდა ის გუშინდელი სიტყვები?
-რომელი გუშინდელი სიტყვები? - მკითხა აღშფოთებულმა მეგიმ.
-მან თქვა რომ ჩემთვის, როგორც ლიდერისთვის ბოლო დავალება ჰქონდა. ეს არის შენი ბოლო დავალება? ჩემსა და მეგის შორის არჩევანის გაკეთება? ჩვენგან რა გინდა? რა ადამიანი ხარ? ის ყველაფერი რაც ჩვენ გვინდა უბრალოდ ერთმანეთის ყოლაა, მეტი არაფერი, რატომ არ გინდა სამუდამოდ შეგვეშვა? გრძნობები საერთოდ არ გაგაჩნია? არავინ გყვარებია? არავინ? - ვტიროდი, ხან მუდარაზე გადავდიოდი, ხან ისევ ვგიჟდებოდი, ისე რომ მინდოდა მივვარდნილიყავი და იარაღი ხელიდან გამომეტაცა მისთვის. მეგი წამოხტა. ეს ხასიათის უეცარი ცვალებადობა მისთვის უკვე კარგად ნაცნობი იყო და იცოდა რისი გამკეთებელიც ვიყავი. ის ჩემთან მოვიდა და ხელი ჩამკიდა.
-ტყუილად ცდილობ, მოდი დავივიწყოთ ყველაფერი. მშვიდობა, ეს სიკეთის ერთადერთი გასაღებია და მერე მამა-შვილური ჩახუტებები და ნიანგის ცრემლები, რომელმაც როგორც წესი ყველაფერი უნდა მოაგვაროს... არა, წარმოდგენაც კი ძალიან ცუდი დადგმაა! რაღას უცდი ნიკა? მიდი მოკალი და გადარჩი, ან არ მოკლა და მოკვდი! მარტივია...
-საერთოდ რისი იმედი მქონდა? რისი იმედი მქონდა...
დაიჩურჩულა მეგიმ.
-მეგ ყველაფერი კარგად იქნება...
-ჩემი საწერმაგიდის პირველი უჯრა! იქ პატარა თაიგულთან ერთად კიდევ რაღაც დევს, - მითხრა და ხელი გამიშვა. ისე თითქოს რაღაცას აპირებდა. ამ დროს რაციის ხმა გავიგონე. მოძრაობის უნარი დამიქვეითდა.
-როგორც ჩანს დრო მოვიდა! - თვალები გადაატრიალა დემონმა, - მიდი აირჩიე!
-არ ავირჩევ!
-კარგი, - ჩაილაპარაკა კმაყოფილმა და იარაღი მეგის დაუმიზნა.

-კარგი კარგი, მე, მე მომკალი, მას არაფერი დაუშავო, მე მომკალი, მე! შეეშვი მას და აქ დავამთავროთ...
-ნიკა არა! - ერთად შეჰყვირეს მეგიმ და ლალიმ, რომელიც სამზარეულოს კარებამდე როგორღაც მოჩოჩებულიყო.
-ნიკა ბოლოჯერ გეკითხები, აირჩიე!
-გადაწყვეტილებას არ შევიცვლი!
-ვა, ასე ბიჭო? ეს როგორი სიყვარულია... კარგი, კარგი, მაგრამ იცოდე ეს არჩევანი შენ გააკეთე. და ცოტა არ იყოს გულიც კი დამწყდა, - დემონმა მეგისკენ მიმართებული იარაღი ჩემსკენ მოაბრუნა. იმედი მაინც მქონდა რომ პოლიცია ბოლო წამს შემოგვისწრებდა და ეს ყველაფერი დასრულდებოდა როგორც ზღაპარში, სადაც ყოველთვის კეთილი იმარჯვებს. თუ ეს ასე არ იქნებოდა, მაშინ მე ბედნიერი ვიქნებოდი, რადგან მეგისთვის ვკვდებოდი. და მთელი ისტორიის ირონია იმაში მდგომარეობდა რომ რაც მთელი ჩემი არსებით მსურდა ეს იყო სიკვდილი და მე არ, ან ვერ ვკვდებოდი რატომღაც და როცა როგორც იქნა სიცოცხლე შევიყვარე, სწორედ მაშინ საკუთარი მამა მკლავდა! ამის მიზეზი არ მესმოდა და ვერც ვერასდროს გავიგებდი თუ ეს ჩემი ცხოვრების უკანასკნელი წუთები იქნებოდა მაშინაც კი. მეგის ანგელოზივით მშვენიერ სახეს, რომელზეც ნათელი ედგა საბოლოოდ შევავლე თვალი, მერე კი თვალები დავხუჭე.
-მეგ, ჩემში ყველაზე მეტად გიყვარს? - ვკითხე მას და დაველოდე სიკვდილს, რომელიც ჩემთვის მოდიოდა და რომლისაც ასე ძალიან მეშინოდა.
მაგრამ ეს ბოლო არ ყოფილა. კარების ბრახუნზე თვალები დავაჭყიტე და დავინახე დემონმა სასხლეტისკენ თითი როგორ წაიღო. გადამწყვეტი ერთი წამი რჩებოდა. უცებ მეგი გააფთრებული მომვარდა და წამაქცია. ძირს დაცემულმა რამოდენიმე უნიფორმიანი კაცი დავინახე, რომლებიც ოთახისკენ მოემართებოდნენ. მან კი უანასკნელი სიტყვები წარმოთქვა:

-ყველაფერი რაც შენშია!

და ტყვიამ რომელმაც ყველაზე ხმაურიანი მდუმარებით გაკვეთა ჰაერი, პირდაპირ მეგის გულში გაიარა...

მეგის წერილი

ნიკას:

სადღაც, ძალიან შორს ჩვენგან (უკვე უფრო მეტად ჩემგან) ჩუმი ქარები უყვებიან ცივ კედლებს ლამაზ ამბებს, უყვებიან ცოცხალ ზღაპრებს, რომლებიც ერთ დროს თავადვე მოიხილეს, რისი მოწმენიც თავადვე გახდნენ. უყვებიან, თან უკვირთ. უკვირთ და უხარიათ რომ მოგონებები მაინც შემორჩათ ახლა უკვე ჩვენს გარეშე გაუფერულებულ ადგილებს სადაც მათ უქროლიათ, ზაფხულის ნაზი სიო დაუბერავთ და ცხელი სულები გაუგრილებიათ. უხარიათ, რომ ამ ამბავში მონაწილეობა მიუღიათ. და მაინც... შეუძლიათ განა კედლებს საუბარი? შეუძლიათ ქარებს იავნანას სიმღერა? მე მჯერა რომ შეუძლიათ. მჯერა რომ ჩვენს მოგონებებს სწორედ ისინი შეინახავენ სამარადისოდ. კვლავ იმღერებენ, კვლავ იჩურჩულებენ და კვლავ დაგველოდებიან. ეს უკვე არარსებულად გეჩვენება, არა? ახლა შეიძლება გძულვარ კიდეც, თუმცა აქამდე ხომ გჯეროდა ჩემი სიტყვების, ხომ გჯეროდა? ხომ გწამდა ამ ყველაფრის... მეც სწორედ მაგ რწმენამ მომიყვანა აქამდე, მოგიყვანა შენც (უფრო მოგათრია), ჩვენ მოგვიყვანა... ამ რწმენამ უამრავი დღე დააღამა და უამრავი ღამე გაათენა. ამ რწმენამ გაგვზარდა და პიროვნებებად ჩამოგვაყალიბა! რწმენამ უმთავრესმა, რწმენამ იმისა, რომ ჩვენი გრძნობა ყველაზე და ყველაფერზე მაღლა დგას! რწმენამ რომ ჩვენ არასდროს შეგვიძლია გაქრობა, თუ კიდევაც მოვკვდები(თ), ანდაც ვეღარასდროს შევხვდებით ერთმანეთს(განა ეს ერთი და იგივე არაა?) დაბოლოს, რწმენამ რომ ჩვენი სიყვარული მარადიულია. ჩვენ ამ დღემდე სწორედ ამისი გვჯეროდა. გვჯეროდა მთელი სხეულითა და სულით, მთელი არსებით, მაგრამ სინამდვილე ისაა რომ ამ წყეულ, სიბოროტით გაჟღენთილ სამყაროში სიყვარული არაა ნიკა. მე არ აღმოვჩნდი ამ სამყაროსთვის. მე იმისთვის დავიბადე რომ მოვმკვდარიყავი... ნუ გამკიცხავ, ნუ შემიძულებ, ნუ განმიკითხავ... გახსოვდე და გიყვარდე რომ მეც სამუდამოდ ვიცოცხლო შენს გულში. შენ ახლა ორი სიცოცხლე გმართებს. შენ ჩემს მაგივრადაც უნდა იცოცხლო!
უცნაურია არა? ეს ჩემი ბოლო ჩანაწერია, მე კი ღიმილით ვწერ მას. აი სწორედ იმ ღმილით ყოველ შენს დანახვაზე სახეზე რომ მეფინებოდა ხოლმე. იმ სითბოს რომელსაც ყოველი ჩვენი შეხებისას შენი სხეული უწილადებდა ხოლმე ჩემსას, ცივ სამარეში ჩავიტან. ვიცი ის სიმშვიდე სიკვდილის შემდეგ რომელზეც შენ ხშირად გიყვებოდი ჩემთვის აღარ არსებობს, მაგრამ ალბათ ეს ასეც უნდა ყოფილიყო. შენ მართალი იყავი, კარგი არაფერი არსებობს დანაკლისის გარეშე. ახლა მე ვარ შენი დანაკლისი, შენ კი ჩემი სამოთხე!
იცოდე არც კი გაბედო და არ გამომყვე, თორემ შენ თავს გეფიცები როცა ისევ გნახავ ხელმეორედ მოგკლავ. ხომ იცი რომ გამკეთებელი ვარ... ახლა ორი პორცია ვანილის ნაყინის ჭამა მოგიწევს და ორმაგად ხარ შენს სიცოცხლეზე პასუხისმგებელი. ორმაგად ხარ ვალდებული იცინო, იმხიარულო და ყველაფერი კარგი შეიგრძნო. თუ თვლი რომ ის მართლაც აღარ არსებობს, მაშინ შექმენი, თუ ამისთვის დრო აღარ არის, გამოათავისუფლე, თუ თავს მარტო იგრძნობ ჩემზე იფიქრე. თუ გეგონება რომ მეტს ვეღარ გაუძლებ უბრალოდ დაიძინე, მე სიზმრად მოვალ. ან შეიძლება ფანჯრიდანაც კი "ჩამოვვარდე" ვინ იცის... მოვიფიქრებ იქამდე. უბრალოდ, გამიხსენე ყოველი გაწვიმებისას, ყოველი ვარსკვლავის ჩამოვარდნაზე იცოდე რომ მომენატრე, ყოველი ქარის დაბერვაზე იცოდე რომ გეხუტები და ყოველი მზის ამოსვლისას, ისევ ზუსტად ისე გიღიმი, როგორც ეს ყოველ შენს დანახვაზე

ხდებოდა. ეს ღიმილი არ დაივიწყო, რადგან ამ ღიმილმა ბევრჯელ უნდა გაგაძლიეროს! მე კი ჩუმად ძილში დაგითვლი ყოველ სათუთ ჩასუნთქვას და ვიამაყებ რომ ოდესღაც ამ საოცარი ადამიანის ცხოვრებაში მთავარი როლი მეკავა! ვიამაყებ რომ, საკუთარი სიჯიუტით ის ისტორია შევქმენი, რომელსაც წესით არც უნდა ეარსება, ან იქნებ ყველაფერი წინასწარ იყო გათვლილი... ყოველ შემთხვევაში მინდა იცოდე რომ მე არაფერს ვნანობ, ნურც შენ ინანებ. ცუდი დასასრული ყოველთვის ცუდ დასასრულს არ ნიშნავს, რადგან ეს სულაც არაა დასასრული...